ძიება

ისტორიის, არქეოლოგიის,
ეთნოგრაფიისა და
ხელოვნების ისტორიის
სერია

4.1974

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილება

АКАДЕМИЯ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР
Отделение общественных наук

თბილისი·1974 ТБИЛИСИ

ᲫᲘᲪᲮᲜᲔ

ისტორიის, არქეოლოგიის,
ეთნოგრაფიისა და
ხელოვნების ისტორიის
სერია

4.1974

სარედაქციო კოლეგია: ა. აფაქიძე, ვ. ბერიძე, ვ. გაბაშვილი, **ია ჭარავა** (რედაქტორის მოადგილე), **რ. კიკნაძე** (რედაქტორის მოადგილე), გ. მელიქიშვილი (რედაქტორი), გ. ჩიტაია, ლ. ჭილაშვილი

РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ: А. М. Апакидзе, В. В. Беридзе, В. Н. Габашвили, Ю. М. Качарава (*зам. редактора*), Р. К. Кикнадзе (*зам. редактора*), Г. А. Меликишвили (*редактор*), Г. С. Читая, Л. А. Чилашвили.

პასუხისმგებელი მდივანი ე. ვაშაკიძე
***Ответственный секретарь* Э. Вашакидзе**

რედაქციის მისამართი: თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., № 19
Адрес редакции: Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19
ტელეფონი 37-95-46 телефон

ხელმოწერილია დასაბეჭდად 27.1.1975; შეკვ. № 3122; ანაწყობის ზომა 7×11½; ქაღალდის ზომა 70×108 1/16; ნაბეჭდი თაბახი 20,65; სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 17,23; უე 01747; ტირაჟი 1000;
ფასი 1 მან.

*

გამომცემლობა „მეცნიერება", თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Издательство «Мецниереба», Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19.

საქ. სსრ მეცნ. აკად. სტამბა. თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Типография АН Грузинской ССР, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

შ ი ნ ა ა რ ს ი

წერილები

მ. ნათმელაძე, საქართველოს საქალაქო სტრუქტურის საკითხისათვის XX საუკუნის 20-იანი წლების დამდეგს 7
ა. მიქავა, ქუთაისის სოციალ-ეკონომიური განვითარება რეფორმისშემდგომ ხანაში 22
ვ. დონაძე, აფრიკის კოლონიური დაყოფა და ქართული საზოგადოებრივი აზრი 35
გ. მეტრეველი, რაჭის საერისთავო XVIII საუკუნის მეორე ნახევარში . . . 49
ნ. ზაუტაშვილი, ა. წერეთელი და 1876 წლის აპრილის აჯანყება ბულგარეთში 64

ცნობები და შენიშვნები

ჯ. შარაშენიძე, მანიშთუშუს ობელისკის შესახებ 81
გ. ახვლედიანი, ლეონტი მროველის „მეფეთა ცხოვრების“ ფოლკლორული წყაროები 86
ლ. დავლიანიძე, დავით V სომხურ საისტორიო მწერლობაში 97
ა. შავხელიშვილი, საქართველოს მთიანეთის მოსახლეობის ბრძოლა უცხო დამპყრობლების წინააღმდეგ (XVI—XIX სს. პირველი ნახევარი) . . . 106
ი. მერაბიშვილი, რატომ არ იხსენიება ვახტანგ გორგასალი ბოლნისის წარწერაში 121
ო. ლანჩავა, დასავლეთ საქართველოს ისტორიული გეოგრაფიიდან 129
დ. ელენტი, რამდენიმე ქართული ისტორიული საბუთი ფეოდალთა შინაკლასობრივ ბრძოლაზე XVII ს-ის II ნახევრის აღმ. საქართველოში 137
გ. ანჩაბაძე, ევლია ჩელების „სეიაჰათ-ნამეს“ ცნობები კავკასიის მთიელი ხალხების შესახებ 144
გ. ხოშტარია, XIX საუკუნის ქართული მხატვრობის ისტორიიდან 149
ვ. გაგოშიძე, კოლხიდის საცხოვრებელი სახლის უძველესი ტიპის კონსტრუქცია ვიტრუვის მიხედვით 158
მ. საგინაშვილი, მინის ჭურჭელი თბილისიდან 164
ჯ. რუხაძე, სამეურნეო სათავსები საქართველოში 169
ლ. ჩიქოვანი, აკაკი წერეთლის ერთი დაკარგული წერილის შესახებ . . . 183

კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

ი. ტაბაღუა, ფრანგი ისტორიკოსი ნაპოლეონ I დროს საფრანგეთისა და იმერეთის ურთიერთობის შესახებ 188
ნ. შენგელია, ო. თურანი, თურქეთი სელჩუკთა ხანაში . . . 194

ქრონიკა და ინფორმაცია

დ. ხახუტაიშვილი, რკინის წარმოების ძველკოლხური ცენტრის არქეოლოგიური გათხრები მდ. ჩოლოქის ხეობაში 1971 წელს 199
კ. მაჩაბელი, ლ. ხუსკივაძე, ქართული ხელოვნების პირველი საერთაშორისო სიმპოზიუმი 202

СОДЕРЖАНИЕ

СТАТЬИ

М. НАТМЕЛАДЗЕ, К вопросу о городской структуре Грузии в начале двадцатых годов XX в. 7
А. МИКАВА, Социально-экономическое развитие г. Кутаиси в послереформенный период 22
В. ДОНАДЗЕ, Колониальный раздел Африки и грузинская общественная мысль 35
Г. МЕТРЕВЕЛИ, Рачинское эриставство во второй половине XVIII в. . . 49
Н. ЗАУТАШВИЛИ, Апрельское восстание 1876 г. в Болгарии и А. Н. Церетели 64

СООБЩЕНИЯ И ЗАМЕТКИ

Дж. ШАРАШЕНИДЗЕ, Об обелиске Маништушу 81
Г. АХВЛЕДИАНИ, Фольклорные источники «Истории царей» Леонтия Мровели 86
Л. ДАВЛИАНИДЗЕ, Давид V в армянской исторической литературе . . 97
А. ШАВХЕЛИШВИЛИ, Борьба грузинских горцев против иноземних завоевателей (XVI — первая пол. XIX вв) 106
И. МЕРАБИШВИЛИ, Почему не упоминается Вахтанг Горгасали в болнисской надписи 121
О. ЛАНЧАВА, Из исторической географии Западной Грузии 129
Д. ЖГЕНТИ, Несколько грузинских исторических документов о внутриклассовой борьбе феодалов в Восточной Грузии II половины XVII в. . . . 137
Г. АНЧАБАДЗЕ, Сведения «Сеяхат-наме» Эвлия Челеби о горских народах Кавказа 144
Г. ХОШТАРИЯ, Из истории грузинской живописи XIX в. 149
В. ГАГОШИДЗЕ, Конструкция древнейшего типа колхидского жилого дома по Витрувию 158
М. САГИНАШВИЛИ, Стеклянная посуда из Тбилиси 164
Дж. РУХАДЗЕ, Хозяйственные помещения в Грузии 169
Л. ЧИКОВАНИ, Об одном затерявшемся письме Акакия Церетели . . . 183

КРИТИКА И БИБЛИОГРАФИЯ

И. ТАБАГУА, Французский историк о франко-имеретинских отношениях в эпоху Наполеона I 188
Н. ШЕНГЕЛИЯ, О. Туран. Турция в эпоху сельджуков 194

ХРОНИКА И ИНФОРМАЦИЯ

Д. ХАХУТАИШВИЛИ, Археологические раскопки древнеколхидского центра железного производства в ущелье р. Чолоки в 1971 г. 199
К. МАЧАБЕЛИ, Л. ХУСКИВАДЗЕ, Первый международный симпозиум грузинского искусства 202

მაყვალა ნათმელაძე

საქართველოს საქალაქო სტრუქტურის საკითხისათვის XX საუკუნის 20-იანი წლების დამდეგს

საქართველოს მოსახლეობის დინამიკის ზოგადი დახასიათება XIX საუკუნის მიწურულიდან XX საუკუნის პირველ ოცწლეულში სოციალისტური ქალაქების ისტორიის ერთგვარ შესავალ ნაწილად შეიძლება წარმოვიდგინოთ, რამდენადაც ამავე საკითხების შესწავლა საბჭოურ ხანაში შესაძლებელს გახდის განსხვავებულ ისტორიულ ეპოქებში დემოგრაფიული პროცესების სახეცვლილებათა ხასიათისადმი თვალის გადევნებას, ამ ცვლილებათა ტენდენციების საერთო წყაროებისა თუ განსხვავებულ ნიშანთვისებათა წარმოჩენას. დემოგრაფიული კანონზომიერებანი, მოსახლეობის ბუნებრივი და მექანიკური ზრდა-შემცირების პროცესები შეცვლილ სოციალ-ეკონომიურ პირობებში საწარმოო ძალებისა და წარმოებით ურთიერთობათა ამა თუ იმ ხარისხით განვითარებისას გამოიხატება სხვადასხვა ინტენსივობით, შესატყვისად იქმნება მოსახლეობის მოძრაობის კონკრეტული ტენდენცია.

ადამიანთა საზოგადოების ისტორიული განვითარების კანონები განმსაზღვრელად მოქმედებენ მოსახლეობის აღწარმოებაზე, რომელიც მჭიდროდაა დაკავშირებული ცხოვრების მატერიალური და სულიერი პირობების ერთობლიობასთან. დემოგრაფიულ პროცესებს საფუძვლად უდევს საწარმოო ძალებისა და წარმოებით ურთიერთობათა განვითარება.

კ. მარქსი აღნიშნავდა, რომ წარმოების ყოველ განსაკუთრებულ ისტორიულ წესს სინამდვილეში აქვს თავისი განსაკუთრებული, ისტორიული ხასიათის კანონი მოსახლეობისა[1].

ხალხთმოსახლეობის შესახებ მარქსის თეორიის შემდგომი განვითარებისას ვ. ი. ლენინმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია ჭარბი მოსახლეობის პრობლემას, აღმოაჩინა მისი ფორმები და უჩვენა, რომ შეფარდებითი ჭარბი მოსახლეობა აშკარა და მრავალმხრივ გამოხატულებას პოულობს დამოკიდებული და კოლონიური ქვეყნების ქალაქებისა და სოფლის მოსახლეობის სოციალური სტრუქტურის რთულ ძვრებში.

ხალხთმოსახლეობის პროცესების კვლევა, რომელიც მჭიდროდ უკავშირდება ქალაქების ისტორიის შესწავლას, იძენს კომპლექსური სამეცნიერო დისციპლინის მნიშვნელობას. მოსახლეობას სადღეისოდ სწავლობს მეცნიერების მრავალი დარგი, კერძოდ, სოციოლოგია, შრომის რესურსების ეკონომიკა, პოლიტიკური ეკონომია, სოციალური ეთნოგრაფია, სოციალური ფსიქოლოგია, სოციალური ჰიგიენა, სამართალი, დემოგრაფიული სტატისტიკა და სხვ. მეცნიერების ამ დარგების ინტეგრაცია, რაც დიდ სირთულეებთან არის დაკავშირებული, მოასწავებს ახალ ეტაპს ხალხთმოსახლეობის შემსწავლელი მეცნიერების განვითარებაში. ერთი მხრივ, იგი გულისხმობს კვლევის საშუალებათა გამიჯვნას, მეორე მხრივ, კვლევის ასპექტების დაახლოებას, სათანადო ინფორმაციის შეკრებისა და კვლევის თანამედროვე მათემატიკური მეთოდების და-

[1] კ. მ ა რ ქ ს ი, კაპიტალი, ტ. I, ნაწ. I, 1954, გვ. 795.

უფლება-გამოყენებას, რომელსაც მეცნიერების ამა თუ იმ დარგში შეღწევის სხვადასხვა პირობები და პერსპექტივა გააჩნია. ამას გარდა კამათი ხალხთმოსახლეობის შემსწავლელ მეცნიერებათა დიფერენციაციისა თუ ინტეგრაციის თაობაზე კვლავ გრძელდება.

ქალაქების, როგორც მოსახლეობის კომპაქტური ჯგუფების კონცენტრაციის, ისტორიული თვალთახედვით შესწავლა არ ისახავს მიზნად ხალხთმოსახლეობის მთელ რიგ საკითხთა შესწავლას. მაგალითად, მისი მიზანი არ არის მოსახლეობის გამოკვლევა თეორიული თუ პრაქტიკული ასპექტით, მოსახლეობის აღწარმოება და მატერიალური გარემო თავისი თავისებურებებით, მოსახლეობის სულიერი და ფიზიკური განვითარება და ა. შ.

ქალაქების თანამედროვე მეცნიერული შესწავლის მთავარ ასპექტად, ხალხთმოსახლეობის კომპლექსური პრობლემიდან უნდა მივიჩნიოთ: მოსახლეობის აღწარმოების პერიმეტრების გათვალისწინება, ქალაქის მოსახლეობის ზრდის ერთ-ერთი მთავარი არსის — ბუნებრივი მატების საერთო მასშტაბის ჩვენება, მისი ხვედრითი წილის გამოსარკვევად საქალაქო მოსახლეობის ზრდაში; მოსახლეობის მიგრაციული პროცესის ხასიათი და მისი შედეგი, რასაც დიდი მნიშვნელობა ენიჭება ქალაქისა და სოფლის მოსახლეობის რაოდენობრივი თანაფარდობის ცვლილებათა ახსნისათვის და ქალაქის მოსახლეობის მექანიკური ზრდის განმაპირობებელი მიზეზების წარმოჩენისათვის. მოსახლეობის მექანიკური მატება საქალაქო ცხოვრების განვითარების მთავარი ტენდენციის განსაზღვრაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს. ფრიად საინტერესო საკითხს წარმოადგენს ქალაქის მოსახლეობის სოციალური და ეროვნული სტრუქტურის გარკვევა, რომელზედაც დიდ გავლენას ახდენენ ისტორიული ტრადიცია და განსაკუთრებით მოსახლეობის მიგრაციული პროცესები.

ზემოთ ჩამოთვლილი საკითხებიდან გვინდა შევჩერდეთ საქართველოს სოფლისა და ქალაქის მოსახლეობის რაოდენობრივი თანაფარდობის საკითხზე, რომელმაც უნდა უჩვენოს საქართველოში მიგრაციული პროცესების გავლენა საქალაქო მოსახლეობის ზრდაზე და არაპირდაპირ, ქალაქების მოსახლეობის ბუნებრივი მატების კოეფიციენტის ზოგად მაჩვენებელზეც შეიძლება მიგვანიშნოს. ხსენებული საკითხის შესწავლამ ნაწილობრივ საქალაქო მოსახლეობის ეროვნული სტრუქტურის ცვლილების მთავარი ტენდენციაც უნდა წარმოაჩინოს. მაგრამ ამთავითვე უნდა შევნიშნოთ, რომ ამჯერად არ ხერხდება ზოგადად შენიშნულ ტენდენციათა შემაგრება-დასაბუთება, კვლევის მოსალოდნელი შედეგის სრულად მიღება საჭირო კონკრეტული ფაქტობრივი მასალის ხელმიუწვდომლობის გამო[2].

[2] XIX საუკუნის პირველ ნახევრამდე რუსეთში ტარდებოდა ე. წ. რევიზიები მოსახლეობის სულადობრივი გამოკვლევის მიზნით და მხოლოდ 1880 წ. შემუშავდა დებულება „მოსახლეობის საყოველთაო აღწერის შესახებ". რომლის საფუძველზე, 17 წლის დაგვიანებით, ჩატარდა რუსეთის იმპერიის 1897 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერა. შემდგომ რუსეთის დროებითმა ბურჟუაზიულმა მთავრობამ 1917 წლის მაისში ჩაატარა სრულიად-რუსეთის სასოფლო-სამეურნეო საადგილმამულო აღწერა, რომელიც არაპირდაპირ საქალაქო მოსახლეობასაც შეეხო და მთელს კავკასიაში ჩატარდა. ხსენებული აღწერის მასალები გაიფანტა. არასრული სახით კი მისი შედეგები დაისტამბა 1921 წ. 1918—1921 წლებში საქართველოში არა თუ საყოველთაო, არამედ არც ერთი ერთდროული ან შერჩევითი აღწერა არ ჩატარებულა. ამ გარემოებამ აუცილებელი გახადა 1922 წლის — უკვე საბჭოთა ხელისუფლების მიერ ჩატარებული საქალაქო აღწერის შედეგებით გვესარგებლა. მით უფრო, რომ ხსენებული აღწერა ფრიად საინტერესო სტატისტიკურ წყაროს წარმოადგენს საქალაქო მოსახლეობის შემადგენლობის დაწვრილებითი ანალიზისათვის.

მატერიალური წარმოების არაერთნაირი ხასიათი, მეურნეობრივი სპეციფიკა და ნაწილობრივ, ბუნებრივი პირობები განსაზღვრავენ ქვეყნის სხვადასხვა რეგიონში მცხოვრებ ადამიანთა განსხვავებას მატერიალური და კულტურული მდგომარეობის მხრივ. მეფის რუსეთის სახელმწიფოს განაპირა მხარეებს თავისი ისტორიული წარსული, ტრადიციები, სოციალ-ეკონომიური და კულტურული განვითარების თავისებურებანი ახასიათებდათ. ეს სპეციფიკა გამოიხატებოდა ურბანიზაციის ხარისხში, ქალაქსა და სოფელს შორის მოსახლეობის განაწილებაში, შინაგანი მიგრაციის მასშტაბში და ა. შ. ამასთან იყო დაკავშირებული ქალაქების რაოდენობრივი ცვლილებების ხასიათიც.

XIX საუკუნის დასაწყისიდან რუსეთის ეკონომიურ ორბიტაში ჩართული საქართველო, სხვა არარუსულ მხარეებთან ერთად ძალუმად განიცდიდა რუსეთის სოციალ-ეკონომიური განვითარების გავლენას. რეფორმის შემდეგდროინდელ ხანაში კაპიტალისტური ურთიერთობის განვითარებამ ხელი შეუწყო საქართველოში საქალაქო ცხოვრების გაცხოველებას. იცვლება ძველი ქართული ქალაქების საზოგადოებრივ-ეკონომიური პროფილი, იქმნება მსხვილი მრეწველობა, ჩნდება ახალი ქალაქური დაბები, რომელთაც ხელსაყრელი პირობები გააჩნდათ სატრანსპორტო-სამრეწველო რეგიონებთან სიახლოვის, სავაჭრო-კომერციული საქმიანობისა ან წვრილსაქონლური წარმოების განვითარების თვალსაზრისით. ეს ღრმა ეკონომიური პროცესები მოსახლეობის ყოველ სოციალურ ფენას შეეხო და აისახა დემოგრაფიული პროცესების ცვლილებებში. იგი პირველ ყოვლისა, გამოიხატა გლეხობის დიფერენციაციის გაღრმავებაში, ურბანიზაციის ინტენსიურობაში და სხვ.

საქართველო წვრილი მიწათმფლობელური ქვეყანა იყო[3]. ამიტომაც, შინამიგრაციული პროცესი საქართველოში მეტად ფართო ხასიათს ატარებდა. ქალაქების მოსახლეობის რაოდენობრივ ზრდაშიც უმნიშვნელოვანესი ადგილი სოფლის მოსახლეობას ეჭირა[4]. საქართველოს ხელსაყრელი ისტორიულ-ეოგრაფიული მდებარეობა ოდითგანვე უწყობდა ხელს მის ტერიტორიაზე

---

[3] იხ. ვ. ჯ ი ქ ი ა, საქართველოს მუშათა კლასის ისტორიიდან (1900—1914 წწ.) თბ., 1973, გვ. 95. ავტორი იქვე დასძენს, რომ წვრილ მიწათმფლობელთა რიცხვი საქართველოს მთელი მოსახლეობის 90%-ს შეადგენდა (იგი ეყრდნობა პუბლიკაციას — «Сельское хозяйство и аграрные отношения, т. 4, 1955,) აქ უზუსტობას უნდა ჰქონდეს ადგილი, აღნიშნული პროცენტი წვრილ მიწათმფლობელთა ხვედრითი წილისა გამოთვლილი უნდა იყოს საქართველოს არა მთელი მოსახლეობის, არამედ სოფლის მოსახლეობის საერთო რაოდენობის მიხედვით.

[4] ე. ხ ო შ ტ ა რ ი ა, მრეწველობის განვითარება და მუშათა კლასის ჩამოყალიბება XIX საუკუნის საქართველოში, II, თბ., 1968 გვ. 86; პროფ. ფ. გოგიჩაიშვილის მონაცემებზე დაყრდნობით თვლის, რომ 1886—1897 წლებში საქართველოს ქალაქების მოსახლეობის საერთო ზრდის 76% მოდიოდა საქართველოს სხვადასხვა სოფლებიდან მოსულთა (89390 კაცი) ხარჯზე, ხოლო 27%-ს იძლეოდა ქალაქის მოსახლეობის ბუნებრივი მატება და საქართველოს გარედან მოსული ელემენტი. გასაზიარებლად გვეჩვენება დამოწმებულ სტატისტიკურ მონაცემებთან ე. ხოშტარიას მიერ გაკეთებული შენიშვნა. კერძოდ, იგი თვლის, რომ „ეთითებული ციფრი საკმაოდ დიდია“. სოფლიდან ან საქართველოს გარედან მოსული მოსახლეობის ასეთ მატებას 1897 წლისათვის „არ უნდა ჰქონოდა ადგილი, რადგან სოფლად დაბადებული ქალაქის მცხოვრებთა რაოდენობა ნაკლებია ფ. გოგიჩაიშვილის მიერ მოცემულ რიცხვზე. ამდენად, 1886—1897 წწ. მოსული მოსახლეობა... მთლიანად არ უნდა დარჩენილიყო ქალაქში საცხოვრებლად. ე. ხოშტარიას გამოთვლით, 1897 წლისათვის, ქალაქში მცხოვრები სოფლად დაბადებული მოსახლეობა ანუ იგივე სოფლიდან მოსულნი შეადგენდნენ ქალაქის მთელი მოსახლეობის 27%-ს თითქმის იმდენივეს (29%)— რამდენსაც სხვა ადგილებიდან ჩამოსახლებულნი.

მოსული ელემენტის დასახლებას. იგი არა მარტო ქალაქის, არამედ სოფლის მოსახლეობის ზრდაზეც ახდენდა გავლენას. ქალაქის მოსახლეობას ემატებოდა ერთ შემთხვევაში სტიქიურად, შინაგანი მიგრაციული პროცესის შედეგად ადგილობრივი და ასევე საქართველოს გარედან მოსული ელემენტი, მეორე შემთხვევაში კი რუსეთის სახელმწიფო ხელისუფლება ორგანიზებულად ახორციელებდა მოსახლეობის კომპაქტური ჯგუფების ჩასახლებას საქართველოს ტერიტორიაზე. XIX საუკუნის მთელ მანძილზე ეს პროცესი ფართო მასშტაბით მიმდინარეობდა, რის შედეგად ადგილი ჰქონდა ახალ დასახლებათა წარმოქმნას. მართალია, ვარკვეულ ხანს ჩამოსახლებულთათვის თავისუფალი მიწების გამოყოფის სიძნელეებმა ადგილობრივ მკვიდრთა მიწათმოუწყობლობის პირობებში შეაფერხა კოლონისტების მასიურად ჩამოსახლება, მაგრამ დროდადრო ეს ღონისძიება კვლავ იკავებდა მნიშვნელოვან ადგილს მეფის რუსეთის საშინაო პოლიტიკაში. მეფისნაცვლის ინსტიტუტის აღდგენის შემდეგ XX საუკუნის დასაწყისში კავკასიაში ჩამოსახლება მიჩნეული იყო ამ განაპირა მხარის სახელმწიფოებრივი მოწყობის პირველხარისხოვან ამოცანად. მიუხედავად იმისა, რომ ციმბირის ვეებერთელა თავისუფალ სივრცეებთან შედარებით კავკასიას მცირე ტერიტორია ეკავა, იგი მაინც ძვირფას ფონდს წარმოადგენდა ჩამოსახლებისათვის. ამის შესაბამისად „ამ დროიდან ტარდებოდა ღონისძიებანი წინა წლებში დასასახლებლად გამოყოფილი უბნების მოსაწესრიგებლად“, ოღონდ ადგილობრივ მკვიდრთა უფლებრივი და სამეურნეო ურთიერთობის წინასწარი გამოკვლევის გარეშე. ამ მიზნით ჩატარდა კავკასიაში ადრე შექმნილი 81 რუსული დასახლების გამოკვლევა. ამასთან ერთად დაიწყო ჩამოსახლებისათვის გამოსაყენებელი თავისუფალი მიწის ფონდის შესწავლა. 1908 წლისათვის შემუშავდა გადმოსახლების პრინციპები, რომლის შინაარსი მდგომარეობდა გადასახლებულთა უბნების შექმნისას მიწით დაინტერესებული ადგილობრივი და ძველი რუსული მოსახლეობის უფლებრივი და სამეურნეო ურთიერთობის წინასწარ გამოკვლევაში და ამ მოსახლეობის მიწათმოწყობაში; ამიერკავკასიის აუთვისებელ ადგილებში ჩამოსახლებისათვის საჭირო ფართობების გამოყოფაში და შავიზღვისპირეთის საგზაო მშენებლობის განვითარებაში, ცარიელი, მთიანი და ტყიანი სივრცეების რუსული დასახლებისათვის შესაძლებელი გამოყენების მიზნით, ახლადშექმნილ დასახლებათა სამეურნეო განვითარებისა და განმტკიცებისათვის აგრონომიული დახმარების, საეკლესიო-სასკოლო მშენებლობის, სანიტარულ ღონისძიებათა გატარების გზით და ა. შ.[5].

ამიერკავკასიაში ჩამოსახლებას დიდი სიძნელეები ახლდა მიწის ასათვისებელი ფართობების გამოყენების საქმეში ძვირფას სასოფლო-სამეურნეო კულტურების გასაშენებლად. მოახალშენეთა ჩამოსახლება უნდა განხორციელებულიყო მჭიდროდ დასახლებულსა და მთიან ადგილებში, რაც მეფის ხელისუფლების საგანგებო გეგმით მოქმედებას მოითხოვდა. აღმოსავლეთ ამიერკავკასიის შემდეგ დიდ ინტერესს კოლონიზაციისათვის იწვევდა შავიზღვისპირეთი. 1910—1912 წლებში სოხუმის ოკრუგში ჩასახლებულ იქნა 668 ოჯახი (2036 სული), ბათუმის ოლქში 1909—1912 წლებში 34 ოჯახი, თბილისის

[5] Обзор переселенческого дела на Кавказе за пятилетие 1908—1912 г. СПб., 1913, გვ. 2.

გუბერნიაში 1908—1912 წლებში ჩაასახლეს 993 ოჯახი — 3204 სული[6]. მეფის ხელისუფლებამ დიდი თანხები გამოყო მოახალშენეთა სასულიერო-საგანმანათლებლო მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად, რომლის საჭიროება განსაკუთრებით მწვავედ იგრძნობოდა მრავალეროვანი, სხვადასხვა რელიგიური რწმენის მოსახლეობის არსებობის პირობებში. ამიტომ სახსრების ნახევარზე მეტი საეკლესიო მშენებლობას ხმარდებოდა.

მოსულმა ელემენტმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ქალაქების მოსახლეობის ზრდაში.

გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან საქართველოს ქალაქების მოსახლეობამ სწრაფად იწყო ზრდა. განსაკუთრებით მოიმატა იმდროინდელი საქართველოს ყველაზე მსხვილი სამრეწველო ცენტრების — თბილისისა და ბათუმის მოსახლეობამ. მკვლევარ ე. ხოშტარიას დაკვირვებით აღმოსავლეთ საქართველოს სხვა ქალაქებში (გორი, თელავი, სიღნაღი, დუშეთი, ახალციხე, ახალქალაქი) მოსახლეობის ზრდის ტემპი წინა პერიოდთან შედარებით შენელებულა. ამას მკვლევარი ხსნის ამ ქალაქების სამრეწველო და სავაჭრო როლით ქვეყნის სამეურნეო ცხოვრებაში. კერძოდ, ეს ქალაქები ძირითადად შერჩნენ წვრილ სასაქონლო წარმოებას, მათი როლი ვაჭრობის განვითარების თვალსაზრისით არ გასცილებია ადგილობრივი საკომერციო ცენტრების მნიშვნელობას[7]. საერთოდ, 1886—1897 წლებში საქართველოს მოსახლეობა გაიზარდა 17%-ით, ხოლო ქალაქის მოსახლეობა 4-ჯერ მეტად გაიზარდა, რამაც განაპირობა ქალაქების მოსახლეობის ხვედრითი წილის ზრდაც 10,4%-იდან 15,3%-მდე[8].

ქართულ ეკონომიურ და ისტორიულ სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ XIX საუკუნის ბოლოს ქალაქების მოსახლეობის ზრდის ტემპების მიხედვით საქართველო არა თუ ჩამოუვარდებოდა რუსეთის ევროპულ ნაწილს, არამედ უსწრებდა კიდეც[9].

სოფლის მოსახლეობის გადაადგილება და მოსული ელემენტის მეტ-ნაკლები ინტენსიური მიგრაციული პროცესები იწვევდნენ საქართველოს მოსახლეობის დინამიკის, ქალაქისა და სოფლის მოსახლეობის რაოდენობრივი თანაფარდობის მნიშვნელოვან ცვლილებებს. ამ ცვლილებათა დასახასიათებლად ინტერესმოკლებული არ იქნება მოვიტანოთ ზოგიერთი ჯამური სტატისტიკური მონაცემები, რომლებიც ახასიათებს საქართველოს სოფლის მოსახლეობის რაოდენობრივ და სქესობრივ სტრუქტურას 1897—1917 წლებისათვის.

1897 წ. საქართველოს სოფლის მოსახლეობის რაოდენობა შეადგენდა 1663026 კაცს[10]; აქედან აღმოსავლეთ საქართველოს სოფლის მოსახლეობის რიცხვი უდრიდა 750663 კაცს, ხოლო დასავლეთ საქართველოსი — 754246 კაცს[11]. აშკარაა, რომ სოფლის მოსახლეობის რაოდენობის მხრივ დასავლეთ საქართველო რამდენადმე (სულ 3583 კაცით) აღემატებოდა აღმოსავლეთ საქართველოს. სოფლად მცხოვრებ მამაკაცთა რაოდენობა 1897 წ. შეადგენდა

---

[6] Обзор переселенческого дела на Кавказе за пятилетие 1908—1912 гг., გვ. 6.

[7] ე. ხ ო შ ტ ა რ ი ა, დასახ. ნაშრომი, გვ. 85.

[8] იქვე, შდრ. ნ. ტ უ ე შ ე ლ ა შ ვ ი ლ ი, ნარკვევები საქართველოს მრეწველობის ისტორიიდან, თბ., 1958, გვ. 50.

[9] ე. ხ ო შ ტ ა რ ი ა, დასახ. ნაშრომი, გვ. 85.

[10] სტატისტიკური კრებული 1909—1921 წწ., გვ. 10, ცხ. 6.

[11] იქვე, განსხვავებული მონაცემები დამოწმებულია იმავე სტატ. კრებულის გვ. 9, ცხ. 5.

864513 სულს[12], ანუ 51,9%-ს[13], მათ შორის მამაკაცთა ხვედრითი წილი აღმოსავლეთ საქართველოს სოფლის მოსახლეობაში შეადგენდა 53,6%-ს, ხოლო დასავლეთ საქართველოს სოფლის მოსახლეობაში — 49,6%-ს.

ამრიგად, XIX საუკუნის მიწურულისათვის სოფლის მოსახლეობის რაოდენობის მხრივ დასავლეთი საქართველო რამდენადმე აღემატებოდა აღმოსავლეთ საქართველოს, ხოლო ურთიერთშეფარდება მამაკაცთა ხვედრითი წილის მხრივ მცირეოდენ იხრებოდა აღმოსავლეთ საქართველოს მხარეზე.

განსხვავებულმა ტენდენციამ იჩინა თავი 1917 წლისათვის. ამ დროისათვის აღმოსავლეთ საქართველოს სოფლის მოსახლეობის (917483) ზრდის ტემპმა გაუსწრო დასავლეთ საქართველოს სოფლის მოსახლეობის (892100)[14] ზრდის ტემპს. მამაკაცთა ხვედრითი წილის ურთიერთშეფარდებაში კი პირუკუ მდგომარეობასთან გვაქვს საქმე. მამაკაცთა ხვედრითი წილი საქართველოს სოფლის მოსახლეობაში (2002737 კაცი) შეადგენდა 52,2%-ს. აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს ურთიერთშეფარდება ამ მხრივ მნიშვნელოვნად (8,3%) იხრებოდა დასავლეთ საქართველოს მხარეზე. ეს გარემოება, უნდა ვიფიქროთ, ხელს უწყობდა დასავლეთ საქართველოს სოფლებიდან მუშა ხელის „საშოვარზე" გასვლის ფართო მასშტაბს. ჩვენი ვარაუდით აღმოსავლეთ საქართველოს სოფლის მოსახლეობის მნიშვნელოვან ზრდაში 1897—1917 წწ. ერთ-ერთი მთავარი როლი უნდა შეესრულებინა მოსახლეობის მექანიკური მატების ფაქტორს; მოახალშენეთა გაჩენას გარედან მოსული ელემენტის ხარჯზე ადგილი ჰქონდა XX საუკუნის პირველ ოცეულშიც. განსახილველ პერიოდში გრძელდებოდა ქართული მოსახლეობის შინაგანი გადაადგილება-მიგრაციის ინტენსიური პროცესი, დასავლეთ საქართველოდან — რაჭიდან, იმერეთიდან, სამეგრელოდან მოსახლეობის დიდი ჯგუფების გადმოსახლება ლიხს გადმოღმა — კახეთში, ქვემო შირაქში და ა. შ.[15], რასაც არ შეიძლებოდა არ მოეხდინა გავლენა აღმოსავლეთ საქართველოს სოფლის მოსახლეობაში მამაკაცთა საერთო ხვედრითი წილის ცვლილებაზე.

საინტერესოა სოფლის მოსახლეობის ზემონაჩვენები ტენდენციის შეპირისპირება საქართველოს ქალაქების მოსახლეობის 1897—1917 წწ. დინამიკასთან.

ოფიციალური სტატისტიკური წყაროს მიხედვით, 1897 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერით აღმოსავლეთ საქართველოში აღრიცხული იყო 7 ქალაქი (ახალციხე, ახალქალაქი, გორი, დუშეთი, თელავი, თბილისი, სიღნაღი), რომელთა მოსახლეობა შეადგენდა 216145 კაცს[16], მათ შორის მამაკაცთა რიცხვი შეადგენდა 58,7%-ს. მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით პირველ ადგილზე იდგა თბილისი (159550 მცხ.), შემდეგ მოდიოდა ახალციხე (15357 მცხ.), თელავი (13929 მცხ.) და გორი (10269 მცხ.). ამავე ქალაქებზე მოდიოდა მამაკაცთა მაღალი ხვედრითი წილიც.

---

[12] სტატისტიკური კრებული 1909—1921 წწ., გვ. 10, ცხ. 6.

[13] პროცენტული მაჩვენებლები გაანგარიშებულია ჩვენ მიერ.

[14] სტატისტიკური კრებული 1909—1921 წწ., გვ. 10, ცხ. 6, შდრ. საბჭოთა საქართველო 10. წლისთავზე, სტატ. კრებ., სადაც სოფლის მოსახლეობის რაოდენობა 1914 527 კაცითაა გაზრდილი

[15] საქართველოს ცსა (თბილისი), ფ. 228, ს. 1729, ფურც. 441, 42—43.

[16] Первая всеобщая перепись населения Российской империи, Тифлисская губерния; გვ. 11, ცხ. 7; სტატისტიკური კრებული 1909—1921 წწ.

1917 წ. ქალაქების რიცხვმა 14-ს მიაღწია[17]. ზემოჩამოთვლილ ქალაქებს დაემატა ხაშური, ცხინვალი, სურამი, მანგლისი, კოჯორი, ბორჯომი და აბასთუმანი. აღმოსავლეთ საქართველოს ქალაქებს შორის მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით თბილისის შემდეგ მეორე ადგილი ეჭირა გორს, რომელმაც გაუსწრო ახალციხეს მოსახლეობის რაოდენობის მხრივ. მამაკაცთა ხვედრითი წილის მიხედვით ქალაქების მოსახლეობის საერთო რაოდენობაში კვლავ თბილისს ეჭირა პირველი ადგილი, თუმცა ეს ხვედრითი წილი მნიშვნელოვნად შემცირებულია. იგივე შეიმჩნევა გორის მაგალითზეც.

იმავე სტატისტიკური წყაროს მიხედვით 1897 წ. მოსახლეობის საყოველთაო აღწერის მონაცემებით დასავლეთ საქართველოში ნაჩვენებია 8 ქალაქი (ზესტაფონი, ზუგდიდი, ოზურგეთი, ონი, ყულევი, სენაკი, ფოთი, ქუთაისი) აჭარისა და აფხაზეთის გარდა[18]. ამ ქალაქების მოსახლეობის რაოდენობა შეადგენდა 53192 კაცს, ხოლო აჭარისა და აფხაზეთის ჩათვლით — 89698 კაცს[19].

მცხოვრებთა რაოდენობის მიხედვით პირველი ადგილი ეჭირა ქუთაისს (32476 მცხოვრებით), შემდეგ მოდიოდა ფოთი (7346 კაცი), ოზურგეთი (4710 მცხოვრები) ზუგდიდი (3407 კაცი) და ა. შ. მამაკაცთა ხვედრითი წილის მხრივ დასავლეთ საქართველოს ქალაქების მოსახლეობაში პირველი ადგილი ეჭირა ქუთაისს, შემდეგი კი ფოთს, ოზურგეთს, ზუგდიდსა და ზესტაფონს.

1917 წ. დასავლეთ საქართველოში აღრიცხული იყო 12 ქალაქი. ჩანს, რომ 4 ახალი საქალაქო დასახლება წარმოქმნილა — ლანჩხუთი, სამტრედია, ჭიათურა და ხონი. მოსახლეობის აბსოლუტური რაოდენობის მიხედვით ქუთაისის შემდეგ მოდიოდა ფოთი, ლანჩხუთი და ზუგდიდი. შემცირდა ბათუმის მოსახლეობა 28500 კაციდან 1897 წ. 20020 სულამდე 1917 წ. მოსახლეობაში მამაკაცთა შედარებით მაღალი ხვედრითი წილით ხასიათდებოდა ზესტაფონი, ზუგდიდი, ონი, სამტრედია, სენაკი და ჭიათურა.

აღმოსავლეთ საქართველოს ქალაქების მოსახლეობა 1917 წ. შეადგენდა 301404 კაცს. 1897 წლის რაოდენობასთან შედარებით გაიზარდა 85259 კაცით, ანუ 39,1%-ით, ხოლო დასავლეთ საქართველოს ქალაქების მოსახლეობა გადიდდა იმავე წელთან შედარებით 34551 კაცით, ანუ 27,9%-ით.

ზემოთ მივუთითეთ აღმოსავლეთ საქართველოს სოფლის მოსახლეობის ზრდაში მექანიკური ფაქტორის როლზე, რამაც ქალაქების მოსახლეობის ზრდას შეუწყო ხელი, დასავლეთ საქართველოში კი პირუკუ ტენდენციასთან გვაქვს საქმე. ზემოაღნიშნული პროპორცია დარღვეულია, სახელდობრ, იქ ქალაქების მოსახლეობის ზრდის ტემპი გაცილებით მაღალი იყო, ვიდრე სოფლის მოსახლეობის მატებისა. ეს გარემოება უნდა აიხსნას იმით, რომ დასავლეთ საქართველოს სოფლებიდან დიდი რაოდენობით გადიოდნენ გარესამუშაოზე გლეხობის ჯგუფები, რომელთა ნაწილი დასავლეთ საქართველოს ქალაქების მოსახლეობის შევსების მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენდა.

[17] სტატისტიკური კრებული 1909—1921 წწ., გვ. 11, ცხ. 7.

[18] იხ. სტატისტიკური კრებული 1909—1922 წწ., გვ. 11, ცხ. 7, შდრ. ე. ჯ ი ქ ი ა, დასახ. ნაშრ., გვ. 107, სადაც ავტორი ქუთაისის გუბერნიაში ასახელებს 5 ქალაქს. ამ რიცხვში ჩათვლილია ბათუმი და სოხუმი. იმავე ნაშრომის 103 გვ. მითითებულია, რომ 1886 წლის მონაცემებით საქართველოში ყოფილა სულ 12 ქალაქი და მათი რაოდენობა უცვლელი დარჩენილა 1917 წლამდე. ჩვენ ხელთ არსებული ოფიციალური სტატისტიკის მიხედვით 1897 წელს აღრიცხული იყო 15 ქალაქი, ხოლო 1917 წელს მათი რიცხვი 26-მდე გაიზარდა. შდრ. В. Д ж а о ш в и л и, დასახ. ნაშრომი, გვ. 220, სადაც დამოწმებულია 1897 წ. 20, ხოლო 1917 წ. 30 საქალაქო დასახელება.

[19] სტატისტიკური კრებული 1909—1921 წწ., გვ. 11, ცხ. 7.

სოფლის მოსახლეობის გასვლა გარესამუშაოზე, ცხადია, ხელს უწყობდა სოფლის მოსახლეობის შემცირებას და მისი მახლობელი რეგიონის ქალაქის მოსახლეობის ზრდას. ზოგი მკვლევარი ქალაქების მოსახლეობის ზრდის ფაქტორთა შორის მთავარ წყაროდ შინაგან მიგრაციას მიიჩნევს. სადავო არ არის, რომ საქართველოში გლეხობის ქალაქად გადაადგილებას განსაკუთრებული ნიადაგი და პირობები გააჩნდა, მაგრამ სოფლისა და ქალაქის მოსახლეობის რაოდენობრივი თანაფარდობის განხილვისას უთუოდ ანგარიშგასაწევია ის გარემოებაც, რომ საქართველოს მოსახლეობის დინამიკაზე მთლიანად, ისევე თვით შინაგან მიგრაციულ პროცესზეც დიდ გავლენას ახდენდა სტიქიურად და ორგანიზებულად მოსული ელემენტი.

საქართველოს მთელი მოსახლეობის რაოდენობა უდრიდა 1897 წ. 1913,9 ათას კაცს, მათ შორის ქალაქების მოსახლეობის რაოდენობა შეადგენდა 312,2 ათასს ანუ მთელი მოსახლეობის 16,3%, სოფლის მოსახლეობა — 160197 ათას, ანუ 83,7%-ს[20]. 1917 წ. საქართველოს მთელი მოსახლეობა გაიზარდა 2426,3 ათას სულამდე, მათ შორის ქალაქების მოსახლეობა გაიზარდა 439,3 ათასამდე, რაც მთელი მოსახლეობის 18,6%-ს შეადგენდა[21], ხოლო სოფლის მოსახლეობის რაოდენობამ მიაღწია 2002,7 ათას კაცს[22]. მიუხედავად დამოწმებული სტატისტიკის სხვაობისა, უცილობელი ფაქტია საქართველოს მოსახლეობის საერთო ზრდის პირობებში ქალაქების მოსახლეობის სწრაფი ზრდა სოფლის მოსახლეობის ზრდის ტემპთან შედარებით. ამ მოვლენის შედეგი აისახა 1897—1917 წწ. ახალ საქალაქო დასახლებათა წარმოქმნაში. 1897 წ. საქართველოში ქალაქად აღირიცხა სულ 15 დასახლება[23]. ქალაქების რიცხვმა როგორც, ზემოთ ითქვა, აღმოსავლეთ საქართველოში უფრო იმატა. 1897—1917 წწ. ოფიციალური სტატისტიკის მოწმობით ქალაქის სტატუსი მიიღო 7 ქალაქმა — ხაშურმა, სურამმა, ცხინვალმა, ბორჯომმა, მანგლისმა, აბასთუმანმა და კოჯორმა. უნდა შევნიშნოთ, რომ ამ ახალ ქალაქთაგან — ცხინვალი, სურამი და ხაშური XIX საუკუნის 60-იანი წლების სტატისტიკის მიხედვით საქალაქო დასახლებად იხსენიებოდნენ, მაგრამ 1897 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერამ ისინი ქალაქებად აღარ მიიჩნია, სავარაუდოა, მათი სავაჭრო-ხელოსნური წარმოების ფუნქციების შეკვეცის გამო. 1917 წლის აღწერით ხსენებული დასახლებანი კვლავ ქალაქებად იქნენ ჩათვლილი. ამავე აღწერის შედეგების მიხედვით დასავლეთ საქართველოში 4 ახალი ქალაქის გარ-

[20] Атлас Грузинской ССР, Т.-М., 1964, გვ. 167; შდრ. ნ. ტყეშელაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 58, სადაც მითითებულია საქართველოს მოსახლეობის რაოდენობა 1968, 8 ათასი, მათ შორის ქალაქების მოსახლეობა უდრიდა 305,8 ათასს, სოფლის მოსახლეობა—1663 ათასს; შდრ. ე. ხოშტარია, დასახ. ნაშრომი, გვ. 84, ნაჩვენებია ქალაქის მოსახლეობის რაოდენობა 300590 კაცი; შურ. **В. Джаошвили**, დასახ. ნაშრომი, გვ. 34, 220, იგი უჩვენებს საქართველოს მოსახლეობის საერთო რაოდენობას 1897 წ.—1919,4 ათას, მათ შორის ქალაქების მოსახლეობას—303,2 ათასს, ხოლო სოფლისას— 1616,2 ათასს. როგორც მთლიანად, ასევე ქალაქების მოსახლეობის აბსოლუტურ რაოდენობათა ასეთი განსხვავება იძლევა სხვაობას ქალაქის მოსახლეობის ხვედრითი წილის მაჩვენებელშიც. ნ. ტყეშელაშვილის ნაშრომის მიხედვით იგი უდრის 15,5%; ე. ხოშტარიას ნაშრომის მიხედვით 15,3%, ვ. ჯაოშვილის მიერ დამოწმებულია 15,8%. ჩვენ მიერ მოხმობილ მეცნიერულ გამოცემაში მითითებული მაჩვენებელი ყველა მათგანისაგან განსხვავებულია.

[21] **В. Джаошвили**, დასახ. ნაშრომი, გვ. 220; შდრ. ჟურნ. „საქართველოს ეკონომისტი", 1927, № 4, გვ. 96. მის მიხედვით ქალაქების მოსახლეობა უდრიდა 403544 კაცს; შდრ. ნ. ტყეშელაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 58, მიუთითებს 423, 5 ათასს, ხვედრით წილს 17,5%-ს.

[22] ნ. ტყეშელაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 58.

[23] სტატისტიკური კრებული 1909—1921 წწ., გვ. 11, ცხ. 7. შდრ. **В. Джаошвили**, დასახ. ნაშრომი, გვ. 220, რომლის მიხედვით დამოწმებულია 20 ქალაქი.

და ქალაქად იხსენიება გუდაუთა და ოჩამჩირე. ამრიგად, საქართველოს ტერიტორიაზე (თანამედროვე საზღვრებში) ითვლებოდა 28 საქალაქო დასახლება[24].

ქალაქის წარმომქმნელ ერთ-ერთ პირველხარისხოვან ფაქტორს წარმოადგენს მრეწველობის განვითარება. ჭიათურის ქალაქად გადაქცევაში გადამწყვეტი როლი მანგანუმის მრეწველობის სწრაფმა განვითარებამ შეასრულა. XIX ს-ის მიწურულისთვის მანგანუმის მრეწველობაში დასაქმებულთა რაოდენობა მცირე იყო. ისინი თვით ჭიათურაში არ სახლობდნენ და სოფლის მოსახლეობას უფრო განეკუთვნებოდნენ. ნაწილობრივ ამ გარემოებით და, მეორე მხრივ, მოსახლეობის აღწერისას კერძო მრეწველთა მიერ თავიანთი ფისკალური ინტერესების გამო მომუშავეთა შემცირებული რაოდენობის ჩვენებით უნდა აიხსნას 1897 წლის აღწერით ამ წარმოებაში დასაქმებული მუშა ხელის, ჩვენი აზრით, გარკვეულად დაკნინებული რაოდენობის მითითება. XX საუკუნის დასაწყისიდან ჭიათურის მანგანუმის წარმოება წამყვან ადგილს იკავებს საქართველოს მოპოვებით მრეწველობაში და 1913 წლისათვის თავისი სიმძლავრით და მსოფლიო ბაზარზე მადნის გატანის მოცულობით მსოფლიოში პირველ ადგილზე დგება[25]. ხაშურისა და სამტრედიის ქალაქებად განვითარება დაკავშირებული იყო მნიშვნელოვან სარკინიგზო კვანძებად გადაქცევასა და მასთან დაკავშირებით მრეწველობის განვითარებასთან.

ახალ საქალაქო დასახლებათა წარმოქმნის ასახსნელად მათი საზოგადოებრივ-სამეურნეო პროფილია გასათვალისწინებელი. საქართველოში საქალაქო ცხოვრების განვითარებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მდიდარი ბუნებრივი პირობების გამოყენებას საკურორტო დანიშნულებისათვის. საკურორტო ფუნქციას მნიშვნელოვანი როლი უნდა შეესრულებინა ბორჯომის, აბასთუმნის, მანგლისისა და კოჯორის ქალაქური ტიპის დასახლებებად ქცევაში.

ქალაქის წარმოქმნას ხელს უწყობს, აგრეთვე, კულტურულ-საგანმანათლებლო ფუნქცია, რომელიც დამოუკიდებლად არ წარმოადგენს ქალაქწარმომქმნელ ფაქტორს, მაგრამ ვაჭრობა-ხელოსნურ წარმოებასთან ერთად განაპირობებს საქალაქო ცხოვრების დაწინაურებას. აღნიშნული ფუნქცია, ჩვენი აზრით, ყველაზე ფართოდ განვითარდა რევოლუციამდელ გორში.

ფრიად საინტერესოდ გვესახება საქართველოს მოსახლეობის განაწილების განხილვა საქალაქო დასახლებათა მიხედვით 1917—1921 წწ. რაც ქვეყნის ადმინისტრაციულ დაყოფასთან არის დაკავშირებული[26]. ამ პერიოდის საქართველოს ქალაქების რაოდენობისა და მისი მოსახლეობის რაოდენობრივ შემადგენლობაში მომხდარ ცვლილებას ახასიათებს ქვემოთმოტანილი ცხრილი.

---

[24] სტატისტიკური კრებული 1909—1921 წწ., გვ. 11, ცხ. 7. შდრ. В. Джаошвили, დასახ. ნაშრომი, გვ. 226. რომელიც თვლის 30 საქალაქო დასახლებას.

[25] А. Хавин, Социалистическая индустриализация национальных республик и областей, М., 1933, გვ. 95; საქართველოს პროფსაწარმოო კავშირთა I კონფერენციის დადგენილებანი, თბ., 1828, გვ. 23; შდრ. ვ. კაკაბაძე, საქართველოს მრეწველობის მდგომარეობა, მისი საჭიროებანი და პერსპექტივები, თბ., 1926, გვ. 59.

[26] საქართველოს „დემოკრატიული“ რესპუბლიკის მთავრობას 1918 წელს შეუდგენია საქართველოს ახალი ადმინისტრაციული დაყოფის პროექტი, ვარიანტებითურთ. იგი 1917 წლამდე არსებულ ადმინისტრაციულ დაყოფაზე დაფუძნებული მიზნად ისახავდა ზოგიერთი მაზრების გამსხვილებას დეპარტამენტებად, ან პირიქით. ასე მაგალითად, თბილისის მაზრას ახალი ადმინისტრაციული დაყოფით შეესატყვისებოდა თბილისის დეპარტამენტი, გორის მაზრას — შიდა ქართლის დეპარტამენტი, დუშეთისა და თიანეთისას — მთიულეთის დეპარტამენტი, თელავის მაზრას— შიდა კახეთის დეპარტამენტი, სიღნაღის მაზრას — ქიზიყის დეპარტამენტი, ბორჩალოს მაზრას — ქვემო ქართლის დეპარტამენტი (სადაო ზონის მითვლით) ახალციხის და ახალქალაქის მაზრებს — სამცხე-ჯავახეთის დეპარტამენტი (მეორე ვარიანტით სამცხის და ჯავახეთის დეპარტამენტები)

ქალაქების დასახელება	მოსახლეობა 1917 წელს		მოსახლეობა 1922 წელს	
		მათ შორის		მათ შორის
	ს უ ლ	მამაკაცი	ს უ ლ	მამაკაცი
1. აბასთუმანი	1043	4563	—	—
2. ახალქალაქი	5080	2636	2737	1457
3. ახალციხე	10210	5097	10153	4953
4. ბორჯომი	3524	1805	3913	1895
5. გორი	12867	6539	9236	4535
6. დუშეთი	1317	632	1510	732
7. თელავი	9574	4729	9176	4326
8. თბილისი	23114	112294	233958	111996
9. კოჯორი	314	178	—	—
10. მანგლისი	1385	711	—	—
11. სიღნაღი	8031	4187	4192	1985
12. სურამი	5770	2911	4127	1957
13. ცხინვალი	5033	2459	4543	2192
14. ხაშური	6116	3023	7018	3405
15. ზესტაფონი	3715	1894	4902	2334
16. ზუგდიდი	4000	2075	4525	2232
17. ლანჩხუთი	5469	2833	7377	3670
18. ოზურგეთი	5174	2551	5626	2691
19. ონი	1852	1011	2599	1355
20. ყულევი	807	421	729	365
21. სამტრედია	1536	804	6418	3165
22. სენაკი	3418	1720	4524	2252
23. ფოთი	10604	5186	11358	5647
24. ქუთაისი	42448	20547	45290	21945
25. ჭიათურა	2030	1099	3243	1788
26. ხონი	6690	3346	9347	4335
27. ჭელისციხე	—	—	5050	2543
28. ლაგოდეხი	—	—	1523	792
29. ლუქსემბურგი	—	—	4591	2410
30. თიანეთი	—	—	1381	2668
31. შულავერი	—	—	5112	2579
32. ტყიბული	—	—	1842	955
33. ცაგერი	—	—	1575	834
34. აფხაზეთი				
34. გუდაუთა	—	—	2843	1403
35. სოხუმი	14477	7787	17426	8812
36. ბათუმი	20020	12289	60810	32564[27]

დასავლეთ საქართველოში ქუთაისის და შორაპნის მაზრებს — ქვემო იმერეთის და ზემო იმერეთის დეპარტამენტები. რაჭისა და ლეჩხუმის მაზრებს — რაჭა-ლეჩხუმის დეპარტამენტი, სენაკის მაზრას — ქვემო ოდიშის დეპარტამენტი, ზუგდიდის მაზრას — ზემო ოდიშის დეპარტამენტი, ოზურგეთის მაზრას — გურიის დეპარტამენტი, სოხუმის ოლქსა და გაგრის რაიონს — აფხაზეთ-სამურზაყანოს დეპარტამენტი. ცალკე იყო გამოყოფილი ზემო სვანეთის თემი და, აგრეთვე, ჩრ. არტაანის თემი (დროებით). საქართველოს მენშევიკურმა მთავრობამ ახალი ადმინისტრაციული დაყოფა საჭიროდ მიიჩნია იმის გამო, რომ თითქოს და არსებული მინიატურული მაზრების არსებობას არ ჰქონდა გამართლება, თუმცა ახალი დაყოფის პროექტის მიხედვითაც არსებითად იგივე — მცირე ერთეულები რჩებოდნენ ორიოდე გამონაკლისის გარდა. არსებობდა სოხუმის ოლქის — სოხუმისა და ოჩამჩირის მაზრებად დაყოფის პროექტი. სოხუმის მაზრაში უნდა შესულიყო გუმისთის, გუდაუთისა და გაგრის უბნები, ხოლო ოჩამჩირის მაზრაში — სამურზაყანოს და კოდორის უბნები. სოხუმის ოლქის დანაწილება არ შეიძლებოდა მიზანშეწონილი ყოფილიყო, რადგან იგი ტერიტორიულად, მართალია აღემატებოდა სიღნაღის, გორის, ბორჩალოს და სხვ. მაზრებს, მაგრამ მთელი წებელდის და ბზიბის ხეობა თითქმის უკაცრიელი იყო, დასახლებული იყო მხოლოდ ზღვის სანაპირო ზოლი და ამიტომ მოსახლეობაც მცირე იყო, ამას გარდა ცალკეული კუთხე ამ მხრისა უფრო კარგად იყო ეკონომიურად დაკავშირებული სოხუმთან, ვიდრე ამ პატარა დაბებთან, რომელნიც ითვლებოდნენ მცირე ადმინისტრაციული ერთეულების ცენტრებად. ხსენებული პროექტი განუხორციელებელი დარჩა. საქართველოს ცსა, ფ. 1896, ს. 193, ფურც. 613.

[27] ცხრილი შედგენილია ჩვენ მიერ სრულიად საქართველოს ქალაქების მოსახლეობის 1922 წლის 30 ნოემბრის (ნაწ. 1, ნაკვ. 1, თბ., 1923, გვ. 2—7) აღწერის მიხედვით.

როგორც ჩანს, 1917 წელს საქართველოს ტერიტორიაზე (თანამედროვე საზღვრებში) აფხაზეთისა და აჭარის ჩათვლით ოფიციალური სტატისტიკის მიხედვით აღრიცხული იყო 28 საქალაქო დასახლება[28]. აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ 1918 წელს საქართველოს მენშევიკურ მთავრობას აღურიცხავს 27 ქალაქი (ბათუმის გარდა), რაც 1917 წლის ზემოდამოწმებულ საქალაქო დასახლებათა საერთო რაოდენობას ემთხვევა, მაგრამ ქალაქების დასახლება ნაწილობრივ განსხვავებულია. 1918 წელს ქალაქებს შორის უკვე აღარ იხსენიება მანგლისი, გუდაუთა და ოჩამჩირე. ამ ცნობების შემცველ საარქივო დოკუმენტებში მოტანილი ცნობები თითოეული ქალაქის მოსახლეობის რაოდენობის შესახებ, სრულიად განსხვავებულია 1917 წლის საქალაქო აღწერის მონაცემებისაგან. განსხვავება, ცხადია, მოსალოდნელი იყო, მაგრამ ერთი წლის განმავლობაში მოსახლეობის ზრდის ხსენებულ დოკუმენტებში დამოწმებული მონაცემები არ მიგვაჩნია გასაზიარებლად. ასე მაგალითად, ახალციხის მოსახლეობა 1918 წელს შეადგენდა 23400 კაცს (1917 წელს იგი უდრიდა მხოლოდ 1020 კაცს)[29]. გორის მოსახლეობა 1918 წელს უდრიდა 25700 კაცს (1917 წელს 12867-ს), სიღნაღისა — 1918 წელს 17700 კაცს (1917 წელს 8031 კაცს), სოხუმის მოსახლეობა 1918 წელს შეადგენდა 46500 კაცს (1917 წელს კი 14477 კაცს) და ა. შ.[30].

ჩვენი აზრით მხედველობაში მისაღებია ის გარემოება, რომ 1917 წლის აღწერის შედეგები მოგვიანებით იქნა დამუშავებულ-გამოქვეყნებული[31], რასაც შეიძლებოდა გავლენა მოეხდინა ზოგიერთი ფაქტის ზუსტ ფიქსირებაზე. განსახილველი პერიოდის საარქივო მასალების გაცნობამ გვიჩვენა, რომ ზოგიერთმა საქალაქო დასახლებამ, რომელიც გამოქვეყნებულ სტატისტიკურ კრებულში ქალაქადაა აღრიცხული 1917 წელს, ქალაქის სტატუსი მიიღო 1917 წლის საქალაქო აღწერის შემდეგ. ასე მაგალითად, მიხაილოვო ანუ ხაშური ქალაქად გადაკეთდა 1917 წლის ოქტომბერში, ხოლო თვითმმართველობა მიიღო 1918 წლის 1 იანვრიდან[32].

აბასთუმნის მოსახლეობას და ადგილობრივ აღმასრულებელ კომიტეტს 1917 წლის ოქტომბერში აღუძრავს შუამდგომლობა ამიერკავკასიის განსაკუთრებული კომიტეტის („ოზაკომის") წინაშე აბასთუმნის ქალაქად გარდაქმნის თაობაზე. „ოზაკომს" განუხილავს შუამდგომლობა და დაუდგენია, რომ კავკასიის საქმეთა კომისრის მეშვეობით პეტროგრადში დროებითი მთავრობის წინაშე გაეკეთებინა წარდგინება აბასთუმნისათვის ქალაქის სტატუსის მინიჭების შესახებ, ოღონდ მასში საქალაქო წესების შემოღებით შემდეგ საფუძველზე: მიწათმფლობელთ ქალაქის პირობებშიც შეუნარჩუნდებათ მფლობელობითი უფლება, რაც შეძენილი ჰქონდათ ადრე კანონიერ საფუძველზე; საერთო სარგებლობის ადგილები გადადიოდა ქალაქის საკუთრებაში. გლეხური მდგომარეობის მქონე პირნი, რომლებიც ამ ქალაქებში ცხოვრობდნენ, სარგებლობდნენ ყველა უფლებით და ვალდებულებით საქალაქო წესების თანახმად, ხოლო ისინი, ვინც არ მოისურვებდნენ ჩაეთვალათ თავიანთი თავი მო-

[28] სცსა (თბილისი), ფ. 1836, აღ. 1, ს. 193, ფურც. 667.

[29] იქვე.

[30] იქვე.

[31] იგულისხმება გ. ფერაძის წერილი Население Грузии по переписи 1917г.

[32] სცსა (თბილისი), ფ. 1947, ს. 305, ფურ. 10.

ქალაქედ, ინარჩუნებენ ყველა უფლებას ქონებაზე, რითაც ისინი ადრე სარგებლობდნენ[33]. მაგრამ როგორც ირკვევა აბასთუმნისათვის ქალაქის სტატუსი არ მიუციათ, თუმცა 1917 წლის საქალაქო აღწერას უკვე იგი ქალაქად აღურიცხავს.

ანალოგიური შუამდგომლობა აღუძრავთ 1917 წლის 8 ოქტომბერს სურამის მცხოვრებთ დაბის ქალაქად გადაკეთების თაობაზე. ამისათვის „ოზაკომს" 1917 წლის 13 ოქტომბერს თბილისის გუბერნიის კომისრისათვის მოუთხოვია დასკვნა და დროებითი მთავრობისადმი წარდგინებისათვის აუცილებელი ცნობები და სტატისტიკური მონაცემები დაბა სურამის ქალაქად გადაკეთების მიზანშეწონილობაზე. ეს მოთხოვნები 13 მუხლად იყო ჩამოყალიბებული, რომლებიც იმდროინდელი ქალაქის სტატუსის ზოგად დახასიათებას იძლევა და ამიტომ ინტერესს უთუოდ იწვევს[34].

სურამი და შულავერი გამოცხადებულა ქალაქებად 1918 წლის 29 იანვარს, რამდენიმე თვის შემდეგ საქართველოს დამფუძნებელი კრების 1918 წლის 18 ივლისის დეკრეტით ქალაქად გადაკეთდა ონი[35]. 1917 წლიდან არსებობდა ქალაქი სენაკი, ხოლო ზუგდიდში ადგილობრივი თვითმმართველობა შეიქმნა 1918 წელს, გაგრა მხოლოდ 1919 წელს შემოვიდა საქართველოს ფარგლებში და აქედან იწყება მისი, როგორც საქალაქო დასახლების არსებობა, თუმცა 1922 წლის საქალაქო აღწერას იგი ქალაქთა სათვალავში არ ჩაუთვლია.

ირკვევა, 1918—1919 წლებში ქალაქის სტატუსი მიეღია 1917 წელს საქალაქო აღწერის შემდეგ სურამს, შულავერს, ონსა და ზუგდიდს, რომელთაც 1917 წლის აღწერის მიხედვით უკვე ქალაქებად იხსენიებენ. ეს უზუსტობა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, 1917 წლის აღწერის შედეგების მოგვიანებული პუბლიკაციის მიზეზით უნდა იყოს გამოწვეული.

1917—1922 წლებში ქალაქის სტატუსი მიიღო 8 საქალაქო დასახლებამ: ტყიბულმა, ცაგერმა, თიანეთმა, შულავერმა, ლაგოდეხმა, ლუქსემბურგმა, ველისციხემ და გუდაუთმა, მაგრამ მანგლისი, აბასთუმანი და კოჯორი 1922 წლის საქალაქო აღწერით ქალაქებად აღარ იხსენიებიან. ამიტომ საქალაქო დასახლებათა რაოდენობამ 1922 წლისათვის შეადგინა 35[36]. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ საქალაქო დასახლებათა ნაწილი (ველისციხე, თიანეთი, ლაგოდეხი, ლუქსემბურგი, ტყიბული, ცაგერი), რომელთაც ქალაქის სტატუსი მიიღეს 1917—1922 წლებში, ოფიციალურად არ იწოდებოდა ქალაქებად, მაგრამ 1922 წლის საქალაქო აღწერაში შევიდა როგორც მაზრის ადმინისტრაციული ცენტრი ან ქალაქის ტიპის დასახლება.

---

[33] სცსა (თბილისი), ფ. 1947, ს. 305, ფურც. 1.

[34] იქვე, გვ. 11.

[35] სცსა, (თბილისი), ფ. 1923, აღწ. 1, ს. 1008, ფურც. 1, შდრ. ს. 305, ფურც. 44 სადაც აღნიშნულია, რომ ონი, როგორც ქალაქი არსებობს 1920 წლიდან. 1917 წლის აღწერით კი იგი უკვე ქალაქად იხსენიება, რაც არ არის სწორი. ამას ადასტურებს სხვა საარქივო მასალაც — ფ. 1836, აღ. 1, ს. 193, ფურც. 667. ფ. 1923, ს. 45, ფურც. 1, საქართველოს რესპუბლიკის ქალაქების სიაში (იგი 1918 წლის ნოემბერი — 1919 წლის მარტის პერიოდშია შედგენილი) ონი ქალაქთა შორის არ იხსენიება.

[36] ჩვენ მიერ ზემოთმოტანილი ცხრილის მიხედვით გამოდის 33 საქალაქო დასახლება, მაგრამ გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ ცხრილში არ შესულან ოჩამჩირე და გალი, რომელთა შესახები მონაცემები ოფიციალური სტატისტიკური მასალების გამოქვეყნებისას არ ყოფილა დამუშავებული ტექნიკური პირობების გამო.

ახლადწარმოქმნილ საქალაქო დასახლებათაგან 5 მოდიოდა აღმოსავლეთ საქართველოზე (ველისციხე, ლაგოდეხი, ლუქსემბურგი, შულავერი), რომელსაც ამავე დროს გამოაკლდა 3 საქალაქო დასახლება (კოჯორი, მანგლისი, აბასთუმანი) და ამრიგად, ქალაქების რიცხვი მხოლოდ 2 ერთეულით გაიზარდა, დასავლეთ საქართველოს ქალაქებს შეემატა 3 ქალაქი — ტყიბული, ცაგერი და გუდაუთა.

ეს პროცესი ცხადია, აისახა აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს ქალაქების მოსახლეობის საერთო რაოდენობრივ დინამიკაშიც. აღმოსავლეთ საქართველოს ქალაქების მოსახლეობა 1922 წელს შეადგენდა 303684 კაცს, ე. ი. 1917 წ. შედარებით შემცირებულია 2720 კაცით. დასავლეთ საქართველოს ქალაქების მოსახლეობის აბსოლუტური რაოდენობა 1922 წელს გაიზარდა 109460 კაცამდე. ანუ 12717 კაცით. ამრიგად, აღმოსავლეთ საქართველოს ქალაქების მოსახლეობა კვლავინდებურად თითქმის 3-ჯერ აღემატებოდა დასავლეთ საქართველოს ქალაქების მოსახლეობას, მიუხედავად მისი მოსახლეობის შემცირებისა. გამოდის, რომ ახლადწარმოქმნილ საქალაქო დასახლებათ მოსახლეობის მცირერიცხოვნობის გამო ვერ მოუხდენია არსებითი გავლენა დასავლეთ საქართველოს ქალაქების მოსახლეობის საერთო რაოდენობის გადიდებაზე.

მნიშვნელოვანი ცვლილებებით ხასიათდება ცალკეული ქალაქის მოსახლეობის დინამიკა. 1922 წლისათვის მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით პირველ ადგილზე იდგნენ კვლავ თბილისი და ქუთაისი, რომელთა მოსახლეობამ 1917 წელთან შედარებით თითქმის ერთნაირი რაოდენობით მოიმატა. 3-ჯერ გაიზარდა ბათუმის მოსახლეობა[37], ხოლო სოხუმის მოსახლეობამ მოიმატა 2949 კაცით, ე. ი. აღემატებოდა თბილისისა და ქუთაისის მცხოვრებთა რაოდენობრივი ზრდის მაჩვენებელს. არც თუ მნიშვნელოვნად მაგრამ მაინც გაიზარდა ფოთის მოსახლეობა. როგორც ჩანს, რევოლუციის წინა წლებში და საბჭოთა ხელისუფლების პირველ წელს განსაკუთრებით გაიზარდა შავიზღვისპირეთის ქალაქების მოსახლეობა. უნდა ვივარაუდოთ, რომ ამ ზრდაში გადამწყვეტი როლი საქართველოს გარედან მოსულ ელემენტს უნდა შეესრულებინა.

მეორე მხრივ, განხილულ პერიოდში ადგილი ჰქონდა ზოგიერთი ქალაქის მოსახლეობის შემცირებას. ასე მაგალითად, გორი 1917 წლისათვის მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით მე-5 ქალაქს წარმოადგენდა, 1922 წლისათვის კი მისი მოსახლეობა არა თუ არ გაზრდილა, არამედ 3631 კაცით შემცირებულა. შემცირებული ჩანს თელავის, ახალციხის, განსაკუთრებით კი სიღნაღის მოსახლეობა (თითქმის განახევრდა); შემდეგ ჯგუფს ქალაქებისას შეადგენდნენ ხონი, ლანჩხუთი, სამტრედია, ხაშური, ოზურგეთი, შულავერი და ველისციხე. 1917 წლისათვის ზემოდასახელებულ ქალაქთა ამ ჯგუფში აღარ მოექცნენ სურამი (სადაც მოსახლეობა შემცირდა 1643 კაცით), ახალქალაქი, რომლის მოსახლეობა თითქმის სანახევროდ შემცირდა და ცხინვალი. განსაკუთრებით დაწინაურდა სამტრედია, რომლის მოსახლეობამ 1917—1922 წლებში თითქმის

[37] უთუოდ გასათვალისწინებელია პროფ. ვ. ჯაოშვილის მიერ შემოთავაზებული ახსნა ბათუმის მოსახლეობის ზრდა-შევსებისა საბჭოთა ხელისუფლების პირველსავე წელს პირველი მსოფლიო ომის წლებში გაფანტულ-განთესილი მოსახლეობის დაბრუნების შედეგად. იხ. В. Джашвили II, დასახ. ნაშრომი, გვ. 221.

4-ჯერ მოიმატა. ამიტომაც იგი უფრო „მსხვილ“ ქალაქთა კატეგორიაში მოექცა. საქართველოს ქალაქების ამ ჯგუფს დაემატა ახალი საქალაქო დასახლებანი შულავერი და ველისციხე, გაიზარდა მოსახლეობა ლანჩხუთში, ხაშურსა და ხონში. შედარებით მცირე ქალაქთა ჯგუფიდან მოსახლეობა გაიზარდა ზუგდიდში, ზესტაფონში, ბორჯომში, სენაკსა და ჭიათურაში. ამრიგად, მკაფიოდ შეიმჩნევა მცირე ქალქების (ვგულისხმობთ ქალაქებს 5 ათასამდე მცხოვრებით) ზრდა, რომელთა რიცხვს დაემატა 1922 წლისათვის ლუქსემბურგი. სამაგიეროდ ე. წ. საშუალო ქალაქებიდან მცირე ქალაქად ჩამოქვეითდნენ ახალქალაქი, სიღნაღი და ცხინვალი. 1917 წლისათვის ქალაქების ცალკე ჯგუფად გამოვყავით საქალაქო დასახლებანი 1500-მდე მცხოვრებით. 1922 წლისათვის ამ ჯგუფის ქალაქებიდან მოსახლეობა გაიზარდა დუშეთში და ონში, შემცირდა მოსახლეობა ყულევში. ქალაქთა ამ ჯგუფს, როგორც არა ერთგზის აღვნიშნეთ გამოაკლდა აბასთუმანი, მანგლისი და კოჯორი, სამაგიეროდ ამავე ჯგუფს დაემატა ტყიბული, ლაგოდეხი, თიანეთი, გუდაუთა და ცაგერი. ამრიგად, „მცირე“ ქალაქთა ჯგუფს 1922 წლისათვის შეადგენდა შემდეგი საქალაქო დასახლებანი: დუშეთი, ონი, ყულევი, ტყიბული, ლაგოდეხი, თიანეთი, გუდაუთა და ცაგერი.

ზემოთქმული ერთი ზოგადი ტენდენციის შენიშვნის შესაძლებლობას იძლევა. საქართველოს მთავარი ქალაქების მოსახლეობა 1917—1922 წლებში ან ძლიერ უმნიშვნელოდ გაიზარდა, ანდა ბევრ შემთხვევაში შემცირდა. მოსახლეობის ზრდა-შემცირებას მნიშვნელოვანწილად ქვეყნის სოციალ-ეკონომიური მდგომარეობა განაპირობებს, მასზე დიდ გავლენას ახდენს საშინაო ფაქტორებთან ერთად საგარეო ფაქტორიც. მეწშევიკური მთავრობის ბატონობის წლებში საქართველოს ეკონომიკის კატასტროფულმა დაქვეითებამ, მრეწველობის დაცემამ, ტრანსპორტის მოშლამ, ფინანსურმა კრიზისმა გამოიწვია მოსახლეობის სხვადასხვა სოციალური ჯგუფების საზოგადოებრივ-საყოფაცხოვრებო პირობების მკვეთრი გაუარესება, რის შედეგადაც ადგილი ჰქონდა პროლეტარიატის ნაწილის დეკლასირებას, მის განთესვას, სოფლად დაბრუნებას, ან სხვა საქმიანობაში ჩაბმას. ეს ღრმა სოციალ-ეკონომიური პროცესები აისახა ქალაქების მოსახლეობის შემადგენლობის დინამიკაში, ზოგიერთი ქალაქის მოსახლეობის შემცირებაში და პირიქით, ზოგი საქალაქო დასახლების ზრდაში უფრო „დიდი“ ქალაქებიდან, ან სოფლებიდან ლტოლვილთა ხარჯზე.

1922 წლისათვის ძალაში დარჩა ცალკე ქალაქების მიხედვით მამაკაცთა ხვედრითი წილის 1917 წელს არსებული ტენდენცია. ოღონდ შემცირდა იგი ბორჯომის, გორის, სიღნაღის, სოხუმის და ყულევის მოსახლეობაში, რაც დაკავშირებული იყო ამ ქალაქების (ბორჯომის გარდა) მოსახლეობის საერთო რაოდენობრივ შემცირებასთან. აქვე დავძენთ, რომ მამრობითი სქესის მოსახლეობის შემცირება საქართველოს ქალაქების მოსახლეობაში განსახილველ პერიოდში გამოწვეული იყო არმიაში გაწვევით და რევოლუციური მოძრაობის გაფართოების გავლენით. ამასთანავე უნდა აღინიშნოს ერთი ფრიად საინტერესო ტენდენცია — ახლადწარმოქმნილ საქალაქო დასახლებათა მოსახლეობაში მამაკაცთა ხვედრითი წილი აღემატებოდა ქალთა ხვედრით წილს მოსახლეობის საერთო რაოდენობაში. ეს მოვლენა, ჩვენი აზრით, უმთავრესად შეიძლება აიხსნას იმ გარემოებით, რომ დასახლებული პუნქტის ქალაქად განვითარება დაკავშირებულია, უპირველეს ყოვლისა, მრეწველობის, ტრანსპორტის და

ვაჭრობის განვითარებასთან, რაშიაც წამყვან როლს მამაკაცის შრომა ასრულებს. ყველაზე ტიპიურ მაგალითად შეიძლება გამოდგეს ტყიბული, რომლის საქალაქო დასახლებად გარდაქმნა დაკავშირებული იყო ქვანახშირის წარმოების რამდენადმე გაფართოებასთან. ეს უკანასკნელი თავის მხრივ ემყარებოდა მამაკაცის მძიმე ფიზიკურ შრომას.

1917—1922 წლებში საქართველოს ქალაქების მოსახლეობის განაწილების ცვლილებებთან ერთად საინტერესოა თითოეული ქალაქის მოსახლეობის ასაკობრივი და ეროვნული შემადგენლობის ანალიზი, რომელიც წარმოაჩენს ქალაქის მოსახლეობის მატებაში გარედან მოსული ელემენტის როლს. მოსული უცხო ელემენტი ხომ სხვადასხვა ეროვნების, და სხვადასხვა ასაკისა იყო. მაგრამ სამწუხაროდ, ჩვენ ხელთ გვაქვს საქალაქო მოსახლეობის ასაკობრივი შემადგენლობის ამსახველი სტატისტიკური მონაცემები მხოლოდ 1922 წლისათვის, და წინა პერიოდთან შედარების შესაძლებლობას მოკლებული ვართ. ამიტომ ამ სფეროში მომხდარი ცვლილებებისათვის თვალის გადევნება შეუძლებელი ჩანს. რაც შეეხება საქართველოს ქალაქების მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობის დახასიათებას, იგი ცალკე განხილვის საგანს წარმოადგენს

ალექსანდრე მიქავა

ქუთაისის სოციალ-ეკონომიური განვითარება რეფორმისშემდგომ ხანაში

(1870—1900 წწ.)

რეფორმისშემდგომ ხანაში კაპიტალისტური ურთიერთობის განვითარებამ განაპირობა საქართველოს ქალაქების სწრაფი ზრდა, ახალი, მსხვილი სავაჭრო-სამრეწველო დაბების წარმოქმნა და მათი შემდგომი განვითარება. ერთ-ერთ წყაროში მითითებულია, რომ „კაპიტალისტური ხანის ქალაქების ძირითადი დამახასიათებელი ნიშნებია: მსხვილი მრეწველობის განვითარება, მსხვილი მასშტაბის სავაჭრო-კომერციული საქმიანობის კონცენტრაცია და ყოველივე ამის ნიადაგზე კაპიტალისტური ეპოქის ძირითადი კლასების — ბურჟუაზიისა და პროლეტარიატის — ჩამოყალიბება"[1].

აღნიშნულ პერიოდში განსაკუთრებით სწრაფად გაიზარდა საქართველო-ამიერკავკასიის ადმინისტრაციული სავაჭრო-საალებმიცემო და სამრეწველო ცენტრი ქალაქი თბილისი[2]. ამასთან ერთად მნიშვნელოვნად გაიზარდა და განვითარდა დასავლეთ საქართველოს საგუბერნიო ცენტრი ქალაქი ქუთაისი. აგრეთვე, ბათუმი, ფოთი და მთელი რიგი სამაზრო ცენტრები (ახალციხე, გორი, თელავი, ოზურგეთი, ზუგდიდი და სხვ.).

ქუთაისის ზრდა-განვითარება განაპირობა სადგურ რიონიდან 1877 წელს რკინიგზის ხაზის გაყვანამ, რომლითაც იგი ერთი მხრივ დაუკავშირდა ქალაქ თბილისს, ხოლო მეორე მხრივ შავი ზღვის ქალაქ-ნავსადგურს ფოთს, აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს რკინიგზის ხაზის მიდამოებში მდებარე სავაჭრო დაბებსა და სოფლებს. უფრო გვიან (1883 წ.) ქუთაისი სადგურ რიონიდან რკინიგზით დაუკავშირდა შავი ზღვისპირა ქალაქ-ნაესადგურს ბათუმს. მის ეკონომიურ განვითარებას ხელს უწყობდა გეოგრაფიული მდებარეობა. როგორც ცნობილია, ის მდებარეობდა დასავლეთ საქართველოს მთისა და ბარის მთელი რიგი რაიონებიდან მომავალ სავაჭრო გზაჯვარედინზე.

როგორც ქვემოთ დავინახავთ, რეფორმამდელ, ისე რეფორმისშემდგომ ხანაში ქუთაისის ეკონომიკაში ერთ-ერთი პირველი ადგილი კვლავ ხელოსნურ წარმოებას ეკავა. მაგალითად, 1862—1863 წლებში ქალაქის ტერიტორიაზე 78 წვრილი სახელოსნო საწარმო ითვლებოდა. მათ შორის ცნობილი იყო ოქრომჭედელთა, სადურგლო, სამღებრო, მესაათეთა, მეკასრეთა, ფეხსაცმელების. სამკერვალო, სასოფლო-სამეურნეო ინვენტარის დამამზადებელ-შემკეთებელი და მთელი რიგი სხვადასხვა დარგობრივი სახელოსნოები. თითოეულ სახელოს-

---

[1] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. V, თბ., 1970, გვ. 426.

[2] საქართველოს ისტორია, ტ. II, ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი ს რედაქციით, თბ., 1962, გვ. 60.

ნონში მუშაობდა 4—5 და 7 ოსტატი, 2—3 ქარგალი და 1—2 შეგირდი. ამ დროს ყველა სახელოსნოში 163 ხელოსან-ოსტატი, 248 მუშა და 149 შეგირდი მუშაობდა[3].

1885—1886 წლებში ქუთაისში და მის განაპირა უბნებში გამართული იყო 277 სახელოსნო. მათი უმრავლესობა წვრილ-წვრილი საწარმოები იყო, როგორც ერთ ცნობაშია აღნიშნული, იქ მუშაობდა 982 ოსტატი, 493 ქარგალი, 541 შეგირდი[4]. იქაური ხელოსნები დიდი რაოდენობით ამზადებდნენ სასოფლო-სამეურნეო ინვენტარს, უნაგირებს, ქუდებს, ყუთებს, საათის ძეწკვებს, საყურეებს, სამაჯურებს და სხვ. დამზადებული საგნების რეალიზაცია ადგილობრივი ბაზრის გარდა, წარმოებდა ხონის, ლაილაშის, ჩხარის, ნაგომარის, სუჯუნის და სხვა ბაზრებში.

1886 წლისათვის ქუთაისში სწრაფი ტემპით გაიზარდა წვრილი სახელოსნოების რაოდენობა. ეს გამოიწვია სასოფლო ადგილებში მცხოვრებ ხელოსანთა მუდმივ საცხოვრებლად გადმოსვლამ ქუთაისში, იმავე წელს იქ 293 სახელოსნო არსებობდა. მათ შორის 122 სახელოსნოში თითო-თითო მუშა მუშაობდა, 82-ში — ორ-ორი, 76-ში — სამ-სამი, 8 სახელოსნოში ოთხ-ოთხი მუშა ირიცხებოდა, ხოლო 3 სახელოსნო 5—8 მუშიანი იყო[5]. ყველაზე მრავალრიცხოვანი იყო მეტყავეების, მეპურეების, მჭედლების, ზეინკლების, დალაქების, მლესავების, ხარაზების და მეწაღლეების, აბრეშუმისა და ბამბის ქსოვილის, დილიჟნებისა და ეტლების დამამზადებელი სახელოსნოები. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ქუთაისში დამზადებული დილიჟნები და ეტლები ფართოდ იყო ცნობილი მთელ საქართველოში.

როგორც რეფორმამდელ პერიოდში, ისე 1866—1872 წლებში ქუთაისში არსებობდა გიშრის კრიალოსნების, სამაჯურების, ყელსაბამების, მძივებისა და სხვა საგნების დამამზადებელი სახელოსნოები. აღნიშნულ ნაკეთობებს ასაღებდნენ უმთავრესად ქუთაისის ბაზარზე და „იარმარკაზე". ამასთანავე ხსენებული საგნები გაჰქონდათ სარეალიზაციოდ დასავლეთ საქართველოს ქალაქებსა და სავაჭრო-ეკონომიურ დაბებში (ფოთი, სამტრედია, ხონი, ოზურგეთი, ახალსენაკი, ზუგდიდი, ჩხარი, კულაში და სხვ.)[6].

70-იანი წლების დამდეგიდან ქუთაისში წვრილი ხელოსნური საწარმოების გვერდით ჩნდებიან მეტ-ნაკლები წარმადობის სამრეწველო საწარმოები. პირველი ასეთი საწარმო იყო თამბაქოს ფაბრიკა, რომელიც 1873 წელს გადაეცა საექსპლუატაციოდ. ეს იყო პირველი კაპიტალისტური საწარმო ქუთაისში. ფაბრიკაში პირველ წლებში ყოველდღიურად მუშაობდა 16—18 მუშა. 1885 წლამდე აღნიშნული ფაბრიკა ყოველწლიურად დაახლოებით უშვებდა 40 000—41 000 მანეთის ღირებულების თამბაქოს მზა პროდუქციას. ამ საწარმოში 1885 წლიდან მნიშვნელოვნად გაფართოვდა თამბაქოს წარმოების მასშტაბი, გაიზარდა მოთხოვნილება მის ნაწარმზე, ამაღლდა წარმოების პროცესის ტექნიკური დონე. მაგალითად, 1888 წელს ფაბრიკაში დაიდგა თამბაქოს საჭრელი 7 დაზგა. მუშათა რაოდენობა 40-მდე გაიზარდა. 1890 წლიდან ფაბრიკა გადა-

[3] П. Гугушвили, Развитие промышленности в Грузии и Закавказье XIX—XX вв., т. I, 1957, გვ. 188.

[4] Кутаиси по однодневной переписи, 10 апреля, 1887, გვ. 27—29.

[5] ე. ხოშტარია, მრეწველობის განვითარება და მუშათა კლასის ჩამოყალიბება XIX საუკუნის საქართველოში, თბ., 1966, გვ. 87.

[6] გაზ. „დროება", 1872, № 16.

სამუშავებლად თამბაქოს ღებულობდა აფხაზეთისა და კახეთის რაიონებიდან, აგრეთვე, ნოვოროსიისკის მაზრიდან, როგორც არქივში დაცული ცნობიდან ჩანს, 1892—1893 წლებში სამსუნიდან და ტრაპეზუნტიდან ქარხანას გადასამუშავებლად მიუღია 5 329 ფუთი თამბაქო. ამ ნედლეულიდან იმავე წლებში ფაბრიკას გამოუშვია 43 290 მანეთის ღირებულების თამბაქოს მზა პროდუქცია[7].

ფართო საზოგადოების ყურადღებას იპყრობდა სტეფანე ფირალოვის მიერ 1874 წელს ქუთაისში დაარსებული თამბაქოს მეორე ფაბრიკა, იგი თავისი მოცულობით ყველაზე დიდი საწარმო იყო დასავლეთ საქართველოში, 1885 წელს აღნიშნულ საწარმოს გამოუშვია 3 000 ფუთი დაჭრილი თამბაქო, 50 000 000 ცალი პაპიროსი და 871 000 ცალი სიგარა. იმავე წელს სულ გამოუშვეს 80 000 მანეთის ღირებულების პროდუქცია. ფაბრიკის მიერ გამოშვებული ნაწარმი სარეალიზაციოდ იგზავნებოდა საქართველოსა და ამიერკავკასიის რაიონებში, აგრეთვე, რუსეთისა და უცხოეთის ეკონომიურ ცენტრებში[8].

1873—1874 წლებში ვაჭარმა იაკობ პალაშკოვმა მცირე წარმადობის თამბაქოს ფაბრიკა მოაწყო ქუთაისში. თავდაპირველად საწარმოში ხელით შრომა იყო გაბატონებული, ხოლო 1884 წლიდან ამ საწარმოში თამბაქოს საჭრელი 5 დაზგა დადგეს. ფაბრიკა წლიურად ამუშავებდა 900—950 ფუთ თამბაქოს ნედლეულს, რომელიც ჩამოჰქონდათ აფხაზეთიდან, გურია-სამეგრელოდან და ნაწილობრივ ქვემო ქართლის რაიონებიდან.

ქუთაისის საგუბერნიო ცენტრად გამოცხადების შემდეგ საგრძნობლად დაჩქარდა ქალაქის განაშენიანება. ეს პროცესი სწრაფად მიმდინარეობდა რეფორმისშემდგომ ხანაში. ყოველწლიურად შენდებოდა ათეულობით სახელმწიფო დაწესებულება და კერძო ბინები. შენობათა ასაგებად ხმარობდნენ აგურს, სახურავად კი კრამიტს, მაგრამ აღნიშნული სამშენებლო მასალების შემოზიდვა ძვირი ჯდებოდა, ამიტომ ადგილობრივმა მმართველობამ და კერძო მეწარმეებმა მიიღეს სათანადო ზომები ქუთაისსა და მის განაპირა უბნებში აეშენებინათ აგურ-კრამიტის საწარმოები. 1875—1876 წლებში საექსპლუატაციოდ გადაეცა 4 ასეთი საწარმო, 1880—1884 წლებში კი — 3 საწარმო. 1886—1887 წლებში ქალაქის ტერიტორიაზე სულ არსებობდა აგურ-კრამიტის შედარებით მსხვილი 17 საწარმო[9].

1896 წელს კაპიტალისტმა ი. ანჯაფარიძემ ქუთაისში გახსნა აბრეშუმის საქსოვი ფაბრიკა, ეს იყო შედარებით დიდი კაპიტალისტური ტიპის საწარმო მთელ დასავლეთ საქართველოში. ფაბრიკაში პირველ ხანებში გამართული იყო 4 დაზგა, ხოლო მომდევნო წლებში მათი რაოდენობა გაიზარდა 10-მდე. თითოეულ დაზგაზე მიმაგრებული იყო 3—4 მუშა. აბრეშუმის ნედლი პარკით ფაბრიკას ამარაგებდა გურია-სამეგრელოს და იმერეთის რაიონები, ფაბრიკაში გადასამუშავებლად აბრეშუმის ძაფი ჩამოჰქონდათ ქართლ-კახეთის რაიონებიდანაც: ქარხნის მიერ დამზადებული ქსოვილების რეალიზაცია წარმოებდა საქართველოს მთელ რიგ ეკონომიურ ცენტრებში (ახალციხე, გორი, ბათუმი, ფოთი, ახალსენაკი და სხვ.)[10].

---

[7] ლენინგრადის საისტ. ცენტ. არქივი, ფ. 200, საქ. 100, ფურც. 38.

[8] იქვე, ფურც. 39.

[9] Обзор Кутаисской губернии 1887 год., Ведомость, № 2.

[10] „ივერია", 1897, № 9.

აღნიშნული ქარხნის გასაფართოებლად 1897 წლის დამდეგს ქალაქის თვითმმართველობამ გადასდო 600 მანეთი. ქარხანაში დამატებით დაიდგა 2 საქსოვი დაზგა. ქარხნის გაფართოებამ დღის წესრიგში დააყენა მეაბრეშუმეობის გავრცელება იმერეთსა და მთელ დასავლეთ საქართველოში, რომ საწარმო სისტემატურად უზრუნველეყოთ ნედლეულით[11].

XIX ს-ის 80-იან წლებში დიდად გაითქვა სახელი გ. ბოლქვაძის მიერ დაარსებულმა სასმელების ქარხანამ. ყოველწლიურად ქარხანა ათასობით ლიტრ არაყს, კონიაკს და ლიქიორს ამზადებდა. სასმელები სარეალიზაციოდ იგზავნებოდა საქართველოსა და ამიერკავკასიის მთავარ ეკონომიურ ცენტრებში (თბილისი, ბაქო, ელიზავეტპოლი, ზაქათალა, ბათუმი, ერევანი და სხვ.) ამასთან ქარხნის მიერ გამოშვებული პროდუქცია გაჰქონდათ რუსეთსა და უცხოეთში. როგორც აღნიშნულია პერიოდულ გამოცემებში ქუთაისურმა სასმელებმა დიდი მოწონება დაიმსახურა საფრანგეთში, ამიტომ ხსენებული ქარხნის ხელმძღვანელი მ. ბოლქვაძე აირჩიეს საფრანგეთის სამეწარმეო აკადემიის წევრად[12].

ზემოთ ნაჩვენებ საწარმოებთან ერთად რეფორმისშემდგომ ხანაში ქუთაისში მოქმედებდა ბამბის საწმენდი ორი ქარხანა. აღნიშნული ქარხნები ნედლი ბამბით მარაგდებოდნენ აღმოსავლეთ საქართველოდან და აზერბაიჯანიდან. ორივე ქარხანას ჰქონდა ბამბის საწმენდი 10 დაზგა. გაწმენდილი ბამბა სარეალიზაციოდ იგზავნებოდა რუსეთისა და უცხოეთის ეკონომიურ ცენტრებში[13].

1900 წლისათვის ქუთაისში გამართული იყო საპნის ერთი საწარმო, სადაც მუშაობდა 5 მუშა და იძლეოდა 22 ათასი მანეთის წლიურ პროდუქციას, ცვილის და სანთლის ერთი საწარმო 3 მუშით იძლეოდა 24 ათასი მანეთის პროდუქციას[14]. ამ საწარმოების მიერ გამოშვებული პროდუქციის რეალიზაცია წარმოებდა ადგილობრივ ბაზარზე.

როგორც აღვნიშნეთ, ქუთაისში ვაჭრობის განვითარებას ხელს უწყობდა სავაჭრო გზები, სხვადასხვა მიმართულებით: აღმოსავლეთით — სურამის ქედზე გადავლით — სურამი, გორი და თბილისი: დასავლეთით — სამტრედია, ბათუმი, ზუგდიდი, სოხუმი; სამხრეთით — ზეკარის გადასასვლელით — ახალციხე და ჩრდილოეთით — რაჭა-ლეჩხუმისა და სვანეთის მიმართულებით. ამასთან ერთად ქუთაისი მრავალი შარაგზით მჭიდროდ იყო დაკავშირებული დასავლეთ საქართველოს დაბებსა და სოფლებს.

შინა ვაჭრობის განვითარების საქმეში დიდ როლს ასრულებდა ქუთაისის ბაზარი. მისი მნიშვნელობის შესახებ ჯერ კიდევ 1860 წელს გაზეთ „კავკაზის" კორესპონდენტი წერდა: „ქუთაისის ბაზარი სავსეა ხალხით, რომელიც ახლომახლო სოფლებიდან მოტანილი სხვადასხვა ადგილობრივი პროდუქტით აწარმოებს ვაჭრობას"[15].

XIX ს-ის 60-იანი წლების დამდეგს ქუთაისში, ქალაქის ცენტრალურ მოედანზე დიდი ბაზარი იყო გამართული. ქალაქის ცენტრში დიდი ყაფანი იდგა.

---

[11] „ივერია", 1897, № 9.

[12] იქვე, 1890, № 273.

[13] პ. გ უ გ უ შ ვ ი ლ ი, საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიური განვითარება XIX—XX სს., თბ., ტ. 4, გვ. 406.

[14] ე. ხ ო შ ტ ა რ ი ა, დასახ. ნაშრომი, გვ. 125.

[15] გაზ. „კავკაზი", 1860, № 45.

აქ წონიდნენ და იყიდებოდა იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმის და გურია-სამეგრელოს სოფლებიდან ჩამოტანილი სურსათ-სანოვაგე. ბაზრიდან მდინარე რიონისკენ მიმავალი გზის ორივე ნაპირზე შინამრეწველებს სავაჭრო წერტები და ფარდულები ჰქონდათ გამართული, რომლებშიც მრავალნაირი ხელოსნური ნაწარმი იყიდებოდა. როგორც ბაზარში, ისე სავაჭრო წერტებსა და ფარდულებში იყიდებოდა ღვინო, არაყი, მწვანილი, ხორცეული, ქსოვილები, ხელით ნაქარგი შალეული, ხორბალი, სიმინდი, ახალციხიდან შემოტანილი ოქროვერცხლის ნაკეთობანი, სასოფლო-სამეურნეო ინვენტარი, სურები, დოქები, კეცები და მთელი რიგი სხვა საგნები. ბაზრისა და რიონისაკენ მიმავალი ქუჩის ორივე მხარეზე მდებარე სავაჭროების ყოველდღიური ბრუნვა საშუალოდ შეადგენდა 10 000 მანეთს[16].

უნდა აღინიშნოს, რომ 1867—1870 წლებში ქუთაისში აიგო ფართლეულის 20-ზე მეტი, აგრეთვე, მზატანსაცმლისა და ფეხსაცმლის მრავალი მაღაზია, აშენდა კერძო მობინადრეთა ათეულობით საცხოვრებელი სახლი, შეკეთდა შიდა საქალაქო და საგარეუბნო გზები, მდინარე რიონზე აიგო ჯაჭვის ხიდი, ბალახვნის ქუჩაზე გაიმართა დიდი მოედანი, სადაც მოეწყო ბაზრობა. მოედნის ტერიტორიაზე აიგო ფართლეულის, საბაკალეიო საქონლის და ფეხსაცმლის მაღაზიები, ფარდულები და სავაჭრო წერტები; ხარაზების, მეჩექმეების, მექამრეების, მეუნაგირეების, მესაათეების, მეავეჯეების და სხვათა სახელოსნოები. ბაზარზე შემოტანილი და ადგილობრივად დამზადებული საქონლის შესაძენად მოდიოდნენ დასავლეთ საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან. ხსენებული ბაზრის წლიური სავაჭრო ბრუნვა უდრიდა 2 587 000 მანეთს, რომელიც მთელი ქალაქის წლიური ბრუნვის დაახლოებით 40—42 პროცენტს შეადგენდა. ამ ბაზრის ცენტრალურ ადგილზე მოთავსებული იყო, აგრეთვე, ფართო მოხმარების საგნების რამდენიმე დიდი სავაჭრო შენობა, არსებული სავაჭროებიდან, როგორც ტიპიური მაგალითი, შეიძლება დავასახელოთ პეტრე ოცხელის ფართლეულისა და თამბაქოს სავაჭროები. მას მოსკოვიდან, ვარშავიდან ჩამოჰქონდა შალისა და აბრეშუმის ქსოვილები. ჩითი, მიტკალი, ნარმა და სხვა საქონელი, ხოლო დამუშავებული თამბაქო შემოჰქონდა ტრაპეზუნიდან და სამსუნიდან[17].

XIX ს-ის 70-იანი წლების შუახანებში ქუთაისში, ვორონცოვის ქუჩიდან ბულვარის ქუჩამდე აგებულ იქნა ქვითკირის მრავალი სავაჭრო. აქვე იყო რუსეთიდან და საქართველო-ამიერკავკასიის ეკონომიური ცენტრებიდან ჩამოტანილი საქონლის შესანიშნავი საწყობები, აღნიშნული სავაჭროების მეპატრონეები იყვნენ პირველი გილდის ვაჭრები: ი. ნიკოლაძე, მ. კემულარია, ი. ფეიქრიშვილი, ა. ბეთანელი, ი. მღებროვი, ნ. მეფისაშვილი, შ. ფირალოვი და სხვები. ისინი ფართლეულით, მზატანსაცმლით, აბრეშუმისა და ბამბის ქსოვილებით ამარაგებდნენ ხონის, ლაილაშის, ონის, ხრესილის, ჩხარის, იმერეთისა და რაჭა-ლეჩხუმის სხვა სავაჭრო პუნქტებს[18]. „ქუთაისის ვაჭრობა, — წერს

---

[16] ი. არჯევანიძე, ზოგიერთი შესანიშნავი ადგილი ქუთაისსა და მის მიდამოებში, თბ., 1959, გვ. 28.

[17] გ. ოცხელის მოგონებები, აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის, ბურჟუაზიული ხანის მატერიალური კულტურის განყოფილების საბუთების ფონდის ხელნაწერი, ფურც. 11—12.

[18] იქვე, ფურც. 57—59.

ს. ბოცვაძე, — მთლიანად კერძო ვაჭრების ხელში იყო მოქცეული, ქალაქში იყო რამდენიმე ბითუმად მოვაჭრე, რომელთაც კავშირი ჰქონდათ რუსეთის ფაბრიკა-ქარხნებთან. მათ იქიდან მოჰქონდათ საქონელი და ყიდდნენ ადგილობრივ ვაჭრებზე. წლიური საბრუნავი თანხის სიდიდის გამო მათი მოგება საგრძნობლად დიდი იყო, მალე სხვა ვაჭრებიც შეუდგნენ რუსეთის ქალაქებში მგზავრობას და იქიდან საქონლის მოზიდვას"[19]. ამის ნათელსაყოფად როგორც ტიპიური მაგალითი, შეიძლება დავასახელოთ პირველი გილდის ვაჭარი ი. ნიკოლაძე. 70—80-იან წლებში ი. ნიკოლაძეს ნიჟეგოროდიდან ყოველწლიურად ჩამოჰქონდა დიდძალი ფართლეული, შალისა და აბრეშუმის ქსოვილები, ფეხსაცმელი და საბაკალეიო საქონელი და გაშლილ ვაჭრობას ეწეოდა ქუთაისში. უცხოეთიდან და რუსეთიდან ჩამოტანილი საქონლის სარეალიზაციო წერტები ი. ნიკოლაძეს გახსნილი ჰქონდა ჩხარში, ხრესილში, ლაილაშში, ხონსა და ბაღდადში[20]. პირველი გილდის ვაჭარს ს. ოცხელს მოსკოვიდან მოდიოდა ფართო მოხმარებისა და პირველი მოთხოვნილების საგნების დიდძალი რაოდენობა. მას აღნიშნული საქონლის დიდი რაოდენობა ნისიად ჩამოჰქონდა უცხოეთიდან და რუსეთის ეკონომიური ცენტრებიდან[21]. ეს ფაქტი იმაზე მიუთითებს, რომ ს. ოცხელი დიდი ნდობით სარგებლობდა როგორც უცხოეთში, ისე რუსეთში.

1885 წელს ქუთაისში იყო საგალანტერიო მაღაზია — 10, ფართლეულისა — 50, მზა ტანსაცმლისა — 15, ფეხსაცმლისა — 25, სასურსათო — 12, თამბაქოს — 10, საღებავების — 10, სანთლების — 8, ფქვილის, ხორბლის და სხვა პროდუქტების — 14. ღვინისა და არაყის — 15 წერტი, ღვინის სარდაფი — 15, ლუდხანა — 8, საჩაიე — 10. ბოსტნეულის — 12 დუქანი, რძის ნაწარმის 15 წერტი და სხვ.

ქალაქ ქუთაისის ცენტრში 1889 წელს გ. ოცხელმა გახსნა ფართლეულის მაღაზია, რომელსაც საქონლით ამარაგებდნენ საფრანგეთის, ჰოლანდიისა და რუსეთის ფირმები. იმავე წელს მაღაზიის წლიური ბრუნვა შეადგენდა 5000 მანეთს, ხოლო 1890 წელს საქონლის ბრუნვამ მიაღწია 18 000 მანეთს. ასევე, პირველი გილდის ვაჭარს გრიგოლ ოცხელს სავაჭრო ურთიერთობა ჰქონდა დამყარებული ბერლინისა და ლონდონის სავაჭრო წრეებთან, საიდანაც მას სარეალიზაციოდ ეგზავნებოდა დიდძალი ფართლეული, აბრეშუმის ქსოვილი, მზა ტანსაცმელი, ფეხსაცმელი და სხვა საქონელი[22].

როგორც წინათ, ისე XIX ს-ის 80—90-იან წლებში, ქუთაისში ებრაელები ჩაბმული იყვნენ ვაჭრობაში. მათ მაღაზიები ჰქონდათ სასამართლოს ქუჩაზე. ამასთან ერთად ებრაელთა გარკვეული ნაწილი დატარებით ვაჭრობდა იმერეთის, გურია-სამეგრელოს და რაჭა-ლეჩხუმის დაბებსა და „იარმარკებში"[23]. კრედიტი ჰქონდათ გახსნილი ვარშავაში, მოსკოვში, ნიჟეგოროდში, ოდესაში და

---

[19] ს. ბ ო ც ვ ა ძ ე, ნ. ნ ი კ ო ლ ე ი შ ვ ი ლ ი, პ. ვ ა ჭ რ ი ძ ე, ქუთაისი (გზამკვლევი), 1960, გვ. 32.

[20] გ. ო ც ხ ე ლ ი ს მოგონებები, ფურც. 59.

[21] იქვე, ფურც. 38.

[22] იქვე. ფურც. 112.

[23] იქვე, ფურც. 119.

სხვა ქალაქებში, საიდანაც ბითუმად ჩამოჰქონდათ სამრეწველო და პირველი მოხმარების საგნები.

1895 წელს ქუთაისში 210 სავაჭრო დუქანი, ფარდული და წერტი იყო, 497 ვაჭარი და 252 შეგირდი. ქალაქის მთელი ვაჭრების 30 პროცენტი ებრაელი იყო, 28 პროცენტი ქართველი, 17 პროცენტი სომეხი, 13 პროცენტი რუსი, დანარჩენები ბერძნები და სხვა ეროვნების ვაჭრები იყვნენ. სოციალური შემადგენლობით დაახლოებით 62—65 პროცენტი თავადაზნაურთა წრიდან იყვნენ გამოსული. ვაჭრობის განვითარებას თან სდევდა კაპიტალისტური ურთიერთობისათვის დამახასიათებელი ყველა უარყოფითი ნიშანი ე. ი. მოტყუება, გაიძვერობა და სხვ. დიდი ქართველი საზოგადო მოღვაწე ნიკო ნიკოლაძე აღნიშნავდა, რომ „სინდისიანი წარმატებული ვაჭრობა, ბაზრის მოძებნა, უცხოეთში გადაზიდვა, უმდაბლესი ხარისხი ვაჭრობისა გახლავს ის, როდესაც მზამზარეული საქონელი შემოაქვს ვაჭარს უცხოეთიდან, და მხოლოდ დროს მკვიდრი საფუძველი მიეცეს ჩვენს გამზიდავ ვაჭრობას; საჭიროა რიგიანი კავშირი მწარმოებელთა შორის და ხეირიანი კრედიტის შოვნა გამზიდველთათვის“[24].

1900 წლის დამდეგისათვის ქუთაისში სავაჭრო ქსელთან ერთად გაიზარდა ვაჭართა რაოდენობა. მნიშვნელოვნად იმატა სავაჭრო ბრუნვამ. ყველაზე მდიდარი ვაჭრები იყვნენ ზ. ბუტილოვი, ა. კოსტავა, თ. ფირანიშვილი, ს. წერეთელი, გ. გორდაძე, ა. თაბაგარი, ს. კირაკოზოვი, ნ. არაბევი, გ. კაჭკაჭოვი და სხვები[25]. თითოეულ მათგანს გამართული ჰქონდა ფართლეულის 2—3, შეკერილი ტანსაცმლის 1—2, საბაკალეიო და სასოფლო-სამეურნეო ინვენტარის მაღაზიები. აღნიშნული სავაჭროების განყოფილებები არსებობდნენ ჩხარში, ხონში, ონში, ლაილაშში და სხვა სავაჭრო-ეკონომიურ დაბებში.

XIX ს-ის 90-იან წლებში კაპიტალურად შეკეთდა ქუთაისიდან რაჭა-ლეჩხუმში, ქვემო სვანეთში, ბაღდადში, ხონსა და სამტრედიაში მიმავალი გზები, ქუთაისი ახალი გზებით დაუკავშირდა ჩხარს, თერჯოლას, ხრესილს და იმერეთის მთელ რიგ სავაჭრო დაბებსა და სოფლებს. ამ გარემოებამ ხელი შეუწყო ქუთაისის საშინაო ვაჭრობის მნიშვნელოვან ზრდა-განვითარებას.

XIX ს-ის 70-იანი წლების დამდეგიდან გაცხოველებული სავაჭრო ურთიერთობა დამყარდა ქუთაისსა და ახალციხეს შორის. ამ დროს უკვე ახალციხე და მისი მიდამოები ადმინისტრაციულად შემოდიოდა ქუთაისის გუბერნიის შემადგენლობაში. ახალციხიდან ქუთაისში ჩამოჰქონდათ არომატული ვაშლი და მსხალი, რომელიც მთელ საქართველოსა და ამიერკავკასიაში ცნობილი იყო „ახალციხურის“ სახელით. ამასთან ერთად საექსპორტო იყო იქაური არომატული თაფლი, თუთის ნაწარმი — ბაქმაზი. ტყლაპი, ჩურჩხელა, კარტოფილი, ხახვი, კომბოსტო და სხვა პროდუქტები[26]. აღნიშნული პროდუქტები სარეალიზაციოდ დიდი რაოდენობით შემოდიოდა ქუთაისის ბაზარში.

როგორც ერთი ოფიციალური ცნობიდან ჩანს, ახალციხიდან ქუთაისში შემოდიოდა, აგრეთვე, პური, ქერი, ყველი, ერბო და სოფლის მეურნეობის სხვა ნაწარმი. „დროების“ კორესპონდენტი წერდა: „ყოველ წელიწადს, როდესაც

---

[24] გაზ. „დროება“, 1894, № 12.

[25] გაზ. „იმერეთი“, 1912, № 15, 51.

[26] დ. კ ო ტ ო რ ი ძ ე, ახალციხის სოციალურ-ეკონომიური მდგომარეობა XIX ს-ის 70-იან წლებში, „მაცნე“, 1967, № 4, გვ. 152.

ახალციხის უეზდში მოსავალია ხოლმე, ეს მოსავალი დიდ საშუალებას აძლევს ჩვენ ქუთაისს, რადგანაც ახალციხიდან ქუთაისს მოაქვთ გასაყიდად პური, ქერი, კარტოფილი, ლახანა, კომბოსტო, ყველი, ერბო და სხვადასხვა ხილი. წინაალმდეგ ამისა, როცა ახალციხის უეზდში კარგი მოსავალი არ იქნება, მოსავალი დიდ საშუალებას აძლევს ჩვენ ქუთაისს, რადგანაც მაშინ ძალიან სიძვირე ჩამოვარდება ქუთაისში ხორაგისა"[27], მაშინ ქუთაისს ახალციხესთან აკავშირებდა პირდაპირი სავაჭრო გზა. რომელიც ბაღდადზე გავლით ზეკარის უღელტეხილით გადადიოდა სამხრეთ საქართველოში. ეს გზა ერთ-ერთი უმოკლესი გზა იყო იმერეთსა და მესხეთ-ჯავახეთს შორის.

ქუთაისში ქართლ-კახეთიდან შემოჰქონდათ ხორბალი, პურის ფქვილი, ღვინო, ხილი, ნიგოზი, ხოლო თბილისიდან სამრეწველო საქონელი, ელიზავეტოპოლიდან, ბაქოსა და ერევნის გუბერნიებიდან ფერადი ხალიჩები, ბამბისა და მატყლის ქსოვილები. ქუთაისში ადგილობრივ ქართველებსა და ებრაელებთან ერთად ახალციხელი და ერევნელი სომეხი ვაჭრებიც იყვნენ.

ფეოდოსიის, ქერჩისა და ოდესის ვაჭრებს ქუთაისში გახსნილი ჰქონდათ ქარვასლა საკუთარი სავაჭროებით. აქ რუს ვაჭრებს სისტემატურად ჩამოჰქონდათ ფართლეული, ტანსაცმელი, ფეხსაცმელი, საბაკალეიო საქონელი და სხვა საგნები. აღნიშნული საქონლის დიდი ნაწილის რეალიზაცია წარმოებდა ქუთაისში, ხოლო დანარჩენი გასაყიდად იგზავნებოდა იმერეთის სავაჭრო დაბებში.

ჯერ კიდევ საშუალო საუკუნეებში და გვიანფეოდალურ ხანაში საქართველო-ამიერკავკასიის უმთავრეს ქალაქებთან ერთად ქუთაისი ცნობილი იყო საგარეო ვაჭრობით. მას მჭიდრო სავაჭრო ურთიერთობა ჰქონდა დამყარებული კონსტანტინოპოლთან, იტალიისა და ევროპის სხვადასხვა ქალაქებთან[28].

რეფორმისშემდგომ ხანაში მნიშვნელოვნად გაიზარდა ქუთაისის საგარეო ვაჭრობის სფერო. 80—90-იან წლებში ქუთაისიდან საზღვარგარეთ დიდი რაოდენობით გადიოდა სიმინდი, ღვინო, არაყი, ხე-ტყე, აგურ-კრამიტი, ფერადი ხალიჩები და სხვა საგნები. გუბერნატორის ცნობით, ქუთაისის გუბერნიიდან უცხოეთში ყოველწლიურად გაჰქონდათ 6 მილიონზე მეტი ფუთი სიმინდი, რომელიც „მთელი რუსეთის იმპერიის სიმინდის ექსპორტის ერთმეოთხედს შეადგენდა"[29]. 1884—1886 წლებში რკინიგზით ქუთაისიდან 2 მილიონზე მეტი ფუთი სიმინდი გაიგზავნა ფოთისა და ბათუმის ნავსადგურებში, რომელიც შავი ზღვით გაიტანეს საფრანგეთში, ინგლისში, იტალიაში, გერმანიაში, თურქეთსა და ესპანეთში[30].

დასავლეთ საქართველოს ღვინოების ძირითადი ბაზარი იყო ქუთაისი, აქ ღვინო ჩამოჰქონდათ რაჭა-ლეჩხუმიდან, ჩხარიდან, ზესტაფონიდან, ბაღდადიდან, ვანიდან და იმერეთის რიგი პროვინციებიდან. აღნიშნული პუნქტებიდან ყოველწლიურად ნახევარ მილიონზე მეტი ფუთი ღვინო შემოდიოდა ქუთაისში, რომელიც შემდეგ სარეალიზაციოდ იგზავნებოდა ოდესაში, ნიჟეგოროდ-

---

[27] „დროება", 1872, № 21.

[28] ამ საკითხზე ვრცლად იხილეთ ჩ ა კ ვ ე ტ ა ძ ი ს ნაშრომი — ქუთაისის ისტორიიდან, თბ., 1960, გვ. 246—263.

[29] პ. გ უ გ უ შ ვ ი ლ ი, მარცვლეულის მეურნეობა საქართველოსა და ამიერკავკასიაში, თბ., 1954, გვ. 63.

[30] მ. ჩ ა გ ე ლ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს მეღვინეობის განვითარების მოკლე ეკონომიური მიმოხილვა, თბ., 1960, გვ. 18—19.

ში, მოსკოვში, დონის როსტოვში და რუსეთის მთელ რიგ ქალაქებში. ამასთან ერთად ქუთაისიდან ღვინოები იგზავნებოდა უცხოეთის ბაზრებში, მათ შორის ლაიპციგში, ვარშავაში და სხვ.[31].

XIX ს-ის 90-იანი წლების დამდეგიდან რუს, ბერძენ, ებრაელ და სომეხ ვაჭრებს ქუთაისიდან უცხოეთის ქალაქებსა და სავაჭრო-ეკონომიურ ცენტრებში ყოველწლიურად ასობით ფუთი ტყავეული, ბეწვეული, თამბაქო და სხვა საგნები გაჰქონდათ. ასე მაგალითად, 1892 წელს გაზიდულ იქნა 650 ფუთი ტყავი და ბეწვეული, 1894 წელს 795 ფუთი, 1895 წელს კი — 980 ფუთი ტყავეული და ბეწვეული[32].

როგორც ზემოთ მოტანილი მთელი რიგი ფაქტიური მასალები ნათელყოფენ, ჩვენთვის საინტერესო პერიოდის ქუთაისში შინაგანი და საგარეო ვაჭრობა დიდად განვითარდა.

რეფორმისშემდგომ ხანაში კაპიტალისტური ურთიერთობის განვითარების შედეგად წლითიწლობით იზრდებოდა საქართველოს ქალაქების ტერიტორია. მათ ფარგლებში იქმნებოდა ახალი დასახლებული უბნები და ქუჩები. ეს პროცესი სწრაფად ხორციელდებოდა 1880—1900 წლებში.

რეფორმისშემდეგ პირველ რიგში სწრაფად გაიზარდა საქართველოსა და ამიერკავკასიის დედაქალაქის თბილისის ტერიტორია. მან ჩქარა შეიცვალა შინაგანი და გარეგანი სახე, ბურჟუაზიული ქალაქი გახდა და ევროპიული იერი მიიღო.

თბილისთან ერთად შესამჩნევად გაიზარდა ქუთაისის ტერიტორია. XIX ს-ის 80-იანი წლების დამდეგს ქუთაისში, მდინარე რიონზე ორი ხიდი არსებობდა, რომლებმაც ერთმანეთს მჭიდროდ დაუკავშირა ქალაქის მარჯვენა და მარცხენა მხარე. ქუთაისი შენდებოდა მდინარის ორივე მხარეზე. მაგრამ ინტენსიური მშენებლობა მიმდინარეობდა ქალაქის მარჯვენა მხარის სამხრეთ-აღმოსავლეთით, სადაც წარმოიშვა საკმაოდ დასახლებული უბანი — ბალახვანი. აგრეთვე, დასახლებული პუნქტები წარმოიშვნენ ტყიბულის რკინიგზისა და საღორიის ტყის მიდამოებში. ამ გარემოებას ხელი შეუწყო 1877 წელს რკინიგზის ხაზით ქუთაისის შეერთებამ სადგურ რიონთან, ბალახვანის დასაწყისი უბნის სამხრეთ-აღმოსავლეთით ქუთაისის რკინიგზის სადგურის მშენებლობამ და მის ექსპლუატაციაში გადაცემამ.

80-იანი წლების დამლევს ახლანდელი სახელმწიფო დრამატული თეატრის დასავლეთის მიმართულებით მდინარე რიონამდე, სასტუმრო „ქუთაისის", 1905 წლის რევოლუციისა და მარჯანიშვილის ქუჩების შესაყარზე დაიწყო ახალი, ორსართულიანი შენობების მშენებლობა. ამავე ხანებში აქ წარმოიშვა მჭიდროდ დასახლებული უბანი, რომელიც ქალაქის ცენტრი გახდა. მისი ტერიტორია ერთ კვადრატულ კილომეტრს შეადგენდა. ქალაქის ცენტრალური პუნქტის ჩრდილო-დასავლეთით შეიქმნა ებრაელთა მჭიდროდ დასახლებული უბანი. მისი ტერიტორია დაახლოებით ერთნახევარი კვადრატული კილომეტრი იყო, ამ უბნის ჩრდილო-დასავლეთით მდინარე რიონს გაღმა, რაჭა-ლეჩხუმის გზაზე, გორაკბორცვიან ტერიტორიაზე მდებარეობდა ფერმის უბანი, რომელიც 1900 წლის დამდეგისათვის მოზრდილ დასახლებულ პუნქტს წარმოადგენდა.

---

[31] სსცია, ფ. 416, საქ. 1083, ფურც. 13.

[32] იქვე, ფურც. 16—17.

80-იანი წლების პირველ ნახევარში ქუთაისის დასახლებული ტერიტორია იზრდებოდა, აგრეთვე, აღმოსავლეთით და სამხრეთ-აღმოსავლეთით საფიჩხიის მაღლობისა და მწვანეყვავილას მიდამოებში[33]. პირველ ხანებში აღნიშნული ტერიტორია თხლად იყო დასახლებული. მაგრამ 1886 წელს ქუთაისიდან ტყიბულამდე რკინიგზის გაყვანის შემდეგ, ამ მიდამოებშიც სწრაფი ტემპით დაიწყო დასახლება.

90-იანი წლების დამდეგს რიონის მარჯვენა მხარე უფრო მჭიდროდ იყო დასახლებული, ვიდრე — მარცხენა. 1889—1890 წლებში მთელი ქალაქის მოსახლეობის 55,7 პროცენტი რიონის მარჯვენა მხარეში ე. ი. სამხრეთ-აღმოსავლეთით ცხოვრობდა, ხოლო მარცხენა მხარის მოსახლეობა უდრიდა 44,3 პროცენტს[34]. ამ პროცესს ხელი შეუწყო ქუთაის-რიონის და ქუთაის-ტყიბულის რკინიგზის გაყვანამ, ქალაქის ცენტრიდან სამხრეთ-აღმოსავლეთ მხარეში რკინიგზის სადგურის გახსნამ, ბალახვანზე ბაზრის შექმნამ, ხელოსნური და მრეწველური საწარმოების მშენებლობამ და მათ ექსპლუატაციაში გადაცემამ.

1880 წლისათვის ქუთაისის დასახლებული ტერიტორიის ფართობი უდრიდა 8 კვადრატულ კილომეტრს, 90-იან წლებში დაახლოებით 10 კვადრატულ კილომეტრს, 1900 წლის დამლევს ქალაქის ტერიტორიამ მიაღწია 18 კვადრატულ კილომეტრს.

ქალაქის ეკონომიურ განვითარებასთან ერთად ცვლილებები ხდებოდა ქალაქის მოსახლეობის რაოდენობრივ და სოციალურ შემადგენლობაში. 1861 წელს ქუთაისში 4429 მცხოვრები ითვლებოდა[35]. 1865 წელს ქალაქში 11 807 მცხოვრები იყო[36]. ამ ცნობების მიხედვით, ოთხი წლის მანძილზე ქუთაისის მოსახლეობა გაზრდილა 7378 სულით. მოცემულ მონაკვეთში მოსახლეობის ასეთი სწრაფი ტემპით ზრდა საქართველო-ამიერკავკასიის არც ერთ ქალაქში არ ყოფილა.

1889 წელს ქუთაისში იყო 23 664 მცხოვრები. აქედან 15 374 მამაკაცი და 8270 დედაკაცი, მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობა ასეთი იყო: ქართველი — 15,382 (67 პროცენტი), პოლონელი — 238 (1,1 პროცენტი), ბერძენი — 178 (0,75 პროცენტი) და სხვ.[37].

XIX ს-ის 90-იანი წლების დამდეგს ქუთაისი რკინიგზით მჭიდროდ იყო დაკავშირებული საქართველო-ამიერკავკასიის მთავარ ეკონომიურ და კულტურულ ცენტრებთან (თბილისი, ბაქო, ბათუმი, ფოთი და სხვ.), ქუთაისი, აგრეთვე, კეთილმოწყობილი გზებით უკავშირდებოდა დასავლეთ-საქართველოს სავაჭრო-ეკონომიურ დაბებს (ხონი, ონი, ლაილაში, ჩხარი, სენაკი, ბაღდადი და სხვ.). სამიმოსვლო საშუალებათა წესრიგში მოყვანამ მოსპო ფეოდალური, კუთხური კარჩაკეტილობა და დასავლეთ საქართველოს პროვინციები ეკონომიურად ერთმანეთს მჭიდროდ დაუკავშირდნენ, მათ ადმინისტრაციულ და კულტურულ ცენტრს წარმოადგენდა ქუთაისი. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, აქ გაიხსნა მრავალი ხელოსნური და მრეწველური ახალი საწარმო, სავაჭრო

---

[33] ვ. ჯაოშვილი, ქუთაისი (ეკონომიურ-გეოგრაფიული მიმოხილვა), თბ., 1962, გვ. 273.

[34] იქვე, გვ. 277.

[35] П. Семенов, Географическо-статистический словарь русской империи, т. II, 1865, გვ. 880.

[36] საქართველოს ისტორია, დამხმარე სახელმძღვანელო, ნაწ. II, 1962, გვ. 61, ნ. ბერძენიშვილის რედაქციით.

[37] „კავკასიის კალენდარი", 1889, გვ. 187.

დაწესებულება და საბაზრო ადგილები. აღნიშნულმა ობიექტებმა ასობით და ათასობით მუშა-მოსამსახურე და ვაჭრობის მუშაკი მიიზიდა, რომლებიც რაჭა-ლეჩხუმიდან, იმერეთის სოფლებიდან, გურია-სამეგრელოდან და სვანეთიდან ჩამოდიოდნენ მუდმივ და დროებით მაცხოვრებლად. ამასთან ერთად, როგორც ქალაქის ცენტრში, ისე მის განაპირა უბნებში აიგო მრავალი სამხედრო სადგომი, რომლებშიც მოთავსდა ასეულობით ჯარისკაცი და მეთაური. სწორედ ამან შექმნა რეალური პირობები ქუთაისში მოსახლეობის სწრაფი ზრდისათვის.

1897 წლისათვის ქუთაისში 39 476 მცხოვრები ითვლებოდა. მათი ეროვნული შემადგენლობა ასეთი იყო: ქართველი — 22 087 სული, რუსი — 304, ებრაელი — 3 419, სომეხი — 1464, პოლონელი — 487, ბერძენი — 177 სული და სხვ.[38].

იმავე წლის ცნობით, მოსახლეობის სოციალური შემადგენლობა შემდეგ სურათს იძლევა: თავადაზნაურობა 7 088 სული, სასულიერო წოდება — 1 269, ვაჭარი — 471, გლეხი — 12 094 სული და ა. შ.[39].

ზემოთ მოტანილი ცნობებიდან ნათლად ჩანს, რომ 1861 წლიდან 1897 წლამდე, ე. ი. 36 წლის მანძილზე ქუთაისში მოსახლეობა გაზრდილა 8-ჯერ. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ XIX ს-ის 80—90-იან წლებში მოსახლეობის ზრდის ტემპით ქუთაისმა საგრძნობლად გაუსწრო საქართველო-ამიერკავკასიის ისეთ დიდ ქალაქებს, როგორიცაა თბილისი, ბაქო, ერევანი, განჯა და სხვ.

ჯერ კიდევ XIX ს-ის 40-იან წლებში ქუთაისი გამოცხადდა საგუბერნიო ქალაქად, აქ შეიქმნა საგუბერნიო და სამაზრო სამმართველოები, საგუბერნიო სასამართლო, სამხედრო სასამართლო, სამხედრო გუბერნატორის, გზათა მშენებლობის მერვე ოლქის მეექვსე განყოფილების უფროსის და იმერეთის ეპარქიის კანცელარიები, სამხედრო ჰოსპიტალი, ფოსტის საგუბერნიო და სამაზრო კანტორები, საკომენდატო განყოფილება და მთელი რიგი სხვა დაწესებულებები, აღნიშნული უწყებების შექმნასთან დაკავშირებით 50-იანი წლების დამდეგიდან ქუთაისში გაიშალა ახალი მშენებლობანი, ამავე წლების პირველი ნახევრის დამლევისათვის აიგო და ექსპლოატაციაში გადაეცა ზემოხსენებული დაწესებულებისათვის ორი სამსართულიანი ნაგებობა, მდინარე რიონის მარჯვნივ და ბაგრატის ტაძრის ნანგრევების მიდამოებში აშენდა, აგრეთვე, სამ ათეულზე მეტი ერთი და ორსართულიანი საცხოვრებელი სახლები, დაიწყო გიმნაზიის, სახაზინადარო, პოლიციისა და სხვა უწყებებისათვის საჭირო ნაგებობების მშენებლობა. მდინარე რიონის გაღმა, რაჭა-ლეჩხუმის გზის მიმართულებით საფუძველი ჩაეყარა ახალ ბაღს, რომელიც მანამდე არსებული ბულვარის შემდეგ მეორე ბაღი იყო ქალაქში.

60-იანი წლების დამდეგიდან ქალაქი ინტენსიურად იზრდებოდა. დაიწყო მდინარე რიონის მარჯვენა და ნაწილობრივ მარცხენა მხარის ათვისება. ორი-სამი წლის მანძილზე ათვისებულ იქნა დაახლოებით 150—160-მდე დესეტინა მიწის ფართობი, სადაც გაყვანილ იქნა 5-ზე მეტი ქუჩა და 10-მდე შესახვევი. მათ გასწვრივ აიგო სავაჭრო დუქნები, ხელოსნური საწარმოები, საცხოვრებელი ბინები და სხვა ნაგებობანი. მოიკირწყლა ცენტრალური ქუჩები, ქალაქის

[38] Первая всеобщая перепись населения Росийской империи, 1897, Кутаисская губерния, გვ. 2.

[39] იქვე.

ცენტრის დასავლეთ მიდამოებში გამაგრდა მდინარე, რიონის კალაპოტი, აიგო ჯაჭვის ხიდი, ეტლების ბირჟა, სასტუმრო „იმერეთი“, მარადმწვანე და დეკორაციული მცენარეებით შეივსო ქალაქის ცენტრალური ბაღი, მოკირწყლული ქუჩების ნაპირებზე გაშენდა კაკლის ხეები და მთელი რიგი სხვა ფოთლოვანი მცენარეები. გარკვეული მუშაობა ჩატარდა ქუჩებისა და მოედნების დასასუფთავებლად და სხვ.

ქუთაისის დამშვენება-გალამაზების შესახებ ქართველი საზოგადო მოღვაწე და მწერალი გიორგი წერეთელი წერდა: „ჩემს შემდეგ ქუთაისს ბევრი მოუმატნია. ხეები გაზრდილან და ჩრდილი ყველგან ძალიან გასქელებულია, შენობაც ბევრი მომატებია, ამასთანავე უფრო დამშვენებულია. ჯაჭვის ახალი ხიდი აუგიათ. ბირჟა გაუკეთებიათ, აქ განსაკუთრებით ერთმა მათგანმა გამაკვირვა, ქუთაისი ძალიან გასუფთავებულა, ყველა ქუჩას თავისი სახელი დარქმევია“[40].

70-იან წლებში ქალაქის თვითმმართველობის საქმიანობაში გარკვეული ადგილი დაიკავა ქუჩებისა და მოედნების კეთილმოწყობამ და განათების მოგვარებამ, ნავარაუდევი სამუშაოების ჩატარება უსახსრობის გამო დროულად ვერ ხორციელდებოდა, მიუხედავად ამისა, ამავე ხანებში ამ მიმართულებით ერთგვარი მუშაობა მაინც ჩატარდა. ქალაქის ცენტრალური ბულვარის გაყოლებით ქუჩებზე დაიგო ქვაფენილი, მოეწყო ტროტუარები, მოიკირწყლა ბალახვნის მიმართულებით მიმავალი ქუჩა, შეკეთდა ჯაჭვის ხიდი, დაიწყო ქუჩების განათება ნავთის ფარნებით, მაგრამ როგორც საარქივო მასალაშია მითითებული, უსახსრობის გამო 80-იან წლებში ნათურების რაოდენობა შემცირებულა და ქალაქში არსებულ 144 ქუჩასა და შესახვევს მხოლოდ 135-მდე ნათურა ანათებდა[41]. 1893 წელს ამუშავდა მცირეძალოვანი ელექტროსადგური[42]. მის მიერ მოცემული შუქით წარმოებდა საგუბერნიო და სამაზრო დაწესებულებების და შეძლებული ფენების საცხოვრებელი სახლების განათება. თითოეულ ქუჩა-შესახვევზე თითო-ოროლა ნათურა მოდიოდა.

განსაკუთრებით ცუდად იყო დაყენებული ქალაქის წყლით მომარაგება. მოსახლეობა ხმარობდა მდინარე რიონისა და ჭების წყლებს, რომლითაც იქმნებოდა ანტისანიტარიული მდგომარეობა. ჯერ კიდევ 70-იან წლებში ქალაქის თვითმმართველობამ შეადგინა პროექტი წყალსადენის გაყვანის შესახებ და მისი გაყვანაც მალე დაიწყო, მაგრამ გაურკვეველი მიზეზის გამო შეჩერდა დაწყებული სამუშაოს გაგრძელება.

ქუთაისის გუბერნატორ ლევაშოვის წინადადებით წყალსადენის ნაცვლად, ქალაქში მოეწყო წყლის საგუბარი, რომელიც ვერ პასუხობდა ელემენტარულ-ჰიგიენურ საყოფაცხოვრებო მოთხოვნებს, კიდევ მეტი: საგუბარში მოთავსებულმა წყალმა გააბინძურა ნიადაგი და ქალაქში შეიქმნა ანტისანიტარიული მდგომარეობა. ადგილობრივი ხელისუფლება იძულებული გახდა გაეუქმებინა ხსენებული საგუბარი.

მხოლოდ 1897 წლის დამდეგს ქალაქის თვითმმართველობამ მოახერხა წყალსადენის გასაყვანად გადაედო 25 915 მანეთი, დაიწყო წყლის ახალი აუზის

[40] გ. წ ე რ ე თ ე ლ ი, რჩეული ნაწერები, ტ. I, 1908, გვ. 259.
[41] სსცია, ფ. 194, საქ. 684, ფურც. 64.
[42] ვ. ჯ ა ო შ ვ ი ლ ი, ქუთაისი (ეკონომიურ-გეოგრაფიული დახასიათება), გვ. 103.

მშენებლობა და მილების ჩასაყრელი მიწის თხრილების სამუშაოების განხორციელება, მაგრამ დიდი ხნით გაჭიანურდა წყალსადენის გაყვანა[43].

90-იანი წლების დამდეგისათვის ქუთაისში არსებობდა 155-ზე მეტი ქუჩა და შესახვევი, იმავე წლებში ზოგი მათგანი მოიკირწყლა, მაგრამ კიდევ მრავალი ქუჩა, შესახვევი და მოედანი დარჩა კეთილმოსაწყობი. 1897 წელს ქალაქის წარმომადგენელთა კრების დადგენილების საფუძველზე ქუჩებისა და მოედნების წესრიგში მოსაყვანად გაიღეს 500 მანეთი, რაც მინიმალურადაც არ აკმაყოფილებდა ქალაქის კეთილმოწყობას[44].

საარქივო მასალებისა და პირველწყაროების ანალიზის საფუძველზე ქუთაისის სოციალ-ეკონომიური განვითარება რეფორმისშემდგომ ხანაში (1870—1900 წწ.) ამგვარი სახით წარმოგვიდგება.

---

[43] „იევრია", 1897, № 35.
[44] იქვე, № 17.

ვარლამ დონაძე

აფრიკის კოლონიური დაყოფა და ქართული საზოგადოებრივი აზრი

(XIX ს-ის მეორე ნახევარი)

XIX ს-ის მეორე ნახევრის პროგრესული ქართული საზოგადოებრივი აზრი, რომელიც მშობლიური ენის ინტერესებისათვის მსახურების მაღალი იდეალებით იყო შთაგონებული, ცარიზმის სუსხიანი კოლონიური რეჟიმისა და ძველი საზოგადოების ძალების წინააღმდეგ შეურიგებელ ბრძოლაში სხვა მეთოდებთან ერთად ისტორიის გამოცდილებასაც იყენებდა. იგი ცდილობდა ისტორიაში ეპოვნა პასუხი იმ მწვავე საკითხებზე, რასაც საქართველოს იმდროინდელი ცხოვრება და მისი განვითარების პერსპექტივები აყენებდა.

მოწინავე ქართული საზოგადოებრივი აზრის გამოჩენილი წარმომადგენლები აღიარებდნენ მსოფლიო-ისტორიული პროცესის ერთიანობას. ამიტომ მშობლიური ქვეყნის ისტორიაში ღრმად ჩახედვასთან ერთად ისინი საფუძვლიანად სწავლობდნენ საზღვარგარეთის ქვეყნებისა და საერთაშორისო ურთიერთობის აქტუალურ პრობლემებს და პერიოდიკის ორგანოების მეშვეობით მოუთხრობდნენ მათ შესახებ ქართველ მკითხველებს. მათ სურდათ მსოფლიო ისტორიის მდიდარი გამოცდილება და გაკვეთილები საქართველოს შემდგომი წინსვლისათვის გამოეყენებინათ.

ახალი დროის მსოფლიო ისტორიის სხვა აქტუალურ პრობლემებთან ერთად მოწინავე ქართველი საზოგადოებრიობა დიდ ინტერესს იჩენდა აფრიკის კონტინენტზე მიმდინარე ამბებისადმი და პერიოდულად ეხმაურებოდა მას. ეს ინტერესი განსაკუთრებით გაიზარდა XIX ს-ის 70-იანი წლების დამლევიდან, როცა აფრიკის კონტინენტს დასაპყრობად, გასაძარცვად მიესივნენ ევროპის დიდი და პატარა ონავრები და ეს კონტინენტი კოლონიური დაყოფის ძირითად ობიექტად აქციეს. აფრიკის აღნიშნული პერიოდის ამბებს აქტიურად გამოეხმაურნენ პროგრესული ქართული გაზეთები: „დროება“, „ივერია“, „კვალი“, „ცნობის ფურცელი“; ჟურნალები: „ივერია“, „მოამბე“ და სხვ. ევროპელი კოლონიზატორების „მოღვაწეობის“ შესახებ აფრიკის კონტინენტზე მკითხველ მასას სოლიდური ცნობები მიაწოდეს ქართველი პუბლიცისტიკისა და ჟურნალისტიკის გამოჩენილმა თავკაცებმა ი. ჭავჭავაძემ, ნ. ნიკოლაძემ, ს. მესხმა, გ. წერეთელმა, დ. მიქელაძემ, გ. ყიფშიძემ, ა. ყიფშიძემ, ი. აღლაძემ, გ. ლასხიშვილმა, ა. ნანეიშვილმა, ალ. სარაჯიშვილმა, ი. მანსვეტაშვილმა და სხვებმა.

როგორც ცნობილია, ევროპელი კოლონიზატორები აფრიკას ჯერ კიდევ დიდი გეოგრაფიული აღმოჩენების დროიდან მოევლინენ. ესპანელებმა, პორტუგალიელებმა, ჰოლანდიელებმა, ინგლისელებმა, ფრანგებმა ფეხი მოიკიდეს აფრიკის დასავლეთ, სამხრეთ, და, აგრეთვე, აღმოსავლეთ სანაპიროებზე (რომ

არაფერი ვთქვათ ჩრდილო არაბულ სანაპიროზე, რომელსაც ევროპელები დიდი ხნის წინათ იცნობდნენ) და იგი მონათვაჭრობის, ოქროს, სპილოს ეშვებისა და სხვა აფრიკული ნაწარმის გაზიდვის ბაზებად აქციეს. მათ აღნიშნული ბაზებიდანვე განახორციელეს აფრიკის სიღრმეში შეჭრა მისი შემდგომი დაპყრობებისა და მოსახლეობის დასამონებლად. მაგრამ XIX ს-ის 70-იან წლებამდე ტროპიკული და სამხრეთ აფრიკის უდიდესი ნაწილი (სხვადასხვა ქვეყნის მოგზაურთა, მკვლევართა მიერ კონტინენტის ამ ნაწილის ინტენსიური შესწავლისა და კოლონიზატორთა ათეული კოლონიური ექსპედიციის მიუხედავად) მაინც გაუნაწილებელი იყო. აფრიკის ხალხების გააფთრებული წინააღმდეგობის გამო კოლონიზატორთა შეღწევა აფრიკის სიღრმეში ნელი ტემპით მიმდინარეობდა. განსაკუთრებით ხანგრძლივი იყო ეს წინააღმდეგობა დასავლეთ და სამხრეთ აფრიკის ცალკეულ რაიონებში, სადაც ადგილი ჰქონდა ტომთა ძლიერ გაერთიანებებს. ამ ადგილებში უცხოელ მოძალადეთა წინააღმდეგ ბრძოლას სათავეში ედგნენ აფრიკის ხალხთა ანტიკოლონიური ბრძოლის გამოჩენილი ორგანიზატორები: ჩაკა, ომარი, დიორი, სამორი და სხვები. სულ აღნიშნული დროისათვის ევროპელ კოლონიზატორთა მფლობელობაში იყო აფრიკის ტერიტორიის არა უმეტეს 10,8 პროცენტისა[1].

XIX ს-ის 70-იანი წლების დამლევიდან, როცა გამოვლინდა წინააღმონოპოლისტური კაპიტალიზმის იმპერიალიზმში გადაზრდის პირველი ნიშნები და ევროპის განვითარებულ ქვეყნებში საქონლის ექსპორტთან ერთად სერიოზული ხასიათი მიიღო კაპიტალის გაზიდვამ, მკვეთრად გაიზარდა ამ ქვეყნების კაპიტალისტთა ლტოლვა ახალი ბაზრების, ნედლეულის წყაროებისა და კაპიტალის სარფიანი დაბანდების სფეროების დაუფლებისადმი. ამასთან დაკავშირებით ინგლისის, საფრანგეთის, გერმანიის და ევროპის სხვა კაპიტალისტური სახელმწიფოების მთავრობებმა, თავიანთი მტაცებლური თვალი მიაპყრეს აფრიკას და გაფაციცებით შეუდგნენ მისი გაუნაწილებელი და „უპატრონო“ ტერიტორიების დაპყრობასა და დანაწილებას.

აფრიკის კონტინენტზე შექმნილი ახალი ვითარება მხედველობიდან არ გამორჩენია მოწინავე ქართული საზოგადოებრივი აზრის გამომხატველ ქართულ პრესას. მან ქართველ მკითხველს მოუთხრო იმ კოლონიური ყაჩაღობის შესახებ, რასაც აფრიკაში არსებული სიმდიდრეს დახარბებული ინგლისელი, ფრანგი, გერმანელი და სხვა ევროპელი კოლონიზატორები ეწეოდნენ.

პირველი საინტერესო ცნობები აფრიკის ამბების შესახებ ქართულ პრესაში ჩნდება 80-იანი წლების დამდეგიდან, როცა ინგლისმა განიზრახა დაეპყრო ეგვიპტე, რომლის მამულიშვილი არაბი ფაშა, როგორც წერდა ს. მესხი, სათავეში ჩაუდგა თავისი ქვეყნის დახსნას უცხო ტომის ხალხის — გავლენისა და ბატონობისაგან... ამგვარი საქმე ჩაიდინა საფრანგეთმა თუნისში. აქაც რიღაც უბრალო მიზეზით ატყდა ომი და ფრანცუზის ჯარებმა დაიმორჩილეს თუნისის ბეი“[2].

---

[1] ინგლისელები ფლობდნენ კაპისა და ნატალის კოლონიებს სამხრეთ აფრიკაში, სიერა-ლეონესა და გაბონის — დასავლეთ სანაპიროზე, ოქროს ნაპირსა და ნიგერიის დელტას — გვინეის ყურეში; ფრანგები — ალჟირს, სენეგალისა და გვინეის ნაწილს, სპილოს ძვლის, გაბონისა და დაგომეის სანაპიროებს. პორტუგალიელები — ანგოლისა და მოზამბიკის სანაპირო ზოლს, გვინეის ნაწილს, მწვანე კონცხის კუნძულებს, ესპანელები — იფნის, რიო დე ოროსა და ზოგიერთ კუნძულს გვინეის ყურეში.

[2] ს. მ ე ს ხ ი, გავლილი წელიწადი ევროპაში, თხზ., ტ. III, გვ. 400.

ბისმარკმა, რომელსაც სურს ფრანგებს ხელი ააღებინოს ელზას-ლორენის უკან დაბრუნების განზრახვაზე, საფრანგეთს შეატოპინა ტუნისის საქმეში და იქ გააბა, — წერდა ი. ჭავჭავაძე გაზეთ „ივერიაში". ბისმარკმა ამით ორი კურდღელი მოჰკლაო, — განაგრძობს ილია, — „ერთი, რომ თვითონ საფრანგეთი სულ სხვა საქმეს ვადაჰკიდა, მეორე რომ იტალია, რომელიც ყოველთვის თანამგრძნობი და გულშემატკივარი ყოფილა საფრანგეთისა, საფრანგეთს ტუნისის გამო მოამდურა"[3].

პროგრესული ქართული საზოგადოებრივი აზრის მოთავენი, როგორც ეროვნული და სოციალური სამართლიანობის, ადამიანთა ბუნებრივი თავისუფლებისა და თანასწორობის ქომაგნი, აფრიკის პრობლემათა კომპლექსის გაშუქებისას, თანამიმდევრულ ანტიკოლონიურ ნიადაგზე იდგნენ. მათ სასაცილოდაც არ ჰყოფნიდათ კოლონიზატორთა აპოლოგეტების მტკიცება „თეთრი რასის ადამიანთა" ცივილიზატორული მისიის შესახებ აფრიკის ხალხთა მიმართ. ისინი არგუმენტირებული ფაქტებით გადაჭრით უარყოფდნენ აფრიკის ხალხების ყველა ჯურის მტრების მონაჭორს აფრიკის მოსახლეობის თითქოსდა ველურობის შესახებ; ისინი შესანიშნავად ერკვეოდნენ იმ ეკონომიურ-საეაჭრო, პოლიტიკურ და სამხედრო სტრატეგიულ მოტივებში, რითაც განპირობებული იყო ევროპის დიდი და პატარა ონავარი სახელმწიფოების აქტიური ინტერესი აფრიკის კონტინენტისადმი.

ქართველი პროგრესული მოაზროვნეებისათვის ნათელი იყო, რომ არა აფრიკის ეგზოტიკა და მისი პეიზაჟები იტაცებდა კოლონიზატორთა ხარბ თვალებს, არამედ ამ კონტინენტის მოხერხებული საზღვაო და სახმელეთო ბაზები, მისი მდიდარი და მრავალრიცხოვანი ნედლეულის რესურსები, სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტები, საქონლის გასაღების ბაზარი.

მაგალითად, ი. ჭავჭავაძე, ეგვიპტის ნიადაგზე ინგლის-საფრანგეთს შორის აღმოცენებულ მძაფრ მეტოქეობას და ინგლისის მიერ ამ ქვეყანაში ფეხის მოკიდებას მისი პირველხარისხოვანი სამხედრო-სტრატეგიული მდებარეობითა და სავაჭრო ეკონომიური მნიშვნელობით ხსნის. ეგვიპტის როლი და მნიშვნელობა, წერს იგი, განსაკუთრებით გაიზარდა სუეცის არხის გათხრის შემდეგ. ამიტომ მიიღო 80-იანი წლებიდან ინგლის-საფრანგეთის ქიშპობამ ასეთი მძაფრი ხასიათი. ინგლისს არ სურდა სუეცის არხი მისი მეტოქის ხელში ყოფილიყო და ამით ხელი შეეშალა მისთვის სრული კონტროლი დაეწესებინა ხმელთაშუა ზღვის (ინგლისის ამ უდიდესი საზღვაო კომუნიკაციის) ინდოეთის ოკეანესთან დამაკავშირებელ სახმელეთო და საზღვაო კვანძზე. ამიტომ ინგლისის დიპლომატია ყოველგვარ ხერხს მიმართავდა იმისათვის, რომ განემარტოვებინა და დაეუძლურებინა საფრანგეთი, წაეკიდებინა იგი სხვა ქვეყნებისათვის, რათა ამით „მარტო თავის გავლენის ქვეშ იყოლიოს ეგვიპტე და აქედამ სუეზის არხს გაუბატონდეს"[4].

1883 წელს ინგლისის მიერ ეგვიპტის ოკუპაციამ და აქედან სუდანზე გალაშქრებამ დამონების მიზნით, დიდი გამოხმაურება გამოიწვია მსოფლიოში. მას მტრულად შეხვდნენ საფრანგეთი და მსოფლიო დემოკრატიული საზოგადოებრიობა ამის შედეგად რუსეთის მმართველ წრეებშიც გაძლიერდა ანტი-

[3] ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, საპოლიტიკო მიმოხილვა, თხზ., ტ. 9, გვ. 66.

[4] ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, ახლო აღმოსავლეთი და ხმელთაშუა ზღვის გზების საკითხი, თხზ. ტ. 9, გვ. 161.

ინგლისური განწყობილება. ინგლისის შემდგომი გაძლიერება და ეგვიპტეში ბინის დადება არც მათთვის იყო ხელსაყრელი. ეგვიპტის ოკუპაცია და მომდევნო დიპლომატიური შეხლა-შემოხლა ეგვიპტისა და სუეცის არხის თაობაზე საკმაო სისრულითა და დამაჯერებლობით აისახა ქართული პრესის ფურცლებზე. ქართულმა პრესამ საჯაროდ დაგმო ინგლისის გაბატონებული კლასების მორიგი კოლონიური ძალადობა და გამოესარჩლა ეგვიპტელ ხალხს.

ს. მესხმა „დროებაში" (№ 2, 1883 წ.) არაბი ფაშას ეგვიპტელი პატრიოტი და მამულიშვილი უწოდა და მისი ხელმძღვანელობით გაჩაღებულ ომს — სამართლიანი და განმათავისუფლებელი. გულისტკივილით აღნიშნავდა რა ინგლისის ბატონობისაგან ქვეყნის დახსნისათვის წამოწყებული ომის მარცხს, იგი წერდა: „ეს განზრახვა, ეგვიპტის საუკეთესო ძველი ქალაქის (ალექსანდრიის) დანგრევით და თვითონ არაბის დამარცხებით და შემდეგ თავის ქვეყნიდამ განდევნით გათავდა. ინგლისმა კი უფრო მაგრად ჩაავლო კლანჭები ეგვიპტეს"[5].

ეგვიპტის ოკუპაციით გამოწვეული აურზაური ჯერ კიდევ არ იყო ჩამცხრალი, როდესაც მას დაემატა სუდანის ამბები — სუდანელი სასულიერო ლიდერისა და მამულიშვილის მაჰდის ხელმძღვანელობით სუდანელი ხალხის საყოველთაო (რელიგიური საფარველით) ანტიინგლისური აჯანყება. ამან ქართულ პრესას ახალი საბაბი მისცა თავის ფურცლებზე ვრცლად გაეშუქებინა ეგვიპტე-სუდანის ამბების მსვლელობა.

1884 წელს გაზეთმა „დროებამ" თავის მოწინავე წერილში — „მახდი და ინგლისელები" მაჰდის მოძრაობა შეაფასა როგორც საყოველთაო, სამართლიანი, მასობრივი, განმათავისუფლებელი მოძრაობა, რომელიც მოსახლეობის ერთსულოვანი მხარდაჭერით სარგებლობდა. გაზეთი სასაცილოდ იგდებს ინგლისელების ლაყბობას იმის შესახებ, თითქოს მათ ეგვიპტესა და სუდანში შეიტანეს ცივილიზაცია. ის წერს: სამართლიანი წყობილების გავრცელება და კაცთმოყვარეობა კი არ ჰქონდათ მხედველობაში ინგლისელებს, როცა ამ ქვეყნებში მკვიდრდებოდნენ, „არამედ უგულო მოვაჭრისა და საერთოდ ფულის პატრონების სარგებლობა". ინგლისმა ეგვიპტე დაიპყრო არა მშვიდობის დამკვიდრებისა და განათლების შეტანის მიზნით როგორც საჯაროდ აცხადებდნენ ინგლისელები, ვკითხულობთ გაზეთში, არამედ მსუნაგი და ეგოისტური მოსაზრებებით და... ახლა ამ წადილისათვის მან პასუხი უნდა აგოს ძლიერის მახდისა და უკმაყოფილო ხალხის წინაშე[6].

„ინგლისს ეგვიპტის დაპყრობა უნდა — ეს არის დედა-აზრი ეხლანდელის სუდანის ბრძოლისა, ეს იყო დედა-არსი არაბი ფაშის დამორჩილებისა ამ ორი წლის წინად. სუეცის კანალი... მდიდარი ეგვიპტე — აი ბრიტანიის ინტერესები", — ვკითხულობთ 1884 წლის „დროების" 29 აპრილის ვრცელ წერილში „რა მდგომარეობაშია ეგვიპტის საქმე". გაზეთი ერთხელ კიდევ ხაზს უსვამს მაჰდისტური მოძრაობის მასობრივ, სამართლიან და განმათავისუფლებელ ხასიათს, იგი მას ინგლისელ კოლონიზატორთა უხეში თვითნებობის საპასუხო აქტად მიაჩნია და დასძენს: „რა უნდათ ინგლისელებს სუდანში, თუ არ დაპყრობა და გაბატონება, რას ერჩიან იქაურ მუსლიმანებს, რომლებსაც საკუთარი ადათი და ჩვეულებები აქვთ". სუდანელ ხალხს ჭირივით ეჯავრებათ მომხდური მოძალადეები და ცდილობენ ცოცხლად არ ჩაუვარდნენ „გაუმაძღარ

[5] ს. მ ე ს ხ ი, გავლილი წელიწადი ევროპაში, თხზ, ტ. III, გვ. 393—400.
[6] გაზეთი „დროება", 1884, № 5.

ინგლისს". „ნუთუ ისტორიაში მხოლოდ ძალა ბატონობს და ძლიერი სუსტს ჩაგრავს?", აღშფოთებით კითხულობს წერილის ავტორი და მსოფლიო საზოგადოებრიობის სამსჯავროს წინაშე მსჯავრის დასადებად გამოჰყავს ინგლისელი კოლონიზატორები მათი „ცივილიზატორული" აქციების გამო „ბარბაროსულ ეგვიპტესა და სუდანში"[7].

ასეთივე სულისკვეთებითაა გაჟღენთილი გაზეთ „ივერიაში" დროდადრო ამავე თემაზე გამოქვეყნებული წერილები და მიმოხილვებიც, „როცა ეგვიპტის პატრიოტმა არაბი-ფაშამ მოიწადინა ეგვიპტე დაიხსნას ევროპიელთ ხელიდამ და თავისთავად ამყოფოს და ამისათვის აჯანყება მოახდინა, — წერდა ი. ჭავჭავაძე აღნიშნული გაზეთის 1887 წლის 231-ე ნომერში, — და მერე მახდი გამოვიდა და ეგვიპტის სამფლობელო სუდანი საომრად გაუხადა პატრონს... ამ აწერილობამ ინგლისს ხელი შეუწყო და ეგვიპტეში ჯარებით ჩადგა, ვითომდა დასამშვიდებლად". სინამდვილეში კი, განაგრძობს ი. ჭავჭავაძე, მას ჯარები არ გამოჰყავს იქედან და უფრო მაგრად ებღაუჭება ეგვიპტეს[8].

მოწინავე ქართველი საზოგადოებრიობა სათანადოდ გამოეხმაურა იმპერიალისტური გერმანიის ჩადგომას დიდ მტაცებელთა რიგებში და მის კოლონიურ აქტივობას აფრიკაში. მისმა წარმომადგენლებმა ქართული პერიოდიკის მეშვეობით საკმაოდ ვრცლად გააცნეს ქართველ ხალხს ის ძალადობა და ვერაგობა, რასაც ჩადიოდნენ ლუდერიცები, პეტერსები, ნაჰტიგალები და სხვა გერმანელები „კულტურტრეგელები" სამხრეთ-დასავლეთ აფრიკაში, გვინეის ყურესა და აღმოსავლეთ აფრიკაში იქ დამკვიდრების პროცესში. სათანადო ამბების მთელი კომპლექსი თანმიმდევრულად მიმოხილულია „დროების" 1884—1885, „ივერიის" 1885—1886 და შემდეგი წლების ცალკეულ ნომრებში, ხოლო 1894 წლიდან „მოამბის" ზოგიერთ მიმოხილვებში. ქართული პრესა განსაკუთრებით ხაზგასმით აღნიშნავდა ბისმარკის წამყვან როლს გერმანიის აფრიკული კოლონიების შექმნის საქმეში და ამ ნიადაგზე გერმანია-ინგლისის წინააღმდეგობათა საგრძნობ გამწვავებას. გაზეთ „ივერიის" 1891 წლის 204-ე ნომერში აღწერილია ის აღვირახსნილი დისკრიმინაცია და შეუბრალებლობა, რასაც გერმანიის მხედრიონი და კოლონიური ხელისუფლების წარმომადგენლები იჩენდნენ აღმოსავლეთ აფრიკაში მკვიდრი ტომების მიმართ. ამ ნიადაგზე მოსალოდნელია შავკანიანი მოსახლეობის მასობრივი აჯანყება, წერს გაზეთი.

ქართული პუბლიცისტიკის ვამოჩენილი წარმომადგენლები არა მარტო აშიშვლებდნენ ევროპის დიდ და პატარა ონავართა „ცივილიზატორულ მისიას" აფრიკაში და გაბედულად ექომაგებოდნენ მკვიდრ მოსახლეობას, არამედ სამარცხვინო ბოძზე აკრავდნენ ვანდალური აქტების ორგანიზატორებსაც.

მაგალითად, „ივერიის" 1887 წლის 212-ე ნომრის მოწინავეში ძირითად თემად წამოწეულია ჩრდილო-დასავლეთ აფრიკის არაბული სახელმწიფოს მაროკოს („შერიფის იმპერიის". — ვ. დ.) აწმყო და მისი მოსალოდნელი განაწილება ევროპის დიდ კოლონიზატორთა შორის. წერილში აღნიშნულია ინგლისის, საფრანგეთისა და გერმანიის მზარდი დაინტერესება მაროკოს ბედით და მათ მიერ ამ სახელმწიფოს შინაგან საქმეებში თავხედური ხელის ფათური.

---

[7] გაზეთი „დროება", 1884, № 93.

[8] ი. ჭავჭავაძე, ახლო აღმოსავლეთი და ხმელთაშუა ზღვის გზების საკითხი, თხზ. ტ. 9, გვ. 161.

მაროკოს მსუქანი ნაჭრების გადასაყლაპავად მადააღძრული დიდი ონავრები, ნათქვამია ამ წერილში, იმასაც კი არ კითხულობენ: მოკვდება თუ არა მისი სულთანი, ჰყავს თუ არა მას მემკვიდრე ანდა სურს, თუ არა მკვიდრ მოსახლეობას ევროპელთა „მეურვეობა". გაზეთი „მაროკოს საკითხში" კარგად ერკვევა, როცა წერს, რომ მაროკო ძალზე მიმზიდველი ობიექტია, ამიტომ მისი განაწილებისათვის ბრძოლა მეტოქეთა შორის მეტად მწვავე იქნება, რამაც შეიძლება დროებით საქმეს უშველოს და გარკვეულ დრომდე ეს ქვეყანა მტაცებელთა განაწილებისაგან დაიცვას.

„ევროპას", — წერს გაზეთი ევროპელ კოლონიზატორთა კოლონიური პოლიტიკის არსის შესახებ განმაზოგადებელ დასკვნაში, — სხვა დანარჩენი უპატრონო ჭგონია, ანუ უკეთ რომ ვსთქვათ, ისე აქვთ მიჩნეული, თითქოს ყველა ერთად და თვითეული ცალკე მარტო იმისათვის გაუჩენია ღმერთს, რომ ევროპამა ჭლრღნას, ევროპამა ჭხრას". სხვათა მიწა-წყლის დაპყრობასა და გაწევგაფართოვებას ისინი სიკეთისა და ცივილიზაციის ნიღბით აკეთებენ. „განადირებული ერია, ნადირის საცხოვრებელი ქვეყანაა; ცოდვაა არ მივეშველოთ, ცივილიზაციის სხივი არ მივაფინოთ, ნადირად ქცეული კაცი ისევ კაცად არ ვაქციოთ, გაველანებული ქვეყანა არ ავაყვავოთ მისთა მკვიდრთა საბედნიეროთ. ამას ამბობს ხოლმე ევროპა და გულში თვითონვე დასცინის თავის თავს ამ თავის მოკლეფეხებიან ტყვილებისათვის"[9].

გაზეთი არ კმაყოფილდება კოლონიზატორთა „ცივილიზატორული მისიისათვის" მოურიდებლად ნიღბის ჩამოხსნით. იგი ამ პოლიტიკას, რომელსაც სათანადო სავაჭრო-ეკონომიური და სამხედრო-სტრატეგიული მოტივები ედო საფუძვლად, სიხარბესა და ძალმომრეობას უწოდებს. გაზეთი აღნიშნავდა, რომ ისინი მზად არიან მიესიონ და წესი აუგონ ყველა ქვეყანას, საცა კი სათანადო ნიადაგი მომზადდაო[10].

ერთი წლის შემდეგ „ივერია" ისევ დაუბრუნდა აფრიკის საკითხს, და 1888 წლის 25-ე ნომერში გამოაქვეყნა ა. ნა-ლის (ალ. ნანეიშვილის) ვრცელი მოწინავე წერილი, რომელიც მთლიანად მიძღვნილია აფრიკის ზანგი მოსახლეობის ყოფისა და ცხოვრებისადმი. ავტორი გაბედულად ექომაგება აფრიკის კონტინენტის „შავ" მოსახლეობას და კონკრეტული ისტორიული მონაცემებით აბათილებს იმპერიალისტ კოლონიზატორთა მონაჭორსა და ნალაყბევს შავკანიანთა უდიდესი ჩამორჩენილობის, ველურობისა და თანამედროვე კულტურისა და მეცნიერების მიღწევათა ათვისების უუნარობის შესახებ. ამის საწინააღმდეგო ფაქტებს იგი ხედავს როგორც თვით აფრიკის სინამდვილეში, ისე აშშ ზანგთა წინ წამოწევისა და მათი წარმომადგენლების კულტურის, მეცნიერებისა და ლიტერატურის მოწინავე ადამიანთა რიგებში ჩადგომის სახით[11].

„ივერიის" 1889 წლის მე-10 ნომერში დონ-იაგოს (ი. მანსვეტაშვილი) ხელმოწერით დაიბეჭდა ვრცელი წერილი — უცხოთა შორის. ამ წერილში ავტორი აფრიკაში საუკუნეთა მანძილზე დამკვიდრებული მონობისა და შეუწყვეტელი სისხლის ღვრისათვის უშუალო პასუხისმგებლობას დაუპატიჟებელ სტუმრებს — ევროპელ კოლონიზატორებს აკისრებს.

---

[9] გაზ. „ივერია", 1887, № 212.
[10] იქვე.
[11] იქვე, 1888, № 25.

„აბა შეხედეთ იმ უბედურ ქვეყანას, — წერს მანსვეტაშვილი, — რომელსაც აფრიკას ეძახიან. რამდენი ხანია, რაც იქ არეულობა, ადამიანის ჟლეტა და სისხლისღვრა არ წყდება. „... ეგვიპტესა და სუდანში ინგლისი დამკვიდრდა, იტალია აბისინიას ეომება, დასავლეთიდან გერმანია მისდგომია აფრიკას, სამხრეთით კი ინგლისი ზულუსებს ხოცავს. „ევროპის დიდნი სახელმწიფონი ოთხივ მხრიდან შეესივნენ ამ ქვეყანას, იჩემებენ სხვის მიწა-წყალს, პატრონებს კი არაფერს კითხავენ, თითქოს ამ ქვეყანას არც კი ჰყვანდესო“[12].

ევროპელი მოძალადეები, განაგრძობს ავტორი, აფრიკელებს ეუბნებიან: „თქვენი გულისათვის, თქვენი ველურობიდან გამოსაყვანად მოვედით, მიწა ბევრი გაქვთ, თქვენც იყავით ამ მიწაზე და ჩვენც მოვთავსდებით. აფრიკის მკვიდრ მოსახლეობას, რომელმაც არაერთხელ საკუთარ ტყავზე გამოცადა დაუპატიჟებელი სტუმრების „კეთილმეზობლობა“, ლიტონ სიტყვად და ცბიერებად მიაჩნია მათი ზემოაღნიშნული განცხადებები. ამიტომ ეუბნებიან ისინი, მანსვეტაშვილის თქმით, მოძალადე კოლონიზატორებს: „ამისათვის თქვენ რატომ შეწუხდით, ჩვენ თავს ჩვენ როგორმე მოუვლით. ჩვენი მიწა-წყალი ჩვენ ძალიან გვიყვარს, თავს ვერ დავანებებთ. რაც შეეხება თქვენს მეგობრობას, ეს ლიტონი სიტყვაა. საქმეები სულ სხვას ღაღადებენ“. საწყალი აფრიკელები, დაასკვნის ავტორი, ხანდისხან ხმას იმაღლებენ მომხდურ მოძალადეთა წინააღმდეგ, მაგრამ ევროპის ზარბაზნები ხმას ისევ მალე ჩააკმეტინებენ[13].

„ივერიის“ 1890 წლის მე-16 ნომერში ი. ჭავჭავაძემ დაბეჭდა წერილი — „ევროპის დიდი და პატარა ონავრები“. ავტორი ეხება ინგლისისა და პატარა პორტუგალიის ქიშპობას აფრიკის ზოგიერთი ტერიტორიის თაობაზე და წერს: რისთვის ან ვის ტაბლაზე ჩხუბობენ ეს ვაჟბატონები? ინგლისს ან პორტუგალიას რა ხელი აქვთ აფრიკაში, რომელსაც თავისი მკვიდრნი, თავისი შვილები ჰყავს და ავად თუ კარგად ინგლისელებისა და პორტუგალიელების გარეშე თვითონ გაუძღვებიან თავიანთ საქმეს. „ქვეყანაზე რომ სამართალი იყოს, ინგლისაც პირში ჩალას გამოავლებდა და პორტუგალიასაც. საიდანაც მოსულხართ, იქით წადითო, თქვენ იქ ხელი არა გაქვთ, იქაური პატრონები — იქაურივე მკვიდრნი არიან და თქვენ რასზე შესჩენიხართ ჭიასავით. მაგრამ სად არის ეს სამართალი?“[14].

აღნიშნული წერილით დიდმა ილიამ ერთდროულად მზის სინათლეზე გამოიტანა აფრიკაში იმპერიალისტ კოლონიზატორთა „მოღვაწეობის“ ნამდვილი მიზნები; მათ დაუპატიჟებელი, არასასიამოვნო სტუმარი და მოძალადე უწოდა, სამართლიან აქტად მიიჩნია მათი გაძევება ამ კონტინენტიდან და საჯაროდ აღიარა მკვიდრი მოსახლეობის უფლება, ეცხოვრათ ყოველგვარი გარეგანი ჩარევის გარეშე, თავიანთ მამა-პაპათა ადათებისა და წესების შესაბამისად.

ასეთივე მკაცრი ანტიკოლონიური ტონითაა დაწერილი ალ. ყიფშიძის (ალ. ფრონელი) მიერ „ივერიის“ 1892 წლის 229-ე და 1893 წლის 229—233-ე ნომრებში მოთავსებული ვრცელი მოწინავე წერილები, რომლებშიც მათი ავტორი ულმობლად აშიშვლებს აფრიკაში დამკვიდრებულ ევროპელი „ცივილიზატორების მოღვაწეობას“.

პირველ წერილში ალ. ყიფშიძე აღნიშნავს საფრანგეთის წამყვან როლს აფრიკის განაწილებასა და მკვიდრი მოსახლეობის უმოწყალო ჟლეტაში, რა-

[12] გაზეთი „ივერია“, 1889, № 10.

[13] იქვე.

[14] ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, საპოლიტიკო მიმოხილვა, თხზ. ტ. 9, გვ. 60.

საც იგი დაგომეის მაგალითით ასაბუთებს. ფრანგი კოლონიზატორები მასობრივად ელეტდნენ თითქმის უიარაღო დაგომელებს, რომლებიც თავგანწირვით იბრძოდნენ ფრანგთა დამსჯელი ექსპედიციის წინააღმდეგ, იცავდნენ საკუთარ მიწა-წყალს, ოჯახებსა და თავისუფლებას. ავტორი აღტაცებას გამოხატავს დაგომეელთა ასეთი თავდადების გამო და სასაცილოდაც არ ჰყოფნის დაგომელთა ხოცვა-ყლეტის მონაწილე ფრანგი ოფიცრების გაკვირვება ამ გაუგონარი წინააღმდეგობის გამო.

„რატომ უკვირთ ყოველივე ეს ფრანგ ოფიცრებს, — წერს ალ. ყიფშიძე, — ფრანგები სახლში მიუხტნენ დაგომეელებს; ცოლ-შვილი დაუწიოკეს, მათი სამშობლოს დამოუკიდებლობა მოსპეს, წაართვეს ყველაზე ძვირფასი — დამოუკიდებლობა. განა ასეთ პირობებში დაგომეელებს მოეთხოვებათ ზრდილობა და თავშეკავება“? მოწინავე წერილების ავტორს უკვირს, რომ ფრანგი ხალხი, რომელმაც ქვეყანას მოჰფინა მოძღვრება ძმობისა, ერთობისა და სიყვარულისა, სხვაგან სულ სხვაგვარად იქცევა[15].

თავის დროზე მარქსმა აფრიკას შავკანიანებზე ნადირობის ველი უწოდა[16]. დაახლოებით ასევე აქვს წარმოდგენილი ალ. ყიფშიძეს აფრიკელთა ხვედრი ევროპის „განათლებულ წარმომადგენელთა“ — ესპანელების, პორტუგალიელებისა და სხვათა წყალობით, რომლებიც მისივე თქმით“... როგორც ტყის ნადირზე, ისე ნადირობდნენ იქაურებზე. დაბურულ ტყეში იჭერდნენ შიშველთა მკვიდრთ, თოკებით მაგრად უკრავდნენ ხელებს და მიერეკებოდნენ ზღვის ნაპირებისაკენ, სადაც მომზადებულ გემებზე საქონელივით დაჰყრიდნენ და შემდეგ ჰყიდდნენ ამერიკაში“. ეს სამარცხვინო ვაჭრობა, ეს სულისა და გულის ამაღელვებელი და აღმაშფოთებელი აწიოკება საცოდავ ზანგებისა დღესაც არ შეწყვეტილა, დასძენს წერილის ავტორი.

ალ. ყიფშიძე ისტორიული ჭეშმარიტების სრული შესაბამისობით ხატავს ევროპელ კოლონიზატორთა დამკვიდრებას აფრიკაში, მათ ქიშპობას მისი მსუქანი ნაჭრებისათვის. იმ სისხლიან აქტებს, რომლითაც ამკვიდრებდნენ ისინი თავიანთ ბატონობას მსოფლიოს ამ ნაწილში. ავტორი შესანიშნავად ერკვევა მუხანათობისა და ვერაგობის ყველა იმ მეთოდში, რასაც თოფ-ზარბაზნებთან ერთად იყენებდნენ ევროპელი „ცივილიზატორები“ თითქმის უიარაღო, უსუსურ, გულუბრყვილო და ალალმართალ აფრიკელთა წინააღმდეგ. ევროპელებმა ასწავლეს აფრიკელებს, აღნიშნავს ავტორი, არყის სმა, შეჰყარეს ყვავილი, ვენერიული სენი და სხვა გადამდები სნეულებანი, რომელიც მუსრს აჭლებს აფრიკელებს. მათ ნაოხარზე აყვავდა მრავალ ევროპელთა ახალშენიო[17].

საკმაოდ ვრცელ ისტორიულ ექსკურს ევროპელ კოლონიზატორთა აღმაშფოთებელი ძალმომრეობის შესახებ აფრიკაში ავტორი ამთავრებს ინგლისელთა მხეცობის, ველურობისა და ვანდალობის აქტების აღწერით სამხრეთ აფრიკაში — მატაბელეს ქვეყანაში. სადაც იქაურმა წიაღისეულმა (ოქრო, ალმასი) „წარიტაცა გაუმაძღარი თვალი“ ამ „ცივილიზატორებისა“ და სიმდიდრის ხელში ჩასაგდებად დაიწყო აღნიშნული ხალხის ყლეტა და სისხლის ღვრა[18].

---

[15] გაზ. „ივერია“, 1893, № 233.
[16] კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. 1, პირველი ქართული გამოცემა, გვ. 693.
[17] გაზ. „ივერია“, 1893, № 233.
[18] იქვე.

„ივერიის“ 1899 წლის 55-ე ნომერში ი. აღლაძემ მოათავსა წერილი „უცხოელთა შორის“, რომლის მთავარი თემა იყო რასისტული კაცთმოძულე შეხედულების უნიადაგობის ნათელყოფა და მისი ცრუმეცნიერულობის დამტკიცება. როგორც ცნობილია, ამ თეზის მიხედვით აფრიკის ხალხები, როგორც არასრულფასოვანი რასის წარმომადგენლები, მოკლებულნი იყვნენ დამოუკიდებელი განვითარების უნარს. აღნიშნული კაცთმოძულე რასისტული ნალაყბევის გასაბათილებლად ავტორს მოაქვს მრავალი კონკრეტული დამადასტურებელი მაგალითი. საარგუმენტაციოდ იგი იაპონიის განვითარებაზეც მიუთითებს.

„ახალმა გამოკვლევებმა, მაგალითებმა და გამოცდილებამ, — წერს ი. აღლაძე, — საძირკველი გამოუნგრია ამ თეორიას და სრულიად უარყო იგი. აღმოჩნდა, რომ შავის, წითელი და ყვითელის კანის პატრონნიც ყოფილან დაჯილდოებულნი ისეთის ნიჭითა და უნარით, როგორითაც დღემდის მხოლოდ თეთრის კანის პატრონი ანუ არიელნი ამაყობდნენ. აღმოჩნდა, რომ იმათაც შეძლებიათ განვითარება და წარმატება, გონების განძრევა და სხვა. ის ზანგი, რომელიც გუშინ პირუტყვად ითვლებოდა და პირუტყვის უღელს ეწეოდა, დღეს ამერიკაში ფეხდაფეხ მისდევს არიელს და მასავით კარგად ითვისებს ცივილიზაციას“[19].

1894 წელს ჟურნალმა „მოამბემ“ მე-12 ნომერში გამოაქვეყნა ნ. ნიკოლაძის წერილი „მადაგასკარი“. წერილის დაწერის საბაბი გახდა საფრანგეთის მიერ ამ კუნძულის მკვიდრი მოსახლეობის (მალაგასიელების) წინააღმდეგ წარმოებული ომი. ეს იყო აშკარად ყაჩაღური, კოლონიური ომი. თავიდან ფეხებამდე შეიარაღებული ფრანგი კოლონიზატორები ებრძოდნენ თითქმის უიარაღო მკვიდრ მოსახლეობას მათი დამონების, კუნძულის ბაზებზე გაბატონებისა და მისი რესურსების დაუფლების მიზნით. ნ. ნიკოლაძემ აღნიშნულ წერილში არა მარტო მკაცრი მსჯავრი დასდო საფრანგეთის მმართველი წრეების მიერ მალაგასიელი ხალხის წინააღმდეგ წამოწყებულ ყაჩაღურ ომს, არამედ სამარცხვინო ბოძზე მიაკრა კაპიტალისტური ქვეყნების მთელი კოლონიური პოლიტიკა საერთოდ მსოფლიოს ყველა ნაწილში. ეს წერილი პირველი და უკანასკნელი არ ყოფილა, სადაც ნ. ნიკოლაძემ განავითარა მებრძოლი ანტიკოლონიური თვალსაზრისი. თავის ცნობილ წერილში — „გლეხთა განთავისუფლება საქართველოში“, რომელიც გერცენის ჟურნალ „კოლოკოლში“ დაიბეჭდა 1865 წელს, მან, ძირითად პრობლემასთან ერთად, თავისი აზრი გამოთქვა მოწინავე ევროპის „ცივილიზატორული მისიის“ შესახებ კოლონიებში. მან სამართლიანად გაილაშქრა ქართველი ინტელიგენციის მცირე ნაწილში ფეხმოკიდებულ იმ პროდასავლური აზრის წინააღმდეგ, რომ საქართველომ ეროვნული განთავისუფლების მისაღწევად ინგლისს, ან საფრანგეთს უნდა მიმართოს დახმარებისათვის და მათი მფარველობა მიიღოსო. ინგლისის, ან საფრანგეთის მფარველობა, — აღნიშნავდა იგი, — ისე „გააბედნიერებს“ საქართველოს, როგორც „გააბედნიერეს“ ფრანგებმა ალჟირი. ევროპის სახელმწიფოები დაუყოვნებლივ შეუდგებოდნენ საქართველოს ცივილიზებას ალჟირის მსგავსად ან მის ექსპლოატაციას — ინდოჩინელის მსგავსად“[20]. ვფიქრობთ, რომ გამოჩენილი ქართველი მოაზროვნის მოტანილ ამ სიტყვებს, სა-

[19] გაზ. „ივერია“, 1899, № 55.
[20] ნ. ნ ი კ ო ლ ა ძ ე, თხზ. ტ. I, თბ., 1962, გვ. 265.

დაც საგნებს თავიანთი სახელები აქვთ შერქმეული, განმარტება და კომენტარები არ ესაჭიროება. მადაგასკარის ამბებისადმი მიძღვნილ წერილში ნ. ნიკოლაძე ევროპის კაპიტალისტური ქვეყნების პოლიტიკას აფრიკასა და მის მიღმა „ჯუნგლების კანონზე", უხეშ ძალადობაზე აგებულ პოლიტიკას უწოდებდა. ევროპის კაპიტალისტური სახელმწიფოები წერდა იგი, რომლებიც „სანაქებო ცივილიზაციით ბაქიობენ და თავისთვის დამოუკიდებლობას უაღრეს ბედნიერებად მიიჩნევენ, ზღვისიქითა ჩამორჩენილ ხალხებს, პირიქით თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას უსპობენ და სავსებით იმონებენ. ისინი ყოველ უკან ჩამორჩენილ, უძლურს ხალხს, ისე დაცქერიან როგორითაც ჩვენ თვითონ ცხვრის ფარას დავცქერით... როდი ჰგონიათ, რომ აფრიკელი ადამიანი ღვთისაგან დანაბადია, გრძნობის პატრონია, ტვინის მქონეა, რომ ბუნებას მისთვის ცხოვრების მადა გადაუყოლებია"[21].

1884 წლის დამლევს აფრიკაში „მოღვაწე" ევროპელმა მოძალადეებმა ბერლინში მოიწვიეს კონფერენცია, რომელიც 1885 წლის იანვარში განაგრძობდა მუშაობას. მისი ამოცანა იყო ამ მატერიკის დაყოფის თაობაზე მათ შორის წამოჭრილი დავის მოგვარება და უკვე განაწილებული და გაუნაწილებელი ტერიტორიების „ძმაბიჭური" განაწილება. ნ. ნიკოლაძე გამოეხმაურა აღნიშნული კონფერენციის საქმიანობას და მას მგლების თავყრილობა უწოდა. მისმა მონაწილეებმა, — სამართლიანად აღნიშნავდა ნ. ნიკოლაძე, — ზედმეტად ჩათვალეს კონფერენციაზე მოეწვიათ იმ სახელმწიფოთა წარმომადგენლები, რომელთა სუვერენიტეტსაც სპობდა ეს კრებაო". ამ კონფერენციამ — ის დედაარსი დაამყარა..., რომ საცა კი სადმე გაუნათლებელი ქვეყნები და ერნი იპოვება დედამიწის ზურგზე, ყველა ევროპელების ხვედრია, იმათი წერაა, ევროპელ სახელმწიფოებს უფლება აქვთ დაიპყრონ და გაანათლონ ისინი, რა სახითაც კი მოუხერხდებათ"[22].

„თეთრი რასის ადამიანის ტვირთის" ამ იმპერიალისტურ თეორიას, რომლის ძალითაც, ნ. ნიკოლაძისავე სიტყვებით რომ ვთქვათ: „... ცივილიზაციის სახელით და თვით ამ უბედურ ერთა სიკეთისათვის — ევროპამ ძალით უნდა შეიტანოს იმათ ქვეყანაში განათლება და წესიერება", რომ „... დაწინაურებულმა უკან ჩამორჩენილი უნდა დაიმონოს და ხრასო"[23]. იგი უწოდებს ცუდ მოძღვრებას, უსინდისოს, ველურს[24].

ნ. ნიკოლაძე მთელი არსებით გამოექომაგა მალაგასიელი ხალხის სამართლიან, განმათავისუფლებელ ბრძოლას, თუმცა გულისტკივილით აღნიშნა, თავიდან ფეხებამდე შეიარაღებულ ფრანგ კოლონიზატორებთან უთანასწორო ბრძოლაში მალაგასიელი ხალხის დროებითი დამარცხების ფაქტი, მაგრამ მან ნათელი რწმენა გამოთქვა ამ ხალხის უკეთესი მომავლისადმი. თუ საბერძნეთი, სერბია, ბულგარეთი, ბოჰემია, და სხვა მსგავსი ქვეყნები, წერდა ნ. ნიკოლაძე, რომელთაც უცხოელ დამპყრობელთა ასეული წლების მონობის უღელი გამოცადეს, არ დაღუპულან, შეძლეს ფეხზე წამოდგომა და ეროვნულ-

[21] ჟურნ. „მოამბე", 1894, № 12, გვ. 159—160.
[22] იქვე, გვ. 163.
[23] იქვე.
[24] იქვე; ნ. ნიკოლაძე, იაპონია, 1905, გვ. 19.
[25] ჟურნ. „მოამბე", 1894, № 12, გვ. 163.

მეობის მოპოვება, ისე მადაგასკარელი ხალხიც შეძლებს თავიდან მოიშოროს უცხოელთა მონობის უღელი და მოიპოვოს ეროვნული დამოუკიდებლობა[25].

ამბების შემდგომმა მსვლელობამ საესებით გაამართლა ნ. ნიკოლაძის ეს ვარაუდი. მალაგასიელმა ხალხმა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, მართლაც შეძლო ფრანგ კოლონიზატორთა მძიმე უღლისაგან განთავისუფლება და ეროვნული მეობის მოპოვება.

როგორც ცნობილია, აფრიკის კოლონიურ დაყოფაში სხვა ევროპელ კოლონიზატორებთან ერთად იტალიამაც მიიღო აქტიური მონაწილეობა. მან ჯერ მეწამულის ზღვის აფრიკულ სანაპიროზე მოიკიდა ფეხი, შემდეგ კი ხმელეთის სიღრმისაკენ წაიწია და ამ პლაცდარმიდან თავისი მტაცებლური თათები აფრიკის ერთ-ერთ ძველისძველ ქვეყანას — ქრისტიანულ ეთიოპიას წაუპოტინა. იტალიის მმართველი წრეები ვარაუდობდნენ, რომ ეთიოპიის წინააღმდეგობა, მისი მკვეთრი ჩამორჩენილობის გამო, სუსტი იქნებოდა და იტალია მალე შეასრულებდა თავის საწადელს — დაიმონებდა ამ ვრცელ, მდიდარ, დიდი სამხედრო-სტრატეგიული მნიშვნელობის მქონე ქვეყანას. მაგრამ ეთიოპიელი ხალხის გმირულმა წინააღმდეგობამ, მისმა მრავალწლიანმა განმათავისუფლებელმა ომმა ჩაშალა ეს ვარაუდი. 1896 წელს (1—2 მარტს) ადუასთან იტალიის არმიის მიერ განცდილმა კატასტროფამ საბოლოოდ ჯვარი დაუსვა იტალიელ კოლონიზატორთა მტაცებლურ გეგმას ეთიოპიის მიმართ.

ქართულმა პრესამ თავის ღვიძლ საქმედ მიიჩნია აქტიურად გამოხმაურებოდა ზემოაღნიშნული ამბების კომპლექსს და საქმის კურსში შეეყვანა მკითხველი მასა. მან სათანადო ცნობების მოთავსება დაიწყო ჯერ კიდევ 80-იანი წლების დამლევიდან, როცა იტალიამ პირველი აგრესული ნაბიჯი გადადგა ეთიოპიის წინააღმდეგ. მასალების თემატიკა გამრავალფეროვნდა 1895—1896 წლებში, კერძოდ, იტალიის მიერ ადუასთან განცდილი მარცხის მომენტისათვის. ამ დროისათვის თითქმის ყველა ქართული გაზეთი და ჟურნალი ბეჭდავს ცნობებს, როგორც აფრიკის ამ ნაწილში არსებული ვითარების, ისე იტალიის შესახებაც.

მოწინავე ქართული საზოგადოებრივი აზრი არ დაკმაყოფილდა მარტო იტალია-ეთიოპიის შორის საომარი ოპერაციების მიმოხილვით და საჭიროდ ჩათვალა, ვრცლად გაეცნო მკითხველი მასისათვის ეთიოპიის ისტორია, მისი ხალხის მოსაქმეობა, ადათ-ჩვეულებანი, უცხოელი მოძალადეების წინააღმდეგ ბრძოლის მდიდარი ტრადიციები, ქვეყნის ბუნებრივი პირობები და სხვ.

ეროვნული თვითმყოფობისათვის მებრძოლ საქართველოში მეტად ახლობელი იყო ეთიოპელი ხალხის დიდი პატრიოტიზმი და თავდადებული ბრძოლა სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის. ეთიოპელი ხალხისადმი ღრმა სიმპათიასა და თანაგრძნობას ჩვენში ისიც უწყობდა ხელს, რომ ეთიოპია აფრიკის ერთ-ერთი და ძველი კულტურის მქონე ქრისტიანული სახელმწიფო იყო, რომელსაც ყველა მომხდური მტრისა და აგრესორის წინააღმდეგ გმირული ბრძოლის მდიდარი ტრადიციები ჰქონდა. იგი ფაქტიურად ერთადერთი მოზრდილი აფრიკული ქვეყანა იყო, რომელმაც ამ კონტინენტის კოლონიური დაყოფის ეპოქაში გაუძლო მრავალ განსაცდელს და შეინარჩუნა ეროვნული დამოუკიდებლობა.

---

[25] ჟურნ. „მოაბე", 1894, № 12, გვ. 164.

ამიტომ იყო, რომ „ივერიამ“, „კვალმა“, ჟურნალმა „მოამბემ“ ზემოაღნიშნული ამბების მთელი კომპლექსი გააშუქეს ეთიოპელი ხალხის კეთილმოსურნისა და მეგობრის პოზიციებიდან. მათ საჯაროდ დაგმეს იტალიელი კოლონიზატორების არაპროვინცირებული აგრესია და დაუფარავი სიხარულით შეეგებნენ იტალიის აგრესიის სასტიკ მარცხსა და ეთიოპელი ხალხის გამარჯვებას[27]. ი. ჭავჭავაძე, რომელმაც ვრცლად გააშუქა ადუასთან მომხდარი ბრძოლის შედეგები, აღტაცებული წერდა: აბაშელების გამარჯვება, მერე რა გამარჯვება, სრული განადგურება ზედ მისეული მტრისა, პირველი მაგალითია, იმისა, რომ თავგასულ ევროპელებს ასე კარგად ასწავლეს ჭკუა“[28].

თოფ-იარაღში ჩამჯდარ იტალიელ კოლონიზატორებზე ეთიოპიელების გამარჯვებაში გადამწყვეტ როლს წერილის ავტორი სამშობლოსათვის მებრძოლთა ღრმა პატრიოტიზმსა და გმირობას აკუთვნებს“. ასეთი სასწაულ-მოქმედება, — წერს იგი, — შეუძლია სამშობლოს წმინდა სიყვარულს, რომელიც სუსტ და მხდალსაც გმირად და ვაჟკაცად გადააქცევს“[29].

1898 წელს, როცა „ივერიამ“ მკითხველებს გააცნო აფრიკის დაყოფის შედეგები, მან მოათავსა ი. ჭავჭავაძის წერილი „ახლო და შორის აღმოსავლეთის პოლიტიკის საკითხები“, რომელშიც ავტორი წერდა: „იტალიამაც მოინდომა წილი დაედო აფრიკის ახალ განაწილებაში, თუმცა ამ უკანასკნელის სიხარბეს კბილი მოსჭრა აბაშეთის ქვეყანამ და ადუაზე ომში კუდით ქვა ასროლინა“[30].

ასეთივე სულისკვეთებითაა გაჟღენთილი „კვალსა“ და „ივერიაში“ მოთავსებული საკმაოდ ვრცელი სხვა ცნობებიც, რომელთა აქ მოტანა ზედმეტად მიგვაჩნია.

XIX—XX საუკუნეების მიჯნაზე, როცა მსოფლიოს ყურადღების ცენტრში დადგა დიდი ბრიტანეთის იმპერიალისტური ომი ტრანსვაალისა და ორანჟის ბურების პატარა რესპუბლიკების წინააღმდეგ სამხრეთ აფრიკაში, ქართულმა პრესამ ერთხელ კიდევ გაამახვილა ყურადღება აფრიკის კონტინენტის ამბებისადმი. ამ ომის მიზეზების, მიმდინარეობის, ხასიათისა და შედეგების და მასთან დაკავშირებული ამბების დეტალურად გაშუქებასთან ერთად (რაც დამოუკიდებელი კვლევის საგანს წარმოადგენს) ქართულმა პერიოდიკამ ისევ მოუთხრო მკითხველ საზოგადოებას ინგლისისა და სხვა კოლონიზატორთა „ცივილიზატორული მისიის“ შესახებ აფრიკაში. ი. აღლაძემ, გ. ლასხიშვილმა, გ. წერეთელმა, ალ. მიქაბერიძემ და სხვებმა (ორიოდეს გამოკლებით) არა მარტო მართებულად მიუთითეს ბურების წინააღმდეგ წარმოებული ომის უსამართლო ხასიათზე; არამედ გამოამჟღავნეს მისი ნამდვილი მიზეზი. ი. აღლაძე „ივერიის“ 1899 წლის 223-ე ნომერში მოთავსებულ ერთ-ერთ წერილში სასაცილოდ იგდებს ინგლისის იმპერიალიზმის მესვეურთა მტკიცებას — თითქოს ინგლისის აფრიკაში მისვლის მიზანი იყო განათლებისა და ცივილიზაციის დანერგვა და ამ თვალსაზრისს იგი ჰოტენტოტების, ბუშმენებისა და ბანტუს ტომების მიმართ მათგან ჩადენილ სისხლიან ბოროტმოქმედებაზე მითითებით

[27] ეთიოპელი ხალხის განმათავისუფლებელი ბრძოლის ასახვა ქართულ პრესაში, სათანადო გამოხმაურების მრავალფეროვნების გამო, ცალკე თემის საგანს წარმოადგენს. აქ ჩვენ მხოლოდ ორიოდე ცნობის მოტანით დავკმაყოფილდებით.

[28] ჟურნ. „მოამბე“, 1896, № 2, გვ. 138.

[29] იქვე, გვ. 139.

[30] ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, საპოლიტიკო მიმოხილვა, თხზ. ტ. 9, გვ. 175.

აბათილებს. მას ეჭვი არ ეპარება, რომ ინგლისელთა „მოღვაწეობა“ სამხრეთ აფრიკაში და ბურების წინააღმდეგ წამოწყებული ომი ერთი მუჭა კაპიტალისტების ინტერესებს ემსახურება; იმ კაპიტალისტებისა, რომელთა მებაირახტრეებად ახალშენთა ახლანდელი მინისტრი ჩემბერლენი და ყველასათვის ცნობილი სესილ როდსია“[31].

„ივერია“ წერს: სამხრეთ აფრიკის წამოწყებული ომი მტაცებლური, ანტიხალხური ომია, იგი მძარცველ კაპიტალისტთა ინტერესებს ემსახურება, ჭეშმარიტი ცივილიზაციის ნაცვლად ინგლისელმა კოლონიზატორებმა სამხრეთ აფრიკაში ნამდვილი ჯოჯოხეთი შეუქმნეს აფრიკის მკვიდრ ზანგ მოსახლეობას, შემოიღეს რა ამ უბედურთათვის მონობა და მონური შრომა“[32].

პროგრესული ქართული საზოგადოების აზრის მესვეურებმა არა მარტო აღნიშნეს აფრიკის დანაწილების ფაქტი XIX ს-ის დამლევისათვის, არამედ მიუთითეს ამ ნიადაგზე ევროპის დიდ და პატარა ონავრებს შორის არსებულ მძაფრ ანტაგონიზმზე. აფრიკის კონტინენტში მათ სამართლიანად დაინახეს იმპერიალისტურ წინააღმდეგობათა ერთ-ერთი სერიოზული კვანძი, რომელიც ახალ საშიშ ფიცხ მასალას ამზადებდა ევროპის დიდი სახელმწიფოების ურთიერთობაში, ქმნიდა ლოკალური ომების რეალურ შესაძლებლობებს და ბიძგს აძლევდა ევროპაში დამკვიდრებული მილიტარიზმის შემდგომ ზრდას.

„ქსელი ევროპის დიდ სახელმწიფოთა ინტერესებისა. — წერდა ილია ფაშოდის კონფლიქტთან დაკავშირებით „ივერიის“ 1898 წლის 242-ე ნომერში, აქ, აფრიკაში, გაიბა დღეს და, არავინ იცის, დაპირისპირება და შეჯახება ამ ინტერესებისა რას მოავლენს მერმისს“[33]. „რაც უკანასკნელ ხანებამდე დიდთა სახელმწიფოთათვის ოსმალეთი იყო ევროპაში“, განაგრძობს საერთაშორისო წინააღმდეგობათა ახალ, რთულ ხლართებში ღრმად ჩახედული ილია, — ეხლა აფრიკაა“[34]... „აფრიკა შესაძლოა, გახდეს მიზეზად შუღლისა და ჩხუბისა, რადგან ნიადაგი ამისათვის უკვე აშლილია და მომზადებული“[35].

ჩვენი სამშობლოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მედროშეებმა ი. ჭავჭავაძემ, ნ. ნიკოლაძემ, ს. მესხმა, გ. წერეთელმა და სხვებმა, რომლებმაც ღრმა გულისტკივილით აღიქვეს ევროპელ კოლონიზატორთა ბატონობა და პარპაში აფრიკის მიწა-წყალზე XIX ს-ის დამლევისათვის, ალღოთი იგრძნეს „ახალი ქარის ქროლის“, უკეთესისაკენ მობრუნების პირველი სიმპტომები. მათ დაინახეს აფრიკისა და აღმოსავლეთის სხვა კოლონიური ხალხების ადამიანური ცხოვრებისათვის გამოღვიძების უტყუარი ნიშნები. „რაც XIX საუკუნე იყო დასავლეთისათვის, — წერდა გ. წერეთელი გაზეთ „კვალში“, — იგივე უნდა შეიქმნეს მეოცე საუკუნე აღმოსავლეთისათვის. ბოლოვდება ძველი ხანა უმოძრაობისა და უმოქმედობისა, მკვდარ-ცოცხლობისა, აღმოსავლეთში ამოაშუქა დილის ვარსკვლავმა, იფხიზლებენ აღმოსავლეთის ტომებიც“[36].

---

[31] გაზ. „ივერია“, 1899, № 223.

[32] იქვე, გვ. 132.

[33] ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, ახლო და შორი აღმოსავლეთის პოლიტიკის საკითხები. თხზ., ტ. 9., გვ. 175.

[34] იქვე.

[35] იქვე, გვ. 176.

[36] გ. წ ე რ ე თ ე ლ ი, წარსული წელი, „კვალი“, 1895, № 1.

შესანიშნავ წერილში „XIX საუკუნე“, რომელშიც მოცემულია განვლილი საუკუნის მნიშვნელობის სწორუპოვარი შეფასება, ი. ჭავჭავაძემ ხალხებისათვის სოციალურ და ეროვნულ-კოლონიური უღლის მძიმე ტვირთის მოხსნა XX ს-ის გადაუდებელ ამოცანად მიიჩნია. „ღღესა, — წერს იგი, — ღარიბსა და მდიდარს შორის, ძლიერსა და უძლურს შორის უფრო დიდი ზღვარი არის, ვიდრე ოდესმე ყოფილა, და აქ არის იგი სიმწვავე იმ ტკივილისა, რომლის მორჩენაც მეცხრამეტე საუკუნემ უანდერძა აწ მომავალ საუკუნეს“[37].

XIX ს-ის II ნახევრის მოწინავე ქართველი საზოგადოებრიობის გამოხმაურება აფრიკის კონტინენტის კოლონიური დაყოფისადმი (რომლის პოლიტიკური მრწამსი მკვეთრი ანტიკოლონიალიზმი, აფრიკის ბრძოლის წარმატების ნათელი რწმენა და იმპერიალისტ კოლონიზატორთა ძალმომრეობის სამარცხვინო ბოძზე გაკვრა იყო, დღემდე არ დაუკარგავს შემეცნებითი ღირებულება და აქტუალობა. იგი უშუალოდ ეხმაურება თანადროულობას და შიგ შუბლში ურტყამს ძველი და ახალი კოლონიალიზმის ძალებს, აფრიკაში მოკალათებულ თეთრკანიან რასისტებს და მათ საზღვარგარეთელ მფარველებს, იგი საბრალდებულო დასკვნად გაისმის ყველა იმათ მიმართ, რომლებიც ცდილობენ აფრიკის ხალხთა მეგობრებად გაასაღონ საერთაშორისო მონოპოლიები და მათი მხარდამჭერი მთავრობები, დღემდე მფარველობენ გენეოციდისა და უხეში დისკრიმინაციის რასისტულ პოლიტიკას სამხრეთ აფრიკაში და ათასგვარი ოინებით ხელს უშლიან ეროვნული სუვერენიტეტის გზაზე დამდგარი ქვეყნების ეროვნულ აღორძინებას. ეს გამოხმაურება ერთხელ კიდევ მკაფიოდ ნათელყოფს მაშინდელი პროგრესული ქართველი საზოგადოებრიობისა და მისი სულისკვეთების გამომხატველი ეროვნული პრესის მაღალ იდეურ-პოლიტიკურ დონეს, მის მიერ ეპოქის მაჯისცემისა და მოწინავე იდეების მოწოდების სიმაღლეზე დგომას. აფრიკის კონტინენტზე მოკალათებულ დიდ და პატარა იმპერიალისტ მტაცებელთა მოღვაწეობისათვის ნიღბის ჩამოხსნით, ისტორიის სამსჯავროზე გამოტანით და მკაცრი დაგმობით ქართულმა პრესამ ერთხელ კიდევ დიდი პატრიოტული და საგანმანათლებლო მისია შეასრულა. მან კიდევ უფრო გააღვივა მკითხველ საზოგადოებაში ფეხმოკიდებული ეროვნულ-განმათავისუფლებელი სულისკვეთება და ბიძგი მისცა ქართველი ხალხის იდეურ-პოლიტიკურ მომწიფებასა და პატრიოტულ აღზრდას.

---

[37] ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზ. ტ. 5, გვ. 7—9; ჯერჯერობით კი, განაგრძობს ილია, იმით უნდა ეინუგეშოთ, რომ როგორც „ეხლანდელმა ომმა ინგლისისამ და ტრანსვაალისამ — ცხადი მაგალითი გვიჩვენა, რომ კაცობრიობა ჰთაკილობს ძლიერისაგან უძლურზე ზედმისვლას, თავდასხმას და მისთანა უსამართლო მოქმედებას, თავის სამართლიან მსჯავრსა სდებს წყრომისას და რისხვისას“ (იქვე, გვ. 8).

გურამ მეტრეველი

რაჭის საერისთავო XVIII საუკუნის მეორე ნახევარში

ისტორიულ წყაროებში რაჭის საერისთავოს შესახებ ერთობ მწირი ცნობებია დაცული. მხოლოდ ვახუშტი ბაგრატიონს აქვს ზუსტი ისტორიული ცნობა რაჭის საზღვრების შესახებ[1].

XVIII ს-ის მეორე ნახევარში იმერეთის სამეფოში რაჭის საერისთავო თავისებურ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულს შეადგენდა, სადაც მხარის გამგებელი ერისთავი იყო. საერისთავოს საკმაოდ ვრცელი ტერიტორია ეჭირა. იგი მოქცეული იყო კავკასიონის ქედის, სვანეთის, საწერეთლოს, ოკრიბასა და ლეჩხუმს შორის. სწორედ ასეთი ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობის გამო სამხედრო-სტრატეგიული თვალსაზრისით საერისთავოს განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა.

ისტორიულად იმერეთის მეფესა და რაჭის საერისთავოს შორის ხშირი მტრობა იყო. რაჭის ერისთავებსა და იმერეთის მეფეების ბრძოლის ძირითად მიზეზს წარმოადგენდა ერისთავების ლტოლვა დამოუკიდებლობისაკენ, რასაც იმერეთის მეფენი ვერ ურიგდებოდნენ.

ფეოდალურ საქართველოში ყველა ერისთავი (ბუნებრივია, რაჭის ერისთავი გამონაკლისს არ წარმოადგენდა) თავის „კუთვნილ“ საერისთავოს საშვილიშვილოდ ეჭიდებოდა. მეფის ჩარევას „შინაურ საქმეებში“ მტრულად ხვდებოდა. „მეფე კი არ ცნობდა ერისთავის მემკვიდრეობას საერისთავოზე და ამ მოხელის დასმა-გადაყენებას საკუთარ უფლებად თვლიდა. ამ ნიადაგზე ერისთავსა და მეფეს შორის დაუნდობელი ბრძოლა იყო გაჩაღებული, სადაც ხან ერთი და ხან მეორე მხარე იმარჯვებდა“[2]. იშვიათი იყო შემთხვევა, როცა მეფე ერეოდა საერისთავოს შინაურ საქმეებში და თავისი ნებით ნიშნავდა ერისთავს. ეს იმ დროს ხდებოდა, როცა მეფე დაიმორჩილებდა განდგომილ თავადსა და მის მაგივრად თავის „ერთგულ კაცს“ დასვამდა დამარცხებული ერისთავის საგვარეულოდან.

გვიანფეოდალურ დასავლეთ საქართველოში საერისთავოს თუ სათავადოს გამგებელს მეფე არ ნიშნავდა. მას, როგორც წესი, საგვარეულოს სახლიკაცები ირჩევდნენ, სადაც არჩეული უეჭველად გვარის უფროსი უნდა ყოფილიყო[3].

---

[1] ვახუშტი გვაუწყებს: „რამეთუ მზღვრის რაჭას: აღმოსავლით კუდაროსა, წონისა და ფაწის მდინარის შორისი მთა, და კავკასი კედელა, და მუნიდამ ჩრდილოთ წარსული კავკასივე, ვიდრე დიგორის კავკასამდე, რაჭა გლოლასა და ყღელეს შორისი; სამფრით წონიდამ წამოსული მთა დასავლეთად აღმოსავლეთიდამ, ვიდრე არპანისა და ღნორამდე, გაჭრილი რიონისაგან მუნ. და მთასა ამას საერთოდ უწოდებენ რაჭის მთას“ (იხ. ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, IV, სიმ. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი ს გამოცემა, თბ., 1973, გვ. 769).

[2] საქართველოს ისტორია, დამხმარე სახელმძღვანელო, თბ., 1958, გვ. 170.

[3] ო. ს ო ს ე ლ ი ა, ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს ისტორიიდან, თბ., 1966, გვ. 174.

ასე იყო რაჭაშიც. ერისთავის „საერთო განაწესს“ თვით ერისთავი განაგებდა. ერისთავობა კი მემკვიდრეობით მამიდან უფროს შვილზე გადადიოდა. XVIII ს-ის მეორე ნახევარში რაჭის საერისთავოში ეს ტრადიცია ნაწილობრივ დაირღვა. გრიგოლ რაჭის ერისთავის (1732—1743) შემდეგ მისი მომდევნო ძმა — ვახტანგი გაერისთავდა, ხოლო ვახტანგის შემდეგ უმცროსი ძმა — როსტომი. როგორც ჩვეულებრივ ფეოდალურ საქართველოში, აქაც საერისთავოს თავისი „სახლის რიგი“ ჰქონდა, სადაც მტკიცედ იყო განსაზღვრული სახლიკაცთა უფლება-მოვალეობანი. აღმოსავლეთ საქართველოში „სახლის რიგს“ მეფე უბოძებდა, დასავლეთ საქართველოში კი პირიქით, „თავის წესს“ ერისთავი თვითონ განსაზღვრავდა. ეს ფაქტი კარგად ჩანს 1793 წელს საწერეთლოს უფროსის — ზურაბ წერეთლის მიერ შედგენილ წიგნში, სადაც მოცემულია „სასახლის რიგის“ ყველა წვრილმანი[4].

რაჭის საერისთავოში ამა თუ იმ მოხელის დანიშვნა-გადაყენება ერისთავის კომპეტენციაში შედიოდა. იგი იყო საერისთავოს სარდალი, უზენაესი მსაჯული, „გასაცემი“ და „წასახდენი“ მას ეკუთვნოდა. მთელი სამოსახლეო აპარატი ერისთავს ემორჩილებოდა. მართალია, ერისთავი ვალდებული იყო ნაწილობრივ გადაეხადა მეფისათვის ე. წ. „სახელმწიფო ანუ სამეფო“ გადასახადი (საური, საუდიერო, საბალახე, ნახირისთავი, პირისთავი, საბაზიერო, საჯინიბო, კოდის პური; დაზიანებული ციხეების, გზების შეკეთება და სხვ.), მაგრამ ერისთავი (ყველგან ვგულისხმობთ როსტომ რაჭის ერისთავს) იბრძოდა საგადასახადო შეუვალობისათვის და ამ ბრძოლაში იგი ხშირად გამარჯვებული გამოდიოდა. ჩვენი აზრით, სწორედ ფეოდალური იმუნიტეტი განსაზღვრავდა როსტომ რაჭის ერისთავისა და სოლომონ I ურთიერთშორის ბრძოლის ნამდვილ ხასიათს.

იმერეთის სამეფოში „სამეფო გადასახადი“ ძირითადად საური და საუდიერო იყო. ძლიერი ერისთავი გადასახადებს თავის სასარგებლოდ ჰკრეფდა[5]. ყოველივე ეს მეფის უკმაყოფილებას იწვევდა და სოლომონ პირველი იძულებული იყო გარკვეული ხნით „დათმობაზე“ წასულიყო, რაც სამეფო ხელისუფლების სისუსტით აიხსნებოდა.

რაჭის ერისთავები შოშიტა III (1696—1731) და მისი შვილები: გრიგოლი (1732—1743), ვახტანგი (1743—1749), როსტომი (1749—1769), აგრეთვე, გურიისა და ოდიშის მთავრები, იმერეთის სამეფოს ზოგიერთი დიდებული (არგვეთის მფლობელი ლევან აბაშიძე და სხვ.) ხშირად ერთად გამოდიოდნენ და თავის სურვილისამებრ წყვეტდნენ იმერეთის ტახტზე მეფის ყოფნა-არყოფნის საკითხს. შოშიტა ერისთავმა „დაიპყრა უმეტესად კვალად რაჭა და... იყოფოდა თვისად“[6]. გაძლიერებული როსტომ ერისთავი თავის თავს „რაჭის მპყრობელ ერისთავს“[7] უწოდებდა. ცენტრალური ხელისუფლებისათვის დაუცხრომელმა მებრძოლმა სოლომონ I ხელი მიჰყო თავადების მიერ მიტაცებულ საგადასახადო შეუვალობის გაუქმებას, დაიმორჩილა გადამდგარი თავადები, მათი მამულების გარკვეული ნაწილი მიიერთა, მაგრამ მისი ძლიერების ხანამ რაღაც სამ

[4] მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 31, თბ., 1954, გვ. 187—190.

[5] ო. სოსელია, ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს ისტორიიდან, გვ. 144, 149.

[6] დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები, I, ს. კაკაბაძის გამოცემა, თბ., 1921, გვ. 149.

[7] დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები, გვ. 150.

ათეულ წელს გასტანა. სოლომონის გარდაცვალების (1784) შემდეგ სათავადოებმა (მეტ-ნაკლებად) კვლავ მოიპოვეს დაკარგული იმუნიტეტი.

რაჭის საერისთავოს შეუვალობის მტკიცე საფუძველი არ გააჩნდა. ეს არ იყო მეფის სიგელზე დაფუძნებული იმუნიტეტი, რომელსაც შეეძლო გარკვეული ხნით არსებობის უფლება შეენარჩუნებინა. რაჭის საერისთავო ძლიერი ერისთავის სიცოცხლით ცხოვრობდა... საკმარისი იყო სოლომონ I დაემარცხებინა როსტომ ერისთავი, რომ რაჭის საერისთავოსაც არსებობა შეეწყვიტა...

როსტომ ერისთავი ყოველგვარ საშინაო თუ საგარეო ურთიერთობას თვითონ აწესრიგებდა. იგი კავშირს ამყარებდა იმერეთისა და ქართლ-კახეთის მეფეებთან, დვალეთის ოსებთან, დას. საქართველოს მთავრებთან (გურიელი, დადიანი) და დიდებულებთან (არაგვეთის მფლობელი ლევან აბაშიძე და სხვ.). ერისთავი იყო სრულუფლებიანი „გამგებელი თავის კუთხისა". ერისთავს ჰქონდა პირადი და საერისთავო ქონება: სახნავ-სათესი, ბაღ-ვენახები, ტყეები, საძოვრები, მდინარეები, ეკლესია-მონასტრები, ციხეები[8], საბაჟოები, საძვალე (ბარაკონის ეკლესია, სოფ. წესთან), წისქვილები, საფეიქრო-სამღებრო და ტყვია-წამლის დამამზადებელი საწარმოები და სხვ. ერისთვისშვილებს (როსტომ ერისთავს შვიდი ვაჟი — გიორგი, ბარძიმი, მეთოდე, მამუკა, ნიკოლოზი, იოანე, დიმიტრი და ოთხი ასული — ანა, მელანია, ეფემია და დარია (დარეჯანი) ჰყავდა, (ეს უკანასკნელი დაიბადა 1779 წელს, როსტომ ერისთავის დაბრმავების შემდეგ და ცოლად ჰყავდა სოლომონ პირველის შვილიშვილს — გიორგი ბატონიშვილს). თავის მხრივ პირადი საოჯახო „სათავისთავო" ქონება ჰქონდათ (მზითევი, ნასყიდი და სხვ.). საერისთავოს საერთო შემოსავლის გარკვეული ნაწილი საგარეო ხარჯებს ხმარდებოდა. დანარჩენი კი ნაწილდებოდა საერისთავოს სახლიკაცებს შორის. საერისთავოში (შესაძლოა, იმერეთის ყველა სათავადოში. — **გ. ბ.**) პირადი ქონება ე. წ. „სათავისთავო" ხშირად განუყოფელი საერთო ქონების ხარჯზე იზრდებოდა, რაც სახლიკაცებს შორის მუდმივ დავასა და ჩხუბს იწვევდა. მხოლოდ საერისთავოს უფროსს შეეძლო ადგილ-მამულის „ჩუქება", „ყაცის აყრა". მართალია, ამას ერისთავი ერთპიროვნულად წყვეტდა, მაგრამ ისე, რომ „სასახლის რიგს" და, მეტწილად, სახლიკაცების რჩევას გვერდს ვერ აუვლიდა. ერისთავთან უნდა არსებულიყო სათათბირო ორგანო. ე. წ. „მცირე დარბაზი". მას, როგორც ჩანს, სხვა სამეფო-სამთავროების მსგავსად, დარბაზის იერსახე უნდა ჰქონოდა. საერისთავოს საბუთებში აქა-იქ გვხვდება გამოთქმები „დარბაისელნი", „დარბაზის ერნი". როსტომ ერისთავი ერთ თავის წყალობის წიგნში მოწმეებად ასახელებს თავის ძმას ბესარიონ კათალიკოსს, ბიძას ლომინის, ძმისწულებსა და სხვა დარბაისელთ, ერთობით... „იაშვილი, ჯაფარიძენი, გოცირიძენი, გამყრელიძენი და ყოველნი მოძმენი სახლისა ჩვენისანი"[9]. როსტომ ერისთავი ძირითადად ეყრდნობოდა ჯაფარიძეების გვარს. ისინი მრავლად ჰყავდა სამოხელეო აპარატში, სხვადასხვა თანამდებობაზე და ყველაზე მეტად მათ ენდობოდა. თაყა ჯაფარიძის შვილები როსტომის ერთგულები იყვნენ. ეს ფაქტი კარგად ჩანს ბესარიონ კათალიკოსის მიერ გაცემულ იმედის წიგნში ვახტანგ ჯაფარიძისად-

[8] რაჭის საერისთავო ციხე-კოშკებით კარგად გამაგრებული კუთხე იყო. ხიდი კართან (დღემდეა შემორჩენილი) მდ. რიონის გაღმა-გამოღმა მხარეს კლდეებზე მიშენებული სადარაჯო კოშკები, მტრისათვის მიუვალ სიმაგრედ იყო ქცეული.

[9] ქუთაისის მუზ. საბ. № 115.

მი „იმედის წიგნი დაგიწერეთ და მოგეცით თქვენ ჯაფარიძეს, ჩვენს ერთგულს თაყაა შვილს ვახტანგს, სოფრომს და რომელიც ჩემი ძმის (როსტომ ერისთავის. — **გ. მ.**) ერთგული იყოს, მის შვილებს, რომელიც ერთგული იყოს, ქაიხოსროს შვილებს (იგულისხმებიან პაპუნა და ზურაბი. — **გ. მ.**) ამა პირსა ზედან, რომე ჟამთა ვითარებისაგან ჩემს ძმას ერისთავს როსტომსა და თქვენს შუა ცოტა რამ გულისტკენა ჩამოვარდა, მერმე ჩვენის ბრძანებითა და შუამდგომლობით გაგარიგეთ და შეგაერთეთ“[10]. თაყა ჯაფარიძის შვილის მიმართ როსტომ ერისთავის „ცოტა რამ გულისტკენა“, შესაძლოა, გამოწვეული იყო იმით, რომ სოლომონ I მომხრე წერეთლებმა (ქაიხოსრო, პაპუნა, ზურაბი) როსტომის ერთგულ ჯაფარიძეებზე ზეგავლენა მოახდინეს, რადგან ჯაფარიძეები და წერეთლები ნათესაურ კავშირში იყვნენ ერთმანეთთან[11] და ამდენად, როსტომ ერისთავის წინააღმდეგ მოქმედება წერეთლების მხრიდან გამორიცხული არ უნდა ყოფილიყო.

XVIII ს-ის მეორე ნახევარში რაჭის საერისთავოში შემდეგი სამოხელეო თანამდებობები გვხვდება: მ ო რ დ ა ლ ი, კ ა რ ი ს კ ა ც ი, მ ო უ რ ა ვ ი, ხ ე ლ ო ს ა ნ ი, მ დ ი ვ ა ნ ი, მ დ ი ვ ა ნ - მ წ ი გ ნ ო ბ ა რ ი, მ ა მ ა ს ა ხ ლ ი ს ი[12].

მ ო რ დ ა ლ ი, რამდენადაც ვიცით, მხოლოდ რაჭის საერისთავოში გვხვდება (მხედველობაში გვაქვს იმერეთის სხვა სათავადოები: საობაშიო, საწერეთლო, სააგიაშვილო და სხვ.). როსტომ ერისთავის 1750—1769 წყალობის წიგნის მიხედვით ვახტანგ VI „დასტურლამალის“ მსგავსად „მურდარი“ (იგივე მორდალი) ბეჭდის შემნახველი, დამსმელი იყო. 50—60-იან წლებში როსტომ ერისთავის სიგელებში „მდივან-მწიგნობრად“ და მწიგნობარ-მდივნად მოხსენიებულია ონოფრე ჯაფარიძე[13]. 1768 წ. 28 იანვარს როსტომის წყალობის სიგელში მერაბ ჯაფარიძისადმი, დამოწმებულია კარის მწირველი და მდივანი ონოფრე ჯაფარიძე[14]. კ ა რ ი ს კ ა ც ი გვხვდება როსტომ ერისთავის 1754 წლის შეწირულობის წიგნში. ამ საბუთში იგი მოწმედ იხსენიებს თავის კარისკაცს ელიზბარ ჯაფარიძეს. მ ო უ რ ა ვ ი, „მმართველი დიდთა და მცირეთა ადგილთა“[15]. რაჭის საერისთავოში ერისთავის მიერ დანიშნული მოურავი რომელიმე მიჩენილ კუთხეს, ერთ ან ორ სოფელს განაგებდა. მაგ., ზემო რაჭის სოფლების — ღებისა და გლოლის მოურავად ჯაფარიძე იყო. ხ ე ლ ო ს ა ნ ი, როგორც ჩანს, საერისთავოში აზნაურთა კატეგორიას მიეკუთვნებოდა, საბუთებში ისინი უბრალო მოწმეებად არიან დასახელებულნი. მ ა მ ა ს ა ხ ლ ი ს მხოლოდ რაჭის საერისთავოსა და აბაშიძეების სათავადოში ვხვდებით[15]. 1790 წელს როსტომ ერისთავის შვილი — მეთოდე თავის წყალობის წიგნში მიმართავს თავის ყმასა და ერთგულს გრიგოლ ხმიადაშვილს: „ასე, რომ შენი უღონობითა და მარტოობით მ ა მ ა ს ა ხ ლ ი ს ო ბ ა გამოგართვი და ღმერთმა არ ინება ახლა ისევ შენთვის გვიბოძებიაო[16].

---

[10] ისტორიული დოკუმენტები იმერეთის სამეფოსა და გურია-ოდიშის სამთავროებისა (1466—1770 წწ.), შ. ბ უ რ ჯ ა ნ ა ძ ი ს გამოცემა, თბ., 1959, გვ. 117.

[11] ქაიხოსრო წერეთელს ცოლად ჰყავდა ჯაფარიძეების ასული — თამარი (იხ. სოლომონ I 1767 წ. წყალობის წიგნი მარიამ ჯაფარიძისადმი, ისტ. დოკ. გვ. 113).

[12] იხ. ო. ს ო ს ე ლ ი ა, ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს ისტორიიდან; გვ. 204.

[13] ისტ. დოკ. იმერეთის სამეფოსა და გურია-ოდიშის სამთავროებისა..., გვ. 114.

[14] იქვე, გვ. 179.

[15] მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის.., გვ. 438.

[16] იქვე, გვ. 184.

რაჭის საერისთავო იმერეთის სამეფოს მესამე სადროშოდ ითვლებოდა (ოდიშისა და გურიის სამთავროების შემდეგ). სადროშო, როგორც წესი, სამეფოს შიგნით გარკვეულ სამხედრო-ტერიტორიულ ერთეულს გულისხმობდა. ძველად, როდესაც საქართველო ერთ მთლიან ორგანიზმს წარმოადგენდა, ვახუშტის ცნობით, ქვეყანა ოთხ სადროშოდ იყო გაყოფილი, რომელსაც თემობრივ-ტერიტორიული პრინციპი ჰქონდა საფუძვლად დადებული. ხოლო, როცა ერთიანი საქართველო ცალკეულ სამეფო-სამთავროებად დაიყო და დაიშალა (XV ს-ის მეორე ნახევარი), ამა თუ იმ მხარის სადროშოებმაც (მეტ-ნაკლებად), პირვანდელი სადროშოების იერსახე შეინარჩუნეს. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, როსტომ ერისთავი საერისთავოს ჯარის სარდლად ითვლებოდა. მას 5 ათასამდე კარგად შეიარაღებული ჯარის გამოყვანა შეეძლო. გერმანელი მოგზაური კ. რომელი ამის შესახებ ასეთ ცნობას გვაწვდის: ჩრდილოეთით (ე. ი. იმერეთის. — **გ. მ.**) მდებარეობს რაჭა, მთავარი ოლქი, რომელსაც ხუთი ათასი ბრძოლისუნარიანი კაცის გამოყვანა შეუძლია"[17]. ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ როსტომი მის წინაპარ ერისთავებს შორის ყველაზე ძლიერი და გავლენიანი იყო. რუსეთის სამეფო კარზე იგი იმერეთის მეფისაგან დამოუკიდებელ ფეოდალად მიაჩნდათ. რუსეთის იმპერატორი ეკატერინე II (1762—1796), როსტომ ერისთავს იმერეთის მეფის სოლომონ I, დადიანისა და გურიელის გვერდით იხსენიებს[18]. „ერისთავის კარი კულტურის თავისებურ კერას წარმოადგენდა რაჭაში. როსტომი თავის დროის მიხედვით განსწავლული თავადი იყო. ზეპირად იცოდა სახარება და „ვეფხისტყაოსანი"[19].

ფეოდალურ საქართველოში ერისთავის სიძლიერე მამულის სიდიდეზე და გაუყოფლობაზე იყო დამოკიდებული. „მამულნი სასაფლაონი მათნი აჩენენ მასვე ყოფასა"[20]. როსტომ ერისთავი, როგორც წესი, თავის საერისთავოს ძირითადად სხვისი მიწების მიტაცების ხარჯზე აფართოებდა. გულზვიად ერისთავს განსაკუთრებით წერეთლების მამულისაკენ ეჭირა თვალი. წერეთლებს მამულები ქართლშიაც ჰქონდათ და რაჭაშიც[21]. აღზევებულმა ერისთავმა ჯრუჭის ხეობა (თავისი შესანიშნავი მონასტრით) ხანგრძლივი ბრძოლის შემდეგ წაართვა წერეთლებს[22], რითაც სამუდამოდ გადაიმტერა იმერეთის სამეფოს ეს ძლიერი გვარი. წერეთლები ისედაც კარგ ურთიერთობაში იყვნენ მეფესთან ამის შემდეგ კი, რა თქმა უნდა, კიდევ უფრო დაუახლოვდნენ სამეფო კარს. ამ სიახლოვემ გარკვეული როლი შეასრულა როსტომ ერისთავის საბოლოოდ დამარცხებაში. როსტომი ისე გაიტაცა საერისთავოს გაფართოების სურვილმა,

---

[17] K. Rommel, Die vôlker des kaukasus, Weimar, 1808, თარგმანი ნ. გიოშვილისა, გვ. 17.

[18] Грамоты..., გვ. 830.

[19] ო. სოსელია, ნარკვევები ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს სოციალ-პოლიტიკური ისტორიიდან, 1973, გვ. 83; იხ. აგრეთვე, ო. სოსელია, ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს ისტორიიდან, გვ. 193.

[20] ვახუშტი, საქართველოს ცხოვრება, ზ. ჭიჭინაძის გამოცემა, თბ., 1913, გვ. 42.

[21] ო. სოსელია, ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს ისტორიიდან, გვ. 170.

[22] წერეთლებმა დახმარებისათვის სოლომონ მეფეს მიმართეს, რათა მათთვის დაებრუნებინა როსტომ ერისთავის მიერ მიტაცებული ჯრუჭის ტაძარი. მეფე „საქმეში ჩაერია", სადავოდ გამხდარი ჯრუჭის ტაძარი როსტომს წაართვა და თვითონ მიისაკუთრა. შესაძლებელია მეფის ეს ნაბიჯი გონიერული იყო. მან თავისი ჩარევით საბოლოოდ „გააშველა", იმერეთს სამეფოს ორი უძლიერესი ფეოდალი. მაგრამ ერთიცა და მეორეც მეფის ამ მოულოდნელი გადაწყვეტილებით უკმაყოფილო დარჩა, განსაკუთრებით როსტომ ერისთავი.

აღარც საკუთარი ყმა პაატა წულუკიძე დაინდო და „დაიპყრნა ყოველნი საწულუკიძეო მამული სოფელ-ციხესიმაგრენი სათავისთავოდ, საწულუკიძეო სრულიად აღხოცა და ნაცვლად მისა დასდვა სახელად სარაჭისერისთავო“. ამ აქტით ერისთავმა გაძლიერების მაგივრად თავი დაისუსტა სოლომონის წინააღმდეგ ბრძოლაში[24].

იმერეთის მეფე სოლომონ I (1752—1784) მამისაგან (ალექსანდრე V, 1721—1751) დატოვებული სამეფო არც თუ ისე „დალაგებულ-დამშვიდებული“ დახვდა. სხვა მრავალ საკითხთან ერთად ჭაბუკი მეფის პირველ საზრუნავს ქვეყნის შიგნით გამეფებული ტყვეთა სყიდვის სამუდამო აკრძალვა წარმოადგენდა. სოლომონმა თავისი მოღვაწეობა, სწორედ მაჰმადიანობის გავრცელებასა და ტყვეთა სყიდვის წინააღმდეგ ბრძოლით დაიწყო. მეფემ ამით მტკიცე იდეური დასაყრდენი შექმნა. „ის ქართველობისათვის ბრძოლის მეთაურად გამოდიოდა“[25]. იმერეთის სამეფო კარზე საბოლოოდ მომწიფდა აზრი ტყვეთა სყიდვის აკრძალვის შესახებ. ამას თან დაერთო ახალციხის ფაშას მეტად გამომწვევი სიტყვები: „ტყვეს თუ არ გაყიდი, არ იქნება. „როგორც ჩანს, ფაშას სიტყვებმა (უფრო კი სოლომონის გაბედულმა პოლიტიკამ) იმერეთის სამეფოს საერო და სასულიერო პირებს ეროვნული თვითშეგნება გაუღვივა: „ასეთი რამ აღარ ისმინება; ეს საქმე ჩვენგან აღარ იქმნეს, არც ამაში ერთმანეთს უსუსტოთ, ვიქმნეთ სოლომონ მეფის მორჩილი და ბრძანების აღმსრულებელი“[26].

1759 წ. დეკემბერში იმერეთის მეფემ დასავლეთ საქართველოს საერო და საეკლესიო დიდებულების კრება მოიწვია. კრების ყველაზე მნიშვნელოვანი დადგენილება იყო ქვეყანაში ტყვეთა სყიდვის აკრძალვა. აღსანიშნავია, რომ ამ კრებაზე მეფე მთელი დასავლეთ საქართველოს საერთო საქმეებში ხელმწიფედ გამოდიოდა, ხოლო მთავრები და ერისთავები (დადიანი, გურიელი, რაჭის ერისთავი) მისი მორჩილნი და ბრძანების აღმსრულებელნი იყვნენ. ეს კრება დასავლეთ საქართველოს მოწინავე ფეოდალური საზოგადოების დიდი გამარჯვება იყო.

მეორე საკითხი იყო მოძალადე ოსმალების განდევნა დასავლეთ საქართველოს ციხესიმაგრეებიდან. სოლომონს კარგად ესმოდა, რომ მაჰმადიანი ურჯულოების წინააღმდეგ ბრძოლა ხანგრძლივი და შეუპოვარი იქნებოდა. საჭირო იყო ქვეყნის შიგნით ერთიანი, მტკიცე პოლიტიკის გატარება. დაქსაქსული წვრილ-წვრილი სათავადოების გაერთიანება, ერთი მფლობელის ხელში. სოლომონ I მოხერხებული პოლიტიკით ნელ-ნელა მიიმხრო უძლიერესი ფეოდალები — მამია გურიელი და ოტია დადიანი. ამ შეთანხმებით მეფემ ნიადაგი გამოაცალა შეურიგებელ მოწინააღმდეგეებს, არგვეთის მფლობელ ლევან აბაშიძეს და როსტომ რაჭის ერისთავს.

როსტომ ერისთავი ჯერ კიდევ სოლომონის მამის — ალექსანდრე V დროს ცდილობდა ოსმალეთის იმპერიის „მფარველი ხელი“ თავისი მიზნებისათვის გამოეყენებინა, რასაც ხშირად წარმატებით აღწევდა კიდეც. აღზეებული

---

[23] ქუთაისის მუზ. საბ. № 706.

[24] იქვე, სოლომონ I სიგელი ბერა და გიორგი წულუკიძეებისადმი. საერთოდ, სოლომონს წულუკიძეთა გვარი, ეანსაკუთრებით მისი მეფობის ბოლო პერიოდში, დიდ პატივში ჰყავდა.

[25] ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, II, თბ., 1965, გვ. 215.

[26] გელათის გულანის კინკლოსის ქრონიკალური მინაწერებიდან.

ფეოდალის მიზანი ნათელი იყო. მტრის დახმარებით საერისთავოს გაფართოება-ხელშეუხებლობა და ლტოლვა დამოუკიდებლობისაკენ. როსტომი არც პირველი ყოფილა და არც უკანასკნელი. ერისთავის განდიდება და მეფისაგან განდგომა ფეოდალურ ეპოქაში ჩვეულებრივი მოვლენა იყო. რა თქმა უნდა, ყოველივე ეს მეფის ხელისუფლებას აუძლურებდა და ამდენად ამა თუ იმ ერისთავის (ამ შემთხვევაში როსტომის) მოქმედება გაერთიანების გზაზე დამდგარი იმერეთის სამეფოსათვის საზიანო იყო. ერისთავის გამოსვლა მეფის წინააღმდეგ მით უფრო ძლიერი იყო თუ კი ის ერთიანი ფრონტით (გურიელი, დადიანი, ლევან აბაშიძე, ახალციხის ფაშა) იბრძოდა. როსტომ ერისთავი უფრო ხშირად სოლომონ I პოლიტიკით უკმაყოფილო ახალციხის ფაშას წისქვილზე ასხამდა წყალს. ოსმალებმა მისი და ლევან აბაშიძის დახმარებით მტკიცედ მოიკიდეს ფეხი დასავლეთ საქართველოში. განდგომილი თავადები ცდილობდნენ ოსმალეთის სულთნის — მუსტაფა III (1757—1773/4) „დახმარებით" კიდევ უფრო განევრცოთ და განემტკიცებინათ საკუთარი ფეოდალური იმუნიტეტი. თავის მხრივ ოსმალეთის სულთანი ახალციხის ფაშას საშუალებით როსტომ ერისთავსა და ლევან აბაშიძეს აიმედებდა, სოლომონის ტახტიდან გადმოგდების შემდეგ, იმერეთის სამეფოს თანაბრად გაგიყოფთო[27]. სამაგიეროდ ცბიერი ფაშა ქვეყნის მოღალატე თავადებისაგან მოითხოვდა დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის (კერძოდ, იმერეთის) გარკვეული ნაწილის, გამაჰმადიანებას. იმერეთის სამეფოს ძირითად პუნქტებში (ქუთაისი, შორაპანი, ბაღდადი, რაჭის საერისთავოში — ონსა და ამბროლაურში, ნიკორწმინდის ტაძრის გვერდით)[28] მეჩეთების აშენებას.

როსტომ ერისთავს მეფის წინააღმდეგ ბრძოლაში ყოველთვის მხარში ედგა ლევან აბაშიძე. არგვეთის მფლობელი ნათესაურ კავშირში იყო რაჭის საერისთავო სახლთან „.... ვინაიდან ლეონ იყო დედით ძმა ერისთავისა"[29] (იგულისხმება როსტომის მამა — შოშიტა III) განდიდებულმა თავადებმა (როსტომ ერისთავი, ლევან აბაშიძე) ახალციხის ფაშას დახმარებით ახლად გამეფებულ სოლომონ I „საკუთარი ძალა" აგრძნობინეს და 1752 წელს ჭაბუკი მეფე ტახტიდან ჩამოაგდეს. პაპუნა ორბელიანი ასე აგვიწერს ამ ამბავს: „რაჭის ერისთავი (როსტომი) და ლევან აბაშიძე დიდი ჯარით იმერთა მეფეზე წამოვიდნენ, სოლომონ მეფეც წამოვიდა ჯარით, შეიყარნენ, შეებნენ, დაიხოცა ორგნითვე ურიცხვი, ბოლოს რაჭის ერისთავსა და ლევან აბაშიძეს გაემარჯვათ. მეფე სოლომონი გაიქცა, ახალციხის ფაშას შეეხვეწა, მეფის მამული ააოხრეს"[30]. ამ შეთქმულებაში როსტომ ერისთავსა და ლევან აბაშიძის გარდა მონაწილეობდნენ სოლომონის დედა — თამარი (ლევან აბაშიძის ასული. — **გ. მ.**), ბიძები — მამუკა და გიორგი. როგორც ვხედავთ, შეთქმულება ფართო ხასიათისა იყო. ყველაზე მეტად აქტიურობდა სოლომონის დედა — თამარი[31]. როგორც ჩანს, მამის გავლენა (ლევან აბაშიძე) შვილის მიმართ

[27] იხ. სოლომონ მეფე და როსტომ ერისთავი, ისტორიული ნარკვევი, თბ., 1936, გვ. 19.

[28] იქვე, გვ. 20.

[29] კ. კეკელიძის სახელობის საქ. მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტი (შემდეგში: ხელნაწერთა ინსტიტუტი), ფონ. Sd, საბ. 1563.

[30] პ ა პ უ ნ ა ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, ქართლის ცხოვრება, II, დ. ჩ უ ბ ი ნ ა შ ვ ი ლ ი ს გამოცემა, სპ., 1854, გვ. 443.

[31] სოლომონის გამზრდელი ყოფილა ვინმე ნაფიჩვაძე. 1754 წლის 5 ოქტომბრის მეფის წყალობის სიგელში ვკითხულობთ: „წყალობისა წიგნი გიბოძეთ ჩვენ მეფეთ-მეფემან სოლომონ, შენ ჩემს ძიძას და შენს შვილებს ნიკოლოზ და დათუნა ნაფიჩვაძეს ასე... რომ ჩემი ძიძა იყავით" (იხ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, Hd № 1531, დედანი).

ძალზე დიდი ყოფილა. სხვანაირად როგორც შეიძლება აიხსნას დედის ღალატი შვილისადმი? შეთქმულებაში ასევე დიდ როლს ასრულებდა როსტომ ერისთავი. 1805 წლის 26 აპრილს, წერეთლისადმი მიცემულ სიგელში იმერეთის მეფე დავით არჩილის ძე (იგივე სოლომონ II) წერს: „მოკვდა მეფე (ალექსანდრე V. — **გ. მ.**) დაჯდა ძე მისი სოლომონ... ერისთავმა ძემან შოშიტასამან იბირა აბაშიძე (ერისთავის ინიციატივა უეჭველია) შვილი გიორგისი (გიორგი აბაშიძე. — **გ. მ.**) ლევან და შეებენ სოლომონს და გარდააგდეს ახალციხეს, დაამტყვევეს ქვეყანა და გაყიდეს“[32]. ტახტიდან ჩამოგდებულმა იმერეთის მეფემ თავი ახალციხეს შეაფარა. ახალციხის ფაშას კარგი საშუალება მიეცა დახმარებოდა გაჭირვებაში ჩავარდნილ იმერეთის მეფეს. ფაშამ ამ დახმარებით მეფეს აგრძნობინა, რომ მომავალში მისი ნების უსიტყვო აღმსრულებელი უნდა ყოფილიყო. სოლომონს უკან დასახევი გზა მოჭრილი ჰქონდა და, ნებით თუ უნებლიეთ, ახალციხის ფაშას მიენდო. სოლომონ I ოსმალეთის დახმარებით იმერეთის ტახტი დაიბრუნა. და სასტიკად გაუსწორდა მოწინააღმდეგეებს. მან პირველ რიგში შეთქმულების მეთაურები დასაჯა, საკუთარი დედა კი იმერეთიდან სამუდამოდ გააძევა[33]. ასევე მკაცრად მოექცა მამუკა ბატონიშვილსაც, შედარებით ლმობიერება გამოიჩინა მეორე ბიძის — გიორგის მიმართ. შეთქმულების ერთ-ერთი მეთაური ლევან აბაშიძე დაამცრო. „დაამდაბლა სახლი თავადთა აბაშიძეთა თუმცა იყო სახლის შვილი აბაშიძესა მეფე ესე, გარნა არარიდა“[34]. როსტომ რაჭის ერისთავს დანაშაული „შეუნდო“, მის სამფლობელოს ხელი არ ახლო. სოლომონ II ერთ თავის სიგელში წერდა: „მისცა შეწევნა ხვანთქარმან მეფესა (სოლომონ I. — **გ. მ.**) და მოვიდა იმერეთად და დაიპყრა სამკვიდრებელი თვისი და შეიწყალა ერისთავი როსტომ და დაადგინა ერისთავად“[35]. სოლომონ I მიერ როსტომ ერისთავის „შეწყალება“ გონივრული აქტი იყო. იმ დროს მეფე სხვანაირად ვერ მოიქცეოდა. ახლადგამეფებულ მეფეს ჯერ კიდევ არ შესწევდა ძალა, რათა ერთი დარტყმით დაემორჩილებინა იმერეთის სამეფოს გავლენიანი ფეოდალი — როსტომ რაჭის ერისთავი. ცენტრალური ხელისუფლებისათვის დაუცხრომელმა მებრძოლმა სოლომონ I მომავლისათვის გადადო ეს მეტად მტკივნეული საკითხი. როგორც ქვემოთ დავინახავთ მეფის ეს ნაბიჯი სავსებით სწორი აღმოჩნდა.

შეთქმულების[36] დამარცხების შემდეგ სოლომონ I ფრთხილი პოლიტიკის გატარებას შეუდგა. ძლიერი ფეოდალების (როსტომ ერისთავი, ლევან აბაშიძე), წინააღმდეგ ბრძოლაში საჭირო იყო საიმედო მოკავშირე, რომელიც მხარში ამოუდგებოდა მეფეს უახლოესი მიზნების განხორციელებისათვის ბრძოლაში. სამეფო დარბაზის რჩევით, სოლომონი გაეყარა აფხაზეთის თავადის —

---

[32] ს. კაკაბაძე, წერილები და მასალები საქართველოს ისტორიისათვის, I, თბ., 1914, გვ. 91—93.

[33] Грамоты..., I, გვ. 362.

[34] ს. კაკაბაძე, წერილები და მასალები საქართველოს ისტორიისათვის, გვ. 93.

[35] იქვე, გვ. 91—93.

[36] შეთქმულება მოხდა 1752 წ. დამლევსა და 1753 წ. იანვარ-თებერვალში, ყოველ შემთხვევაში, 1753 წ. თებერვალში, სოლომონი იმერეთს განაგებდა როგორც მეფე.

ინალიშვილის[37] (ზოგიერთი მკვლევრის აზრით[38], შარვაშიძის) ასულ თინათინს და ცოლად შეირთო ოდიშის მთავრის — ოტია დადიანის ასული — მარიამი. ოდიშის გავლენიანი მთავრის დამოყვრებით სოლომონ I ძლიერი მოკავშირე გაიჩინა.

XVIII ს-ის მეორე ნახევარში ოსმალეთის იმპერიის სიძლიერე შესუსტდა (მხედველობაში გვაქვს რუსეთის დაწოლა ბალკანეთზე, აჯანყებები სირიასა და პალესტინაში, მამლუქთა ბრძოლები ოსმალეთის წინააღმდეგ და სხვ.). იმერეთის მეფეს საშუალება მიეცა თვითონ წამოეწყო აქტიური მოქმედება ოსმალეთისა და ამ უკანასკნელზე დაყრდნობილ-გარიდებული თავადების წინააღმდეგ. პირველი დიდი ბრძოლა იმერეთისა და ახალციხის ფაშას ჯარებს შორის მოხდა 1757 წელს, ოკრიბაში, ხრესილის პატარა ველზე. როგორც ცნობილია, ეს ბრძოლა სოლომონ I გამარჯვებით დამთავრდა. ამ ბრძოლით დაიწყო ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა იმერეთში. ხრესილის ბრძოლის დროს ოსმალეთის მხარეზე იბრძოდნენ ლევან აბაშიძე, როსტომ ერისთავი და აზნაური წულუკიძე. სოლომონმა ამ ბრძოლაში ტყვედ ჩაიგდო ერთ-ერთი ფაშა (გოლა-ფაშა) და წულუკიძე. ლევან აბაშიძე ბრძოლაში დაიღუპა, ხოლო რაჭის ერისთავმა გაქცევით უშველა თავს. ხრესილის ბრძოლის შემდეგ სოლომონ I და როსტომ რაჭის ერისთავს შორის ურთიერთობა კიდევ უფრო გამწვავდა, მაგრამ „მეფე მაინც მოერიდა ერისთავის წინააღმდეგ მკაცრი ზომების მიღებას“[39]. სოლომონ I კარგად იცოდა, რომ როსტომ ერისთავს ფარული კავშირი ჰქონდა ახალციხის ფაშასთან. მიუხედავად ამისა, იგი მაინც „ენდობოდა“ ერისთავს. ხრესილის ბრძოლამდე მეფე ყოველნაირად ცდილობდა ძლიერი ერისთავი როგორმე თავის ბანაკში გადაეყვანა, მაგრამ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, როსტომ ერისთავი დამოუკიდებლობისაკენ მიიღტოდა და, თავისთავად ცხადია, მეფეს გაჭირვების დროს დახმარებას არ გაუწევდა. ასე იყო თუ ისე, ხრესილის ბრძოლამდე როსტომ ერისთავი იმერეთის დარბაზის წევრად ითვლებოდა და ყველა მნიშვნელოვანი თუ უმნიშვნელო საქმის გადაწყვეტაში აქტიურად მონაწილეობდა[40].

მართალია, სოლომონ I ხრესილის ველზე დაამარცხა ოსმალთა ლაშქარი, ზოგიერთი ციხე-სიმაგრიდან განდევნა ისინი, მაგრამ მტერზე საბოლოო გამარჯვება ჯერ კიდევ შორს იყო. მიუხედავად ამისა, სოლომონ მეფის წარმატებამ გარეშე და შინაური მტრები ღრმად ჩააფიქრა. როსტომ ერისთავი დარწმუნდა, რომ სოლომონ I დღეს თუ ხვალ ღალატისათვის სამაგიეროს მიუზღავდა, რაჭის ერისთავი დათმობაზე წავიდა და სოლომონ I დროებით დაუზავდა. „მეფესა და ერისთავს შორის ერთხანს კეთილგანწყობილება სუფევდა“[41]. 1759 წლის ტყვეთა სყიდვის აკრძალვის გუჯარში როსტომ ერისთავიც

[37] ნ. დადიანის ცნობით სოლომონ I თანამეცხედრე ყოფილა ზუფუს მცხოვრების ინალიშვილის ასული (იხ. მისი ქართველთ ცხოვრება, შ. ბ ურ ჯ ა ნ ა ძ ი ს გამოცემა, თბ., 1962). „ვინაიდან იხილა თვინიერ დადიანისა—მეფობა მისი შეუძლებელ არს, განეტევა ინალიშვილის ასულს და შეირთო ოტია დადიანის ასული მარიამ“ (გვ. 178).

[38] იხ. შ. ბ ურ ჯ ა ნ ა ძ ე, სოლომონ პირველი, საკანდიდატო დისერტაცია, ინახება თსუ ბიბლიოთეკაში, 1948, გვ. 37.

[39] ო. ს ო ს ე ლ ი ა, ნარკვევები ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ისტორიიდან, თბ., 1973, გვ. 97.

[40] ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე, საისტორიო მოამბე, წიგნ. I, თბ., 1925, გვ. 95.

[41] ო. ს ო ს ე ლ ი ა, ნარკვევები ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ისტორიიდან, გვ. 97.

არის მოხსენიებული. ასე რომ, მეფესა და ერისთავს შორის „შერიგება“ 1758 წ. დასასრულსა და 1759 წ. დასაწყისში უნდა მომხდარიყო. როსტომ ერისთავი დაზავების შემდეგ როგორც აღვნიშნეთ, კარგ ურთიერთობაში იყო სოლომონ I-თან. 1759—1760 წწ. იმერეთის მეფე, როგორც სამოკავშირეო ხელშეკრულების[42] აღმსრულებელი, ქართლში თავისი ჯარით ეხმარებოდა მამაშვილს — თეიმურაზსა და ერეკლე II განჯის ლაშქრობაში. ამ ბრძოლებში სოლომონს თან ახლდნენ როსტომ რაჭის ერისთავი და ოდიშის მთავარი კაცია დადიანი. კაფუცინი მისიონერი პატრი ლეონარდო 1760 წ. 18 აგვისტოს რომში გაგზავნილ რელაციონში პაპს წერდა: „ერეკლე საქართველოს მეფემ ორგზის მოიწვია... ერთი თავის ნათესავი თავადი 60 ჯარისკაცით გამოგზავნა ჩემს წასაყვანად. ამ თვის 14-ს... მივუახლოვდით ტფილისს, აქ მომიწვიეს ვითარცა ექიმი... თვით მეფემაც, სიყვარული გამომიცხადა, მაგრამ ჩემდა სამწუხაროდ იძულებული გახდა (ე. ი. ერეკლე II. — **გ. მ.**) წასულიყო იქიდან იმერეთის მეფის მისაგებებლად, რადგან დადიანთან (კაცია დადიანი. — **გ. მ.**) და ერისთავთან (როსტომ ერისთავი. — **გ. მ.**) ერთად მოდის თხუთმეტი ათასი ჯარისკაცითა, უნდა წავიდეს განჯის ასაღებად“[43].

ოსმალეთმა ხრესილთან დამარცხება არ დაივიწყა. ახალციხის ახალმა ფაშამ ჰაჯი აჰმედმა სულთნის დავალებით სოლომონ I კატეგორიულად მოსთხოვა 300 ქესა ფულადი გადასახადი და ტყვეთა სყიდვის თავისუფლად წარმოება. სოლომონ I პირველ პირობაზე დათანხმდა, მეორეზე უარი შეუთვალა. 1758 წელს ოსმალეთის ჯარი ხუნძახის ბატონთან და ლეკთა ჯართან ერთად იმერეთში შეიჭრა. მათ გაძარცვეს და ააოხრეს გელათის მონასტერი. სოლომონი იძულებული გახდა პირადად ხლებოდა ახალციხეში ფაშას, სულთნის პირობის შესასრულებლად. ფაშამ უკან გამობრუნებულ იმერეთის მეფეს 3 000 კაცი გამოაყოლა ქეაჰიას (ფაშას სპეციალური აგენტი, მოადგილე. — **გ. მ.**) სარდლობით. ამ უკანასკნელს იმერეთში ევალებოდა სოლომონ I მიერ ფაშასათვის მიცემული პირობის შესრულების კონტროლი (სოლომონი სულთანს შეჰპირდა ყოველწლიურად ხარკის გადახდას, რაც შეეხება ტყვის სყიდვის განახლებას, იმერეთის მეფე, როგორც ჩანს, გარეგნულად დათანხმდა). იმერეთში შესულ ოსმალეთის ჯარს ღამით თავს დაესხნენ „ფიცის კაცნი“[44] და მთლიანად გაჟლიტეს, ქეჰა კლდეზე გადაჩეხეს[45] (ბუნებრივია, ეს თავდასხმა სოლომონის თანხმობის გარეშე არ მოხდებოდა). ამ მარცხის გამო ოსმალეთის სულთანმა ახალციხის ფაშა — შაჯი-აჰმედი ფაშობიდან გადააყენა, შემდეგ კი სიკვდილით დასაჯა... — ახალციხის ფაშა გახდა იბრაიმი. იბრაიმმა „ციხის შიგნიდან გატეხვის“ პოლიტიკას მიჰყო ხელი. იგი დაუკავშირდა იმერეთის ტახტის მაძიებელ თეიმურაზ ბატონიშვილს (სოლომონის ბიძაშვილს, მამუკას შვილს. —

---

[42] 1758 წელს ერეკლე II და სოლომონ I სამხედრო კავშირი შეკრეს. შეთანხმება ითვალისწინებდა შინაური და გარეშე მტრების (თავადთა აშლილობა, სპარსეთი, ოსმალეთი) თავდასხმების დროს ერთმანეთის დახმარებას. ამ კავშირმა საქართველოში რუსის ჯარის შემოსვლამდე (1770 წ.) იარსება.

[43] ს. ყაყაბაძე, საეკლესიო რეფორმები სოლომონ პირველის დროს, ტფ., 1913, გვ. 3—4—5.

[44] „ფიცის კაცნი“ სოლომონ I ერთგული დიდებულები იყვნენ (აეალიანები, გრიგოლაშვილები, იაშვილები, ლორთქიფანიძეები, მესხები, მიქაბერიძეები, უგრეხელიძეები, ქორქაშვილები, ყიფიანები, ჭაბუკიანები და სხვ.). ისინი ყოველი წლის თხუთმეტ მაისს საიდუმლოდ იკრიბებოდნენ მუხის ძირას და მეფის ერთგულებაზე ფიცს დებდნენ (იხ. სოლომონ მეფე და როსტომ ერისთავი... — გვ. 44—45).

[45] ს. ყაყაბაძე, საქართველოს ისტორია, ტფ., 1922, გვ. 202.

გ. მ.) და 13 ათასი კაცით იმერეთისაკენ დაიძრა. „მოუსვენარი“ რაჭის ერისთავი კვლავ განუდგა სოლომონ I და თეიმურაზ ბატონიშვილს მიემხრო (თეიმურაზ ბატონიშვილი როსტომ ერისთავის სიძე იყო). ოსმალებმა პირველ ხანებში წარმატებას მიაღწიეს, მაგრამ ჯარის ნაწილში (იანიჩრებსა და ქურთებს შორის) უთანხმოება ჩამოვარდა, რამაც შეაფერხა ოსმალეთის ჯარის წინსვლა. პირველნი (იანიჩრები, სადაც თითქმის უმრავლესობას გამაჰმადიანებული ქართველები შეადგენდნენ). მოითხოვდნენ ქვეყნის დამორჩილებას, მეორენი (ქურთები) იმერეთის სამეფოს აოხრებას და ძარცვას. ოსმალეთის ჯარმა დაშლა იწყო. ამ არეულობით კარგად ისარგებლეს იმერლებმა და ოსმალეთის ჯარის უმრავლესობა გაჟლიტეს. სულთანმა ფაშობიდან იბრაიმიც გადააყენა, მის მაგივრად ჰასან-ფაშა დასვა. ეს მოხდა 1765 წელს. ამავე წლის 10 ივნისს ჰასან-ფაშა, დაახლოებით ორმოცი ათასი კაცით, იმერეთში შემოიჭრა. ოსმალეთის ჯარმა, როსტომ ერისთავის დახმარებით, ბრძოლით გაიარა იმერეთის სამხრეთი ნაწილი, შევიდა გურიაში, შემდეგ ოდიშში და აიძულა კაცია დადიანი ერთგულების ნიშნად ოსმალთათვის სურსათი მიეწოდებინა. ოსმალთა ლაშქრობა გაგრძელდა და ჰასან-ფაშა იძულებული გახდა ზამთარი ოდიშის სამთავროში გაეტარებინა. გაზაფხულზე ჰასან-ფაშამ კვლავ შეუტია იმერეთის მეფეს და ოცდახუთდღიანი გააფთრებული ბრძოლის შემდეგ აიღო კარგად გამაგრებული სვერის ციხე. სოლომონ I ბრძოლით უკან დაიხია და მთებში გამაგრდა. გამარჯვებულმა ჰასან-ფაშამ ქუთაისში მიიწვია იმერეთის წარჩინებული პირნი და მორჩილების აქტზე ხელი მოაწერინა. მალე მან ქუთაისში ხარკის ასაკრეფად 4000 კაცი დატოვა, თვითონ კი ახალციხეში დაბრუნდა[46]. იმერეთი დროებით სიწყნარემ მოიცვა...

1767 წ. იმერეთის სამეფო კვლავ აიშალა. დავით ბატონიშვილის ცნობით, არეულობის მიზეზი ამჯერადაც სოლომონ I ბიძაშვილი თეიმურაზ ბატონიშვილი და როსტომ რაჭის ერისთავი იყვნენ. „... აბაშიძე ლეონმა[47] და რაჭის ერისთავმან როსტომმა მისცეს ციხენი ოსმალთა ქუთაისისა, შორაპნისა, ბაღდადისა და ცუცხვათისა და... დასვეს მეფედ თეიმურაზ“[48]. სოლომონ I როსტომ ერისთავზე შურისძიების მიზნით დაიქირავა ლეკთა მარბიელი ჯარი, შეუსია რაჭას და მიწასთან გაასწორა სოფლები. „... ვინათგან რაჭის ერისთავი როსტომ იყო სიცბილი ყოვლისა ამის ბოროტებისა და არცა არჩდა-ღა მეფეს სოლომანს და განესაკუთრებინა რაჭა თვისადვე... იხმო კვლავ მეფემან მხედრობით ლეკთა და წარტყვენა რაჭაი და ალაფითა და ტყვითა სავსენი უკუიქცნენ თვისად ლეკნი. მაშინ მცნობმან ამა ამბისამან მეფემან ირაკლიმ შეუკრნა განასავლი იორისა, სადაც მოსწყვიტნა სამასი ლეკნი და მოუღო ყოველივე ნატყვენავნი და ტყვენიცა და რაჭველთაგანი, რომელიცა დაასახლნა კახეთს სოფელსა შალურსა“[49].

იმერეთი ორად გაიყო. ერთ მხარეზე იყვნენ „თეიმურაზ ბატონიშვილი და როსტომ ერისთავი (ნაწილობრივ დადიანიც), ხოლო მეორე ბანაკს შეადგენდა

---

[46] ს. კაკაბაძე. საქართველოს ისტორია, ტფ., 1922, გვ. 203.

[47] დავით ბატონიშვილი აშკარად ცდება, ლევან აბაშიძე ამ დროს ცოცხალი აღარ იყო, იგი 1757 წელს ბრესილის ბრძოლაში დაღუპა.

[48] მასალები საქართველოს ისტორიისათვის შეკრებილი ბატონიშვილის დავით გიორგის ძისა და მისი ძმებისა, მ. ჯანაშვილის გამოცემა, თბ., 1905, გვ. 16.

[49] მასალები საქართველოს ისტორიისათვის შეკრებილი ბატონიშვილის დავით გიორგის ძისა და მისი ძმებისა, გვ. 16.

სოლომონ I ირგვლივ დარაზმული თავადაზნაურობა. ეს ომი 1765 წ. ზაფხულში დაიწყო და გაგრძელდა 1767 წ. გაზაფხულამდე. თეიმურაზმა დროებით გაიმარჯვა. „იმერეთის მეფემ თურქებისაგან საფრთხის გამო, თავისი ოჯახი ოსებთან ახლო მთებში შეხიზნა“[50], თვითონ კი მცირე ამალით ფრიად ერთგული თავადის, ქაიხოსრო ანუ ხოსრო, გვარად წერეთლის“[51] ციხეს — მოდინახეს შეაფარა თავი. სოლომონ I მძიმე მდგომარეობაში ჩავარდა. არც თეიმურაზ ბატონიშვილსა და მის მომხრეებს ადგათ კარგი დღე. მთელი იმერეთი ბრძოლების ალში გაეხვია. დღითი დღე იზრდებოდა სოლომონ I თანამებრძოლთა რიცხვი. თეიმურაზ ბატონიშვილმა იმერეთის სამეფო საქმეებს თავი ვერ მოაბა. ოსმალეთის სულთანმა ახალციხის ფაშას საშუალებით სოლომონთან საზავო მოლაპარაკება დაიწყო, მაგრამ იმერეთის მეფეს ზავის სიმტკიცის არ სწამდა. იგი გადამწყვეტი ბრძოლისათვის ემზადებოდა და საიმედო მოკავშირეს ეძებდა. ასეთი მოკავშირეც გამოჩნდა ერთმორწმუნე რუსეთის სახით. 1768 წ. 23 ივნისს სოლომონ I საგანგებო მისიით რუსეთში გაგზავნა მაქსიმე ქუთათელი. ქართველი მეფე რუსეთის ხელმწიფეს მფარველობას სთხოვდა, სამაგიეროდ რუსეთ-ოსმალეთის ომში მოკავშირეობას პირდებოდა. რუსეთის დიპლომატიამ სწორად განსაზღვრა შექმნილი მდგომარეობა და ამიერკავკასიის ქრისტიანი ხალხები ოსმალეთის წინააღმდეგ საბრძოლველად განაწყო. ეს იყო პროგრესული მოვლენა, რითაც ჩაგრულ ხალხებს საშუალება მიეცათ თავი ეხსნათ მაჰმადიანური უღლისაგან.

იმერეთის მეფე სოლომონ I და ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე II მზად იყვნენ ერთად ებრძოლათ მაჰმადიანი აგრესორების წინააღმდეგ. ქართველი მეფეები რუსეთისგან მოითხოვდნენ ჯარითა და ფულით დახმარებას. სოლომონ I უფრო შორს უმიზნებდა. ერთმორწმუნე რუსეთთან კავშირი ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის გაძლიერების მიზნით ესახებოდა. რუსეთის სარდლობა თავის მხრივ ფიქრობდა, რომ ოსმალეთის წინააღმდეგ ჩაბმული ქართველები (ე. წ. „კავკასიის ფრონტზე“) მტრის ძალებს თავისაკენ მიიზიდავდნენ და ამით მთავარ ფრონტზე რუსეთის ჯარები ადვილად სძლევდნენ მოწინააღმდეგეს. მაგრამ მოულოდნელად რუსეთის მთავრობამ საზავო მოლაპარაკება დაიწყო ოსმალეთთან და ქართველი მეფეები კვლავ მარტო დარჩნენ. იმერეთის მეფეს სხვა გზა არ ჰქონდა, ყიზლარის კომენდატს ერთგული კაცი (ქაიხოსრო წერეთელი) გაუგზავნა და დახმარება სთხოვა. ვერც ამ მისიას ხვდა წარმატება. სოლომონმა უკანასკნელი გზა აირჩია. მან გადაწყვიტა ლეკთა მხედრობის (თითოეულს თვეში 30 მანეთი დაუნიშნა) დაქირავება, მოდინახის ციხიდან გამოსვლა და შეტევაზე გადასვლა. იმერეთში ტყვეთა სყიდვის აკრძალვამ თავისი შედეგი გამოიღო, ხალხის ფართო მასა სოლომონის დროშის ქვეშ დაირაზმა. დროებითი წარუმატებლობის მიუხედავად ხალხის მორალური მხარდაჭერის გამო სოლომონი პოლიტიკურად მაინც გამარჯვებული იყო. მისმა ბრძოლამ მტერი მოქანცა და იძულებული გახადა დათმობაზე წასულიყო. ეს უკვე გამარჯვებას ნიშნავდა. 1768 წელს სოლომონმა ჩხარის ეკლესიასთან დაამარცხა მოწინააღმდეგეები, შეიპყრო თეიმურაზ ბატონიშვილი

---

[50] ქუთაისის მუზეუმი, საბ. № 2257.

[51] მეფე სოლომონ I და რაჭის ერისთავის როსტომის ურთიერთობიდან XVIII ს-ის მეორე ნახევარში, იტალიელი მისიონერი ლეონის ნაწერების თარგმანი ბ. გიორგაძისა, გაზ. „კომუნარი“. ამბროლაურის რაიონი, 1959, № 96.

და მუხურის ციხეში გამოჰკეტა. მართალია, სოლომონმა დაამარცხა თეიმურაზი და მისი მომხრე თავადები, მაგრამ ქვეყნის შიგნით მტკიცე პოზიცია ჯერ კიდევ არ ჰქონდა, რადგან როსტომ ერისთავი და ოდიშის მთავარი კაცია დადიანი კვლავ ოპოზიციაში ედგნენ. მეფე იძულებული იყო ოსმალეთს შეთანხმებოდა. ყოველწლიურად ფულადი ხარკის გადახდა იკისრა და სულთნისაგან ფირმანი და სამეფო ნიშნები მიიღო. ეს მოხდა 1763 წ. 12 მარტიდან 26 ივლისამდე.

ოდიშის მთავარ კაცია დადიანს გარდაეცვალა თანამეცხედრე, შარვაშიძის ასული. 1765 წელს დაქვრივებულმა მთავარმა ცოლად შეირთო ერეკლე II და ელისაბედი, მაგრამ ის ერთი წლის შემდეგ გარდაიცვალა და დადიანმა მესამედ იქორწინა პაატა წულუკიძის ასულ ანაზედ.

როსტომ ერისთავი, კაცია დადიანი და პაატა წულუკიძე ერთად დაუპირისპირდნენ სოლომონ I, მაგრამ როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ერისთავმა პოლიტიკური შეცდომა დაუშვა, როცა თავის მოკავშირეს — პაატა წულუკიძეს სიხარბის გამო მამული წაართვა და ამით ერთგული თავადი გადაიმტერა. მალე ოდიშის მთავარი კაცია დადიანიც განზე გადგა და როსტომ ერისთავი პირისპირ შერჩა მეფეს.

სოლომონ I თანამოაზრეთა წრეში აზრი ტრიალებდა იმის შესახებ, რომ 1765—1768 წლების უბედურების მიზეზი როსტომ ერისთავი იყო. წერეთლებმა ყველაფერი როსტომს გადააბრალეს და მეფე საბოლოოდ აამხედრეს მის წინააღმდეგ. მეფესთან ახლო მდგომი წერეთლები და წულუკიძეები როსტომ ერისთავის სამაგალითო დასჯას მოითხოვდნენ.

1769 წ. მარტში სოლომონ I რაჭა დალაშქრა. საერისთავოს დასუსტების მიზნით ერისთავის ძირითად ციხესიმაგრეებში ერთგული კაცები ჩააყენა, ლაღუმით დაანგრია ერისთავის სასახლე წესში. გადაწვა ახლო-მახლო სოფლები, წამოასხა პირუტყვი, დაამძევლა აზნაურები, მაგრამ ერისთავი მაინც ვერ ჩაიგდო ხელში. 1772 წ. 3 აგვისტოს წულუკიძეებისადმი ბოძებულ სიგელში მეფე წერდა: „მყის აღვიმხედრეთ... ქრისტეს მოსახლეთა განვაბნივენით მტერნი ქრისტიანეთანი და მოყვარენი და მონდობელი ბილწთა მაჰმადიანთა, დავიპყრენით ყოველნი ადგილი მათნი — მთა-პარ-ციხესიმაგრენი — საწულიკიძითურთ“[52]. როსტომ ერისთავმა ზემო რაჭის მთებს შეაფარა თავი. უფროსი შვილი გიორგი (რუსულ საბუთებში — ეგორი) ყაბარდოში გაგზავნა სამხედრო დახმარების აღმოსაჩენად. გიორგის გამგზავრება, რა თქმა უნდა, სოლომონს არ გამოპარვია და ყიზლარის გარნიზონის უფროსს პოტაპოვს სასწრაფოდ აცნობა საქმის ვითარება, ამ უკანასკნელმა დიდ ყაბარდოს მფლობელ ნავრუზ ისლამოვს და... გიორგის მისიაც ჩაიშალა. ამის შემდეგ როსტომმა — ბესარიონ კათალიკოსი საიდუმლოდ მიავლინა ახალციხის ფაშასთან, მაგრამ ოსმალეთის სულთანი (მუსტაფა III), სოლომონ I-თან ახალი შერიგებული იყო და ფაშამ თხოვნა შორს დაიჭირა. მან დააპატიმრა კათალიკოსი, მაგრამ ბესარიონი პატიმრობიდან გამოიქცა და თავი ოდიშის სამთავროს შეაფარა (ბუნებრივია, იმერეთში მას აღარ მიესვლებოდა). მალე იგი სოლომონმა კათალიკოსობიდან გადააყენა (1769 წ. 10 მაისს). შექმნილი მდგომარეობით კარგად ისარგებლა კაცია დადიანმა; მეფის მიერ პატივაყრილი ბესარიონ კათალიკოსი ოდიშის პატრიარქად აკურთხა და ეკლესიის დამოუკიდებლობა მოითხოვა. ასე გაჩნდა

[52] ქუთაისის მუზეუმი, საბ. № 8, 706.

დასავლეთ საქართველოში ორი კათალიკოსი — იმერეთში სოლომონ I ძმა — იოსებ გენათელი და ოდიშის სამთავროში — როსტომ ერისთავის ძმა — ბესარიონი. ამის გამო სოლომონსა და დადიანს შორის უთანხმოება კიდევ უფრო გამწვავდა. ამ ბრძოლაში გამარჯვებული გამოვიდოდა ის, ვის მხარესაც დაიჭერდა ახალციხის ფაშა, როგორც უმაღლესი ხელისუფლების წარმომადგენელი. ახალციხის ფაშამ მთელი იმერეთისა და სამეგრელოს ეკლესიის მეთაურად სცნო იოსებ გენათელი და ამით ნიადაგი გამოაცალა დადიანსა და ბესარიონ კათალიკოსს. მალე ოდიშის სამთავროში კათალიკოსობა გაუქმდა.

მთებში შეხიზნული ერისთავი მაინც არ ცხრებოდა. ამჯერად მან დახმარებისათვის ერეკლე II მიმართა. ცნობილია, რომ ერეკლე II დიდად აფასებდა ერისთავს, მაგრამ სოლომონთან 1758 წ. დადებული სამოკავშირეო ხელშეკრულების ძალით მას არ ჰქონდა უფლება მისთვის დახმარება გაეწია. როგორც ჩანს, სოლომონიც დარწმუნდა, რომ ასე ადვილად ვერ ჩაიგდებდა ხელში ერისთავს და მასთან დაზავება გადაწყვიტა. ამ პერიოდში ერეკლე II და სოლომონ I მოლაპარაკება უნდა დაეწყოთ თბილისში ჩამოსულ რუსეთის წარმომადგენელთან. იმერეთის მეფემ სწორად შეაფასა შექმნილი მდგომარეობა და დროის მოგების მიზნით ერისთავს დაუზავდა. 1769 წ. 12 ოქტომბერს ანტონ მოურავოვი გრაფ ნიკიტა პანინს ატყობინებდა: „მათ (ე. ი. სოლომონმა და როსტომმა. — **გ. მ.**) ერთმანეთს შორის საჯარო ფიცით მუდმივი ზავი დაამყარესო, მაგრამ... ამის შემდეგ, ჩვიდმეტ დღეში სოლომონმა ხსენებული ერისთავი და მისი ძე გიორგი, რომელსაც სოლომონის მკვიდრი ბიძაშვილის შვილი ჰყავს ცოლად, დააპატიმრა და ახლა ისინი შეპყრობილი ჰყავთ“[53]. 1769 წ. მაისიდან სექტემბრის ბოლო რიცხვებამდე როსტომ ერისთავი სოლომონმა ფიცით შემოიმტკიცა და რაჭის ერისთავად ცნო. მაგრამ საქართველოში (კერძოდ, იმერეთში) რუსის ჯარის შემოსვლისთანავე (აგვისტო-სექტემბერი) მეფემ ღალატით შეიპყრო ერისთავი და თვალები დათხარა. მეფეს ამ საქმეში დიდი დახმარება გაუწია მისმა ძმამ — იოსებ კათალიკოსმა. იოსებმა ბარძიმზე დააფიცა მეფე ერისთავის ხელშეუხებლობის შესახებ. „ვარციხეს მისრული მუნ-ოდეს სწირა კათალიკოსმა იოსებ შეჰფიცა მეფემან ბარძიმსა ზედან უვნებლობაი და ესრეთ მოტყუებით შეიპყრეს იმერთა როსტომ და აღმოხადეს თუალნი ეგრეთვე ძეთა მათთა, ხოლო გიორგის, პირმშოსა ძესა მისსა შეარჩინა ცალი[54] თვალი მთხრელმან მან და ესრედ განარინა გიორგი, რომელიცა ესეცა წარვიდა სტამბოლს და იყო იგი მუნ ვიდრემდის გარდაიცვალა მეფე სოლომან[55]. ხოჯოვაანთ იოვანე თავის დღიურში წერდა: „როსტომ ერისთავს და მის შვილს უღალატა მეფე სოლომონმან ვარდისციხეს“[56]. სოლომონს როსტომის ცოლიც შეუპყრია. 1770 წ. 9 მარტს დავით კვინიხიძე ყიზლარის კომენდანტს მოახსენებდა, რომ სოლომონმა ერისთავი ცოლითა და შვილით შეიპყრო და პატიმრად ჰყავდა[57]. საყურადღებოა, რომ სოლომონმა იმერეთში რუ-

[53] Грамоты..., I, გვ. 73—74.

[54] ცალთვალა გიორგიმ სტამბოლს შეაფარა თავი. იგი სოლომონ I გარდაცვალებამდე (1784) სულთნის სამსახურში იყო „ქორბეის“ სახელით. იმერეთში დავით გიორგის ძის მეფობის (1785—1789) დროს ცოტა ხნით მართავდა რაჭის საერისთავოს (დავით გიორგის ძემ თავის უფლებებში კვლავ აღადგინა რაჭის საერისთავო), მაგრამ 1787 წელს გიორგი ერისთავი ოსებმა მოკლეს სოფ. გლოლასთან (ონის რაიონი) ხარკის აკრეფასთან დაკავშირებით.

[55] მასალები საქართველოს ისტორიისათვის გვ. 19.

[56] ქუთაისის მუზეუმი, საბ. № 2782, გვ. 7.

[57] Грамоты..., I, გვ. 101.

სის ჯარის შემოსვლისთანავე დააბრმავა როსტომი. ამ დროს ყველა ფიქრობდა იმერეთში ტოტლებენი სოლომონის დასახმარებლად მოდისო. შ. ბურჯანაძის აზრით, სწორედ ამან განაპირობა სოლომონის აქტიური მოქმედება ერისთავის წინააღმდეგ. ასეთ პირობებში მეფეს ადვილად შეეძლო ერისთავის დასჯა, რადგან მისი მომხრეებიდან ვერავინ დაეხმარებოდა[58].

ამრიგად, ხანგრძლივი ბრძოლის შემდეგ სოლომონ I როგორც იქნა დაიმორჩილა რაჭის ძლიერი ერისთავი როსტომი და რაჭის საერისთავოს გარკვეული ნაწილი ერისთავის წინააღმდეგ ბრძოლაში გაწეული დახმარებისათვის დაუნაწილა თავის ერთგულ თავადებს — წერეთლებსა და წულუკიძეებს. როსტომის დამარცხებაში თავი გამოიჩინა წერეთლების თავკაცმა ქაიხოსრომ. 1805 წლის 26 აპრილს წერეთლებისადმი ბოძებულ სიგელში სოლომონ II წერდა: „მ ო ქ მ ე დ ე ბ ი ს ა ქ ა ი ხ ო ს რ ო წ ე რ ე თ ლ ი ს ა დაიპყრა იმერეთი და შეიპყრა ერისთავი როსტომ“[59]. ქაიხოსრო წერეთელს სამაგიერო მიუზღო ერისთავის ერთგულმა — კაცია დადიანმა. 1769 წ. ანტონ მოურავოვი გრაფ პანინს ქართლიდან წერდა: „გუშინ სოლომონისაგან წერილი მივიღე, სადაც მატყობინებს, რომ ორი მისი უერთგულესი თავადი — წერეთელი და იაშვილი, რომლებზეც იგი უბედობის დროს და ახლა მთელ თავის იმედებს ამყარებდა, მთავარმა დადიანმა სტუმრად მიიწვია და აჰკუწა“[60].

სოლომონ I ქაიხოსრო წერეთლის ერთგული სამსახური მის შვილებს — პაპუნა და ზურაბ წერეთლებს სათანადოდ დაუფასა: „მეფემან სოლომონ... ვიგულეთ და მოვიხსენეთ მამა-პაპათა შენთა მიერ ერთგულობა და თქვენ მიერ თავდადებული სამსახური: წყალობა გიყავით და გიბოძეთ რაჭის ჯაფარასოული ციხე, რომელიც მ ე თ ე თ რ ი თ ა რ მ ი ყ ი დ ი ა. მას გარდა მამული... შენ, ჩვენს სარდალს, წ ე რ ე თ ე ლ ს ა პ ა პ უ ნ ა ს და ძმასა შენსა სახლთუხუცეს ზ უ რ ა ბ ს და კუალად ძმასა შენს ბერს“[61]. „ხოლო მეფემან სოლომონ მიიღო რაჭა სრულიად თვინიერ წესისა და ბარაკონისა და განუყო თავადთა იმერთასა, რომელთაცა მსახურეს მას ჟამსა მწირობისა... დანაშთი რაჭისა ჰყო სახასო თვისად“[62].

იმერეთის მეფემ სიკვდილის წინ ანდერძი დატოვა, როსტომ ერისთავის შთამომავლობას რაჭის მემკვიდრეობა არ მისცემოდათ. „და დასდვა წერილი, — აღნიშნავს სოლომონ II, — ძენი და ძის ძენი და შთამომავალნი მათნი არღარა მიღებულ იქნენ მემკვიდრედ რაჭისა“[63].

სოლომონ II მტკიცედ დაიცვა ბიძის — სოლომონ I ეს ანდერძი და რაჭის საერისთავო საბოლოოდ გააუქმა.

---

58 შ. ბ უ რ ჯ ა ნ ა ძ ე, სოლომონ I მეფობის პირველი პერიოდი (1752—1768). თსუ შრომები, თბ., 1950, გვ. 107.

59 ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე, წერილები და მასალები საქართველოს ისტორიისათვის, I, გვ. 91—93.

60 Грамоты..., II, გვ. 65.

61 მასალები საქართველოს ისტორიისათვის ბატონიშვილის დავით ვიორგის ძისა და მისი ძმებისა, გვ. 19.

62 ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 91—93.

63 ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს სიძველენი, თბ., 1910, გვ. 569.

Н. Г. ЗАУТАШВИЛИ

АПРЕЛЬСКОЕ ВОССТАНИЕ 1876 Г. В БОЛГАРИИ И А. Н. ЦЕРЕТЕЛИ

В 1973 году исполнилось 125 лет со дня рождения одного из замечательных деятелей периода освобождения болгарского народа от турецкого ига, большого защитника его интересов, замечательной личности того времени — Алексея Николаевича Церетели (кн. А. Н. Церетелева, 1848 — 1883 г.).

А. Н. Церетели* — один из тех потомков грузин, которые волею судеб оказались далеко от родины и своей деятельностью и творчеством оставили по себе добрую и долгую память.

Прекрасный дипломат, юрист, писатель, фольклорист, волонтер русско-турецкой войны 1877 — 1878 гг., составитель первых проектов государственной организации освобождающейся Болгарии, он за свою краткую 10-летнюю дипломатическую службу сумел сделать очень многое, особенно для становления болгарского государства.

Предлагаемая статья освещает дипломатическую и общественную деятельность А. Н. Церетели в Южной Болгарии в защиту болгарского народа, пострадавшего после Апрельского восстания 1876 г.

*
* *

Бурным, напряженным, но и славным временем для Болгарии были 70-ые годы прошлого, XIX века.

Через пять столетий варварского турецкого господства, в течение которых болгарский народ подвергался неслыханному угнетению, систематическому истреблению, произволу и грабежам, Болгария пришла к долгожданному своему освобождению: в 1876 г. произошло знаменитое Апрельское восстание, которым болгары заявили Турции и всему миру о своем требовании «полной свободы или смерти»[1].

Апрельское восстание в Болгарии 1876 г., хотя и не достигло своих национально-освободительных целей, не смогло разорвать оковы османского владычества, но оно сыграло исключительно важную роль в истории болгарского народа — болгарское освободительное движение вышло на путь массовой вооруженной борьбы за политическую свободу.

Узнав о восстании, турецкое правительство не придало сначала ему большого значения. Оно распорядилось, чтобы власти г. Филиппополя (теперь гор. Пловдив), находящегося ближе всего к восставшим районам, местными силами уничтожили в зародыше это повстанческое движение[2]. Против восставших болгар турецкие власти стали воору-

---

*Прадед А. Н. Церетели — кн. Автандил Церетели вместе с грузинским царем Вахтангом VI и его свитой эмигрировал в Россию в 1724 г.; см. об этом: А. А. Бухэ, Князья Церетелевы, М., 1913; Д. Косарик, Давид Гурамишвили, Киев, 1950 (на укр. яз.), О. Гвинчидзе, Алексей Церетели — русский генеральный консул в Болгарии, Тб., 1962 г. (на грузинском языке). (пока это единственная работа о жизни и деятельности А. Н. Церетели). Н. Г. Тарсаидзе, Материалы по истории поселения грузин в России в первой половине XVIII века, Тб., 1964 г. и др.

[1] История на България, т. I, София, 1954, стр. 263.

[2] И. М. Минчев, България пред една европейска конференция, София, 1917, стр. 34.

А. П. Церетели (кн. А. П. Церетелов)



Автограф А. Н. Церетели

жать мусульманское население и формировать башибузукские отряды из местных турок и черкесов.

В это время русским послом в Османской Турции (в Константинополе) был гр. Н. П. Игнатьев, а сотрудником в посольстве, ближайшим его помощником и единомышленником — Алексей Николаевич Церетели (князь Церетелев), исполнявший в то время должность управляющего русским консульством в Адрианополе.

Докладывая послу в Константинополе о положении в Болгарии, А. Церетели писал, что «... Порта действовала, не думая о результатах, и налицо тот факт, что с первого момента отовсюду были призваны башибузуки, оружие было роздано всем мусульманам, подонкам турецкого населения, цыганам, черкесам, которых в течение многих лет разоружали»[3] и, что башибузукам и черкесам была дана полная воля грабить, резать, опустошать целые местности под предлогом водворения в них порядка[4].

Турецкому правительству было совершенно безразлично, как будут подавлять это восстание; ему было важно как можно скорее ликвидировать эти волнения любыми средствами; поэтому оно закрывало глаза на все, что происходило в Болгарии.

А как известно из существующей огромной литературы, из воспоминаний и мемуаров очевидцев и современников, из опубликованных документов, турки совершали невероятные зверства и грабежи в болгарских землях, стараясь при этом скрыть от всех эти бесчинства.

При этом Порта вместо того, чтобы наказать провинившихся, награждала их. Так, например, было с ген.-губернатором Шевкет-пашой — палачом Болгарии (как его тогда называли). По настоянию министра иностранных дел Англии гр. Дерби, его должны были снять с должности за злодеяния, а Порта не только не сняла его с должности, но назначила эрзерумским ген.-губернатором и осыпала милостями[5]. А Шевкет-паша не только «не понял», как надо, данные ему полномочия, не только не «превысил власти», как уверяла иностранцев Порта, а, напротив, он слепо руководствовался предписанием той же Порты, телеграфировавшей ему дословно: «Подавите восстание, не разбирая средств»[6].

Оказывается, первый, кто дал такой совет Порте — потушить восстание, «не разбирая средств», — был ее «лучший друг», английский посол в Константинополе сэр Генри Эллиот[7]. Последний надеялся этим «вразумить» болгарский народ, убив в нем какой бы то ни было порыв к восстанию, а Турции помочь показать свою силу и сохранить свою власть[8].

Турции первое время удавалось скрывать и оправдывать жестокости, проявляемые ее подданными. Мало кто тогда знал о страшной трагедии целого ряда городов и сел южной Болгарии, о том, что население было в некоторых из них почти полностью вырезано, а сами города и села разграблены и уничтожены.

---

[3] Освобождение Болгарии от турецкого ига, т. I, М., 1961, док. 114, стр. 231.

[4] АВПР, Гл. Арх. У—A_2, д. 25, 1876, л. 76.

[5] Журн. «Русская старина» год XXVII, июль, 1896, статья «Россия и Англия в Турции в 1877—1878 гг.» стр. 33.

[6] Там же.

[7] Там же.

[8] И. Митев, Исторически студии, С., 1963 г., статья «Защитата на българите от рус. дипл. предст. в България и Цариград».

И для того, чтобы довести до мировой общественности сведения о несчастной участи угнетенного болгарского народа, для того, чтобы заставить заговорить в России и на Западе о страшных зверствах, совершаемых над болгарами, нужны были неоспоримые доказательства. Эти доказательства представил главным образом Алексей Церетели — в этом его огромная заслуга.

Конечно, сведения о зверствах и жестокостях сообщали и другие русские консулы, находившиеся в Болгарии, но сведения Ал. Церетели были особенно ценны и важны — они были многочисленны и проверены лично на местах, с точными данными и часто с именами пострадавших и виновных.

В связи с Апрельским восстанием и волнениями, охватившими всю страну, Ал. Церетели часто ездил по разным городам Болгарии, так что в самый разгар болгарской резни и ужасов он был в центре всех событий.

В своих многочисленных донесениях, записках и письмах он ярко и картинно описывал ужасы, пережитые местным населением. Они были написаны с большим сочувствием и любовью к исстрадавшемуся болгарскому народу.

Он докладывал гр. Н. П. Игнатьеву 17 (29) мая 1876 г., что «положение христианского населения в Болгарии невыносимо. Турецкие власти, видимо, поставили перед собой целью нанести ему такой удар, от которого оно никогда не оправится»[9].

25 мая 1876 г. в своей записке, предназначенной для русского посольства, он высказывал свое мнение, что турецкое правительство, будучи не в силах подавить восстание, «пользуется своей безнаказанностью, предоставляемой ему настоящим политическим положением, чтобы избавиться совершенно от болгарского духа»[10]. Производились повсюду массовые и бессмысленные аресты, преимущественно забирают священников, преподавателей и школьных учителей, — пишет Церетели, — ... Тюрьмы переполнены этими несчастными и сотнями крестьян, захваченными в различных разоренных деревнях. С ними обращаются с возмутительной жестокостью. На улицах Андрианополя заптии*, препровождая их в тюрьмы, нещадно избивают палками; там они почти умирают голодной смертью, подвергаются пыткам и гибнут в большом количестве»[11].

В этом отношении Высокая Порта, по словам А. Церетели, действует, не давая себе ни в чем отчета. Он пишет:

«... Войска получили приказ уничтожать все при малейшем сопротивлении... Сначала таковым считалось содействие грабежу и притеснениям, совершенным башибузуками, затем не считались даже с этими предлогами». Они приступили к массовых убийствам — «достаточно было лишь быть болгарином»[12]. «... Речь более шла не о том, чтобы искать виновных, — пишет далее Алексей Церетели, — а об истреблении христиан, об удовлетворении ненависти, сдерживаемой в течение долгого времени. Сотни тысяч болгар всех возрастов и обоего пола погибли при самых страшных обстоятельствах: подробности со-

[9] АВПР, Гл. Арх., д. 25, 1876 г., (лл. 96—97); также: И. Митев, Исторически студии, стр. 12; сб. Апр. въстание 1876 г., т. I, С., 1954. г., стр. 405.

[10] Осв. Болгарии от тур. ига, т. I, стр. 234.

[11] Там же.

[12] Там же.

* Полицейские в тур. время

вершенных жестокостей ужасны, в Перуштице, Батаке, Ветрене вырезано все население...»[13].

«Недавно, — сообщает он, — деревня Бояджик около Ямбола испытала ту же судьбу. Женщин и девушек насиловали, убивали и уводили в рабство, убивали детей, убивали крестьян, убегающих при приближении войска, убивали и тех, кто оставался при них, убивали тех, кто прятался и тех, кто сдавал оружие»[14].

Алексей Церетели отмечает дальше, что, истребляя «все, что есть лучшего и выдающегося среди болгар», турецкое правительство не думало о том, каким огромным потерям оно «... подвергает свою собственную казну, разрушая самую богатую провинцию империи»[15].

По распоряжению русского посла в Константинополе гр. Н. П. Игнатьева, все консулы, находящиеся в разных городах Европейской Турции — в Тульче, Русе, Варне, Адрианополе, Филиппополе (Пловдиве), Битоле и др., должны были собирать и посылать ему в посольство все сведения о турецких зверствах, жестокостях и страданиях болгар после Апрельского восстания.

Ему нужны были неоспоримые факты для опровержения ложных сведений турок о действительном положении в Болгарии. Разоблачением турок, освещением в печати происходящих там событий, достигалась и другая не менее важная цель — привлекалось внимание мировой общественности к судьбе несчастного и угнетенного болгарского народа, о страданиях которого на Западе имели довольно смутные сведения.

Особенно энергичным и верным помощником гр. Н. П. Игнатьева и в этом был Ал. Церетели. Посол очень ценил его и всегда направлял его, как мы увидим дальше, на самые ответственные должности и давал ему самые трудные задания.

Исполняя распоряжения посла Н. П. Игнатьева, Ал. Церетели посылал ему все новые и новые сведения и факты и вместе с ними выражал свою тревогу о несчастном населении: «... В настоящее время, — пишет он, — более 100 деревень разорено и население не менее чем в 75 тысяч человек распылено: многие убиты, другие бродят по лесам или страдают в тюрьмах. Бродят покинутые голодные дети; нескольких подобрали турки, чтобы обратить их в мусульманство. Болгары совершенно бессильны бежать из своей страны или отправить свои семьи»... «Таким образом, — не выдерживает Алексей Церетели, — их судьба заслуживает, кажется, внимания и интереса великих держав»[16].

«... Неужели христианская Европа, — спрашивает он дальше, — останется безучастной перед лицом убийств и пыток, которые испытывает мирное население, требующее для себя одного лишь права, права на жизнь»[17].

* * *

Алексей Церетели писал всем и всюду, где могли или имели возможность и власть как-нибудь помочь пострадавшим после Апрельского восстания болгарам.

Тогда из России посылали помощь главным образом в Сербию и Черногорию, а в Болгарию таковая почти не приходила[18]. Поэтому

[13] Осв. Болгарии от тур. ига, т. I, стр. 234.

[14] Там же.

[15] Там же.

[16] Осв. Болгарии... т. I, стр. 234.

[17] Там же.

[18] Там же, стр. 356.

Ал. Церетели, приехав на два дня в Константинополь из Адрианополя 27 мая 1876 г., написал письмо секретарю Московского славянского комитета проф. Попову Н. А.*: «Спешу поделиться с Вами теми грустными надрывающими сердце сведениями, которые я там собрал». Ал. Церетели описывает ему зверства турок в Болгарии и говорит, что то, что «делалось теперь в Герцеговине и Боснии, бледнеет перед зверствами в южной Болгарии»[19].

Он старается этим письмом привлечь внимание русской благотворительности к болгарам, которым «... некуда бежать, и дети... и женщины, скитаясь по полям и загнанные в города, положительно мрут с голода»... Особенно его волновали оставшиеся сиротами голодные дети. Он часто упоминает о них в своих донесениях: «... Сотни детей остались сиротами... пока им надо дать хоть кусок хлеба...»[20].

Ал. Церетели обещает Н. А. Попову, что как только он вернется в Адрианополь, то поедет после этого в Филипопполь (сейчас Пловдив) и постарается оттуда ему выслать «... возможно точные сведения»... «а пока, — пишет он, — желательно иметь хоть несколько сот рублей немедленно для покупки хлеба семьям и сидящим сотнями в тюрьмах»[21].

Его очень волновало, что «никто ничего не знает, да и знать не может, потому что теперь, — пишет Ал. Церетели, — ни один иностранец, а тем не менее русский, туда показаться не смеет, так как... недавно двух французов убили под Филиппополем»[22]. Ал. Церетели имел в виду безнаказанность турок и отсутствие безопасности не только для местных жителей, но даже и для иностранцев: накануне были убиты немецкий и французский консулы в Салониках[23]. Так что найти людей, которые согласились бы оказать помощь голодающим и сидящим в тюрьмах, было трудно, ни один грек, — пишет Алексей Церетели Н. А. Попову, — не осмелится взять на себя раздачу пособий»[24].

Но судьба этих несчастных и голодающих людей настолько его волновала, что никакая опасность, даже для его жизни, его не останавливала. Он писал Н. А. Попову, что «постарается сделать все, что сможет, сам», а также «найти на месте людей, не причастных политике, которые решились бы взяться за это доброе дело»[25].

* * *

В Филиппополе русским вице-консулом был Найден Геров, болгарин по происхождению, доставлявший Н. П. Игнатьеву подробные сведения о жертвах и страданиях своих соотечественников. Эта его активная деятельность вызвала гнев турецких властей. И на имя великого визиря было сфабриковано прошение от местных жителей, в котором

---

[19] Осв. Болгарии от тур. ига. т. I, стр. 356.

[20] Там же.

[21] Там же.

[22] Там же.

* Нил Ал. Попов, историк /1833—1891/, проф. Моск. университета.

[23] В мае 1876 г. в Салониках варварски жестоко были убиты французский и германский консулы за то, что они попробовали избавить одну болгарскую малолетнюю девочку от насильственного принятия мусульманства и ее брака с мусульманином /П. Димитров, Лични спомени, 1918., стр. 8/.

[24] Там же.

[25] Там же.

они «для умиротворения края» просят удалить из города Н. Герова, как «главного виновника восстания»[26].

По политическим соображениям гр. Н. П. Игнатьеву нельзя было вступать в споры с турецким правительством, и он вызвал Н. Герова в Константинополь якобы для личных ему докладов, и с начала июня 1876 г.[27] по октябрь он находился в русском посольстве в Константинополе.

Однако вице-консула в Филиппополе (г. Пловдиве) надо было на это время заменить кем-либо другим. И Н. П. Игнатьев поручает это дело своему секретарю Алексею Церетели.

Тот факт, что он посылает именно Ал. Церетели в Болгарию в такое тревожное, бурное и напряженное время, «свидетельствует, — пишет проф. М. Попруженко, — об исключительном доверии к нему посла Н. П. Игнатьева, который, очевидно, не сомневался, что его молодой секретарь будет в состоянии не только принести пользу страдавшему болгарскому народу, но и оказать содействие в осуществлении планов, намеченных русской дипломатией в деле решения вопроса об освобождении болгар»[28].

Алексей Церетели приехал в Пловдив 5 июня 1876 г. и в течение приблизительно четырех месяцев «с исключительной энергией, настойчивостью и смелостью защищал интересы болгар»[29].

Это временное замещение Н. Герова Алексеем Церетели принесло больше пользы, чем мог бы сделать Н. Геров за это время, так как у А. Церетели были большие связи с дипломатическими представителями западных государств и он смог своей энергичной деятельностью привлечь их на сторону болгар.

Приехав в Пловдив, Ал. Церетели сразу оказался в самом центре всех событий южной Болгарии. Со всех сторон к нему стали приходить сообщения об очередных грабежах и казнях. Отлично владея болгарским языком, он мог непосредственно от самих болгар узнавать о событиях, пережитых ими.

Так, например, о страшной судьбе г. Батака, население которого одно из первых в этой области поднялось против турецкого владычества, Ал. Церетели узнал от одной известной женщины — Фоты Антоновой, по отцу Манчовой, сестры известного тогда книготорговца и издателя Драгана Манчова[30].

Получая такие сведения и сообщения, Ал. Церетели отправлялся сам по тем местам, где совершались эти события, чтобы увидеть все своими глазами и убедиться в их верности и истинности, и немедленно сообщал о них в донесениях послу.

Так, уже через 2 дня после своего приезда в Пловдив, он посылает официальное донесение Н. П. Игнатьеву об отчаянном положении христиан-болгар в Турции: «...Всюду турки злодействуют, разоряют христиан, уводят скот, принуждают обрабатывать поля беев. Аресты сотнями. Имущества конфискуют и продают. В тюрьмах пытки и нево-

---

[26] Арх. на Н. Геров, Документи..., письмо Н. Герова гр. Игнатьеву от 28 июня 1876 г., док. № 207, стр. 199.

[27] Там же.

[28] Проф. М. Попруженко, Кн. А. Н. Церетелев, журн. «Славянски глас» за 1932 г., кн. 1—2 /XXVI/, стр. 58.

[29] Там же.

[30] Керелов Тр., През кръв и пожари, исторически очерк за Батак, С., 1961 г., стр. 108.

образимые зверства. Женщины, дети без крова и хлеба. Впереди нищета и голод»[31].

Посещая пострадавшие места, он лично убеждался, что «большинство сел разграблено, болгар убивают повсюду», что «надо ждать новых зверств»[32]. И все это, как он замечает, происходит на фоне общей нищеты и остается не только безнаказанным со стороны турецких властей, но даже поддерживается ими[33].

Убеждаясь все больше и больше в том, что турецкие власти, действуя безнаказанно, в то же время старались скрыть все ими содеянное, Алексей Церетели, кроме многочисленных официальных донесений, с самыми подробнейшими сведениями, распоряжался еще, чтобы собирали головки и части ног и рук убитых маленьких детей и заспиртованными отсылали бы их Н. П. Игнатьеву, как вещественное доказательство об ужасной резне в гг. Батаке, Перуштице и в других местах[34].

О таких поездках и тогда писали в газетах. Например, в газете «Стара Планина» от 7 августа 1876 г. сообщается: «Несколько дней тому назад прибыл сюда, в Пловдив... кн. Церетелов, который объехал многие из разрушенных болгарских сел и исследовал подробно все. Я узнал, — пишет автор статьи, — что здешний паша ему говорил, чтобы он пока не ездил по разбитым селам, дабы его не убили где-нибудь, но он ответил: «... у меня нет ни жены, ни детей, если меня и убьют, некому будет плакать обо мне...». Говорят, что он брал головы маленьких детей, убитых в Перуштице, и посылал их в Царьград»[35].

* * *

Ал. Церетели часто в своих донесениях настаивал на необходимости наказать виновных. «Нельзя оставлять без ответственности турок за эти их злодейства, — пишет он. — Людям надо дать спокойствия, чтобы они могли обработать свои нивы и спасти урожай, иначе людей ждут еще более страшные бедствия»[36].

Ал. Церетели, где бы он ни находился, в своем ли консульстве, куда приходили многие из пострадавших болгар, или где-либо в пути, он всегда им отдавал все, что имел: и деньги, и хлеб... Об одном таком случае упомянул и его друг и современник, корреспондент английской газеты «Daily News» Я. Мак-Гахан, который объезжал пострадавшие после Апрельского восстания места в августе 1876 г. «Кн. Церетелев, — писал он в одном своем письме, — присоединясь к нам по дороге в г. Ямбол, роздал несколько фунтов стерлингов вдовам, мужья которых были убиты во время турецкой резни...»[37].

Ал. Церетели, будучи очень отзывчивым человеком, старался найти возможность помочь болгарам и облегчить их тяжелое положение.

Конечно, его средств не могло хватить всем, и поэтому Ал. Церетели послал в Петербург (в Азиатский департамент) просьбу прислать ему какую-нибудь сумму для помощи пострадавшим, а после Н. П. Иг-

---

[31] Арх. на Н. Геров, Документи..., док. № 194, от 7 июня 1876 г., док. № 194, стр. 192.

[32] Там же, № 204, от 27 июня 1876 г., док. № 204, стр. 198.

[33] АВПР, Гл. Арх. У—А/2, д. 989, 1876 г., л. 188,

[34] И. Митев, Въстаници и доброволци, стр. 86,

[35] Газ. «Стара Планина», № 1, от 7 авг. 1876 г., стр. 3, кол. II, статья «Вести из Българско».

[36] Арх. на Н. Геров, Документи, № 199, стр. 194.

[37] Мак-Гахан, Е. Д., Зверства в Болгарии, письма спец. корреспондента «Daily News», СПб, 1877 г., стр. 159.

натьева просил разрешить ему от имени русского посольства раздать «... хоть немного хлеба женщинам и детям, находящимся в большой нищете»[38].

Посол Н. И. Игнатьев разрешил ему израсходовать на это из кассы консульства не больше 30 турецких лир[39], а через 2 недели, согласно его просьбе, ему прислали еще 2000 рублей для помощи семействам, пострадавшим от восстания[40]. «... Получение этой суммы было в высшей степени своевременно, — пишет Ал. Церетели Н. К. Гирсу в Петербург 29 июня (10 августа) 1876 г., — так как —ассигнованные на этот предмет г. Послом 30 турецких лир были издержаны, а мои личные средства становились недостаточными для удовлетворения ежедневно возраставших требований»[41].

Однако, Алексей Церетели понимал, что раздача помощи лишь приходящим в русское консульство не достигает вполне своей цели, так как в деревнях, как он пишет, нищета еще ужаснее[42].

И теперь, «когда дело идет о спасении от голодной смерти десятков тысяч» людей, то, конечно, имевшиеся в его руках средства «... оказались далеко недостаточными»[43]. Поэтому он употребил все свои старания организовать эту помощь более широко — он постарался «привлечь в пользу несчастных болгар пожертвования со всех сторон»[44].

Ал. Церетели решил, что лучшим средством для достижения этой цели будет образование в Пловдиве иностранного благотворительного общества[45], которое и было создано 8 августа 1876 г. (Accociation Internationale de secours aux Bulgares).

Пользуясь своими личными и общественными связями, Ал. Церетели сумел привлечь в члены этого общества всех иностранных консулов и многих негоциантов[46]. Причем, как пишет Ал. Церетели, они, стараясь «тщательно избежать» политического оттенка, председателем выбрали французского вице-консула д'Истрия, а так как никто из турецких подданных в обществе не участвовал, то «у местных властей, — пишет Церетели, — отняты всякие поводы к вмешательству»[47] в их деятельность.

Весть о создании этого общества быстро распространилась, чему способствовали находящиеся там иностранные корреспонденты, телеграфировавшие немедленно об этом своим издательствам[48].

Это общество очень быстро развило кипучую деятельность и в очень короткий срок имело возможность помогать многим вдовам и сиротам, организуя для них приюты, школы и раздачу им месячного содержания[49]. За организацию этого общества Ал. Церетели получил поздравление от посла и из Петербурга; Н. К. Гирс писал Т. И. Филип-

---

[38] Арх. на Н. Геров, Документи..., № 205, от 28 июня 1876 г., стр. 198.

[39] Там же, № 213, стр. 202.

[40] Там же, стр. 207, № 225, № 266; также АВПР, д. 989, № 2535, 1876 г., л. 127.

[41] Там же, стр. 214, док. № 237.

[42] Там же, стр. 215, док. № 237.

[43] Там же.

[44] АВПР, Гл. Арх. У—$А_2$, д. 989, л. 127, также Арх. на Н. Геров. Документи... стр. 215, № 287.

[45] Там же.

[46] Там же.

[47] Там же.

[48] Там же.

[49] Сб. Апр. въстание, 1876 г., т. II, стр. 108, № 377.

пову[50], что оно «заслуживает... самого полного доверия»[51], и просит его оказать содействие этому новому обществу.

Так по инициативе Ал. Церетели была найдена возможность более продуктивно поддержать в тяжелую минуту пострадавших после восстания болгар.

* * *

К концу августа 1876 г. А. Церетели вернулся в Россию для доклада лично императору и канцлеру А. М. Горчакову о событиях, указанных в его донесениях, и вообще о положении в Болгарии[52].

Хотя турецкое правительство старалось изолировать восставшие районы и ограничить посылку сведений о ходе восстаний, а Англия, покровительствуя Турции, тоже старалась скрыть от мировой общественности сведения о турецких жестокостях, все же в русскую и западноевропейскую печать проникли сведения о насилиях и зверствах, совершенных турками над болгарским населением при подавлении восстания. Эти сведения вызвали в России широкое народное движение в защиту болгар и других южных славян; стали усиленно говорить о необходимости решительных мер, которые Россия должна предпринять для защиты угнетенного народа.

Постепенно в русском народе созревала мысль о неизбежности и необходимости войны с Турцией; русское правительство должно было предпринять энергичные и решительные меры, принудить турецкое правительство дать автономию болгарскому народу. Поставив перед западными государствами этот вопрос, Россия заявила, что в противном случае она найдет другой способ его разрешения[53].

Правительства Западной Европы не разделяли мнения России, но в конце июля 1876 г. в Англии, Франции и других странах Европы, узнав правду о жестокой расправе турок над болгарами, общественность этих стран потребовала от своих правительств расследования событий[54].

И под натиском России, с одной стороны, и общественного мнения, с другой, Англия решила провести сначала проверку сведений о резне, о которой говорилось в печати. Собственно, она решила проверить сведения, собранные Алексеем Церетели. С этой целью английское правительство посылает свою анкетную комиссию — секретаря английского посольства У. Беринга и чиновника посольства Гваррачино, которые были «явно предубеждены» против Ал. Церетели, а Гваррачино еще и «подкуплен турками»[55]. Об этом Алексея предупредил посол Н. П. Игнатьев и выразил надежду, что он, Церетели, сумеет «ловко настроить показания, которые будут им сообщаться»[56]. Алексею Церетели поручается тоже участвовать в этом расследовании.

Одновременно с ними и американское посольство посылает в Болгарию своего генерального консула Юд. Скайлера, приехавшего в

[50] Тертий Ив. Филиппов, управляющий врем. ревизион. комиссией ведомства госуд. контроля: член СПб слав. комитета и. о. председателя.

[51] Освобождение Болгарии от турецкого ига, т. I, стр. 256.

[52] Хр. Христов, Осв. на България и политиката на западните държави 1876—1878 гг., С., 1968, стр. 25; также Дневник Д. А. Милютина, 1876—1877 гг., т. II, М., 1949, стр. 74.

[53] История на България , т. I, стр. 483.

[54] Осв. Болгарии от турецкого ига, т. I, стр. 341, примечание I.

[55] Арх. на Н. Геров, Документи... стр. 203, № 219.

[56] Там же.

Пловдив со своим переводчиком П. Димитровым — сотрудником газеты «Зорница»[57] (издававшейся в Константинополе).

К этим комиссиям присоединились и многие корреспонденты и редакторы различных газет и журналов: Я. Мак-Гахал из американской газеты «New Jork Herald» и лондонской газеты «Daily News», немецкий журналист Карл Шнейдер, английский консул в Адрианополе Дюпюи, корреспондент доктор Шуарлер из газеты «Gazette de Cologne»[58] и другие.

Всполошились турецкие власти; стали прилагать все усилия, чтобы уничтожить следы своих преступлений. Они распорядились, чтобы в г. Батаке, например, где было совершено самое страшное преступление, были бы зарыты трупы убитых, а оставшихся в живых убили бы где-либо в лесу, чтобы показать, что они, вроде бы, погибли в сражениях[59], или что мужчины сами убили своих жен[60].

Другой пример. Видинский мутесариф[61] по распоряжению своего правительства посылает Ломскому каймакаму[62] секретный приказ скрыть все трупы. В приказе было сказано: «...Несмотря на то, что вам была сообщена воля великого визиря распорядиться, чтобы не оставались на виду, а были зарыты тела убитых во время прошедших событий бунтовщиков, мы узнали, что в горах и на холмах все еще замечались отвратительные картины некоторых трупов. Если это положение привлечет внимание иностранных представителей, которые объезжают страну со специальной миссией, то снова может появиться повод к опубликованию вредных для государства статей». Дальше мутесариф приказывает быстро закопать все трупы и кости и сообщить ему об этом своевременно[63].

Турецкое правительство тоже посылает в Пловдив своих представителей для участия в этом расследовании. Туда поехали Акиф-паша, Киани-паша[64], Лебиб-эфенди и, конечно, с целью прикрыть зверства, а не разоблачить их.

В связи с этим, Ал. Церетели предстояла трудная и ответственная задача — так умело организовать анкету, чтобы представители иностранных комиссий могли бы своими глазами увидеть все совершенное турками, и помешать последним или кому-либо другому скрыть истинное положение вещей или дать ложные показания.

Задача его осложнялась еще и тем, что турецкие представители сопровождали некоторых членов иностранных комиссий и, согласно своим инструкциям, старались, конечно, многое скрыть от иностранцев, а англичане и без того были настроены тенденциозно. Причем эти комиссии ездили по районам не всегда вместе, а чаще каждая в отдельности. И Ал. Церетели надо было знать, где ему более необходимо быть в данный момент.

---

[57] П. Димитров, Лични спомени, стр. 8.

[58] Апр. въстание 1876 г., стр. 55, № 172; также: Арх. на Н. Геров, Документи..., стр. 210—211, № 232.

[59] И. Митев. Исторически студии, стр. 26; также: И. Венедиков, История на въстанието в Батак, С., 1929, стр. 132—134.

[60] Там же; также: Положение на бълг. народ под турско иго, Документи и материали под ред. на Н. Тодоров, С., 1953, стр. 332.

[61] Правитель округа, губернатор небольшой провинции.

[62] Заместитель, управитель казы (каза — мелкая административная единица в Турции).

[63] И. Митев, Исторически студии, стр. 26.

[64] Арх. на Н. Геров, Документи..., стр. 203, док. № 218.

Начиная с 7 июля 1876 г. Ал. Церетели стал снова объезжать разоренные села и города уже вместе с членами анкетной комиссии и представителями печати. Так, он 7 июля ездил с редактором французской газеты «Le Figaro» (Иван де Вестин) в с. Перуштицу и Кричим, на следующий день с немецким консулом в с. Катуницу, затем поехал с французским консулом д'История и его переводчиком в Хасковские села[65] и еще со многими другими иностранными представителями, стараясь показать им самые пострадавшие после восстания районы, чтобы они все лично увидели на месте.

Докладывая в МИД Н. К. Гирсу в С.-Петербург, Ал. Церетели писал, что увиденное ими представило им картину гораздо ужаснее, чем могло бы воображение или рассказы их нарисовать[66].

По поводу работы английской комиссии у Ал. Церетели было особое мнение. Он отмечал, что Беринг и Гваррачино очень быстро объезжали пострадавшие места, и почти всегда в сопровождении какого-нибудь турецкого чиновника; причем останавливались только на ночлег и то только в домах мусульман. Это показывает, пишет Алексей Церетели, что они «не старались открыть истину»[67], и уж, конечно, «не таким образом узнают правду об ужасах, совершенных турками»[68].

Кроме того, англичане вели антирусскую пропаганду. Особенно Гваррачино. Последний охотно распространял слухи о том, что якобы восстание поощрялось русскими консулами на Балканах и русским посольством в Константинополе. Он также заявлял туркам и самим болгарам, что Россия, благодаря своим интригам, была причиной всех несчастий в Болгарии[69]. Об этом Алексею сказали сами болгары во время его поездки в г. г. Плевен, Тырново, Габрово и др. Болгары категорически опровергали все эти слухи[70].

Поэтому, когда Ал. Церетели ездил с этими комиссиями, он старался вопреки желаниям и стремлениям турок и даже англичан провести их по всем этим районам, в которых он уже побывал и знал, где и что именно надо им повидать.

Так было, например, при посещении г. Перуштицы. Когда анкетная комиссия подошла к этому сожженному селению, то еще издали им показалось, что будто бы оно не тронуто событиями и один из иностранных консулов даже предложил вернуться, так как они прибыли, мол, проверять только пострадавшие места... Этому, было, обрадовались турецкие представители и стали уверять, что это именно так, и уже, было, совсем повели членов комиссии дальше. Но здесь им помешал Ал. Церетели. «... Русский представитель — князь Церетелев, — пишет об этом случае Ив. Кепов, — настоял и помешал туркам вернуть комиссию с полдороги»[71].

В итоге они побывали и на том месте, где было уничтожено почти все население, и сумели поговорить с некоторыми оставшимися в жи-

---

[65] Арх. на Н. Геров, Документи..., стр. 204—206, № 222; также Сб. Априлско въстание 1876 г., т. II, стр. 52. № 159.

[66] Там же.

[67] Там же.

[68] АВПР, Гл. Арх. V-А2, д. 989, оп. 181, 1876 г., д. 26.

[69] Там же, л. 21.

[70] Априлско въстание 1976 г., т. II, стр. 70, № 224, № 225.

[71] Ив. Кепов, Въстанието в Перущица през 1876 г., Пловдив, 1931 г. стр. 222.

вых жителями этого городка. От них они не только узнали подробности резни, но и увидели вещественные доказательства, принесенные крестьянами из кустов, которые еще лежали незарытыми — это были детские черепа, порезанные ножом, женские косы, которые комиссары взяли с собой[72].

Интересно отметить также мнение одного известного болгарского писателя, активного общественного деятеля того времени и большого патриота П. Р. Славейкова об отношении Ал. Церетели к обследованию турецких зверств.

Во время одной поездки иностранная комиссия, в которой был и Ал. Церетели, прибыла в г. Казанлык и остановилась в одном турецком хане[73], где они встретились с П. Р. Славейковым. Когда, — пишет П. Р. Славейков[74], — во время беседы переводчик англичан, болгарин П. Димитров, «... при всей своей европейской образованности и вежливости все же позволил себе выразиться не только неблагоприятно, но и унизительно о состоянии болгарского народа», то все это «вывело» его из терпения, и, чтобы опровергнуть неверные и несправедливые заключения, Славейков начал «немного круто» с того, что «... они ничего не узнали и не могут ничего сказать о том, что познакомились с состоянием болгарского народа, с его злостраданиями». Говорил он, мол, жарко и старался объяснить все по-русски, хотя «его русский язык был больше славянским» и потому, может быть, его неправильно поняли. Однако не все. «... Один Церетелев» «... не только не был того же мнения, что и другие, но на другое утро пришел к нему и поблагодарил его, Славейкова, за то, что слышал от него и чего еще другой не сказал им»[75].

Создавалось впечатление, будто он (Церетели) не представитель иностранного государства, а представитель Болгарии, в дом которого пришли иностранцы с обследованием.

* * *

Как мы уже видим, английская комиссия во время расследований зверств турок не была объективна.

Еще тогда Ал. Церетели сообщал послу, что он очень боится, что в донесениях его коллеги «имеются большие пробелы и что даже в них можно будет встретить какую-нибудь абсурдную историю турецкой фабрикации»[76].

Турецкие власти тоже стремились опровергнуть обвинения против них. Они даже старались обвинить болгар: председатель комиссии в Пловдиве Селим-эфенди выдумал даже документы о каких-то «ужасных планах болгар»[77].

Ал. Церетели писал по этому поводу Н. П. Игнатьеву в Константинополь, что сфабрикованные там, (в Константинополе) документы были «фальшивые с начала до конца»[78]. Это все надо было доказать.

---

[72] Там же.

[73] Постоялый двор.

[74] Сборник за народни умотворения, наука и книжнина. Изд. Бъл. книжовно дружество, кн. XX, София, 1904 г., II часть «Материали» 1) писма на П. Р. Славейков, стр. 161, писмо С. XXIII (Славейков пишет своему сыну Ивану).

[75] Там же.

[76] АВПР, Гл. Арх., д. 989, оп. 181, 1876 г., л. 26.

[77] Арх. на Н. Геров, Документи... стр. 213, док. № 235; также: Сборник Апр. въстание 1876 г., стр. 57, т. II, № 180.

Поэтому очень было важно, чтобы сами турецкие и западноевропейские представители подтвердили все сведения Ал. Церетели, представленные им в его донесениях. Ал. Церетели добился того, что почти все корреспонденты отразили в своих газетах правду о болгарской трагедии.

Даже некоторые турецкие комиссары, посетившие пострадавшие места (гор. Батак), вернулись с возмущением: они видели там тела убитых, еще лежавших не похороненными[79].

Благодаря Ал. Церетели, члены анкетной комиссии при ознакомлении с фактами убеждались в правильности донесений и сведений, собранных им и представленных официально в русское посольство.

Даже английская комиссия, вернувшись в Пловдив, должна была признать целый ряд неоспоримых фактов.

7 июля 1876 г. Ал. Церетели телеграфировал управляющему посольством в Константинополе А. И. Нелидову:

«Американцы и немецкий корреспондент в негодовании.

Насчитали в Батаке свыше трех тысяч трупов, сотни детских голов»[80].

У. Беринг, вернувшись из поездок, сам говорил Алексею Церетели, что «число убитых лишь в Пловдивском округе до 10.000, что в Батаке он видел до тысячи трупов непохороненными, что бедствия населения ужасны, власти бессильны»[81]. Этого и добивался Алексей Церетели.

«Сведения, собранные Берингом, — писал он Н. П. Игнатьеву, — 25 июля 1876 г., — вполне подтверждают все сообщенное мной»[82]. Алексею Церетели не надо было его (Беринга) убеждать, да он и не старался этого делать, будучи уверенным, что факты и сами события достаточно красноречиво говорят за себя.

Таким образом, английские представители в комиссии Беринг и Гваррачино должны были признать истину, хотя всеми силами старались пройти мимо действительности и объяснить причины бедствий болгар «русскими интригами».

Американский консул Юд. Скайлер, корреспондент лондонской газеты «Daily News» Мак-Гахан, французский журналист Иван де Вестин из газеты «Le Figaro» и др. — все они стали друзьями Алексея Церетели: он умел расположить к себе людей, привлечь на свою сторону и убедить в том, во что верил сам.

И эти честные дипломаты и журналисты раскрыли в своих донесениях, информациях и статьях перед цивилизованным миром турецкие зверства и трагедию болгарского народа, убедившись во всем этом лично и увидев все своими глазами. И в этом заслуга Алексея Церетели.

И эти опубликованные статьи превратились в обвинительный акт против Турции и ее английских покровителей.

Алексей Церетели с американским консулом Юд. Скайлером составили протокол о совместной поездки по пострадавшим местам и вместе подписали его. Этот протокол Ал. Церетели лично отвез в Константинополь вместе со своими донесениями. Ввиду важности этих документов, они были посланы в МИД Н. К. Гирсу и канцлеру Горчакову в Петербург[83].

---

[78] Арх. на Геров, стр. 57, т. II, № 180.

[79] Там же, стр. 223, док. № 243.

[80] Осв. Бол. от тур. ига, т. I, стр. 342, примеч. № 1.

[81] Арх. на Н. Геров, Документи..., стр. 210, док. № 230.

[82] Там же.

[83] Сбор. Апр. въстание 1876 г., ч. II, стр. 70, док. № 226;

«Подробные донесения кн. Церетелева Министерству Иностранных дел в Петербург о его поездках со Скайлером, — пишет проф. М. Попруженко, — являются актами высокой исторической ценности по вопросу о расположении общественного мнения христианских народов в пользу болгар»[84]. В дальнейшем Ал. Церетели ходатайствовал перед МИДом о награждении Юд. Скайлера (что и было решено) орденом Анны 2-ой степени[85].

* * *

Несмотря на то, что по Болгарии ездили представители иностранных анкетных комиссий, турки не прекращали своих бесчинств. Поэтому Ал. Церетели продолжал посылать свои донесения и телеграммы в Константинополь и в Петербург, иногда по нескольку в день. В них он писал, что турки не только всячески притесняют и мучают своих поселян, но и не возвращают награбленное ими у них, не возвращают скот, не допускают их строить свои сожженные дома... А между тем «... хлеб не убран, поля не паханы, холода наступают, тысячи без крова и хлеба. Смертность, особенно детей, огромная. В тюрьмах тиф... Народ в совершенном отчаянии, не видя конца бедствий»[86].

Ал. Церетели не только посылал сведения; он настаивал на том, чтобы быстрее были приняты меры для спасения болгарского населения, чтобы Россия заступилась за него.

26 июля 1876 г. Ал. Церетели пишет в МИД Н. К. Гирсу, что положение в Болгарии ухудшается, что «... бедствия болгар растут со дня на день; но сила свирепства турок нимало не уменьшается, безнаказанность их полная... Тысячи семейств живут в шалашах... Начались уже болезни, особенно много умирает детей, а исхода, поворота к лучшему нет нигде, напротив, опасение от новой резни христиан»[87].

Ал. Церетели твердо и последовательно становился на точку зрения, что Россия должна вмешаться в освобождение Болгарии. В той же телеграмме он пишет: «... Народом овладевает полное отчаяние, сопротивляться он не в силах. Спасение может прийти лишь извне... Надо ли говорить, что болгары возлагают все свои упования... на православную Русь»[88].

Такого же мнения, как мы говорили уже, был и Н. П. Игнатьев.

* * *

Международная анкетная комиссия окончила свою работу. Ал. Церетели уехал в Константинополь к месту своей службы. Свою миссию он закончил блестяще и с большим успехом.

Прогрессивная мировая общественность была потрясена и возмущена жестокостями, совершенными турецкими ордами над болгарским населением, и в России и в ряде европейских стран создалось широкое народное движение в защиту как болгарского, так и других балканских народов.

---

[84] М. Попруженко, кн. А. Н. Церетелев, журн. «Славянски глас», год XXVI, кн. 1—2, София, 1932 стр. 58.

[85] АВПР, Гл. Арх. д. 991, 1878 г., л. 20.

[86] Арх. на Н. Геров, Документи..., стр. 210, док. № 230.

[87] АВПР, Гл. Арх. д. 989, 1876 г., л. 122; также Арх. на Н. Геров, Документи..., стр. 212, док. № 233.

[88] Там же.

Вместе с растущим общественным движением в России стала созревать мысль о возможности войны с Турцией. Постепенно всюду стали говорить и писать о военном вмешательстве на Балканах и о том, что Россия готова вести войну с ней.

29 июля 1876 г. военный министр Д. А. Милютин писал канцлеру А. М. Горчакову, что «... никогда еще военные силы России не были столько подготовленны к войне, как теперь»[89].

Такое же настроение было и на Западе. В Англии, например, «сочувствие (болгарам) всеобщее и такое сильное, — писал английский министр иностранных дел Дерби, — что даже если Россия объявит войну Турции, правительство ее величества нашло бы политически невозможным вмешаться»[90].

Несмотря на это, Россия все еще искала пути для мирного урегулирования положения на Балканах в согласии с другими западными государствами.

Канцлер А. М. Горчаков предложил Англии взять на себя инициативу созыва международной конференции великих держав для обсуждения положения в Турции[91].

Англия тянула с ответом, а правительства России и других западных государств не могли все еще прийти к соглашению в отношении многих спорных вопросов.

В это время Турция вела войну с Сербией, и в Ливадию пришло сообщение о разгроме сербов и о взятии Джуниса и Алексинца и о беспрепятственном движении турецкой армии к Белграду.

Опасаясь, как бы вторжение турок не сопровождалось такими же жестокостями, какие были совершены в Болгарии, русское правительство немедленно телеграфировало Н. П. Игнатьеву объявить Порте, что если в двухнедельный срок она не примет перемирия на один месяц или на 6 недель и если она не отдаст немедленно приказания прекратить военные действия, то русский посол оставит Константинополь со всеми чинами посольства, и дипломатические отношения России с Турцией будет прерваны[92].

20 октября 1876 г. Турция приняла требования России, а английское правительство, испугавшись, как бы не вспыхнула война между Россией и Турцией, согласилось созвать конференцию шести государств[93].

Вместе с тем в России началась мобилизация. Русский народ выражал свою готовность участвовать в войне за освобождение южных славян[94].

* * *

В русском посольстве в Константинополе предстояла большая работа: в начале декабря 1876 г. должна была собраться конференция послов шести европейских государств.

Гр. Н. П. Игнатьев поручил Алексею Церетели очень ответственную работу — подготовить проект автономии Болгарии для предстоящей конференции.

[89] Осв. Болгарии от тур. ига, т. I. стр. 314.

[90] Хр. Христов. Осв. на България и политиката на западните държави 1876—1878 гг., С., 1968 г., стр. 31.

[91] Там же, стр. 58.

[92] С. С. Татищев. Имп. Александр II..., стр. 328—329.

[93] Там же, стр. 323; Хр. Христов, указ. сочин., стр. 58.

[94] Там же, стр. 336.

И так как турецкое правительство недоброжелательно относилось к этой конференции, а Англия, хотя и согласилась созвать ее, но имела намерение ограничить требования России в интересах Турции[95], то Н. П. Игнатьев решил привлечь к этой работе и секретаря американского посольства Юд. Скайлера и через него оказать влияние на английских журналистов, находившихся с ним в сношениях[96], надеясь, что они будут способствовать тому, чтобы «разумные мысли в английской прессе» взяли бы верх и что «их мнение как исходящее от людей опытных и незаинтересованных, только что побывавших в Болгарии, будут иметь значение в глазах дипломатов, собравшихся в Константинополе»[97].

Ал. Церетели и Скайлеру надо было в короткий срок составить проект будущего устройства Болгарии; это была довольно трудная задача, т. к. границы Болгарии не были ясны, население было смешанным и у них не было точных статистических данных. Все это затрудняло выработку, — как пишет Ал. Церетели, — «удовлетворительного устава для Болгарии»[98].

Однако «изучением местных условий, подробными расспросами жителей и иностранных агентов»[99], учитывая имеющиеся у них программы будущего устройства Болгарии, разработанные самими болгарами[100], им удалось «согласовать общие принципы с нуждами и чаяниями народа и составить проект», — пишет Ал. Церетели[101].

Ал. Церетели считает, что с политической точки зрения этот проект представляет «... ту выгоду, что соединение всех болгар в одну область послужит к укреплению и развитию этого народа, а между тем, широкое местное самоуправление даст удовлетворение туркам и грекам в смешанных округах»[102].

И хотя он не считает, что этот проект административной автономии является «наиболее выгодной для болгар формой управления», все же «какое бы то ни было самоуправление и с величайшими недостатками, — пишет Ал. Церетели, имея в виду тогдашние условия, — оно все же лучше турецких порядков»[103].

Они надеялись, — пишет Алексей Церетели, — что их «труд пригодится как материал для дальнейшей разработки»[104].

Этот проект, который назывался «Планом организации Болгарии», по замыслу Н. П. Игнатьева, должен был облегчить работу конференции, послужив основой обсуждения болгарского вопроса, и явился как бы проектом максимумом. Н. П. Игнатьев на его основании составил второй проект — проект-минимум, который был нужен последнему на случай, если проект-максимум «... не будет принят конференцией, а предложения, сделанные Англией, не будут отвечать русской точке зрения и который был бы у него «в запасе»[105].

---

[95] Осв. Болг. от тур. ига, т. I, стр. 487, примеч. I.
[96] Там же, стр. 487.
[97] Там же.
[98] Там же: стр. 488.
[99] Там же.
[100] Там же.
[101] Там же, стр. 488.
[102] Там же
[103] Там же;
[104] Там же.
[105] Там же, стр. 487, 344.

Согласно проекту-максимуму Алексея Церетели и Юд. Скайлера, Болгария приобретает полную автономию, включая в свои границы почти все болгарские земли (Мизию, Добруджу и большую часть Фракии и Македонии»[106].

Намечены были основные положения для административного устройства и управления провинции, для устройства правосудия, вероисповедания, образования, финансов и вооруженных сил[107].

Одним словом, этот проект предусматривал для болгарского населения значительные права на самоуправление.

*
* *

В начале декабря в Константинополе уже съехались делегаты великих держав — представители Англии, Франции, Германии, Австро-Венгрии, Италии и России, а также были и представители Турции. Русским делегатом был гр. Н. П. Игнатьев — «пламенный защитник болгарского народа» — как называли его тогда[108].

23 декабря 1876 г. было открыто первое официальное заседание конференции. На этой конференции после долгих споров и взаимных уступок, несмотря на большое сопротивление турецких представителей, был все же выработан согласованный план восстановления мира между Турцией, с одной стороны, и Черногорией и Сербией, с другой, а также план проведения реформ в Боснии, Герцеговине и Болгарии[109].

Но турецкие представители, чувствуя поддержку Англии, на заключительном заседании 20 января 1877 г. сообщили окончательное решение своего правительства не принимать этого проекта реформ.

Турция также не приняла подписанный по предложению России Лондонский протокол, предлагающий еще раз Турции принять и исполнить решение Константинопольской конференции. Это привело к объявлению Россией войны Турции 12(24) апреля 1877 г. во имя освобождения Болгарии от турецкого ига.

А. Церетели, уехав вместе с членами русского посольства из Константинополя, немедленно определился вольноопределяющимся в армию и прошел с ней снова по знакомой ему уже Болгарии солдатом, ординарцем, разведчиком, заслужив 4 ордена.

Когда готовился мирный договор с Турцией, он снова вернулся на дипломатическую службу и участвовал в подписании Сан-Стефанского мирного договора после русско-турецкой войны 1877 — 1878 гг.

---

[106] Осв. Болг. от тур. ига, т. I, стр. 489.

[107] Там же.

[108] История на България, т. I, стр. 485.

[109] С. С. Татищев, указ. соч., стр. 334

ცნობები და შენიშვნები

ჯემალ შარაშენიძე

მანიშთუშუს ობელისკის შესახებ

ძველი შუამდინარეთის საძიწათმოქმედო ურთიერთობის შესანიშნავი ძეგლი, მანიშთუშუს ობელისკი, რომელიც განეკუთვნება აქადის დინასტიის ხანას (ძვ. წ. XXIV—XXIII სს.), მრავალმხრივ საინტერესო ცნობებს გვაწვდის აღნიშნული ეპოქისათვის დამახასიათებელი საზოგადოებრივი ყოფის შესახებ[1]. წინამდებარე წერილში ჩვენ ობელისკის ტექსტში შემონახულ ორ ცნობაზე შევჩერდებით

I. საწყაო ერთეულის „დოქის“ (DUK) ვოცულობისათვის აქადის დინასტიის ხანაში

მანიშთუშუს ობელისკის ერთ ადგილას ნათქვამია, რომ სხვადასხვა სახის იარაღებთან და პროდუქტებთან ერთად შესყიდული მიწის ძირითადი ფასის დამატებით მეფემ გასცა „40 დოქი ზეთი“ (40 IA. DUK).[2] ამ შემთხვევაში, როგორც ვხედავთ, „დოქი“ გამოყენებულია საწყაო ერთეულად. ისმება კითხვა. რა მოცულობისაა იგი?

აღნიშნული საწყაო ერთეული ფართოდ იყო დანერგილი ძვ. წ. III ათასწლეულის მთელს მანძილზე შუამდინარეთში. მას იყენებდნენ ძირითადად სითხეების ლუდის[3], ღვინის[4], ზეთის[5], რძის[6], ძმრისა[7] და ა. შ. ასაწყავად.

შუამდინარეთში ძვ. წ. III ათასწლეულში გვხვდება შემდეგი მოცულობის საწყაო დოქები: 1/2 სილიანი[8] (1 სილა=0,842 ლ)[9], 1 სილიანი[10] და 10 სი-

---

[1] მანიშთუშუს ობელისკის შესახებ ჩვენ შედარებით ვრცლად გვაქვს საუბარი შემდეგ სტატიებში: „მიწისმფლობელობის ფორმები აქადის დინასტიის დროინდელ შუმერში“, „მაცნე“, 1968, № 3; «К переводу обелиска Маништушу», კრებულში: Вопросы древней истории, IV, Тб., 1973.

[2] MO, C VIII 24. შუმერული ტერმინით DUK, აქად. karpatum აღინიშნებოდა თიხის ჭურჭელი საერთოდ, კერძოდ, კი სამუალო სიდიდის თიხის სურები, დოქები, იხ. HAM II, გვ. 49. შუმერულ ზეპირ მეტყველებაში ეს ტერმინი, შეიძლება, ისმოდა როგორც „დოქ“. თუ ეს ასე იყო, სულერთია, იგი ამ ფორმით მაინც არ აისახებოდა წერილობით. საქმე ისაა, რომ ლურსმული დამწერლობის სისტემას არ გააჩნია ო ხმოვნის შესატყვისი გრაფიკული ნიშანი. საჭიროების შემთხვევაში ო-ს მაგიერად იგი ყველგან ხმარობს უ-ს; შეად. Г. А. Меликишвили, Наири-Урарту, Тб., 1954, გვ. 62.

[3] DP 31 II 1, 32 VII 5; Ник., 1,318 II 2; SR, 31 II 1, 34 II 2, VII 5; HAM II, გვ. 53.

[4] SR 116 III 8; HAM II, გვ. 53.

[5] SR 113 II 2, 10; MSL VII, გვ. 205, 47 (იხ. HAM II, გვ. 56).

[6] SR 116 I 3; HAM II, გვ. 53.

[7] HAM II, გვ. 53.

[8] იქვე, გვ. 283. ასეთ შემთხვევაში დოკუმენტის სათანადო ადგილას თითქმის ყოველთვის მითითებულია, ესა თუ ის ნივთიერება რა ტევადობის მქონე დოქითაა აწყული — 1/2 სილიანია იგი, 1 სილიანი თუ მეტი სიდიდისა.

[9] HAM I, გვ. 291.

[10] MSL VII, გვ. 205, Z. 47.

ლიანი[11]. ზოგჯერ წყაროებში მითითებულია ზოგადად ასე: 1/2 ან 1 დოქი ესა თუ ის ნივთიერება[12]. მსგავს შემთხვევაში უკვე ძნელია გავიგოთ, თუ რა მოცულობის საწყაოსთან გვაქვს საქმე. ა. დაიმელი თვლის, რომ 1 დოქი, როგორც საწყაო ერთეული, აღნიშნულ ხანაში იტევდა 20 ან 30 სილას, ე. ი. შესაბამისად 16,84 ან 25,36 ლიტრს[13].

ასეთი ზოგადი განსაზღვრა დოქის, როგორც საწყაო ერთეულის მოცულობისა, ყოველ შემთხვევაში აქადის დინასტიის ეპოქისათვის, არ უნდა შეეფერებოდეს სინამდვილეს. როგორც მანიშთუშუს ობელისკის ზემოთ მოხსენიებული ცნობის მონაცემებით ირკვევა, დოქი აღნიშნულ ეპოქაში ლიტრათა გაცილებით ნაკლებ რაოდენობას შეიცავდა. მოვიყვანთ მანიშთუშუს ობელისკის მითითებულ ცნობას: C VIII [24] 40 IA. DUK [25]NIG. SAM [26] 1 GIN KÙ. BABBAR IX [1]1 IA SILA [2]KÙ. BABBAR-su [3]2 MA. NA KÙ. BABBAR „VIII [24]40 დოქი ზეთი, [25] ფასი: [26]1 სიკლი ვერცხლი IX [1]1 სილა ზეთისათვის, [2] ფასი (სიტყვ: ვერცხლი) მისი [14] [3]2 მინა ვერცხლი“[15].

როგორც ვხედავთ, წყვით მეფეს გაუცია 40 დოქი ზეთი. 1 სილა ზეთი შეფასებულია 1 სიკლ ვერცხლად. მთლიანად 40 დოქი ზეთის ფასს კი შეუდგენია 2 მინა ანუ 120 სიკლი ვერცხლი; გამოდის, რომ 40 დოქში ჩასულა 120 სილა ზეთი, ერთ დოქში კი — 3 სილა (120:40=3). აქედან გამომდინარე აშკარა ხდება, რომ აქადის დინასტიის ეპოქაში საწყაო ერთეული „დოქი“ შეიცავდა 3 სილას ანუ 2,426 ლ.

ამით კიდევ ერთი გარკვეული სიდიდის დოქით შეივსო ძვ. წ. III ათასწლეულის დროინდელი შუამდინარეთის ყოფაში დამოწმებული მცირე სიდიდის საწყაო დოქების სისტემა, რომელიც დღეისათვის ამ სახით გამოიყურება:

დოქები:	1/2	სილიანი ანუ	0,421	ლიტრიანი
	1	„	0,842	„
	3	„	2,426	„
	10	„	8,42	„

II. ტერმინ GIS TUKUL-ის ერთი მნიშვნელობისათვის

აღნიშნული ტერმინი მანიშთუშუს ობელისკში გვხვდება ორჯერ ერთი და იმავე მნიშვნელობით[16]. მარადის თემის ტერიტორიაზე შესყიდული მიწის ძირითადი ფასის დამატებით მეფე თავის კონტრაგენტებს აძლევს სხვადასხვა სახის ნივთებს, რომელთა დასახელება ერთ შემთხვევაში ტექსტის სათანადო ადგილის დაზიანებულობის გამო მთლიანად არაა შემონახული. შემორჩენილია მხოლოდ ერთი მათგანის, კერძოდ, ბრინჯაოს ხანჯლის სახელწოდება (URUDU

[11] HAM II, გვ. 56.

[12] შეად. PDT 1,471 : 9; BIN VIII, 132 III 38; HSS X, 171 : 1,6.

[13] ŠL II, 309: 10. ამ მოსაზრებას იზიარებს ა. სალონენიც, იხ. HAM II, გვ. 58. ამის დამადასტურებელი რაიმე საბუთი არც ერთს არ მოჰყავს.

[14] იგულისხმება 40 დოქი ზეთი.

[15] MO, C VIII 24—IX 3.

[16] MO, C II 2, VIII 14. ერთ შემთხვევაში იგი დამოწმებულია საკუთარი სახელის შემადგენელ ნაწილად, იხ. GIS TUKUL-ga-su-al-<i-in, MO, A XIII 5; B X 10; C XXI 27; D XVIII 8.

ba-da-ru-um-ZABAR)[16ა]. შემდეგ წერია: C II²NIG. ŠAM 1 GIŠTUKUL ³5 GIN KÙ. BABBAR ⁴KÙ. BABBAR-su-nu ⁵1 MA. NA KU. BABBAR LAL 5GIN „C II² ფასი 1 GIŠTUKUL-ისა ³5 სიკლი ვერცხლი, ⁴მათი[17] ფასი (სიტყვ: ვერცხლი), ⁵1 მინა[18] ვერცხლი 5 სიკლ ნაკლებ"[19]. ასე, რომ ნივთები შეფასებულია ერთად 55 სიკლ ვერცხლად მაშინ, როცა ერთი მათგანის ფასი არის 5 სიკლი. გამოდის, რომ სულ ჩამოთვლილი ყოფილა 11 ნივთი.

მეორე შემთხვევაშიც აღნიშნული ტერმინი ნახმარია მსგავს კონტექსტშივე იმავე მნიშვნელობით. განსხვავებით პირველი კონტექსტისაგან მეორე დაუზიანებლადაა მოღწეული. მასში ჩამოთვლილია სახელწოდება 13 სხვადასხვა ნივთისა, რომელთაც აძლევს მეფე თავის კონტრაგენტებს შესყიდული მიწის ძირითადი ფასის დამატებით. კონტექსტი მთლიანად ასე გამოიყურება: C VIII ¹¹ 6 URUDU ḪA.ZI.ZABAR ¹²4 URUDU na-ap-la-aq-tum-ZABAR ¹³3 URUDU maš-sa-tum-ZABAR ¹⁴ NIG.ŠAM 1 GIŠTUKUL ¹⁵5 GIN KÙ. BABBAR ¹⁶KÙ. BABBAR-su-nu ¹⁷1 MA. NA 5 GIN KÙ. BABBAR „C VIII ¹¹6 ბრინჯაოს ნაჯახი, ¹²4 ბრინჯაოს საბრძოლო ნაჯახი, ¹³3 ბრინჯაოს ხელნა (ეტლისა)[20], ¹⁴ ფასი 1 GIŠTUKUL-ისა ¹⁵5 სიკლი ვერცხლი, ¹⁶მათი ფასი (სიტყვ: ვერცხლი) ¹⁷1 მინა 5 სიკლი ვერცხლი"[21].

როგორც ვხედავთ, აქ ჩამოთვლილია 13 სხვადასხვა დანიშნულების ნივთი თითოეული 5 სიკლ ვერცხლად შეფასებული. მათი საერთო ღირებულება შეადგენს 65 სიკლს.

ისმება კითხვა: როგორ უნდა ვთარგმნოთ ტერმინი GIŠTUKUL მოცემულ შემთხვევაში, რა იგულისხმება მის ქვეშ?

ი. გელბი მოყვანილ კონტექსტში ტერმინს GIŠTUKUL თარგმნის: „იარაღი, ბრძოლის საშუალება (Weapon)"[22]. ამგვარადვეა თარგმნილი („оружие") ეს ტერმინი მანიშთუშუს ობელისკის ზემოთ მოყვანილ კონტექსტში ი. დიაკონოვის მიერაც[23].

საერთოდ დღემდე ცნობილ სხვადასხვა ხასიათის კონტექსტში შუმერული ტერმინი giš tukul, აქად, kakkum გვხვდება თითქმის ყოველთვის მისი ძირითადი მნიშვნელობით: „იარაღი, ბრძოლის საშუალება (Weapon, Waffe, arme)"[24]. ზოგჯერ კი იგი გამოყენებულია „ჯოხის"[25] ანდა „სამეურნეო დანიშნულების ხის იარაღის"[26] აღსანიშნავად.

[16ა] MO, C II 1.

[17] იგულისხმება ფასი ყველა ნივთისა ერთად აღებული.

[18] 1 მინა შეიცავდა 60 სიკლს.

[19] MO, C II 2—5.

[20] AHw, გვ. 622ა. ი. გელბი ფიქრობს, რომ URUDU maš-sa-tum-ZABAR უნდა იყოს რომელიღაც საბრძოლო იარაღი, იხ. MAD III, გვ. 184.

[21] MO, C VIII 11—17.

[22] MAD III, გვ. 184. (MŠD? massadum, იხ. მის მიერ მოყვანილი კონტექსტი).

[23] ОГСДШ, გვ. 73—74.

[24] ŠL II, 536: 27, 74d; MAD III, გვ. 142, შეად. გვ. 184; MSL I, გვ. 85,6 III 43; AHw, გვ. 422ა; WAM, გვ. 155; FAM, გვ. 112, 116; MEA 536.

[25] AHw, გვ. 422ა; SP, გვ. 421; WAM, გვ. 155.

[26] AM, გვ. 64—65, 82—83. ურის III დინასტიის ეპოქის დროინდელ (ძვ. წ. 2132—2024 წწ.) ტექსტებში ტერმინი tukul გვხვდება დეტერმინატივით urudu „სპილენძი; ლითონი (ზოგადი მნიშვნელობით)" —urudu tukul. ამ შემთხვევაში იგი ითარგმნება როგორც „ კომბალი; კვერთხის თავსაცმი. ბუნიკი", იხ. NG I, 131:2,III, გვ. 168; შეად. FAM, გვ. 106—107.

მანიშთუშუს ობელისკის ზემოთ წარმოდგენილ კონტექსტში ტერმინი GIŠTUKUL არ უნდა იყოს ნახმარი მისი ძირითადი მნიშვნელობით — „საბრძოლო იარაღი“, რაზედაც საკმაოდ გარკვევით მიგვანიშნებს მეორე კონტექსტის მონაცემები. მასში, როგორც ვნახეთ, დასახელებულია 13 სხვადასხვა ნივთი, რომელთაგან მხოლოდ ოთხია საბრძოლო იარაღი[27], ნივთების უმეტესობა კი სამეურნეო დანიშნულებისაა (6 ცალი ნაჯახი და 3 ცალი ეტლის ხელნა)[28]. რამდენადაც ყველა ეს ნივთი აღნიშნულია ტერმინით GIŠTUKUL, უნდა ვიფიქროთ, რომ მოცემულ შემთხვევაში იგი არაა ნახმარი „საბრძოლო იარაღის“ მნიშვნელობით, რადგანაც სამეურნეო დანიშნულების ნაჯახებსა და ეტლის ხელნებს საბრძოლო იარაღად არავინ გაიაზრებდა. ჩანს, ჩვენთვის საინტერესო ტერმინი მანიშთუშუს ობელისკში ნახმარია ზოგადად „ინსტრუმენტის, ნივთის, „орудие-ს“ მნიშვნელობით[29].

ДЖ. М. ШАРАШЕНИДЗЕ

ОБ ОБЕЛИСКЕ МАНИШТУШУ

Резюме

Работа состоит из двух очерков: 1) «К объему «кувшина» (DUK) в эпоху династии Аккада» и 2) «К одному значению термина». GIŠTUKUL“.

По данным обелиска Маништушу (C VIII 24—IX 3) выясняется, что во времена династии Аккада «кувшин» вмещал в себя 3 сила 1) сила=0,842 л), т. е. 2,426 л, а не 20 или 30 сила, как считали А. Даймель и А. Салонен.

Во втором очерке установлено, что термин GIŠTUKUL в обелиске Маништушу (C II 1, VIII 14) употреблен не в своем основном значении — «оружие, средство борьбы» (И. Гельб, И. М. Дьяконов), а как «орудие, инструмент, предмет».

---

[27] ტერმინს URUDU na-ap-la-aq-tum-ZABAR ი. გელბი თარგმნის როგორც „საბრძოლო ნაჯახი“ მხოლოდ იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ იგი იხსენიება საერთო ტერმინით GIŠ TUKUL, იხ. MAD III, გვ. 215. ეს უკანასკნელი კი მის მიერ ყველგან გაგებულია weapon-ის მნიშვნელობით. ე. ფონ ზოდენი ეყრდნობა რა ი. გელბის მასალას თვლის, რომ იგი არის „საბრძოლო დანა“ იხ. AHw, გვ. 739ᵃ.

[28] ამ შემთხვევაში რომ არ უნდა იგულისხმებოდეს საბრძოლო ეტლის ხელნები მიუთითებს ის გარემოებაც, რომ ამ ხელნებს ღებულობენ თემის რიგითი წევრები, სამიწათმოქმედო სამუშაოებზე დასაქმებული პირნი. საეჭვოა, მათ გამოეჩინოთ დაინტერესება საბრძოლო ეტლის ხელნებისადმი. ყოველ შემთხვევაში ეტლის ხელნები, თუნდაც საბრძოლო ეტლისა, მაინც ვერ ჩაითვლება საბრძოლო იარაღად, რადგანაც იგი არის იარაღის მხოლოდ ნაწილი და არა თვით იარაღი, ბრძოლის საშუალება.

[29] შეად. HAM I, გვ. 65, 109; AM, გვ. 82—83.

შემოკლებათა ხია

(იხ. კრებულები: ძველი ისტორიის საკითხები, III, თბ., 1970, გვ. 252—254; Вопросы древней истории, IV, Тб., 1973, გვ. 208—209)

დამატებით:

Ник., 1 — М. В. Никольский, Документы хозяйственной отчетности древнейшей эпохи Халдеи из собрания Н. П. Лихачева. «Древности Восточныя», III 2, 1908.

AM—A. Salonen, Agricultura Mesopotamica, Helsinki, 1968.

FAM—A. Salonen, Die Fischerei im alten Mesopotamien, Helsinki, 1970.

HAM I—II—A. Salonen, Die Hausgeräte der alten Mesopotamier, I—II, Helsinki, 1965—1966.

MSL I—B. Landsberger, Die Serie ana ittišu (=Materialien zum sumerischen Lexicon, I), Roma, 1937.

MSL VII—B. Landsberger, The Serie ḪAR—ra-ḫubullu (=Materialien zum sumerischen Lexicon, VII), Rome, 1959.

NG I—III—A. Falkenstein, Die neusumerishen Gerichtsurkunden, München, 1956—1957.

SP—E. J. Gordon, Sumerian Proverbs, Philadelphia, 1959.

SR—D. O. Edzard, Sumerische Rechtsurkunden des III. Jahrtausends aus der Zeit vor der III. Dynastie von Ur, München, 1968.

გივი ახვლედიანი

ლეონტი მროველის „მეფეთა ცხოვრების“ ფოლკლორული წყაროები

XI საუკუნის ქართველი ისტორიკოსის ლეონტი მროველის „მეფეთა ცხოვრებაში“ გადმოცემულია საქართველოს ისტორია უძველესი დროიდან მეხუთე საუკუნემდე. წინამდებარე წერილის მიზანი ლეონტი მროველის თხზულებაში ფოლკლორული წყაროებისა და ქართული ხალხური ტრადიციის ძიებაა.

ძველი ისტორიის საკითხების გაშუქების დროს საყურადღებო ორიენტირს იძლევა ზეპირშემოქმედება. ილია ჭავჭავაძე წერდა: „თუ ისტორიის წინადყოფილ დროს ავიღებთ, ცხრა კლიტით დაკეტილი სალაროა და გასაღები ზღვაშია გადაგდებული. ადამიანის გონებამ მაინც იპოვა ეს გასაღები და ამ სალაროს კარი გაგვიღო ცოტად თუ ბევრად. ეს გასაღები ზოგჯერ იგი ამბებია, რაც ადამიანს დაუხსომებია ზღაპრულად. ხშირად ამისთანა ამბებში ვპოულობთ ბევრს მართალს აღწერას ზნე-ჩვეულებისას. ეს ამბები, ენისა და ეთნოგრაფიის გვერდით, მეცნიერებამ გამოიყენა იმ ცხრა კლიტით დაკეტილის გასაღებად“[1].

აკად. ნ. ბერძენიშვილი მიუთითებდა: „ქართული ისტორიოგრაფიული შემოქმედება ისევე ძველია, როგორც ქართული საზოგადოება. ქართულ ხალხურ ზეპირთქმულებებში უძველესი აზროვნების არა ერთი ელემენტი შეინიშნება. უცხო დამპყრობლებთან („სპარსელებთან“) ტომთა ბრძოლის ეპიკური გადმოცემანი იყო, შეიძლება ვამტკიცოთ, ერთ-ერთი ისტორიული წყარო, რომლის ნიადაგზე შეიქმნა მხატვრულ-ისტორიული მოთხრობა კავკასიის მკვიდრთა საერთო ბრძოლისა, XI საუკუნის ქართველი ისტორიკოსის ლეონტი მროველის თხზულებაში რომ აისახა“[2].

ლეონტი მროველს ხელთ ჰქონია უძველესი ქართული საისტორიო წყაროები, მაგრამ მეტად უკმარი საქართველოს უძველესი წარსულის სურათის აღსადგენად. ამის გამო ისტორიკოსის თხზულებაში მეტწილად შერჩენილია მხოლოდ ძირითადი ქარგა ისტორიისა და მოთხრობა ისტორიულ პირთა შესახებ გახვეულია სხვადასხვა ლეგენდებისა და ზღაპრების საბურველში.

„ქართლის ცხოვრების“ ფოლკლორთან ურთიერთობის საკითხს ბევრი მკვლევარი შეხებია, მაგრამ მათ „ქართლის ცხოვრების“ ზეპირსიტყვიერებასთან დამოკიდებულება სხვა ასპექტში აქვთ განხილული. ამდენად, აღნიშნული ძეგლი ფოლკლორული თვალსაზრისით სპეციალურად დღემდე არავის შეუსწავლია.

---

[1] ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, აი ისტორია, თხზულებათა სრული კრებული, ტ. IV, 1955, გვ. 29.

[2] ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, ქართული ისტორიოგრაფიისათვის, საქართველოს ისტორიის საკითხები, III, თბ., 1966, გვ. 328.

ხალხური სიუჟეტების შედარებით-ისტორიული შესწავლისას ფილოლოგიური დაბრკოლება გვეღობება. ეს დაბრკოლება იმაში მდგომარეობს, რომ ხალხური მოთხრობები ახალი ჩაწერილია, ხოლო შესადარებელი ლიტერატურული ნაწარმოებები ძველი ხელნაწერებით არის წარმოდგენილი. მიუხედავად ამისა, მისი დაძლევა მაინც შესაძლებელია ფოლკლორსა და ადრინდელ მწერლობაში ანალოგიური სიუჟეტების დაძებნის შეოხებით[3].

გავიცნოთ ფოლკლორთან შემხვედრი წერტილები იმ თანმიმდევრობით, როგორც ამას ლეონტი მროველის „მეფეთა ცხოვრებაში“ აქვს ადგილი.

1. ა მ ბ ა ვ ი. ლეონტი მროველის „მეფეთა ცხოვრების“ პირველსავე თავს ეწოდება „ამბავი რეათა ძმათა“[4]. ასევე, მეორე თავის სათაურია „ამბავი ქართლისა“ (ქ“ ც., I, გვ. 8). სხვა შემთხვევაში ისტორიკოსი „ცხოვრებას“ ხმარობს („ცხოვრება ფარნავაზისი“, „ცხოვრება ქართველთა მეფეთა“, „ცხოვრება მირიანის“ და სხვ.).

სამეცნიერო ლიტერატურაში გარკვეულია, რომ „ცხოვრება“ და „ამბავი“ სინონიმები არ არის, „ამბავში“ ზეპირგადმოცემა იგულისხმება. იგი უმთავრესად მხატვრულ მოთხრობას გულისხმობს და ჟანრობრივად ახლოს დგას ზღაპართან, თქმულებასთან და ლეგენდასთან[5].

„მეფეთა ცხოვრებაში“ „ამბავი“ სპეციფიკური ლიტერატურული ტერმინია, აღნიშნავს ამ ძეგლის გარკვეულ ჟანრობრივ თავისებურებას.

ლეონტი მროველი საისტორიო მოვლენების აღწერისას, ერის უძველესი წარსულის აღსადგენად ეყრდნობა ხალხის გადმოცემებს, ტრადიციებს. ეს ბუნებრივიცაა. მემატიანე წინაქრისტიანული ხანის ამბებს გადმოგვცემს, ისინი კი ხალხის მეხსიერებაში იყო დაცული, სანამ „მეფეთა ცხოვრებაში“ შეავიდოდა. ამ თვალსაზრისით საინტერესოა ალ. ხახანაშვილის საგულისხმო მოსაზრებანი ხალხური ნაწარმოების ისტორიულ ღირებულებაზე. იგი მართებულად მიუთითებდა: „ჩვენი დასაწყისი ისტორია გამოგონილი კი არ არის ერთი კაცისაგან, არამედ დამყარებულია ერის გარდამონაცემზედ, ტრადიციაზედ“[6]. იგი სვამს კითხვას: „შეიძლება თუ არა ერის მეხსიერებამ დაიცვას ამბავი რამდენსამე საუკუნის განმავლობაში, გადასცეს შთამომავლობას ისტორიული ამბავი ფანტაზიით გაზვიადებული და განდიდებული?“ და ამ კითხვას დადებითად პასუხობს: „ერის მეხსიერებას შეუძლიან დაიცვას დიდი ხნის განმავლობაში საერო ტრადიცია, წინაპართა შესახებ შესანიშნავი ამბავი და მკრთალი წარმოდგენა მაინც იქონიოს იმათის მოქმედებისა და მოღვაწეობის შესახებ“[7].

2. თ ხ რ ო ბ ი ს დ ა ს ა წ ყ ი ს ი. „მეფეთა ცხოვრებაში“ ლეონტი მროველი ეხება კავკასიის ხალხთა („თარგამოსიანთა სახლის“) წარმოშობის სა-

---

[3] მ. ჩ ი ქ ო ვ ა ნ ი, ქართული ეპოსი, II, თბ., 1965, გვ. 10; მ ი ს ი ვ ე, შოთა რუსთაველი და ქართული ფოლკლორი, თბ., 1965, გვ. 97—98.

[4] ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი ს მიერ, ტ. I, თბ., 1955, გვ. 3 (შემდგომ ყველგან ეს გამოცემაა მითითებული).

[5] მ. ჩ ი ქ ო ვ ა ნ ი, ძველი ქართული წერილობითი ძეგლები ზეპირსიტყვიერი ჟანრების შესახებ, „ლიტ. ძიებანი“, VIII, 1953, გვ. 306; მ ი ს ი ვ ე, ამბავის ჟანრობრივი ტრადიცია ქართულ ეპოსში, ქართული ეპოსი, II., მ ი ს ი ვ ე, ფოლკლორული ტერმინოლოგია და დასათაურების სისტემა „ეეფხისტყაოსანში“, შ. რუსთაველის საიუბილეო კრებული, თბ., 1966, გვ. 173—184.

[6] ალ. ხ ა ხ ა ნ ა შ ვ ი ლ ი, კვალი საერო პოეზიისა ქართლის ცხოვრებაში, გაზ. „ივერია“, 1888, № 135.

[7] ალ. ხ ა ხ ა ნ ა შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, „ივერია“, 1888, № 242.

კითხს. ისტორიკოსის სიტყვით: „სომეხთა და ქართველთა, რანთა და მოვაკნელთა, ჰერთა და ლეკთა, მეგრელთა და კავკასიანთა — ამათ თჳსთა ერთი იყო მამა, სახელით თარგამოს“ (ქ“ც., I. გვ. 3). ამ უკანასკნელს, ლეონტის მიხედვით, რვა ვაჟიშვილი ჰყოლია: ჰაოს, ქართლოს, ბარდოს, მოვაკან, ლეკოს, ჰეროს, კავკას და ეგროს. ხოლო თითოეული მათგანი კავკასიის ერთი რომელიმე ხალხის წინაპარი გამხდარა. ჰაოს — სომხებისა, ქართლოს — ქართველთა, ბარდოს — რანთა, მოვაკან — მოვაკნელთა, ჰეროს — ჰერთა, ლეკოს — ლეკთა, ეგროს — მეგრელთა, კავკას — კავკასიანთა, და ასე ამ გზით წარმოშობილან, მისი აზრით, კავკასიის ხალხები (ქ“ც., I, გვ. 4).

აშკარაა, აქ ბევრი რამ ზღაპრულია. მემატიანეს მიერ მოტანილი გენეალოგიური სქემაც ბიბლიური ხასიათისაა და მას არაფერი აქვს საერთო სინამდვილესთან. თითო წინაპართაგან ხალხთა წარმოშობის თეორია დიდი ხანია უარყოფილია.

საკითხავია, საიდან ისესხა ლეონტი მროველმა კავკასიის ხალხთა ერთი წინაპრიდან მომდინარეობის აზრი?

ამ მოთხრობის გადმოცემისას მემატიანე შესაძლოა ემყარებოდეს იმ ზეპირ გადმოცემებს, რომლებმაც მოსე ხორენელთანაც იჩინა თავი. მის „სომეხთა ისტორიაში“ მოთხრობილია სომეხთა მამამთავარ ჰაიკისა და მისი შთამომავლების შესახებ. მოსე ხორენელის მიხედვითაც, სომხებისა და სხვა კავკასიელი ხალხების საერთო წინაპარი თარგამოსი იყო[8]. ხორენელს თავისი თხზულების პირველ წიგნში, სომეხთა ისტორიის გადმოცემისას მასალები ამოაქვს ხალხური ეპოსიდან. ნ. ემინის შენიშვნით, პრეისტორიული ხანის სომეხი მეფეები: ჰაიკი, არმენაკი, არამი და სხვანი წარმოადგენენ მითიურ პერსონაჟებს, რომლებიც სომხეთის ისტორიაში ხალხური გადმოცემიდან არიან შესული[9].

ლეონტი მროველი კავკასიის ხალხთა წარმოშობის ამბების გადმოცემისას სარგებლობს არა მოსე ხორენელის ისტორიით, არამედ ზეპირსიტყვიერი მასალით. ამასთან ლეონტი მროველი, როგორც ბიბლიურად მოაზროვნე ისტორიკოსი, საკუთარი მსოფლმხედველობიდან გამომდინარე პოლიტიკური მიზნებითაც უნდა ხელმძღვანელობდეს. კ. გრიგოლიას მართებული შენიშვნით, ჰაოსის — სომეხთა წინაპრის — უპირატესობა ქართველი ისტორიკოსის თხზულებაში „უცხო ავტორის გავლენის შედეგი კი არ არის, როგორც ეს დღემდე შეწყნარებული იყო, არამედ თვითონ მისი (საკუთარი) მსოფლმხედველობიდან გამომდინარე ლოგიკური მსჯელობის უაღრესად ობიექტური დასკვნაა“[10].

„ქართლის ცხოვრების“ მოთხრობას თარგამოსის მემკვიდრეთა შესახებ ყურადღება მიაქცია აკად. ივ. ჯავახიშვილმა. მისი აზრით, ჩვენს მატიანეში „ზემოჩამოთვლილ ერთა ერთთესლოვანი შთამომავლობისა და ძმობის აზრი უფრო პოლიტიკური მეგობრობისა და ერთობის განმტკიცების სურვილითა და მოსაზრებით უნდა იყოს შეტანილი. „ამავე დროს დიდი ქართველი ისტორიკოსი ფიქრობდა, რომ „იქნებ ხალხში გადმოცემით მაინც რაიმე ბუნდოვანი თქმულება არსებობდა ქართველთა და ზემოჩამოთვლილ ტომთა მონათესაობაზე[11].

---

[8] Н. Эмин, Мойсей Хоренский и древний эпос Армянский, М., 1881, გვ. 29.

[9] იქვე, გვ. 70.

[10] კ. გრიგოლია, ახალი ქართლის ცხოვრება, თბ, 1954, გვ. II.

[11] ივ. ჯავახიშვილი, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, თბ., 1945, გვ. 174—175.

„მეფეთა ცხოვრების“ დასაწყისი ემთხვევა ჩვეულებრივი ზღაპრის ტრადიციულ დასაწყისს: „ესე თარგამოს იყო ძე თარშისი, ძისწული იაფეთისი, ძისა ნოესი. და იყო ესე თარგამოს კაცი გმირი“ (ქ“ც., I, გვ. 3). „შვილთა შორის მისთა გამოჩნდეს კაცნი რვანი, გმირნი ძლიერნი და სახელოვანნი“ (ქ“ც., I, გვ. 4).

მთავარი გმირის დახასიათებით ამბის დაწყება გავრცელებულია ქართულ ხალხურ პროზაში. ამას ადასტურებს, ერთი მხრივ, ცოცხალ ყოფიერებაში არსებული ფოლკლორული მოთხრობები, მეორე მხრივ, უკანასკნელი სამი საუკუნის მანძილზე შესრულებული ჩანაწერები. ამგვარი დასაწყისი ნიშნეულია ძველი ქართული მწერლობისათვისაც[12]. ლეონტი მროველიც მის დროს თხრობით ჟანრებში დამკვიდრებულ ხერხს მიმართავს.

3. „მ ე ფ ე თ ა ც ხ ო ვ რ ე ბ ა“ და ირანული ეპოსი. ერთ ადგილას მატიანეს ავტორს მიზნად დაუსახავს ირანის მითიურ-ლეგენდური ხანის ამბების გადმოცემა და ქართლის ისტორიასთან დაკავშირება (ქ“ც., I, 12—16). ლეონტი მროველი ამ ამბების წყაროდ „სპარსთა ცხოვრების წიგნს“ ასახელებს. ლეონტი აღწერს ქეკაპოსის ამბებს და იქვე დასძენს: „ვითარცა წერილ არს წიგნსა სპარსთა ცხოვრებისასა“ (ქ“ც., I, გვ. 14). აქვე მოხსენიებულია ირანული ეპოსის ცნობილი გმირები: აფრიდონ, შიოშ ბედნიერი, ქაიხოსრო, ფარაბოროტი, სპანდიატ რვალი, არდაშირ, ბაამანი და სხვ. აფრიდონის ჭაბუკობის აღწერისას კი მემატიანე წერს: „გამოჩნდა ნათესავთა შორის ნებროთისთა კაცი ერთი გმირი, რომლისა სახელი აფრიდონ, „რომელმან შეკრა ჯაჭვითა ბევრასფი, გუელთა უფალი, და დაბა მთასა ზედა, რომელ არს კაცთ შეუვალიო“ (ქ“ც., I, გვ. 12—13).

საკითხავია, სპარსეთის ამბების გადმოცემისას მემატიანე სარგებლობს თუ არა უშუალოდ „შაჰ-ნამეთი?“. ამ საკითხზე მკვლევართ სხვადასხვა მოსაზრებები აქვთ გამოთქმული.

ვ. მილერი ნაშრომში „Отголоски иранских сказаний на Кавказе“ განიხილავდა რა ფირდოუსის „შაჰ-ნამეს“ და საერთოდ სპარსული ეპოსის დამოკიდებულებას ძველ ქართულ ლიტერატურასა და ზეპირსიტყვიერებასთან, აღნიშნავდა, რომ „სახელმოხვეჭილი ირანელი ფალავნების გმირობა ადრევე იქცა კავკასიის ხალხურ თქმულებათა კუთვნილებად. „ქართლის ცხოვრება“ პოულობს თავის ცნობებს ფირდოუსის დაუხმარებლად. ვ. მილერს თავისი აზრის დასამტკიცებლად მოჰყავს შედარება სახელებისა ფირდოუსის პოემაში და ჩვენს მატიანეში. „ქართლის ცხოვრების“ აფრიდონი, ქეკაპოს და სხვანი მოიხსენიებიან „შაჰ-ნამეში“ ფერიდუნად, ქაიქაოსად და სხვ. უნდა ვიფიქროთ, — ამბობს მილერი, — ეს სახელები ჯერ ხალხში ყოფილა გავრცელებული და შემდეგ შეტანილ იქმნენ „ქართლის ცხოვრებაში“[13]. ამავე მოსაზრებას შემდეგ წლებში გამოთქვამდნენ ნ. მარი[14], ალ. ხახანაშვილი, მ. ჯანაშვილი და ე. თაყაიშვილი[15]. „ჩვენს მატიანესა და ფირდოუსის, — წერს ალ. ხახანაშვი-

[12] მ. ჩ ი ქ ო ვ ა ნ ი, ბერძნული და ქართული მითოლოგიის საკითხები, თბ., 1971, გვ. 195; მ ი ს ი ვ ე, „ბალავარიანი“ და ქართული ფოლკლორული ტრადიცია, „მნათობი“, 1957, № 7, გვ. 176—177.

[13] В. М и л л е р, Экскурсы в область русского народного эпоса, М., 1892, დამატება, გვ. 86.

[14] ნ. მ ა რ ი, ვეფხისტყაოსანი, გაზ. „თეატრი“, 1890, № 12.

[15] Е. Т а к а й ш в и л и, Описание рукописей, I, 3, 1901, გვ. 113, 117, 119.

ლი, — აქვს ერთი და იგივე წყარო, რომლიდამაც ერთმანეთის დაუხმარებლად მოაქვთ თავისი ცნობანი. ეს წყარო გახლავსთ საერო ტრადიცია, ხალხში დაცული ამბები ძველი დროისა, ის ამბები, რომელიც ერთნაირად გავრცელებული იქნებოდა როგორც სპარსეთში, ისე საქართველოშიც"[16]. მ. ჯანაშვილი ვარაუდობდა, რომ ლეონტის „სპარსთა ცხოვრების წიგნი" ფირდოუსის „შაჰ-ნამე" არ უნდა ყოფილიყო, რადგან ლეონტის სპარსეთის მეფეთა სია სრულად არ მოჰყავს და როსტომსაც არ ახსენებს. მისი აზრით, მემატიანეს უსარგებლია იმ ძველი სპარსული გადმოცემებით, რომლებიც საფუძვლად დაედო შემდეგში ფირდოუსის „შაჰ-ნამეს"[17]. პ. ინგოროყვა ვარაუდობს, რომ ქართველ მემატიანეს უსარგებლია ირანული ეპოსის „უფალთა წიგნის" („ხვატაჲ-ნამაკის") ძველ-ქართული ვერსიით. ეს წიგნი უნდა იგულისხმებოდეს „ქართლის ცხოვრების" „ცხოვრება სპარსთაში", რომელზედაც ორჯერ მიუთითებს ჩვენი მემატიანე ზემოაღნიშნული ამბების თხრობისას" (ქ"ც., 1, გვ. 13, 14)[18].

ფალაურ ენაზე შედგენილი წიგნი „ხვატაჲ-ნამაკ" (ახალსპარსულად „ხოდაჲ-ნამე") პროზაულად იყო დაწერილი და ჩვენამდე არ მოაღწია. იგი შემოინახა სწორედ „შაჰ-ნამემ". მაგრამ უკანასკნელი არ ემყარება უშუალოდ „ხვატაჲ-ნამაკის" ფალაურ ტექსტს. 1958 წელს სპეციალურ კომისიას მოუხდენია „ხვატაჲ-ნამაკის" სხვა ფალაური წყაროებით შევსება და იგი უთარგმნია ახალსპარსულად (პროზაულად). აი ეს ტექსტი გაულექსავს ფირდოუსის „შაჰ-ნამეში"[19].

აკად. კ. კეკელიძე ფიქრობდა, რომ „შაჰ-ნამე" XI საუკუნეშივე უნდა ეთარგმნათ პროზაულად ქართულად და, ალბათ, ამით სარგებლობდა ჩვენი მემატიანე[20]. კ. კეკელიძეს შესაძლებლად მიაჩნია, რომ ლეონტის მიერ მოხსენიებული „სპარსთა ცხოვრება" „ხოდაჲ-ნამე" იყოს. იგი წერს: „... სპარსთა ცხოვრება არის თუ ფირდოუსის შაჰ-ნამე არა, რომლის დაწერა 1010 წელს დასრულდა, ყოველ შემთხვევაში, მისი პირდაპირი წყარო, ეგრეთ წოდებული „ხოდაჲ-ნამე", რომელიც შეიცავს სპარსეთის ლეგენდარულ გმირულ ისტორიას ქვეყნის გაჩენიდან ხოსრო მეორის მეფობამდე და რომელიც მერვე საუკუნეში ფალაურიდან არაბულად გადაუთარგმნია აბდულა-იბნ-მუყაფას"[21].

„ქართლის ცხოვრების" „შაჰ-ნამესთან" მიმართების საკითხს ეხება აკად. ალ. ბარამიძე ზღაპარ „თრითინოსთან" დაკავშირებით. მისი აზრით, ლეონტი მროველი იცნობდა ფირდოუსის „შაჰ-ნამეს" და უშუალოდ იმით სარგებლობდა[22].

„ქართლის ცხოვრების" წყაროების დადგენას და ირანულ ეპოსთან მის დამოკიდებულებას რამდენიმე ნაშრომი მიუძღვნა გ. მამულიამ. მისი დაკვირვე-

---

[16] ალ. ხახანაშვილი, კვალი საერო პოეზიისა ქართლის ცხოვრებაში, „ივერია", 1888, № 56, გვ 1—2.

[17] მ. ჯანაშვილი, ერან-თურანის ტალღა, „ივერია", 1899, № 102.

[18] პ. ინგოროყვა, ლეონტი მროველი, ენიმკის მოამბე, X, გვ. 36; მისივე, ქართული მწერლობის ისტორიის მოკლე მიმოხილვა, „მნათობი", 1939, № 4, გვ. 95—96.

[19] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, თბ., 1970, გვ. 61.

[20] კ. კეკელიძე, ლეონტი მროველის ლიტერატურული წყაროები, თბილისის უნივერსიტეტის მოამბე, III, 1923, გვ. 41.

[21] კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, II, 1958, გვ. 254.

[22] ალ. ბარამიძე, თრითონის გარშემო, ჟურნ. „დროშა", § 4, 1971 , გვ. 11—12.

ბით, ლეონტის მიერ მოხსენიებული „სპარსთა ცხოვრების წიგნი“ „ხოდაგ-ნამეს“ ერთ-ერთი არაბული კომპენდიუმია[23].

ლეონტი მროველი სარგებლობდა არა ფირდოუსის „შაჰ-ნამეთი“, არამედ ფალაური ეპოსის ქართული ვერსიების ლიტერატურული რედაქციებით[24]. გ. მამულიას დასკვნით, „ქართლის ცხოვრების“ წყაროდ „ფალაური ეპოსის“ ის ვერსია გვევლინება, რომელიც შედარებით ახლოს იდგა ფირდოუსის მიერ ლექსად გაწყობილ ფალაურ ეპოსთან“[25].

გ. მამულიას კვლევა-ძიების შედეგი ფრიად საყურადღებოა. მაგრამ, ჩვენი აზრით, ლეონტი უნდა სარგებლობდეს არა ფალაური ეპოსის ქართული ვერსიების ლიტერატურული რედაქციებით, არამედ უშუალოდ „შაჰ-ნამეთი“. საგულისხმოა, რომ ირანის ზოჰაქი (ზააქი) მატიანეში „ბევრასფ“-ადაა წოდებული, სწორედ ისე, როგორც „შაჰ-ნამეში“. ფირდოუსი საგანგებოდ განმარტავს ამ ზედწოდების შინაარსს. ბევრასფ ფალაურად ათი ათას ცხენს ნიშნავს[26]. „შაჰ-ნამედანაა“ ამოღებული ზოგიერთი ეპიზოდიც კი, მაგალითად, მატიანეს ცნობები სპარსთა და თურქთა ბრძოლის შესახებ, რომლებშიც თურქებს ქართველები ეხმარებიან, უნდა გულისხმობდეს სპარსეთის ბრძოლას თურანელებთან, რომელთაც, ფირდოუსის სიტყვით, კავკასიელნი ეხმარებოდნენ[27]. შესაძლოა „ქართლის ცხოვრების“ ამ მონაკვეთში ორი წყარო იყოს შერწყმული: მწიგნობრული და ფოლკლორული და მემატიანე „შაჰ-ნამეს“ პარალელურად მიმართავდეს იმ ირანულ თქმულებებსაც, რომლებმაც საქართველოში „შაჰ-ნამეს“ შექმნამდე გაიკვლიეს გზა. მართლაცდა, ჩვენში არსებობს „თრითინოს“ ზღაპარი (ფერიდუნ-ზოჰაქის ბრძოლის ამბავია მოთხრობილი), რომელსაც კავშირი აქვს ძველ ირანულ ეპოსთან[28]. აკად. გ. ახვლედიანმა მიუთითა, რომ თვით სახელი თრითინო ძველი ირანული ლეგენდიდან მომდინარეობს[29].

„ქართლის ცხოვრების“ ჩვენთვის საინტერესო ნაწილში პერსონაჟთა სახელებს, იუსტინე აბულაძის სიტყვებით რომ ვთქვათ, „უძველესი ზენდურ-ფაზენდური და ფალაური ბეჭედი აზის“[30], ე. ი. ეს სახელები ისეთივე ფორმითაა ნახმარი, როგორადაც ძველიდანვე ტრიალებდნენ ჩვენში ზეპირად. ეს გვაძლევს საბუთს ვიფიქროთ, რომ ლეონტი მროველი „შაჰ-ნამეს“ გვერდით იყენებდა იმ ზეპირ გადმოცემებსაც, რომლებიც უძველესი დროიდანვე იყო გავრცელებული კავკასიაში, კერძოდ კი ქართლში.

---

[23] გ. მ ა მ უ ლ ი ა, ლეონტი მროველისა და ჯუანშერის წყაროები (ფალაური ეპოსი ლ. მროველისა და ჯუანშერის საისტორიო თხზულებებში). „მაცნე“. 1964, № 4, გვ. 241—275.

[24] იქვე, გვ. 268.

[25] გ. მ ა მ უ ლ ი ა, „ქართლის ცხოვრების“ წყაროს დადგენისათვის, საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის „მოამბე“, თბ., 1964, გვ. 251—56.

[26] შაჰ-ნამე (სპარსულ ენაზე), 1, გვ. 84—85, მოსკოვი, 1960; ალ. ბ ა რ ა მ ი ძ ე, თრითინოს გარშემო, გვ. 11—12, შაჰ-ნამეს ანუ მეფეთა წიგნის ქართული ვერსიები, ი უ ს ტ ი ნ ე ა ბ უ ლ ა ძ ი ს გამოცემა, 1, 1914, გვ. 40.

[27] კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, ლ. მროველის ლიტერატურული წყაროები, გვ. 40.

[28] კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. II, 1941, გვ. 87; მ ი ხ. ჩ ი ქ ო ვ ა ნ ი, ქართული ეპოსი, II, გვ. 202.

[29] გ. ა ხ ვ ლ ე დ ი ა ნ ი, ავესტა, „ლიტერატურული ძიებანი“, III, 1944, გვ. 4.

[30] ი უ სტ. ა ბ უ ლ ა ძ ე, შაჰ-ნამეს ანუ მეფეთა წიგნის ქართული ვერსიები, 1916, გვ. XXXI.

4. ქართული ხალხური ეპოსის კვალი „მეფეთა ცხოვრებაში“. ლეონტი მროველის მეფეთა ცხოვრება წარმოადგენს ეპიკურ ხაზებში გაშლილ საერო მხატვრული მწერლობის სტილის ნაწარმოებს, რომელზედაც უდიდესი გავლენა მოუხდენია ძველ ქართულ ფოლკლორულ პოეზიას, ხალხურ ეპოსს.

ლეონტი მროველის „მეფეთა ცხოვრების“ ბევრი ეპიზოდი საგმირო ეპოსისათვის ნიშნეული სტილითაა დაწერილი.

აი რამდენიმე ნიმუში: ა. გარეგნობა. „ესე მირვან იყო ტანითა სრული, შუენიერი, ძლიერი, მკნე და ქუელი“ (ქ“ც., I, გვ. 27). მეფე ადერკი „იყო ასაკით შუენიერი, ტანით დიდი და გოლიათი“ (გვ. 33). ფარსმან ქუელი, „კეთილი, უხუად მიმნიჭებელი და კაცი შემნდობელი, ჰასაკითა შუენიერი, ტანითა დიდი და ძლიერი, მკნე მხედარი და შემმართებელი ბრძოლისა, უშიში ვითარცა უხორცო“ (იქვე, გვ. 51). „ესე ამაზასპ იყო კაცი ძლიერი და დიდი გოლიათი (იქვე, გვ. 55).

ბ. ბუმბერაზთა ბრძოლა. ლეონტი მროველი საგმირო ეპოსის ენით გადმოგვცემს ბრძოლის სურათებს. ასე, მაგალითად, თხზულებაში საგმირო ეპოსის ყაიდაზე არის აღწერილი თარგამოსიანთა და ნებროიანთა ომი; ისტორია არბაკისა და ადეროკისა, ისტორია არზუკისა და არმაზპერისა და სუმბატ ბავრიტიანის ლაშქრობათა; თავგადასავალი ქრთველთა მეფეების ფარსმან ქველისა, მირდატისა და მხედართმთავრის ფარნავაზისა, ისტორია ამაზასპისა და სხვ.

სპეციალურ ლიტერატურაში გარკვეულია, რომ „მეფეთა ცხოვრებაში“ ბატალური სცენების გადმოცემისას გამოყენებული პოეტური აქსესუარები ძველი ეპოსის მხატვრული მარაგიდან არის ნასესხები[31].

5. გლოვის რიტუალი. საყურადღებო ცნობებია შესული ლეონტი მროველის „მეფეთა ცხოვრებაში“ სამგლოვიარო-საწესჩვეულებო პოეზიის არსებობის შესახებ. ძეგლის თანახმად, სპარსელები მუხანათურად ძიობენ შურს ფარსმანზე. ფარსმანს მოწამლავს სპარსელების მიერ მოსყიდული მზარეული. ტრაგიკულად დაღუპულ ფარსმანის გლოვის მძაფრ სურათს გვიხატავს ლეონტი მროველი. ფარსმანის სიკვდილს გლოვობს მთელი ერი „ყოველთა შინა ქალაქთა და დაბნებთა, რამეთუ დასხდიან მგოსანნი გლოვისანი, და შეკრბიან ყოველნი და აკსენებდიან სიმკნესა და სიქუელესა, და სიშუენიერესა და სახიერებასა ფარსმან ქველისასა“. ლეონტი მროველის გადმოცემით ფარსმან მეფის ქველობა და ვაჟკაცობა ასე დაიტირეს „გლოვის მგოსნებმა“.

„ვაჲ ჩუენდა, რამეთუ მოგჳძინა სუემან ბოროტმან, და მეფე ჩუენი, რომლისაგან ჴსნილ ვიყვენით მონებისაგან მტერთასა, მოიკლა იგი კაცთა მგრძნებელთაგან, და აწ მივეცენით ჩუენ წარტყუენვად ნათესავთა უცხოთა“ (ქ“ც., I, გვ. 53).

ეს ფრაგმენტი რიტმული პროზით შესრულებული სამგლოვიარო ხოტბის ნიმუშია და თავისი წყობითა და მეტყველებით ახლოსაა ქართული ხალხური გლოვის სიმღერა-საგალობლებთან, მაგალითად, მთიბლურებთან, სვანურ ზართან, თუშურ დალაობასთან. ჩანს, გლოვა ლექსად იყო ნათქვამი. მემატიანეს მეორე საუკუნის გლოვის ეს პოეტური ტექსტი პროზად გაუწყვია, თუმცა ში-

[31] პ. ინგოროყვა, ლეონტი მროველი, გვ. 94—103; მიხ. ჩიქოვანი, ქართული ეპოსი, II, 1955, გვ. 15—16.

ნაარსი არ შეუცვლია. საფიქრებელია, ასე ექცეოდნენ საერო-წარმართული პოეზიის ნიმუშებს შუა საუკუნეების მწერლები.

„ქართლის ცხოვრებაში“ დაცული გლოვის ეს ტექსტი იმ მხრივაა განსაკუთრებით საინტერესო, რომ აქ მოიპოვება ცნობა უძველესი ხანის ქართველ ხალხურ „მგოსანთა“ შესახებ. „გლოვის მგოსანი“ გლოვის სახეობაა. მგოსანი კი პოეტი-მემუსიკის პროფესიის აღმნიშვნელი ტერმინია. „გლოვის მგოსნობა“ ქართველთა საზოგადოებრივი ყოფის მნიშვნელოვან ელემენტს წარმოადგენდა. იგი წინაპართა კულტთან იყო დაკავშირებული. მ. ჩიქოვანის მართებული შენიშვნით, „ლეონტისაგან ნახსენები „მგოსანნი გლოვისანი“ დღემდე შემონახული სახალხო მომთქმელთა ჰამქრები არიან, რომელთა ხელობას მიცვალებულის სიტყვით დატირება და მწუხარების ამსახველ ლექსთა თხზვა შეადგენს“[32]. მართებულად აღნიშნავდა ალ. ხახანაშვილი: „ამ მგოსანთა გლოვას აქვს სრული უფლება დაიჭიროს ადგილი საერო პოეზიის სფეროში, როგორც ნაყოფს ერის წარმომადგენლის აზრისა და შეხედულებისას წარსულში“[33].

ლეონტი მროველის ცნობით, ჩვენში საგანგებო „წესიც“ კი ყოფილა შემუშავებული გლოვისა. გლოვა არ გამოიხატებოდა მხოლოდ სიტყვით. სიტყვასთან ერთად განუყრელი ნაწილი იყო ქართული გლოვისა სხვა ცერემონიალური მხარე, რომელიც მოქმედებაში პოულობდა გამოხატულებას. ფარსმან ქველის სიკვდილის გამო, ამბობს ისტორიკოსი, „იქმნა გლოვა და ტირილი, და ტყება ყოველთა ზედა ქართველთა წარჩინებულითგან ვიდრე გლახადმდე. და იტყებდეს ყოველნი თავთა თჳსთა“ (ქ“ც., I, 53).

რა თქმა უნდა, თითოეული ეპოქა თავისებურ ელფერს აძლევდა „გლოვის წესს“, მაგრამ ზოგადი მხარე ქართველ მემატიანეს სწორად აქვს მოცემული, მის განკარგულებაში არსებული მასალისა და წყაროების მიხედვით.

6. ფ ა რ ნ ა ვ ა ზ ი ს ს ი ზ მ ა რ ი. „მეფეთა ცხოვრების“ ის ნაწილი, სადაც გადმოცემულია პირველი ქართველი მეფის ფარნავაზის (ქართლის სამეფოს დამაარსებლის) თავგადასავალი, ძირითადად ემყარება ხალხურ გადმოცემა-თქმულებებს. თავგადასავალი ხალხური თხრობის სტილით იწყება: „მას ჟამსა იყო ჭაბუკი ერთი მცხეთას ქალაქსა შინა, რომელსა ერქუა სახელი ფარნავაზ“ (ქ“ც., I, გვ. 20).

წარმტაც მოთხრობას ყრმა ფარნავაზის სიზმრის შესახებ ქართული ხალხური შემოქმედებისა და უძველეს მითოლოგიურ რწმენათა და წარმოდგენათა აშკარა კვალი ამჩნევია.

„მაშინ იხილა ფარნავაზ სიზმარი, რეცა იყო იგი სახლსა შინა უკაცურსა, და ეგულვებოდა განსლვა და ვერ განვიდა, მაშინ შემოვიდა სარკუმელსა მისსა შუქი მზისა და მოერტყა წელთა მისთა, და განიზიდა და განიყვანა სარკუმელსა შას: და ვითარ განვიდა ველად, იხილა მზე ქუე-მდაბლად, მიჰყო ჯელი მისი, მოჰკოცა ცუარი პირსა მ[ზ]ისასა და იცხო პირსა მისსა. განიღვიძა ფარნავაზ და განუკჳრდა“(ქ“ც., I, გვ. 21).

პროფ. ელ. ვირსალაძის მართებული შენიშვნით, „ამ თქმულების სიუჟეტს და ცალკეულ მოტივებს ხალხურ შემოქმედებაში და უძველეს მითოლოგიურ

---

[32] მ. ჩ ი ქ ო ვ ა ნ ი, ქართული ეპოსი, II, გვ. 16.

[33] ალ. ხ ა ხ ა ნ ა შ ვ ი ლ ი, კვალი საერო პოეზიისა ქართლის ცხოვრებაში, „ივერია“, 1888, № 242.

წარმოდგენებში თავისი ორეული ეძებნება. სიზმარი, როგორც წინასწარმეტყველება, მზის სხივი, რომელმაც გაიყვანა ფარნავაზი სარკმლიდან, მზის ცვარი ანუ მზის პირისნაბანი, როგორც ძალისა და სიცოცხლის მომცემი მრავალ ქართულ ზღაპარში გვხვდება"[34].

მზის სხივის სასწაულებრივი ძალის მოტივი ქართული ზეპირსიტყვიერებისათვის არის დამახასიათებელი, ეს მოტივი გვხვდება მყინვარის კლდეში გამოკვეთილ ბეთლემთან დაკავშირებულ ლეგენდაში, სადაც მზის სხივის სასწაულმოქმედებითი ძალის დაკარგვა წარწყმედის მომასწავებელია. ამ ლეგენდით, მთიულეთის მაღალ მთაზე არსებულ ეკლესიაში ცხოვრობდა წმინდა კაცი, ისეთი წმინდა, რომ კითხვის დროს წიგნს მზის თინათინზე აყრდნობდა ხოლმეო[35].

მზის სხივი ქართული ზეპირსიტყვიერი ნიმუშების მიხედვით წმინდანობის სიმბოლოა. ეს მოტივი ხალხმა ისტორიულ პირებს — თამარ მეფესა და ერეკლე მეორეს დაუკავშირა[36].

ფარნავაზის თავგადასავალში მოხსენიებული მზის პირისნაბანი იმ ზეპირ ფანტასტიკურ მოთხრობებს გვაგონებს, სადაც მზის პირისნაბანი სიცოცხლის მომნიჭებელია, მიჯნური გმირი მისი საშუალებით სატრფოს გააცოცხლებს. ქართულ ზღაპარში, რომლის სათაურია „დღისით მკვდარი ვაჟის ზღაპარი", გადმოცემულია: ნადირობის დროს სიცხისაგან შეწუხებულმა ბატონიშვილმა მზეს მშვილდ-ისარი ესროლა. ამის გამო მას ღმერთი სჯის — დღისით კვდება, ღამით ცოცხლდება. ვაჟის სატრფო მიდის მზესთან, მზის დედის დახმარებით შოულობს მზის პირისნაბან წყალს და თავის სატრფოს გააცოცხლებს[37].

7. ნადირობა. „მეფეთა ცხოვრებაში" დიდი მხატვრული ექსპრესიითაა დახატული ირემზე ნადირობის სცენა. მემატიანე მოგვითხრობს: მეორე დღეს წავიდა ფარნავაზი დიღმის ველზე სანადიროდ. იქ ირმებს შეეჩეხა. გამოეკიდა მათ და სდია თბილისის სანახებამდე. დაეწია ერთს, სტყორცნა ისარი და დაკოდილი ირემი იქვე კლდის ძირას დასცა. მოვიდა ფარნავაზი ირემთან და რადგან საღამო იყო, იქვე ჩამოჯდა და ღამის გათევა გადაწყვიტა. ამ დროს დაუშვა კოკისპირული წვიმა. ფარნავაზმა იქვე, კლდეში, ქვაბი შეამჩნია, რომელსაც კარი ამოქოლილი ჰქონდა. ღონივრად ჰკრა თავისი ჩუგლუგი კარს, შეანგრია და შიგ შევიდა. ქვაბში მან ოქრო-ვერცხლისა და თვალ-მარგალიტის აურაცხელი განძი იპოვა. გაუკვირდა ფარნავაზს განძის პოვნა, მაგრამ გაახსენდა სიზმარი და გახარებულმა ქვაბის კარი ისევ ამოქოლა და სასწრაფოდ სახლში წავიდა. ფარნავაზმა ყველაფერი უამბო თავის დედას და ორ დას. იმავე საღამოს მათ წამოიღეს ჭურჭლები, წამოიყვანეს სახედრები და განძის ზიდვა დაიწყეს. ეს განძი იხსნის ფარნავაზს, მისი საშუალებით იგი იქარვებს ჯავრს და განდევნის შემოსეულ მტერს (ქ"ც., I, გვ. 21—22).

როცა ლეონტი მროველის თხზულების ამ ადგილს ვკითხულობთ, გვაგონდება ძველი სადევგმირო ლიტერატურული თხზულებები „ამირანდარეჯა-

---

34 ელ. ვირსალაძე, მითი. წიგნში: ქართული ხალხური პოეტური შემოქმედება, I, 1960, გვ. 351.

35 მ. ჯანაშვილი, ქართველთა მატიანე, „მოამბე", 1903, IV, გვ. 60.

36 ქს. სიხარულიძე, ქართული მწერლობა და ხალხური შემოქმედება, თბ., 1966, გვ. 158; ა. შანიძე, ქართული ხალხური პოეზია, 1931, გვ. 365.

37 რჩეული ქართული ხალხური ზღაპრები, ელ. ვირსალაძის რედაქციით, 1949, გვ. 104—113.

ნიანი“ და სხვ. ეს ფაქტი პირველად კ. კეკელიძემ აღნიშნა: „... მაგრამ ლეონტი მროველის შრომაში ეს თქმულებები შევიდა არა „ამირანდარეჯანიანიდან“, არამედ იმავე წყაროდან, საიდანაც ისინი აღებულია „ამირანდარეჯანიანის“ ავტორის მიერ, სახელდობრ, ხალხური ეპოსიდან, მათში ჩვენ გვაქვს ქართული ხალხური თქმულებანი“[38].

ნადირობის რიტუალი მნიშვნელოვან ადგილს იჭერს როგორც სასულიერო, ისე საერო ლიტერატურის ძეგლებში.

ნადირობის სცენები ძველი ქართული მწერლობის ნიმუშებში უშუალოდ ქართული ხალხური ეპოსიდანაა შეტანილი.

ქართულ ხალხურ ზღაპრულ ეპოსში ნადირობა დიდი მხატვრული ძალითაა დახატული. ალ. ღლონტის სამართლიანი თქმით, „ეს მოტივი სახალხო მთქმელებსა და ავტორებს იმდენად სრულყოფილად და მხატვრული სისხლჭარბობით დაუმუშავებიათ, რომ მზა ფორმულად ქცეულა. ყოველ მწერალს შეეძლო ამ ფორმულის გამოყენება მასალად და შემდეგ მისი შეტანა თხზულების მხატვრული კომპოზიციის ჩარჩოებში“[39].

ნადირობა და მონადირის თავგადასავალი მრავალ ქართულ ზღაპარშია გადმოცემული.

„ნადირობის დროს გამოცხადებული ირემი, რომელიც შეიტყუებს გმირს და მას დაფარულ საიდუმლოებასთან მიიყვანს, მას იღბალს, ბედს მისცემს თავისი წარმოშობით წმინდა მითოლოგიური სახეა“[40]. ეს მოტივი ქართულ ზღაპრებში იმდენად პოპულარულია, რომ საკითხის პირიქით დასმა, ე. ი. ხომ არ გადასულა იგი ხალხში მხატვრული ნაწარმოების მეშვეობით, შეუძლებელი ხდება.

ლეონტი მროველის თხზულებაში ნადირობის სცენის შეტანა ქართული ხალხური ეპოსის უშუალო გავლენის შედეგია. „მეფეთა ცხოვრებაში“ აღწერილი ნადირობა ქართული ხალხური ეპოსის სტილითა და სულითაა შთაგონებული.

ლეონტი მროველის „მეფეთა ცხოვრების“ ნადირობის ეპიზოდში ფიქსირებულია, აგრეთვე, მოარული ლეგენდა განძის პოვნის შესახებ, რომლის სიუჟეტი მსოფლიო ფოლკლორში ფართოდ არის გავრცელებული[41].

„მეფეთა ცხოვრების“ ცნობები ქართლის სამეფოს დამაარსებლის ფარნავაზისა და მისი უახლოესი მემკვიდრეების შესახებ ხალხურ გადმოცემა-თქმულებებზეა დაფუძნებული, მაგრამ მათში საკმაოდ მდიდარი ისტორიული რეალიებიც არის დაცული და სანდოა საქართველოს ძველი ისტორიის სურათის აღსადგენად. თუ ადრე ფარნავაზის ისტორიულად არსებობაში ეჭვი შეჰქონდათ, დღეს ჩვენ ისტორიკოსთა კვლევა-ძიებამ დაადასტურა ამ მეფის ისტორიულობა. აკად. გ. მელიქიშვილის გამოკვლევით, ფარნავაზი ცხოვრობდა ძვ. წ. III საუკუნის პირველ ნახევარში[42].

ფარნავაზი რომ ქართლის სამეფოს დინასტიის დამფუძნებლად ითვლებოდა, უცხოელ ისტორიკოსთა ცნობებიდანაც ჩანს. მაგალითად, V საუკუნის სომეხი ისტორიკოსის ფავსტოს ბუზანდის ცნობით, ქართლის სამეფო დინას-

---

38 კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, 1951, გვ. 221.

39 ალ. ღ ლ ო ნ ტ ი. ქართული ხალხური ნოველა, თბ., 1966, გვ. 256.

40 ელ. ვ ი რ ს ა ლ ა ძ ე, ქართული სამონადირეო ეპოსი, თბ., 1964, გვ. 135.

41 Н. П. Андреев, Указатель сказочных сюжетов по системе ААрне, 1929, № 834.

42 Г. А. Меликишвили, К истории древней Грузии, Тб., 1959, гл. 49.

ტია ფარნავაზისაგან მომდინარედ ითვლებოდა[43]. კიდევ უფრო ძველი ცნობაა დაცული II—III საუკუნეების ბერძენი ისტორიკოსის დიოს კასიოსის „რომის ისტორიაში“, სადაც მოხსენიებულია იბერთა მეფე ფარნავაზი (ფარნაბაზე)[44].

ეს ორი უცხოური ცნობა ბევრად უსწრებს წინ ლეონტი მროველის მოღვაწეობის ეპოქას.

ლეონტი მროველის „მეფეთა ცხოვრების“ ქართულ ფოლკლორთან მიმართებაში შესწავლამ აჩვენა, რომ მემატიანის ერთ-ერთი წყარო ზეპირშემოქმედებაა. ლეონტი მროველი უხვად დასესხებია ძველი ხალხური ეპოსის თხრობის სტილს, მხატვრულ ფაქტურას, ფოლკლორულ სიუჟეტებს, მითებსა და გადმოცემა-თქმულებებს და მწიგნობრული თუ სხვა წერილობითი მასალით შეზავებულ-გადამუშავებული თავის მატიანეში შეუტანია.

---

[43] Фавстос Бузанд, История Армений, Ереван, 1953, გვ. 162.

[44] დიოს კასიოსის ცნობები საქართველოს შესახებ, ნ. ლომოურის გამოცემა, თბ., 1966, გვ. 74.

ლიანა დავლიანიძე

დავით V სომხურ საისტორიო მწერლობაში

დავით აღმაშენებლის შვილიშვილი და დემეტრე I უფროსი ძე დავით V საქართველოს სამეფო ტახტს ფლობდა მხოლოდ ნახევარი წლის მანძილზე. გარკვეული პერიოდი მის გამეფებამდე და მეფობის ხანაც შინაური შფოთით ჩანს გარემოცული. ქართული წყაროები ზოგადად მიანიშნებენ ამ დაძაბულობის მიზეზს. თამარის პირველი ისტორიკოსი აღნიშნავს: „დიმიტრისა... ორ ძე ებადესა, რომელთა დავით და გიორგი [ეწოდებოდა სახელად]. მარჩევალი ძისა უმცროსისა მლარწველი, მკიცხველი იქმნა, ვითარ ისაკი იაკობისადმი. და ვედრებისა შემასმენელმან ღმერთმან დავითის დღეთა შემცირებითა სრულყო პირველ მამისა"[1]. ამრიგად, ჩვენთვის გაურკვეველი მიზეზის გამო დავითი თავის მეფე მამას არ ყვარებია და უსურვებია მისი თავიდან მოცილება. ლაშა გიორგის დროინდელი მემატიანე სამეფო კარზე უსიამოვნების შესახებ არაფერს ამბობს, მაგრამ აღნიშნავს: დემეტრე „მიიწია სრულ-ქმნილი სიბერესა. შეიმოსა ჩოჯა და იკურთხა სქემითა. დაყო წელიწადი ერთი და მოკუდა.

და დასუეს მეფედ ძე მისი დავით. იმეფა ექუს თუე და მოკუდა. შემდგომად მისსა დაჯდა ძე მისივე გიორგი ქრონიკონსა სამას სამოცდათხუთმეტსა. ამასვე წელსა დემეტრე მოკუდა"[2].

საგულისხმოა, რომ დემეტრეს სიცოცხლეშივე უარი უთქვამს სამეფო ტახტზე და ბერად შემდგარა. ამის შემდეგ მას ერთი წელი უცოცხლია. ჯერ კიდევ აკად. მ. ბროსემ გამოთქვა მოსაზრება, რომ დემეტრე იძულებით უნდა შემდგარიყო ბერად. ამ აზრს იზიარებდა აკად. ივ. ჯავახიშვილიც[3]. წყაროებიც ადასტურებენ, დავით V მიერ მეფობის ძალადობით მოპოვებას.

IX საუკუნიდან მოყოლებული სამეფო უფლების დამკვიდრება პირდაპირ მემკვიდრეობასა და პირმშოობაზე იყო დამოკიდებული. ამის მიხედვით განსვენებული მეფის უფროსი ვაჟი უნდა ასულიყო სამეფო ტახტზე[4], მაგრამ რამდენადაც დავითი სასურველი შვილი არ ყოფილა, მისი უფლებებიც შეუზღუდავთ. ამ ფაქტის უჩვეულობა იმითაც დასტურდება, რომ XVII ს-ის მემატიანეს ფარსადან გორგიჯანიძეს უცდია დავითი უმცროს შვილადაც კი წარმოედგინა და ამით გაემართლებინა დემეტრეს მოქმედება: „დემეტრე მეფეს ორი შვილი ჰყვანდა, უფროსის საკელი გიორგი და უმცროსის დავით. გიორგის საუფლისწულო პატივი აქონდის, ეს დავითს ეჯავრებოდის... შეუჯდა ეშმაკი და აცდინა, კარის უფროსნი ამოსწყვიტა ზოგნი ღალატითა და ზოგნი საწამლავითა. უწყინა ღმერთმან და მამისავე სიცოცხლეში მოკვდა"[5]. დ. ბაქრაძე ფ. გორგიჯანიძის ამ ცნობას შესაძლებელ ამბად მიიჩნევდა და ამით ხსნიდა დავით V ხანმოკლე მეფობას[6], მაგრამ დავითი რომ უფროსი შვილი იყო დემეტრესი,

---

[1] ისტორიანი და აზმანი შარავანღედთანი, ქართლის ცხოვრება, II, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1959, გვ. 3.

[2] ლაშა გიორგის დროინდელი მემატიანე, ქართლის ცხოვრება, I, თბ., 1955, გვ. 366.

[3] ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, II, თბ., 1965, გვ. 226.

[4] იქვე, გვ., 239.

[5] ფ. გორგიჯანიძე, ხელნაწერთა ინსტიტუტი, ხელნაწ. 2140, ფ. 9ა.

[6] ვახუშტი, საქართველოს ისტორია, დ. ბაქრაძის გამოცემა, თბ., 1885, გვ. 188—189.

7. „მაცნე", ისტორიის... სერია, 1974, № 4.

გარდა თამარის ისტორიკოსისა, ამაზე მიგვინიშნებს კირაკოს განძაკელის ცნობები. როდესაც ის ლაპარაკობს განძაში 1139 წ. მიწისძვრაზე, ამბობს: დანგრეულ ქალაქში მოვიდა ქართველთა მეფე დემეტრე, მამა დავითისა და გიორგისაო[7]. დავითის პირველ რიგში ხსენება მისი უფროსობის მაჩვენებელი უნდა იყოს. სხვა ადგილას კირაკოსი აღნიშნავს, რომ დავით აღმაშენებელი იყო მამა დემეტრესი და პაპა დავითისა და გიორგისი[8]. ასევე უფროს ძეთა ჰყავს წარმოდგენილი დავით V სტეფანოს ორბელიანსაც[9]. რადგანაც ირკვევა, რომ სამემკვიდრეო უფლება დავითს ეკუთვნოდა, საინტერესოა, რა მიზეზით მოუსპო დემეტრე I ეს უფლება თავის უფროს შვილს და რატომ იყო მისი „მკიცხველი". ამის გასარკვევად თავის დროზე ივ. ჯავახიშვილმა XIII ს-ის სომეხი ისტორიკოსის ვარდან აღმოსავლელის ერთი ცნობა მოიშველია. რამდენადაც ეს ცნობა საკმაოდ ბუნდოვანია, მეტი სიცხადისათვის აქ მოგვაქვს როგორც ვარდანის ტექსტი (იმ გამოცემიდან, რომელიც დამოწმებული აქვს ივ. ჯავახიშვილს), ისე მისი ქართული თარგმანი.

ի հինգ հարիւր եօթանասուն և ինն թուին,.. Ի նոյն ժամանակաց սչ հերա-գոյնս ինչ կամեցաւ Իւանէ, որդին Ապուլէթի, սպանանել զԴեմետրէ և զեղբայր իւր զԳորգի և նորին հայրն Ապուլէթ փետելով զալիսն առաջի նո-րա, արգել զնա։ Եւ էին երկոքեան արգելեալք ի բերդն Դմանեաց պատ-ճառանաւք ինչ խաբէութեամբ ի մէջ եղբարց, զոր ապա իմացեալ Դեմետ-րի, ասաց Իւանէ «Կալար զիս, մամ» Եւ նա զղջացեալ ասաց. «ոչ, արքայ, այլ ետու ի ձեռս զեղբայր քո, որ խնդրէ զթագաւորութիւնդ». զոր ըմ-բռնեալ խաւարեցուցանէ և թողու.[11]

ხუთას სამოცდა ცხრამეტი წლიდან... არც თუ ისე შორს, აბულეთის შვილმა ივანემ მოისურვა მოეკლა დემეტრე და თავისი ძმა გიორგი. მაგრამ მისმა მამა აბულეთმა მის წინ ჭაღარა თმები დაიგლიჯა [და] ხელი შეუშალა მას. ორივენი დატყვევებულ იქნენ დმანისის ციხეში ძმათა შორის რაღაც ვერაგობათა მიზეზებით, რაც შემდეგ შეიტყო დემეტრემ. [მან] უთხრა ივანეს: „შემიპყარ მე, მამი"[10], ხოლო იმან სინანულით თქვა: „არა, მეფეო, მე მხოლოდ ხელთ მოგეცი შენი ძმა, რომელსაც შენი მეფობა უნდოდა". ის შეპყრობილ იქნა, დააბრმავა და გაუშვა.

ივ. ჯავახიშვილს აღნიშნული ტექსტის თარგმანში დასაწყისში ჩამატებული აქვს სიტყვა „უფლისწული", ხოლო სახელი „გიორგი" საერთოდ გამოტოვებულია. ამრიგად, თარგმანი ასე იკითხება: „უფლისწულს [და] ივანე აბულეთის ძეს უნდოდათ დემეტრე [მეფისა] და თავის ძმის მოკვლა"...[12] და ა. შ. ძნელი წარმოსადგენია, ამ ორი სიტყვის ჩამატება-გამოკლება ნებისმიერად იყოს წარმოებული, მით უმეტეს, რომ ივ. ჯავახიშვილი „თავის ძმაში" სწორედ გიორგი დემეტრეს ძეს გულისხმობდა. ე. ი. ნავარაუდევი იყო: უფ-

[7] Պատմութիւն Հայոց արարեալ Կիրակոսի վարդապետի Գանձակեցւոյ, თბ., 1909, გვ. 108.

[8] იქვე, გვ. 105.

[9] Ստեփանոս Սիւնեցի Օրբէլեան, Պատմութիւն Սիւնեաց աշխարհի, თბ., 1910, გვ. 380.

[10] ვარდანის „ისტორიის" რუსულად მთარგმნელი ნ. ემინი «մամ»-თან დაკავშირებით წერს: Слово «отец в подлиннике выражается через грузинское «мам» или вернее «мами», которое Вардан намеренно, конечно, употребляет, ибо влагает его в уста грузина (Всеобщая История Вардана Великого, перевод Н. Эмина, М., 1861, შენიშ. გვ. 160)

[11] Մեծին Վարդանայ Բարձրբերդեցւոյ, Պատմութիւն Տիեզերական, М., 1861, გვ. 160.

[12] ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 223.

ლისწულ დავითს და ივანე აბულეთის ძეს ჰქონდათ განზრახვა დემეტრესი და იმისი შვილის, ანუ დავითის ძმის, გიორგის მოკვლისა, რაც გამჟღავნდა და ორივენი დმანისის ციხეში დაატყვევეს. ასეთი წაკითხვის დროსაც გაურკვეველი რჩებოდა ტექსტის ბოლო ნაწილი: რომელი ძმა მისცა ხელთ დემეტრე I ივანე აბულეთის ძემ? დემეტრეს ძმა გიორგი წყაროებით ცნობილი არ არის. ივ. ჯავახიშვილი თვლიდა, რომ დემეტრეს საერთოდ არ ჰყავდა ძმა[13] და ამბობდა, ვარდანს აქ დავით უფლისწულის იმ შეთქმულებაზე უნდა ჰქონდეს საუბარი, რომლის შესახებაც თამარ მეფის ისტორიკოსს გაკვრით აქვს ნათქვამიო[14]. თუ დავეთანხმებით იმ აზრს, რომ ვარდანის ტექსტში დავით უფლისწულის განდგომაზეა ლაპარაკი, მაშინ ბოლოს „ძმის" ნაცვლად უნდა იყოს „ძე" და ასე წავიკითხოთ: მაშინ, როდესაც დემეტრემ დატყვევებულ ივანე აბულეთის ძეს უთხრა (ალბათ, დაცინვით), „შემიპყარ, მე, მამი"-ო, ივანემ სინანულით უპასუხა, — „არა, მეფეო, მე მხოლოდ ხელთ მოგეცი შენი ძე (და არა ძმა, როგორც ეს ვარდანსა აქვს. — **ლ. დ.**), რომელსაც შენი მეფობა უნდოდა". მაგრამ ასეთი დაშვებისას გაურკვეველი რჩება, ვის დაუბნელა თვალები დემეტრე I? დავით უფლისწული და ივანე აბულეთის ძე არსად არ არიან ბრმად მოხსენიებულნი. ვარდანისავე ცნობით, ერთი წლის შემდეგ. 1131 წელს, ივანე თავს დასხმია გარნისს და ბრძოლა გადაუხდია...[15].

ზემოთ მოტანილი ცნობა განხილული აქვთ სხვა მკვლევრებსაც და სხვადასხვა ვარაუდი აქვთ გამოთქმული. ა. ბოგვერაძის მიხედვით, ვარდანთან ნახსენები „ძმა" დემეტრე მეფის ძმა ვახტანგი, ანუ ცვატა უნდა იყოს, რომელიც დავით აღმაშენებელს შეეძინა 1118 წელს ყიეჩაყთა მთავრის ასულთან[16]. დავით აღმაშენებელი თავის „ანდერძში" არსენ ბერის პირით დემეტრეს ავალებდა, „მივანდუენ შჳლნი და დედოფალნიცა, შუამდგომლობითა ღუთისათა, რათა ძმა მისი გაზარდოს და თუ ინებოს ღმერთმან და ვარგ ყოს ცუატა, შემდგომად მისსა ჰყოს მამულსა ზედა"[17]. დავითის ეს გულისნადები აშკარა დარღვევაა ტახტის მემკვიდრეობის დიდი ხნით შემუშავებული წესისა, მაგრამ, ჩანს, თავისი უმცროსი ძე განსაკუთრებით ჰყვარებია მეფეს. ივანე აბულეთის ძის მოთავეობით დემეტრეს საწინააღმდეგოდ გამდგარ დიდებულებს, ალბათ, თავი დავითის ანდერძის აღმსრულებლადაც მოჰქონდათ. სასტიკი ყოფილა გვირგვინოსანი ძმის განაჩენი, როგორც თორმეტი წლის ყრმა უფლისწულის, ისე ამ განდგომილების განმზრახველი ივანე აბულეთის ძისათვისაცო, ასკვნის ა. ბოგვერაძე[18]. ამრიგად, ის ვარდანის ცნობას უკავშირებს არა დავით უფლისწულის ამბოხებას, არამედ ცვატა-ვახტანგის გამეფების მოსურნე (დავით აღ-

---

[13] დავით აღმაშენებელის „ცხოვრებაში" იქ, სადაც ლაპარაკია გიორგი ჭყონდიდელის გარდაცვალებაზე 1118 წელს, ნათქვამია: „იგლოვა ყოველმან სამეფომან და თჳთ მეფემან, ვითა მამა და უმეტესცა მამისა, შემოსითა შაბისითა ორმეოც დღე, ვიდრემდის იშვა ვახტანგ, რომლისა ხარებითა დაიჴსნა გლოვა" (ქართლის ცხოვრება, I, გვ. 337). აქ იგულისხმება დავით აღმაშენებლის ძის ვახტანგის დაბადება. იგივე ვახტანგ ცვატას სახელით მოხსენიებულია დავით აღმაშენებლის ანდერძშიც (თ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა, ქრონიკები II, გვ. 51; ქართული სამართლის ძეგლები, II, თბ., 1965, გვ. 19). მასვე ახსენებს თ. ჟორდანია „ქრონიკების" პირველ წიგნში (გვ. 242, 247).

[14] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 223.

[15] ვ ა რ დ ა ნ ი, დასახ. სომხური გამოცემა, გვ. 161.

[16] დავით აღმაშენებელის ცხოვრება, ქართ. ცხ., 1, გვ. 337.

[17] ქართული სამართლის ძეგლები, II, გვ. 19.

[18] ა. ბ ო გ ვ ე რ ა ძ ე, დავით აღმაშენებელის ისტორიის თარიღისა და ხასიათების შესახებ, ქართული ისტორიოგრაფია, 2, თბ., 1971, გვ. 76—77.

მაშენებლის ანდერძის დამცველი) დიდებულების აჯანყებას დემეტრე I წინააღმდეგ, რომელთა მოთავედ მას ივანე აბულეთის ძე მიაჩნია, ხოლო დემეტრეს მიერ თვალდაბნელებულად ვახტანგს თვლის.

ახლახან გამოცემულ წიგნში ვარდანის ამავე ცნობასთან დაკავშირებით მ. ლორთქიფანიძე წერს:

Противоречия между Абулетом и Деметре усугубляются, почву для этого создавали претензии Вахтанга (младшего брата Деметре) на престол. Согласно сведениям Вардана, приблизительно в 1130 г. царевич и Иване, сын Абулета, помышляли об убийстве царя Деметре, но убийству царя помешал Абулет, который, видимо, сообщил об этом царю. Домогавшийся престола царевич был ослеплен[18].

ამ საკითხზე ყურადღებას ამახვილებს, აგრეთვე, რ. მეტრეველი. მისი აზრით იმის ვარაუდი, რომ ვარდანის მიერ მოხსენიებული უფლისწული — დავითია, სწორია, რადგან დავითის შეთქმულების ფაქტი დემეტრე მეფის წინააღმდეგ თამარის ისტორიკოსსაც აქვს აღნიშნული. გარდა ამისა ნიშანდობლივად მიაჩნია ის გარემოება, რომ როგორც კი ხელთ იგდო სამეფო ტახტი დავით V მაშინვე გაათავისუფლა დემეტრეს მიერ საპყრობილეში ჩასმული ივანე აბულეთის ძის შვილი თირქაში და ამირსპასალარად დანიშნა. დავითის ასეთი მოქმედება საფუძველს ქმნის, რომ ივანე აბულეთის ძე თავის შვილთან ერთად მის მოკავშირედ გამოდიოდა ტახტის მიტაცებისათვის საქართველოს მეფის წინააღმდეგ ბრძოლაში[19].

ვითვალისწინებთ რა ამ შეხედულებებს, საჭიროდ მიგვაჩნია პირველ რიგში განვიხილოთ საკითხი ამბოხების თარიღის შესახებ. ვარდანის მიხედვით, ივანე აბულეთის ძის ამბოხებას 1130 წელს ჰქონდა ადგილი, ხოლო 1132 წელს დემეტრე I „ღალატით მოაკვლევინა მამაცი ივანე"[20]. ამ განდგომაზე ქართული წყაროები კონკრეტულ ცნობებს არ გვაძლევენ, მაგრამ ლაშა გიორგის დროინდელ მემატიანეს აღნიშნული აქვს „დემეტრე(მ) აბულეთის ძესა ივანეს თავი მოჰკუეთა ჩხერეს მერეს მეოცესა წელიწადსა მეფობისა მისისასა"[21]. ამ ცნობით უკვე იგულისხმება ივანეს დიდი დანაშაული სამეფო კარის მიმართ. დემეტრეს მეფობის მეოცე წელი 1145 წელს ემთხვევა. ამრიგად, ვარდანისა და ქართველი მემატიანის თარიღები საკმაოდ დაშორებულია ერთმანეთისაგან. თუ გავიხსენებთ, რომ 1125 წელს გამეფებული დემეტრე, დავით აღმაშენებლის სიტყვით, იყო „სიბრძნითა სიწმიდითა, ახოვნებითა და სიმჯნით უმჯობესი" მამისა[22], ხოლო თამარის პირველი ისტორიკოსის მიხედვით, — „მჯნე კდომათა შინა და მძლე ბრძოლასა შინა"[23], ძნელი წარმოსადგენია, სულ რაღაც ხუთი წლის მეფობის შემდეგ ახალგაზრდა ძლევამოსილი მეფისათვის მოენდომებინათ ტახტის წართმევა და მის ნაცვლად მისი მცირე-

---

18 М. Д. Лорткипанидзе, История Грузии—XI—начало XIII века, Тбилиси, 1974, გვ. 136. იხ. აგრეთვე ჯ. სტეფნაძე, საქართველოს პოლიტიკური ურთიერთობა კავკასიის ხალხებთან XII საუკუნეში, თბ., 1974, გვ. 48.

19 რ. მეტრეველი, შინაკლასობრივი ბრძოლა ფეოდალურ საქართველოში, თბ., 1973, გვ. 116.

20 ვარდანი, გვ. 161.

21 ლაშა გიორგის დროინდელი მემატიანე, ქართლის ცხოვრება, I, გვ. 367.

22 ქართული სამართლის ძეგლები, II, გვ. 19.

23 ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, ქართლის ცხოვრება, II, გვ. 3.

წლოვანი ძმის, ან თუნდაც უფროსი ძის დავითის გამეფება. დავით აღმაშენებელი თავის ანდერძში ხომ გარკვევით ამბობს, „თუ ინებოს ღმერთმან და ვარგ ყოს ცუატა, შემდგომად მისსა ჰყოს მამულსა ზედაო". თორმეტი წლის ასაკში ცვატა-ვახტანგის „ვარგობის" შესახებ ადრე უნდა ყოფილიყო მსჯელობა, ხოლო „შემდგომად მისსა ჰყოს მამულსა ზედა" სრულიად არ იძლეოდა საბაბს ხუთი წლის გამეფებული დემეტრეს წინააღმდეგ ამბოხება მოეხდინათ დავითის ანდერძის (ან თუნდაც დავით უფლისწულის) ინტერესების დამცველთ. ამის მიხედვით, ვფიქრობთ, ქართველი მემატიანე უფრო ზუსტი უნდა იყოს, როდესაც ივანე აბულეთის ძის თავის მოკვეთას დემეტრეს მეფობის მეოცე წლით ათარიღებს. 1145 წელს დემეტრე უკვე ხანში იქნებოდა შესული და, ალბათ, მისი განზრახვა უმცროსი შვილის გიორგის გამეფების შესახებაც ცნობილი იყო. ჩვენი აზრით, ივანე აბულეთის ძე იყო არა დავით უფლისწულის მოკავშირე, არამედ ვახტანგ-ცვატას ინტერესების დამცველი. ამას გვაფიქრებინეს „აფხაზთა ქრონიკის" ცნობა, სადაც აღნიშნულია, „ქრონიკონსა ტო (370) დასაბამითგან ხღნდ (6754-1150) აქა დავით დემეტრეს გაადგაო"[24]. თუ ამ ქრონიკის თარიღს — 1150 წელს სარწმუნოდ მივიჩნევთ, მაშინ დავით უფლისწულის განდგომის დროს ივანე აბულეთის ძე არც ერთი მონაცემით, უკვე ცოცხალი აღარ იქნებოდა.

თუმცა ჩვენ უპირატესობას ვაძლევთ ქართველი მემატიანის თარიღს, მაგრამ საერთოდ ვარდანის გადმოცემა სინამდვილეს უნდა ასახავდეს. ერთი კი ცხადია, აქ მოტანილ ტექსტს დასაწყისში აკლია იმ პირის სახელი, რომელიც შემდეგ ივანე აბულეთის ძესთან ერთად დატყვევებულ იქნა დმანისის ციხეში. ვარდანი ხომ თვითონ ამბობს, „ორივენი" დაატყვევესო. რადგანაც ივანე ეუბნება დემეტრეს, „მე ხელთ მოგეცი შენი ძმა, რომელსაც შენი მეფობა უნდოდა", ამის მიხედვით მასთან ერთად დატყვევებული ყოფილა დემეტრე I ძმა ვახტანგ, ანუ ცვატა. ჩანს, მძიმე მომენტში ივანე აბულეთის ძეს უკან დაუხევია და მოუნდომებია მეფის დარწმუნება თავის უდანაშაულობაში. თვალდაბნელებულადაც ვახტანგი მიგვაჩნია, რამდენადაც შემდეგ მისი სახელი წყაროებში ქრება.

იმის შემდეგ, რაც ივანე აბულეთის ძე სიკვდილით დასაჯეს, ხოლო ვახტანგს თვალი დაუბნელეს, დავით უფლისწულს მეტი საშუალება მიეცემოდა დაეცვა თავისი სამემკვიდრეო უფლებები. დავითს რომ სერიოზული ბრძოლა გადაუხდია თავისი მეფე მამის წინააღმდეგ, ეს კარგად დასტურდება თამარის პირველი ისტორიკოსის სიტყვებიდან. როდესაც ის ლაპარაკობს დემნა უფლისწულის აჯანყებაზე, ამბობს: „დავითცა, მამამან მისმან, ღალატსა და განდგომილებასა შინა მამისა მის დემეტრესსა ამოსწყჳტნა ამის სამეფოსა დიდებულნი რომელნიმე ექსორია ქმნითა, რომელნიმე სიკუდილითა და რომელნიმე განპატიჟებითა"[25]. ცხადია, დავითს ბევრი მომხრე ეყოლებოდა, რადგანაც მოუხერხებია თავისი მოწინააღმდეგე დიდებულების დათრგუნვა და ტახტის დაპყრობაც კი 1155 წელს[26]. ჩვენი აზრით, დავითის მოკავშირე უნდა ყოფილიყო ივანე აბულეთის ძის შვილი თირქაშიც. მამის სიკვდილით დასჯის შემდეგ, ალბათ შურისძიების გამო, ის გაქცეულა შაჰ-არმენთან, მისგან საგამ-

[24] თ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა, ქრონიკები, I, თბ., 1920, გვ. 250.

[25] ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, ქართლის ცხოვრება, II, გვ. 18.

[26] ეს თარიღი დადგენილი აქვს ივ. ჯავახიშვილს (ქართველი ერის ისტორია, II, გვ. 227).

გეოდ მიუღია არშარუნის ქვეყანა და იქიდან აოხრებდა საქართველოს. შესაძლებელია თირქაში ისე მოქმედებდა, რომ დავით უფლისწულსაც უწევდა სამსახურს (ისინი, ხომ ორივე დემეტრეს წინააღმდეგ იყვნენ მიმართულნი). მაგრამ დემეტრეს ბოლოს მაინც ხელთ უგდია თირქაში. ვარდანი ამბობს: დავითმა გამეფებისთანავე ტყვეობაში მყოფი თირქაში გაათავისუფლა და ამირსპასალარად დანიშნა სუმბატ და ივანე ორბელიანების ნაცვლადო[27].

დავით V თავისი ხანმოკლე მეფობის პერიოდში, ჩანს, მომხრეებს ეძებდა არაქართველ დიდებულებს შორისაც. XII ს-ის ავტორის მხითარ გოშის ცნობით, მას მეტად დაუახლოებია თბილისის „სატრაპი“ ვასაკი, იმხან ვაჰრამის ძე და მისი ძმები ქურდი და სარგისი[28]. ვასაკიც, ალბათ, თავის მხრივ დიდ ერთგულებას იჩენდა დავითის მიმართ. ხოლო მისი გარდაცვალების შემდეგ, გიორგი III გამეფებისთანავე მოუსურვებია მისი შეპყრობა, რადგანაც ქალაქის მმართველობის დროს არც სათანადო პატივსა სცემდა და არც სამსახურს უწევდაო. ამის გამო ვასაკი თავის ძმა ქურდთან ერთად გაქცეულა კარინში (კარნუ ქალაქი) ამირ სალდუხთან, რომელსაც დიდის პატივით მიუღია უწინდელი სიკეთის გამო (მაშინ, როდესაც ქართველთა ჯარმა შეიპყრო სალდუხი ანისის აღებისას 1154 წ. და ქ. თბილისში მეფე დემეტრეს წარუდგინა, მრავალი სამსახური გაუწევია მისთვის ვასაკს) და საგამგეოდ სხვადასხვა ადგილებიც უბოძებია. რამდენიმე თვის შემდეგ, როდესაც ვასაკი გარდაიცვალა, მისი სამფლობელოები გადაეცა ქურდს[29]. ამავე ქურდის შესახებ კირაკოს განძაკელი აღნიშნავს: ქართველთა სამეფოდან კარინში გაქცეულ ქურდთან მივიდა მხითარ გოში. შემდეგ, როდესაც ქურდი თამარ მეფემ შეირიგა, საშუალება მიეცა მას უკან დაბრუნებულიყო თავის სამფლობელო კაენსა და მაკნაბერდში[30]. ამრიგად, ქურდის საქართველოდან გაქცევის ამბავს კირაკოს განძაკელიც ადასტურებს, მაგრამ ეს გაქცევა, რომ დავით V-თან ყოფილა დაკავშირებული ამაზე მხოლოდ „ალბანეთის ქრონიკა“ იძლევა ცნობას. რამდენადაც მხითარ გოში შემდეგშიც ახლო ურთიერთობაშია ქურდთან, მისი გადმოცემაც სარწმუნო უნდა იყოს. ამავე წყაროს ცნობით, დავითს კეთილი დამოკიდებულება ჰქონია მის გამგებლობაში მყოფ სომეხ იმხანებთან. აგრეთვე, უხმია მეფე კვირიკე დავითის ძე და დაპირებია იმ სამკვიდრებლის დაბრუნებას, რომელიც თავის წინაპრებს ჩამოერთმიათ მისთვის[31]. აქ უწინარეს ყოვლისა საყურადღებოა ის მომენტი, რომ დავით V განუზრახავს ლორე-ტაშირში კვირიკიანების ძალაუფლების აღდგენა. როგორც ცნობილია, X ს-ის დასასრულს ლორე-ტაშირში თავიანთი „სამეფო“ დააარსეს შირაკის (ანისი) მეფის აშოტ III (953—977) შვილის გურგენ-კვირიკეს შთამომავლებმა. გურგენის შვილმა დავითმა (989—1048) სატახტო ქალაქად სამშვილდე გამოაცხადა, მის ხელთ იყო ტაშირი, „ქართველთა ველი“ და ბოლნის-დმანისის ხეობანი[32]. 1065

[27] ვარდანი, გვ. 165.

[28] როგორც ზ. ბუნიატოვი აღნიშნავს, სარგისი არ უნდა იყოს ქურდის ძმა. აქ, ალბათ, იგულისხმება სარგის მხარგრძელი, ზაქარიას და ივანეს მამა, რომელსაც ცოლად ჰყავდა ქურდის და (იხ. Мхитар Гош, Албанская хроника, Баку, 1960, შენ. 93).

[29] ლ. დავლიანიძე, მხითარ გოშის „ალბანეთის ქრონიკა“, ქართული წყაროთმცოდნეობა, II, თბ., 1968, გვ. 47—48.

[30] კირაკოს განძაკელი, დასახ. გამოც., გვ. 197.

[31] „ალბანეთის ქრონიკა“, გვ. 47.

[32] Ստեփանոսի Տարօնեցւոյ Ասողկան, Պատմութիւն Տիեզերական, ს. პეტერბურგი, 1885, გვ. 256.

წელს ბაგრატ IV კვირიკიანებს ქ. სამშვილდე წაართვა[33], რის შემდეგაც ტაშირ-ძორაგეტის დედაქალაქი ლორეში იქნა გადატანილი. XI ს-ის 80-ანი წლებიდან თურქ-სელჩუკების ძალმომრეობის გამო კვირიკიანების „სამეფო" თანდათან სუსტდება და მისი უმთავრესი ქალაქებიც თურქების ხელში გადადის. დავით აღმაშენებელმა დაიწყო რა მზადება თბილისის განთავისუფლებისათვის თურქ-სელჩუკებისაგან პირველ რიგში იერიში ქ. სამშვილდეზე მიიტანა, რომელიც 1110 წელს აიღო, ხოლო 1118 წელს ქ. ლორეც დაიმორჩილა. კვირიკიანები აბასი და დავითი (1089—1145) ტავუშსა და მაწნაბერდში გადავიდნენ[34].

იმის შემდეგ რაც ტაშირ-ძორაგეტი საქართველომ შემოიერთა, მისი მიწები მსხვილ ქართველ ფეოდალებს გადაეცათ. კერძოდ, დიდი ნაწილი ორბელებს ხვდათ წილად. XII ს-ის პირველ ნახევარში ისინი ფართო აღმშენებლობით მოღვაწეობას აწარმოებდნენ აქ. სტეფანოს ორბელიანის ცნობით, ეს მხარეები და მისი ცენტრი ქ. ლორე 1177 წლამდე ორბელთა სამფლობელოდ ითვლებოდა, ხოლო შემდეგ თამარმა ის ზაქარია ამირსპასალარს უბოძა[35].

ამრიგად, თუ ვინმე კვირიკიანთა უფლებების აღდგენას მოისურვებდა, მას უნდა დაეთრგუნა ორბელიანთა წინააღმდეგობაც. როგორც ირკვევა, დავითის ეს განზრახვა ცნობილი გამხდარა ლორე-ტაშირის მფლობელთათვის. მხითარ გოშის მიხედვით, „როდესაც ქართველმა დიდებულებმა შეიტყვეს მისი ამგვარი სურვილი, დიდმა მტრობამ მოიცვა ისინი, განსაკუთრებით ორბელიანებად წოდებული გვარი, დაალევინეს სასიკვდილო საწამლავი და მოკლეს მეფე დავითი. მძიმე და ხანგრძლივმა სევდამ მოიცვა ქართველთა და სომეხთა ქვეყნები"[36]. ამასთან დაკავშირებით საგულისხმოა ვარდანის გადმოცემაც: დავითმა გამეფებისთანავე „გამოიყვანა საპყრობილედან მამამისის დატყვევებული თირქაში და დაადგინა მხედართმთავრად. თვითონ ერთი თვის შემდეგ გარდაიცვალა. ზოგნი იტყვიან, (თითქოს) ის დაიღუპა სუმბატ და ივანე ორბელიანთაგან, მათ ადგილას თირქაშის დაყენების გამო"[37]. ამრიგად, მხითარ გოში და ვარდან აღმოსავლელი დავითის უდროო გარდაცვალებას ორბელიანთა სახელს უკავშირებენ, რამდენადაც დავითს მოუწადინებია სუმბატ და ივანესათვის როგორც მამულის, ისე ამირსპასალარობის ჩამორთმევა. ეს ორი განზრახვა სრულ საბაბს მისცემდა მათ დავითის წინააღმდეგ უკიდურესი ზომების მისაღებად.

სავსებით განსხვავებული ცნობები მოეპოვება სტეფანოს ორბელიანს. თუმცა დავით V გარდაცვალების უშუალო მიზეზზე ის არაფერს ამბობს, მაგრამ დაწვრილებით ყვება თუ როგორ უხმო სიკვდილის დროს კათალიკოსსა და დიდებულებს და მათი თანდასწრებით თავისი შვილის დემნას სრულასა-

---

[33] მატიანე ქართლისაი, ქართლის ცხოვრება, I, გვ. 307.

[34] კ ი რ ა კ ო ს გ ა ნ ძ ა კ ე ლ ი, გვ. 145; კვირიკიანების შესახებ: ლ. მ ე ლ ი ქ ს ე თ-ბ ე გ ი, „ჩრდილო მხარეთა" სომეხთა მოძღვარნი და მათი ვინაობა; თბ., 1928; В. И. М а т е в о с я н, Восточный Гугарк в XI—XII вв. ავტორეფერატი, ერევანი, 1969; ჯ. ს ტ ე ფ ნ ა ძ ე, ლორე-ტაშირის სამეფოს აღდგენის საკითხი XII ს-ის შუა პერიოდის საქართველოს დიპლომატიაში, ხელნაწერი.

[35] სტ. ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, გვ. 391.

[36] „ალბანეთის ქრონიკა", გვ. 47.

[37] ვ ა რ დ ა ნ ი, გვ. 165.

კოვნებამდე ტახტი ჩააბარა უმცროს ძმას გიორგის[38]. დემნა კი ხელთ მისცა აღსაზრდელად ივანე სუმბატის ძე ორბელიანს და აღთქმა დაადებინა ყველას, არ ეღალატათ ყრმისათვის, ხოლო როდესაც ასაკს მიაღწევდა მეფედ ეკურთხებინათ[39]. ივ. ჯავახიშვილი სტ. ორბელიანის ამ გადმოცემას სავსებით შეუწყნარებლად თვლიდა უწინარეს ყოვლისა იმის გამო, რომ დავითს და გიორგის ისეთი დამოკიდებულება ჰქონდათ ერთმანეთში, შეუძლებელია დავითს ის თავის ანდერძის აღმსრულებლად დაენიშნა. გარდა ამისა, გიორგი ხომ სამეფო ტახტზე მისმავე მამამ დემეტრე I აიყვანა, ხოლო დავითისათვის არამც თუ მეფობა არ გადაუცია, არამედ მიმძლავრებლადაც თვლიდა[40]. ჩვენ ამ თხრობაში უფრო საყურადღებოდ მიგვაჩნია ის ადგილი, როდესაც ლაპარაკია დემნა უფლისწულის აღმზრდელად ივანე სუმბატის ძე ორბელიანის არჩევაზე დავითის მიერ. ეს ხომ ის ორბელიანია, რომელსაც მხითარ გოში და ვარდანი დავით V სიკვდილში ადანაშაულებენ. შეიძლებოდა ამ ცნობაში ეჭვის შეტანა, მაგრამ ივანე ორბელიანი ხომ იმ განდგომილების აქტიური მონაწილე იყო, რომელიც დემნა უფლისწულმა მოუწყო თავის ბიძა გიორგი III. იბადება კითხვა, როგორ მისცა საკუთარი შვილი სიკვდილის ჟამს დავითმა იმ ადამიანს, რომელსაც მხედართმთავრობა ჩამოართვა და მამულის წართმევასაც უპირებდა? იქნებ აქ ერთგვარ დიპლომატიურ ხერხთან გვქონდეს საქმე: ძლიერ მტერს მიანდო შვილი, რათა ის მაინც გადაერჩინა შემდეგში უსიამოვნებისაგან. ივანე ორბელიანმა კი, მოიცილა რა გზიდან დავით V, დემნა უფლისწული (კანონიერი მემკვიდრე) გამოიყენა თავისი უფლებებისა და ძლიერების კიდევ უფრო განსამტკიცებლად.

სტეფანოს ორბელიანის მსგავსად, ვახუშტი ბაგრატიონიც დავით V გარდაცვალებას ბუნებრივ ამბად მიიჩნევს. „ამან ძემან დიმიტრი მეფისამან დავით იმეფა თთვე ექვსი ნებიერ, უშფოთველად და შემდგომად მოკვდა"[41]. იქნება „უშფოთველობაში" იმას გულისხმობდა, რომ დავითს ბრძოლა არ გადაუხდია გარეშე მტერთან? შინაური დაძაბულების შესახებ ხომ ვახუშტისაც ეცოდინებოდა. ამასთან დაკავშირებით საყურადღებოა XIII ს-ის ავტორის მხითარ აირივანელის ერთი მოკლე ცნობა, რომლის მიხედვით, „დემეტრემ დაატყვევა სალდუხი ანისის კართან, ხოლო დემეტრეს ძე დავითმა დაამარცხა სულთანი მელიქი და თბილისი აიღო"[42]. ცნობა მოქცეულია 1151—1161 წლებს შორის. ამის მიხედვით აქ ხსენებული დავით დემეტრეს ძე დავით V უნდა იყოს. მიუხედავად იმისა, რომ დავით აღმაშენებლის მიერ თბილისის განთავისუფლების შემდეგ თურქ-სელჩუკებისაგან (1122 წ.), ვიდრე 1226 წლამდე, — ჯალალედინის შემოსევამდე, თბილისის მიდამოებში რაიმე ბრძოლებზე ლაპარაკი სავარაუდო არ არის[43], მაინც საჭიროდ მიგვაჩნია გაირკვეს რომელი სულ-

[38] სტ. ორბელიანს, სამუელ ანელის მსგავსად (**Սամուէլի Քահանայի Անեցւոյ, Հաւաքմունք ի գրոց պատմագրաց, Վաղարշապատ**, 1893, გვ. 135) მიაჩნია, რომ დავით V ორი წელი დაჰყო სამეფო ტახტზე და დემეტრე I შემდეგ გარდაიცვალა (სტ. ორბელიანი, გვ. 380).

[39] სტ. ორბელიანი, გვ. 380.

[40] ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, II, გვ. 243.

[41] ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1973, გვ. 165.

[42] **Մխիթար Այրիվանեցի, ժամանակագրական պատմութիւն**, ს. პეტერბურგი, 1869, გვ. 303.

[43] დ. გვრიტიშვილი, შ. მესხია, თბილისის ისტორია, თბ., 1952, გვ. 48.

თანი მელიქი იგულისხმება მხ. აირივანელის ცნობაში და რამდენად არის შესაძლებელი მისი ბრძოლა დავით V-თან თბილისის მიდამოებში. დავით აღმაშენებელის დროს ერაყის სულთანი იყო მუღის ედდინ მაჰმუდ II (1118—1131). მას ჰყავდა შვილი მალიქ შაჰი, რომელიც ტახტს ფლობდა 1152—1153. წლებში. მართალია, ამ დროს დავით V ჯერ კიდევ მეფე არ იყო, მაგრამ არც მხითარ აირივანელი იხსენიებს მას მეფედ, არამედ მხოლოდ დავით დემეტრეს ძედ. ამის მიხედვით შეიძლებოდა გვეეარაუდა რაიმე მცირე შემოტევა მაინც თბილისის მიმართ. მაგრამ ანგარიშგასაწევია ის ცნობა, რომელიც აღნიშნავს, სულთანი მალიქ შაჰი იყო მოყვარული სიამოვნებისა და განცხრომისა და არაფერი ისეთი არ გაუკეთებია, რითაც ის დაამახსოვრდებოდათ თანამედროვეებს მაინც. გამეფებიდან რამოდენიმე თვის შემდეგ მალიქი ტახტიდან ჩამოაგდო მისმა ძმა მუჰამედ II (1153—1160) და თვითონ გამეფდა[44]. საეჭვოა, რომ „სიამოვნებისა და განცხრომის“ მოყვარულ მალიქს თავისი მმართველობის რამდენიმე თვეში შორეული ბრძოლებიც ეწარმოებინა.

მალიქს ახსენებენ, აგრეთვე, დავით აღმაშენებელის ისტორიკოსი[45] და მათე ურჰაელი[46], მაგრამ ისინი მალიქის ქვეშ გულისხმობენ სულთან მაჰმუდ ტაფარის ძმას თოღრულს, რომელიც მართავდა 1132—1133 წლებში[47] და ამდენად დავით V მოწინააღმდეგე ის ვერ იქნებოდა. ზემოთქმულის მიხედვით სავარაუდოა: დავით V საგარეო ბრძოლები არ უწარმოებია. ვფიქრობთ, მართალი იყო ლ. ჯანაშია, როდესაც მხ. აირივანელის ეს ცნობა ანაქრონიზმად მიიჩნია და ის დავით აღმაშენებელს დაუკავშირა[48].

ამრიგად, დავით V მთელი თავისი ძალები მხოლოდ შინაური წინააღმდეგობების დაძლევას შეალია და ვიდრე რაიმე მნიშვნელოვანს გააკეთებდა ქვეყნისათვის, მანამ დამარცხდა მტრებთან ბრძოლაში.

---

[44] Р. А. Гусейнов, Иракские сельджукиды, ильдегезиды и Закавказье, Палестинский сборник, вып. 21 (84) Ближний Восток и Иран, 1970, გვ. 191.

[45] დავით აღმაშენებელის ისტორიკოსი, ქართლის ცხოვრება, I, გვ. 340.

[46] Մատթէոս Ուռհայեցի, ժամանակագրութիւն, იერუსალიმი, 1869, გვ. 437.

[47] რ. კიკნაძე, XI—XII ს-თა თბილისის ისტორიიდან, ისტორიის ინსტიტუტის შრომები, 1960, V, ნაკ. I, გვ. 111.

[48] ლ. ჯანაშია, რეცენზია ჩვენს საკანდიდატო დისერტაციაზე (ხელნაწერი).

აბრამ შავხელიშვილი

საქართველოს მთიანეთის მოსახლეობის (ფოვა და ჩაღმა თუშების) ბრძოლა უცხო დამპყრობლების წინააღმდეგ

(XVI—XIX სს. პირველი ნახევარი)

თუშეთი აღმოსავლეთ საქართველოს ცენტრალური მთიანეთის ნაწილია. იგი პირიქითისა და გომეწრის ხეობებს იკავებს. ამჟამად ეს ადგილები თითქმის დაცარიელებულია. აქ მობინადრე ოთხი თემი (წოვათა, პირიქითი, ჩაღმა და გომეწარი) კახეთის ბარის სოფლებში — ზემო და ქვემო ალვანსა და ლალისყურში ცხოვრობს.

აღნიშნული კუთხის მცხოვრებთა შესახებ ძუნწ, მაგრამ მნიშვნელოვან ცნობებს გვაწვდიან ბერძენი და რომაელი ისტორიკოსები.

სტრაბონის[1] მიხედვით, თუშები „ტუბხების" სახელწოდებითაა ცნობილი, ხოლო პტოლემეოსი თუშებს „ტუსკებს" უწოდებს და მათ დიდურებისა (დაღესტნური ტომია. — ა. შ.) და ქისტების (ჩეჩნები და ინგუშები. — ა. შ.) მეზობლად წარმოგვიდგენს[2].

საინტერესო ცნობებს იძლევა მ. ხორენელი[3]. მისი აზრით, თუშები ცენტრალური კავკასიის მკვიდრები არიან. იგი ლეკებს, დიდურებს, ქისტებსა და თუშებს ერთმანეთის მეზობლად ასახელებს. ამ საკითხის შესახებ ძალზე მნიშვნელოვან და საინტერეს ომასალას იძლევა ნარატიული ძეგლები[4], სიგელ-გუჯრები[5], საარქივო დოკუმენტები[6] და სხვა სახის წერილობითი ცნობები.

ზემოაღნიშნული ზოგიერთი საკითხის გასარკვევად არანაკლები მნიშვნელობა უნდა მივანიჭოთ ისტორიულ-ეთნოგრაფიულ[7] მონაცემებსაც.

საქართველოს პოლიტიკურ ისტორიაში თუშების ადგილი და როლი დღემდე სპეციალური კვლევის საგანი არ ყოფილა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ავტორთა[8] ერთ ნაწილს, რომლებიც მეტ-ნაკლებად შეეხნენ ამ საკითხის ზოგიერთ მხარეს.

---

[1] Г. Мерцбахер, К этнографии обитателей кавказских альп., ИКОИРГО, т. XVIII, вып. II, Тб., 1905, გვ. 121.

[2] В. Латышев, Известия древних писателей о скифии и Кавказе, т. I, вып. I, СПб., 1893, გვ. 239.

[3] М. Хоренский, Армянская география, вып. VII., СПб., 1877, გვ. 16—17.

[4] ლ. მროველი, ცხოვრება ქართველთა მეფეთა, ქართლის ცხოვება, ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით, ტ. I, თბ., 1955; ჯუანშერი, ცხოვრება ვახტანგ გორგასალისა, ქართლის ცხოვრება, ტ. II, თბ., 1959.

[5] საქართველოს სახელმწიფო ცენტრალური ისტორიული არქივი (შემდეგში სსცია), ფ. 254, ა. 1; კ. კეკელიძის სახ. საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფ. Hd.

[6] სსცია, ფ. 257, ა. 1, ს. 15.

[7] ს. მაკალათია, თუშეთი, თბ., 1933, და სხვ.

[8] ი. ცინცაძე, საქართველოს მთიანეთის (თუშ-ფშაე-ხევსურების) რუსეთთან ურთიერთობის ისტორიიდან, „მნათობი", № 2, თბ., 1955, გვ. 173—185; ვ. ლაგაზიძე ,თუშეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიული წარსულიდან, თბ., 1966; ვ. ელანიძე, თუშეთის სოციალურ-პოლიტიკური განვითარება ფეოდალიზმის ხანაში, თბ., 1968.

ქართლის ცხოვრების მასალებით, თუშეთი მეფე მირიანის დროს იხსენიება[9]. იმავე წყაროს მიხედვით, თუშეთი VII ს-ის მეორე ნახევარში, არჩილის მეფობის ხანაში (668—718 წწ.) წუქეთის საერისთაოშია მოქცეული[10].

VIII საუკუნეში კახეთი არაბებმა დაარბიეს, რის შედეგად დაინგრა და განადგურდა მატერიალური კულტურის ძეგლთა ნაწილი, სამეურნეო და სხვა სახის ნაგებობანი, ნათესები, ბაღ-ვენახები და სხვ.

ქვეყნად შექმნილი უბედურება მალე ზავით შეიცვალა — კახეთის მოსახლეობა ვალდებული იყო არაბებისათვის გადასახადი ეძლია. „როცა, IX ს-ის დამდეგს, არაბებმა ზავი დასდეს კახელებთან, კახელებმა არაბების მოთხოვნით იკისრეს მიეცათ მათთვის სამი ათასი ფაშატი ცხენი და ოცი ათასი ცხვარი“[11].

ცნობილია, რომ 1014 წელს ქორიკოზმა კვირიკე III კახეთი გაანაწილა საერისთაოებად. ამ ღონისძიების შედეგად თუშები პანკისის საერისთაოს შემადგენლობაში აღმოჩნდნენ[12]. რაც შეეხება მის შემდგომ ხანას (თუ მხედველობაში არ მივიღებთ XIII საუკუნის ერთ საბუთს, სადაც მსოფლიოს ხალხების გარკვეული ნაწილის ჩამოთვლის დროს თუშებიცაა დასახელებული)[13] თითქმის XV საუკუნემდე თუშებზე ჯერჯერობით არავითარი მასალა არ მოიპოვება.

თუშები კახეთის სამეფოს პოლიტიკურ ცხოვრებაში აქტიურად მონაწილეობენ ლევანის მეფობის დროს (1520—1574). ლევან მეფის შორსმჭვრეტელურმა მოქმედებამ თუშები მჭიდროდ დაუკავშირა კახეთის ბარს, და ამდენად, ცენტრალურ ხელისუფლებასაც[14].

XVI საუკუნიდან ქართლ-კახეთს ჩრდილო-აღმოსავლეთ კავკასიიდან ლეკების სახით ახალი მტერი გაუჩნდა. აღნიშნული გარემოება თუშებისათვის მეტად თავსატეხი იყო, რადგანაც ისინი უშუალოდ ამ კუთხის მეზობლები იყვნენ.

XVII საუკუნის დასაწყისში კახეთს მრისხანე მტერი მოევლინა შაჰ-აბასის სახით. მან ათიათასობით ქართველი გაანადგურა, დიდძალი ქონება და დოვლათი მიიტაცა, ხოლო ტყვეები სპარსეთს გადახვეწა; დაცარიელებულ ადგილებში თურქმანები ჩამოასახლა.

აღნიშნულმა პოლიტიკურმა ღონისძიებებმა, ბუნებრივია, ძალზე შეავიწროვა კახელები და მასთან, თუშებიც.

„თურქმანთა მეჯოგე ტომების კახეთში დასახლების ფაქტი მწვავედ უნდა განეცადა თუშებს“[15], — წერს ი. ცინცაძე.

კახეთის ბარში თუშებს ეკავათ ადგილები — ბახტრიონი, პანკისი, ალვანი, ლოპოტა და სხვა. ამ ადგილებს ისინი როგორც საზამთრო საძოვრებად, ასევე საცხოვრებლადაც იყენებდნენ და, ამდენად, მათი ეკონომიკისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. თურქმანების ჩამოსახლებით კახეთში თუშების მეურნეობას — მეცხვარეობას უდიდესი საფრთხე შეექმნა. ამიტომ თურქმანთა წინააღმდეგ ბრძოლა თუშებისათვის არსებითი საკითხი იყო და ამით აიხსნება სწორედ ის აქტიურობა, რაც მათ გამოავლინეს ბახტრიონის ბრძოლებში.

---

[9] ქართლის ცხოვრება, გვ. 126.

[10] იქვე, გვ. 243.

[11] ივ. ჯავახიშვილი, ნ. ბერძენიშვილი, ს. ჯანაშია, საქართველოს ისტორია, თბ., 1943, გვ. 135—136.

[12] იქვე.

[13] კ. კეკელიძე, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, ტ. 1, თბ., 1956, გვ. 179.

[14] ვახუშტი, საქართველოს ცხოვრება, ზ. ჭიჭინაძის გამოც., ტფ., 1913, გვ. 163.

[15] ი. ცინცაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 183.

ბახტრიონის ეპოპეის ისტორიული გმირებია: საღირიშვილი, გაფრინდაული, ხოშორაული, შველაიძე და სხვები.

აქ ჩამდგარი თურქმანების საბოლოო ბედის შესახებ ბერი ეგნატაშვილი აღნიშნავს: „ხოლო, რა ესმა საქმე ესე ზაალ ერისთავსა, დიდად მწუხარე იქმნა, და იყო მას ჟამად ზაალ ერისთავი ყაენის მომდურავი. მაშინ შემოიფიცა ქსნის ერისთავი შალვა და ელიზბარ და კახი სუფრაჯი ბიძინა ჩოლოყაშვილი. და შემოიფიცა მთის კაცნი თუშნი, რამეთუ შალვა ქსნის ერისთავი სიძე იყო მისი. ამათ გაატანა თანა ზურაბ, ძე თვისი, და წარვიდენ ღამესა ერთსა. დაესხნენ თავსა სულთანსა ბახტრიონს და ამოწყვიტეს, და მოსრნეს ბახტრიანის ციხეში მდგომნი ელნი, და რაც იყვნენ, მიჰყვნენ. იქამდე ჯოცითა, ჩავიდნენ ალავერდს და, რომელნიცა მუნ იყვნენ, თათარნი და ელი, რაც ესახლა, და ყოველნი მოსრეს პირითა მახვილისათა“[16].

ბერი ეგნატაშვილის მიერ წარმოდგენილი მასალა მრავალმხრივაა საინტერესო, მაგრამ ამ შემთხვევაში ჩვენთვის საყურადღებოა ამ ციტატის ის ნაწილი, სადაც თუშებისა და სხვათა ერთიან ბრძოლაზეა საუბარი, გამოკვეთილადაა წარმოჩენილი ბახტრიონის სიმაგრეებში ჩამდგარი თურქმანების განადგურება, ერისთავების მამულიშვილური თაოსნობა და სხვ.

საქართველოს ამ კუთხის მოსახლეობის ბახტრიონის ომში მონაწილეობამ მრავალი ლეგენდარული გმირი წარმოშვა; შეიქმნა მდიდარი ფოლკლორი, რომელიც სპეციალისტების მიერ ფიქსირებულ და გამოქვეყნებულ იქნა[17], მაგრამ ავტორთა გარკვეულმა ჯგუფმა[18] უყურადღებოდ დატოვა ზოგიერთი საკითხი.

ქვემოთ მოკლედ შევეხებით ბახტრიონის ეპოპეის გმირებიდან მეტი საღირიშვილის ვინაობას. ამ უკანასკნელზე ჯერ კიდევ XIX საუკუნის პირველ ნახევარში ი. ცისკარიშვილმა[19] გაამახვილა ყურადღება. ავტორის მასალა ადგილზე ისტორიული, ეთნოგრაფიული, ფოლკლორული და სხვა სახის მონაცემებისაგანაა შექმნილი; სახელდობრ, შეკრებილია თვით თუშების ოთხივე (წოვათის, პირიქითის, გომეწრის და ჩაღმის) თემში.

როგორც ითქვა, XIX ს-ის პირველ ნახევარში ბახტრიონის სახალხო გმირების შესახებ ი. ცისკარიშვილმა გაზეთ „კავკაზში“ წარმოადგინა საინტერესო მასალა: მასში მეტი საღირიშვილზე საკმაოდ მნიშვნელოვანი ფაქტობრივი მონაცემები შემოგვთავაზა.

თურქმანთა წინააღმდეგ ბახტრიონის აჯანყების მეთაურებთან ერთად გმირულად მებრძოლი მეტი საღირიშვილი, თქმულების მიხედვით, დაბალი ტანის, მეტად გულადი ვაჟკაცი ყოფილა. ციხეზე შეტევის დაწყებამდე მას ხის პალოები გაუთლია, რათა კედელზე მისი დარჭობით გალავანზე გადასულიყო და შიგნიდან გაეხსნა კარები. ამ მოქმედებით მას მაყურებელი აღტაცებაში მოჰყავს, რის გამოც აღნიშნულია: „Я, Мети Сагиришвили, не су-

[16] ბერი ეგნატაშვილი, ახალი ქართლის ცხოვრება, ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით, ტ. II, თბ., 1957, გვ. 438.

[17] სოლ. ყუბანეიშვილი, ბახტრიონის გმირები ქართულ მწერლობასა და ხალხურ სიტყვიერებაში, თბ., 1953 და სხვ.

[18] კ. ჭრელაშვილი, სახალხო გმირები ზეზეა გაფრინდაული, „პირველი სხივი“, თბ., 1954, № 4; ვ. ელანიძე, დასახ. ნაშრომი; ვ. ლაგაზიძე, დასახ. ნაშრომი.

[19] И. Цискаров, Записки о Тушетии, газ. «Кавказ», 1849, № 10.

дите обо мне по виду" და შემდეგ: „Тушин Мети Сагирашвили, человек малого роста, начал шашкой делать деревянные колья"[20].

სხვადასხვა ხასიათის მასალის შეჯერებით დასტურდება ის გარემოება, რომ მეტი საღირიშვილი ბახტრიონის გალავანზე პირველი გადავიდა. ამოხოცა ციხის ყარაულები და შიგნიდან ჩაკეტილი კარები გაუხსნა გარშემოჯარულ თუშთა ლაშქარს.

აი როგორ წარმოგვიდგენს ამ სურათს ხალხური ფოლკლორი:

„გარეთ გამოდი სულთანო,
თუშნი გისხედან კარზედა,
თუ ნებით შენ არ გამოხვალ,
გამოგიყვანენ ძალზედა,
მეტი ვარ საღირაშვილი,
ნუ მიმზერთ ტალავარზედა,
გადავალ გადავფრინდები
ბახტრიონ გალავანზედა"[21].

მოცემული მასალით შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მეტი საღირიშვილი ამ ეპოპეის უბრალო, რიგითი მონაწილე კი არ არის, არამედ თუშთა ლაშქრის ბელადი და სულთნის ციხესიმაგრეზე პირველი იერიშის მიმტანია; ამ საკითხის წათელსაყოფად წარმოვადგენთ დამატებით ისტორიულ და ეთნოგრაფიულ მონაცემებს, რომლებიც შედარებით მოგვიანო დროს ასახავენ, მაგრამ მათი სწორად გამოყენებით შესაძლებელია ზოგიერთი ფაქტის სრულად თუ არა ნაწილობრივ მაინც დაზუსტება:

უკანასკნელ პერიოდში გამოცემული მასალებით დგინდება, რომ მეტი საღირიშვილი იყო ახმეტის რაიონის სოფ. ზემო ალვანში მობინადრე აბაშოშვილების — აბაშიძეების წინაპარი. 1831 წლის კამერულ აღწერაში თუშეთის სოფ. ინდურთაში გვხვდება შემდეგი გვარები: „აბაშო მეტისშვილი, გრიგოლ მეტისშვილი, პავლე მეტისშვილი, ლუარსაბ მეტისშვილი, დიმიტრი მეტისშვილი, რომელთა შთამომავლებად ზემო ალვანის მკვიდრნი აბაშოშვილები ე. ი. დღევანდელი აბაშიძეები გვეელინებიან"[22].

ეს მოსაზრება წამოყენებულია წერილობითი წყაროების[23], საარქივო ჩანაწერებისა[24] და ეთნოგრაფიული[25] ცნობების შეჯამების საფუძველზე.

„მეტი საღირიშვილის თუშეთში ნამდვილად არსებობის შესახებ კიდევ შეიძლება დავასახელოთ ერთი უტყუარი საბუთი, რომელიც ეკუთვნის მეცნიერების დამსახურებულ მოღვაწეს დოც. გ. ლ. აბაშიძეს. მის მიერ 1931 წელს შედგენილ წინაპართა გენეალოგიაში შემდეგი სურათი დგინდება: არინდა, საღირი, მეტი, აბაშო, დაქო საღირი, გრიგოლ, ლეო, კოსტალე, ილო"[26].

ბახტრიონის ეპოპეაში თუშების გმირული ბრძოლებისა და მათ ლეგენდარულ გმირთა შორის მეტი საღირიშვილის შესახებ წარმოდგენილი ცნობები უტყუარი ფაქტი უნდა იყოს ამ ბრძოლებში მისი აქტიური მონაწილეობისა. ამ ფაქტის დადასტურება მით უფრო საინტერესოა, რომ მეტი საღირიშვილი წოვა-თუშების თემს განეკუთვნება. წოვა-თუშებზე კი შეცდომით გა-

[20] И. Цискаров, Записки о Тушетии. იქვე.

[21] აკაკის თვიური კრებული, თბ., 1899, XI, გვ. 23—24.

[22] ა. შაეხელიშვილი, ლ. ჭრელაშვილი, დ. გოგოჭურის სტატიის შესახებ, ჟურნ. „მნათობი", № 2, 1971, გვ. 191.

[23] იქვე.

[24] სცსა, ფ. 254. ა. 1.

[25] ა. შაეხელიშვილი, ლ. ჭრელაშვილი, დასახ. ნაშრომი.

[26] იქვე.

მოთქმულია ვარაუდი, თითქოს ისინი მხოლოდ XVII ს-ის დასასრულს გამოჩნდნენ თუშეთის ტერიტორიაზე[27].

თუშები აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ XVII ს-ის მეორე ნახევარში ქართლ-კახეთის სამეფოებს შორის გაჩაღებულ ბრძოლებში.

ვახუშტი ბაგრატიონი ამ საინტერესო ისტორიულ ფაქტს შემდეგნაირად აგვიწერს: „ესე ჰსცნა შანაოზ მეფე-მან (ვახტანგ V, — ა. შ.) და წარმოავლინა სპითა მუხრანის ბატონის-შვილი პაატა და ერისთავი ოთარი: ესენი მოვიდნენ ურიათ-უბანს ეწყო მუნ ერეკლე კახითურთ, თუშით და შემდგომად რბძოლისა იძლია ერეკლე და ლტოლვილი შევიდა თორღის ციხესა შინა"[28].

წარმოდგენილი მასალის მიხედვით, ერეკლე თავისი ამალით თორღის ციხისთვის შეუფარებია თავი. კახეთში ერეკლეს საქმიანობა ყაენს შეუმჩნეველი არ დარჩენია.

„ესე ამცნო შანაოზ მეფე-მან ყეენსა, და მან მოუმცნო ანუ შეიპყრას, ანუ განაძოს ერეკლე და მოსცა ყოველნი ხანნი, რომელნი მორჩილებდენ როსტომ მეფესა: მაშინ შემოიკრიბნა სპანი და უჩინა სპასპეტად დათუნა ძმის-წული თვისი მეფე-მან და წარავლინა კახეთს. მოვიდაცა ერეკლე კახეთს სპითურთ ურიათ-უბანს, ეწყვნენ მუნ ქართველნი და ბრძოლასა იძლივნენ კახნი და ივლტოდა ერეკლე და შევიდა თორღის ციხესა შინა. ხოლო ქართველნი მოვიდნენ წინაშე მეფისა: მასვე ჟამსა შემოიკრიბნა მეფე-მან სპანი თვისნი სრულიად ხანები-თურთ და მოვიდა თორღას და მოადგა გარს. ხანსა რაოდენსამე შინა შემჭირდენ ციხოანნი: ამის-თვის დედა-მან ერეკლესა-მან მოუგზავნა მეფესა ვედრება, რათა განუტევოს ფარულად. „რამეთუ უჯერო არს შენდა ტყვეობა და მაჰმადიანობა ჩვენი": უსმინა მეფე-მან და განუტევა ფარულად და წარვიდა ერეკლე თუშეთს ქს ჩქადდ ქრ ტნბ[29].

წარმოდგენილი ამონაწერით ირკვევა ორი საკითხი: 1. ეს ბრძოლები მომხდარა 1664 წელს; 2. ერეკლე თორღვის ციხიდან თუშეთში გადასულა და იქ შეუფარებია თავი. ცხადია, რუსეთიდან დაბრუნებული ერეკლე, რომელიც თავის პაპამ — თეიმურაზმა გამოიძახა, პირველად თუშეთში შემოვიდოდა და იქიდან შეუდგებოდა საომარი მოქმედებისათვის მზადებას, რაზედაც ვახუშტი გარკვევით მიუთითებს[30].

აღნიშნულ ბრძოლაში გამარჯვებული ვახტანგი თბილისში დაბრუნებულა. ამის შესახებ წყაროში ვკითხულობთ: „ხოლო შანაოზ აღიღო ციხე თორღისა და ყოველი კახეთი დაიპყრა იგი და მივიდა თბილისს"[31].

გამარჯვებით აღტაცებული ვახტანგი დარწმუნებული იყო იმაში, რომ ერეკლე საბოლოოდ განადგურებულია და შემდგომში მისგან არავითარი საფრთხე აღარ მოელოდა. ვახტანგ V ეს რწმენა არ გამართლდა. სულ მალე ერეკლე თუშებითურთ ხელმეორედ დაესხა თავს შაჰნავაზს.

აი რას წერს ამის შესახებ ვახუშტი: „ესე აცნობეს კახთა ერეკლეს და მოუწოდეს თავს დასხმად შაჰნაოზისად; ამის-თვის ერეკლემ შეიკრიბნა თუშნი და წარმოსრულს მიერთვენენ კახნი, მომწვეველნი მისნი და დაესხნენ ბნელ-

[27] ვ. ელანიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 45; ა. ჭინჭარაული, ხევსურულის თაეისებურებანი, თბ., 1960, გვ. 364.

[28] ვახუშტი, დასახ. ნაშრომი, გვ. 191.

[29] იქვე. გვ. 80.

[30] იქვე.

[31] იქვე.

სა ღამესა შინა და იქნმნა რა იგი ავღსწერეთ: არამედ ერეკლე წამოტაცეს თუშთა და მიიყვანეს კვალად თუშეთსვე"[32].

აღნიშნულ ბრძოლებშიც დამარცხებულა ერეკლე და ისევ თუშთ შეჰფარებია, მაგრამ კახეთის ტახტის დაუფლების ცდაზე ხელი მაინც არ აუღია. იგი მოულოდნელად დასხმია თავს აწყურის ბოლოში მდგომ ვახტანგ V ლაშქარს[33].

ერეკლე ღრმად დარწმუნებული, რომ ამ უთანასწორო ბრძოლებში იგი კახეთის სამეფო ტახტს ხელში ვერ ჩაიგდებდა და არჩილთან მუდმივი მტრობა და ქიშპობა მას ვერავითარ სარგებლობას ვერ მოუტანდა, რუსეთისკენ იღებს გეზს. ვახუშტის გადმოცემით, ერეკლეს რუსეთში წასვლით კახეთის მოსახლეობას შვება უგრძვნია, ეკონომიურად გაძლიერებულა და სულიერად დამშვიდებულა. არჩილ მეფე სახელმწიფო საქმეების მოგვარებას შესდგომია: „ხოლო ერეკლეს შესჭირდა მწირობა თუშეთსა და წარვიდა კვალად რუსეთსვე და არჩილ მყოფი კახეთს ნადირობდა და ნადიმობდა. შენდებოდა კახეთი ვინად-გან იყო მშვიდობა და უმტრობა და ნიჭვიდა და სწყალობდა ყეენი არჩილს, რამეთუ ვერცა-ღა თუ ლეკნი იკადრებენ ხდომასა"[34].

როგორც ჩანს, თავდამსხმელ დაღესტნელ მთიელებსაც კი შიში და მორიდება უგრძვნიათ. ისინი ქართლ-კახეთს აღარ არბევენ, რის გამოც უმჯობესდება ამ კუთხის სოციალ-ეკონომიური და კულტურული მდგომარეობა, მაგრამ ქართლ-კახეთის საბოლოოდ ხელში ჩაგდების მიზნით ერეკლე რუსეთში მიემგზავრება.

მართალია, წერილობით ცნობებში კონკრეტული მასალა არ მოგვეპოვება იმის შესახებ, ახლდნენ თუ არა ერეკლეს რუსეთში გამგზავრების დროს თუშები, მაგრამ დასაშვებად მიგვაჩნია, რომ თუშები 1665 წელს ერეკლესთან ერთად გაემგზავრნენ რუსეთში და 1666 წელს ერთად ჩავიდნენ მოსკოვში.

აღნიშნულ მოსაზრებას განაპირობებს ის გარემოება, რომ ერეკლეს მთავარი საყრდენი ძალა იყო თუშეთი, ამიტომ, ბუნებრივია, იგი თუშებს ამ მეტად მნიშვნელოვან საქმეში პირველ რიგში გამოიყენებდა.

ერეკლე I და მისი ამალა დიდხანს რჩება რუსეთში[35], მაგრამ მას ძალზე აწუხებს ტახტის ბედი. იგი ყოველ ღონეს ხმარობს, რათა რუსეთის დახმარებით დაიბრუნოს კახეთი[36].

დიდი ხნის ოცნების შემდეგ ერეკლე I ახერხებს რუსეთიდან დაბრუნებას. იგი თავის დედასთან ერთად ასტრახანით საქართველოში ჩამოდის[37]. აღსანიშნავია, რომ ერეკლესთან ერთად არიან თუშებიც[38]. ერთი საბუთის მიხედვით, ასტრახანში ჩამოსულ ერეკლეს და მის თანმხლებლებს თუშეთიდან გადასული თუ ადგილზე მყოფი თუშების დიდი რაზმი დახვედრია და გარკვეული ცნობები მიუწოდებიათ არსებული მდგომარეობის შესახებ[39].

---

[32] ვ ა ხ უ შ ტ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 192.

[33] იქვე, გვ. 80—81.

[34] იქვე, გვ. 192—193.

[35] Переписка На иностранных языках грузинских царей с Российскими государями от 1639 до 1770 г., сост. М. Б р о с с е, СПб, 1861, გვ. 89.

[36] იქვე.

[37] იქვე.

[38] იქვე, გვ. 180.

[39] იქვე.

როგორც დოკუმენტებში[40] დაცული ცნობები იუწყება, თუშები კარგად ყოფილან გათვითცნობიერებული იმდროინდელი საქართველოს პოლიტიკურ ვითარებაში, რაც ერეკლესათვის მიცემული ინფორმაციითაც კარგად დასტურდება[41].

ვახუშტის ცნობით, XVII ს-ის მეორე ნახევარში (1674 წ.) ერეკლე კვლავ თუშეთშია[42]. „ხოლო წელსა ქს. ჩქოდ, ქრტ&ბ მოვიდა ყეენის-გან მოწოდებული. რუსეთიდამ კვალად ერეკლე თუშეთს წარსვლად წინაშე ყეენისა... თუშეთიდამ მოიწვია არჩილ და ისტუმრა სიყვარულითა დიდითა ერეკლე, ანადიმა, ანადირა მრავალ-დღე, მერე უძღუნა და წარატანა კახნი და წარაკლინა ისპაჰნს: ხოლო კახნი იყუნენ ამ ჟამებთა შვებასა განცხრომასა შინა“[43].

თუშების ურთიერთობა ერეკლესთან იმავე წყაროს მიხედვით უფრო კონკრეტული მასალებიდანაც ჩანს. ცნობების მიხედვით, ერთ-ერთი თუშის — ბეჟანის საშუალებით პეტრე დოლგის გარკვეული ამანათი უნდა გადაეცა ერეკლესათვის. „ჩემი წყალობა ორი ათასი სომის სიასამური შემწეოდი შენს ბაიარებს, ბერებს და შინაყმებს... თუშას ბეჟან გრიგოლიევის ხელით თუშეთს გაგზავნილი ხუთასის სომის სიასამური პეტრე დოლგიმ მოგიტანა თუ არაო“[44].

აღმოსავლეთ საქართველოს პოლიტიკურ საქმიანობაში თუშების როლი და მათი დამოკიდებულება სამეფო კართან, მეფის დიდი ნდობა და პატივისცემა მათ მიმართ შესანიშნავადაა მოცემული ვახუშტის ისტორიაში[45]; სახელდობრ, მისი ცნობების მიხედვით, ჯერ კიდევ სპარსეთში გამგზავრებისას ერეკლეს პირად დამცველებად თუ მრჩევლებად ქიზიყელებთან ერთად თუშებიც გაუყოლებია[46].

„... მიეცა ყეენსა ნაზარ-ალიხანისა-თვის მწედ აჯი-ალიხან და ხანი კახეთს მჯდომი და დარაჯად, თხოვნითავე ერეკლესათი, თუშნი და ქისიყელნი, ამის-თვის რამეთუ ვერა ეგდენ ენდობოდა ქართველთა“[47]. ეს უკანასკნელი ერთხელ კიდევ ადასტურებს, რომ ერეკლე და მისი თანამოაზრენი თუშებს განსაკუთრებული ნდობითა და პატივისცემით ეკიდებოდნენ. როგორც ჩანს, ისინი მნიშვნელოვან დასაყრდენ ძალას წარმოადგენდნენ ერეკლესათვის.

ირანიდან ერეკლე 1688 წ. თბილისში ჩამოვიდა და მაშინვე შესდგომია სათანადო საქმიანობას. მას ამ საქმიანობაში თუშები აქტიურად გამოუყენებია და გარკვეული წარმატებაც მოუპოვებია.

უცხოეთიდან დაბრუნებულ ერეკლეს, ცხადია, ყველა ერთნაირი განწყობით არ შეხვედრია. დაბრუნების მომენტშივე მის საწინააღმდეგო მომზადებას შესდგომია გიორგი XI, რის საფუძველზეც ერეკლესა და გიორგი XI შორის სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლები გამართულა. ისტორიული მონაცემებით[48], ამ ბრძოლის მიზეზი გიორგის ოჯახის წევრები ყოფილან. მათ შორის ეს გაუ-

[40] Переписка..., გვ. 180.
[41] იქვე.
[42] იქვე.
[43] ვ ა ხ უ შ ტ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 194.
[44] Переписка.., იქვე, გვ. 88.
[45] ვ ა ხ უ შ ტ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 92.
[46] იქვე.
[47] იქვე.
[48] იქვე, გვ. 96.

თავებელი ომი და ურთიერთშეტაკებანი საკმაოდ დიდხანს გაგრძელებულა (დაწყებულია 1688 წელს, დამთავრებულა 1703 წელს).

ვახუშტის მიხედვით, აღნიშნული ბრძოლების ძირითადი არსი ერეკლეს დამარცხებასა და კახეთში მის ადგილზე არჩილის გამეფების ცდაში გამოიხატებოდა. გიორგი XI ეს გეგმა განუხორციელებელი დარჩენილა[49].

ერეკლეს და გიორგის ურთიერთობა მალე მშვიდობიანად მოგვარდა. ქართლის მეფედ დამკვიდრდა გიორგი XI, ხოლო კახეთისა — ერეკლეს მემკვიდრე.

ამ მდგომარეობამ ქვეყნის საქმეები თითქმის ნაწილობრივ შეცვალა, მაგრამ კახეთის სამეფოსთან თუშების ურთიერთობა იგივე დარჩა.

ერთ-ერთი საბუთი, რომლის მიხედვით მეფე ერეკლე II თუშებს განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს, ნათქვამია: „ჩვენი ბრძანება არის თუშთ მოურაო დურმიშხან, მერე როგორც ჩვენ თუშეთში, წოვათაშია და გომეწარში მორიგენი გაგვემწესებინოს თავთავი სოფლის კაცი და არ წასულიყვნენ, რომელიც ჯურუმიც დაწესებული იყოს, იმ ჯურუმით უნდა დაარბიო და კიდეცა ახლა გაგზავნო თავთავის სოფლის მორიგენი, რომ თუშეთი მტერმა არ წაახდინოს, რომელიც კაცი მორიგეს გაგზავნის და ჯამაგირს დაპირდება და მისცემს, ვინც აკლია სოფლისა და სოფლისა, სწორედ ის ჯამაგირი იმ ნაკლებ კაცს ერთი ორად უნდა გამოართო, ხევისბერი უნდა შეჰყარო, თუ ხევისბერებს ამაში დანაშაული ჰქონდესთ, ისინი თითოს ჯარით უნდა დაირბნენ და თუ იმათ დანაშაული არა ჰქონდეს, ის ნაკლები კაცნი მორიგენი უნდა დაირბნენ. ამგვარად, გიორგობისათვის იგ ქრ ნკი უპე ამაში მებალახეებიც შენთან უნდა იყვნენ და ერთად დაარბიოთ“[50].

ეს დოკუმენტი მრავალმხრივაა საყურადღებო და მას კიდევ დავუბრუნდებით; ამ შემთხვევაში ჩვენ გვაინტერესებს, მისი ის ნაწილი, სადაც ყურადღება გამახვილებულია თუშეთზე. ამ საბუთიდან ისიც ნათლად ჩანს, რომ აქ მუდმივ მოქმედებაში ყოფილა ხევისბერთა ინსტიტუტი. ამ დროისათვის თუშეთი ოთხ თემადაა დანაწილებული.

ქართლ-კახეთში ახალი მეფეების დანიშვნას ქვეყნის მდგომარეობა არ გაუუმჯობესებია. გაგრძელდა გაუთავებელი ბრძოლები, რამაც დიდი დაღი დაასვა ეკონომიურ და კულტურულ ცხოვრებას. იმ ხანად კახეთის მეფედ დავითი აკურთხეს, რომელიც იმამ-ყულიხანის სახელით იყო ცნობილი. მას გვერდით ამოუდგნენ კახელები და თუშები. დავითის ძმა იყო კონსტანტინე — მაჰმად-ყულიხანი. იგი გამუსულმანებული იყო, მაგრამ სულიერად კახეთის მესვეურთა მოწინავე რიგებში იდგა.

---

[49] ვ ა ხ უ შ ტ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 90.
[50] იქვე.

დავითის შემდეგ ტახტს იკავებს მაჰმად-ყულიხანი. ამ უკანასკნელის მეფობის დროსაც ქართლსა და კახეთს შორის მდგომარეობა კვლავ დაძაბულია.

მაჰმად-ყულიხანმა საბოლოოდ მოახერხა ქართლ-კახეთის დამორჩილება და შაჰს წადილი შეუსრულა, მაგრამ სულ ცოტა ხნის შემდეგ მას ახალი მტერი გაუჩნდა[54]. სპარსელების ბატონობა ოსმალების უღლით შეიცვალა[55].

ოსმალეთის გამოჩენამ ქართლ-კახეთის მეფე-მთავრები ძლიერ დააფიქრა. ერთი ხელის დაკვრით შეიცვალა საშინაო მდგომარეობა. ქვეყანა დიდ განსაცდელში ჩავარდა. ამჯერად ოსმალო დამპყრობლები დიდ წარმატებას აღწევენ. ისინი დუშეთამდე ჩადიან[56].

XVIII საუკუნის პირველ ნახევარში (1730 წ.) დაიწყო სასტიკი ბრძოლა კახეთის სამეფო ტახტისათვის. თბილისში მყოფმა ალი-მირზამ, რომელიც იმამ-ყულიხანის შვილი იყო, კახეთის ხელში ჩაგდება გადაწყვიტა. ამ დროს ერეკლე II და თეიმურაზი II შაჰნადირის კარზე იმყოფებოდნენ. ბუნებრივია, თეიმურაზის მეუღლე — თამარი გულხელდაკრეფილი არ შეხვედრია ამ მდგომარეობას. იგი შეეცადა კახელებისა და თუშების ლაშქარი გამოეყენებინა. ვახუშტი დამაჯერებლად აღწერს თამარის ამ გმირულ საქმიანობას: „ესე აცნობა თამარ ქისიყელთა და თუშთა არა ყოფად ამისა ესრეთ: მაშინ იგინი მტკიცედ დაადგნენ ერთგუ-ლებასა ზედა თამარისასა გივის ჩოლაყა-შვილის მიერ და ამის-თვის მოვიდა თამარცა ქისიყს“[57].

XVIII ს-ის პირველ ნახევარში ქართლ-კახეთში ადგილი აქვს შინა არეულობას. ურთიერთს ეჯახება ერეკლე II და გივი ამილახვარი. ამ ბრძოლებში თუშები თეიმურაზისა და ერეკლეს პოზიციების დამცველებად გამოდიან.

პაპუნა ორბელიანის ცნობით[58], როცა გივი ამილახვარი, ოსმალებთან მჭიდრო კავშირში მყოფ თეიმურაზსა და ერეკლეს ებრძოდა, თუშები თეიმურაზ-ერეკლეს დროშებქვეშ გამოსულან და დიდად უსახელებიათ თავი[59].

დასახელებული მასალები იმ მხრივაცაა საინტერესო, რომ თუშები კახელებთან ერთად ქვეითად შებრძოლებიან მტერს და აჩაბეთის ციხის აღება იოლად მოუხერხებიათ, მაგრამ გამარჯვება დიდხანს ვერ შეუნარჩუნებიათ. გივი ამილახვარს ხელმეორედ შემოუტევია. იგი სწრაფად გაჩენილა ამ ციხის მახლობლად და ერეკლეს ჯარისათვის ალყა შემოურტყამს ხელჩართული და ფიცხელი ომის შედეგად მრავალი მეომარი გაწყვეტილა, მაგრამ საბოლოოდ იგი ერეკლეს დაუმარცხებია[60]. ერეკლეს ლაშქარი დიდი ნადავლით დაბრუნებულა უკან[61].

---

[54] ვახუშტი, დასახ. ნაშრომი, გვ. 130.
[55] იქვე, გვ. 131.
[56] იქვე.
[57] იქვე, გვ. 217.
[58] პაპუნა ორბელიანი, ამბავი ქართლისანი, ზ. ჭიჭინაძის გამოცემა, თბ., 1913, გვ. 82.
[59] იქვე.
[60] იქვე.
[61] იქვე.

XVIII საუკუნის 60-იან წლებში ფანა-ხანი განჯის სახანოს უპირებს დარბევას. ეს პოლიტიკური ვითარება გარკვეულ საშიშროებას უქმნის ყაზახ-ბორჩალოელებსაც. ფანა-ხანის განზრახვა ერეკლესთვის შეუმჩნეველი არ დარჩენილა; მას სასწრაფოდ შეუკრებია ჯარი თბილისში. წერილობითი ცნობებით[62], თუშები აქ ერთ-ერთ წამყვან ძალას წარმოადგენენ. ამ ბრძოლაში ფანა-ხანის ჯარი სასტიკად დაუმარცხებიათ და გაუდევნიათ[63].

აღნიშნულის შესახებ პაპუნა ორბელიანი წერს: ... „შემოიყარა ჯარი კახთა ბატონმა ირაკლიმ, დახვდა ლეკის ჯარს წინა, ლალისყურის ბოლოს, გაიმარჯვა დიდათ, რომ მოამბე არ წასვლია, დაერივნენ კახნი და თუშნი ხმალ და ხმალ შიგა და ყათლამი დამართეს"[64].

აღნიშნულ პერიოდში თურქ-სპარსთა მიერ მიყენებული მატერიალური და სულიერი ჭრილობებით შეწუხებული, გაჩანაგებული და მრავალ ომში ჭირნახული საქართველოს ცალკეული კუთხეები გარკვეული სიძნელეების წინაშე აღმოჩნდნენ. პოლიტიკურად, ეკონომიურად და კულტურულად დასუსტებულ საქართველოს ხშირად თავს ესხმოდნენ მეზობელი ტომებიც, როგორც ჩრდილოეთიდან, ისე ჩრდილო-აღმოსავლეთიდან. ამ პერიოდში უფრო თვალსაჩინო გახდა თუშების როლი ქართლ-კახეთისათვის, მათი საშუალებით იცავდნენ ჩრდილო-აღმოსავლეთის საზღვრებს, რისთვისაც ერეკლე I, არჩილი, თეიმურაზ II და ერეკლე II დიდი პატივისცემით ეპყრობოდნენ მათ.

დუბროვინის მასალებით, თუშები მეფის უშუალო მცველები და გვარდიის აქტიური წევრებიც იყვნენ. ისინი უშუალოდ იცავდნენ როგორც სამეფო კარს, ასევე მეფეს[65]. მისივე ცნობებში უხვადაა შემონახული მასალა იმის შესახებ, რომ თუშები საქართველოს სამეფო კარზე ერთ-ერთ დასაყრდენ ძალას წარმოადგენდნენ უცხოელთა შემოსევისაგან თავდასაცავად. ისტორიკოს დავით ბატონიშვილის მითითებით, ასპინძის ბრძოლაში თუშებს განსაკუთრებით უსახელებიათ თავი[66].

ამ ბრძოლაში მეფე ერეკლეს გმირული მოქმედება ერთგვარი სტიმული იყო ყოველი ქართველი მეომრისათვის. ამ ისტორიულ ბრძოლაში, რომელიც ქართველების ბრწყინვალე გამარჯვებით დამთავრდა, თუშები მთელი შემართებითა და თავდადებით იბრძოდნენ მოზღვავებული მტრის წინააღმდეგ.

იმავე ომში განსაკუთრებული მამაცობისათვის წოვა-თუშ დილრიძეს მეფის ყურადღება მიუქცევია და ბრძოლის დამთავრების შემდეგ მეფეს მისთვის წალკის მიდამოები შეუთავაზებია. დილრიძეს მამულების მაგივრად ერთ-ერთი ხევსურის ხმალი უთხოვია. მეფე ერეკლეს ხმლის მფლობელ ხევსურისათვის გარკვეული თანხა გადაუხდია და ის ხმალი წოვა-თუშ დილრიძისათვის გადაუცია[67].

---

[62] პაპუნა ორბელიანი, დასახ. ნაშრომი, გვ. 82.

[63] იქვე.

[64] საქართველოს ცხოვრება, ზ. ჭიჭინაძის გამოცემა, თბ., 1913, გვ. 2—3.

[65] Н. Дубровин, История воин и владычества русских на Кавказе, т. I, кн. II, 1871, გვ. 289.

[66] მასალები საქართველოს ისტორიისათვის, შეკრებილი ბატონიშვილის დავითის გიორგისძისა და მის ძმებისა, 1744—1840, თბ., 1905, გვ. 17.

[67] ს. მაკალათია, დასახ. ნაშრომი, გვ. 118; ვ. ლაგაზიძე, დასახ. ნაშრომი; ვ. ელანიძე, დასახ. ნაშრომი; ა. შავხელიშვილი, 1969 წლის თუშეთის ეთნოგრაფიული რვ. 5, გვ. 3.

ამ ბრძოლების შესახებ რაფიელ ერისთავი ლექსად გადმოგვცემს:

„კოხიო ბობღიაშვილი აქებენ რაებს შვრებაო,
გამგელებულა ეს თუში, წინ ვერვინ დაუდგებაო,
ნაკუდა ქუიძესშვილი რა კანჯარივით ხტებაო,
შვიდი აკაფა ხმალდახმალ, რიგი ხანჯალზე დგებაო“[68].

მწერლის მიერ წარმოდგენილი ისტორიული გმირი კოხიო ბობღიაშვილი წოვა-თუშია. „კოხიო — სახელი თუშისა, გვარად ყოფილა ბობღიაშვილი, წოვის თემისა“[69]. ამავე აზრისაა მკვლევარი ვ. ლაგაზიძე: „კოხიო იგივე ბობღიაშვილია მისივე გადმოცემით: „1770 წელს ასპინძის ომში თუშებს დიდად უსახელებიათ თავი და მეფე ერეკლე მეორის ყურადღება დაუმსახურებიათ. ომის დამთავრების შემდეგ მეფეს მეომარი თუში (წოვა. — ა. შ.) ქადაგიძისათვის აზნაურობა უბოძებია, მაგრამ ქადაგიძეს უარი უთქვამს აზნაურობაზე, რადგან იცოდა, რომ მას აზნაურობის მიღების შემთხვევაში თუშები უარს ეტყოდნენ ალვანში ცხოვრების უფლებაზე[70]. ასპინძის ომში თუშების ისტორიული გამარჯვება შესანიშნავადაა გადმოცემული ქართულ ხალხურ ფოლკლორში. იგი მესტვირულ ლექსში აისახა და ფართოდ გავრცელდა მოსახლეობაში[71].

ამ ბრძოლაში თუშების თავდადებაზე და მათდამი მეფის განსაკუთრებულ ყურადღებაზე ს. მაკალათია გადმოგვცემს: „ზემო ალვანში მაცნობეს, რომ დილოიძის (უნდა იყოს დილრიძე. — ა. შ.) ხმალი ინახება გაბო აბაშიძის (წოვა-თუში — ა. შ.) სახლშიო. მე ხმალი გავსინჯე, ხმალი მოხრილია, მას ერთ გვერდზე პირდაღებული ლომი, მეორეზე კი — ჯვრიანი სფერო აქვს ამოკვეთილი. გაბო (უნდა იყოს იბო. — ა. შ.) აბაშიძის თქმით, ამ ხმლის გასასინჯად ხევსურები დღესაც მოდიანო, რომლებიც თურმე ეძებენ დილოიძის ამ ხმალს და დიდ საფასურსაც იძლევიან. ხევსურები ამ ხმალს სინჯავენ, მაგრამ მის სინამდვილეზე ეჭვობენ. ხმალი თავისი ფორმით და ნაკეთობით არა გავს ხევსურულ ფრანგულსა“[72]. წოვა-თუშებში შემორჩენილ ეთნოგრაფიულ მასალებში ამ ფაქტის შესახებ ასეთი ვითარებაა: „ამ ხმლის მფლობელი გმირი, რომელმაც ასპინძის ომში ისახელა თავი, იყო წოვა-თუში. მისი შთამომავლები ზემო ალვანში ცხოვრობენ და ცნობილი არიან როგორც დილრიძე და არა დილოიძე. ამ გმირის სახელით გაგრძელდა მისი გვარი — დილრიძე, რაც მამაკაცის სახელი „დილრი“-დან გამომდინარეობს“[73].

ასპინძის ომში თუშების აქტიური ბრძოლისა და მამაცობის შესახებ ერთი თქმულებაც უნდა მოვიშველიოთ: „თუშ (წოვა) ბობღიაშვილს 7 ვაჟიშვილი გაუგზავნია ასპინძის ომში. ცხარე ბრძოლაში 7 ძმიდან 6 მოუკლავთ და 1 დაბრუნებულა სახლში მეფისაგან ქებული. როდესაც ბობღიაშვილი სახლში შესულა (სოფ. ინდურთა.) ხოლო მამა კი ბუხრის წინ ჩიბუხს აბოლებდა, შვილისთვის უკითხავს, „რამდენი მარჯვენა მოიტანეო“, შვილს უპასუხნია: „ერთი

[68] რ. ერისთავი, ასპინძის ომი, თხზულებანი, თბ., 1870, გვ. 117.

[69] იქვე.

[70] ვ. ლაგაზიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 113.

[71] კრებული—სალიტერატურო ჟურნალი, გ. წერეთლის რედაქციით, თბ., 1873, № 7.

[72] ს. მაკალათია, დასახ. ნაშრომი, გვ. 117.

[73] ა. შავხელიშვილი, 1969 წლის თუშეთის ეთნოგრაფიული რვ. 5, გვ. 3.

დამაკლდაო". ამის გაგონებაზე მამა განრისხებული წამომდგარა და გაუკიცხავს „მაშ რისთვის მოხვედი სახლშიო"[74].

ეს ისტორიული სინამდვილის გარკვეული ანარეკლია. იგი წოვა-თუშების ფოლკლორში დღესაც ცოცხლობს და თაობიდან თაობას გადაეცემა.

ანალოგიური მასალა უხვადაა გაბნეული როგორც პერიოდულ, ისე სპეციალურ გამოკვლევებში. ვფიქრობთ, მათი აქ წარმოდგენა არ არის აუცილებელი, რადგან აღნიშნული ფაქტი ისტორიულ სინამდვილეს შეესაბამება.

XVIII საუკუნის შუახანებში თუშები აქტიურად მონაწილეობენ ერეკლეს იმ ღონისძიებებში, რომელთა მიზანიც იყო ცენტრალური ხელისუფლების განმტკიცება ამის შესახებ ისტორიკოსი პაპუნა ორბელიანი აღნიშნავს: „ესე ამბავი რა შეიტყო, მეფე ერეკლემ, მაშინვე გაგზავნა კაცნი ყოველგან და დაიბარა ჯარები. მოვიდა კახეთისა, თუშ-ფშავისა, ხევსურ-მოხევისა, ორისავე საერისთაოსი და ქართლისა, ყოვლის ადგილს ჯარი შემოეყარა ქალაქსა თბილისასა მეფე ერეკლეს"[75].

ერეკლეს ეს ღონისძიება მიმართული იყო აბდულა-ბეგის წინააღმდეგ. მეფე ერეკლეს ქართლის სამეფო ტახტის პრეტენდენტი სასტიკად დაუმარცხებია და თავისი ძალაუფლება განუმტკიცებია.

როგორც ცნობილია, 1785 წელს კახეთს დაღესტნელი მთიელები დაესხნენ თავს. ეს პოლიტიკური აქტი ომარ-ხანის ხელმძღვანელობით ხორციელდებოდა. მისი გაგებით, აღმოსავლეთ საქართველო თავისი დედაქალაქი თბილისით ხელში უნდა ჩაეგდოთ. მთიელების მოულოდნელი თავდასხმა დამაფიქრებელი იყო, რადგანაც ისინი რაოდენობით 15000-ზე მეტნი იყვნენ. ცხადია, ქართველები სერიოზულად უნდა მომზადებულიყვნენ.

ომარ-ხანის გეგმით, მათი თავდასხმა შიგა კახეთის, სიღნაღისა და საგარეჯოს გამოტვლით უნდა მომხდარიყო. ისინი გზადაგზა აოხრებდნენ სოფლებს, იტაცებდნენ სიმდიდრეს და ამით სერიოზულ ზიანს აყენებდნენ ქართველ მოსახლეობას. დაღესტნელი მეკობრეების ამ მოქმედებას წინ აღუდგა რუს-ქართველთა გაერთიანებული ჯარის ნაწილი, რომელსაც გენერალი ლაზარევი მეთაურობდა. ს. მაკალათიას გამოკვლევით თუშებს ამ ბრძოლაში დიდი ვაჟკაცობა გამოუჩენიათ: „... ომარ-ხანის რისხვა თუშებსაც არ ასცდენია. მისი ჯარი ნუცალის წინამძღოლობით თუშეთს შესევია... მაგრამ ნუცალი ამასაც არ დასჯერებია და განუზრახავს თუშეთის შემოსამტკიცებლად მისი გამაჰმადიანება. ნუცალისათვის თუშებს მიუგზავნიათ საპატიო მოხუცი ანთა დევდრისი (წოვა-თუში — ა. შ.) და მოფიქრებისათვის დრო უთხოვიათ. ამავე დროს თუშებს მხედრები უფრენიათ ლევან ბატონიშვილთან და დახმარება უთხოვიათ. მეფის ჯარიც გადმოსულა და გირევის ღელეზე დაბანაკებულა, საიდანაც ნუცალმა სინათლე თურმე შენიშნა, მაგრამ ანთამ ის დაარწმუნა, რომ ეს მეცხვარეთა ბანაკიდანაა. ნუცალი მაინც შიშობდა და რომ, დარწმუნებულიყო მის გულწრფელობაში, ცხენის ხორცის შეჭმა უბრძანა. ანთამ ეს ბრძანება შეასრულა. ამ დროს ნუცალის ბანაკს თავს ესხმის მეფის ჯარი და ანადგურებს"[76].

იოანე ბატონიშვილი ერთ-ერთ მოხსენებით ბარათში, რომელიც გენერალ

---

[74] ა. შ ა ვ ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი, 1969 წლის თუშეთის ეთნოგრაფიული რვ. 5, გვ. 9.
[75] საქართველოს ცხოვრება, II, ზ. ჭ ი ჭ ი ნ ა ძ ი ს გამოცემა, თბ., 1913, გვ. 347.
[76] ს. მ ა კ ა ლ ა თ ი ა, დასახ. ნაშრომი, გვ. 32.

კნორინგის სახელზეა შედგენილი პირდაპირ წერს, რომ ამ ბრძოლებში თუშებმა განსაკუთრებით ისახელეს თავიო[77].

ზემოთაღნიშნულს შესანიშნავად ადასტურებს დავით ბაგრატიონის სიტყვები: „გარნა თუშნი უმეტეს იყვნენ მხნედ და მეწინავედ ბრძოლნი, რომლისა ქება კაცთაგან შეუძლებელ არს“[78].

ოფიციალური მონაცემებით, XIX საუკუნის დასაწყისში საქართველოს საერთო ვითარება დაძაბული იყო. გენერალი ლაზარევი, რომელიც არც თუ ისე ცუდად ერკვეოდა ამ მდგომარეობაში, წერდა: „მთელს სამეფოში 40000 კომლია, თითოეულ ოჯახში 4 სულზე მეტი არ უნდა იყოსო. აქედან კი შესაძლებელია მივიღოთ 160000 მობინადრე, საიდანაც 50000 მებრძოლის გამოყვანაა შესაძლებელიო.

ამავე გენერლის აზრით ქართველთა ჯარში თავის ბრძოლისუნარიანობით და შემართებით გამოირჩევიან თუშები[79].

აღსანიშნავია, რომ საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ თუშების საქმიანობა წარმართული იყო რუსეთ-საქართველოს საერთო ინტერესების დასაცავად. თუშები ყოველ მომენტში მხარში ედგნენ რუსი და ქართველი ჯარების ნაწილებს. ისინი ამ გაერთიანებულ არმიებში ყოველთვის სასახელოდ იბრძოდნენ. მათ თავიანთი გმირული ბრძოლით და თავდადებით როგორც ქართველ ერს, ისე რუსეთის სარდლობას დაუმტკიცეს თავიანთი ერთგულება. ამიტომაც ისტორიკოსები ყოველთვის მადლიერების გრძნობით იხსენიებენ მათ. „... თუშებს ჯერ კიდევ XVII საუკუნის მეორე ნახევრის დასაწყისიდანვე ქრისტიანული რუსეთი თავის მფარველ სახელმწიფოდ მიაჩნდათ და საქართველოდან მაჰმადიანური სპარსეთის განდევნის საქმეში რუსეთისაგან მოითხოვდნენ დახმარებას და მფარველობას. ამიტომ შემთხვევითი როდი უნდა იყოს, ის, რომ საქართველოს რუსეთთან შეერთებისა და რუსეთის ჯარის საქართველოს მიწაწყალზე შემოსვლის პირველი დღიდანვე თუშები რუსეთის ორიენტაციას ადგებიან და უყოყმანოდ რუსეთის მხარეზე გადადიან“[80].

რუსეთის ადმინისტრაცია კავკასიაში ითვალისწინებდა ქართველი მთიელების — თუშების, ხევსურებისა და სხვათა მაღალ ბრძოლისუნარიანობას და ცდილობდა მათ გამოყენებას იმერეთის დაპყრობის საქმეში. 1810 წლის 10 ივნისს ტორმასოვი გენერალ ახვერდოვს პირდაპირ სწერდა, რომ იმერელთა დასათრგუნავად გამოყენებული ყოფილიყო ქართველი მთიელების, კერძოდ, თუშების რაზმები[81].

როგორც ვხედავთ, გენერალი ტორმასოვი ქართველ მთიელებს სიმდიდრეს ჰპირდება, ოღონდ მათ გაანიავონ იმერეთის სოფლები. მისი გეგმით ამ მთიელთა რაზმი 1000 კაცზე ნაკლები არ უნდა იყოს.

აქ ხაზგასმით აღვნიშნავთ იმ გარემოებას, რომ გენერლის აზრით, მთიელებიდან შერჩეული რაზმის შემადგენლობაში უნდა ყოფილიყო ისეთი ხალხი, რომლებიც მხოლოდ მოხალისეთა სახელით იქნებოდნენ წარგზავნილები

---

[77] Акты, собранные Кавказскою археологическою комиссиею, Тиф., 1866, т. I, გვ. 526.

[78] დავით ბატონიშვილი, ახალი ისტორია; ბაგრატ ბატონიშვილი, ახალი მოთხრობა, გამოსცა თამარ ლომოურმა, თბ., 1951, გვ. 74.

[79] М. Глушков, Очерки из истории Грузии, Тиф., 1901, გვ. 13.

[80] ვ. ლაგაზიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 221.

[81] Акты..., გვ. 30.

იმერლების წინააღმდეგ[82]. რუსი გენერალი მზაკვრულად ცდილობს მატერიალურად დააინტერესოს ეკონომიურად გაჭირვებული მთიელების გარკვეული ნაწილი, მაგრამ საქმის ვითარება სულ სხვა ხასიათს ღებულობს.

ამ პოლიტიკური ნაბიჯის გადასადგმელად იგი მთავარმართებელთან სპეციალურად შიკრიკს აგზავნის, რათა მთიელთა რაზმი ორგანიზებულად გამოგზავნოს, მაგრამ მისი გეგმა არ განხორციელებულა. შეურაცხყოფილ თუშებს ზიზღით შემოუთვლიათ გენერალ ტორმასოვისათვის: „როდის იყო ჩვენ ქართველების წინააღმდეგ ხელი აგვეღოსო“.

როგორც ირკვევა, მთავარმართებელს მთიელთა ჯარის თავშეუყრელობის მიზეზად ბუნებრივი პირობების უქონლობა წამოუყენებია, მაგრამ ფაქტიურად საკითხი მაინც ნათელია: თუშებმა უარი განაცხადეს იმერლების დარბევაზე.

თუშებმა მრავალჯერ დაამტკიცეს ერისა და მამულის სიყვარული და ერთგულება: გარდა შინა ბრძოლებისა, ისინი შედარებით შორს მანძილზეც მიჰყავდათ საომრად. წერილობითი მონაცემების მიხედვით, მათ ყირიმის ომის დროსაც დიდად უსახელებიათ თავი. ამის შესახებ პროფ. ე. ბურჭულაძე წერს: „თუშეთის მოლაშქრეთა საბრძოლო სულისკვეთება, ჭეშმარიტი გულადობა და თავისი პატრიოტული მოვალეობის მაღალი შეგნება მკაფიოდ გამოვლინდა იმპროვიზირებულ რაფსოდიაში, რომელიც ნიჭიერმა და მამაცმა ხალხმა — თუშებმა 1855 წელს ჩოლოქთან დღეებში გამოავლინეს“[83].

XIX საუკუნის მეორე ნახევარში საქართველოს დასავლეთ ნაწილს, კერძოდ, გურიას თურქები შემოესივნენ. ეს ამბავი მთელ კავკასიას მოედო. თუშები ორგანიზებულად წამოსულან გურულების დასახმარებლად. საილუსტრაციოდ მოვიყვანთ ერთ-ერთ ცნობას: „კახეთში მოსულა ამბავი გურიას თურქები შესევია და შველას თხოულობენო. კახეთში ჩამოყალიბდა 156 კაცისაგან შემდგარი თუშთა რაზმი. რაზმს სათავეში ჩაუდგა... კიაზო ჩოლოყაშვილი. კიაზოს თუშთა რაზმიდან თავის მხლებლად აურჩევია მოხდენილი, გულადი, გრძელ ულვაშა თუში (წოვა-თუში) ნიკო ქადაგიძე. მოკლე გზებით ცხენოსანი ლაშქარი მივიდა ოზურგეთის მისადგომებთან და იქ ერთ-ერთ მაღლობზე დაბანაკდა, საიდანაც კარგად მოჩანდა ბრძოლის ველი. კიაზო ჩოლოყაშვილმა თუშთა რაზმს რჩევა მისცა ომში შესასვლელად, თვითონ მხლებელ ნიკო ქადაგიძესთან ერთად ქართველთა სარდლობის ბანაკში მივიდა. ქართველებს ძალიან გაუხარდათ თუშთა მოსვლა და ჩოლოყაშვილს მადლობა უთხრეს. კიაზომ უთხრა: თუშნი მზად არიან ომში შესასვლელად, მაგრამ ხედავთ აყოვნებენ შესვლასო. რაშია საქმე? — ჰკითხეს მას. გაგზავნეთ კაცი და გავიგოთო.

სარდლობის ბანაკიდან აფრინეს ცხენოსანი, რომელიც მალე მიეჭრა თუშებთან და გადასცა დანაბარები: რატომ ომში არ შედიხართო? თუშთა მეთაურმა თავის მხრივ კითხვით მიუგო: ძმაო, გვითხარი, რომელია მტერი, ყველას ერთნაირად აცვიათ, შარვალჩატანებული არიან. ზოგი წითელ ქუდშია, ზოგიც ყაბალახში. ბანაკიდან მოსულს გაეღიმა და უპასუხა: ყაბალახიანი ჩვენი ძმები გურულებია, წითელქუდიანები კი — თათრებიო.

ამ დროს გაისმა რაზმის მეთაურის ხმა, წითელქუდიანებს დაჰკარითო. თუშთა ლაშქარი გრიგალივით შეიჭრა ომში, თურქთა რაზმები გადაქელა და

---

[82] Акты..., გვ. 302.

[83] ე. ბ ურ ჭ უ ლ ა ძ ე, ყირიმის ომი და საქართველო, თბ., 1960, გვ. 535.

მტრის ერთი ფრთა გაარღვია, ამ დროს ნიკო ქადაგიძე (წოვა-თუში) მოუბრუნდა კიაზო ჩოლოყაშვილს უთხრა: „ჩვენ ძმებს უნდა ჩავეშველოთო". კიაზომ აღარ დააყოვნა და ორივენი ბრძოლაში ჩაერივნენ. პირველსავე მისვლაზე კიაზოს ცხენი მოუკლეს, ქადაგიძე ჩამოხტა ცხენიდან და კიაზოს გადასცა, თვითონ კი ქვეითად განაგრძო ბრძოლა. ქართველთა ლაშქარმა სასტიკად დაამარცხა მტერი და საქართველოს საზღვრებიდან გარეკა"[84].

ისტორიკოსი ვოლკონსკის მასალებით ამ ბრძოლებში თავიანთი გმირული შემართებით გამოირჩეოდნენ წოვა-თუშებიდან დავით შანქიშვილი, ამა ამაშვილი, ნიკო ქადაგიძე, ქართლ-კახეთის ასეულის მეთაური მიხეილ ქადაგიძე, ხვთისავარ ცისკარიშვილი საგარეუბნო კანცლერის მდივანი, ივანე ცისკარიშვილი, დიმიტრი ცისკარიშვილი, დავით ნაკუდაშვილი მოხალისეთა ასეულის მეთაური, ლაზარე უშარაული, ძმები დავით და გაბო თურქოშვილები, ლევან და დიმიტრი ეფიშვილი, დიმიტრი მუშტარაული, თუნო საყურაშვილი, გრიგოლ და გაბო აბაშოშვილები, პართენ ჩარხოშვილი, წკიპო წკიპოშვილი, ლევან და დავით ლაგაზიძეები, ლორსამი არინდაული და სხვები, ხოლო ჩაღმა თუშებიდან — შეთე გულუხაიძე, ივანე ელიზბარიძე და სხვა.

რუსეთის მმართველობის დროსაც თუშეთი როგორც ადრე, ცალკე ადმინისტრაციულ-ერთეულად — სამოურავოდ რჩება და დაქვემდებარებულია ჯერ თიანეთის, ხოლო შემდეგ თელავის მაზრისადმი.

თუშების სამოურავო არსებობას განაგრძობდა შემდეგაც. ერთხანს გრიგოლ ჯავახიშვილი იყო ამ კუთხის გამგებელი, ხოლო 1832 წლიდან ეს თანამდებობა ისევ ჩოლოყაშვილების ხელში გადადის.

ივ. ცისკარიშვილი, რომელიც უშუალო ხელმძღვანელი იყო თუშების ერთ-ერთი ასეულისა და კარგად იცოდა მათი გმირული წარსული, პირდაპირ წერდა: «Тушины, славные храбростию, были также всегда известны своею непоколебимою верностию грузинским царям и составляли их телохранительное войско, и всегда безотлучно сопровождали их в делах ратных»[85].

როგორც აღვნიშნეთ, რუსეთთან საქართველოს შეერთებისა და, საერთოდ, კავკასიის ომის დამთავრების შემდეგ დაღესტნელი ხანებისა და ბეგების ყოველდღიურ თარეშს ბოლო მოეღო. ლიკვიდირებულ იქნა ის ხელშემწყობი პირობები, რომლებიც დაღესტნელ მთიელთა თავდასხმებს განაპირობებდა.

ამიერიდან თუშებიც მშვიდობიან ცხოვრებას შეუდგნენ, განავითარეს მათთვის ტრადიციული სამეურნეო დარგი მეცხოველეობა და სათანადო წვლილი შეიტანეს ქვეყნის ეკონომიური განვითარების საქმეში.

---

[84] ვ. სიდამონიძე, „ძმა ძმისთვისო", გაზ. „სოფლის ცხოვრება", № 112, 1972.

[85] И. Цискаров, Записки о Тушетии, газ. «Кавказ», № 47, 1848.

იოსებ მერაბიშვილი

რატომ არ იხსენიება ვახტანგ გორგასალი ბოლნისის წარწერაში

უცნაურად გვეჩვენება ის ფაქტი, რომ ბოლნისის სიონის შუბლის წარწერაში მოხსენიებული არ არის ძეგლის აგების დროინდელი ქართველი მეფე ვახტანგ გორგასალი. შეუსაბამობა იმის გამოც ძლიერდება, რომ ქრისტიანული ტაძრის წარწერაში მოხსენიებულია სპარსეთის შაჰის სახელი.

ამ მართლაცდა უცნაური შეუსაბამობის მიზეზად ზოგიერთმა მკვლევარმა[1] წარწერის ქვაზე ადგილის უქონლობა გამოაცხადა, მაგრამ, ჯერ ერთი, ბოლნისის სიონის ფორმათა სიდიადე შეხამებულია სისადავესთან, ათეულობით კვადრატული მეტრი ფართობი თავისუფალია და, მეორეც, თუნდაც იმ ქვაზე, რომლის წარწერაშიც მოხსენიებულია შაჰ პეროზი, იმდენი თავისუფალი ადგილია, რომ ვახტანგ გორგასალზეც ადვილად ჩაეტეოდა ცნობა.

არის მეორე ჰიპოთეზაც[2], თითქოს ბოლნისის სიონის წარწერაში ვახტანგ გორგასალი იმიტომ არ მოიხსენიეს, რომ ბოლნისი საპიტიახშოში შედიოდა და სპარსეთს ემორჩილებოდაო; ამ მოსაზრებას შეიძლება ის ამტკიცებდეს, რომ წარწერაში შაჰ პეროზი მოხსენიებულია არა როგორც ძლიერი მეფე აღმოსავლეთში, არამედ როგორც ქვეყნის მბრძანებელ-პატრონი. ამ ვერსიამ ვერ გაფანტა „უცნაურობის“ ბურუსი ამ საკითხში. საგულისხმოა, რომ შაჰ პეროზი ან მქისე პატრონი უნდა ყოფილიყო (მისი ნების გარეშე არაფრის გაკეთება არ შეიძლებოდა), ანდა სახასოს ჩვეულებრივ მპყრობელობას დასჯერებოდა, „ხარაჯის“ აღება ეკმარა და შინაურ საქმეებში ერთგვარ ჩაურევლობას დაჰყაბულებოდა.

თუმცა ყოფითი დეტალების ჩვენამდე მოღწეული მონაცემები სწორედ მეორე ვარიანტის სისწორეზე მეტყველებს. მაინც რატომ მოხდა, რომ ქართულ ხუროთმოძღვრულ ძეგლებზე არ არის წარწერა ესოდენ გამოჩენილი მეფის — ვახტანგ გორგასალისა?

როგორც ცნობილია, ბიზანტიამ ქრისიტანობა სახელმწიფო სარწმუნოებად გამოაცხადა, რის შედეგადაც ამა თუ იმ ქვეყანაში ქრისტიანობის გავრცელება მეტ-ნაკლები მასშტაბით ბიზანტიური ორიენტაციის გავრცობას მოასწავებდა და ეს, რა თქმა უნდა, საბერძნეთის საუკუნოებრივ მტერს — სპარსეთს არ ეამებოდა. ტაძარი ნელა შენდებოდა, მშენებლობა 15 წელიწადს გაჭიანურდა[3]. იგი პეროზის მეფობის მეოცე წელს აუგიათ[4]. ტაძარი ბიზანტიური გავლენის ხელშესახები ნივთმტკიცება იყო და შაჰ პეროზს — „ქვეყნის მბრძანებელ-პატრონს“, არც თუ სასიამოვნოდ უნდა დარჩენოდა ეს ამბავი.

---

[1] ლ. მუსხელიშვილი, ბოლნისი, თბილისის სახ. უნივერსიტეტის მოამბე. № 11, 1938, გვ. 318.

[2] იქვე.

[3] შ. ამირანაშვილი, ქართული ხელოვნების ისტორია, ტ. 1, გვ. 92.

[4] ლ. მუსხელიშვილი, დასახ. ნაშრომი.

თუ ვახტანგის მოუხსენებლობის მიზეზი მხოლოდ ის იყო, რომ ბოლნისი საპიტიახშოში შედიოდა და „ქვეყნის მბრძანებელ-პატრონის“ დასახელებამ გამორიცხა ვახტანგის მოხსენიება, მაშინ გამოსარკვევია საკითხი — ვრცელდებოდა თუ არა ბოლნისში ქართველ მეფეთა იურისდიქცია? — ამ საკითხზე ისტორიული წყაროები დადებითად პასუხობენ. ბოლნისის ეპისკოპოსი მეფე ვახტანგმა აკურთხებინა და ვახტანგმავე განაწესა.

ჯუანშერის ცნობით ვახტანგმა აკურთხებინა 13 ეპისკოპოსი და განაწესა: კლარჯეთს, ერუშეთს, წუნდას, მანგლისს, ბოლნისს, რუსთავს[5] და ა. შ. ასევე შეუვალი ფაქტია ისიც, რომ ბოლნისის ეპისკოპოსი მცხეთის საკათალიკოსოში შედიოდა და ამიტომაც ამიერკავკასიის ეპისკოპოსთა კრებას 506 წელს ქალაქ დვინში საქართველოს მხრიდან ეპისკოპოსი დავით ბოლნელიც ესწრებოდა[6].

ბოლნისის საპიტიახშო ისეთი სახასო იყო, რომელიც ტერიტორიულ-ეთნოგრაფიულად საქართველოს ეკუთვნოდა, პოლიტიკურ-იურიდიულად კი სპარსეთს მორჩილებდა. საინტერესო ფაქტია ისიც, რომ ასეთი ორმაგი საპატრონო ტერიტორიაა მესხეთიც, რომლის ტაძრებზედაც არ არის წარწერები საქართველოს მეფის შესახებ.

ქრისტიანული ძეგლის წარწერაში ქართველი მეფის მოუხსენებლობას მიზეზად ხომ არ ედვა ვახტანგის შესახებ გავრცელებული ხმა, თითქოს მას ქრისტიანობა მაზდეანობაზე გაეცვალოს?

ვახტანგის პრაქტიკული საქმიანობა სრულებით არ შეესაბამება მის თითქოსდა გამაზდეანებას. მაგრამ აქვე უნდა ვაღიაროთ, რომ არ შეიძლება გორგასალს მოვთხოვოთ ქრისტიანული სარწმუნოების მხურვალე რწმენა და სიყვარული, მით უფრო ქალკედონური მიმდინარეობისა. ქართველებს თავიდანვე ერთი სარწმუნოება არა ჰქონიათ. ვახტანგის დაბადებისას ოფიციალური ქრისტიანობა საქართველოში ერთ საუკუნეზე ცოტა მეტ ხანს ითვლიდა. გორგასალის ბავშვობისას მეტად ძლიერი იყო წარმართული სარწმუნოების წეს-ჩვეულებანი. ამას არ შეიძლებოდა ყრმა ვახტანგზე გავლენა არ მოეხდინა. გარდა ამისა, ქრისტიანობის შიგნით არსებული ათამდე მიმდინარეობა ცვალებადი წარმატებით ებრძოდა ერთმანეთს. ახლადგაბატონებული მიმართულება შეცვლილ მიმდინარეობას უკანონოდ თვლიდა. წყევლა-კრულვით იხსენიებდა. ბრძოლას ხშირად ისეთი მძაფრი ხასიათი ეძლეოდა, ერთმანეთის ისეთ გაბიაბრუება-განქიქებას ჰქონდა ადგილი, რომ ადამიანს ქრისტიანობაზე საერთოდ აუცრუვდებოდა გული. მით უფრო, რომ მიმდინარეობათა ცვლა არც თუ ისე იშვიათი იყო. ქრისტიანობის იმ მიმდინარეობამ, რომელიც მეფე მირიანმა აღიარა, საქართველოში დიდხანს ვერ გაძლო და შეიცვალა. იგი მეფე ბაკურს ქრისტიანობის იმ მიმდინარეობით შეუცვლია, რომელიც დასავლეთ სამეფოთა მესვეურებს მოსწონდათ. ამის გამოა, რომ ბევრი დასავლელი ისტორიკოსი პირველ ქართველ ქრისტიან მეფედ აღიარებს არა მირიანს, არამედ ბაკურს[7]. ბრძოლა არც ამით შეწყვეტილა. ქრისტიანობის აღიარებულ ფორმას ერკინებოდა არა ერთი მიმდინარეობა და არც თუ ისე უშედეგოდ: ნესტორიანელებს

---

[5] ჯ უ ა ნ შ ე რ ი, ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოცემა, 1.

[6] შ. ა მ ი რ ა ნ ა შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი.

[7] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართული ერის ისტორია, ტ. I, გვ. 222—224.

საქართველოში ეპისკოპოსიც კი ჰყოლიათ, მანიქეველებს კი მთავარეპისკოპოსიც და სხვა. 13 წლის ვახტანგი უკვე სპარსეთშია. შაჰის ამალაში ვახტანგმა 7 წელი დაჰყო[8]. იქ ყოველ ფეხის ნაბიჯზე ქრისტიანობის დაცინვა-განქიქება ესმოდა. შაჰის კარზე ქართველებს რჯულის გამოცვლას განუწყვეტლივ ჩასჩიჩინებდნენ. აღუთქვამდნენ წარჩინებას, ოქროს, ლამაზ ქალებს, მხარდაჭერას. ძნელი იყო ცთუნებისაგან თავის დაღწევა, მხოლოდ ხასიათის სიმტკიცე აძლებინებდა სულშეწუხებულებს.

ვახტანგმა თვალნათლივ დაინახა, რომ როგორც კეისარ-იმპერატორები, ისე შაჰი და მისი კარი რელიგიას პოლიტიკური მიზნებისათვის იყენებდნენ.

ვახტანგმა იცოდა, რომ სპარსეთი საქართველოს ქრისტეს სჯულის აღიარების გამოც ებრძოდა. როდესაც ორივე სამეფო ერთნაირ სარწმუნოებას აღიარებდა, მათ შორის რელიგიური ომის ხსენებაც არ იქნებოდა.

ქრისტიანობის სამეფო სარწმუნოებად გამოცხადების შემდეგ სხვა სამეფოებში გაქრისტიანებულმა წვრილმა ერმა „ბიზანტიისაკენ გახედვა“ დაიწყო. ეს კი აღარ მოეწონა სპარსეთს. შაჰ იეზდიგერდ I ქრისტიანებს დევნა დაუწყო. ქიშპობა განახლდა და ომში გადაიზარდა. სპარსელები დამარცხდნენ. 411 წელს ომები შეწყდა, ქრისტიანებს ეგონათ იეზდიგერდ I კვლავ განაახლა ქრისტიანთა დევნა-შევიწროება[9]. მან ქართლიდან თავკაცები დაიბარა, რჯულის გამოცვლა მოსთხოვა. უკან დაბრუნებულთ ერთი კაცი აკლდათ. ეს იყო არშუშა, რომელმაც პირველმა დაგმო ქრისტიანობა და სწორედ მისი რჩევით დათანხმდნენ ქართველები გამაზდეანებაზე, შაჰმა იგი მძევლად დაიტოვა. შაჰის წყალობის მაძიებლის შვილი ვარსქენი შაჰს სპარსეთში ეწვია და თავისი სარწმუნოება ცეცხლთაყვანისმცემლობაზე ნებაყოფლობით გაცვალა. ვარქსენმა ცოლსაც მოსთხოვა რჯულის გამოცვლა და როცა მისგან მტკიცე უარი მიიღო, წამებით ამოხადა სული.

ვახტანგმა შენიშნა, რომ სპარსეთის დიპლომატია ქრისტიანობის წინააღმდეგ ორგვარ პოლიტიკას აწარმოებდა. ერთი მხრივ ქრისტიანობას პირდაპირ ებრძოდა და სადაც ხელი მიუწვდებოდა სპობდა, მეორე მხრივ, ქრისტიანულ სარწმუნოებაში არსებულ მიმდინარეობათა შინაბრძოლების გამოყენებით, მის „შიგნიდან აფეთქებას“ ცდილობდა. სექტებს შორის ატეხილი დავა, საერთო ჯამში ქრისტიანობას გაუტეხდა სახელს, მიმდევრები შეუმცირდებოდა, ბიზანტიის პოზიციები დასუსტდებოდა.

იმ დროისათვის ქრისტიანულ სექტებს შორის მძაფრი ბრძოლით ყველაზე უფრო გამოირჩეოდა ერთბუნებოვნობისა და ორბუნებოვნების მაღიარებელი მიმართულებანი, ანუ „მონოფიზიტობა“ და „დიოფიზიტობა“. შაჰმა გადაწყვიტა ერთ-ერთი მათგანისათვის თითქოსდა დაეჭირა მხარი და იგი მეორისათვის წაესისინებინა. ვინაიდან კონსტანტინეპოლი ორბუნებოვნებას აღიარებდა, შაჰს დარჩენოდა მონოფიზიტობისათვის ჩაეჭიდა ხელი. ეს იმითაც იყო გამართლებული, რომ აღმოსავლეთში მონოფიზიტობა უფრო იყო გავრცელებული. ანტიოქიელი პატრიარქიც მონოფიზიტობისაკენ იხრებოდა და შაჰს მოკავშირედ გამოადგებოდა. შაჰ პეროზს ქრისტიანული მიმართულებების ერთმანეთთან შეჯახება, ბიზანტიური ორიენტაციის დასუსტება ეწადა.

---

[8] ჯ უ ა ნ შ ე რ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 196; ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 314—331.

[9] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 237.

გორგასალი, ჩანს, მიხვდა შაჰის ჩანაფიქრს, დარწმუნდა, რომ მიუხედავად მისი ვერაგობისა, ქართველთა საკეთილდღეოდ მისი გამოყენება მაინც შეიძლებოდა.

მართალია, ვახტანგმა და მისმა სპამ საქართველოს სამეფოს დამოუკიდებლობის აღდგენა შეძლეს, მაგრამ ბიზანტიელები საქართველოს ისე ადვილად ვერ ელეოდნენ. შინაურ საქმეებში ჩარევას ბიზანტიელები ეკლესიის ნიღაბქვეშ ახდენდნენ. საშინაო საქმეებში უცხოელთა ხელისფათურის ასალაგმავად საჭირო იყო, რათა დამოუკიდებელ ქართველთა სამეფოს ეკლესიაც „ავტოკეფალური", ანუ დამოუკიდებელი ჰყოლოდა. კონსტანტინოპოლის პატრიარქის მანტიას ამოფარებული ბიზანტიის იმპერატორი „ავტოკეფალობის" მონიჭებას აჭიანურებდა, ქართლის შინაური საქმეების თავის ნებაზე მართვის საშუალებას იხანგრძლივებდა. საჭირო ხდებოდა ისეთი საშუალების გამოძებნა, რომელიც ქართველთა ეკლესიას დამოუკიდებლობას მოუპოვებდა, კათალიკოსის კურთხევას შესაძლებელს გახდიდა. ვახტანგის აზრით, ასეთი საშუალება მონოფიზიტობის აღიარება იყო. თუ იმდროინდელ საქართველოს მდგომარეობას გავითვალისწინებთ, დავასკვნით, რომ მეფე და მასთან დაახლოებული პირები თვლიდნენ, რომ მონოფიზიტური ქრისტიანობის აღიარება ბევრ კარგ რამეს უქადდა ქართველებს: ა. მონოფიზიტური მიმართულების აღიარება ქართველ ხალხს საშუალებას აძლევდა ისევ ქრისტიანად დარჩენილიყვნენ. ბ. თანაუგრძნობდა და მონოფიზიტობას სპარსეთის შაჰი, ქართველებს ქრისტიანული რწმენის გამო იმდენად აღარ შეაწუხებდა. გ. ქართველებს უფლება არ ერთმეოდათ ბიზანტიის ერთმორწმუნე სახელმწიფოდ ჩაეთვალათ თავი და ყველა ქრისტიანი სამეფოების მეგობრად დარჩენილიყო. დ. მონოფიზიტობის აღიარება ქართველებს უფლებას ანიჭებდა შაჰისაგანაც რიგ საკითხებში თანაგრძნობა, მხარდაჭერა და დახმარება მოეთხოვათ. და რაც მთავარია, ე. მონოფიზიტობისკენ გადახრა საშუალებას იძლეოდა ანტიოქიის პატრიარქის კეთილგანწყობილება დაემსახურებინათ და მისი ხელშეწყობით ქართულ ეკლესიას „ავტოკეფალობას" მოუპოვებდნენ.

ქართლის აღორძინების ამ თავისებური გეგმის შესრულება გორგასალმა კათალიკოსის შერჩევით დაიწყო: მისი აზრით, საქართველოს მთავარეპისკოპოსის ტიტულის იმდროინდელი მპყრობელი არ იყო კათალიკოსობის ღირსი, როგორც ჩანს, ვახტანგს ამისი საბუთიცა ჰქონდა. ამასთან საკითხავია, როგორ დამოკიდებულებაში იყო ვახტანგი ეკლესიის მესვეურებთან? საკითხის გარკვევას აძნელებს ისტორიკოსების ტენდენციურობა ამბავთა გადმოცემისას. ადრინდელ, საშუალო საუკუნეთა, ქართველ ისტორიკოსებს აშკარად ეტყობათ, რომ მათ შედარებით ბევრი სცოდნიათ, ვიდრე დაუწერიათ. იმ დროს, როცა ვახტანგის ბრძოლებზე წერისას მჭერმეტყველებას ირჩევდნენ, საერო და საეკლესიო უზენაეს ხელისუფალთა ურთიერთდამოკიდებულების საკითხში „ენაბლუობა" ემჩნევათ[10]. იმდროინდელ ისტორიკოსთა ნაწერებში ამა თუ იმ შემთხვევის გამო გაპარულ მცირერიცხოვან ცნობებს თუ ერთად თავს მოვუყრით, სხვა ქვეყნების ისტორიკოსთა ცნობებსაც მოვიშველიებთ, შესაძლებელი გახდება, რამდენადმე ნათელი მოეფინოს ისტორიკოსების მიერ განგებ დაფარულ შინა ბრძოლებს.

---

[10] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. გვ. 310, 331, 342.

საქართველოში ქრისტიანული ეკლესიის საჭეთმპყრობელად მაშინ იყო მიქაელი. იგი ორბუნებოვანების მტკიცე მიმდევარი ყოფილა, ყველა სხვა მიმდინარეობებს სასტიკად ეომებოდა და ეკლესიამაც „ნეტარის“ წოდებით შეამკო.

ცხადია, ვახტანგს კათალიკოსად მიქაელი არ გამოადგებოდა. მოსაგვარებელი იყო ეპისკოპოსთა საკითხიც, რადგან არსებულ საეპისკოპოსოთა რიცხობრივი სიმცირე ავტოკეფალობისათვის დამაბრკოლებელი იყო. ამასთანავე ყველა ეპისკოპოსი არ იყო სანდო. ვახტანგს სამივე საკითხი ერთად გადაუწყვეტია. მის მიერ შერჩეული პირები ანტიოქიის პატრიარქს ეახლნენ, აქედან ცამეტი ეპისკოპოსად და ერთი მათგანი კი კათალიკოსად „ხელდასხმული“ დაბრუნდა. მათგან ვახტანგმა ზოგი ახლად დაარსებულ საეპისკოპოსოში დანიშნა, ზოგი კი უნდო ეპისკოპოსის ნაცვლად ჩამოარიგა[11].

როგორ შეხვდა ამ ამბავს საქართველოს სასულიერო საქმეთა საჭეთმპყრობელი მიქაელი? შეიტყო თუ არა ეს მიქაელმა, მირონცხებული მეფე ქართლისა და მთელი მისი სპა „შეაჩვენა“ — უმაღლესი სასჯელით დასაჯა, ე. ი. „განჰკვეთა“.

უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდა მეფე. საეკლესიო ხელისუფალთა მიერ ასეთი „შეჩვენების“ პრაქტიკულად შესრულება მეფისათვის განადგურებას უდრიდა, რადგან თანახმად წესისა საერო ხელისუფლებას შეჩვენებულისათვის ქონება უნდა ჩამოერთმია, საზოგადოებიდან ჩამოეშორებინა, შერისხული ან სიკვდილით დაესაჯა, ან ყველასაგან განწირული უთავშესაფროდ, უსაზრდოოდ დაეტოვებინა. მიქაელს საქართველოს უზენაესი ხელისუფალი — მეფე ჰყავდა შეჩვენებული, ვიღას უნდა დაესაჯა მეფე? ალბათ, მიქაელს იმის იმედი ჰქონდა, რომ ფანატიკოსთა ბრბო შერისხულ მეფეს მიესეოდა და „გაჰწეწავდა“, მაგრამ მეფის გარდა შეჩვენებული იყო ქართველთა მთელი სპაც, ანუ ჯარი, არმია კი შეიარაღებული იყო და თავს არავის დააჩაგვრინებდა[12].

მდგომარეობის შერბილება ისევ მეფემ ითავა. მიქაელი თავისთან არ დაიბარა და თვითონ ეახლა. ჩვეულების მიხედვით მღვდელმთავართან მისული მის ფეხზე გამოსახულ ჯვარს უნდა მთხვეოდა, მეფემ არც ეს იუკადრისა, ფეხზე საკოცნელად დაიხარა. მიქაელმა მეფეს შერიგების ცდა არად ჩაუგდო, პირიქით, მის ფეხებთან დახრილ ვახტანგ გორგასალს, პირში წიხლი ჰკრა და კბილები ჩაუმტვრია[13].

მეფესა და მღვდელმთავარს შორის აქამდე თუ ჩუმად მიმდინარეობდა ბრძოლა, ახლა გამოაშკარავდა და, გასაგებია, რომ ვახტანგი სწორად მოიქცა, როცა მიქაელი თავიდან მოიშორა.

ასეთია სინამდვილე. აქვე საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ სპარსეთის მიერ ჩატარებულ ბრძოლებში ქართველების ერთგული თანამებრძოლობით ვახტანგმა შაჰის გული მოიმადლიერა.

სამშობლოში დაბრუნებულმა ვახტანგმა საეპისკოპოსო ტაძრების მშენებლობა წამოიწყო სხვადასხვა ადგილას. ერთ-ერთი მათგანისა — ბოლნისშიც.

---

[11] ჯ უ ა ნ შ ე რ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 198; ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 337—346.

[12] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 315, 336.

[13] ჯ უ ა ნ შ ე რ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 196; ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 315, 332.

ეტყობა შაჰსა და ვახტანგს შორის დამდურება იმდენად გაღრმავებულა, ერთმანეთის საქმიანობისათვის „კილის გამობმა“ და საპასუხო შურისგებანი იმ ზომამდე გაზრდილა, რომ 483 წელს ქართლი შაჰის უდიერობას აუჯანყებია კიდეც.

მხედველობაშია მისაღები, რომ ისტორიკოსები ამ აჯანყების მიზეზებს ჩქმალავენ. მართალია, არაერთგან ასახელებენ აჯანყების მიზეზად პიტიახშის მკვლელობას, მაგრამ ადვილი მისახვედრია, რომ ისტორიკოსებს ყოველივე ეს ვახტანგის საქებრად მოაქვთ. ვარსქენის მკვლელობას ვახტანგს ქრისტიანობის გამოქომაგებაში უთვლიდნენ, რადგან ვარსქენმა წამებით ამოჰხადაო სული ქრისტიანად დარჩენის მოსურნე თავის ცოლს, ვარდან მამიკონიანის ასულს შუშანიკსო, მაგრამ ეს მოსაზრება ვერ ეტევა დროში. შუშანიკი წამებით აღესრულა 472 წელს[14]. პიტიახში კი ვახტანგმა 11 წლის შემდეგ მოაკვლევინა ე. ი. ვახტანგს სხვა მიზეზი ჰქონია.

ფაქტია, რომ შაჰი ვახტანგს 483 წლის განდგომას არ აპატიებდა და ვახტანგი მალულად ომისათვის ემზადებოდა, მაგრამ ფინალი მოულოდნელი და უცნაური იყო: ქართველთა საბრძოლო გეგმები ვიღაცამ გაამჟღავნა. ვახტანგს მზადება დამთავრებული არა ჰქონდა, შაჰი დიდძალი ჯარით შემოესია, ვახტანგი მტერს სამხრეთ საზღვარზე დაუხვდა, მაგრამ გენერალური შებრძოლება მარტომ ვერ გაბედა. საშველად მოწვეულ ჰუნებს ვახტანგი შვიდ დღეღამეს ამაოდ ელოდა. მეზობელ ქრისტიან სამეფოს ბევრმა მთავარმა უღალატა და ბრძოლის დროს სპარსთა მხარეზე გადავიდნენ[15]. ბევრმა ქართველმა დიდებულმა უმუხთლა მაშინ ვახტანგს. თავიანთი ჯარი საქართველოს სამხრეთ საზღვრებთან განლაგებულ ვახტანგის მხედრობას არ შეუერთეს, პირიქით, სპარსელ სარდალს ჰაზარავუხტის მიემხრნენ. უსიამოვნო გარემოებებმა ვახტანგს ჩრდილოეთისაკენ დაახევინეს, მაგრამ ვერსად „შეასვენა მუხლი“. დაუჯერებელი რამ მოხდა. მეფე ვახტანგი თავისიანებისაგანაც კი განწირული აღმოჩნდა და იძულებული შეიქნა ქართლიდან გადახვეწილიყო. როგორც ჩანს, სამეგრელოს შეჰხიზნებია იგი[16]. ღალატთა ამ გაბმულ ჯაჭვში შეიძლება ის დავინახოთ, რაც ისტორიკოსებს არ გადმოუციათ. ეს არის ცენტრალური ხელისუფლების განმტკიცებისათვის მებრძოლი ვახტანგის მიერ რამდენადმე შევიწროებული ქართველ დიდებულთა უკმაყოფილება. ისინი ხალხში დიდი პოპულარობის გამო ვახტანგს აშკარა შერკინებას ვერ უბედავდნენ, მაგრამ იხელთეს თუ არა დრო, ვახტანგი განსაცდელში მიატოვეს.

ქართლს გარიდებული ვახტანგი პოლიტიკურ საქმიანობას დიდი ხნით მოსწყვეტია. რა იყო ამის მიზეზი, არა ჩანს. ან დაჭრილი იყო და წყლულებს იშუშებდა, ან ის, რომ ვახტანგი ხელსაყრელ მომენტს უცდიდა განდგომილ თავადთა მოსათოკავად. მისი ამ დროის მოღვაწეობის შესახებ სარწმუნო ცნობები არ გვაქვს.

484 წელს სპარსეთის შაჰი პეროზი ძმებიან-შვილებიანად ჰეფთაელთა ჰუნებმა ბრძოლაში ამოჟლიტეს, საგულისხმოა, რომ ვახტანგის მდგომარეობაც სასიკეთოდ შეიცვლებოდა, მაგრამ ვახტანგი, რომელიც, ალბათ, ქართველ დიდებულთა შორის ორგულებს ერიდებოდა, ქართლში აღარ დაბრუნებულა.

---

[14] იგ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 287.

[15] იქვე, გვ. 240.

[16] იქვე, გვ. 241.

ტაძრის აგების დამთავრებისას ვახტანგის სახელის, როგორც ქართლიდან გადახვეწილი ადამიანის, ტაძრის წარწერიდან გამოტოვება მოსალოდნელი იყო.

გაურკვევლობაა ვახტანგის შემდგომი ცხოვრებისა და მოღვაწეობის პერიოდშიც: თამარ მეფის ისტორიკოსის ჩვენებით, ვახტანგი უჯარმაში აღესრულა. არსენ კათალიკოსის მითითებით ვახტანგი მცხეთაშია დამარხული. ჯუანშერის მიხედვით ვახტანგი 499 წელს სპარსეთის შაჰ კობადისთან ბრძოლაში დაიჭრა და წყლულებით გარდაიცვალაო[17]. ირანული წყაროებით 502 წელს მომკვდარა შაჰ კობადის შვილი, რომელიც სამგორის ბრძოლაში დაჭრაო გურჯთა მეფემ — ვახტანგმა. ამავე წელს მოვაკვდინეო მისი დამჭრელიო. მართლაც ვახტანგის შვილი — დაჩი პირველი[18], ქართველებმა 502 წელს გაამეფეს.

ცხადია, ჩვენს მიზანს არ შეადგენს ვახტანგის მთელი საქმიანობის შეფასება. ვახტანგს დიდი შრომა სჭირდებოდა, რომ იმდროინდელ დახლართულ პოლიტიკურ და რელიგიურ ვითარებაში გაეტარებინა ერთი მთლიანი ხაზი ქართლის აღორძინებისა.

ქართული ომონიმი „მტერი" იხმარებოდა როგორც მტრისა, ისე ეშმაკის აღმნიშვნელად. ხშირად „ეშმაკობდა" სამღვდელოებაც. ამის გამო ბევრი ისტორიოგრაფიული მონაცემები დაიკარგა. მაგალითად:

ეპისკოპოსი მობიდანი ეშმაკურად იქცეოდა, მთავარ ეპისკოპოსის პოსტსაც წაეპოტინა[19].

XIII ს-ის მიჯნაზე სხვებისათვის ტონის მიმცემ ქართველ ხალხს, უკვე აღარ დაემალებოდა ისეთი დიდი მეცნიერი, როგორიც პეტრე იბერიელი იყო. მაგრამ მღვდლებმა მისი ნაწერები ისე თარგმნეს, რომ დიდი მონოფიზიტის ნიშანწყალიც კი არ დატოვეს.

ვახტანგთან არც ყველა თავადი და ეპისკოპოსი გულწრფელობდა. ისინი მის მძლავრ, მაგრამ ჩუმ მტრებად რჩებოდნენ. 499 წელს თავადები თავისი ჯარით მტრის მხარეზე გადავიდნენ რის შედეგადაც დაზარალდა ქართლი. ამასთანავე შაჰთან ბრძოლაში ქართულ სამეფო კარის მარცხი ნაწილობრივ ეკლესიის მესვეურთა ვახტანგისათვის მხარდაუჭერლობამ განაპირობა.

მეორე — ქალკედონურმა მიმართულებამ შეუძლებელი გახადა ღრმად განსწავლული მონოფიზიტის პეტრე იბერიელის ფილოსოფიური და თეოლოგიური ნაწერების გავრცელება.

მესამე — შაჰ კობადის მეთაურობით მოწვეულ დვინის კრებას არ დაესწრო ეპისკოპოსთა ერთ მეოთხედზე მეტი. თუ შაჰის შიშმაც კი ვერ აიძულა ისინი ანტიმონოფიზიტობა დაეფარათ, როგორიღა იქნებოდა ვახტანგის წინააღმდეგ მათი ბრძოლა საკუთარ მრევლში?

მეოთხე — ქართლიდან ვახტანგის წასვლა ქალკედონელებმა მონოფიზიტების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერებისათვის გამოიყენეს.

მეხუთე — კონსტანტინეპოლი გრძნობდა რა, რომ მონოფიზიტობის გავრცელება სპარსული ორიენტაციის გაძლიერებას მოასწავებდა, საპასუხო ღონისძიებებს მიმართავდა. ბიზანტიელთა ანტისპარსული საქმიანობა, პრაქტიკაში ანტიმონოფიზიტურიც იყო და ამით ვახტანგის მიერ წამოწყებული ღონისძიება ნადგურდებოდა.

---

[17] ჯ უ ა ნ შ ე რ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 212.

[18] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 289.

[19] იქვე, გვ. 304.

საბოლოოდ საქართველოში ქრისტიანულ მიმართულებათა შორის ქალკედონელებმა გაიმარჯვეს[20]. დაიწყო თავისებური ანგარიშსწორება არჩილ მეფის დროს ოთხი ეპისკოპოსი გამოიცვალა. სამი მათგანი არ იყო ქალკედონელი. ბიზანტიამ ისინი სრულიად ამოაგდო ისტორიიდან[21]. მათი სახელებიც კი არსად დარჩენილა. დავით ბოლნელიც იყო მონოფიზიტი და იმდენად აქტიური, რომ დვინის 506 წლის ოქმზე მეხუთე ადგილზე აქვს მოწერილი ხელი.

თუ ვახტანგის რამდენადმე თანამოაზრეების წინააღმდეგ ასე მძაფრ ბრძოლას აწარმოებდნენ, გასაგებია, რომ მთავარ სამიზნეს თვითონ ვახტანგ გორგასალი წარმოადგენდა. მის წინააღმდეგ იყო მიმართული ისრის მახვილი და მთავარ დარტყმებსაც ვახტანგის ახოვანი მხარბეჭი აღიქვამდა. და თუ ვახტანგი ისტორიიდან მთლიანად ვერ ამოაგდეს, ეს იმის გამო მოხდა, რომ ვახტანგ გორგასალს, როგორც ქველ მეფეს, მხნე ადამიანს, ქველ სახელმწიფო მოღვაწეს, გამორჩეული სამხედრო ნიჭის მქონესა და მტერთამძლე ადამიანს ხალხში დიდი სიყვარული ჰქონდა დამსახურებული.

როგორც ჩანს, ვახტანგს სიცოცხლეში ქრისტიანობის დიდი დამცველისა და მოამაგის სახელი ჰქონდა დამსახურებული. ეს ორი გარემოება რომ არა, საეკლესიო და საისტორიო წყაროების შემდეგდროინდელი ქალკედონური „გამწმენდელების“ გამანადგურებელ საქმიანობას გორგასალის ხსენება ვერ გადაურჩებოდა[22].

როგორც ჩანს, ქალკედონურმა მიმდინარეობამ მეფე ვახტანგს ყველაზე უფრო მეტად მაინც საეკლესიო ხაზით შემოუარა და მონოფიზიტობის, და მათი დასკვნით „მწვალებლობის“ განმავრცელებლის ვახტანგ გორგასალის სახელი ბოლნისის სიონის კარიბჭეზე ზედწარწერაში აღარ შეიტანეს, არ იპოვება მისი სახელი. მაშასადამე, ქალკედონელებს ვახტანგის ისტორიიდან წაშლის სურვილი ნაწილობრივ შეუსრულებიათ.

ჩვენი აზრით, ასეთია ის მიზეზები, რომელთა გამო ვახტანგის სახელს ბოლნისის კედლებზე ვერა ვხედავთ. მაშინ როდესაც ქართველმა ხალხმა გმირი მეფის სახელი ცოცხლად შემოინახა გულში.

---

[20] იგ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 343.
[21] იქვე, გვ. 306, 313.
[22] იქვე, გვ. 342.

ომარ ლანჩავა

დასავლეთ საქართველოს ისტორიული გეოგრაფიიდან

(„მუხირისი“)

1. მუხირისს, როგორც გეოგრაფიულ სახელს (Μουχείρισις, Μοχήρησις), იხსენიებენ ახ. წ. VI ს-ის ბიზანტიელი ისტორიკოსები: პროკოპი კესარიელი (BG, VIII, 1, 14, 16, 17; BP, II, 29) და აგათია სქოლასტიკოსი (II, 19, 22, III, 6, 7, 19, 28, IV, 9, 13);

1.1. სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში მუხირისი თუ მოხირისი[1] ლაზიკის ქვეყნის აღმოსავლეთ ნაწილში მდებარე მხარედაა მიჩნეული. მოხირისის ლოკალიზაციის საკითხს გაკვრით შეეხო აკად. ივ. ჯავახიშვილი: „მუხერისის (მუხურის) სანახები... რიონის ხეობაში იყო და თავისი ნაყოფიერებით იყო განთქმული. ამ სანახებს ეკუთვნოდა ციხე ქოთაისი“[2].

აკად. ს. ყაუხჩიშვილის განსაზღვრით: „მოხირისის მხარე ცხენისწყლიდან დაწყებული გადაჭიმულია რიონამდე. ე. ი. რიონი საზღვრავს ამ მხარეს სამხრეთითა და სამხრეთ-აღმოსავლეთით... პროკოპის აღწერილობიდან ნათელია, რომ მოხირისის მხარე ცხენისწყალსა და რიონს შუა მდებარეობდა“[3].

მუხირისის საკითხს შედარებით ვრცლად შეეხო აკად. სიმ. ჯანაშია. მისი აზრით: „... ბიზანტიელ მწერალთა „მუხირეზისი“ გულისხმობს საკმაოდ დიდ რაიონს, რომელიც, მთლიანად ან ნაწილობრივ, შეიცავდა თანამედროვე ქუთაისის, ბაღდადის, ვანის, სამტრედიის, აბაშისა და მარტვილის რაიონებს, უფრო ზუსტად, მათს ვაკე ნაწილს, რომელიც, სამეურნეო თვალსაზრისით, გარკვეულ მთლიანობას შეადგენს. რომ ეს ყველაზე დაწინაურებული სექტორია, ამას მოწმობს აქ აღმოცენება ლაზიკის უმდიდრესი ქალაქებისა, კერძოდ, როდოპოლისის (ვარდციხის) და ქუთაისისა. ეს უკანასკნელი გარემოება დაედო საფუძვლად ამ მხარის ძველ-ქართულ სახელწოდებას — „სამოქალაქო“-ს. სოციალ-ეკონომიური თვალსაზრისით, ამავე რაიონს მიეკუთვნება ეგრისის პოლიტიკური ცენტრი და მისი მეფეების საჯდომი — არქეოპოლის — ნოქალაქე-

---

[1] გეოგრაფიული სახელი მუხირისი (Μουχείρισις) გვხვდება აგათია სქოლასტიკოსთან, ხოლო— მოხირისი (Μοχήρησις) —პროკოპი კესარიელთან. უფრო მართებულად მიგვაჩნია, აგათიასეული მუხირისის ან მუხურისის ხმარება, რადგან ასეთი სახელწოდების გეოგრაფიული პუნქტები დღესაც მრავლად გვხვდება დასავლეთ საქართველოს ტოპონიმიკაში (შდრ. ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, შრ. II, გვ. 94; ს ი მ. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი, გეორგიკა II, თბ., 1965, გვ. 208; დ. მ უ ს ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები (ადრეფეოდალური ხანა), სადოქტორო დისერტაცია (ხელნაბეჭდი), თბ., 1972, გვ. 137, 138).

[2] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, წიგნი, I, თბ., 1960, გვ. 254, 274, 425:

[3] სიმ. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი, გეორგიკა II, თბ., 1965, გვ. 208—210, სქოლიო; ოგივე აზრი აქვს გაზიარებული გ. მელიქიშვილს (Г. А. Меликишвили, К истории древней Грузии, Тб., 1959, გვ. 68) და ნ. ლ ო მ ო უ რ ს (ნ. ლ ო მ ო უ რ ი, ეგრისის სამეფოს ისტორია, თბ., 1968, გვ. 76, 77).

ვი, თუმცა ფორმალურად იგი მუხირეზისის ფარგლებს გარეთ ითვლებოდა. პოლიტიკური ცენტრის მცირეოდენად განზე გაწევა ძირითადი რაიონიდან ღრმა ისტორიული მიზეზებით აიხსნება, რის შესახებაც ავტორს სხვაგან ექნება საუბარი"[4]. სხვა ნაშრომში სიმ. ჯანაშიას „სამოქალაქო — მუხერისის" სანახებში შეჰყავს ზესტაფონ-ჩხარის რაიონებიც[5].

ნ. ბერძენიშვილის ვარაუდით: „... ცუცხვათი (ოკრიბა) აღმოსავლეთით, ქუთაისი შუაში და ხომულის ქვეყანა დასავლეთით ქმნიდნენ მოხირისს"[6].

უკანასკნელ ხანებში მუხირისის მხარის საზღვრების საკითხს შეეხო დ. მუსხელიშვილი: „... მოხირისის ძირითადი ტერიტორია პროკოპი კესარიელის მიხედვით შემოფარგლულია მდ. რიონითა და ცხენისწყლით და ამ უკანასკნელის მარჯვენა მხარეზეც გადადის"[7].

ამრიგად, მკვლევართა უმრავლესობა (სიმ. ყაუხჩიშვილი, გ. მელიქიშვილი, ნ. ლომოური) მუხირისის მხარეს ძირითადად მდ. ცხენისწყლითა და რიონით შემოფარგლავს, თუმცა ზოგჯერ, მუხირისის საზღვრები ამ მდინარეთა გარეთაცაა ნავარაუდევი (სიმ. ჯანაშია, ნ. ბერძენიშვილი, დ. მუსხელიშვილი);

1.2. მუხირისის საზღვრების ზუსტი განსაზღვრა საკმაოდ რთული საქმეა. შედარებით უეჭვოა, რომ დასავლეთი საზღვარი მართლაც მდ. ცხენისწყალზე გადიოდა (შდრ. პროკოპი კესარიელი, BG, VIII,1);

საინტერესოა, რომ შედარებით გვიანდელი ტრადიციის თანახმად, რომელიც ვახუშტი ბაგრატიონთანაა შემონახული, ლეონ II (VIII ს-ის მეორე ნახევარში) „ეგრის-აფხაზთა" სამეფო დაყო რვა საერისთავოდ: აფხაზეთის, ცხომის, ეგრისის, გურიის, რაჭა-ლეჩხუმის, სვანეთის, არგვეთის და ვაკე იმერეთისა (ცენტრით ქუთაისში). ეს უკანასკნელი მოიცავდა: „... ქუთათის ვაკისა, ოკრიბისა და ხანის წყლის დასავლეთისა გურიამდე და რიონის დასავლით ცხენისწყლამდე"[8]. ე. ი. ვახუშტისეული ქუთაისის საერისთავოს დასავლეთი საზღვარი მდ. ცხენისწყალზე გადიოდა. ფიქრობენ, რომ ქუთაისის საერისთავო უშუალო მემკვიდრე იყო იმ ისტორიულ-გეოგრაფიული ერთეულისა, რომელიც ადრე მუხირისის სახელით იყო ცნობილი[9].

გაცილებით რთულია მუხირისის მხარის აღმოსავლეთი საზღვრის საკითხი. ჩვენ არ მიგვაჩნია მართებულად ასეთად მდ. რიონის დასახელება, რადგან წერილობითი წყაროების მიხედვით გვექმნება შთაბეჭდილება, რომ მუხირისის მხარე მდ. რიონის აღმოსავლეთითაც ვრცელდებოდა და იგი თითქოს უშუალოდ იბერიას ესაზღვრებოდა. ასე მაგ., აგათიას ცნობებით: ფასისთან უკუგდებული სპარსელები, დასაზამთრებლად მუხირისიდან პირდაპირ გადადიან იბერიაში (III, 28); ასევე სპარსელთა დაავადებული სარდალი მერმეროე თავისი ლაშქრის ნაწილს მუხირისში ტოვებს და თვითონ იბერიაში მიემგზავრება (II, 22); მეორე მხრივ, იბერიაში მყოფი სპარსელთა სარდალი ნახორაგანი აუწყებს მუხირისში დაბანაკებულ ლაშქარს, რომ მოკლე ხანში მოვა

---

[4] სიმ. ჯანაშია, ეგრისის სამეფოს წარმოშობა, შრ. II, თბ., 1952, გვ. 320—221.

[5] სიმ. ჯანაშია, ფეოდალური რეფორმაცია საქართველოში, თბ., 1935, გვ. 91, 114.

[6] ნ. ბერძენიშვილი, ლაზიკის ისტორიული გეოგრაფიისათვის, ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის მასალები, თბ., 1958, გვ. 30.

[7] დ. მუსხელიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 139.

[8] ვახუშტი, ისტორია, ჩუბინოვის გამოცემა, სპბ., 1854, გვ. 178; შდრ. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. II, თბ., 1973, გვ. 419.

[9] შდრ. დ. მუსხელიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 478.

დასახმარებლად (III, 6); ხოლო სხვა ადგილას ნათქვამია: სპარსელები „... დაძრულიყვნენ იბერიიდან და მუხირისის მახლობლად მდებარე ქალაქებიდან“ (IV, 13);

ამრიგად, აგათიას ცნობებში მუხირისი და იბერია ერთმანეთის მეზობლებადაა წარმოდგენილი. შესაბამისად, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მუხირისი იბერიისაგან სკანდა-შორაპნის ხაზით იყო გამოყოფილი[10]. და მას აღმოსავლეთით, გარკვეული დროიდან იბერიის შემადგენლობაში მოქცეული, არგვეთის საერისთავო ემეზობლებოდა[11].

ამრიგად, მუხირისად ახ. წ. VI საუკუნეში იწოდება დასავლეთ საქართველოს ის ნაწილი, რომელიც მდ. ცხენისწყალსა და სკანდა-შორაპნის სასაზღვრო ხაზს[12] შორის იყო მოქცეული.

2.1. ბიზანტიურ წერილობით წყაროებში დაცული ცნობების თანახმად მუხირისი მჭიდროდაა დასახლებული სოფლებითა და „შესანიშნავი ქალაქებით“. პროკოპის ცნობით: „... კოლხიდის მიწაწყალზე ის საუკეთესო მხარეს წარმოადგენს: ღვინოც კარგი მოდის და სხვა ნაყოფნიც კარგად ხარობენ“ (BG, VIII,14), რაც ამ მხარის („ქვეყნის“) ეკონომიურ სიძლიერეს მოწმობს. საგანგებოდაა აღსანიშნავი, რომ ბიზანტიელი ისტორიკოსი ეკონომიურად განასხვავებს მუხირისს ლაზიკისაგან. ის ორგზის აღნიშნავს: „ლაზიკეში არსად არ არის მარილი, არც ხორბლეული მოდის, არც სხვა რამ სიკეთე“ (BP, II,15, 28); ხოლო მუხირისი, როგორც უკვე აღინიშნა: „საუკეთესო მხარეს წარმოადგენს, ღვინოც კარგი მოდის და სხვა ნაყოფნიც კარგად ხარობენ“ (BG, VIII,14).

პროკოპი კესარიელი, როგორც ვხედავთ, ეკონომიური თვალსაზრისით მკვეთრად განასხვავებს მუხირისსა და ლაზიკეს. კიდევ მეტი! მუხირისი ზოგ-

---

[10] უძველესი პერიოდიდან სკანდა-შორაპნის სასაზღვრო ხაზი მიღებულია იბერია-კოლხეთის გამყოფ ხაზად (ს ი მ. ჯ ა ნ ა შ ი ა, იბერიის (ქართლის) სამეფოს პოლიტიკური გეოგრაფიისათვის უძველეს პერიოდში, შრ. II, თბ., 1952, გვ. 253; მ ი ს ი ვ ე, საქართველო ადრინდელი ფეოდალიზაციის გზაზე, თბ., 1937, გვ. 104; ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 21, 42; ნ. ლ ო მ ო უ რ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 30, 31; გ. ც ქ ი ტ ი შ ვ ი ლ ი ვარაუდობს საზღვრის მონაცვლეობას სხვადასხვა პერიოდში და მას ქართლისა და ეგრისის პოლიტიკური ურთიერთობით ხსნის (გ. ც ქ ი ტ ი შ ვ ი ლ ი, ანტიკური ხანის შორაპნის საერისთაოს საკითხისათვის, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული, II, თბ., 1964, გვ. 76—87);

დაახლოებით შორაპანთან გადის საზღვარი იბერია-ეგრისს შორის VII ს-ის სომეხი გეოგრაფის რუკის მიხედვით (იხ. Армения по «Ашхарацуицу», армянской географии VII века, автор карты С. Т. Е р е м я н. იხ. აგრეთვე, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. II, თბ., 1973, გვ. 96 (რუკა).

[11] დ. მ უ ს ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი ს განსაზღვრით: „არგვეთი ანუ მარგვისი, რომელიც ეგრისის სამეფოს ივერიისაგან ჰქონდა წაღებული, აღმოსავლეთით ლიხის ქედით ისაზღვრებოდა, სამხრეთით ფერსათის ქედით, ჩრდილოეთით მას რაჭა ემიჯნებოდა, რომელიც ხშირად მასთან ერთად იყო გაერთიანებული ერთი საერისთავოს სახით (საერისთაო „მარგვისა და თაკუერისა“). დასავლეთით კი არგვეთის პროვინციის საზღვარი უნდა გასულიყო დაახლოებით სკანდისა და შორაპნის ციხეთა ხაზზე“ (დ. მ უ ს ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 126). პატ. მკვლევარი იზიარებს გ. ც ქ ი ტ ი შ ვ ი ლ ი ს მოსაზრებას და ფართოდ გაგებულ არგვეთის პროვინციაში გულისხმობს, აგრეთვე, ციხესიმაგრე დიმნას და ქალაქ ვარდციხეს (იქვე, გვ. 127).

[12] საინტერესოა, რომ სკანდის მახლობლად ტყიბულის რაიონში დღემდეა შემორჩენილი ტოპონიმი მუხურა, როგორც სოფლის სახელწოდება. ამ სოფლის სახელს იხსენიებს ვახუშტი ბაგრატიონიც: სკანდას ზეით „...ზესაზედ არს დაბა მუხურა... მუხურიდამ გარდავალს გზა, გვარჯილის მთაზედ, რაჭას“ (ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თ. ლ ო მ ო უ რ ი ს ა და ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი ს რედაქციით, თბ., 1954, გვ. 154).

ჯერ ლაზიკესადმია დაპირისპირებული და დამოუკიდებელ ერთეულადაა წარმოდგენილი. ბიზანტიელი ისტორიკოსი ერთგან აღნიშნავს: „...მერმეროე სპარსელთა და ჰუნთა მთელი ჯარით დაიძრა მოხირისიდან და ლაზთა სიმაგრეების წინააღმდეგ გაემართა-ო“ (BG, VIII,17); შეიძლება ისეთივე ნიუანსი ჰქონდეს აგათიას მიერ აღწერილ დიალოგს, რომელიც ნესოსში[13] მყოფ ბიზანტიელ სარდალ მარტინესა და ირანელ ნახორაგანს შორის გაიმართა: მარტინე ურჩევს ნახორაგანს, უკეთესი იქნება „... რაც შეიძლება მალე გადახვალ იბერიაში, მე კი მუხირისში წავალ“ (III, 19);

ლაზიკესა და მუხირისის ერთმანეთისაგან დამოუკიდებელ ერთეულებად გამოცხადება, როგორც ჩანს, პოლიტიკური ვითარებით იყო განპირობებული: ძველი ლაზიკეს დასავლეთი ნაწილი („არქეოპოლისის ქვეყანა“) ბიზანტიელებს ეპყრათ და მას ტრადიციულად ლაზიკეს უწოდებენ, ხოლო აღმოსავლეთი ნაწილი — მუხირისად წოდებული — ირანელთა გავლენას ემორჩილებოდა[14].

2.2. უკვე ახ. წ. VI საუკუნეში მუხირისი ეთნიკურადაც განსხვავდებოდა ძველი ლაზიკის დასავლეთი ოლქებისაგან, სადაც ძირითადად მოსახლეობას მეგრულ-ჭანური (ზანური) მოსახლეობა წარმოადგენდა[15]. აკად. გ. მელიქიშვილმა ყურადღება მიაქცია პროკოპი კესარიელის ერთ მრავალმხრივ საინტერესო ცნობას: „ქალაქ აფსარუნტიდან ქალაქ პეტრამდე და ლაზთა საზღვრამდე, სადაც ევქსინის პონტო თავდება, ერთი დღის სავალი გზა არის. პონტო რომ თავდება აქ, ჰქმნის ნახევარმთვარის მსგავს ნაპირს. ამ ნახევარმთვარის გადასავალი უდრის ხუთასორმოცდაათ სტადიონს, ხოლო მის უკან მდებარე მთელი ქვეყანა არის ლაზური და ასეც იწოდება. ამათ შემდეგ შიდა ხმელეთში მოდის სკვიმია და სვანია, ეს ტომები ლაზთა ქვეშევრდომები არიან. იქაურ მცხოვრებლებს მთავრებად ჰყავთ თვის ტომთაგანნი, ხოლო როდესაც მთავარს აღსასრულის დღე მიადგება, მათ ჩვეულებრივ მეორე მთავარი ენიშნება ლაზთა მეფის მიერ. ამ ქვეყნის გვერდით, სახელდობრ იბერიის გასწვრივ ცხოვრობენ ძველთაგანვე იბერთა ქვეშევრდომი მესხები, რომელთაც მთებში აქვთ საბინადრო ადგილები. მესხეთის მთები არც მწირია და არც ნაყოფიერებას მოკლებული, არამედ სავსეა ყოველგვარი სიკეთით, რადგან მესხებიც მარჯვე მიწის მუშები არიან და იქ ვენახებიც არის. ამ ქვეყანაში მთები მეტად მაღალია, უზარმაზარი და საშინლად მიუვალი. და ისინი გავრცელებულია ვიდრე კავკასიის მთებამდე. ამათ უკან აღმოსავლეთით არის იბერია, რომელიც პერსარმენიელებამდე აღწევს“ (BG, VIII, 2).

ამ ცნობის საფუძველზე, გ. მელიქიშვილი ლაზთა და იბერთა შორის მცხოვრები „მოსხების“ ადგილსამყოფელად მიიჩნევს დასავლეთ საქართველოს შიდა, მთიანი რაიონების, იმერეთისა და მთიანი გურია-აჭარის მოსახლეობას და აქ ლაზებისაგან განსხვავებულ მოსახლეობაში ქართისენოვან

---

[13] სიმ. ყაუხჩიშვილის განსაზღვრით ნესოსი მდებარეობდა სენაკის (ცხაკაია) რაიონში, მდ. ტეხურის შესართავთან, სადაც სოფელი ისულაა (სიმ. ყაუხჩიშვილი, გეორგიკა, II, თბ., 1965, გვ. 98, სქოლიო).

[14] შდრ. პროკოპი კესარიელი, BG, VII, 14; აგათია, IV, 9; მენანდრე, ფრგ. 3.

[15] დაწვრ. იხ. Г. А. Меликишвили, К истории древней Грузии, გვ. 66 და შმდ. გ. მელიქიშვილი, საქართველოს, კავკასიის და მახლობელი აღმოსავლეთის უძველესი მოსახლეობის საკითხისათვის, თბ., 1965, გვ. 90.

[16] იქვე, გვ. 91.

მოსახლეობას ვარაუდობს[16]. ამასთან, ძალზე საინტერესოა, რომ გ. მელიქიშვილი „მოსხების“ ქვეყნის აღწერას უდარებს „მოხირისისას“ და სამეურნეო-ეკონომიური თვალსაზრისით სამართლიანად ხედავს მათ შორის მსგავსებას[17], რაც „მუხირისის ქვეყანაში“ არალაზური (არა მეგრულ-ჭანური), ქართისენოვანი მოსახლეობის პირდაპირ საბუთად შეიძლება იქნეს მიჩნეული[18].

ამრიგად, ახ. წ. VI საუკუნისათვის მუხირისის ქვეყნის ეთნიკურ შემადგენლობაში ქართისენოვან მოსახლეობას მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა და უნდა ვივარაუდოთ, რომ ამ მომენტსაც[19] გარკვეული როლი უნდა შეესრულებინა მუხირისის დამოუკიდებელ ისტორიულ-გეოგრაფიულ ერთეულად ჩამოყალიბებაში. მით უფრო, რომ როგორც პროკოპი კესარიელის აღწერილობიდან ჩანს, იგი ერთ მთლიან, ლაზიკისაგან განსხვავებულ ეკონომიურ რაიონს წარმოადგენდა, ხოლო VI ს-ის პოლიტიკურმა ვითარებამ დააჩქარა მისი ლაზიკესაგან განცალკევების პროცესი.

2.3. შემდგომში მუხირისის საფუძველზე, როგორც ჩანს, წარმოიქმნა ქუთაისის საერისთავო, რომლის ცენტრი იყო ქალაქი ქუთაისი[20]. სწორედ ქუთაისი წარმოადგენდა ბუნებრივ ცენტრს იმ მძლავრი და უმდიდრესი ეკონომიური რაიონისას, რომლის ბაზაზე შეიქმნა ადრე ფეოდალური საქართველოს „ეგრის-აფხაზთა“ სამეფოს მოწინავე პოლიტიკურ-ადმინისტრაციული ერთეული, „სამოქალაქოს“ სახელით რომ იყო ცნობილი: „ქუთაისის სამოქალაქო“ („მატიანე ქართლისა“)[21] ან მარტივად „სამოქალაქო“ („დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი“, „ლაშა-გიორგის დროინდელი მემატიანე“, „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“)[22] წარმოადგენდა დამოუკიდებელ პოლიტიკურ-ადმინისტრაციულ ფეოდალურ ერთეულს, შესაძლოა სამეფო დომენსაც კი[23], რომელიც თვალსაჩინოდ ფიგურირებდა დასავლეთ საქართველოს („ეგრის-აფხაზთა“) სამეფოს შემადგენელ ცალკე ფეოდალურ ერთეულთა შორის და ერთ-

---

[17] Г. А. Меликишвили, К истории древней Грузии, გვ. 68.

[18] ამ პროცესს გ. მელიქიშვილი ახ. წ. III-IV საუკუნეების მოვლენად მიიჩნევს და ლაზიკას ამ დროისათვის განიხილავს, როგორც „ქართ-ზანურ-გაერთიანებას (გ. მელიქიშვილი, საქართველოს..., გვ. 92). ნ. ბერძენიშვილიც შენიშნავდა „იბერიის არგვეთში პოლიტიკურად გაბატონებას და ეთნიკურად უფრო ღრმად შეჭრას ეგრისში“ (ნ. ბერძენიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 22); ხოლო დ. მუსხელიშვილი წყაროების ანალიზის საფუძველზე ასკვნის, რომ მუხირისის მხარე უკვე VIII საუკუნისათვის ეგრისისაგან გამოცალკევებულად ჩაითვლება, ხოლო მოსახლეობა ეთნიკურად გაქართებულადო. თუმცა, როგორც თვით აღნიშნავს: „ქართიზაციის პროცესი უძველესი დროიდანვე იწყება, მაგრამ ძლიერი გარდატეხა ეგრისის მოსახლეობის ეთნიკურ შემადგენლობაში VII—VIII საუკუნეების შედეგი უნდა იყოს (დ. მუსხელიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 389); ძალზე საინტერესოა დ. მუსხელიშვილის მოსაზრება, რომ: „...უძველესი დროიდანვე (V ს-დან) ეგრისის აღმოსავლეთ ნაწილში ოფიციალური ქრისტიანული კულტი ქართულ ენაზე სრულდებოდა, განსხვავებით მისი დასავლეთი ნაწილისაგან, სადაც ღვთისმსახურება ბერძნულად იყო“ (იქვე, გვ. 492).

[19] ოთ. ლორთქიფანიძის აზრით, კოლხეთის აღმოსავლეთ ოლქებში ქართისენოვანი მოსახლეობის (მესხების) კოლონიზაცია ძვ. წ. III საუკუნიდან იწყება (О. Д. Лордкипанидзе, К локализации τὸ τῆς λευκοθέας εἶρόν, Вестник древней истории, 1972, № 2, გვ. 112 და შემდ.).

[20] ვახუშტი, ისტორია..., გვ. 178; შდრ. დ. მუსხელიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 488;

[21] ქართლის ცხოვრება, სიმ. ყაუხჩიშვილის რედაქციით, ტ. I, თბ., 1955, გვ. 299.

[22] იქვე, გვ. 319, 367; ტ. II, თბ., 1959, გვ. 49.

[23] ქ. ჩხატარაიშვილი, ქართული ფეოდალური სამხედრო ორგანიზაციის ისტორიიდან, მაცნე, № 4, 1971, გვ. 132—139.

ერთი ცენტრალური და წამყვანი ადგილი ეკავა[24]. ხოლო კიდევ უფრო გვიან (XV ს-ში) ის ტერიტორია, რომელსაც „სამოქალაქო“ ერქვა[25], ხდება იმერეთის სამეფოს ძირითადი ბირთვი.

2.4. უნდა ვიფიქროთ, რომ მუხირისის დამოუკიდებელ ისტორიულ-გეოგრაფიულ ერთეულად ჩამოყალიბება დაიწყო გაცილებით ადრე და რომ ძველად (მაგ. ანტიკურ ხანაში) იგი ქუთაისის „ქვეყნის“ სახელით მოიხსენიებოდა. ამ თვალსაზრისითაა საინტერესო აპოლონიოს როდოსელის „არგონავტიკაში“ (IV, 511), მოხსენიებული სახელწოდება „Γαῖα Κυταίδος“ ასე რომ „ქუთაისის ქვეყანა“, „მუხირისი“, „ქუთაისის საერისთავო“, „ქუთაისის სამოქალაქო“ და ა. შ. ერთი და იმავე ისტორიულ-გეოგრაფიული ერთეულის სახელწოდებანია, მაგრამ სხვადასხვა ეპოქებისა და სხვადასხვა სოციალ-ეკონომიურ და პოლიტიკურ საფუძვლებზე აღმოცენებული.

3.1. მუხირისის მხარის („ქვეყნის“) სახელწოდება, როგორც ჩანს, მომდინარეობს ასეთივე სახელის გეოგრაფიული პუნქტისაგან, რომელიც უთუოდ ქალაქს, ციხე-ქალაქს თუ რაღაც მნიშვნელოვან ცენტრს წარმოადგენდა. ამ მხრივ საინტერესოა პროკოპი კესარიელის ერთი ცნობა, სადაც „მოხირისი“ როდოპოლისის მსგავსად ქალაქად იხსენიება: ლაზიკაში „... ყველაზე შესანიშნავი ქალაქები კი მაინც არის აქ როდოპოლისი და მოხირისი“ (BP, II,29); ხოლო სხვა ადგილას პროკოპი აღნიშნავს: არქეოპოლისიდან გამობრუნებულმა სპარსელებმა „ქოთაისისა და მოხირისისაკენ დაიხიეს“ (BG, VIII, 17); ასევე აგათიაც მუხირისს ზოგჯერ ქუთაისთან ერთად იხსენიებს და ასეთ შემთხვევაში, თითქოს, აგრეთვე, გეოგრაფიული პუნქტის (და არა მხარის) მნიშვნელობით: „მერმეროე კვლავ მოვიდა მუხირისსა და კოტაისის ციხეში“ (II, 19); „მერმეროე კვლავ დაბრუნდა კოტაისსა და მუხირისში“ (II, 22); ან კიდევ, რომ „სპარსელები იმყოფებიან მუხირისსა და კოტაისში“ (III, 6) და ა. შ.

ამავე სახელწოდების პუნქტი უფრო ადრეც (V ს.) იხსენიება „Notitia dignitatum“-ში[26]: ლაზიკის სიმაგრეებს შორის დასახელებულია „მოხორა“, სადაც იდგაო ბიზანტიელთა ერთი კოჰორტა[27].

VI ს-ის პირველი ნახევრის ცნობებში სახელწოდება მუხირისი გვხვდება ციხესიმაგრის აღმნიშვნელად. ესაა „იუსტინიანეს ნოველები“, სადაც ჩამო-

---

[24] ქართლის ცხოვრება, ტ. I, გვ. 319, 367.

[25] რომ „სამოქალაქოს“ ტერიტორია ემთხვეოდა უფრო ადრინდელი ხანის მუხირისს, ჩანს დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის ერთი ცნობიდან, სადაც „სამოქალაქო“, არგვეთსა და ჭყონდიდს („არქეოპოლისის ქვეყანა“) შორისაა დასახელებული: „და დღესა ივანობისასა ასისფრონი და კლარჯეთი ზღვის პირამდის, შავშეთი, აჭარა, სამცხე, ქართლი, არგუეთი, სამოქალაქო და ჭყონდიდი აღივსო თურქითა“ („ქართლის ცხოვრება“, I, გვ. 319).

[26] «Notitia dignitatum» ანუ „ნუსხა ყველა თანამდებობისა და მმართველობისა, როგორც სამოქალაქო ისე სამხედროსი, აღმოსავლეთისა და დასავლეთის მხარეებში“. ამ ნუსხაში დასახელებულია ის გეოგრაფიული ადგილები, სადაც ბიზანტიელთა სამხედრო ნაწილები იდგა. ნუსხა შედგენილია V ს-ის დასაწყისში (დაახ. 413—415 წწ.); (აღ. გამყრელიძე, სიმ. ყაუხჩიშვილი, გეორგიკა, I, 1961, გვ. 175);

[27] „მოხორა“ ამ ძეგლის მთარგმნელებსა და კომენტატორებს ბიზანტიელი მწერლების „მოხირისად“ მიაჩნიათ (იქვე, გვ. 178); ადონცის მიხედვით „მოხორა“ ზიგანეს აღმოსავლეთით მდებარეობს ზიგანეონი კი VII ს-ის სომხური გეოგრაფის რუკაზე დაახლოებით დღევანდელი აბაშის ადგილზეა აღნიშნული (იხ. Н. Адонц, Армения в эпоху Юстиниана, 1908, გვ. 100). თუმც ბოლო ხანებში ზიგნეონი სოფ. გუდავასთან იქნა გაიგივებული ზღვის სანაპიროზე, ხოლო ვ. ლექვინაძე მოხორას სოჭის მახლობლად ეძებს (იხ. В. Леквинадзе, Монументальные памятники Западной Грузии, автореферат, М., 1973, გვ. 10, 17).

თვლილია ლაზიკის ციხესიმაგრეები: „... სკანდისი, სარაპანისი, მუ(ხი)რისი და ლისირი“ (novella XXXI)[28].

ბიზანტიელ მწერალთა მთარგმნელსა და კომენტატორს აკად. სიმ. ყაუხჩიშვილს[29] მუხურისად მიაჩნია ახ. წ. VII ს-ის ცნობებში დაცული „მუკორისისი“ — ადგილი, სადაც გზად გაიარეს ლაზეთში გადასახლებულმა მაქსიმე აღმსარებლის თანამოაზრეებმა ანასტასი ბერმა და ანასტასი აპოკრისიარიმ, როდესაც ისინი სვანეთისა და თაკვერიის ციხეში მოჰყავდათ[30].

როგორც ვხედავთ, წერილობითი წყაროები მუხირისის სახელწოდებით არა მარტო მხარეს, არამედ, მნიშვნელოვანი გეოგრაფიული პუნქტის არსებობასაც გვიდასტურებენ (V—VII სს.)[31]. მისი ლოკალიზება ჯერ კიდევ გასულ საუკუნეში სცადა ფრანგმა მეცნიერმა დიუბუა დე მონპერემ, რომელმაც გეგუთის ციხე-დარბაზის ნანგრევები მუხურისთან გააიგივა[32]. ეს მოსაზრება გაიზიარეს აკად. კ. კეკელიძემ[33] და სხვა მეცნიერებმა[34]. მაგრამ ვიდრე გეგუთის ტერიტორიაზე XII საუკუნეზე[35] ადრეული ნაშთები არ აღმოჩენილა, ასეთი ვარაუდი რეალურ საფუძველს მოკლებულია[36]. გამოთქმულია, აგრეთვე, მოსაზრება მუხირისის, როგორც გეოგრაფიული პუნქტის, დღევანდელ დაბლაგომთან (სამტრედიის სამხრეთით 10 კმ-ის დაცილებით, რიონის მარცხენა ნაპირზე) ლოკალიზაციის შესახებ. კერძოდ, აკად. სიმ. ყაუხჩიშვილი წერს: „ქუთაისი და მოხირისი ერთ სტრატეგიულ ხაზზე მდებარეობენ; უკეთ რომ ვთქვათ რიონზე (ქუთაისში) დაბანაკებული ჯარისათვის მოხირისი, მატერიალურ, სასურსათო ბაზას წარმოადგენს — ამ რაიონში დღეს ეს სახელწოდება „მოხირისი“ (მუხირისი) თითქოს აღარ ჩანს (შესაძლებელია ამის გადანაშთს წარმოადგენდეს სოფელ „მუხიანის“ სახელწოდება), მაგრამ 1930 წელს ნ. ბერძენიშვილის მიერ ადგილობრივ ჩატარებულმა წინასწარმა კვლევამ ამ მხრივ საგულისხმო შედეგი მოიტანა, სახელდობრ, სწორედ ზემოაღწერილ მხარის მიდა-

---

[28] სიმ. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი, გეორგიკა, II, 1965, გვ. 36.

[29] იქვე, IV, ნაკვ. I, თბ., 1941, გვ. 43 და 53 სქოლიო.

[30] დასავლეთ საქართველოს ტოპონიმიკაში საკმაოდ მრავლადაა შემორჩენილი სახელწოდება „მუხური“, სოფელი (და ციხე) ჩხარის რაიონში, აგრეთვე, მახარაძის რაიონში, ჩხოროწყუს რაიონში მდ. ხობის სათავეებში, ზუგდიდის რაიონში მდ. ენგურის მარჯვენა ნაპირზე და გალის რაიონში მდ. ოქუმის შუა წელზე (დ. მ უ ს ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 138).

[31] ახ. წ. II, ს-ის ბერძენი გეოგრაფოსის კლავდიოს პტოლემაიოსის „გეოგრაფიულ სახელმძღვანელოში“ მოხსენიებული პუნქტის „მეხლესისის“ (Μεχλεσος) გაიგივება მუხირისთან შესაძლებლად მიაჩნია ნ. ლ ო მ ო უ რ ს („ეგრისის სამეფოს ისტორია“, თბ., 1968, გვ. 50—51).

[32] D u b o i s d e M o n t p e r e u x, Voyage autour du Caucase, t. II, Paris, 1839, გვ. 200—210.

[33] კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, VII, 1961, გვ. 29.

[34] ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე, საისტორიო კრებული, წ. III, გვ. 114; ელ. ჩ ა ქ ვ ე ტ ა ძ ე, გეგუთის ციხე-დარბაზი, თბ., 1958, გვ. 25.

[35] როგორც ცნობილია, გეგუთის ციხე-დარბაზის მშენებლობა გიორგი III და თამარის მეფობის ხანას განეკუთვნება.

[36] თუმცა ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი შენიშნავდა: „გეგუთის სასახლის მეცნიერულ-ისტორიული შესწავლით შეიძლება რეალური სურათი აღვადგინოთ საქართველოს მეფის და მისი კარის ცხოვრებისა... მაგრამ მე დღეს სხვა რამ მაინტერესებს: ხომ არ არის ეს ადგილი — „გეგუთი“ — ძველ კოლხ მეფეთა აგდილსამყოფელი“ (ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის მასალები, თბ., 1968, გვ. 25).

მოებში. ხოლო რიონის მარცხენა ნაპირას, კულაშ-ეწერის პირდაპირ მდებარე ადგილებს, რომლებიც ზედ მთის ფერდობებს ებჯინება სოფ. დაბლაგომთან, დღესაც მუხურს ეძახიან და მის აღმოსავლეთით 4—5 კმ. მანძილზე მუხურის ციხეც მდებარეობს"[37]. სამწუხაროდ, ჩვენ დაბლაგომსა და მის მახლობლად ვერც ტოპონიმი მუხური დავადასტურეთ და ვერც მუხურის ციხეს მივაკვლიეთ[38]. ამას გარდა, მუხურისის ლოკალიზაცია ამ რაიონში (მდ. რიონის სამხრეთით) ძალზე საეჭვოა. ასე, რომ, მუხურისის როგორც გეოგრაფიული პუნქტის ლოკალიზაციის საკითხი ჯერჯერობით ღიად რჩება. მაინც საფიქრებელია, რომ იგი, სადღაც ქუთაისთან ახლოსაა საძიებელი[39].

---

[37] სიმ. ყაუხჩიშვილი, გეორგიკა, II, თბ., 1934, გვ. 178; აღნიშნული მოსაზრება გაიმეორა დ. მუსხელიშვილმაც (დასახ. ნაშრომი, გვ. 125).

[38] როგორც ცნობილია, დაბლაგომში ძვ. წ. I ათასწლეულის დასასრულზე უფრო გვიანდელი ძეგლები ჯერ აღმოჩენილი არაა. იხ. В. А. Толордава, Археологические раскопки в Даблагоми в 1970 году, Тезисы докладов, посвященных итогам полевых археологических исследований в 1970 году р СССР, Тб., 1971, გვ. 183—184; ვ. თოლორდაია, არქეოლოგიური გათხრები დაბლაგომში 1971 წ., თბ., 1972, გვ. 34—35; მისივე, არქეოლოგიური გათხრები დაბლაგომში, საველე-არქეოლოგიური კვლევა-ძიება 1972 წ., თბ., 1973, გვ. 69—73.

[39] ყურადღებას იქცევს, რომ თუ აგათიასთან მუხირისი ქუთაისთან კონტექსტში იხსენიება (II, 19, 22, III, 6 და სხვ.), პროკოპი კესარიელთან ასეთად უქმერიონი ჩანს. მეორე მხრივ, ქუთაისის სანახებში ორი ქალაქის არსებობაზე სხვა წყაროებიც მიუთითებენ. უფრო დაწვრილებით ეს და მასთან დაკავშირებული საკითხები სხვა ნაშრომში იქნება წარმოდგენილი.

დავით ჟღენტი

რამდენიმე ქართული ისტორიული საბუთი ფეოდალთა შინაკლასობრივ ბრძოლაზე XVII ს-ის II ნახევრის აღმოსავლეთ საქართველოში

ფეოდალურ საქართველოში შინაკლასობრივი ბრძოლის მიმდინარეობაზე (ფეოდალთა კლასის შიგნით) მნიშვნელოვან გავლენას ახდენდა საგარეო ფაქტორი: უცხო დამპყრობელი იყენებდა ფეოდალთა შინაკლასობრივ ბრძოლას თავისი ინტერესებისათვის, ცდილობდა გაეჩინა ქვეყნის შიგნით დასაყრდენი სოციალური ძალა. თავის მხრივ, თვით ფეოდალებიც იყენებდნენ უცხო ძალას თავიანთი ვიწრო-ფეოდალური ინტერესებისათვის — ეყრდნობოდნენ მას შინაკლასობრივ ბრძოლებში. ამრიგად, შინაკლასობრივი ბრძოლა გადახლართული იყო სხვადასხვა საგარეო ორიენტაციის დაჯგუფებებს შორის ბრძოლასთან.

შინაკლასობრივი ბრძოლა ფეოდალთა კლასში ატარებდა ძირითადად სამამულე ბრძოლის ხასიათს.

1632--1744 წლებში, როდესაც ქართლის სამეფო ტახტზე გამაჰმადიანებული მეფეები ისხდნენ, შინაკლასობრივი ბრძოლა მიმდინარეობდა ირანული და ანტიირანული ორიენტაციის დაჯგუფებათა დაპირისპირების საფუძველზე. განსაკუთრებით გამწვავდა ეს ბრძოლა კახეთის 1659 წლის აჯანყების შემდეგ.

სახეზე იყო შინაკლასობრივი ბრძოლის ყველა გამოვლინება: ბრძოლა სამეფო ხელისუფლებასა და ფეოდალურ ოპოზიციას შორის, სამეფო დინასტიის შიგნით, დიდ ფეოდალთა სახლებსა და თვით ფეოდალურ სახლებში — ცალკეულ ოჯახებს შორის, თავადებსა და აზნაურებს, ეკლესიასა და საერო ფეოდალებს, ეკლესიასა და მეფეს, ცალკეულ საყდრებსა და მონასტრებს შორის.

XVII ს-ის ქართული საისტორიო ძეგლები: ქართლის ცხოვრების გაგრძელებები, ვახუშტისა და ფარსადან გორგიჯანიძის ისტორიული თხზულებები, პარიზის ქრონიკა, ისტორიული პოემები (რომლებიც, ფაქტიურად, გალექსილ საისტორიო თხზულებებს წარმოადგენენ), საყურადღებო ცნობებს გვაწვდიან ამ პერიოდის შინაკლასობრივ ბრძოლებზე. მაგრამ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ამ მხრივ დოკუმენტური მასალა. მასში შემონახულია არა ერთი ფაქტი ფეოდალურ სახლებს შორის და თვით ფეოდალურ სახლებს შიგნით სამამულე ბრძოლისა და მეფის მონაწილეობის შესახებ ამ ბრძოლაში.

ფეოდალურ სახლებს შორის ბრძოლა მიმდინარეობდა სამამულე ნიადაგზე, აგრეთვე დიდი სახელმწიფო სახელოებისათვის. მეფე აქტიურად მონაწილეობდა ამ ბრძოლაში. განიხილავდა ფეოდალთა დავას ან პირადად, ან მისსავე მიერ შედგენილ სასამართლოსთან ერთად, ზოგჯერ კი წყვეტდა ამ დავას სასამართლოს გარეშე, თავისთვის სასურველი ფეოდალის სასარგებლოდ. ასევე იქცეოდა ის ფეოდალის სახლის შიგნით ცალკეულ ოჯახებს შორის ამტყდარი დავისა და ქიშპის გადაწყვეტისას. ხშირად ერთი და იმავე სახლის სხვადასხვა ოჯახი სხვადასხვა პოლიტიკური ორიენტაციის მატარებელი იყო, რაც იმაში გამოიხატებოდა, რომ მხარს უჭერდა ტახტის თავისთვის სასურველ პრეტენდენტს და ემხრობოდა სხვადასხვა საგარეო ძალას. ოჯახებს შო-

რის ბრძოლაში იმარჯვებდა ის მხარე, რომლის შინაპოლიტიკური და საგარეო ორიენტაციის მხარეზეც აღმოჩნდებოდა მეტი ძალა ამა თუ იმ პერიოდში.

ფეოდალური სახლის შიგნით ბრძოლას ხშირად მოსდევდა მისი გაყრა, რაც ასუსტებდა სახლს. მეფისათვის ეს, ერთი მხრივ, თითქოს სასარგებლო უნდა ყოფილიყო, რადგანაც დასუსტებული და დამცრობილი ფეოდალური სახლი უფრო იოლი დასამორჩილებელი იყო მისთვის, მაგრამ, მეორე მხრივ, მეფე მაინც დაინტერესებული იყო დიდი ფეოდალური სახლის გაუყრელობით, რადგანაც გაყრის შემთხვევაში იშლებოდა ერთი ადმინისტრაციულ-პოლიტიკური უჯრედი სახელმწიფო გამგებლობისა. ამ თვალსაზრისით საინტერესოა შაჰნავაზის ერთი საბუთი მდივანბეგ ერასტისადმი, სადაც მეფე ხაზს უსვამს, რომ სასურველია მისი საფეოდალო სახლის გაუყრელობა, მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ ეს სახლი მაინც გაიყრება, მეფე იძულებული იქნება დაეთანხმოს ამას: „თუ არ გაიყრებით ისი სჯობს, თუ გაიყრებით — ბატონი (ე. ი. მეფე) კიდევ პურს იშოვნის“[1].

შაჰნავაზი მონაწილეობს ბარათაშვილების სათავადო სახლისა და მათი განშტოებების სამამულე დავაში. ამის შესახებ ცნობებს გვაწვდიან XVII ს-ის 60—70-იანი წლების მთელი რიგი საბუთები. მაგალითად, 1661 წლის სამდივანბეგო სასამართლოს განჩინება გვამცნობს, რომ მდივანბეგ ედიშერს და მდივნებს, შაჰნავაზის ბრძანებით, გაურიგებიათ სამამულე დავა გიორგი ბარათაშვილსა და მისი ძმების: ბეჟანის, ერასტის, გივის და არეშიანისა[2]. 1662 წლის წყალობის წიგნით, შაჰნავაზი წყვეტს სამამულე დავას პაპუნა გოსტაშაბიშვილსა, თაყა საჩინოშვილსა და მათ განაყოფებს შორის ნასოფლარ გოხნარზე[3]. 1663 წლის წყალობის წიგნით, შაჰნავაზი ხოსია ბარათაშვილსა და მის ოჯახს უბოძებს მათი განაყოფის, გიორგი თურზაშვილის მიერ დაჭერილ ყმამამულს, იმის გამო, რომ გიორგიმ შაჰნავაზი მიატოვა მაშინ, როდესაც იგი ლაშქრობდა კახეთში თორღას ციხის ასაღებად: „ესე... სამკვიდრო და საბოლაო წიგნი გიბოძეთ თქუენ, ჩვენთა ერთგულთა და მრავალფერად ერთგულობით თავდადებით ნამსახურთა ყმათა ბარათაშვილს ხოსიასა, შვილთა თქვენთა... მას ჟამსა, ოდეს ბედნიერმა ყაენმან კახეთი ჩუენ გვიბოძა და კახთ დარბაისელთ თორღის ციხე გაგუიმაგრეს და შეყრილნი ჩუენ იმის ასაღებად მოვდიოდით და თქვენი განაყოფი თურზაშვილი გიორგი ალავერდიდამე დაგუიბრუნდა და იმის წყალობას დაგუეჯენით. ჩუენ ვისმინეთ აჯა და მოხსენება თქუენი, შეგიწყალეთ და გიბოძეთ ენაგეთს...“[4] 1670 წლის სასამართლო განჩინება გვამცნობს, რომ შაჰნავაზმა და მის მიერ დანიშნულმა გამრიგეებმა (კათალიკოსი, ბატონიშვილები — შაჰნავაზის ძენი, ბატონიშვილები — მუხრან-ბატონის შვილები, მთავარეპისკოპოსი, ამილახორი, სახლის-უხუცესი, ტფილელი, ბოვნელი, მეჯინიბეთუხუცესი) განიხილეს და გაარიგეს ყაფლან ბარათაშვილისა და მისი სახლის სამამულე დავა პაპუნა ვირშელიშვილსა და მის სახლთან. ეს დავა მიმდინარეობდა მთელი XVII საუკუნის 60-იანი წლების მანძილზე. ერთ ხანს ისინი შერიგებულან, მაგრამ შემდეგ ბრძოლა კვლავ გაგრძელებულა. პაპუნას გადაუწყვეტია ყაფლანისა და მისი ძმების თავისთან მიტყუება, მაგრამ ვერ მოუხერხებია, შემდეგ პაპუნას განუზრახავს ყაფლანის

[1] ხელნაწერთა ინსტ., Sd 647.

[2] საქართველოს ცენტრალური ისტორიული არქივი (შემდეგში: სცია), ფ. 1448, № 3266.

[3] ხელნაწერთა ინსტ., Hd 2533.

[4] სცია, ფ. 1450, დავთ. 11, საბ. 75.

ციხის ხელში ჩაგდება, მაგრამ ვერც ეს განზრახვა მოუყვანია სისრულეში. ამ ფაქტზე ცნობებს გვაწვდის 1664 წლის ორი საბუთი, სადაც პაპუნას ყოფილი ყმები ჩვენებას აძლევენ ყაფლანს თავიანთი ბატონის ზემოთ აღნიშნულ ზრახვებზე: „თქვენ და ბატონი ჩემი ზურაბის შვილი პაპუნა და მისნი ძმანი გარდაკიდებითა იყავით და ბატონი დედოფალი რომ შუა შემოვიდა და შეგარიგათ, თქვენს შვილებს დაპატიჟა პაპუნამ. და ჩემი ძმა ბატონის ჩემის დიაღ კაი ყმა იყო და იმას გაენდო, რომ ამათ დავსწამლავო და ჩემმა ძმამა ასე მოახსენა: ბატონო, ეგ რა ქართული არისო. და ეს ოთხნი ძმანი რომე დახოცონ, თემი და ქვეყანა რას გვეტყვისო, თუ ავატყოფობითა დაიხოცნენ, შენი რატომ არავინ მოკუდაო, თუ არა და რა დაემართათო? მაგას ყველა შეგიტყობსო. და ამ ქართულისთვის დაიჭირა ჩემი ძმა და ამდენი სცა, სულ ჭიპში სისხლი ამოსდიოდა და იმაზედა მოკუდა. და მასუკან გამოხდა ხანი, ორი სამი წელი გამოვიდა... ძღვენი მივართვი ბატონს ჩემს პაპუნას, კაზრეთის ბაღში იყო, თავის შვილი ასლანიც თან იახლა,... ასე მიბძანა მარტომა: ჩემო რევაზო... შენი სახლის კაცი ჩემის სახლის ნამსახური ... ყოფილაო და შენი ძმა ჩემს სამსახურზედ გარდეგო. და აწე შენც ერთ სამსახურს დაგპატიჟებ და შენ იცი, რას იქო: თუ ღმერთი გამიმარჯვებს, ჩემის შვილის ოდენად შეგინახავო. მე მოვახსენე: რას მიბძანებ მაგისთანას, რა არის რომე შემეძლოს და არა ვქნა მეთქვი. მერმე მიბძანა: ყაფლანის ციხეს შეეპარეო და ციხის თავი მოკალო და თუ რამ იყოს, გამოიტანეო... მერმე კიდევ მიბძანა: ჩემი ბაზიერი ამირა წაიტანეო და შენი ძმის წული გიორგიო... ბატონი პაპუნა ცხირეთს მეფესთან წავიდა, თავის ძმა ქაიხოსრო იქ იყო ნეფესთან და ისიც იქ მივიდა... მას უკან ის ციხე რომ ვერ ავიღეთ... გავმეღავნდით... ერთი კიდევ ესე, რომე ბიძაშვილმა იოსებ ხუცესმა თქუენი სასაფლაო გატეხა და ფიტარეთს ღმრთისმშობლის საქონელი გამრიტანა: თვალმარგალიტი, ბარძიმი, ფეშხუმი და დღესაც ხელთ აქს... ბატონს ჩემს ბევრს ვეხვეწე: როგორც გამრივე ამ საქმეში, ისეც მიშველე რამე მეთქი და ასე მიბძანა: წადი დაიკარგეო, მე ვერ გაგამაგრებო. რადგან იმან ვერა მიშველა რა, მეც ღონე აღარა მქონდა-რა და თუ რამ ვიცოდი, მოგახსენე[5]. ანალოგიურ ცნობას გვაწვდის პაპუნას მეორე ყმის 1664 წლის მოწმობის წიგნი[6]. პაპუნასა და ყაფლანის დავაზე შაპნავაზის მიერ 1670 წელს შეკრებილი სასამართლოს განჩინებით, სადაო მამული დარჩა ყაფლან ბარათაშვილის სახლს. გარდა ამისა: „რაც ერთმანეთს გლეხი ჰყუანდეს, ბატონის მოსაქმემ აუყაროს; თუ რამ ვალი ერთმანერთში ყმისა ემართოს, მიაცემინოს. ციხის ქურდობას რომე ბატონი ყაფლან პაპუნას ყმასა სწამობდა, ის კაცი თავისის ცოლშვილით ყაფლანისათვის დაგვინებებია. თუ რამ ნარბევი და დატაცებული იყო, ერთმანერთისათვის შეგვიფარდებია და ჩაგვირონინებია“[7]. ამ ცნობებიდან ნათლად ჩანს ფეოდალთა სამამულე ბრძოლის სურათი: ერთმანეთის ყმა-მამულის მითვისება, ციხის „ქურდობა“, რბევა და დატაცება.

---

[5] ხელნაწერთა ინსტ., Hd 10346.
[6] ხელნაწერთა ინსტ., Hd 1786.
[7] ხელნაწერთა ინსტ., Sd 534.

ჯავახიშვილების ერთ-ერთი საბუთი გვამცნობს, რომ, შაჰნავაზის ბრძანებით, სახლთხუცესმა ედიშერ ციციშვილმა გაარიგა გოშპარ ჯავახიშვილისა და მისი განაყოფის როინ ფარემუზიშვილის სამამულე დავა[8].

ეკლესიასა და ფეოდალურ სახლებს შორის ატეხილ სამამულე ბრძოლისა და ამ ბრძოლაში მეფის მონაწილეობის შესახებ ცნობებს გვაწვდის შაჰნავაზის 1659 წლის წიგნი. ამ საბუთის ცნობით, სახნავი მიწების გამო ატეხილ დავას კათალიკოსს, ელიზბარ ქსნის ერისთავსა და გივი ამილახორს შორის არიგებს მეფე და მის მიერ შედგენილი სასამართლო (ზაალ არაგვის ერისთავი, მთავარეპისკოპოსი, მდივანბეგი როინ ჯავახიშვილი, ბოქაულთუხუცესი ედიშერი, მდივანი ბირთველ თუმანიშვილი). სასამართლოს გადაწყვეტილებით სადაო მამული დარჩა გივი ამილახორს: „დღეის უკან ამილახორთან ამ საქმეზედ ქელი აღარა ჰქონდეს და... საბოლოოდ დარჩა ამილახორსა"[9].

საინტერესოა, რომ მეფე ერევა არა მარტო თავადების სამამულე ბრძოლაში, არამედ ხშირად თავადისა და მისი აზნაურების სამამულე ურთიერთობაშიც და, თუ საჭიროა, უშუალოდ აძლევს თავადის აზნაურებს სამამულე წყალობის წიგნებს. ასე რომ, მეფეს თავისი ვასალის ვასალი თავის ვასალადაც მიაჩნია. 1666 წლის ორ საბუთში დაცულია ცნობა პაპუნა ფავნელიშვილისა და ბაადურ მაჩაბლის ფეოდალურ სახლებს შორის ჩამოვარდნილი დავის შესახებ, რომელშიც მონაწილეობა მიუღიათ ფავნელიშვილის მსახურს მაისურაძეს და მაჩაბლის აზნაურს გამრეკლიძეს; ყარშა გამრეკლიძის შვილს ბეჟანს მოუკლავს მამუკა მაისურაძის ძმა ივანე; შემდგარა სასამართლო, რომელსაც დავა მაჩაბლის სასარგებლოდ გადაუწყვეტია და ფავნელიშვილის მსახური მაისურაძეც მისთვის ნასისხლად მიუკუთვნებია. სასამართლოს შემადგენლობა შემდეგი ყოფილა: მეფე შაჰნავაზი, კათალიკოსი, ბატონიშვილი კოსტანტინე (მუხრანბატონი), ზემო ქართლის სარდალი გივი ამილახორი, მდივანბეგი ედიშერ ქსნის ერისთვისშვილი, სახლთხუცესი სარდალი ზაზა ციციშვილი, ბოქაულთხუცესი ელიზბარი, თბილელი იოსებ საკაძე, ბოლნელი რევიშვილი, რევაზ ბარათაშვილი და მდივანი გიორგი თუმანიშვილი[10].

როგორც ვხედავთ, ფეოდალთა დავის გასარიგებლად შემდგარი სამეფო სასამართლო სხვადასხვა შემთხვევაში სხვადასხვა შემადგენლობისა ყოფილა, მაგრამ მასში, როგორც წესი, თითქმის ყოველთვის იყვნენ მდივანბეგი, ბოქაულთხუცესი, კათალიკოსი, ერთი ან ორი ეპისკოპოსი, მდივანი, აგრეთვე სადროშოების სარდლები (ზემო ქართლისა — ამილახვარი, მეწინავე სადროშოსი — ბარათაშვილ-ორბელიშვილი, სამეფო სადროშოსი — ციციშვილი, სამუხრანბატონო სადროშოსი — მუხრანბატონი[11]). ზოგჯერ რომელიმე სარდალი ამავე დროს სხვა სახელოსაც ფლობდა. (მაგალითად, ციციშვილი — სახლთხუცესობას, ბარათაშვილი — მეჯინიბეთუხუცესობას და სხვა) და ამ სახელოთი მოიხსენიებოდა სასამართლოს შემადგენლობაში.

სასამართლოს ასეთი შემადგენლობა ნათლად ასახავს მეფის მისწრაფებას, დაუქვემდებაროს და დაუმორჩილოს დიდ ფეოდალთა — თავადთა სამამულე მფლობელობის საკითხები ცენტრალური ხელისუფლების აპარატს:

8 ხელნაწერთა ინსტ., Qd 2631.

9 ხელნაწერთა ინსტ., Hd 2113.

10 ხელნაწერთა ინსტ., Qd 8710; Qd 8925.

11 ავ. კლიმიაშვილი, მასალები XV—XVIII სს. ქართლისა და კახეთის სადროშოების ისტორიისათვის (კრებულში: „XIV—XVIII სს. რამდენიმე ქართული ისტორიული დოკუმენტი", 1964).

მდივანბეგი სასამართლო უწყების მეთაურია, ბოქაულთუხუცესი — აღმასრულებელი უწყებისა, სადროშოს სარდლები კი ანსახიერებენ ცენტრალურ, სამხედრო და ადმინისტრაციულ ხელისუფლებათა შერწყმას. ბუნებრივია ისიც, რომ ამ სასამართლოში მონაწილეობენ უმაღლესი საეკლესიო პირები.

ფეოდალთა სამამულე დავას ზოგჯერ არიგებს დედოფალი. ეს ძირითადად იმ შემთხვევაში, როდესაც ერთმანეთს ედავებიან სადედოფლო-სახასოს თავადები ან აზნაურები. ასეთ დროს დედოფალი დავის გადაწყვეტას ავალებს ბოქაულთუხუცესს და მდივანბეგს, ისე, როგორც ეს დაწესებულია დასტურლამალით[12]. მაგ., 1662 წელს, მარიამ დედოფალი და მდივანბეგი არიგებენ ბარათაშვილების განაყოფების აბაშიშვილებისა და იოთამიშვილების დავას[13].

მეფე დაინტერესებულია თავისი სახასო აზნაურების სიძლიერით და სახასო მიწების ხელუხლებლობით, რადგანაც მისი, როგორც პირველი ფეოდალის, შემოსავალი ძირითადად ემყარება სახასო მიწებს. 1665 წლის საბუთიდან ნათლად ჩანს, როგორ იცავს შაჰნავაზი თავის სახასო აზნაურის მიწებს თავადისა და მისი აზნაურის ხელყოფისაგან. მეფის აზნაურის თურქისტანიშვილის მიერ ვინმე ზურაბისათვის „დანებებულ“ მიწას ზურაბს შეედავნენ ქაიხოსრო (გვარი არ ჩანს, სახელის მიხედვით შესაძლოა ვივარაუდოთ ჯავახიშვილი ან ციციშვილი) და მისი აზნაური ლიპარიტი. მეფემ ქაიხოსროსაც და მის აზნაურსაც ხელი ააღებინა სადაო მიწაზე[14].

შაჰნავაზის 1659 წლის წყალობის წიგნი გვამცნობს, რომ მას ჩამოურთმევია სოფელი ღოლოვნა მდინარე ალგეთზე გურგენ ყორზაგაზასშვილისათვის, რომელიც მეფის ორგულობაში გარეულა და გადაუცია პაპუნა გოსტაშაბიშვილისათვის: „... გურგენ ჩუენს ორგულობაში გაერივა, გაუწყერით და წავახდინეთ, თქუენი სამკვიდრო ღოლოვნა ისრეე თქუენ დაგიმკვიდრეთ და გიბოძეთ. რაც იქ ან მოსული და ან ნასყიდი გლეხი გურგენს ესახლა. ერთს ჩუენს მეცხუარესა და წისქვილს და მეწისქვილეს გარეთ უკლებლათ სიგლითა შინა დაგიმკვიდრეთ და გიბოძეთ გურგენის ნაქონი მამული და გლეხი“[15].

1671 წლის წყალობის წიგნით, შაჰნავაზი ზაალ მაჩაბელს უბრუნებს ზაალ ერისთავის მიერ თამარაშენში მისთვის წართმეულ 6 კომლ გლეხს[16].

საყურადღებოა 1666 წლის წყალობის წიგნი შაჰნავაზისა გამრეკლიძე ზურაბისადმი, რომელიც, როგორც საბუთიდან ირკვევა, სომხითარი აზნაურია. თავის მკვიდრ მიწაში („მიენძორ ალაგში“) მას გივი ამილახორი შესცილებია. შაჰნავაზს განუხილავს ეს საქმე და იგი გამრეკლიძის სასარგებლოდ გადაუწყვეტია: „ის მიენძორი ალაგი შენი მკუიდრი ყოფილიყო და არას დროს ამილახორის სახლის კაცი არ შემოგეცილებოდეს და არც ჭელი სდებოდეს... გქონდეს და გიბედნიეროს ღმერთმან ყოვლის კაცისაგან მოუსარჩლავად“[17].

საინტერესოა, რომ მეფე გივი ამილახორისა და გამრეკლიძის სამამულე დავას ამ უკანასკნელის სასარგებლოდ წყვეტს: გივი ამილახორი შაჰნავაზის სიძე და დაახლოებული პირია. ამ შემთხვევაში უნდა ვივარაუდოთ, რომ ან

12 ქართული სამართლის ძეგლები, II, ი. დოლიძის გამოც.; 1965, გვ. 268.

13 სცია, ფ. 1450, დავთ. 38, საბ. 4, 5.

14 ხელნაწერთა ინსტ., Sd 634.

15 ხელნაწერთა ინსტ., Hd 4168.

16 სცია, ფ. 1448, საბ. 93.

17 სცია, ფ. 1450, დ. 6, ს. 90.

გამრეკლიძეს მნიშვნელოვანი დამსახურება ჰქონდა მეფის წინაშე, ან ფეოდალურმა სასამართლომ (შეგდებული მოფიცრები) თავისთავად გადაწყვიტა სამამულე დავა გამრეკლიძის სასარგებლოდ, მიუხედავად გივი ამილახორის დიდი გავლენისა. ამრიგად, მეფე უყოყმანოდ წყვეტდა ხოლმე თავისადმი ურჩი ფეოდალებისათვის (როგორც მეფის მოღალატეებისათვის) მამულის ან სათავადო სახლის უფროსობის ჩამორთმევის საკითხს, მაგრამ, თუ ფეოდალს არ ედებოდა ასეთი დანაშაული, მაშინ მის სამამულე დავას მეფე წყვეტდა ფეოდალური სამართლის შესაბამისად, ცდილობდა ყოფილიყო მიუკერძოებელი, რათა თავის წინააღმდეგ არ აემხედრებინა ესა თუ ის ფეოდალი.

მეფე ცდილობს შეარიგოს და შეაკავშიროს თავისი მომხრე ფეოდალები. ასე მაგალითად, 1663 წლის საბუთიდან ნათელი ხდება, რომ შაჰნავაზის ბრძანებით დამოყვრებულან ქაიხოსრო ჯავახიშვილი (მისი ძენი ბახუტა, ბერი, ბეჟან) და დიდი მოურავის გიორგი სააკაძის შვილი თარხანი იორამი (მისი შვილები: გიორგი, ავთანდილი, ქრისტეფორე, დათუნა, შიო, ჯანზურაბი). ქაიხოსროს ქალი შეურთავს იორამის ვაჟს გიორგის. მათ დამოყვრებას მოჰყოლია სამამულე დავის გარიგებაც ამ ორ სახლს შორის: სააკაძეების კუთვნილი სოფლის ოძისის ნახევარი ადრე ჯავახიშვილებს „ეშოვნა", ახლა ჯავახიშვილები უკან უბრუნებენ სოფელს საააკაძეებს[18].

ასეთივე ტენდენცია საააკაძეებისათვის ადრე წართმეული მამულების დაბრუნებისა მეფის ინიციატივით, გრძელდება მომდევნო პერიოდშიც, რაზეც ცნობას გვაწვდის ბარნაბე გიორგაძის პირობის წიგნი თარხან გიორგი მოურავიშვილისა და მისი ძმებისათვის. როგორც ჩანს, ეს საბუთი ზემოთაღნიშნულ 1663 წლის საბუთზე უფრო გვიანაა დაწერილი, რადგანაც პირველ საბუთში მოურავიშვილთა სახლის უფროსად ჩანს გიორგი საააკაძის შვილი იორამი, დაბრუნებული და ამინისტირებული ჯერ კიდევ როსტომ მეფის მიერ. გიორგაძის მიერ გაცემული საბუთის მიხედვით კი მოურავიშვილთა სახლის უფროსი თარხანი გიორგია; რაც შეეხება იორამს, იგი ამ დროისათვის გარდაცვლილი ყოფილა. საბუთის ცნობით, ბარნაბე გიორგაძე უბრუნებს გიორგი მოურავიშვილს საააკაძეების მკვიდრ მამულს ჭავჭავისს: „პაპათქვენი რომ გარდავარდა, მასუკან, ბედნიერის ყაენის წყალობითა, მამათქვენი თარხანი იორამ როსტომ მეფემ მოიყვანა, თავის მამულების წყალობა ისევ უყო. ჩვენა თქვენი მკვიდრი მამული ჭავჭავისი პაპუნა ჩივაძისაგან გვეყიდნა. რადგან ბატონმა თქვენი სამკვიდრო მამული გიბოძათ, ჩვენც რაც ფასი ჩივაძის პაპუნასათვის მიგვეცა ჩვენი ფასი ჯელახლა ისევ უკლებლივ მოგვეცა... გქონდეს და გიბედნიეროს, ღმერთმან გამარჯვებასა და დღეგრძელობაში მოგახმაროს"[19].

მეფის ცდას, შეარიგოს და გააერთიანოს თავისი მომხრე ფეოდალები, ეხმაურება ფარსადან ციციშვილის ერთობის წიგნიც ორბელიშვილებისადმი, რომელიც გვამცნობს, რომ მასა და მის ძმებს განხეთქილება ჰქონიათ თავიანთ ბიძა ციცისთან. ამ განხეთქილებაში სულხან ორბელიშვილი და მისი ძმები ციცის მხარეზე ყოფილან. ციცისა და მის ოჯახს გამოუჩენიათ არჩილ და გიორგი მეფეების ორგულობა, რის გამოც, მათი ბრძანებით, ორბელიშვილებს და ფარსადან ციციშვილის ოჯახს დაუდვიათ ერთობისა და კეთილმოყვრობის პირობა: „ესე... სამოყრო, სამეზობლო გასაერთებელი პირი, ფიცი და საფიცარი მოგეცით ჩვენ ფანასკერტელმან ციციშვილმან ბატონმა ფარსადან, ძმამან ჩვენ-

18 სცია, ფ. 1450, დავთ. 27, ს. 160.

19 ხელნაწერთა ინსტიტ., Hd 14446.

შან მოლარეთხუცესმა ბატონმა ვახტანგ, მერიქიფეთხუცესმა ბატონმა პაატამ და ამილღანბარ და შვილმა ჩვენმა ზაზამ, თქვენ, ორბელიშვილს ბატონს სულხანს ბოქაულთხუცესს, ბატონს ერასტის, ბატონს ვახუშტის და ბატონს ყაფლანს და ძმასა თქვენსა, ასრე და ამა პირისა ზედა: მეფის არჩილისა და მეფის გიორგისა და მათის ძმების უზიანოს საქმითა ჩ ვ ე ნ ი დ ა თ ქ ვ ე ნ ი პ ი რ ი გ ა ვ ა ე რ თ ე თ, ამისთვის რომე, რა ჩვენ და ბიძა ჩვენი ციცი გარდავიკიდენით, თქვენ იმათკენ დარჩით. ჩვენ დაგშორდით. ახლა, რადგან ისინი ბ ა ტ ო ნ ს ა დ ა ქ ა რ თ ვ ე ლ ზ ე დ ა ს ე დ ა მ ნ ა შ ა ვ ე დ დ ა მ უ ხ ა ნ ა თ ა დ დ ა რ ჩ ნ ე ნ დ ა მ ე ფ ე მ გ ი ო რ გ ი მ ჩ ვ ე ნ ი გ ა ე რ თ ე ბ ა მ ო ი ნ დ ო მ ა ჩვენც ასე გავერთდით: ვიყვნეთ დღეს და დღეის იქით თქვენთვის კარგნი და კარგის მდომნი...“[20].

მეფე ზოგჯერ პირობის წიგნს აძლევს დიდ ფეოდალს, რომ თუ ეს უკანასკნელი მისი ერთგული იქნება, არ შერისხავს, არ მოუსმენს მის მაბეზღრებს და არ წაახდენს. ასეთ წიგნს აძლევს, მაგალითად, არჩილ მეფე გივი ამილახვარს: „დღეს და დღეის უკან ვიყუნეთ თქვენთჳს კარგნი და მწყალობელნი და არც თქვენსა სხვა თქვენი ამხანაგი ვარჩიეთ, არც სხვის კაცის ენით თქვენი თავი შემოვიბეზღოთ და თუ ვინმე შემოგვაბეზღოს, არც გაუკითხავად წავაკდინოთ და ვინც შემოგვაბეზღოს, თუ გამოსაჩენი საქმე იყოს, არც ის დაგიმალოთ და იმ ბეზღართანაც სამართალი გიყოთ, დღეს რისაც მამულისა და საკელოს პატრონი იყუნეთ, არც ის მოგიშალოთ და თქვენის მამულის სითარხნეც არაოდეს არ მოგიშალოთ“[21].

საბუთიდან ჩანს, რომ ფეოდალები ერთმანეთთან ბრძოლის ერთ-ერთ საშუალებად იყენებდნენ მეფესთან შესმენას. მეფე კი შერისხულ ფეოდალს ართმევდა სახელოს, მამულს ან მამულის სითარხნეს.

იმ დინასტიურ ბრძოლაში, რომელიც გაიშალა XVII ს-ის II ნახევარში ალმ. საქართველოში, თეიმურაზ I მემკვიდრეებსა და როსტომ-შაჰნავაზის მემკვიდრეებს შორის, ფეოდალებიც ორ ჯგუფად გაიყვნენ და იყენებდნენ ამ ბრძოლას თავიანთი სამამულე ინტერესებისათვის. ერეკლე ბატონიშვილი (ერეკლე I, შემდეგ — ნაზარალიხანი) 1662 წლის წყალობის წიგნით, ვაჩნაძე ბებურიშვილ რამაზს უწყალობებს თავისი ბიძის თამაზ მოურავის მამულს, რომელიც მის პაპას, თეიმურაზ I სუფრაჯ ფარემუზისათვის უბოძებია. ფარემუზს ერეკლესათვის უორგულია და ამიტომ ეს მამული ერეკლეს კვლავ რამაზ ვაჩნაძისათვის უბოძებია: „... ოდეს ფარემუზ ჩუენ გ ვ ი ო რ გ უ ლ ა დ ა წ ა გ ვ ი ვ ი დ ა, მაშინ თქუენი მამული თქუენვე გიბოძეთ, ასრე რომე, რაც გავაზს ბიძათქვენს თამაზ მოურავს მამული ჰქონდეს... თქუენთვის გვიბოძებია“[22].

ამრიგად, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს პოლიტიკური დაშლილობის პერიოდში (XV—XVIII სს.) ცენტრალური ხელისუფლება სუსტდება, XVII ს-ის II ნახევარში მეფე მაინც ახერხებს განაგოს ფეოდალთა შორის სამამულე ურთიერთობა და თავის სასარგებლოდ გამოიყენოს მათი შინაკლასობრივი ბრძოლა.

---

20 ხელნაწერთა ინსტ., Qd 538.

21 ხელნაწერთა ინსტ.. Hd 2148.

22 ხელნაწერთა ინსტ., Hd 1925.

Г. З. АНЧАБАДЗЕ

СВЕДЕНИЯ «СЕЯХАТ-НАМЕ» ЭВЛИЯ ЧЕЛЕБИ О ГОРСКИХ НАРОДАХ КАВКАЗА

(Краткий источниковедческий обзор)

Среди нарративных и документальных источников по истории горских народов Кавказа XVII в., наряду с русскими, грузинскими, западно-европейскими и персидскими, важное значение имеют и турецкие источники, в том числе записи знаменитого турецкого путешественника Эвлия Челеби. Его десятитомное сочинение «Сеяхат-наме» («Книга путешествия») содержит довольно обширный и интересный материал о социально-экономической, политической и культурной жизни горских народов Кавказа.

Эвлия Челеби родился в Стамбуле в 1611 году в семье дворцового куйумджубаши («главного ювелира») Мехмеда Зилли и получил хорошее образование. Путешествовать он начал в 1640 году и, находясь на государственной службе, провел в странствиях почти 40 лет. Участвовал он в походах турецких полководцев и крымских ханов, был членом посольств и чиновником особых поручений, ездил по мусульманским святым местам и таким образом объехал почти всю обширную Османскую империю, большинство стран Восточной и Центральной Европы, Переднюю Азию и северо-восток Африки. Во время своих странствований Эвлия Челеби составлял дневники, куда заносил все интересное, с его точки зрения. Эти дневники составили главную и наиболее важную часть его сочинения. Но кроме того, Эвлия Челеби широко пользовался также историческими и географическими трудами других авторов, документальными, нумизматическими и фольклорными материалами, рассказами очевидцев и др.

На Кавказе Эвлия Челеби бывал несколько раз, в том числе — четыре раза на Северном Кавказе. Первый раз он побывал здесь в 1641 году, когда с отрядом турецких войск проехал вдоль побережья Мегрелии, Абхазии и Черкесии. В 1647 году Эвлия Челеби побывал в Южном и Центральном Дагестане. Самым продолжительным было третье путешествие — в 1665 году, когда он пересек весь Северный Кавказ от Тамани до Дербента, посетил и описал земли адыгов, абазин, прикубанских ногайцев и Дагестана. Четвертый раз турецкий путешественник пересек степные районы между Доном и Кубанью, затем переправился на черкесский берег Кубани и достиг Таманского полуострова.

Описание этих путешествий помещены во II, VII и VIII томах «Сеяхат-наме»[1]. К сожалению, эти сведения далеко не полностью использованы в историографии горских народов. Объясняется это отсутствием полноценных переводов. Правда, в 1971 году вышел в свет отличный перевод на грузинский язык второго тома «Сеяхат-наме», вы-

---

[1] Эвлия Челеби, «Книга путешествия», т. II, Стамбул, 1896 г.; т. VII, Стамбул, 1928 г.; т. VIII, Стамбул, 1930 г. (все на турецком языке).

полненный Г. В. Путуридзе[2]. Здесь, наряду с материалами о других странах Закавказья, содержатся сведения об Абхазии и Южном Дагестане. Однако переводы соответствующих мест VII и VIII томов, где представлены основные сведения о народах Северного Кавказа, еще не опубликованы. В распоряжении исследователей истории народов Северного Кавказа имеется лишь один русский перевод в машинописи отрывков из VII тома «Сеяхат-наме», хранящийся в рукописном фонде Института истории, языка и литературы им. Г. Цадасы Дагестанского филиала АН СССР в Махачкале, но перевод этот далеко не полный и содержит столько неточностей, произвольных купюр и грубых искажений, что пользоваться им невозможно.

При описании горских народов Кавказа Эвлия Челеби всегда перечисляет их территориально-племенные группы. Так, например, он сообщает, что абхазы делились на 25 племен: чач, арлан, чанд, гечь, хамыш, ахчипсу и др. Из адыгских племен названы: шефаки, жанеевцы, адемиевцы, бултукайцы, бесленеевцы, кабардинцы и др. Дударуковских и бибердовских абазин Эвлия Челеби причисляет к черкесам, так как они находились в зависимости от кабардинских феодалов.

В «Сеяхат-наме» перечислены также основные народы Дагестана: кумыки, лезгины, лакцы, аварцы, кайтаки. Есть сведения также о проживавших среди черкесов полукочевых ногайцах — племенах чобана, новруза, арслан-бея.

К сожалению, в «Сеяхат-наме» совершенно отсутствуют сведения о нагорье Центрального Кавказа и живших там карачаевцах, балкарцах, осетинах и вайнахских племенах, а также о грузинских горцах, населявших северные и южные склоны Главного Кавказского хребта. Это обстоятельство объясняется тем, что Эвлия Челеби не углублялся в ущелья Центрального Кавказа и, по-видимому, не имел никаких контактов с его обитателями.

Чрезвычайно ценные сведения сообщает Эвлия Челеби об экономике ряда районов Кавказа. Из этих сообщений вытекает, что главное место в хозяйстве подавляющего большинства народов Северного Кавказа занимало животноводство: разводили крупный и мелкий рогатый скот, свиней, лошадей. Прикубанские ногайцы имели, сверх того, некоторое количество верблюдов.

Большое место занимало и земледелие. Землю возделывали не только оседлые горцы, но и полукочевые ногайцы. По словам Эвлия Челеби, некоторые районы черноморского побережья Кавказа отличались особым плодородием. Он пишет, например, хотя и весьма преувеличенно, что на земле племени кутаси в Абхазии один киле проса дает урожай в 100 киле, а на Тамани даже в 150 киле. Плодородием отличались и земли остальных племен. Сеяли просо, пшеницу, ячмень. Там, где позволяли природные условия (в Абхазии, Черкесии, приморском Дагестане), население успешно разводило садовые культуры.

В хозяйстве горских народов значительное место занимала также охота. В густых лесах Кавказа водились медведи, барсы, олени, лисы, крупные кабаны, куницы, куропатки и др. Часть охотничьей добычи (например, куница) шла на экспорт. Было развито и рыболовство. Только на Таманском полуострове, в речках и лиманах, по словам Эвлия, водилось до 70 различных видов рыбы.

Значительное развитие имели ремесла. На Северном Кавказе и Абхазии, например, производили многие предметы вооружения. Эвлия

---

[2] «Книга путешествия» Эвлия Челеби II том, перевел с турецкого исследованием и комментариями снабдил Г. В. Путуридзе, Вып. I, грузинский перевод, Тб., 1971. 10. „მაცნე", ისტორიის... სერია, 1974, № 4.

Челеби особо отмечает высокие качества панцырей кумухской работы. Кроме того, в разных местах изготовлялись луки и стрелы, черкесские и татарские плети, порох и др. В Черкесии и Дагестане, по сведениям Эвлия Челеби, были целые селения, все жители которых являлись ремесленниками.

Согласно «Сеяхат-наме», народы Кавказа вели значительную торговлю как между собой, так и с соседними странами. В городах Северного Кавказа, лежащих на стыке Европы с Азией (Дербент, Темрюк, Тамань, Серир ал-лан и др.), было много базаров, торговых рядов и караван-сараев, куда ежегодно приезжало много иностранных купцов. Например, крупнейший торгово-экономический центр Дагестана — г. Дербент, благодаря выгодному географическому расположению, был связан сухопутными и морскими путями со странами Закавказья, Россией[3], Ираном, Крымом. Эвлия Челеби пишет, что в Дербент ежегодно прибывает сотни тысяч (!) китайских, персидских и московских купцов и поэтому город получает большие доходы от пошлин. Хотя численность купцов («сотни тысяч») явно завышена, но все же она указывает на большое торговое значение Дербента.

Совершенно очевидно, что не менее тесно был связан Дербент с соседними странами Кавказа. Эвлия Челеби отмечает, что городская крепость была полна повозками гилянских и бакинских торговцев. С помощью московских купцов в Дербент приходили и кочевые калмыки, жители степей Поволжья.

К сожалению, Эвлия Челеби ничего не пишет о том, какие именно товары поступали на дербентский рынок (хотя это хорошо известно из других источников); наш автор отмечает лишь, что из Баку привозили черную нефть. Что же касается продукции местного производства, то он сообщает, что основным занятием жителей города была выработка шелка.

На Северо-Западном Кавказе значительными торгово-экономическими пунктами были крепости Темрюк и Таман. Население их состояло из турок, татар, черкесов, татов, греков и армян. Оттуда морем вывозили масло, рыбу, канат, плети татарской и черкесской работы и др. На остальной части Северного Кавказа и в Абхазии, где не было больших городов, торговля происходила эпизодически и носила характер натурального обмена. Там не было постоянных базаров. На проводившихся в определенное время года ярмарках, по словам Эвлия Челеби, «собирается народ и ведет торговлю. Но они не знают, что такое алтын или куруш торг состоит в обмене»[4]. Такие ярмарки происходили на всей территории Абхазии и Северного Кавказа. Там собирались не только местные жители, но и иноземные купцы. Они привозили предметы вооружения, одежду, обувь, сукно, большие котлы, надочажные цепи, ковры, соль, мыло, изделия из железа и другие вещи. Их обменивали на меха, рыбу, мед, восковые свечи, черкесские плети, а также

[3] В «Сеяхат-наме» неоднократно отмечается, что дагестанцы гораздо охотнее и чаще торговали с русскими, нежели с персами. О тесных торговых связях народа Кавказа с Россией свидетельствует сообщение Эвлия, что таустанские (малокабардинские) купцы владели русским языком, стр. 776, 1928.

[4] Эвлия Челеби и в других местах своего сочинения часто подчеркивает такую характерную деталь торговли, как полное отсутствие всяких денег. Хотя сведения о том, что натуральный обмен доминировал над другими видами торговли, подтверждаются остальными источниками и не вызывают сомнения, все же сообщение о полном отсутствии денег кажется преувеличенным и маловероятным.

рабов, торговля которыми всячески поощрялась и поддерживалась турецкими и персидскими захватчиками.

В сочинении Эвлия Челеби есть определенные сведения о социальном и политическом строе горских народов. Согласно этим сведениям, народы Северного Кавказа были раздроблены на целый ряд независимых друг от друга племенных и политических единиц, которые нередко враждовали между собой. Фактически не были зависимы они и от других государств, в том числе и от Османской империи. Поэтому Эвлия Челеби, исходя из позиций турецкого чиновника, называет их «мятежными» и «непокорными». По сведениям путешественника, во главе абхазских и адыгских племен стояли представители феодального сословия, которых Эвлия Челеби называет беями (князья). Кроме беев, наш автор упоминает и «азнауров», которые являлись вассалами бея и составляли его свиту. Грузинское слово азнаур встречается в «Сеяхат-наме» несколько раз. В данном случае оно выступает как синоним абхазского термина аамста и адыгского — уорк.

В отличие от разрозненных абхазо-черкесских племен, Эвлия Челеби рисует Дагестан страной с определенной степенью централизации власти. Там во главе феодальной иерархии стоял шамхал, которого Эвлия называет иногда и дагестанским падишахом. В подчинении у шамхала находились ханы и другие более мелкие феодалы. Всего, по словам путешественника, в Дагестанское «падишахство» входило 7 ханств и 47 казалыков[5]. Видное место в этом государстве занимал везир, имевший в своем распоряжении 3000 отборных воинов.

О силе и могуществе шамхала свидетельствует его встреча с крымским ханом Мехмед Гиреем. По сообщению Эвлия, хан и шамхал встретились как два равноправных государя и оказывали друг другу равные почести, в то время как адыгские и ногайские князья должны были, хотя бы внешне, почитать хана как своего сюзерена.

Не подлежит сомнению, что поездки Эвлия Челеби имели также и разведывательный характер с целью сбора сведений о военном потенциале народов Кавказа. Поэтому его в первую очередь интересовали численность и боевые качества кавказских племен и княжеств. Так, в «Сеяхат-наме» часто встречаются сведения следующего характера: племя чач «имеет сильное десятитысячное войско, садзов — «7000 храбрых воинов», кабардинские беи могут выставить «10 000 смелых и славных джигитов», ногайцев племени чобан-эли — «20 000 храбрых конников», «кайтакский хан владеет трехтысячным войском» и т. п.

Как видно, Эвлия Челеби высоко оценивал боевые качества кавказских воинов. Например, чтобы особо подчеркнуть храбрость и воинственность адыгов, наш автор сравнивает их с известными героями иранского эпоса и пишет: «Стоит племенам черкесов вступить в сражение — и перед ними не смогут устоять (даже) Афросиаб, Рустам и Сааб».

Турецкий путешественник не оставляет без внимания и вооружение горских народов. По его сведениям, в середине XVII в. еще широко применяли холодное оружие (сабли, копья, луки, стрелы и др.) но вместе с тем уже имело большое распространение и огнестрельное оружье. Из защитных доспехов упомянуты щиты, шлемы, кольчуги и особые черкесские панцыри, которых не брали меч и стрела.

---

[5] В одном месте Эвлия Челеби дагестанские ханства называет санджаками, т. е. считает их административными единицами, подчиненными шамхалу. Характерен в этом отношении и термин «Каза» — мелкая административная единица.

В разных томах «Сеяхат-наме» есть также немало сведений о борьбе горских народов против агрессии крымских ханов, персидских шахов и калмыцких феодалов. Кроме того, есть сообщения о межплеменных распрях и внутрифеодальных войнах среди горской знати. Здесь необходимо отметить, что при освещении фактов политической истории Эвлия Челеби всегда отстаивает интересы Османской империи и выступает как идеолог суннизма.

Эвлия Челеби очень интересовался религиозными воззрениями горских народов Кавказа. Он сообщает, что хотя их определенная часть считала себя мусульманами, но не была знакома с кораном и продолжала почитать языческих богов. Например, черкесы поклонялись своим священным деревьям и приносили им жертвы; они же, подобно абхазам, привязывали гробы с покойниками к ветвям высоких деревьев. Как известно, о таком способе погребения (т. н. «воздушное погребение») сообщают и многие другие авторы разных времен (Геродот, Ламберти, Вахушти, С. Званба и др.).

В той части «Сеяхат-наме», где описываются Абхазия и страны Северного Кавказа, содержится немало сведений об архитектурных памятниках. Есть также много сведений о языке и быте населения. Эвлия Челеби был первый, кто обратил внимание на абхазский и садзский языки и привел из них некоторые лексические примеры. В «Сеяхат-наме» есть также примеры из адыгского, ногайского и кайтакского языков. Приводятся также записы черкесских и ногайских песен и др.

Таким образом, «Сеяхат-наме» содержит много ценных и разнообразных сведений о горских народах Кавказа 40—60-ых годов XVII века. Эти сведения дают ответ на многие вопросы, которые могут возникнуть у исследователя, занимающегося историей Северного Кавказа и Абхазии.

გიორგი ხოშტარია

XIX საუკუნის ქართული მხატვრობის ისტორიიდან

ახალი ქართული მხატვრობის პირველი ეტაპი, XVIII ს-ის მიწურულიდან XIX ს-ის 70-იან წლებამდე. რიგი მიზეზების გამო სპეციალურად არ არის შესწავლილი და, ამდენად, ნაკლებად ცნობილია ფართო საზოგადოებისათვის[1].

ამ თემაზე არსებული ნაშრომები, როგორც წესი, პორტრეტებს ეხება, მაშინ როცა მთელი რიგი ნაწარმოებებისა — კერძოდ, სურათების ერთი ჯგუფი, რომელიც დაცულია აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში, ყურადღების გარეშეა დარჩენილი. ეს ნამუშევრები გადმოტანილია 1937 წელს მეტეხის მუზეუმიდან, სადაც ისინი მოხვედრილან — ზოგი მემკვიდრეობით საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოებიდან, ნაწილი კი რუსეთის გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიური განყოფილებიდან და კავკასიის მუზეუმიდან. აქედან № 88—№ 115 სურათები ერთ დროს წარმოადგენდა ზურაბ კობიაშვილის საეთნოგრაფიო კოლექციას (შეძენილია პეტერბურგში). № 116—129 კი, შეძენილი იყო ტირძნისში, ვინმე სულხანიშვილისაგან. ამათ გარდა კიდევ 5 სურათი თბილისში შეუძენიათ.

სამწუხაროდ, დასახელებულ სურათებს არ ახლავს არც ავტორის, არც თარიღის აღმნიშვნელი წარწერა.

სურათები მომცრო, თითქმის ერთნაირი ზომისაა (ნაწილი — 60×40, ნაწილი — 55×38). შესრულებულია ზეთის საღებავებით ტილოზე. მოგრძო ჩარჩოში გამოსახულია თითო მამაკაცი ან ქალი პეიზაჟის ფონზე.

თითოეულ სურათს (ქვემო კიდესთან) ახლავს წარწერა, ქართულ, რუსულ, ანდა ორივე ენაზე ერთად. წარწერა, როგორც წესი, ტომობრიობის აღმნიშვნელია. სურათებზე გამოსახულია საქართველოსა და კავკასიის სხვადასხვა კუთხის წარმომადგენლები: კახელი, ხევსური, იმერელი, ქისტი, ლეკი, ქურთი და სხვა. უფრო იშვიათადაა აღნიშნული სოციალური მხარე: მუშა, თავადი.

ყველა მათგანში არის როგორც რეალობის გარკვეული დოზა ისე პირობითობის. საკმაოდ მარტივი კომპოზიცია ძირითადად ყველა სურათში მეორდება, რაც გამოწვეულია შესრულების პრიმიტიული დონით. ფიგურა ცენტრში დგას; ტორსი ნახევრად შეტრიალებულია, თავი — სამი მეოთხედითაა ნაჩვენები, იშვიათად სრულ ფასში ან პროფილით, ფეხები — ფასში.

ფონს პეიზაჟი ქმნის. მისი ხასიათი, მისი და ფიგურის ურთიერთშეფარდება ზოგადად ერთი ვარიანტითაა მოცემული. ფიგურა თვალის დონეზეა დახატული, პროპორციულად მკვეთრად დაპატარავებული, პეიზაჟი კი — დაბალი ჰორიზონტის ხაზით. ეს იმდენად სივრცის შთაბეჭდილებას არ იძლევა, რამდე-

---

[1] აღნიშნული პერიოდის მხატვრობა განხილული აქვს აკად. შ. ამირანაშვილს წიგნში — „ქართული ხელოვნების ისტორია", სადაც შეფასებულია ამ ეტაპის მნიშვნელობა, გარჩეულია ძირითადი მხატვრული მოვლენები და აღნიშნულია, რომ ეს მხატვრობა შემდეგ კვლევას მოითხოვს. ამასთანავე გვაქვს შ. კვასხვაძის მონოგრაფია გ. მაისურაძეზე. აღნიშნული პერიოდის მხატვრების შემოქმედებას ეხეიბან, აგრეთვე, სომეხი მკვლევრებიც დრამპიანი, ერემიანი, ყაზარიანი. ეს გასაგებია, რადგან მხატვრობის ამ პერიოდის ნიმუშები ძირითადად დაკავშირებულია თბილისთან, სადაც მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ მხატვრები ოვნათნიანების ოჯახიდან.

ნადაც თავისებურ პირობით შეფარდებას, რის შედეგადაც ფიგურას თითქოს მეტი მნიშვნელობა ენიჭება. თვით სახეზე რაიმე კონკრეტული ეთნიკური ნიშნები იშვიათად შეიმჩნევა, თუმცა ხანდახან რაღაც ნაციონალური თუ კუთხური იერიც დაჰკრავს. ნახატი მხოლოდ ზოგადად გადმოგვცემს პროპორციასაც და პლასტიკასაც, სწორი დგომა, პოზა, მოძრაობა არ გადმოიცემა, არც ნამდვილ მოცულობითს და სივრცობრივ მოდელირებაზეა ლაპარაკი. ე. ი. ახალი რეალისტური მხატვრობის ხერხები, ზეთის ტექნიკის შესაძლებლობები ძალზე შეზღუდულადაა გამოყენებული.

ცხადია, ამ სურათებს ეთნოგრაფიული მნიშვნელობა აქვთ, მაგრამ ჩვენ, პირველ რიგში მათი მხატვრული დონე გვაინტერესებს. ამ სურათებში, ზოგადად შეიძლება აღინიშნოს ორი ერთმანეთის საწინააღმდეგო მხარე: ერთი მხრივ, გარკვეული ხელოსნურობის იერი და მეორე მხრივ, ერთგვარი უშუალობა და მომხიბვლელობა. როგორ უნდა შევაფასოთ ეს ნაწარმოებები? ფორმების სიმდიდრე შეზღუდულია შესრულების პრიმიტიული დონით, მაგრამ ეს როდი გამორიცხავს მათ მხატვრულობას. თავისთავად ეს დამოკიდებულია იმაზე — თუ რამდენად გააზრებულად, რამდენად ორგანულად არის ნახმარი ესა თუ ის სახვითი თუ გამომსახველობითი ხერხი. ამ მხრივ, საერთო ერთგვაროვნების ფარგლებში, საკმაო სხვაობას დავინახავთ — ერთ შემთხვევაში სჭარბობს ხელოსნურობა, მექანიკური მიდგომა, მეორეში — ცოცხალი ხედვა. განსხვავებაა თითოეულ სურათშიც, მაგრამ უფრო მკაფიოდ გამოიყოფა 3 ჯგუფი. სურათების ამგვარ დაყოფას ეთანხმება გარეგნული ნიშნებიც. პირველი ჯგუფი ყველაზე მრავალრიცხოვანია. ეს უნდა იყოს კობიაშვილის კოლექცია. მხოლოდ ამ ჯგუფის ყველა სურათს ახლავს წარწერები როგორც ქართულ, ისე რუსულ ენაზე. წარწერები ერთი ხელით უნდა იყოს შესრულებული. ეს არის საკმაოდ მსხვილი, არც მაინცდამაინც მწყობრი ასოებით (ოდნავ მოუხეშავი მონასმებით) შესრულებული წარწერები. მეორე ჯგუფის სურათებს წარწერები მხოლოდ რუსულ ენაზე აქვთ, მარჯვენა კუთხეში. ხელი აშკარად განსხვავებულია პირველისაგან. თხელი ფუნჯით გულმოდგინედ გამოყვანილი ასოები კალიგრაფიული ხასიათისაა. მესამე ჯგუფის სურათებს წარწერები უფრო მეტად ქართულ ენაზე აქვთ.

მსგავსების მიუხედავად სამივე ჯგუფის სურათებს, განსხვავებული, თითოეულისათვის დამახასიათებელი პეიზაჟი აქვს. პირველი ჯგუფის სურათებში მოცემულია მიწის ვიწრო ზოლი, რომელიც სურათის ქვედა კიდეს გასდევს. მის ზემოთ გამოსახულია ცა საკმაოდ მკრთალი ღრუბლებით. ფაქტიურად ეს პეიზაჟი ბრტყელ ფონს უფრო წარმოადგენს.

მეორე ჯგუფის სურათებში ფონი უფრო დამუშავებულია: ბორცვები, ფოთლოვანი მცენარეები, მდინარის კლაკნილი; ღრუბლებიც უფრო მეტადაა გაბნეული ცაზე.

მესამე ჯგუფის სურათებში ფონს ქმნის ტალღისებრ განლაგებული პატარა გორაკებისა თუ ბორცვების რამდენიმე (ორი-სამი) წყება.

ამგვარ დაყოფას ისიც ეთანხმება, რომ ერთი და იგივე ეთნიკური ტიპი ჯგუფში არ მეორდება, ხოლო სხვადასხვა ჯგუფებში კი ხშირად გვხვდება. მაგ., გუდამაყრელი და ყვარელელი I და II ჯგუფშია, ხევსური და ჩერქეზი — I და III-ში, იმერელი თავადი კი — სამივეში.

მთავარ სხვაობას ამ ჯგუფებს შორის მათი მხატვრული იერი ქმნის.

მაგალითისთვის ავიღოთ პირველი ჯგუფის ერთ-ერთი საუკეთესო ტილო — ქისტის ქალი (სურ. 1). იგი გამოირჩევა ადამიანური მომხიბვლელობით, სისადავით, უბრალოებით და, ამავე დროს, თავისებური მნიშვნელოვნებით. მასში არ იგრძნობა ის მანეკენისებრი იერი, რომელიც საერთოდ დაჰკრავს ამ სურათებს. ქალი ისევე, როგორც სხვა სურათების პერსონაჟები ცენტრშია გამოსახული, სამი მეოთხედით. მას თეთრი თავსაბურავი ახურავს, რომელიც მთლიანად შემორკალავს მის სავსე, მომრგვალო ოვალის მქონე სახეს და მხრებზე ეფინება. შუბლზე მუქი მწვანე თავსაკრავი აქვს, ხორბლისფერი სახე კარგად იკითხება მოსასხამის მონაცრისფრო ფონზე. სახე ზოგადად არის

სურ. 1. ქისტი ქალი.

გამოსახული, ინდივიდუალური, კონკრეტული ნიშნების გარეშე, მაგრამ საკმაოდ მეტყველია. ბაგეზე ოდნავი ღიმი უთამაშებს. მისი სახე უბრალოა, ქალური, თბილი.

ამგვარ იერს მისი გარეგნობა შეესაბამება. პოზა მშვიდია; დგომა, გადასვლა ტანის ფასიდან თავის სამ მეოთხედზე, ხელების მდგომარეობა, ზოგადად არის მოცემული, რაც გამოწვეულია ნახატით, პლასტიკური აქცენტები არაა დასმული. მაგრამ ეს ზოგადობა, გადასული ერთგვარ უსწორობაში, თითქოს შეესაბამება გლეხი ქალის უბრალო, სადა ხასიათს. კოჭებამდე დაშვებული, ქვემოთ გაგანივრებული გრძელი ქურქი, მდგრადობას მატებს, და თითქოს უფრო მნიშვნელოვანსაც ხდის ქალის ფიგურას. „ქისტი ქალი“ ბევრად იგებს იმით, რომ სურათი არ არის გადატვირთული სხვადასხვა იარაღებით. ნაწილობრივ ამითაც აიხსნება, რომ ქალების გამოსახულებები ამ სურათებში მეტი მხატვრულობით გამოირჩევიან. ცელი და თოკი, რომელიც ქისტ ქალს ხელში უჭირავს, მხოლოდ დამახასიათებლობას მატებს მას და არ გვიშლის სურათის მთლიან აღქმას, რასაც ვერ ვიტყვით მამაკაცთა გამოსახულებებზე. ის, რაც საინტერესოა ეთნოგრაფიის თვალსაზრისით, გაუმართლებელი აღმოჩნდა მხატვრულად.

ერთი შეხედვით, მოდელირება, შესრულების მანერა ნაკლებ ყურადღებას იქცევს სურათში, მაგრამ საერთო შთაბეჭდილების შექმნაში მას დიდი როლი უჭირავს. ფორმათა პროპორციები ოდნავ განიერია. ნახატის სილუეტი ზოგადი, დაუნაწევრებელია, ისე რომ ამგვარ ნახატს კარგად შეესატყვისება ის საერთო დაუნაწევრებელი მომრგვალებულობა, რომელსაც ფორმები მოდელირების შედეგად იძენენ. თავი, მხრები, მკლავები, ტორსი — ყველაფერი ზოგად მომრგვალებულ ფორმებშია მოცემული. ფორმები მიიღება როგორც ტონალური, რა თქმა უნდა, არც მაინცდამაინც დიფერენცირებული სხვაობით, ისე მონასმების ფორმაზე მიყოლებით. მონასმი დადებულია რკალისებრ, ხშირად მუქი და ღია საღებავების მონაცვლეობით. ეს განსაკუთრებით კარგად ჩანს მკლავებსა და თავსაბურავზე. არავითარი პრეტენზია არტისტულობისა. მხატვარი მოქმედებს უბრალოდ, პრიმიტიულად, მაგრამ იგი მაინც ქმნის ფორმას, და მექანიკურად არ იმეორებს დასწავლილ წესს. ფორმა იძენს გარკვეულ მატერიალურობას, ფაქტურულობას. ესეც, რა თქმა უნდა, დაბალ დონეზეა, მაგრამ კვლავ ყოველგვარი იმიტაციის გარეშე. ზეთის ფენა, საკმაოდ მოუხეშავად დადებული, არც ისე სქელია, მაგრამ გაუმჭვირვალე, და უშუალოდ აღიქმება როგორც საგნის ფაქტურა. საინტერესოა ამ მხრივ ქალის სახე: ხორბლისფერი და ზედ ოდნავ ვარდისფერი უსწორმასწოროდ ლაგდება მის რბილ ოვალში და ნაკვთებზე. კანის ფაქტურის იმიტაციის გარეშე იქმნება ცოცხალი ფაქტურის გრძნობა, რაც ძალზე აცოცხლებს მის მომღიმარ სახეს. ამას უკეთ ვიგრძნობთ, თუ შევადარებთ ქალის სახეს მის ხელის მტევნებსა და მკერდის ნაწილს, რომელიც პერანგიდან მოჩანს, ისინი უბრალოდ მექანიკურად არიან შეღებილი და არ იქცევენ ყურადღებას.

კოლორიტი სურათში შედარებით ნაკლებ როლს ასრულებს. მის მომწვანოს, მოყავისფროს, მოლურჯოს და თეთრს საერთოდ მონაცრისფრო დაჰკრავს. ეს მაინცდამაინც თუ არ ამდიდრებს სურათს, ყოველ შემთხვევაში, თავისი ხისადავით სავსებით ეხამება სურათის საერთო ხასიათს.

ამგვარად, განხილულ სურათში ცალკეული კომპონენტები — კომპოზიცია იქნება ეს, ნახატი, თუ ფერწერა — არ გამოირჩევა სიმდიდრით, ოსტა-

ტობის დონით, მაგრამ ყველაფერი შესრულებულია სადად და, რაც მთავარია, ერთი ხასიათით. ამან განაპირობა ის, რომ ჩვენ წინაშეა გლეხი ქალის უბრალო, მაგრამ დამაჯერებელი სახე.

ამ ჯგუფის სხვა სურათებიდან რამდენიმე არ ჩამოუვარდება მხატვრულობის დონით განხილულ სურათს; უმეტესობა კი მაინც უფრო ხელოსნურ დონეზეა, თუმცა პრინციპულად იმავე ხასიათისანი არიან. მაგალითად, კახე-

სურ. 2. გუდამაყრელი კაცი.

ლის გარეგნობაში (სურ. 2) იგრძნობა მოუხეშავი ძალა, მაგრამ საერთო შთაბეჭდილებას აქვეითებს ეთნოგრაფიული ატრიბუტების სიუხვე. ასეთ ზოგად,

უბრალო ფორმებს არ ეხამება დეტალების სიუხვე. ეს ითქმის ბევრ სხვა სურათზეც.

იმისათვის რომ დავინახოთ, თუ რით გამოირჩევა პირველი და მეორე ჯგუფის სურათები, შევადაროთ ერთმანეთს ორივე ჯგუფში მოცემულ გუდამაყრელ მამაკაცთა გამოსახულებები (სურ. 2 და 3). ცხადია, მხატვრები აქ

სურ. 3. გუდამაყრელი კაცი.

ერთი შაბლონის ვარიაციებს იძლევიან. ორივეს თითქმის ერთნაირი მოკლე მოსასხამი აქვს, ორივე თოფს ეყრდნობა, ორივეს განიერი შარვალი და ქა-

ლამნები აცვია. მაგრამ ამ საერთო ნიშნებს იქეთ საკმაო სხვაობაა. პირველი გუდამაყრელი თავისი ჯგუფის საშუალო დონის სურათია, საკმაოდ გადატვირთული დეტალებით და არც მაინცდამაინც მეტყველი სახით, მაგრამ არსებითად მასაც აქვს ის დადებითი თვისებები, რაზედაც ზემოთ ვილაპარაკეთ. მისი ფორმები საკმაოდ ენერგიულად არის მოდელირებული მოუხეშავი მო-

სურ. 4. მთიული ქალი.

ნასმებით. მეორე გუდამაყრელი ამ ჯგუფის ერთ-ერთი საუკეთესო სურათია, მაგრამ თავისი მხატვრულობით იგი მაინც ჩამოუვარდება პირველს. ერთი მხრივ, იგი თითქოს უფრო გამართულად არის დახატული. საკმაოდ სწორად დგას, პროპორციები უფრო თხელია, ასეთივეა სახის ნაკვთებიც. ფორმები

თითქოს არაა ნაკლებად ამოყვანილი, მაგრამ მათს სისწორეში უფრო მეტი ხელოსნური გულმოდგინეობაა, ვიდრე ნამდვილი ოსტატობა. განსაკუთრებით ეს ეხება მოდელირებას. მხატვარი აპრიალებს ზედაპირს, რის შედეგადაც ფორმა ხისტია, მკვდარი.

კიდევ უფრო მეტად ჩანს შეუსაბამობა ტექნიკურ ხერხებსა და მხატვრულობას შორის პეიზაჟში. ეს მოზრდილი მთები უკანა პლანზე, მდინარის კლაკნილი (ვითომ ლაპლაპით), ეს მოცისფრო-მოვარდისფრო — „ფერწერულობის“ პრეტენზიით არის გაკეთებული და ფაქტიურად ევროპული მხატვრობის მდარე იმიტაციას წარმოადგენს.

დამახასიათებელია განსხვავება მათ წარწერებშიც. კალიგრაფიის თვალსაზრისით II ჯგუფის წარწერები უფრო გამართულია, მხატვრულობის მხრივ კი — პირველი.

მცირერიცხოვან, მაგრამ საინტერესო სურათებს ვხედავთ III ჯგუფში. ამ ჯგუფისათვის დამახასიათებელი ნიშნები ყველაზე უკეთ გამოვლინდა ლეკის სურათში. პირველი ჯგუფის სურათების შემდეგ იგი შეიძლება სავსებით უწონადი, არამატერიალური მოგვეჩვენოს. წვრილი ფეხები თითქოს არც ეხება მიწას; ასევე პატარა და თხელია მისი მკლავებიც. მიუხედავად ასეთი ფორმებისა, ლეკის გარეგნობაში არის თავისებური ძალა, მაგრამ ეს ძალა უფრო მის დამახასიათებლობაში ვლინდება.

განსაკუთრებით დამახასიათებელია მისი სახე: წარბები, თვალის ფორმა, ულვაშები, თმის კულული მოპარსულ თავზე — ყველაფერი გრეხილ მოძრავ ორნამენტს მოგვაგონებს. თავისებურია მოდელირებაც. მუქ ფონზე იდება თხელი მონასმები, უფრო ორნამენტალურ-გრაფიკულად, ვიდრე მოცულობითად.

საინტერესოა, რომ ამ სურათში (ეს ამ ჯგუფის სხვა სურათებსაც ეხება) დეტალები არ აღიქმება ზედმეტად, აქ ისინი გამართლებულია: დეკორაციულ-სტილიზებულ ფიგურებზე ეს მსუბუქი მორთულობები ისევ დეკორად აღიქმებიან. თუ დავუმატებთ, რომ ეს თხელი, თითქმის უწონადი ფიგურები ძალზე ხალვათად არიან მოთავსებული ჩარჩოში, სტილიზებულ ბორცვებზე მარტოდ-მარტო შემდგარი, ცხადი იქნება, რომ ამ ზოგადი მსგავსების ფარგლებში პრინციპულად სხვა მიდგომასთან გვაქვს საქმე.

თუ პირველი ჯგუფის სურათებში კოლორიტი შედარებით ნაკლებ როლს ასრულებს, ხოლო მეორე ჯგუფში საკმაოდ ჭრელია, მესამე ჯგუფში იგი უფრო სუფთა სახით გვხვდება, უფრო ლოკალური ლაქებით და უფრო ლამაზი შეხამებებით, რაც აძლიერებს დეკორაციულობის გრძნობას და კარგად ეხამება სტილიზებულ ნახატს.

ამგვარად, ჩვენ გავარჩიეთ ახალი ქართული მხატვრობის პირველი ეტაპის ზოგიერთი დამახასიათებელი სურათი. შეგვიძლია გავაკეთოთ რიგი დასკვნები. ჯერ ერთი, ცხადია, რომ ამ სურათებს, გარდა ეთნოგრაფიული ღირებულებისა, მიუხედავად გარკვეული ხელოსნურობისა და სახვითი ხერხების სიღარიბისა, აქვთ გარკვეული მხატვრული ღირებულებაც.

საერთო შტამპის ფარგლებში შეიმჩნევა საკმაო სხვადასხვაობა მხატვრულობის მხრივ. მეორე ჯგუფის სურათები გამოირჩევა ყველაზე მეტი ხელოსნურობით. მათ ავტორს, შესაძლოა, ცოტათი მეტი აქვს ტექნიკური ცოდნა, მაგრამ მისი მხატვრული ნიჭი ჩამორჩება ამ პატარა ცოდნასაც.

მესამე ჯგუფის სურათებში ავტორი საკმაოდ ფრთხილად იყენებს ახალი რეალისტური მხატვრობისათვის დამახასიათებელ სახვით ხერხებს და უფრო ტრადიციული აღმოსავლური ხერხების, სტილიზაციისა და დეკორაციულობის წყალობით აღწევს მხატვრულ ეფექტს.

რაც შეეხება პირველი ჯგუფის სურათებს, არ შეიძლება ითქვას, რომ ისინი მთლად მოკლებული არიან ხელოსნურობას, მაგრამ ამავე დროს მათში ყველაზე მეტად გამომჟღავნდა პრიმიტივის უშუალობა. აღნიშნულ სურათებში ნაკლებია გარეგნული სისწორე, გულმოდგინება — მეორე ჯგუფის სურათებთან შედარებით, და დახვეწილობა — მესამე ჯგუფის სურათებთან შედარებით, სამაგიეროდ ამ ჯგუფის სურათებში, განსაკუთრებით მის უფრო კარგ ნიმუშებში, სადად და ხალასად არის მოცემული ადამიანის მხატვრული სახე. მისი მიდგომა ფორმისადმი უშუალოა და შემოქმედებითი.

უნდა ითქვას, რომ ამგვარი სახის პრიმიტიული მხატვრულობა შედარებით იშვიათი მოვლენაა. ჩვეულებრივ პრიმიტივის სურათებში ჭარბობს ან ექსპრესული დეფორმაცია, მიახლოვებული ბავშვის ხედვასთან, ან დეკორაციული ელემენტები საერთო ეგზოტიკური იერით.

ჩვენი აზრით, პირველი ჯგუფის სურათებისათვის დამახასიათებელი პრიმიტიულობა, ბევრად უფრო მაღალ მხატვრულ დონეზე გამოვლინდა ფიროსმანაშვილთან. არავითარ უშუალო კავშირზე ლაპარაკი აქ არ შეიძლება, მაგრამ, შესაძლოა, უფრო გასაგები გახდეს ის ატმოსფერო, რომელშიც ფიროსმანიშვილი ტრიალებდა და ასე გასაოცარი აღარ იყოს მისი გამოჩენა.

რაც შეეხება სურათების თარიღს, ცხადია, რომ XIX საუკუნის დასაწყისზე ადრე ისინი არ შეიქმნებოდნენ. ახალი ტიპის მხატვრების ნაწარმოებები, შესრულებული ზეთით ტილოზე, ჩნდება მხოლოდ XVIII ს-ის მიწურულში, ისიც მხოლოდ მეფის ოჯახისა და მისი ახლობლების დაკვეთით. თვით სურათების სტილი, სადაც ახალი სახვითი ხერხები მხოლოდ ათვისების სტადიაშია, სადაც რეალისტურ ელემენტებს ეხამება პირობითობა, დამახასიათებელია XIX საუკუნის პირველი სამი მეოთხედის მხატვრობისათვის, კერძოდ, პორტრეტებისათვის. ამაზევე მეტყველებს მათი რუსული წარწერები, ეთნოგრაფიული ხასიათი. ინტერესი კავკასიელი ტიპებისადმი, მათი ჩაცმულობისადმი გავრცელებული მოვლენაა XIX საუკუნეში. საკმარისია გავიხსენოთ გაგარინი, ჩერენცოვები. ეს სურათები როგორც ჩანს, სერიულად მზადდებოდა თბილისის რომელიღაც სამხატვრო სახელოსნოში, გარკვეული შტამპების მიხედვით და გამიზნული იყო ბაზარზე გასატანად, სადაც მყიდველი პირველ რიგში, ეთნოგრაფიული ღირსებებით უნდა დაეინტერესებინა. ჩვენ მიერ განხილული სურათების სამი ჯგუფი, სამ ასეთ სერიას უნდა წარმოადგენდეს.

რაც შეეხება უფრო ზუსტ თარიღს, იგი მხოლოდ სავარაუდოა.

ხელოვნების მუზეუმში დაცულია ვინმე სულხანიშვილის ცნობა, რომლის მიხედვით მამამისის, ივანეს მიერ შეძენილი სურათები ჯერ კიდევ 40-იან წლებში უნახავს ვიღაც ფრანგ მოგზაურს, ე. ი. თუ ამ ცნობას ვენდობით, 40-იან წლებში ეს სურათები უკვე არსებობდა, რაც სავსებით დასაშვებია.

В. С. ГАГОШИДЗЕ

КОНСТРУКЦИЯ ДРЕВНЕЙШЕГО ТИПА КОЛХИДСКОГО ЖИЛОГО ДОМА ПО ВИТРУВИЮ

Первые литературные сведения о колхидском жилом доме находим у Римского архитектора Витрувия (I век до н. э.), который пишет, что: «у колхидиан на Понте, благодаря изобилию лесов, кладут лежмя на землю цельные деревья справа и слева на таком расстоянии друг от друга, какое допускает длина деревьев, а на концы их помещают другие поперечные, замыкающие внутреннее пространство жилища. Затем, скрепляя по четырем сторонам углы положенными друг на друга бревнами и,таким образом, выводя бревенчатые стены по отвесу к нижним бревнам они возводят кверху башни, а промежутки, остающиеся из-за толщины леса, затыкают щепками и глиной. Также они делают и крыши: обрубая концы поперечных балок, они перекрещивают их, постепенно суживая и, таким образом, с четырехсторон выводят к верху в виде пирамид, покрывая их, листвой и глиной и варварским способом строят на башнях шатровые крыши»[1].

Из этого текста следует, что в колхидском жилом доме как стены, так и крыша выполнены из одного материала — бревен. В тексте мы читаем, что «Промежутки остающиеся из-за толщины леса, затыкают щепками и глиной» это можно понять по разному: «Промежутки из-за толщины леса» равняются толщине бревен, если конструкция выполнена без врубки, а слова «затыкают щепками и глиной» говорят, что оставшиеся между бревнами промежутки незначительны, что может быть только при врубке.

В результате различного толкования этого предложения разными комментаторами, имеются разновидные иллюстрации бревенчатого колхидского жилого дома по Витрувию без врубки и с врубками.

Так например, конструкцию колхидского дома Джокондо (1511), по Витрувию, изобразил струганными балками с врубками в полдерева (без остатка), но, к сожалению реконструированы только стены, без пирамидальной крыши.

Конструкцию колхидского дома по Витрувию без врубки изобразили Марини (1836), Шуази (1909)[2], Д. Мшвениерадзе (1952)[3] и др., которые промежутки между бревнами заполняют «щепками и глиной». В отличие от них, Перро (1684) и Л. Сумбадзе (1936)[4], колхидский дом изобразили также без врубки, но промежутки между бревнами закладывают «схидиями[5] и глиной».

---

[1] Витрувий, Десять книг об архитектуре, перевод Ф. Петровского, Изд-во ВАА, Москва, т I, 1936, книга II, стр. 41—42.

[2] Огюст Шуази, Строительное искусство древних римлян. перевод с французского А. А. Сапожниковой и В. Н. Калыш, Изд-во Всесоюзной академии архитектуры, М., 1938, стр. 114.

[3] Д. М. Мшвениерадзе, Строительное дело в древней Грузии, Техника да шрома, Тб., 1952, табл 49.

[4] Л. З. Сумбадзе, Колхидское жилище по Витрувию, Изд-во АН ГССР, Тб., 1960, стр. 48, рис. 1, 2, табл. 6, 9, 10, 11, 14.

[5] Л. З. Сумбадзе, там же. «Схидии» — это наколотые брусочки, которыми и сейчас заполняют в примитивных дарбазных перекрытиях промежутки между бревнами, стр. 23.

Конструкция колхидского дома по Витрувию решена также в совершенно другом характере, с вертикальными стойками, у Чезаре-Чезариано (1521) и Перро (1673) по первому варианту.

Следует отметить, что Чезаре-Чезариано изобразил колхидский жилой дом как башню. На рис. 1 приведены также конструкции колхидского жилого дома по Витрувию с врубками с остатком, реконструированные В. Гагошидзе (1965)[6] и Г. Лежава (1971)[7], что полностью подтверждаются археологическими раскопками, проведенными в Колхиде в последние годы.

В отмеченной статье автор[8] пишет: «Между бревнами, очевидно, остаются незначительные промежутки, так как их «затыкают щепками и глиной». «Оставшиеся промежутки между бревен затыкают щепками и глиной» отмечается и в грузинском переводе Ш. Амиранашвили[9], а в переводе Г. Полякова[10] эти промежутки «законопачиваются стружками и глиной».

Незначительные промежутки между бревнами возможны как в случаях, когда бревна укладываются между вертикально поставленными парными бревнами, так и при укладке с помощью врубок. Там же отмечается что: «Возможно приведенные в тексте Витрувия (перевод Ф. Петровского) слова: «Затем скрепляя по четырем сторонам углы положенными друг на друга бревнами», нужно понимать, что скрепление производилось при помощи врубки с остатком.

Что скрепление в колхидском жилом доме осуществлялось именно с врубками с остатком подтверждается обнаруженной в 1969—72 гг. Носирской археологической экспедицией, Гос. Музея Грузии им. акад. С. Н. Джанашия на территории Колхиды древних бревенчатых стен.

Ниже приводится наряду с фотографии археологических раскопок, воспроизведенный нами первоначальный вид бревенчатых стен с врубками с остатком и вид бревенчатых стен с натуры.

На рис. 2 нами изображено крепление бревенчатых стен при помощи полукруглой чашки, вырубленной с остатком в нижней части бревна. После скрепления между бревнами все же остаются незначительные промежутки, которые по Витрувию, «затыкают щепками и глиной». Пунктиром показан, как от ветхости исчезает чашка крепления.

На фото (рис. 3) поперечное бревно расположено между двумя горизонтальными бревнами. Наглядно видно, что поперечное бревно со своей полукруглой чашкой углублено в нижнюю горизонтальную, а верхнее горизонтальное, без чашки, прямо опирается на поперечное, так как вырубленная чашка от ветхости исчезла. Вместо нее виден просвет.

Промежутки между бревнами, скрепленные при помощи полукруглой чашки, находятся в прямой зависимости от толщины бревна. В зависимости от глубины вырубки меняются промежутки между бревнами.

Очевидно, эта существующая зависимость в бревенчатых жилых домах с врубками подразумевается в тексте Витрувия: «Промежутки,

[6] В. С. Гагошидзе, Древнейшие типы жилых домов Западной и Восточной Грузии, жур. «Мацне», Тб., 1965, № 1, табл. VIII.

[7] Г. Лежава, Древнейшая деревянная архитектура по «Анабасису» Ксенофонта, жур. «Мацне», серия истории, Тб., 1971, № 3, Табл. III.

[8] В. С. Гагошидзе, там же, стр. 282, 283.

[9] Ш. Я. Амиранашвили, История грузинского искусства, Изд. АН ГССР, Тб., 1944, стр. 126 (на груз. яз.).

[10] Марк Витрувий Поллион, Об архитектуре десять книг, Редакция и введение А. В. Мишулина, глава II, перевод Г. П. Полякова, ОГИЗ, Ленинградское отд., 1936, стр. 48

оставшиеся из-за толщины леса, затыкают щепками и глиной».

Таким образом, произведенные на территории древней Колхиды раскопки дают ясную картину, что в Колхиде строили бревенчатые жилые дома с врубками с остатком.

Следует отметить, что древние мастера основное внимание уделяли получению в здании жестких углов. Леон-Баттиста Альберти отмечает, что: ... «почти всякое здание начинало оседать только по причине ослабления одного из углов. Правильно поэтому древние обычно делали углы гораздо более толстыми, чем стены... Крепость углов, следовательно, желательна не столько для того, чтобы нести крышу, ибо это больше дело колонн, чем углов, сколько для того, чтобы стены выполняли свое назначение и нигде не отклонялись от отвесной прямизны. ... Но прежде всего углы должны быть укреплены «руками» то есть камнями, поочередно выступающими то в одну, то в другую сторону, как средство для поддержания заполненной остальной части стены»[11].

«Крепость углов» для каменных жилых домов отмеченных Леон Баттиста Альберти, можно распространить на колхидском доме, где деревянные стены выполняют кроме основного назначения («нигде не отклонялись от отвесной прямизны»), несут и тяжесть крыши (перекрытие начинается прямо от стены).

Таким образом в бревенчатых стенах «углы должны быть укреплены «руками» т. е. врубками с остатком.

Г. Лежава, бревенчатый колхидский жилой дом — башний изображает без верхнего освещения. В отмеченной работе[12] Г. Лежава пишет: «Витрувий характеризует кровлю башни черепахообразной (Testudinata), в которой не могло быть никакого отверстия по смыслу самого слова».

Соглашаясь с этим, мы считаем, что наряду с черепахообразной крышой могли существовать и крыши с светодымовым отверстием так как конструкция бревенчатой крыши по Витрувию дает возможность в верхней части венца оставить прямоугольное место, которое естественно было-бы использовано как свето-дымовое отверстие.

Все эти различные конструкции колхидского дома, представленные на рис. 1 разными комментаторами, говорят о том, что кроме латинского текста Витрувия для изучения колхидского дома необходимо обратиться к литературным источникам и археологическим раскопкам.

Наличие бревенчатых стен с врубками с остатком полностью подтверждается археологическими раскопками, которые еще существовали во втором тысячелетии до н. э.

М. Артамонов отмечает, что «В Колхидской низменности обнаружены остатки оригинальных деревянных сооружений, близко отвечающих описанию колхидской архитектуры у Витрувия, но сопровождаемые вещами, которые связываются по времени с кобанской культурой Кавказа, а частично должны быть датированы и еще древнее»[13].

В 1960 г. в Кобулетском районе в Кинтришском ущелье под руководством Т. Чиковани работала этнографическая экспедиция. Т. Чиковани отмечает, что... «в начале прошлого века в этой части исторической Колхиды, продолжали еще существовать жилища под названием

---

[11] Леон-Баттиста Альберти, Десять книг о зодчестве, перевод В. П. Зубова, Изд-во Всесоюзной академии архитектуры, М., МСМ XXXV, стр. 83—84.

[12] Г. Лежава, там же, стр. 103.

[13] М. Артаманов, Достижения советской археологии, Вестник древней истории, № 2, 7, 1939, стр. 127.



Рис. 1. Колхидский жилой дом, по Витрувию. A. Колхидское жилище, по Джокондо (1511), B. Колхидское жилище, по Чезаре-Чезариано (1521), C. Иллюстрация Перро к колхидскому дому, по первому варианту (1673), Д. Колхидский жилой дом Витрувия, по Марини (1836), E. Иллюстрация Перро к колхидскому дому Витрувия (1684), F. Колхидский жилой дом Витрувия, по Л. Сумбадзе (1936), G. Колхидский жилой дом Витрувия, по Д. Мшвениерадзе (1952), H. Колхидский жилой дом, по В. Гагошидзе (1965), J. Колхидский жилой дом-башня, по Г. Лежава (1971).



Рис. 2. А. Бревно с вырубленной чашкой (пунктиром показано бревно без чашки) В. Первоначальный вид бревенчатых стен с врубками с остатком. Скрепление осуществляется при помощи полукруглой чашки. С. Дошедшие до нас бревенчатые стены (исчезли вырубленные полукруглые чашки-крепления. Заметен следь вырубки).

Арх. В. Гагошидзе.

Рис. 3—4. Носирская археологическая экспедиция Гос. музея Грузии им. акад. С. Н. Джанашия, 1972 г. Руководитель экспедиции Э. Гогадзе.

Дошедшие до нас (приблизительно середина второго тысячелетия до нашей эры) колхидские бревенчатые стены с врубками с остатком. Стрелкой показаны сохранившаяся врубка с остатком.

Рис. 4.

«Куштара». Два таких жилища, уже почти разрушенных, нам удалось застать на месте. Мы не располагаем более полным материалом и поэтому описывая его только лишь на основании сведений полученных от информаторов и найденных нами остатков развалин»[14].

Там-же отмечается, что «Куштара представляла собой четырехугольное строение из неотесанных бревен, где на углах в связке стен применялся способ «старо-аджарской» вырубки, который заключается в неглубокой выемке древесины в виде полукруга с обеих сторон бревна».

Т. Чиковани в другой работе[15] отмечает, что «в этом ущелье был также жилой дом с «Кудари». Между прочим, аналогичный «Куштара» жилой дом, оказывается, был также распространен в свое время в Раче[16].

Археологические раскопки производятся с 1968 г. по настоящее время и в других районах древней Колхиды.

Носирская археологическая экспедиция Гос. Музея Грузии им. акад. С. Н. Джапашия в 1969 г. (Руководитель Д. Коридзе) в районе г. Цхакая, в сел. Носири, на глубине 2,7 — 2,9 м. обнаружила остатки бревенчатых строений. Д. Коридзе и Э. Гогадзе отмечают, что: «Судя по залеганию (кладке) срубов, строение должно было быть четырехугольным, площадью 38—40 квм. Под параллельно расположенными достаточно крупными бревнами длиной 5,7—8 метров, были уложены поперек бревна, которые очевидно являлись их основанием»[17].

На том же холме Носирская экспедиция (под руководством Э. Гогадзе) в 1972 г. обнаружила остатки других древних бревенчатых сооружений, которые датируются приблизительно серединой второго тысячелетия до нашей эры.

На рис. 3 и 4 показаны остатки обнаруженных бревенчатых стен с натуры. Между бревнами имеются незначительные промежутки, которые заполнены местной глиной. Стрелкой показана сохранившаяся врубка с остатком.

Все эти данные нами были проверены на месте раскопок с археологами: Э. Гогадзе, Г. Григолия и архитектором Ш. Кипшидзе.

На представленных фотографиях (рис. 3, 4), которые были засняты археологом Э. Гогадзе сразу же после обнаружения бревенчатых строений, отчетливо были зафиксированы все мельчайшие архитектурные и конструктивные детали дома, через год в натуре они незначительно изменились.

Как видим, в древней Колхиде рубку по дереву применяли всюду по необходимости, при строительстве бревенчатых сооружений. Следует отметить, что аналогичная рубка с остатком в бревенчатых стенах при-

---

[14] Т. Чиковани, Колхидский дом Витрувия в свете грузинского этнографического материала. Вестник Государственного музея Грузии, т. XXII-В, Тбилиси, 1961, стр. 403—406.

[15] Т. Чиковани, Из истории народного жилища Закавказья (на груз. яз.) Тб., 1967, стр. 205.

[16] Л. Сумбадзе, Колхидское жилище по Витрувию; В. С. Гагошидзе, Древнейшие типы жилых домов Западной и Восточной Грузии.

[17] Д. Коридзе, Э. Гогадзе, Результаты полевых работ, проведенных Носирской археологической экспедицией в 1969 г., Археологические экспедиции Гос. музея Грузии, Тб., 1971, стр. 31.

ведена в работе И. Цицишвили[18] (бревенчатое погребальное строение из древнейшего Самгорского кургана)[19], И. Цицишвили отмечает: «В связи с тем, что в древности погребальные строения делали схожими с существующими жилыми домами, поэтому можно утверждать, что в Грузии в энеолитическом периоде умели строить деревянные жилые дома джаргвального типа».

Как видим, как в Западной, так и в Восточной Грузии в древности строили бревенчатые жилые дома с врубками с остатком.

В Колхиде, кроме обычных, умели делать по дереву и иного вида рубки. Так например, Альберти предполагает, что для очистки рек (среди рек упоминается и «Фазис у Колхидян») древние применяли заслоны с вертикально забитыми бревнами, имеющими по «бокам сверху до низу углубления в четыре дюйма шириной требуемых досок»[20].

Автор настоящей работы[21] в 1965 г. отмечал, что в Колхиде в I в. до н. э. при высоком культурном уровне, население не могло не знать о соединении бревен при помощи врубок по дереву. В Колхиде не только в I веке, но и в VI—IV веках до н. э. были развиты различные ремесла. Так, например Г. Меликишвили[22], перечисляя подробно все достижения колхидян, пишет: «Все вышесказанное говорит о высоком развитии в Колхиде целого ряда ремесел (обработка металлов, в том числе ювелирное дело, керамическое производство, обработка льна, обработка дерева, кораблестроение и т. п.)».

Подтверждением высокой культуры колхидян являются результаты раскопок, проведенных в разное время на территории Колхиды.

В Колхиде дереву, как строительному материалу, придавали большое значение. Ш. Амиранашвили[23] пишет: «В грузинской архитектуре, особенно в Западной Грузии, дерево, как строительный материал, занимал важное место; еще у Гиппократа (460—377 годы д. н. э.) отмечается, что Колхи жили в деревянных домах. Ксенофонт (401 год д. н. э.) передает, что племена Дрили, которые жили по соседству с Колхами, жилые дома в крепости строили из дерева».

Г. Лежава[24] отмечает: «Латинский автор Присциан, живший в V—VI вв. в своем сочинении «Землеописание» сообщает о моссинах обитающих в деревянных башнях с бревенчатыми кровлями».

Практика строительства показывает, что все дошедшие до нас древние типы однокамерных жилых домов — «Катха-Сахли», «Джаргвали», «Грдзели-Сахли» и др. — имели бревенчатые стены с врубками с остатком.

---

[18] И. Цицишвили, История грузинской архитектуры, «Техника да шрома», Тб., 1955., стр. 16 и табл. I рис. 2.

[19] Археологические раскопки в Самгори производились в 1948—1950 гг. под руководством, Г. К. Ниорадзе и Н. Бердзенишвили.

[20] Леон-Баттиста Альберти, Десять книг о зодчестве, текст I, стр. 372-373.

[21] В. С. Гагошидзе, Древнейшие типы жилых домов Западной и Восточной Грузии, стр. 283, 284.

[22] Г. А. Меликишвили, К истории древней Грузии, Изд. АН ГССР, Тб., 1959, стр. 241.

[23] Ш. Я. Амиранашвил, История грузинского искусства, стр. 126 (на груз. яз.).

[24] Г. Лежава, Древнейшая деревянная архитектура по «Анабасису» Ксенофонта, стр. 103.

Л. Сумбадзе[25] омтечает, что «среди дошедших до нас типов дарбази, объектов с бревенчатыми стенами в «реж» (без врубки), мы не встречаем вовсе».

Такую же картину мы видим, изучая памятники древнерусского деревянного зодчества. Е. Ащепков[26] отмечает что: «Жилища сибирского населения дают богатый материал для изучения истории развития человеческого жилища вообще, а также показывают крайне медленную его эволюцию.

До XVI столетия Сибирь не знала каменных построек. Дерево было единственным материалом, из которого рубили все виды сооружений того периода: крепостные стены, остроги, церкви, жилые дома и др.».

В труде приведена башня Илимского острога (1630 г.), конструкция которого состоит из бревен с врубками остатком.

Т. Сидорова[27] в работе пишет, что «даже там, где деревянная конструкция не выражена достаточно ясно, общий характер композиции и некоторые детали заставляют думать, что изображение дома относится к типу основной жилой ячейки —клети-срубу, хорошо известному по деревянным избам севера, Сибири в центральных областей, а также по многочисленным археологическим раскопкам (Старая Ладога), Новгород, Псков, Гродно, Пронское городище, старая Рязань и др.)...

Из бревен с врубками остатком были построены не только жилые дома но и общественные здания так например Т. Сидорова в указанной работе приводит миниатюр-дымник, церквей и т. д. XVI, XVII и XVIII веков «Формы которых настолько реалистичны, что могли быть наглядной иллюстрацией этой детали, жилого дома древней Руси».

Б. Рыбаков[28] при раскопке во Вшиже в 1948—1949 гг. отмечает, что «Конструкция изб XII и XIX вв. была очень однородна, однородным оказался и инвентарь.

Л. Сумбадзе[29] пишет что: В русском деревянном зодчестве «Бревенчатые стены рубились всегда в «полдерева с остатком». Система рубки сплошной стеной часто применялась и в покрытиях».

Таким образом, стены колхидского дома, бревенчатые с врубками с остатком, а перекрытия, как это видно по тексту Витрувия, также бревенчатые и начинаются прямо с основной стены. «Также они делают и крыши: обрубая концы поперечных балок, они перекрешивают их, постепенно суживая и, таким образом, с четырех сторон выводят к верху в виде пирамид, покрывая их, листвой и глиной».

Исходя из этого реконструирование колхидского жилого дома по Витрувию: В. Гагошидзе (рис. 1[II]) и Г. Лежава (Рис. 1[I]), «Куштара» описанная Т. Чиковани и иллюстрация дома в селении Мтис-Калта (Верхняя Рача), опубликованы Л. Сумбадзе, являются идентичным с древним колхидским бревенчатым жилым домом, который строился с врубками с остатком.

---

[25] Л. Сумбадзе, Колхидское жилище по Витрувию, стр. 20.

[26] Е. Ащепков, Русское народное зодчество, Изд. Академ. архитектуры СССР, 1950. стр. 11.

[27] Т. Сидорова, Реалистические черты в архитектурных изображениях древне русских миниатюр, Материалы к исслед. архит. наследства, № 10. М., 1958, стр. 90.

[28] Б. А. Рыбаков, Раскопки во Вшиже в 1948—1949 гг., КСИИМК, вып. XXXVIII, М.-Л., 1951, стр. 37.

[29] Л. Сумбадзе, Венчатые поктрытия в русском деревянном зодчестве, Архитектурное наследство, № 10, М., 1958, стр. 62.

მარიამ საგინაშვილი

მინის ჭურჭელი თბილისიდან

ჩვენი წელთაღრიცხვის პირველი საუკუნეები საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობათა ფართო აღმავლობის ხანაა. საერთაშორისო ვაჭრობაში ჩაება თითქმის მთელი მსოფლიო, მათ შორის საქართველოც. ბოლო წლების არქეოლოგიური აღმოჩენების საფუძველზე კარგად ჩანს, თუ როგორ აქტიურ მონაწილეობას იღებდა საქართველო საერთაშორისო ვაჭრობაში.

იბერიის სავაჭრო-ეკონომიურ ურთიერთობათა შესასწავლად რომაულ ხანაში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება არქეოლოგიურ მინის ჭურჭელს; ის უკვე დიდი რაოდენობით არის მოპოვებული ძველი ქართლის ბევრ სხვადასხვა პუნქტში. განსაკუთრებით მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანია ანტიკური იბერიის დიდ ქალაქებში — მცხეთასა და ურბნისში აღმოჩენილი მინის ჭურჭელი, მაგრამ არც სხვა, უფრო მცირე კოლექციებია ყურადღების გარეშე დასატოვებელი. ხშირად ასეთი კოლექციები საკმაოდ მნიშვნელოვან ინფორმაციას იძლევა ხოლმე ანტიკური ხანის მინის ჭურჭლის წარმოებისა და გავრცელების შესახებ. ამ თვალსაზრისით საყურადღებოა თბილისში აღმოჩენილი კოლექცია, რომელმაც მინის ჭურჭლის იშვიათი ტიპები მოგვცა.

1957 წლის ზაფხულში ღრმაღელეში, პლასტმასის ქარხნის ტერიტორიაზე, მიწის სამუშაოების დროს, შემთხვევით აღმოჩნდა ანტიკური ხანის არქეოლოგიური ძეგლები. ღრმაღელეში აღმოჩენილი ნივთებიდან, პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს მინის ალაბასტრონი, რომელიც ჯერჯერობით უნიკალურია არა მარტო საქართველოსათვის, არამედ ამიერკავკასიისათვისაც.

ალაბასტრონი წარმოადგენს მუქი ლურჯი მინის სანელსაცხებლეს. სქელკედლიანია, გადაშლილი ბრტყელი (დისკოსებური) პირით, მაღალი, ვიწრო ყელით, რომელიც მუცლისაკენ ფართოვდება, დაბალმუცლიანია, სრულდება კონუსისებური ძირით. მხრებზე სახელურების ნაცვლად ასიმეტრიულად მიძერწილი აქვს სხვადასხვა ფორმის ბრტყელთავიანი კოპები — შვერილები. ჭურჭელი შემკულია ლურჯი, მოთეთრო და ჩალისფერი საღებავებით გამოყვანილი „ფრინველის ფრთის“ ფორმის ორნამენტით (ტაბ. I). ზომები: სიმაღლე — 12,5 სმ. პირის დმ — 3 სმ[1].

მინის ჭურჭლის აღნიშნულმა ტიპმა სახელწოდება „ალაბასტრონი“ მიიღო ალებასტრის ჭურჭლისაგან, რომლის იმიტაციასაც ის წარმოადგენს[2]. მინის ალაბასტრონი ზუსტად არ იმეორებს (ალებასტრის) სანელსაცხებლის ფორმას. მას აქვს განვითარების საკუთარი გზა.

---

[1] ჭურჭელი დაცულია საქ. სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიის განყოფილების ძირითად ფონდში. ინვ. № 5—57:I. ამჟამად გამოფენილია არქეოლოგიის გამოფენაზე. ჭურჭელი გამოქვეყნებულია დ. ქორიძის მიერ. იხ. დ. ქ ო რ ი ძ ე, ახალი არქეოლოგიური აღმოჩენები თბილისის ტერიტორიაზე, გაზ. „თბილისი“, 19.VII.1958.

[2] R. Schmidt, Das Glas, Berlin, 1912, გვ. 10.

მინის ჭურჭლის ეს ტიპი ეგვიპტური წარმოშობისაა და ფართოდ არის გავრცელებული მთელ მსოფლიოში. ის დამზადებულია, ძირითადად, მუქი მოლურჯო, მოთეთრო, მოყვითალო, შავი, უფრო მოგვიანებით, მოწითალო ფერის მინისაგან[3]. მათ ამზადებდნენ შემდეგნაირად: ქვიშის გულაზე ჩამოსხმულ, ჯერ კიდევ რბილი ჭურჭლის გარკვეულ ნაწილზე ამაგრებდნენ მინის ცხელ ბურთულას და მისგან სწრაფად ჭიმავდნენ ძაფს, რომელსაც ჭურჭელზე ახვევდნენ. მინის ძაფი რომ მიწებებოდა ჭურჭელს, ამისათვის არ იყო საჭირო განსაკუთრებული საშუალებების გამოყენება, სამაგიეროდ საჭირო იყო დიდი სიფრთხილე და სისწრაფე, რადგან მინა ადვილად ცივდება და კარგავს ფორმირების უნარს. უმრავლეს შემთხვევაში, ალბათ, ერთი ჭურჭლის დასამზადებლად მუშაობდა ორი ხელოსანი, ერთი, რომელსაც ეჭირა ჭურჭელი და აძლევდა მას სასურველ მდგომარეობას, მეორე — რომელიც თვითონ ჭიმავდა მინის ძაფს, ადებდა ჭურჭელს და შემდეგ, გარკვეული ინსტრუმენტების საშუალებით, ძაფს აძლევდა სასურველ მიმართულებას. როცა ძაფი მიეკვროდა ჭურჭელს, მას აგორავებდნენ მარმარილოს ფილაზე იქამდე, ვიდრე ისინი კარგად არ ჩაეჭდებოდნენ მინის მასას. გაცივების შემდეგ ხდებოდა ჭურჭლის გაშლიფვა ჩარხზე. ზოგ შემთხვევაში მათ ისევე ტოვებდნენ მაშინაც კი, როცა ძაფები რელიეფურად იყო ამოწეული. ბევრ ნიმუშზე შეიმჩნევა, თუ სად იწყება მინის ძაფი ჭურჭელზე შერჩენილი მსხლის ფორმის წვეთის წყალობით (ეს თბილისის ალაბასტრონზეც კარგად ჩანს — ყელზე შერჩენილია დაბრტყელებული ღილის ფორმის თეთრი წანაზარდი). სანელსაცხებლეზე ზუსტად პარალელურად, წესიერად, განლაგებული შემკულობა ძალიან იშვიათად გვხვდება, მაგრამ ეს გარემოება არაფერს აკლებს ჭურჭელს, პირიქით, მას მატებს კიდეც მხატვრულ ღირსებას. მხატვრულად სრულყოფილი და დახვეწილი ფორმები ძველ ეგვიპტურ ნაწარმში უფრო ხშირად გვხვდება, ვიდრე მოგვიანო ხანის პროდუქციაში[4].

პ. ფოსინგს თავის ფუნდამენტურ ნაშრომში, რომელიც ეხება გამობერვის ტექნიკის გამოგონებამდე არსებულ მინის ჭურჭელს, შესწავლილი აქვს მინის ალაბასტრონებიც. ის გვაძლევს მათ დაწვრილებით ანალიზსა და დათარიღებას[5].

განიხილავს რა სხვადასხვა ფორმისა და ორნამენტის მქონე ალაბასტრონების დიდ ჯგუფს, პ. ფოსინგი მათგან გამოყოფს „თითისტარისებრ“ ალაბასტრონებს, რასაც ის უწოდებს თბილისური ალაბასტრონის მსგავს ჭურჭელს[6]. მათში კი ის არჩევს „ფრინველის ფრთისებური“ ორნამენტითა (ტაბ, $I_{1,2}$) და ფესტონებით (ტაბ. I_4) შემკულ ალაბასტრონებს. გვხვდება, აგრეთვე, ალაბასტრონები, რომლებზედაც მოცემულია ორივე ორნამენტის კომბინაცია (ტაბ. I_3)[7].

თბილისის ალაბასტრონი მიეკუთვნება თითისტარისებრი ალაბასტრონების იმ ჯგუფს, რომელიც შემკულია „ფრინველის ფრთისებური“ ორნამენტით. მისი ზუსტი ანალოგიაა ჩრდილო-დასავლეთ ყირიმში, ბელიაუსის სამაროვანზე აღმოჩენილი სანელსაცხებლე, რომელიც წარმოადგენს მოლურჯო-მოცისფრო

---

[3] A. Kisa. Das Glas im Altertume. Leipzig. 1908, ნაწ. III. გვ. 405.

[4] იქვე. გვ. 405.

[5] P. Fossing. Glass Vessels before Glass-blowing. Copenhagen. 1940. 110—112.

[6] იქვე.

[7] იქვე, გვ. 112, ფიგურა 84,85 თითისტარისებრი ალაბასტრონების შემკობის ორგვარ ორნამენტს არჩევს ა. კიზაც. იხ. A. Kisa, დასახ. ნაშრომი, გვ. 404.

ალაბასტრონს და მსგავსად ჩვენი სანელსაცხებლისა, შემკულია ფრინველის ფრთისებური ორნამენტით[8]. თბილისის ალაბასტრონის ზუსტი ანალოგიაა, აგრეთვე, სახელმწიფო ერმიტაჟში დაცული ორი ალაბასტრონიც[9].

ორნამენტაციის ორივე სახე წარმოდგენილია ბევრ ჭურჭელზე. თითისტარისებრი ალაბასტრონები ფესტონური სახეებით ნაპოვნია სიცილიაში, საბერძნეთში, კვიპროსსა და სირიაში[10]. ფესტონური ორნამენტით არის შემკული ა. კიზას მიერ ეგვიპტურ ნაწარმად მიჩნეული ალაბასტრონიც[11]. ალაბასტრონები ფრთისებური ორნამენტით აღმოჩნდა იტალიაში: ერთი არის ანკონადან; ის აღმოჩნდა სამაროვანზე, რომელიც II—I საუკუნეებით თარიღდება, მეორე ალაბასტრონი, რომლის მხოლოდ ქვედა ნაწილია შერჩენილი, ნაპოვნია ორნავასოს სამარხში, რომელიც შეიცავდა ჩვენს წელთაღრიცხვამდე 88—84 წლების დენარებს[12]. II ან I საუკუნით თარიღდება მინის ალაბასტრონები ფესტონური ორნამენტით სირიიდან[13]. კოპენჰაგენის თორვალდსენის მუზეუმში დაცულ ნიმუშებზე, რომელიც ძალიან ახლოს დგას თბილისურთან, წარმოდგენილია ორი სახის ორნამენტის კომბინაცია (ტაბ. I_3)[14].

როგორც ჩანს, თითისტარისებრი ალაბასტრონები დამახასიათებელია ჩვენს წელთაღრიცხვამდე II—I საუკუნეებისათვის. ჩვენს წელთაღრიცხვამდე I და ჩვენი წელთაღრიცხვის I საუკუნით ათარიღებს ბელიაუსის სამაროვანზე აღმოჩენილ ალაბასტრონს ი. დაშევსკაიაც[15]. ა. ვოშჩინინა კი ერმიტაჟში დაცულ ალაბასტრონებს ათარიღებს III—II საუკუნეებით[16]. სამწუხაროდ, ერმიტაჟის ნივთებს არ გააჩნიათ არავითარი თანმხლები მასალა და მათი ზუსტი თარიღის დადგენა, ალბათ, ძნელია. ჩვენი აზრით, ალაბასტრონების აღნიშნული ტიპი გავრცელებულია ჩვენს წელთაღრიცხვამდე უკანასკნელ საუკუნეებში, განსაკუთრებით II—I საუკუნეებში. ჩვენი წელთაღრიცხვის I საუკუნეში კი ისინი გვხვდება გადმონაშთების სახით და შედარებით ნაკლებია, შემდეგ კი უკვე აღარა გვხვდება. ვფიქრობთ, ჩვენი ალაბასტრონი ჩვენს წელთაღრიცხვამდე I და ჩვენი წელთაღრიცხვის I საუკუნით უნდა დათარიღდეს. რადგან მასაც არ გააჩნია თანმხლები ინვენტარი და შემთხვევითი მონაპოვარია, ამიტომ მისი აბსოლუტური თარიღის დადგენა ვერ ხერხდება.

---

[8] О. Дашевская, Раскопки памятников античной эпохи в Северо-западном Крыму. Археологические открытия, 1970 года. М., 1971, გვ. 265.

[9] ერთი პანტიკაპეუმიდან არის — ინვ. № П 1848,49.5 (ძირ-გვერდითაა წარმოდგენილი), მეორე — გორგიპიიდანაა; ინვ. № 1882,18. ორივე ჭურჭელი გამოცემული აქვს ა. ეოშჩინინას. იხ. A. I. Voščinina, Fruhantike Glasgefäße in der Ermitage (Gruppe der Salbgefäße in der Sandkern-Technik), Wissenscraftliche Zeitschrift der Universität Rostock—16, Jahrgang, 1967, გვ. 558, Taf. 124, 2.

[10] P. Fossing, დასახ. ნაშრომი. გვ. 112.

[11] A. Kisa, დასახ. ნაშრომი. გვ. 404, ნახატი 81.

[12] P. Fossing, დასახ. ნაშრომი, გვ. 113.

[13] F. Neuburg, Glass in Antiquity, London, 1949, ტაბ. XIV. 44.

[14] P. Fossing, დასახ. ნაშრომი, გვ. 112, ფიგურა 84.

[15] ბელიაუსის სამაროვანზე გაითხარა ჩვენს წელთაღრიცხვამდე I და ჩვენი წელთაღრიცხვის I საუკუნეების რამდენიმე სამარხი. ერთ-ერთ № 5 სამარხში აღმოჩნდა ალაბასტრონი. იხ. О. Дашевская, დასახ. ნაშრომი, გვ. 265.

[16] A. Voščinina, დასახ. ნაშრომი. გვ. 558, ჩვენს წელთაღრიცხვამდე III—II საუკუნეებით თარიღდება ალაბასტრონი ფ. ნეიბურგთანაც. იხ. F. Neuburg, Antikes Glas, Darmstadt, 1962. ტაბ. III. გვ. 33.

რაც შეეხება წარმომავლობას, მსგავსი ალაბასტრონები მიჩნეულია ეგვიპტურ ნაწარმად[17]. ჩვენი აზრით, ღრმაღელეში აღმოჩენილი ალაბასტრონიც ეგვიპტური წარმოშობისა უნდა იყოს (ყოველ შემთხვევაში, სხვა ვარაუდის გამოთქმის საშუალება ჯერჯერობით არა გვაქვს).

ნაკლებ საინტერესო როდია 1957 წელს ღრმაღელეში, პლასტმასის ქარხნის ტერიტორიაზე აღმოჩენილი მეორე ჭურჭელი. ის მოცისფრო გამჭვირვალე მინის სქელკედლიანი სამტუჩა სურა უნდა ყოფილიყო, მაღალი ცილინდრული ყელით, ასევე მაღალი ოთხივე მხარეს ძლიერ შედრეკილი გვერდებით, ქუსლიანი ცენტრში შეზნექილი ძირით (ცალ მხარეს შერჩენილია ყურის ფრაგმენტი) (ტაბ. II_1).

ზომები: სიმაღლე — 18 სმ; ყელის დმ — 2 სმ; ძირის დმ — 5 სმ[18].

მსგავსი სურა საქართველოში ცნობილია, აგრეთვე, მცხეთა-სამთავროდან. ის ღრმაღელეში აღმოჩენილი სურისაგან განსხვავდება მინის ხარისხითა და ნაწილობრივ ფორმითაც[19]. მინის ჭურჭლის ეს უკანასკნელი ტიპი გავრცელებული იყო ჩვენი წელთაღრიცხვის I—II სს. და ითვლება სირიულ ნაწარმად[20].

1957 წელს ღრმაღელეში აღმოჩნდა კიდევ ორი ჭურჭელი. ერთი მომწვანო ფერის გამჭვირვალე მინის სანელსაცხებლეა, ბრტყელი შიგნით ჩაკეცილი პირით, მაღალი ყელით, რომელიც მკვეთრად არის გამოყოფილი ძლიერ გამობერილი მსხლის ფორმის მუცლისაგან; ოდნავ შედრეკილი ძირით (ირიზებულია) (ტაბ. II_2).

ზომები: სიმაღლე — 16 სმ; პირის დმ — 3,5 სმ; ძირის დმ — 4 სმ[21].

სანელსაცხებლე ემსგავსება ურბნისის გვიანანტიკური ხანის სამაროვანზე აღმოჩენილ კოლბისებურ სანელსაცხებლებს, რომლებიც გავრცელებული იყო ჩვენი წელთაღრიცხვის I—II საუკუნეებში[22]. მკვლევართა დიდი ნაწილი მსგავს ჭურჭელს მიიჩნევს სირიულ ნაწარმად[23].

მეორე ჭურჭელი მოთეთრო-მომწვანო ფერის გამჭვირვალე მინის სანელსაცხებლეა, პირჩაკეცილი, ბრტყელი ძირით. მინა ცუდი ხარისხისაა — შეიცავს სხვადასხვა ფორმისა და ზომის ბუშტებს (ტაბ. II_3).

ზომები: სიმაღლე — 5 სმ; პირის დმ — 1,5 სმ; ძირის დმ — 2,5 სმ.

---

[17] P. Fossing, დასახ. ნაშრომი, გვ. 32; A. Kisa, დასახ. ნაშრომი, გვ. 404.

[18] დაცულია საქ. სახ. მუზეუმის არქეოლოგიის განყოფილების ძირითად ფონდში ღრმაღელეში აღმოჩენილ ყველა სხვა ჭურჭელთან ერთად. ინვ. № 6—57:6.

[19] О. Лорткипанидзе, Ремесленное производство и торговля в Мцхета в I—III вв. н. э., თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, 65, თბ., 1957. ნახ. 8; ნ. უგრელიძე, მინა ძველ საქართველოში, ტაბ. 8.

[20] ო. ლორთქიფანიძე. დასახ. ნაშრომი. გვ. 10; მისივე, ანტიკური სამყარო და ქართლის სამეფო, თბ., 1968, გვ. 75.

[21] ინვ. № 6—57:7. გამოფენილია საქ. სახ. მუზეუმის არქეოლოგიის გამოფენაზე.

[22] მ. საგინაშვილი, ურბნისის სამაროვნის მინის ჭურჭელი, თბ., 1970. № 152, 153. ზოგიერთი მკვლევარი მათ ათარიღებს ჩვენი წელთაღრიცხვის II—III საუკუნით. იხ. M. Bucovală, Vase, Antice, Desticlă la Tomis, Mazeul de Archeologie. Constanta, 1968, გვ. 118, 119, № 245.

[23] Б. Н. Аракелян, Г. А. Тирацян. Ж. Д. Хачатрян, Стекло Древней Армении (I—IV вв.) Археологические памятники Армении, 3, Ереван,1969, гз. 37, № 33. C. Isings, Roman glass from dated finds, Groningen—Djakarta, 1957, № 28 a., O. Vessberg, Roman Glass in Cyprus, Archaeologica Opuscula, VII, Lund, 1952, p. 133, pl. VII.

ეს ჭურჭელიც დამახასიათებელია ჩვენი წელთაღრიცხვის პირველი საუკუნეებისათვის.

ღრმაღელეში, პლასტმასის ქარხნის ტერიტორიაზე არქეოლოგიურ ნივთებს მიაკვლიეს, აგრეთვე, 1960 წლის მიწურულსა და 1961 წლის დასაწყისში. აღმოჩენილი ორი ჭურჭლიდან, ერთი მომწვანო ფერის გამჭვირვალე მინის სქელკედლიანი სანელსაცხებლეა. მას აქვს სწორი პირი, მაღალი ყელი, რომელიც მკვეთრად გამოიყოფა კორპუსისაგან, ბრტყელი ძირი (ჭურჭელი ნაწილობრივ არის აღდგენილი, ირიზებულია. მინა მდარე ხარისხისაა)[25] (ტაბ. II$_4$).

მეორე — მოთეთრო ფერის თხელკედლიანი გამჭვირვალე მინის სანელსაცხებლეა, პირგადაშლილი, მაღალი ყელით, რომელიც უშუალოდ გადადის ძირისაკენ გაფართოებულ კორპუსში; ბრტყელძირიანი (მინა, აგრეთვე, მდარე ხარისხისაა — შეიცავს უამრავ ბუშტებს)[26] (ტაბ.II$_5$).

ორივე ჭურჭელი მიეკუთვნება კოლბისებური სანელსაცხებლეების ჯგუფს, რომელიც გავრცელებული იყო ჩვენი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეებში. ისინი უნდა დათარიღდეს I—II საუკუნეებით.

პირველი ჭურჭელი (ტაბ. II$_4$) მსგავსია ადგილობრივ ნაწარმად მიჩნეული კოლბისებური სანელსაცხებლეებისა[27]. ვფიქრობთ, ესეც ადგილობრივი პროდუქცია უნდა იყოს.

როგორც დავინახეთ, ღრმაღელეში აღმოჩენილი მინის ჭურჭლის მცირე კოლექცია საყურადღებო აღმოჩნდა როგორც ფორმათა მრავალფეროვნებით, ასევე დამზადების ტექნიკის თვალსაზრისით. ამ მცირე კოლექციამ, რომელიც შეიცავს 6 ჭურჭელს, მოგვცა მინის ჭურჭლის 5 ტიპი. პირველი ტიპი — ალაბასტრონი გამობერილი არ არის — დამზადებულია „ქვიშის გულის“ ტექნიკით (იხ. ზემოთ); დანარჩენი ხუთი ჭურჭელი კი — გამობერილია: სურა გამობერილია ფორმაში, დანარჩენი ოთხი კი — თავისუფლად ნაბერია.

ზემოთ განხილული მინის ჭურჭლის შესწავლამ საშუალება მოგვცა ღრმაღელეში აღმოჩენილ მინის ჭურჭელში გამოგვეყო იმპორტული ჭურჭელი და დაგვედგინა ადგილობრივი ნაწარმი. ამ კოლექციამაც, ისევე როგორც იბერიის სხვა საქალაქო ცენტრებში აღმოჩენილმა ჭურჭელმა კიდევ ერთხელ ცხადყო, რომ გვიანანტიკური ხანის იბერიაში ერთდროულად არსებობდა როგორც იმპორტული, ისე ადგილობრივი პროდუქცია.

---

[24] ინვ. № 6—57:8.

[25] ინვ. № 6—61—9. პირის დმ—2,5 სმ; ძირის დმ—2,6 სმ.

[26] ინვ. № 6—61—10. სიმაღლე — 6,6 სმ; ძირის დმ—2,5 სმ;

[27] იხ. მ. საგინაშვილი, დასახ. ნაშრომი, საკატ. აღწერილობის № 143, 146.

1
2
3
4

ტაბულა II

ჯულიეტა რუხაძე

სამეურნეო სათავსები საქართველოში

საქართველო სამეურნეო სათავსთა მრავალფეროვნებით ხასიათდება. სათავსებიდან კონსტრუქციულ-მხატვრული დახვეწილობით, ამასთანავე, ფართო გავრცელებით, უთუოდ გამოირჩევა სამარცვლე სათავსები, რომელთაც ხანგრძლივი ისტორიული ტრადიცია აქვთ.

სამარცვლე სათავსების შესახებ უძველესი წერილობითი წყაროები არაპირდაპირ ცნობებს გვაწვდიან. ქსენოფონტს (V საუკუნე ჩვენს ერამდე) აღნიშნული აქვს, რომ ელინებს მოსინიკთა სახლებში უნახავთ შენახული წინა წლის პური და ახალი, გაულეწავი თავთავის დიდი მარაგი[1]. ბუნებრივია, რომ მოსინიკებს მოსავლის დასაუნჯებლად რაიმე სათავსი ექნებოდათ, მაგრამ სამწუხაროდ ტექსტის მიხედვით ეს არ ჩანს. მიუხედავად იმისა, რომ ეს ცნობა ზუსტი არ არის, მას ჩვენთვის გარკვეული ღირებულება მაინც აქვს.

ქართული წერილობითი მონაცემებიდან სამეურნეო სათავსებზე მნიშვნელოვან მასალას იძლევა ნიკორწმინდის სიგელი (XI საუკ.), რომლის მიხედვით რაჭაში, ჯერ კიდევ იმ დროს, ხის ორსართულიანი სხვადასხვა სახის სადაგი და ხერხული ბეღელი დასტურდება[2].

სამეურნეო სათავსებმა კარგა ხანია დამსახურებულად მიიქცია მოგზაურთა და მკვლევართა ყურადღება. მათ შესახებ ზოგადი ხასიათის ცნობები მოცემული აქვთ XVII საუკუნის 30-იან წლებში — არქ. ლამბერტს, ქრ. კასტელს და ჟან შარდენს; XVIII—XIX საუკუნეში გიულდენშტედტს, აიხენვალდს, კოხს, ჰაქსტჰაუზენს, მერცბახერს, უფრო სრულ მასალას ვხვდებით ფრ. ბაუმჰაუერის შრომაში.

პრაქტიკულად შეუძლებელია ყველა ავტორის დასახელება, რომელიც აღძრულ საკითხს ეხება, მით უმეტეს, რომ მათი ცნობები — მეტისმეტად ზოგადი და ფრაგმენტულია, სათავსთა დამზადების ხელოვნება და მისი ფუნქციის გარკვევა მკვლევართა საგანგებო შესწავლის ობიექტი არ ყოფილა.

ლიტერატურული მასალის სიმცირე, რასაკვირველია, არ იძლევა — სათავსთა სრულყოფილად შესწავლისა და გაშუქების საშუალებას, მაგრამ ის რაც ჩვენს ხელთაა (ერთადერთ წყაროს წარმოადგენს ეთნოგრაფიული მასალა; რომელიც პასუხს გვაძლევს ჩვენთვის საინტერესო საკითხებზე)[3], ერთგვარად მაინც გვიქმნის იმის შესაძლებლობას, რათა აღვადგინოთ მათი — ზოგიერთი თავისებურება, წარმოვადგინოთ ტიპოლოგია, აგებულებისა და დანიშნულების

---

[1] ქსენოფონტი, ანაბაზისი — V, 5, 27.

[2] ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა, II, 1897, გვ. 46—47.

[3] ნაშრომში მოთავსებულია ძირითადად ის მასალა, რაც სპეციალური ექსპედიციის დროს იქნა მოპოვებული 1960 წელს და 1971 წლიდან დაწყებული ველზე მუშაობის სხვადასხვა დროს; ამასთანავე გამოყენებულია ქართული შინამრეწველობის მასალა, რომელიც დაცულია ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ეთნოგრაფიის სექტორის არქივში; გათვალისწინებულია ცნობები, რომლებიც თანამედროვე ეთნოგრაფიულ ლიტერატურაშია ამ ნაგებობის და ჭურჭლის შესახებ.

მრავალგვარობის მიხედვით და განვსაზღვროთ თითოეული ტიპის გავრცელების ფარგლები.

აღნიშნული მონაცემების საფუძველზე მოხერხდა, აგრეთვე, სათავსთა ქრონოლოგიზაცია და შემუშავებულ იქნა მათი ერთიანი და დანაწევრებული პერიოდიზაცია.

სანამ საქართველოში გავრცელებულ სამეურნეო ფუნქციის სათავსების დახასიათებას შევუდგებოდეთ, მანამ საჭიროდ მიგვაჩნია, რომ ორიოდე სიტყვით შემდეგი გარემოება აღვნიშნოთ.

რეფორმისა და კაპიტალისტური ხანის საზოგადოებრივ ცხოვრებაში სამარცვლე სათავსი მნიშვნელოვან როლს ასრულებდა, იგი ყოფის აუცილებელი ელემენტი იყო, როგორც პროდუქტის შესანახი. ესაა, უძველესი დროიდან დღევანდლამდე, ამ ხასიათის სათავსის ასე ფართოდ გავრცელების მიზეზი.

სათავსის არსებობას ყოველ ცალკეულ შემთხვევაში თავის ახსნა შეიძლება მოეძებნოს, ზოგ შემთხვევაში ამ გარემოებას სათავსის ფუნქცია განსაზღვრავს, ზოგჯერ ამა თუ იმ მარცვლეულის მნიშვნელობა და თვისება. ამას ემატება კიდევ საქართველოს ცალკეულ მხარეთა თავისებურებანი, მშენებლობის ტრადიციები, რომელიც მხოლოდ იმ მიკრო ან მაკრო რაიონშია და სხვაგან იშვიათად გეხვდება, რასაკვირველია, კონკრეტული გარემოც თავის დაღს ასვამს. შეიმჩნევა მაგალითად, რომ სასიმინდეთა უმრავლესობა აგებულია მაღალ „საქროლავ“ ადგილზე, ხშირად უადგილობის გამო ნაგებობა ორსართულიანია, ქვემოთ ბეღელია და ზემოთ სასიმინდე, ან იგი ეზოს კარის თავზეა მოთავსებული. სრულიად სხვა ვითარებაა საქართველოს ბარში, იქ სადაც ნაგებობა იგება სახლთან ახლოს ადვილად მისასვლელ ადგილზე, თან ისეთი მოცულობისაა, რომ თავისუფლად დაიტევდა მთის რამდენიმე პატარა ნაგებობას (შდრ. გურია-სამეგრელოში და ქვ. იმერეთში გავრცელებული დიდი სასიმინდეები და ქვ. სვანეთის, ქართლის და ერწო-თიანეთის პატარა სასიმინდე), ეს არის პრინციპული განსხვავება, რომელსაც მთისა და ბარის სხვადასხვა პირობები ქმნის.

საქართველოს ბარში წარსული ყოფისათვის დამახასიათებელი იყო უმთავრესად მიწისზედა სათავსთა კომპლექტები. რეფორმის პერიოდში სამოსახლოში სახლთან ახლოს გაფანტულად იდგა: ნალია, ბეღელი, ხულა და სასიმინდე[4]. XIX ს-ის მეორე ნახევარში, რეფორმების მომდევნო ხანაში, ქვეყნის ბურჟუაზიული განვითარების შედეგად გამოწვეულმა ცვლილებებმა, მეურნეობის სპეციალიზაციამ და დასახლების ტიპის შეცვლამ, ყოფაში ახალი სამარცვლე სათავსები დაამკვიდრა — მაგ. ქვემო სვანეთში და ერწო-თიანეთში ბეღელი და სასიმინდე გაჩნდა. XX ს-ის დასაწყისში, როდესაც სასაქონლო სიმინდისა და პურის მოსავალი ინტენსიურად გაიზარდა, აღნიშნული სათავსები კონსტრუქციულად შეიცვალა; ამავე პერიოდში შეიმჩნევა ზოგი სათავსის გახშირების პროცესი. მაგ. გურია-სამეგრელოსა და იმერეთში ბევრმა ორი-სამი, ზოგმა ოთხი სასიმინდე ააგო. XX ს-ის 20-იან წლებში ნაგებობის ზოგი სახეობა (ღომის თაველის საშრობი ნალია // ნანია (სამეგრელო) მეტ-ნაკლებად მოისპო, მაგრამ როგორც ძველი დროის გადმონაშთი ჩვენი ყოფიდან არ გაქრა. ხოლო დანარჩენმა ნაგებობებმა ამავე საუკუნის მეორე ნახევრამდე იარსება და ეხლა თავის უკანასკნელ დღეებს ითვლის.

[4] კოლხეთის დაბლობთან ერთად ბარის ქვეზოლებია კახეთი და საინგილო შირაქით, სადაც ბარისათვის დამახასიათებელი ზოგიერთი სამეურნეო ნაგებობა არ გეხვდება.

მთაში: მთის რაჭაში, სვანეთში, აჭარაში, დასავლეთ საქართველოს მთიან ზოლში[5], მთათუშეთში, ხევსურეთსა და ფშავში, მთიულეთ-გუდამაყარში, მესხეთ-ჯავახეთში, წალკასა და თრიალეთში შემჭიდროებული დასახლებაა წარმოდგენილი, სახლი სამეურნეო ფუნქციის მატარებელია. სამეურნეო სათავსი საცხოვრებლის ჭერქვეშ ჰორიზონტალურ და ვერტიკალურ დაგეგმარებაშია მოქცეული.

XX საუკუნის დასაწყისში ქვემო სვანეთში, ზემო რაჭაში, დასავლეთ საქართველოს ბარის მთაში, აჭარის ზოგ რაიონში, ჩნდება ეზოში განლაგებული სამარცვლე სათავსები, რაც უშუალოდ უკავშირდება ამ კუთხეთა დასახლების ტიპის მკვეთრ ცვლილებას.

თუ გადავხედავთ ზემოთ მოტანილ ფაქტიურ მონაცემებს დავინახავთ, რომ მათგან სრულიად განცალკევებით უნდა გამოიყოს სამოსახლოში მიწისქვეშ მოთავსებული ორმო და ხარო. აღმოსავლეთ საქართველოს მიწა-წყალი (ბარის მშრალი, ნაკლებტენიანი რაიონები) ძველთაგან ამ სათავსთა სამკვიდრებელს წარმოადგენდა. ამ ჯგუფში ექცევა საქართველოს სამხრეთ მთიანეთში გავრცელებული ორმო და ხაროც.

XX ს-ის დასაწყისში ორმო და ხარო იშვიათად გვხვდება. ხოლო მეტად ჰპოვებს გასაქანს ბეღელი ან ხულა და რასაკვირველია სახლის შიგნით მოქცეული ჭურჭელი, რომელთაც თითქმის არასდროს არ დაუკარგავთ თავისი მნიშვნელობა. ასეთებია: კიდობანი, გოდორი, ხის ხარო, კოდი, ბოყვი, ამბარი და სხვ. სწორედ ამ დროს დამკვიდრდა ზემო სვანეთის ზოგ თემში დიდი კიდობანი ბაღ//ბეღელი და კიდობანზე გრძელი, მრავალთვლიანი ხის ჭურჭელი ხარალ//ხარვალ-ი (შდრ. ხარო); მესხეთ-ჯავახეთში ორმო და ხარო, ხის ხარომ და ლაზამბარმა//ხალამბარმა შეცვალა.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგაც, ზოგი სათავსი, თავის დანიშნულებას ძველებურად ასრულებდა. ჩვენს სოციალისტურ ხანაში — საკოლმეურნეო წყობილების განმტკიცების დროიდან, ბევრმა სამარცვლე სათავსმა თავის ფუნქცია დაკარგა და გაქრა ყოფაცხოვრებიდან; თუმცა დასავლეთ საქართველოში იშვიათია კარმიდამო, რომ ძველი ყოფისათვის დამახასიათებელი, რომელიმე სანიმუშოდ შემორჩენილი სათავსი არ მოგვხვდეს თვალში. სახლს მხარს უმშვენებს სასიმინდე და ზოგჯერ მაღალი ხუროთმოძღვრული ღირსებების მქონე ბეღელი.

დღევანდელ ვითარებაში განსაკუთრებით აღსანიშნავია სასიმინდის ხელშეუხებლობა. მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ საცხოვრებელი სახლების ფორმათა შესამჩნევი უნიფიკაციის ფონზე, სასიმინდე კარმიდამოს მთავარ ელემენტად დარჩა; იგი კოლხეთის ტერიტორიაზე, სხვადასხვა მხარეში გავრცელებული ტიპიური კარმიდამოს შემადგენლობაში, ეზოს ხასიათის შესაბამისია.

საქართველოში სათავსთა სახეობანი არათანაბრად იყო გავრცელებული. ნაგებობის ზოგიერთ სახეობას ლოკალური და შეზღუდული ხასიათი ჰქონდა. მაგ. ღომის თაველის საშრობი სათავსი ნალია, მხოლოდ დასავლეთ საქართვე-

[5] როგორც ცნობილია, საქართველოს ყველა კუთხეს — „თვითეულ ძირითად ზოლს თავის შიგნით თვისი ბარი, თვისი ფერდა და თვისი მთა გააჩნია, ისე, რომ მთავარი დაყოფის ძირითადი მაჩვენებლები მცირე რაიონის (მიკრო რაიონის) ფარგლებშიც მეღავნდება (გ. ჩ ი ტ ა ი ა, ღია ცის ქვეშ ბუზეუმის მოწყობის ძირითადი პრინციპები, ძეგლის მეგობარი, თბ., 1971, გვ. 25. 41).

ლოს ზოგიერთ კუთხეშია გავრცელებული. ანალოგიური ვითარებაა ორმო და ხაროს ლოკალიზაციის მხრივაც.

ბეღელი, ხულა და სასიმინდე ჩვენ შესასწავლ პერიოდში, თითქმის ყველგან დასტურდება, მაგრამ იგი უფრო მეტად დასავლეთ საქართველოში დომინირებს.

როგორც სათანადო ეთნოგრაფიული მასალიდან ჩანს, ყველა პერიოდისათვის აღმოსავლეთ საქართველოს მთაში, მარცვლის სათავსად უმთავრესად გოდორია გამოყენებული, ხოლო დასავლეთ საქართველოს მთაში კიდობანი.

თანამედროვე ვითარებაში, ჩვენს ხელთ არსებული მასალის მიხედვით, მარცვლეული კულტურებისათვის ძირითადად გამოყენებულია სასიმინდე, კიდობანი და ამბარი.

საქართველოში გავრცელებულ სათავსებს კონსტრუქციული თავისებურების მიხედვით რიგი საერთო ნიშნები ახასიათებს, რომელიც ადვილი დასანახია და კარგად ჩანს საილუსტრაციო მასალიდან, მათი არქიტექტურული განაზომების: გეგმების, ჭრილებისა და ფასადების მიხედვით. სათავსის ერთგვაროობისა და თითოეულისათვის დამახასიათებელი თავისებურების ნათელყოფის მიზნით ზოგიერთი მათგანის ცალკეულ სახეებს განვიხილავთ.

1. თაველის და მარცვლის სახმობი სათავსი: ნალია, მოწნული კალათი // ოლუ // ოკვალე (სამეგრელო), სახლის სხვენი, სასიმინდე, ორსართულიანი ნახევრად ღია ნაგებობა ლალჩა (ბ/ზ. სვან.) // ცალმაგი (ბ/ქვ. სვ.) // მაჩა (ქვ. სვან. რაჭა). 2. თაველის, მარცვლის და ფქვილის შესანახი სათავსი: ბეღელი, ხულა, გოდორი, ბოყვი, კოდი, კიღობანი, ხარო (ხის და ქვითკირის), ამბარი, ქვევრი. 3. მარცვლის შესანახი მიწისქვეშა სათავსი: ორმო, ხარო, ქვევრი.

I მარცვლის სახმობი სათავსი ნალია // ნანია და სასიმინდე

თაველისა და მარცვლის გაშრობას ძირითადად ორგვარი სახის და დანიშნულების სათავსი ემსახურება. თაველის „გასაწყობად“ განკუთვნილი სათავსის გვერდით, სიმინდის გასაშრობი სათავსიც გვხვდება.

ა. ნ ა ლ ი ა — ღომის თაველის საშრობი — „გასაწყობი“ სათავსია. გარდა ღომის თაველისა, ნალიაში საჭიროების დროს სხვა მარცვლეულ კულტურებსაც აშრობდნენ.

ნალიის გავრცელების არეს წარმოადგენს დასავლეთ საქართველოს ის ტერიტორია, რომელიც ძირითადად გურია-სამეგრელო და იმერეთით ლოკალიზდება.

აღნიშნული ნაგებობა XIX ს-ის მთელ მიჯნაზე და XX ს-ის დასაწყისში, დასავლეთ საქართველოს აღნიშნულ კუთხეებში ერთნაირი სიხშირით არ იყო გავრცელებული. გურია-სამეგრელოში ნალია ხშირია, ვიდრე იმერეთში, რადგან იქ ძირითად მარცვლეულს ისტორიულადვე ღომი წარმოადგენდა. იმერეთის ისეთ რაიონებში, სადაც პურეული კულტურების უპირატესობა შეიმჩნევა, ნალია იშვიათად დგინდება.

ნალია კეთდებოდა მ ო ღ ო ბ ი ლ ი — ფ ა ც ხ ა // „მ ო რ ა გ უ ლ ი“, „ფ ი ც რ უ ლ ი“ და ძ ე ლ უ რ ი, იგი კონსტრუქციულად წააგავს სასიმინდეს, მაგრამ მასზე დაბალი, გრძელი, ორფერდა სახურავით დახურული ნახევრად ღია ნაგებობაა.

ნალიისათვის ქვის ან ხის სვეტებზე გადებდნენ ოთხ გამწვდომ დირეს, რომელზედაც აგებდნენ ჭერს ან დებდნენ ჩელტს თაველის დასაყრელად — „დასაფენად". დირეს ოთხივე მხრივ დაადებდნენ მრგვალ მორებს ან ნახევარი მეტრის სიმაღლეზე მოწნავდნენ, რომ გასაშრობი თაველი არ გადაყრილიყო. როდესაც თაველის გაშრობა ცეცხლით იყო საჭირო (დასავლეთ საქართველოს ზოგიერთ რაიონში ღომის თაველი მხოლოდ ცეცხლით შრებოდა), ნალიის სვეტებს და სხვენის სარჩხინავს (გურია-ჩოხატაურის რ-ნი) ნედლი ხის ტოტებით, გვიმრით ან სიმინდის ჩალით შემობურავდნენ, რომ სიმხურვალე არ გაფანტულიყო და მბოლავი შეშით ზომიერ ცეცხლს დაანთებდნენ. ზოგიერთ რაიონში (სამტრედია, წულუკიძის რ-ნი, ტყიბული, წყალტუბო, ზესტაფონი) კლიმატის თავისებურების გამო, თაველი ნახევრად ღია ნალიაში შრებოდა.

ნ ა ლ ი ა ს ა ს ი მ ი ნ დ ი ს აღმნიშვნელ ტერმინადაც იხმარება. ამას საფუძვლად, ალბათ, ის დაედო, რომ დროთა მსვლელობაში ასეთი ნაგებობა ორივე (ღომისა და სიმინდის) მარცვლეულისათვის გამოიყენებოდა, შემდეგ კი სიმინდის კულტურის ინტენსიური განვითარების გამო ეს ნაგებობა კონსტრუქციულად შეიცვალა და მიიღო დაახლოებით ისეთი სახე, როგორიც ამჟამად აქვს.

აღმოსავლეთ საქართველოში თაველის სახმობი სპეციალური ნაგებობა არ დასტურდება. გაღმა კახეთის სოფლებში და ერწო-თიანეთში საჭიროების დროს თაველი საძნეში შრებოდა.

ბ. ს ა ს ი მ ი ნ დ ე ტაროიანი სიმინდის სახმობი ნაგებობაა; მისი გავრცელების არე ძირითადად დასავლეთ საქართველოა, გვხვდება აღმოსავლეთ საქართველოს ბარში: კახეთი, ქართლი; სასიმინდის შესატყვისია ნ ა ლ ი ა (გურია, ზემო იმერეთი) // ნ ა ლ ი ა ჲ (ქვ. სვანეთი), ხ ა რ ო (ზემო გურია), ტ უ რ ა ბ ე ღ ე ლ ა, ნ ა ლ ი ე (აჭარა), სამეგრელოში მას მ ა ღ ა ზ ა ჰქვია. ზემო იმერეთის ზოგიერთ სოფელში ისევე, როგორც შიდა და ბარის ქართლში სასიმინდეს ძარს ეძახიან, ზემო ქართლში, ერწო-თიანეთში და კახეთის ზოგიერთ რაიონში — ძ ა რ ს და ზ ა რ ს. ქსნის ხეობაში სასიმინდეს გ ო დ ო რ ს ან ჯ ი ნ გ ო დ ო რ ა სასიმინდეს უწოდებენ[6]. იგი ისევე, როგორც ზარი გოდრის მსგავსად არის მოწნული, შედგმულია ოთხ ბოძზე, მისი სახურავი სიბრტყობრივ არის გაკეთებული ან ორფერდაა და დახურულია ჩალით ან ყავრით. ქართლში, ერწო-თიანეთში და კახეთში გვხვდება პატარა მოცულობის ფ ი ც რ უ ლ ი ს ა ს ი მ ი ნ დ ე ც.

სასიმინდეს აგება გეომეტრიული სტილის პრინციპებს ექვემდებარება. იგი კვადრატული ან წაგრძელებული ოთხკუთხედის ფორმისაა და დგას ოთხ სვეტზე.

სასიმინდე ძირითადად ერთსართულიანი ნაგებობაა, გვხვდება ორსართულიანი — კომბინირებული სასიმინდე.

ერთსართულიანი სასიმინდე არის როგორც ე რ თ გ ა ნ ყ ო ფ ი ლ ე ბ ი ა ნ ი, ასევე ო რ, ს ა მ და ო თ ხ გ ა ნ ყ ო ფ ი ლ ე ბ ი ა ნ ი — გ რ ძ ე ლ ი ს ა ს ი მ ი ნ დ ე ე ბ ი.

[6] გ. ჯ ა ლ ა ბ ა ძ ე, მემინდვრეობის კულტურა საქართველოში, სადისერტაციო ნაშრომი ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, 1971, გვ. 354. ინახება იე. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში.

ორ განყოფილებიან სასიმინდეში ერთი განყოფილება სასიმინდეა, ხოლო მეორე საცეხვს წარმოადგენს. სამ განყოფილებიან სასიმინდეში კი შუა განყოფილება საცეხვია, გვერდის განყოფილებები — სიმინდის სათავსი.

დასავლეთ საქართველოში, განსაკუთრებით ზემო იმერეთში, დღესაც ხშირია ორსართულიანი შქერისაგან მოწნული სასიმინდე, რომელიც რამდენიმე განყოფილებისაგან შედგება. ასეთ სასიმინდეს მიშენებული აქვს დაკუთხული ფიცრებისაგან აგებული სიმინდის საფშვნელი — საცეხველი, ქვეშ საცხრილავით, სადაც ნაცეხვი სიმინდის მარცვალი ცვივა.

სიმინდის საცეხველის იატაკი დახვრეტილია ბურღით, რომ ცეხვის დროს სიმინდის მარცვალი ქვემო სართულში ჩაცვივდეს. ზოგჯერ საცეხვის ჭერს აწყობენ ისე, რომ ხეებს შორის ჭუჭრუტანები დარჩეს, საიდანაც სიმინდი ტუკით გაფშვნის დროს ძირს იყრება (ტაბ. I).

გვხვდება, აგრეთვე, ისეთი სასიმინდეები, რომელთაც ქვემოთ აქვთ ფიცრული ან ძელური ხულა. ასეთ სათავსს ხაროს და ბეღელსაც ეძახიან. ზოგიერთ სასიმინდეს ქვემოთ ახორი//ჯიხური ჰქონდა, რომლის გვერდზე საღორე იყო მიშენებული. კახეთში ხშირია ორსართულიანი სასიმინდე, რომელსაც ქვემოთ ბოსელი ან საქათმე აქვს. ქვემო სართული ზოგჯერ ორ ნაწილად არის გაყოფილი, რომლის წინა მხარე ბოსელს წარმოადგენს, მეორე კი საღორეს ან საქათმეს.

ორსართულიანი სასიმინდის ერთი მხარე სვეტებზე იგებოდა, ხოლო მეორე მხარე ახორის ან ბეღლის სარტყელზე.

მასალის დამუშავების მიხედვით გვხვდება ძელური//ჯარგვალი//როკის, სუკიანი, ფიცრული და მოწნული სასიმინდე. ფიცრული სასიმინდე სამგვარია: ფიცრული უმარტივესი, რომელსაც ორნამენტის მაგივრად ფიცრებს შორის ჰაერისათვის ღიობები აქვს გაკეთებული, კახეთში ასეთი წყობით აგებულ სასიმინდეს „თევზისფხურ“ სასიმინდეს ეძახიან[7]; ფიცრული მარტივი ორნამენტით და ფიცრული რთული ორნამენტით, აჟურული ვერტიკალური და ჰორიზონტალური ღიობებით (ქვ. სვანეთი, გურია). ჯარგვალისა და სუკიანი სასიმინდის ძელის გვერდები ერთმანეთზე დაშვებული არ იყო; ზოგჯერ ძელს ორივე მხარეს გაკეთებული ჰქონდა სამკუთხედი ღიობი, რომელსაც იმერეთში „სასულე თვლები“ ერქვა.

კახეთში გვხვდება ისეთი ორსართულიანი სასიმინდე, რომელსაც წინა მხარე, „მოჩარდახული“ ჰქონდა, ჩარდახი ქვის ან ხის, ზოგჯერ აგურის მაღალ ბოძებზე იდგა, რომლის ქვეშ თონე იყო გამართული.

შქერისა თუ თხილის წკნელით მოწნული სასიმინდე სხვადასხვაგვარია: ძარული//ლასტური, გრიგლური, ჩასკვნილად მოწნული, ღობური, ნაპწენი ფაცხა.

ძარი//ზარი განსხვავდება საქართველოს სხვადასხვა კუთხეში გავრცელებული მოწნული სასიმინდისაგან; იგი პატარა მოცულობისაა, მაგრამ შთაბეჭდილებას ქმნის არა მისი მოცულობა, არამედ ძარის ოვალური მოყვანილობა. გვხვდება, აგრეთვე, მრგვალი ზარი. ზარის ფორმაში განსაკუთრებითაა ხაზგასმული ის, რომ იგი ცალკე იწვნება და შემდეგ იდგმება ოთხ დაბალ სვეტზე გადებულ ლატანზე და მასზე წკნელით მაგრდება. ძარს სიმინდის ჩამო-

[7] ჯ. რუხაძე, სოფელი აკურა, თბ., 1964, გვ. 192.

საყრელად ჭერზე ოთხკუთხედი ღიობი აქვს, რომელიც დახურულია მოღობილი ოთხკუთხედი ჩელტით.

სასიმინდე იგებოდა მშრალ, მზიან და „საქროლავ“ (ზენა ქარი რომ მოხვედროდა) ადგილზე. ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში სასიმინდეს ზოგჯერ ეზოს შემოსასვლელი კარების თავზე ხის ან ქვის სვეტზე მართავდნენ ხოლმე. აჭარაში სასიმინდე საცხოვრებელი სახლის სხვენზეა აგებული[8].

სასიმინდის სვეტის თავებს ქვის ან ხის მრგვალი, ცალმხრივ ჩაღრმავებული დისკო აქვს დადებული, რომელსაც გარშემო წაბლის გარეკანს ახვევდნენ. ამავე დანიშნულებით იყენებდნენ აგრეთვე მცენარე თაგვის სარას ან ეკლიან კრაზანას, რომ თაგვი ბოძიდან სასიმინდეში არ შესულიყო.

სასიმინდეს ფასადის მხარეს პატარა კარი აქვს დატანებული, რომელიც ხის ლურსმნებით („ჩხირებით“) არის შეკრული. კარი ყუნწებით ჩადგმული იყო ზღურბლის სახუნწურში და სხვადასხვა საკეტით იკეტებოდა. სასიმინდე არის აივნიანი—საჩეხიანი და უაივნო. აივნიან სასიმინდეს შედგმული აქვს მოკლე სვეტები.

სასიმინდე იგება ჰაერის მუდმივი ცირკულაციის პრინციპზე, ამიტომ იგი მოღობილი ან ორნამენტირებულია. ჰაერის სამოძრაოდ სახურავიც ისე კეთდებოდა, რომ ლარძაყინებიდან ჰაერი შესულიყო.

ჰაერის მოძრაობის გასაადვილებლად და სიმინდის ლპობის თავიდან ასაცილებლად, სასიმინდეს ქვედა ჭერს ჭრიდნენ და მასზე დებდნენ თხილის წკნელისაგან მოწნულ ერთი მეტრი სიმაღლის ძარს, რომელსაც ზემოდან სიმინდს აყრიდნენ. სასიმინდიდან სიმინდის გამოღება ხშირად აქედანაც იცოდნენ.

სასიმინდე იხურება მაღალი და დაბალი სახურავით: ისლით, ჩალით, ყავარით და კრამიტით; სახურავი ორფერდაა. სახურავის აგების პრინციპი ისეთი იყო, რომ მისი ახდა შეიძლებოდა, როგორც სიმინდის დაბინავების, ასევე გაზაფხულზე სიმინდის ამოღების დროს.

სიმინდის მოსავლის მასშტაბების შესაბამისად გურიასა, იმერეთსა და სამეგრელოში დიდი ზომის სასიმინდეებს ვხვდებით. ასეთი დიდი სასიმინდეების აგება მაშინ დაიწყეს, როცა სიმინდის ნათესები მასიური გახდა და იგი საექსპორტოდ გამოიყენეს. 1880-იანი წლებიდან, როდესაც ნათესების ფართობი გადიდდა, ამ პროდუქციის შესანახი სათავსი გაიზარდა. საყურადღებოა, რომ სასიმინდეს უკანასკნელი სამი საუკუნის განმავლობაში დიდი ცვლილება არ განუცდია. ზოგიერთი სასიმინდე დიდ მსგავსებას იჩენს იმ სასიმინდესთან, რომელიც XVII საუკუნეში ნახა და ჩახატა იტალიელმა მხატვარმა კასტელიმ.

II. მარცვლის და თაველის შესანახი სათავსი: ბეღელი, ხულა.

ბეღელი მშრალი თაველის, მარცვლეულის (ღომი, ხორბალი, ფეტვი, ჭვავი, ქერი, სიმინდი და სხვა) და ფქვილის შესანახი ნაგებობაა.

ბეღელი ძირითადად შედის კარმიდამოს კომპლექსში და როგორც წესი ეზოშია მოთავსებული. იგი კვადრატული ფორმის ერთსართულიანი ნაგებობაა, რომელიც შედგმულია ოთხ ცალ ქვის ან ხის ბოკონზე; ბეღელი იგება წაბ-

[8] ი. ადამია, ქართული ხალხური ხუროთმოძღვრება, აჭარა, წიგნი პირველი, თბილისი, 1956, ტაბ. II.

[9] შინამრეწველობის მასალები, აღმშენებლობა, 11, 12, გურია.

ლის, ცაცხვის, თელის ფიცრისაგან. აგების დროს ყურადღებას აქცევდნენ იმას, რომ ბეღელს მთლიანობა ჰქონოდა შენარჩუნებული ე. ი. ნაკლებად ყოფილიყო „დაკუწული“ დაჭრილი[9], ამიტომ მასალად ფართო და კარგად დამუშავებულ ფიცრებს იყენებდნენ. კედელი შენდებოდა კოტისა და ჭდის საშუალებით. ბეღლის კუთხეები შენდებოდა ქილიკით — ყურით, ბოყვში ბეღელს არ აშენებდნენ, როდესაც კედლის აშენება დამთავრდებოდა, ზემოდან სარტყელს დაადებდნენ. სარტყელზე ჭერის იატაკი ეწყობოდა, რომლის ფიცრები ერთმანეთთან ძირითადად კოტის საშუალებით მაგრდებოდა. ამის შემდეგ კეთდებოდა აფრა და სათავე, მაგრდებოდა კავები, რომელზედაც ადებდნენ ლარტყას და ზემოდან კრამიტს ან ყავარს ალაგებდნენ.

ხის ბეღლის მჭიდროდ აგება ისევე, როგორც მისი ბოკონების საშუალებით ამაღლება მიწის ზედაპირიდან ნაკარნახევი იყო მარცვლეულის უკეთ დაცვის საჭიროებით.

ბეღელს აქვს ოთხკუთხა ფორმის კარის ღიობი და ხის კარი, რომელიც იკეტება ხის ურდულით, „დ ა თ ვ ა“-თი ან რკინის რაზით და ბოქლომით. ზოგჯერ კარი გაკეთებულია სხვენის წინა ფასადის ღიობზე. ასეთ ბეღელში ჩასასვლელად ჩაყუდებულია ცალფა კიბე. ბეღლის კარზე ვხვდებით ამოტვიფრულ ჯვარს, სარტყელზე და ლირსზე ჩუქურთმოვან როზეტს.

ბეღელი დახურულია ორფერდა, სამფერდა და ოთხფერდა სახურავით, ი ს ლ ი თ, კ ო რ ო ლ ი თ — ჩ ა ლ ი თ, ყ ა ვ რ ი თ ან კ რ ა მ ი ტ ი თ. სახურავის მასალის შესაბამისად ბეღელს ჰქონდა მაღალი ან დაბალი სახურავი. ბეღელი მაღალი — ჩ ხ ო ტ ი ო (ქვ. იმერეთი) სახურავით იგებოდა მაშინ, როდესაც იგი იხურებოდა ისლით ან ჩალით. ყავრით და კრამიტით (განსაკუთრებით კრამიტით) „სახლი“ დაბალზე უნდა დახურულიყო, რომელსაც იმერეთში ბ ა ბ ა გ ი ნ ი ერქვა.

მასალის დამუშავების მიხედვით გვხვდება ძელური // როკის // ჯარგვალის, ს უ კ ი ა ნ ი, ფ ი ც რ უ ლ ი და ს ი პ ი ს ა გ ა ნ ა გ ებ უ ლ ი (აღმოსავლეთ საქართველოს მთა) ბეღელი.

ბეღელი არის დაუყოფელი და დაყოფილი. დანაყოფების სხვადასხვა სახელია ცნობილი: თ ვ ა ლ ი, ხ ა რ ო, ხ ვ ი მ ე რ ა, ს ა გ ვ ე რ დ უ ლ ი[10], ა კ ო[11], ო რ მ ო[12] დანაყოფები გამოყენებული იყო მარცვლეულის და ფქვილის შესანახად.

ბეღლის შემდეგი სახელწოდებები დასტურდება: ბ ე ღ ე ლ ი (იმერეთი, გურია, რაჭა-ლეჩხუმი, აჭარა, ქვ. სვანეთი), ბ ა ღ-ბ ა ღ უ (სამეგრელო, ლაზეთი), ბეღლის სინონიმად იხმარება ხ უ ლ ა (ქვ. სამეგრელო, იმერეთი, გურია) ხ ა რ ო (იმერეთი), ბ ა ღ (ზემო სვანეთი), რომელიც სვანური სახლის ქვემო სართულში გემ // გვემ-შია აგებული.

ბეღლის, როგორც მარცვლეულის და ფქვილის შესანახი სათავსის გამოყენების ფაქტი, მეტ-ნაკლები გავრცელებით ქართველი ხალხის ყოფაშია დამოწმებული; იგი ჩვენში დიდი მასშტაბის მეურნეობისთვისაა განკუთვ-

---

[10] ნ. ბ რ ე გ ა ძ ე, მთის მიწათმოქმედება დასავლეთ საქართველოში, თბ., 1969, გვ. 158—159.

[11] ვ. ბ ა რ დ ა ვ ე ლ ი ძ ე, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ტრადიციული საზოგადოებრივ-საკულტო ძეგლები, თბ., 1974.

[12] გ. ჯ ა ლ ა ბ ა ძ ე, პურის ბეღელი და კოდი, ძეგლის მეგობარი, თბ., 1967, გვ. 12, 28.



ფოტო I

ტაბულა II

სოფ. სასაში

ჯიდოჯანი

Сел. Сасаши.
шкаф для хлеба.

ბუბგეგ

План.



ფასადი

Фасад.





ფერადი ფანჯარა XVII-XIX საუკ. ეკლესიიდან - ანსამბლი ეკლესიისა

ჩოხატაურის რ-ნი სოფ. ჯუაბლა
ოდა სახლი
1/2|3 ფასადი, I სართულის გეგმა
II სართულის გეგმა







ნილი. ბეღელი გენეტურად უკავშირდება (როგორც ფორმით, ასევე დეკორით) ამ რიგის სათავს-ნაგებობებს (კ ი დ ო ბ ა ნ ი, (ტაბ. II), ა მ ბ ა რ ი, ხ ა რ ო და სხვ.) და როგორც წესი ყველაზე მეტად დასავლეთ საქართველოშია გავრცელებული. მსგავსი სათავსები გვხვდება საქართველოს ფარგლებს გარეთაც.

ბ ე ღ ე ლ ი არის ე რ თ ს ა რ თ უ ლ ი ა ნ ი და ო რ ს ა რ თ უ ლ ი ა ნ ი. ერთსართულიანი ბეღელი არის ე რ თ- და ო რ ო თ ა ხ ი ა ნ ი. ერთსართულიანი ერთოთახიანი ბეღლის რამდენიმე ვარიანტია ცნობილი: 1. უ ა ი ვ ნ ო კ ვ ა დ რ ა ტ უ ლ ი — „კოთხო“ ბეღელი; 2. ა ი ვ ნ ი ა ნ ი ბ ე ღ ე ლ ი; აივნიანი ბეღელი სამგვარია: ღია ა ი ვ ნ ი ა ნ ი, მ ო ა ჯ ი რ ი ა ნ ი, რომელსაც დაჩარხული რ ი კ უ ლ ე ბ ი ა ნ ი მ ო ა ჯ ი რ ი და სვეტის ზედა ნაწილზე დ ა ფ ა ნ ჯ რ უ ლ ი ჩ უ ქ ურ თ მ ა აქვს; (ტაბ. III); რიკულები ზომით მცირეა, რაც ესთეტურ შთაბეჭდილებას აძლიერებს და ნაგებობის აღქმის მასშტაბურობას ზრდის; 3. დ ა ხ ურ უ ლ ა ი ვ ნ ი ა ნ ი ბ ე ღ ე ლ ი, რომელსაც საჰაეროდ ღიობებს უკეთებენ; 4. ბ ე ღ ე ლ ი, რომლის ს ხ ვ ე ნ ი ს ა თ ა ვ ს ა დ ა რ ი ს გ ა მ ო ყ ე ნ ებ უ ლ ი და ცალკეა შესასვლელი; 5. ბ ე ღ ე ლ ი, რ ო მ ლ ი ს დ ე რ ე ფ ნ ი ს ს ხ ვ ე ნ ი ც ს ა თ ა ვ ს ი ა და მასაც ცალკე შესასვლელი აქვს.

როგორც ვხედავთ, ზოგან ბეღლის განვითარება ერთი ფორმის სრულყოფით დასრულდა, მას სხვადასხვა კონსტრუქციის აივანი გაუკეთდა, ზოგმა თავის სრულყოფა სახურავის სათავსად გამოყენებაში ჰპოვა.

დასავლეთ საქართველოს სხვა კუთხეებისაგან განსხვავებით, ქვემო იმერეთის ზეგანზე ოდითგანვე ტრადიციული ყოფილა ო რ ო თ ა ხ ი ა ნ ი ბეღელი, რომლის ოთახებს შორის მკვეთრი ფუნქციური დიფერენციაცია არსებობს. ერთი ოთახი კვადრატულია, იგი ტიხარით თვლებად არის დაყოფილი, რომელშიც მარცვლეულს ან მშრალ თავთავს ინახავენ, ხოლო მეორე ს ა ს ტ უ მ რ ო ო თ ა ხ ს წარმოადგენს, მას „ბ ე ღ ე ლ-ო თ ა ხ ი“, „ბ ე ღ ლ ი ს ო თ ა ხ ი“ ან ხულა ჰქვია. ბეღელ-ოთახი გეგმაში მოგრძო სწორკუთხა ფორმისაა, ფასადის მხარეს გაჭრილია კარის გრძელი ღიობი, რომელზედაც ხის ცალფა კარი საყუნწურით არის ჩასმული. „ბეღლის ოთახში“ დგას პატარა სუფრა, სკამები, კედლის გასწვრივ გაკეთებულია გრძელი ტახტი; ამავე დროს იქ სხვადასხვა საოჯახო ავეჯი და ინვენტარია შენახული.

ბ ე ღ ე ლ-ო თ ა ხ ი ლიტერატურაში სასტუმრო ოთახად არის ცნობილი[13]. აღსანიშნავია, რომ ბეღელ-ოთახი არა მარტო სასტუმრო იყო, არამედ იგი ა ხ ა ლ დ ა ქ ო რ წ ი ნ ებ უ ლ თ ა ს ა ც ხ ო ვ რ ე ბ ლ ი ს დანიშნულებასაც ასრულებდა. ეთნოგრაფიულ გარემოში მრავალი ამგვარი ფაქტი იძებნება. მთის რაჭის სოფელ ღებში ახალდაქორწინებულთათვის სცოდნიათ დ ე ფ ა ნ ი ს (ბეღლის გვერდზე მოდგმული პატარა ოთახის) გამოყენება. რაჭაშივე დასტურდება ნეფე-პატარძლის ბ ე ღ ლ ი ს თ ა ვ ზ ე[14] ან ბ ე ღ ლ ი ს თ ვ ა ლ შ ი (სოფელი ღები) დასაძინებლად მოთავსება[15].

---

13 МИЭБГКЗК, т. I, Тиф., 1885, გვ. 260.

14 თ. ო ჩ ი ა უ რ ი, ახალი ტიპის საცხოვრებელი ნაგებობანი ონის რაიონში, მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, ტ. IX, 1957, გვ. 16.

15 ჯ. რ უ ხ ა ძ ე, 1960 წლის რაჭა-ლეჩხუმის და სვანეთის ეთნოგრაფიული ექსპედიციის ანგარიში (ხელნაწერი).

ორსართულიანი ბეღელი დაშენებული ყოფილა სხვადასხვა გამოყენების და სახის სამეურნეო ნაგებობაზე და უმრავლეს შემთხვევაში ეკავა შენობის ზემო სართული. ბეღლის დაშენება რომელიმე სამეურნეო ნაგებობაზე ტიპიურადაა მიჩნეული XI საუკუნისათვის[16].

იმერეთის ზეგანზე გვხვდება ბ ე ღ ე ლ-ს ა ს ი მ ი ნ დ ე, რომლის პირველ სართულზე სხვადასხვა სახის მასალისაგან აგებული ბეღელია მოთავსებული, მეორე სართული კი სასიმინდეს წარმოადგენს. ზოგჯერ პირველი სართული მომცრო ხულას უჭირავს, რომელიც გამოყენებულია ჭურჭლისა და ზამთრისათვის განკუთვნილი მშრალი პროდუქტის სათავსად, მეორე სართულზე კი დაშენებულია ბეღელი. გვხვდება, აგრეთვე, ო რ ს ა რ თ უ ლ ი ა ნ ი ბ ე ღ ე ლ ი, რომლის ქვემოთ მ ა რ ა ნ ი ა გ ა მ ა რ თ უ ლ ი.

რაჭაში მაღალ სვეტებზე და კოჭებზე ნაგები ბეღელიც დასტურდება, ასეთ ბეღელს ორი სვეტი ჰქონდა, ხოლო მისი წინა ფასადი კოჭებით სახლზე იყო შემოდგმული.

მთის ზონაში ბეღელი საცხოვრებელი სახლის კომპლექსში შედის, იგი სახლის პირველ სართულზე ან სხვენზეა მოთავსებული (ტაბ. IV). აჭარლებთან (ჩოხატაურის რაიონი — სოფლები: ზოტი და ჩხაკოურა) ბ ე ღ ე ლ ი ს ა ხ უ რ ა ვ შ ი ს ხ ვ ე ნ ზ ე ა ა გ ე ბ უ ლ ი. ბეღელში შედიან სხვენიდან, ხოლო სხვენზე ადიან ხის ვიწრო კიბით. არქიტექტურული ფორმების მიხედვით მთის ზოლის ბეღლები და სასიმინდეები განსხვავდება ბარის ბეღლებისა და სასიმინდეებისაგან. მთაში და ზეგანზე მათი მრავალი მოდიფიცირებული ვარიანტები გვხვდება მაშინ, როდესაც ბარში ისინი უნიფიცირებული და მარტივი ფორმისანი არიან.

ბ ე ღ ე ლ ი ა ღ მ ო ს ა ვ ლ ე თ ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს მთიანეთში თავის გეგმარებით, კონსტრუქციითა და ფუნქციით ორგვარია: ხ ე ვ ს უ რ უ ლ ი და ფ შ ა ვ უ რ ი, რომელთა დამახასიათებელი თავისებურებაა მათი გადახურვის სისტემა და ფორმა. ხ ე ვ ს უ რ უ ლ ი ტ ა ძ ა რ-ბ ე ღ ე ლ ი ა, ფ შ ა ვ უ რ ი კ ი ბ ე ღ ე ლ-ა მ ბ ა რ ი, სადაც ხატის მინდვრებიდან აღებულ მარცვლეულს ინახავდნენ[17].

პროფ. ვ. ბარდაველიძის საგანგებო კვლევის შედეგების მიხედვით ბეღელი ქართულ ენაში მეტად ძველი ტერმინია. ლინგვისტური მონაცემებით ბეღელი ქართულ-ზანური ენობრივი ერთიანობის ხანას მიეკუთვნება[18].

იგი აისახება მითოლოგიაში დ ე ვ ი-ბ ე ღ ე ლ ა ს სახელით. ეს ტერმინი გვხვდება როგორც საწესო საფერხულო სიმღერების სახელწოდება — „ქ ო რ ბ ე ღ ე ლ ა“, „ბ ე ღ ლ ი ს კ რ უ ლ ი“[19].

ბეღელთან დაკავშირებით მთელი რიგი მაგიურ-რელიგიური ხასიათის წეს-ჩვეულებებია ცნობილი, როგორიცაა ჯ უ ლ ი ს რ ი ტ უ ა ლ ი (სვანეთი), „კერია-ბერასთან“ დაკავშირებული ჩვეულება (რაჭა), ლ ი ლ ა შ უ ნ ე ს დღესასწაულზე ბეღლის გამოსახულების კვერის არსებობა (სვანეთი) და სხვ., რომლებიც საყოფიერებასა და აღორძინებასთან დაკავშირებულ მოტივებს შეიცა-

[16] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის, I, თბ., 1946, გვ. 25—26.

[17] ვ. ბ ა რ დ ა ვ ე ლ ი ძ ე, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ტრადიციული საზოგადოებრივ-საკულტო ძეგლები, თბ., 1974, გვ. 16—17.

[18] Г. А. К л и м о в, Этимологический словарь картвельских языков, М., 1964, გვ. 50.

[19] ვ. ბ ა რ დ ა ვ ე ლ ი ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 18.

ვენ. ამ ტერმინებიდან ნაწარმოებია ბეღლის გადახურვის სტრუქტურასთან დაკავშირებით შეტად საყურადღებო ტექნიკური ხერხის აღმნიშვნელი ზმნა დ ა ბ ე ღ ვ ლ ა და ქ ო რ ბ ე ღ ე ლ ა დ (მთათუშეთი) დაწყობა[20]. აღსანიშნავია, რომ ბეღელი საზომი ერთეულია ყავრისათვის.

III. მარცვლის შესანახი სათავსი: ორმო, ხარო, ქვევრი.

ა. ხ ა რ ო — მარცვლეულის მიწის ქვეშა სათავსია, რომლის სწორი ან მრგვალი გვერდები ქვიტკირით არის ამოშენებული[21]. ხარო აღმოსავლეთ საქართველოს მშრალ, ნაკლებტენიან რაიონებში გვხვდება.

ხარო ეზოს კომპლექსში შემავალი სამარცვლე სათავსია. მესხეთ-ჯავახეთსა და თრიალეთში ხარო სახლის შიგნით დარბაზში, უშუალოდ მიწის ქვეშ, ხოლო კარაპანში მიწის ზემოთ დასტურდება. ხარო ეკლესია — მონასტრების ეზოებშიც ჰქონდათ[22].

ხ ა რ ო დასავლეთ საქართველოში ბ ე ღ ლ ი ს (ხევი, ჩოხატაურის რ-ნი) ღები, ჭიორა (ონის რ-ნი) და ბ ე ღ ლ ი ს თ ვ ა ლ ი ს შესატყვის ტერმინად იხმარება. ზემო გურიაში ხაროს სასიმინდესაც ეძახიან. ხარო მესხეთ-ჯავახეთში ხის ან ქვითკირის მიწის ზემო ნაგებობის და ლ ა ზ ა მ ბ ა რ ი ს დანაყოფი თვლების სახელიცაა[23].

ხევში ერთ-ერთი ძირითადი მარცვლის სათავსი ხ ი ს ხ ა რ ო ი ყ ო[24]. ხის ხ ა რ ო ხ ა რ ა ლ // ხ ა რ ვ ა ლ ი ს სახელით სვანეთშიც გვხვდება.

ხ ა რ ო ისტორიულ წყაროებში ს ჯ მ ე ო ნ მ ე ს უ ე ტ ი ს ცხოვრებიდანაა ცნობილი, სადაც აღნიშნულია, რომ არსებობდა საიფქლე სათავსი, რომელსაც საიფქლე ხარო ერქვა[25]. ცხადია, ამ მონაცემის საფუძველზე იგი უნდა ვიგულისხმოთ ზემო ნაგებობად, რადგან მიწის ქვეშ გაკეთებულ ხაროში ფქვილი არ ინახებოდა.

არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით ურბნისში ქვევრებთან ერთად აღმოჩნდა სამარცვლე ხაროც. ორი ხარო ტალახით შელესილი კედლებით და იატაკით, ნახეს XVI — 3 უბანში, იგი დათარიღებულია VI—VIII საუკუნით[26].

ბ. ო რ მ ო — მარცვლეულის (პურეულის და ფეტვეულის) შესანახი მიწის ქვეშა სათავსია, რომლის გამოყენება გეოგრაფიულ-სამეურნეო ყოფასთანაა დაკავშირებული. ორმო ძირითადად აღმოსავლეთ საქართველოს ნაკლებტენიან რაიონებშია გავრცელებული. ორმო კეთდება მიწაში როგორც სახლში, ასევე კალოსთან ახლოს; იგი არის ყელვიწრო და ძირგანიერი ქვევრის მსგავსი სათავსი, რომლის კედლები წიფლის ხის ფოთლიანი ტოტებით იყო ამოგებული. ტოტი რამდენიმე ადგილზე კაპიანი პალოთი იყო დამაგრებული. პალო იჭერდა ტოტის თავს, მისი მეორე ბოლო კი ორმოს კედელში

[20] ვ. ბ ა რ დ ა ვ ე ლ ი ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 18.

[21] ს ა ბ ა ს მიხედვითაც ხარო არს მთხრებელი — შინაგან ქვითკირით ამოგებული.

[22] გ. ჯ ა ლ ა ბ ა ძ ე, აღმოსავლეთ საქართველოს სამიწათმოქმედო იარაღების ისტორიიდან, თბ., 1960, გვ. 156.

[23] თ. ჩ ი ქ ო ვ ა ნ ი, ამიერკავკასიის ხალხურ საცხოვრებელ ნაგებობათა ისტორიიდან, თბ., 1967, გვ. 76—77.

[24] ვ. ი თ ო ნ ი შ ვ ი ლ ი, ხევი ძველად და ახლა, თბ., 1967, გვ. 61.

[25] ვასახელებ ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ს მიხედვით, მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის, I, 1956, გვ. 59.

[26] ლ. ჭ ი ლ ა შ ვ ი ლ ი, ურბნისის ნაქალაქარის არქეოლოგიური გათხრების მოკლე ანგარიში, ურბნისი, 11, 1962.

შედიოდა. ორმოს შუა წელზე გარშემოკრული ფიჩხების დასაჭერად გაკეთებული იყო ხის წნელი. ორმოს ძირზე ეყარა ბზე, რომ მარცვალს მიწიდან სინესტე არ მიეღო. ორმო ყოველგვარ მიწაში არ ითხრებოდა, მას „თირი" (კლდისაგან ნაშალი) მიწა ჭირდებოდა. ქვიშიან მიწაში ორმოს არ აკეთებდნენ, რადგან ქვიშა წყალს იკრებს, ნესტიანია და მარცვალი გაფუჭდება.

ორმოში ინახავდნენ სუფთა — გაცხრილულ მარცვალს. სავსე ორმოს თავზე ნამჯას აფარებდნენ, ზემოდან მუხის ფიცრებს — ბადიმებს დააწყობდნენ, მერე ნაკელით გადაგოზავდნენ, ზედ მიწას დააყრიდნენ, რომელსაც კრამიტს ან ღრუ ხეს დაადებდნენ და ძეძვს დააფენდნენ[27].

ორმო სხვადასხვა მოცულობის იყო, გვხვდება ერთი, ორი და სამი ურმის ტევადობის ორმოები.

მესხეთ-ჯავახეთში თითქმის ყველა დარბაზში მოწყობილი იყო პურის ორმო, რომელშიც ხორბალი ჭერიდან საგანგებო მილის საშუალებით იყრებოდა[28].

სამეცნიერო ლიტერატურაში ორმოს კონსტრუქციულ თავისებურებაზე გამოთქმულია მოსაზრება, რომელიც არა მარტო მარცვლის შენახვის პრინციპში მდგომარეობს, არამედ მას სხვა თვისებაც მიეწერება.

ორმოში ხორბლეული ოდნავ ნოტიო, მაგრამ ერთ უცვლელ ტემპერატურაზე ინახებოდა, რაც აჩქარებდა დათესილი ხორბლის გაღვივება-გაღოჯვასა და ამოსვლას. ორმოს ამ თვისების გამო თრიალეთის ზეგანზე და საერთოდ, სადაც ურწყავი მამულები ჭარბობს, შემოდგომის ნათესების დაზამთრებამდე დაჯეჯილებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა და ამის განხორციელება ორმოში შენახული მარცვლის საშუალებით ხდებოდა[29]. ეს საინტერესო დაკვირვება, ხალხის ღრმა ცოდნაზე მეტყველებს.

ჩვენი მასალის მიხედვით კახეთის იმ სოფლებში, სადაც მეტი ტენიანობაა, არა მხოლოდ სათესლე პურის მარცვალი, არამედ საერთოდ ხორბლეული ორმოში არ ინახებოდა. იქ კი სადაც ნიადაგი მშრალია და გვალვები იცის, ორმოში მხოლოდ „სახარჯო პურს" ათავსებდნენ. მონათხრობის მიხედვით სათესლე „წინ წვერ" პურს კარგად ინახავდნენ კოდში ან ამბარში, სახარჯო „უკანა წვერს" კი ორმოში ყრიდნენ. ამავე დროს, ორმოში ჩაყრილი მარცვლეული არ უნდა დასველებულიყო, რადგან ასეთი მარცვლისაგან დამზადებული პური ცხობის პროცესში ძირს ვარდებოდა, „თონეში იწევდა".

ორმო, ძირითადად ფეტვისა და ქერის სათავსს წარმოადგენდა. არღუთინსკი თელავის მაზრის შესახებ გადმოგვცემს, რომ მარცვლეულის შესანახავ ძირითად ჭურჭლად ამბარი იყო გამოყენებული, ორმოები იშვიათად იხმარებოდა. საფიქრებელია, რომ ავტორი ორმოში ხორბლის შენახვას გულისხმობს. ცხადია, ეს არ გამორიცხავს ორმოს გამოყენებას ქერისა და ფეტვისათვის. აღნიშნული სათავსი, რომ ფეტვის კულტურასთანაა ძირითადად დაკავშირებული, ეს ხალხურ ლექსშიც კარგად ჩანს: „ორმოში ფეტვი ჩავყა-

---

[27] ჯ. რუხაძე, სოფელი აკური, თბ., 1969, გვ. 187.

[28] თ. ოჩიაური, ახალი საცხოვრებელი სახლი ადიგენის რ-ში, მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, XII-XIII; 1963, გვ. 132; თ. ჩიქოვანი, დასახ. ნაშრომი, გვ. 17.

[29] ნ. რეხვიაშვილი, სამეურნეო ნაგებობა „ღუი", სამხრეთ საქართველოში, სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, XVIII, 1954, გვ. 261; გ. ჯალაბაძე, აღმოსავლეთ საქართველოს სამიწათმოქმედო იარაღების ისტორიიდან, თბ., 1960, გვ. 157.

რე შესანახადაო, ორმოში წყალი ჩასულა, დასალპობადაო, ორმოდანა ამოვ-ყარე გასაშრობადაო“.

არ შეიძლება ჩვენი ყურადღება არ მიიქციოს იმან, რომ ქართლ-კახეთში ახალ წელს ცხვებოდა რიტუალური კვერები ქერის, ფეტვის და პურის „ორ-მო“, რომელიც ამ მარცვლეულთა სიუხვისა და დაბევებისათვის იყო გან-კუთვნილი. ეს საყურადღებო ცნობა ძველი ვითარების ანარეკლია და აღნი-შნული მარცვლეულის და მისი საცავის მნიშვნელობაზე მიუთითებს.

ორმო მარცვლეულის სათავსად კავკასიის ზოგიერთ ტომსაც ჰქონდა გამოყენებული[30].

ჩვენ გვაქვს პირდაპირი ცნობები ადრე ორმოს არსებობის შესახებ, ორ-მო სათავსი არქეოლოგიაში პირველად რუსთავში მტკვრის ორსავე ნაპი-რას იქნა დამოწმებული, რომლებიც ადრეული და შუაფეოდალური ხანით (VII—XIII სს.) თარიღდება. აღსანიშნავია, რომ ორმოები, ძირითადად ფეტ-ვისათვის ყოფილა განკუთვნილი, აქა-იქ ქერის მარცვალიც არის დადასტუ-რებული[31].

გ. ქ ვ ე ვ რ ი — მარცვლისა და ფქვილის სათავსიცაა, მარცვლის დასა-უნჯებელი ქვევრი გვხვდება, როგორც სახლში, ასევე ეზოში.

სამარცვლე და საფქვილე ქვევრი ორნაირია: წვრილძირიანი და ბრტყელ-ძირიანი. წვრილძირიანი ქვევრი გამოყენებული იყო, როგორც სახლში, ასე-ვე ეზოში, იგი ერთიმესამედით იყო მიწაში ჩაფლული, ხოლო ბრტყელ-ძირიანი ქვევრი წარმოადგენდა მხოლოდ სახლის შიდასათავსს, რომელიც მიწაში არ იდგმებოდა.

გარდა ქვევრისა მარცვლის, ფქვილისა და პარკეულნებისათვის იხმარებოდა სხვა დანიშნულების კერამიკული ჭურჭელი: დ ე რ გ ი, ხ ა ლ ა მ ი, ქ ო თ ა ნ ი. დერგი ქვევრზე პატარა მოცულობისაა და ფორმითაც განსხვავებულია. დიდი ზომის დერგი ძირითადად სიმინდის მარცვლის სათავსია (იმერეთი, შროშა).

იმერეთში, კერამიკული ჭურჭლის დამზადების ცნობილ ცენტრში (ს. შროშა), გვხვდება სახორბლე, და საფქვილე ქვევრი, რომელიც ღვინის ქვევ-რისაგან განსხვავდება თხელკედლიანობითა და მსუბუქი აღნაგობით. ასეთი ქვევრის ტევადობა ხუთიდან ათფუთამდეა.

კახეთში (სოფელ ვარდისუბანში) დადასტურდა ტონანახევრიანი სამარ-ცვლე ქვევრი; იგი ძირითადი ნიშნებით და შესახედაობით ღვინის ქვევრს ჰგავს. ქვევრს პირზე სამი ხვრელი აქვს, რომელიც დაფარულია ხვრელიანი ხის ხუფით. ხუფის ხვრელი ზუსტად ემთხვევა ქვევრის პირის ხვრელებს, ეყ-რება ჯაჭვი და საკეტით იკეტება[32]. მარცვლისათვის გამოყენებული წვრილ-ძირა, სხვადასხვა მოცულობის ქვევრი გვხვდება კახეთის სხვა სოფლებშიც[33].

---

[30] Д. Г а б и е в, Жилые и хозяйственные постройки у лаков в прошлом и в настоящем, 1962 (рукопись); П. Ф. С в и д е р с к и й, Материалы для антропологии Кавказа, Кумыки, Диссертация на соискание ученой степени доктора медицинских наук, С. П. Д. 35.

[31] გ. ლ ო მ თ ა თ ი ძ ე, რუსთაველი წარმოებული არქეოლოგიური თხრის უმნიშვნელოვა-ნესი შედეგები, მასალები საქართველოს და კავკასიის არქეოლოგიისათვის, ტ. I, 1955, გვ. 177. 185—186.

[32] ც. კ ა კ ა ბ ა ძ ე, შროშული კერამიკა, დისერტაცია, თბ., 1973, გვ. 161—165.

[33] ჯ. რ უ ხ ა ძ ე, სოფელი აკურა, საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობანი, თბ., 1964, გვ. 189—190.

ქვევრის სამარცვლე და საფქვილე ჭურჭლად გამოყენების ტრადიციას არქეოლოგიაც გვიდასტურებს.

ურბნისში აღმოჩენილ იქნა სხვადასხვა ზომის 16 ქვევრი, რომლებიც თითქმის მუცლამდე ჩანდა თიხატკეპნილ იატაკზე. ასეთნაირად ჩაფლულ ერთ ქვევრში მარცვლეული ეყარა და თავზე სარქველი ჰქონდა გაკეთებული. ზოგიერთ ქვევრს ჰაერის სამოძრაოდ ძირში ხვრელიც ჰქონდა დატანებული. ქვევრი დათარიღებულია VI—VIII სს. და ხორბლის ძირითად სათავსად არის მიჩნეული. ლ. ჭილაშვილს თავის მოსაზრების საფუძვლად მოჰყავს როგორც ქვევრის ძირზე ჰაერის სამოძრაო ხვრელის არსებობის ფაქტი, ასევე ქვევრის სანახევროდ მიწაში ჩადგმის წესი[34].

ახალმა არქეოლოგიურმა მონაპოვარმა დაამტკიცა, რომ სამარცვლე ქვევრს საქართველო შორეულ წარსულში იცნობდა. საქორქიოსთან, (ხობის რ-ნი), სიმაგრის ნამოსახლარზე ძვ. წ. VI—V სს. ფენებში აღმოჩენილია შავზედაპირიანი რელიეფურქუდიანი კოლხური ქვევრების ფრაგმენტები, რომლებსაც ძირთან გამოწვამდე დატანებული აქვს ნახვრეტები[35]. სამარცვლე ქვევრისათვის დამახასიათებელი ძირითადი ნიშნების გამო, იგი მიჩნეულია მარცვლის შესანახ ჭურჭლად, რომელიც საგანგებოდ მზადდებოდა ამ დანიშნულებისათვის.

არის თუ არა ქვევრი მარცვლისა **და ფქვილის სათავსი ჭურჭელი? საკ**ითხის ფართოდ დასმისა და მსჯელობის დამაჯერებლობით წარმართვისათვის საჭირო კონკრეტული მასალა, მართალია ჩვენ უხვად არ მოგვეპოვება, მაგრამ ამჯერად ჩვენს ხელთ არსებული მონაცემების საფუძველზედაც შეიძლება დავასკვნათ, რომ ქვევრი მარცვლის სათავსი უნდა ყოფილიყო იქ, სადაც მისი წარმოების ცენტრი არსებობდა.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ხვრელიანი სამარცვლე ქვევრი, დღესდღეობით ყოფაში ცნობილი არ არის, მაგრამ ასეთი ქვევრის არსებობა დადასტურებულიც რომ ყოფილიყო, რა თქმა უნდა იგი მისი წარმოშობის სიძველესთან და საწყისებთან მაინც არ იქნებოდა დაკავშირებული.

თუ უდავოდ, ვაღიარებთ იმას, რომ ჩვენში ღვინო მხოლოდ ქვევრში ინახებოდა და ანგარიშს გავუწევთ იმ გარემოებას, რომ მარცვლის სათავსს უნაჩვრეტო ქვევრი და სხვა მისი მსგავსი ჭურჭელიც წარმოადგენდა, მაშინ უნდა ვივარაუდოთ, რომ მარცვლისათვის ქვევრის გამოყენება წარმოადგენდა შემთხვევით გარემოებას და განპირობებული იყო მისი თავისებურებებით.

განხილულ მონაცემთა (მასალის დამუშავება, ტიპოლოგიური და კონსტრუქციული მრავალსახეობა, ორნამენტაცია და ტერმინოლოგიის სიუხვე) საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ მარცვლეული კულტურების შესანახი სათავსები ყველა ნიშნის მიხედვით მატერიალური კულტურის მნიშვნელოვანი მონაპოვარია, — იგი განვითარებული მიწათმოქმედების შედეგია.

---

[34] ლ. ჭ ი ლ ა შ ვ ი ლ ი, ურბნისის ნაქალაქარის არქეოლოგიური გათხრების მოკლე ანგარიში, ურბნისი, II, 1962.

[35] გ. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე, ნ. ვ ა შ ა კ ი ძ ე, კოლხური ქვევრი, სამხრეთ დასავლეთ საქართველოს ძეგლები, VI (იბეჭდება).

Л. Ф. ЧИКОВАНИ

ОБ ОДНОМ ЗАТЕРЯВШЕМСЯ ПИСЬМЕ АКАКИЯ ЦЕРЕТЕЛИ

Великий классик грузинской литературы Акакий Церетели писал, как известно, и на русском языке тоже. Если про грузинские произведения поэта можно смело утверждать, что все написанное и сказанное им отражено до мельчайших подробностей в многотомных собраниях его сочинений, то про русские произведения грузинского классика этого пока что утверждать нельзя[1]. А между тем, все, что написано Акакием Церетели и на русском языке представляет собой мысли и раздумья великого поэта-гражданина о своем народе, надежды и чаяния о свободе и счастьи своей родной Грузии.

Русские произведения поэта пока-что разбросаны в различных органах периодической печати Грузии, а также в петербургском «Голосе». Долг советских исследователей разыскать по крупице и собрать воедино и эти сочинения великого грузинского поэта-мыслителя.

Мы намерены в данном случае остановить внимание наших читателей на судьбе одного затерявшегося письма Акакия Церетели к редактору газеты «Тифлисский Вестник», к Котэ Бебутову.

Об интересующей нас статье Акакия Церетели мы узнали из письма самого Котэ Бебутова к Нико Николадзе от 11 апреля 1876 г.. Это письмо хранится в архиве последнего за № 13/18 и представляет собой ответ на письмо самого Нико Николадзе к редактору «Тифлисского Вестника», в котором ведущий сотрудник газеты, повидимому, спрашивал редактора, как быть, напечатать, или нет, критический разбор устава нарождавшегося в ту пору в Кутаисе дворянского земельного банка и какой позиции намерен держаться «Тифлисский Вестник» в отношении банка. Вот что пишет редактор газеты Котэ Бебутов в ответ на вопрос Н. Николадзе: «Относительно кутаисского банка будьте осторожнее. Критиковать теперь, значит подрывать, и рассмотрите мотивы тех, которые пристают за старым делом, за «обещанным разбором» — как бы у них не было на уме чего-либо дурного. Что касается «Тифлисского Вестника», то он воздержится от критики и будет поддерживать то правление, которое будет законно выбрано, как это делает «Таймс». Когда начнут гадить, тогда и следует бить, но не раньше».

Затем без всякого перехода К. Бебутов спрашивает Н. Николадзе: «Читали ли вы письмо Акакия, на котором вы написали адрес. **Я не напечатал его** (подчеркнуто нами. — Л. Ч.) **именно по этому** и не могу не задуматься, неужели для вас ничего нет святого?».

Письмо Акакия Церетели, о котором говорит К. Бебутов, до нас не дошло, о чем говорилось в этом письме, предназначавшемся для опубликования («я не напечатал его...») мы не знаем наверняка, но пред-

---

[1] Правда, в 15-м томе академического издания собрания сочинений поэта, вышедшем в 1964 г., и предпринята попытка собрать воедино все его русские произведения, но это собрание еще не может считаться окончательно завершенным.

положительно можно сделать несколько выводов, а для этого вспомним историю грузинских событий тех дней.

Дело в том, что к тому времени в Грузии нарождались т. н. дворянские земельные банки — первое, вполне современное общественное кредитное учреждение, в основной фонд которого легли отчисления из сумм, полученных грузинским дворянством при освобождении крестьян. Инициатива создания дворянских, земельных банков принадлежала тифлисскому губернскому предводителю (т. н. маршалу) дворянства, дворянскому либералу консервативного толка (так называемого liberalkonservativ)[2] Дмитрию Ивановичу Кипиани. Побудительный мотив Дм. Кипиани был один единственный — спасти любезный его сердцу дворянский класс от полного разорения и создать на остатки дворянских капиталов кредитное учреждение, дивиденды которого распределялись бы не среди пайщиков, а оставались бы в нем и шли на просветительные (и иные) нужды «благородного сословия». Но Дм. Кипиани (шокировавший в качестве мелкопоместного дворянина родовитую дворянскую аристократию) вскоре был отстранен от должности губернского предводителя, вместе с этим и банковское дело, при усердии царской администрации, на долгие годы было положено под спуд. Когда грузинские шестидесятники («тэргдалеульни»), выступив на арену общественной борьбы, убедились в том, что возрождать экономическую и культурную жизнь их родины без финансов, без каких-либо материальных средств невозможно, и что единственный капитал страны лежит под семью замками и безвсякого движения (если не принимать во внимание его постепенного и неуклонного «таяния» (!) благодаря жадным и алчным царским чиновникам), то они приняли твердое решение взять в свои руки дело создания общественного кредитного учреждения и в первую очередь разработать соответствующий своим взглядам устав этих нарождавшихся банков[3]. Это тем более было необходимо, что царские власти представляли дело таким образом, будто бы проволочка с открытием этих банков была, якобы, связана единственно с отсутствием устава, по которому должны были вступить в действие эти первые земельные кредитные учреждения Грузии. Разумеется, «тэргдалеульцам дела никакого не было до классовых нужд грузинского дворянства (учредителя банка), их привлекал к себе — как мы уже отмечали выше, т. н. «общественный характер» нарождавшихся кредитных учреждений, т. е. именно то обстоятельство, что земельный банк сохранял за собой дивиденды. Нужно было использовать их на нужды целого общества, а не одного дворянского класса! В 70-ых годах прошлого века вожди грузинских демократов — Илья Чавчавадзе, Акакий Церетели, Н. Николадзе и другие выдающиеся тэргдалеульцы с жаром взялись за так называемое «банковское дело», стремясь использовать этот могучий рычаг для заложения экономического фундамента страны и развития в ней важнейших отраслей народного хозяйства. Вся тогдашняя (т. е. начала 70-ых годов) местная печать много внимания уделяла разъяснению полезности введения правильных кредитных учреждений в стране, где дотоле господствовал разнузданный ростовщический капитал с его «лихвенными процентами». Конечно, никаких иллюзий насчет спасения экономического положения

---

[2] Здесь нам кажется уместным вспомнить письмо В. И. Ленина к А. Н. Потресову, ПСС, т. 46, стр. 18—19, где В. И. Ленин впервые вводит в научный оборот этот термин Ф. Энгельса — «либерал консервативного толка».

[3] См. Л. Чиковани, Социально-политический профиль газеты «Тифлисский Вестник» (1873—1882 гг.), гл. III (на груз. яз.).

дворянского класса «тэргдалеульцы» не питали и не очень-то об этом заботились, прекрасно зная, что грузинские помещики (так же как и дворяне-помещики всех наций вообще), не сумев рационально использовать ссуд, полученных из банка под свои заложенные имения, спустят свои капиталы в первых же увеселительных заведениях. Однако «тэргдалеульцы» расчитывали создать такой устав, который содержал бы специальный пункт о передаче в рассрочку, либо продаже по другим льготным условиям, заложенных в банке помещичьих имений крестьянским ассоциациям.

В апреле 1876 г., должен был открыться Кутаисский дворянский земельный банк на основании устава, хотя и составленного одним из «тэргдалеульцев» — Виссарионом Гогоберидзе, но резко раскритикованного (это было еще в 1873 г.) и отвергнутого редакцией газеты «Дроэба», т. е. ведущим ядром «тэргдалеульцев» и в том числе Н. Николадзе. Теперь, в апреле 1876 г., когда все грузинские деятели съехались в Кутаиси на учреждение долгожданного дворянского земельного банка, Н. Николадзе и его единомышленники снова попытались помешать осуществлению порочного, с их точки зрения (из-за отсутствия знаменитого пункта о крестьянских льготах) гогоберидзевского устава. Об этом и переписывался Н. Николадзе с К. Бебутовым, прося своего редактора напечатать написанный Н. Николадзе под скорую руку критический разбор устава в газете «Тифлисский Вестник», от этого шага и предостерегал дворянский либерал кн. Бебутов своего «неугомонного», разночинского друга — Нико Николадзе, воздержаться от критики устава, поэтому, на наш взгляд, и не опубликовал К. Бебутов письма Акакия Церетели, очевидно направленного против учреждения земельного банка; поэтому и умоляет спугнутый «крайностями» своих сотрудников редактор своих, на его взгляд, вконец «помешавшихся друзей» («неужели у вас ничего нет святого») предоставить все естественному ходу — ведь, дескать, главное это открыть банк, а устав, в конце концов, не такое уж важное, по его мнению, дело!

Что все эти наши предположения не лишены известного реального основания, об этом довольно прозрачно говорится в горячей банковской полемике, снова вспыхнувшей (впрочем, никогда окончательно и не затухавшей в Грузии последней четверти XIX в.), спустя почти двадцать лет, на страницах местных газет. Так в № 3557 от 4 мая 1894 г. газеты «Новое Обозрение» напечатано «Письмо в редакцию» Акакия Церетели, в котором автор, вспоминая дела давно минувших дней, говорит: «Еще при самом начале, когда задумали учредить у нас земельные банки, я был против этого и говорил и писал между прочим вот что: «Давать нашему народу пока такие учреждения — все равно, что давать ребенку острую бритву в руки. Теперь мы увлечены радужными мечтами о будущем, но будущее докажет нам, что мы поставили сами народу капкан и рулетку. В конце концов, наши помещики-землевладельцы разорятся, нравственная физиономия нашей жизни потеряет свой патриархальный цвет... Насколько эти мои слова оправдались, предоставляю судить другим!!».

В ответ на это позднее раскаяние своего друга и единомышленника Нико Николадзе заявляет, что «наверное кн. А. Церетели излагал **такие** свои мысли обществу **словесно**, или в **частных письмах**, но **никак не печатно** (подчеркнуто нами. — Л. Ч.)... Если бы он тогда высказал в печати что-нибудь подобное, то местная печать, без сомнения, не преминула бы протестовать против мнений столь решительно противоречивших ее убеждениям. Относительно роли и значения земельных банков местная печать в начале 70-ых годов ни разу и не думала усум-

ниться в пользе, необходимости, благотворности общественных банков земельного кредита. Напротив того, эти учреждения она совершенно правильно считала одним из существенных факторов не только промышленного, но и общественного прогресса в нашей стране. **Лишь ясным сознанием всего величия роли дворянских** земельных банков в деле развития нашей общественности, **и объясняется страстное и суровое отношение тогдашней местной печати** к малейшим ошибкам в постановке и ведении этого существенно важного дела»[4].

Нам кажется, что эта полемика проливает свет на то неизвестное письмо Акакия Церетели к редактору «Тифлисского Вестника», на которое Константин Бебутов наложил в 1876 году свое неумолимое редакторское **вето.**

По всей вероятности, дело обстояло таким образом: увидев, какие страсти вызвало критическое выступление Н. Николадзе в Кутаисе против недостатков банковского устава и ошибок правления[5], Ак. Церетели в порыве отчаяния, а может быть простого разочарования, посылает (через Н. Николадзе) в редакцию «Тифлисского Вестника» письмо в котором резко осуждает и самые банки, как обоюдоострое оружие, данное в руки «ребенку», так и все тогдашнее грузинское общество, объявленное им таким образом несовершеннолетним. Во всяком случае, столь резкий выпад Акакия Церетели — (в недавнем прошлом одного из рьяных защитников нарождавшихся в Грузии земельных банков) — против самой даже идеи банка, (ожидавшегося всем грузинским обществом, как манны небесной!) и заставил, на наш взгляд, К. Бебутова запретить ее, как статью «вредную» и несовременную и слова Н. Николадзе, сказанные в адрес своего разочаровавшегося друга, спустя 20 лет, что, быть может, вы и в самом деле сказали нечто подобное в 70-ых годах, **но очевидно в частных письмах, но никак не печатно»,** на наш взгляд, имеют в виду именно данное, оставшееся ненапечатанным письмо Акакия Церетели к К. Бебутову.

Таким образом, восстанавливая события середины 70-ых годов можно утверждать, что одновременно с письмом Акакия Церетели, содержащем осуждение идеи учреждения в Грузии дворянского земельного банка, Бебутов получает и письмо Н. Николадзе, в котором последний спрашивает, согласиться ли редакция «Тифлисского Вестника» напечатать подробный критический, (а в самом деле и вовсе уничтожающий) разбор банковского устава, составленного В. Гогоберидзе. Все это воспринимается незадачливым редактором, как поход против учреждения в Кутаисе банка вообще, и заставляет его вскричать: «Неужели для вас (т. е. для Акакия Церетели и Нико Николадзе. — **Л. Ч.**) нет ничего святого?». Иными словами это читается, примерно, так: «Как вы, оба, можете выступать против того, что сами же пропагандировали в течение ряда лет?».

Что наше мнение о содержании вышеуказанного неизвестного письма Акакия Церетели не лишено основания, приведем еще одну вы-

---

[4] «Новое Обозрение», № 3568 от 15 мая 1894 г., Фельетон, Со стороны.

[5] Дело в том, что слухи о якобы стремлении «тэргдалеульцев» (и в особенности «выскочки», Н. Николадзе — по происхождению разночинца, т. е. человека «без роду и племени», как тогда полагали), завладеть дворянскими деньгами, чтобы передать их бывшим крепостным крестьянам (!!), стали проникать в массу некомпетентных провинциальных дворян — учредителей банка, которые в своей классовой ненависти дошли до того, что чуть было не прикончили Н. Николадзе на трибуне, во время его критического выступления в адрес В. Гогоберидзе — автора либерального и продворянского устава учреждаемого в ту пору банка.

держку из рассматриваемой статьи Нико Николадзе в «Новом Обозрении»: «С первого же своего слова об этих земельных банках, местная печать (см. грузинскую газету «Дроэба» за 1870 г.) решительно и бесповоротно высказалась насчет пользы, а не вреда банков. Метафора о бритве взята кн. Ак. Ростомовичем Церетели, очевидно, из этой первой его статьи в «Дроэба» (1870 г.), **но изложена им по-русски в неправильном свете.** (Видимо, в таком же свете все это было изложено и в 1876 году. — **Л. Ч.**). Грузинский публицист писал, что банк похож на нож, без которого нельзя обойтись, который приносит массу пользы, но которым, при неправильном пользовании, можно отрезать себе пальцы. «Согласитесь», — писал почти двадцать лет спустя Нико Николадзе, комментируя статью своего друга, — «мораль такой метафоры вовсе не та, что смысл сравнения с бритвой, сравнения, бог весть, на какой срок и неизвестно почему узаконяющего безнадежное несовершеннолетие всего грузинского общества. Кн. А. Р. Церетели прав, говоря, что обезземеление помещиков предсказывалось им в самом же начале деятельности банков. Но ему следовало бы добавить, что местная печать, первая, указавшая на неминуемость этого результата, нисколько не отрицала из-за этого пользы земельных банков и ни малейшим образом не заикалась об их зловредности, как делает это теперь (т. е. 1894 г. — **Л. Ч.**), кн. Ак. Р. Церетели».

Таким образом, наше предположение, что неизвестное письмо Акакия Церетели к К. Бебутову предназначалось для печати и что оно касалось вопроса об учреждении кутаисского земельного банка, нам кажется нелишенным основания. Впрочем, не исключена возможность, что в будущем будет разыскан личный архив К. Бебутова и вместе с ним — интересующее нас письмо Ак. Церетели.

კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

ფრანგი ისტორიკოსი ნაპოლეონ I დროს საფრანგეთისა და იმერეთის ურთიერთობის შესახებ

ფრანგი ისტორიკოსის მარიან სედუს გამოკვლევა — „საფრანგეთი და იმერეთი ნაპოლეონ I დროს (რამდენიმე გამოუქვეყნებელი დოკუმენტი ამიერკავკასიის შესახებ XIX საუკუნის დასაწყისში)"[1], ეხება საქართველოს ისტორიის ერთ-ერთ საინტერესო პერიოდს.

ნაშრომის შესავალში აღნიშნულია, რომ გამოკვლევას საფუძვლად უდევს საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს არქივში ავტორის მიერ მოპოვებული საინტერესო დოკუმენტები საქართველოს შესახებ[2]. მ. სედუ მოკლედ გადმოსცემს საქართველოს ისტორიას XVI საუკუნიდან XVIII ს-ის დასასრულამდე. იგი წერს: „... დღევანდელი საქართველო იმ პერიოდში დაყოფილი იყო რამდენიმე ქრისტიანულ დამოუკიდებელ სამეფოდ, რომლებსაც უმეტეს შემთხვევაში მართავდნენ იმავე დინასტიის წარმომადგენლები: ბაგრატიდების დინასტიის წარმომადგენლები. საკუთრივ აღმოსავლეთ საქართველო მოიცავდა ქართლისა და კახეთის სამეფოებს, რომლებიც გაერთიანდნენ 1744 წელს ერეკლე II მეფობის დროს და იმყოფებოდნენ ირანის მეტ-ნაკლებად ფაქტიური სიუზერენიტეტის ქვეშ. დასავლეთ საქართველო დაყოფილი იყო მრავალ სამთავროდ (იმერეთი, სამეგრელო, გურია და სხვ.) და იმყოფებოდა ოტომანის იმპერიის მეტ-ნაკლებად ნომინალური ბატონობის ქვეშ"[3].

მარიან სედუ განაგრძობს, რომ „XVI ს-ის დასაწყისში მაშინ, როდესაც ქრისტიანული ამიერკავკასია დანაწევრებული იყო პატარ-პატარა დამოუკიდებელ სამთავროებად და ეწეოდნენ ომს ერთმანეთის წინააღმდეგ, მის საზღვრებთან სამი დიდი იმპერია განმტკიცდა: 1. „ოტომანის იმპერია, სელიმ I მეფობის დროს იწყებს ექსპანსიას აღმოსავლეთისაკენ და ავრცელებს თავის ხელისუფლებას ამიერკავკასიის დასავლეთ ნაწილზე; 2. სეფიანთა იმპერია, რომელმაც გააერთიანა ირანი და მისი არმია შეიჭრა ამიერკავკასიის აღმოსავლეთ ნაწილში; 3. ბოლოს, ივანე მრისხანეს რუსეთის იმპერია, რომელიც იწყებს ფეხის მოკიდებას ჩრდილოეთ კავკასიაში"[4].

სამი საუკუნის განმავლობაში ხსენებული იმპერიები ერთმანეთს ეცილებოდნენ ამიერკავკასიაში ბატონობისათვის. პირველ რიგში ლაპარაკია ირანსა და თურქეთს შორის მეტოქეობაზე, რომლებიც სარგებლობდნენ საქართველოში შინაფეოდალური ომებით, ზოგიერთი მთავრის მხარდაჭერით და ფეხს

---

[1] Marianne Seydoux, La France et l'Imérétie sous Napoléon I. Quelques documents inédits sur la Transcaucasie au début du XIXᵉ siècle. «Cahiers du Monde Russe et Soviètique», 1967, vol. VIII, 4ᵉ Cahier, გვ. 616—627, Paris, Mouton et Co. Ecole Pratique des Hautes Etudes-Sorbonne. VIᵉ section: Sciences économiques et sociales.

[2] იხ. Arcives du Ministère des Affaires Etrangères, Paris, Mémoires et Documents. «Russie», X, ff. 292—296; M. Seydoux, დასახ. ნაშრომი, გვ. 622—627; ი. ტაბაღუა, საქართველო-საფრანგეთის ურთიერთობის ისტორიიდან (XVIII ს-ის მიწურული— XIX ს-ის დასაწყისი, თბ., 1974.

[3] M. Seydoux, დასახ. ნაშრომი, გვ. 616.

[4] იქვე.

იკიდებდნენ საქართველოს ტერიტორიაზე: სპარსელები აღმოსავლეთ საქართველოში, თურქები — დასავლეთ საქართველოში, თავს ახვევდნენ ადგილობრივ მოსახლეობას თავიანთ პროტექტორატს. „თურქები უმთავრესად დაინტერესებული იყვნენ ხარკითა და მონებით“ მაშინ, როდესაც „სპარსელები უფრო პირდაპირ მოქმედებდნენ: სეფიანებს ქართლ-კახეთის მეფეები უფრო მოკავშირეებად მიაჩნდათ, ვიდრე ვასალებად და ცდილობდნენ მოექციათ მათი სახელმწიფოები სპარსეთის იმპერიის ფარგლებში, ინარჩუნებდნენ რა მათი დინასტიის დამოუკიდებლობას“[5].

ავტორი იქვე მიუთითებს, რომ ახალგაზრდა ერეკლე II მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ინდოეთში ნადირ შაჰის ლაშქრობაში.

მ. სედუს აზრით, ქრისტიანი ბაგრატიონები კულტურის მხრივ უფრო ახლო იყვნენ ირანთან, ვიდრე თურქეთთან. საქართველოს ადმინისტრაციულ და სოციალურ სტრუქტურაში იგი ხედავს ირანთან სიახლოვეს.

შემდეგ ავტორი ეხება დაღესტნელ ტომებს, კერძოდ, ლეკებს, რომლებსაც ხშირად იყენებდნენ თავიანთ სასარგებლოდ ხან სპარსელები, ხან თურქები ამიერკავკასიის ტერიტორიაზე.

სამი საუკუნის შემდეგ ბაგრატიონები საბოლოოდ მიბრუნდნენ რუსეთისაკენ, რათა ეთხოვათ მისთვის დახმარება და პროტექტორატი, მხოლოდ 1768 წელს რუსეთ-თურქეთის ომის დროს, რუსეთმა საქართველოში მრჩევლები და ჯარის ნაწილი გაგზავნა. მეორე მხრივ, XVIII ს-ის დასასრულს, ნადირ შაჰის სიკვდილის შემდეგ, ირანი სრულმა ანარქიამ მოიცვა, მაგრამ მალე იგი გააერთიანა აღა-მაჰმადხანმა, რომელმაც ირანში საფუძველი ჩაუყარა ახალ — ყაჯარების დინასტიას. აღა-მაჰმადხანმა გადაწყვიტა საქართველო გადაექცია სპარსეთის პროვინციად, მან გაანადგურა აღმოსავლეთ ამიერკავკასია, „1795 წელს აიღო თბილისი და გაძარცვა იგი“[6].

თურქეთის მხრიდან (რომელიც იმ დროს მეტად სუსტი იყო) დახმარების უიმედობამ და „ლეკების შემოსევით მოსვენებადაკარგულმა აღმოსავლეთ საქართველომ საბოლოოდ გადაწყვიტა რუსეთისაკენ მიბრუნება“[7].

1799 წელს ერეკლე II შვილმა მეფე გიორგი XII რუსეთის იმპერატორ პავლე I თხოვა თავისი სამეფო ქართლ-კახეთი მიეღო მის მფარველობაში საქართველოში ბაგრატიონების დინასტიის უფლებების შენარჩუნებით. თხოვნა დაკმაყოფილებულ იქნა, მხოლოდ 1800 წლის დეკემბერში რუსეთის მეფემ გადაწყვიტა საქართველოში გაეუქმებინა სამეფო ხელისუფლება და ისე შეერთებინა რუსეთისათვის.

ავტორის თქმით, ამ დროს აღმოსავლეთ საქართველოში ანარქია სუფევდა: 1800 წლის დეკემბერში მეფე გიორგი XII გარდაიცვალა, ხოლო დავითი, იულონი, ფარნაოზი და ალექსანდრე ტახტისათვის ეცილებოდნენ ერთმანეთს. მდგომარეობას უფრო ართულებდა დედოფალ დარეჯანის ინტრიგები; იგი მხარს უჭერდა სამეფო ტახტზე იულონის კანდიდატურას.

1801 წელს ალექსანდრე I ბოლო მოუღო ქართლ-კახეთის მონარქიას და იგი შეცვალა რუსული ადმინისტრაციით, რომელიც პირდაპირ უმორჩილებდა საქართველოს რუსეთის იმპერიის ცენტრალურ ხელისუფლებას. ბაგრა-

---

[5] M. Seydoux, დასახ. ნაშრომი, გვ. 617.

[6] იქვე.

[7] იქვე.

ტიონთა დინასტიის წარმომადგენლები საბოლოოდ ჩამოაცილეს ხელისუფლებას. ზოგიერთი არ დაემორჩილა რუსეთის ხელისუფლებას და ირანსა და თურქეთში წავიდა, დახმარების საძებნელად.

1820 წლის 30 სექტემბერს საფრანგეთის კონსულს რიგაში ლიბესარს საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროსადმი გაგზავნილ ერთ-ერთ წერილში მოჰყავდა 1811 წელს საქართველოდან გენერალ ტორმასოვის მიერ იმპერატორ ალექსანდრე I-ისადმი გაგზავნილი მოხსენებითი ბარათის ერთი ადგილი, სადაც ლაპარაკი იყო უფლისწულების — ალექსანდრესა და ლევანის, მოქმედებაზე ირანში, მათ კავშირზე ირანისა და თურქეთის (ახალციხის საფაშოს) ხელისუფლებთან და უცხოეთის ძალების გამოყენებაზე საქართველოში დასაბრუნებლად. მაგალითად, უფლისწული ლევანი ირანიდან ოსეთშიც კი ჩასულა, რათა იქიდან უფრო იოლად ემოქმედა. ალექსანდრესა და ლევანის მიერ შეგროვილ ძალებს მხარი უნდა დაეჭირათ აჯანყებისათვის, რომელიც მზადდებოდა იმერეთში[8].

აღმოსავლეთ საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ მეფის რუსეთი ცდილობდა, რაც შეიძლება მალე შემოეერთებინა დასავლეთ საქართველოც. მეფის რუსეთს ამ ამოცანის გადაწყვეტას უადვილებდა ორი გარემოება: ოტომანის იმპერიაში გამეფებული ანარქია და დასავლეთ საქართველოში „ბაგრატიონთა ურთიერთმეტოქეობა"[9].

1803 წელს სამეგრელოს მთავარმა გრიგოლ დადიანმა, რომელსაც განუწყვეტელი კონფლიქტი ჰქონდა იმერეთის მეფე სოლომონ II-სთან, ითხოვა რუსეთის მფარველობა. მის მაგალითს მიბაძა გურიამ და აფხაზეთმა. ამ სამთავროებმა რამდენიმე წელი შეინარჩუნეს თავიანთი ხელისუფლება რუსეთის სიუზერენიტეტის ქვეშ. სამეგრელოს დადიანთა მმართველობა საბოლოოდ გაუქმდა 1857 წელს.

ყველაზე მნიშვნელოვანი უკანასკნელი დამოუკიდებელი სამეფო დასავლეთ საქართველოში, წერს მარიან სედუ, იყო იმერეთის სამეფო, რომელსაც მართავდა — ქართლ-კახეთის მეფის ერეკლე II შვილიშვილი მეფე სოლომონ II. „მერეთის სამეფო, წერს იგი, იყო ყველა ანტირუსული ინტრიგების თავშესაფარი[10].

1804 წელს საქართველოს მთავარმართებლის გენერალ ციციანოვის[11] ჯარები შეიჭრნენ იმერეთის სამეფოს ტერიტორიაზე. ამ დროს, სოლომონმა ითხოვა მეფის რუსეთის მფარველობა სამეგრელოს მთავრის გრიგოლ დადიანის მსგავსად. მაგრამ 1810 წლიდან, როცა დაიწყო რუსეთ-თურქეთის ომი, სოლომონი კვლავ ატარებდა ანტირუსულ პოლიტიკას, საიდუმლო კავშირი ჰქონდა ახალციხის ფაშასთან და ინტერესს იჩენდა აღმოსავლეთში ნაპოლეონის გეგმებისადმი.

მ. სედუ აღნიშნავს, რომ ნაპოლეონის სახელი ამ რაიონში ცნობილი გახდა XIX ს-ის დასაწყისში[12]. შემდეგ იგი ეხება საფრანგეთ-ირანის ურთიერ-

[8] M. Seydoux, დასახ. ნაშრომი, გვ. 618; Archives, Paris «Russie», t. X, ფ. 297—310.

[9] M. Seydoux, დასახ. ნაშრომი, გვ. 618.

[10] იქვე, გვ. 619.

[11] მ. სედუ წარმოგვიდგენს გენერალ ციციანოვ-ციციშვილის ვინაობას და მაღალ შეფასებას აძლევს მას.

[12] მ. სედუმ იცის პროფ. დ. მ. ლანგის მიხედვით (D. M. Lang, The Last Years of the Georgian Monarchy 1658—1832, New-York, 1957) ნაპოლეონ I მიერ 1799 წელს საქართველოს მეფე გიორგი XII-სადმი წერილის გაგზავნის შესახებ.

თობის საკითხებს და მიუთითებს, რომ ირანს უნდოდა საქართველო ისევ დაეპყრო, და დამხმარე ძალებს ევროპაში ეძებდა, როცა ინგლისთან ვერ გამონახა საერთო ენა, ის მიუბრუნდა საფრანგეთს. 1804 წლის დეკემბერში ირანის შაჰმა წერილი გაუგზავნა ნაპოლეონ I[13].

1806 წელს საფრანგეთის მისია ამედე ჟობერის მეთაურობით ჩავიდა კონსტანტინოპოლში, მას მიჰყვა გენერალ სებასტიანის და გენერალ დე გარდანის მისიები. ყველა ამ მისიის მიზანი იყო მიეღწიათ სამთა — საფრანგეთის, სპარსეთისა და თურქეთის შეკავშირებისათვის რუსეთის წინააღმდეგ[14].

ამ მისიების შედეგად 1807 წლის 4 მაისს საფრანგეთსა და სპარსეთს შორის ფინკენშტაინში ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას, რომლის მიხედვით ნაპოლეონმა აღიარა შაჰის უფლებები აღმოსავლეთ საქართველოზე და შაჰს აღუთქვა, რომ აიძულებდა რუსეთს ჯარი გაეყვანა „სპარსული პროვინციებიდან". ამასთანავე, საფრანგეთი ვალდებულებას კისრულობდა აღმოეჩინა სამხედრო დახმარება და ირანში გაეგზავნა სამხედრო პირები ირანის არმიის რეორგანიზაციის მიზნით[15].

„ფიქრობენ, რომ, სოლომონმა ამავე პერიოდში რამდენიმე წერილით მიმართა ნაპოლეონს, თხოვდა მას დახმარებას მეფის რუსეთის წინააღმდეგ". მ. სედუ იქვე სქოლიოში მიუთითებს, რომ ეს წერილები დღემდე არაა აღმოჩენილი[16].

1809 წლიდან იმერეთის სამეფო კარი უკვე აშკარად მოქმედებს ცარიზმის წინააღმდეგ. ადგილი აქვს ფოთთან სოლომონის ჯარების შეჯახებას რუსულ ნაწილებთან. საპასუხოდ გენერალ ტორმასოვის ჯარებმა ალყა შემოარტყეს იმერეთის მეფის ჯარებს[17]. 1810 წლის იანვარში სოლომონი ტყვედ ჩაიგდეს რუსეთის ჯარებმა და წაიყვანეს თბილისში. რამდენიმე დღის შემდეგ სოლომონმა მოახერხა თბილისიდან გაქცევა და თავი შეაფარა თურქებს ახალციხეში. იმერეთი, სადაც აჯანყება უკვე ჩაქრობილი იყო, 1811 წელს დაემორჩილა ცარიზმის ხელისუფლებას.

ახალციხეში მყოფი სოლომონი დახმარებას ეძებს თურქეთში, სპარსეთსა და საფრანგეთში. 1810 წლის დეკემბერში იგი ჩადის ერევანში და იქიდან დახმარებას თხოვს ირანის შაჰს, რომლისგანაც მიიღო მხოლოდ მცირედი თანხა და რჩევა, დახმარება ეთხოვა სულთნისათვის.

ერევნიდან ახალციხეში გამგზავრების წინ სოლომონმა ახალციხის ფაშას სთხოვა ნებართვა, თვითონ სოლომონი გამგზავრებულიყო კონსტანტინოპოლში და, როცა უარყოფითი პასუხი მიიღო ფაშასაგან, მისია გაგზავნა გენერალ ქაიხოსრო წერეთლის მეთაურობით, რომელმაც კონსტანტინოპოლში ჩაიტანა ოტომანის იმპერიის კარისა და ნაპოლეონ I სახელზე გაგზავნილი სოლომონის წერილები.

---

[13] E. Driault, La politique oroentale de Napoléon. Sebastiani et Gardane (1806—1808), Paris, 1904, გვ. 172.

[14] M. Seydoux, დასახ. ნაშრომი, გვ. 619; ი. ტაბაღუა, დასახ. ნაშრომი, გვ. 19.

[15] M. Seydoux, დასახ. ნაშრომი, გვ. 620.

[16] M. Seydoux, იქვე. სოლომონის ორი წერილი, იხ. ი. ტაბაღუა, დასახ. ნაშრომი, გვ. 31—33; 64—75.

[17] მ. სედუ მიუთითებს, რომ გენერალ ალექსანდრე ტორმასოვის ჯარს მხარს უჭერდნენ სამეგრელოდან დადიანი, ხოლო გურიიდან კი გურიელი — სოლომონის დაუძინებელი მტრები.

კონსტანტინოპოლში საფრანგეთის საქმეების რწმუნებული ლატურ-მობური თავის 1811 წლის 5 მარტის მოხსენებით ბარათში წერდა: „ქართველებს, რომლებიც ამასწინათ ჩამოვიდნენ კონსტანტინოპოლში, დავალებული ჰქონდათ, ეთხოვათ მაღალი პორტასათვის დახმარება რუსეთის წინააღმდეგ. მათ აღუთქვეს 20—25 ათასი კაცისაგან შემდგარი კორპუსი“[18].

1811 წლის 16 აპრილს ლატურ-მობური შამპანიში უგზავნის საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრს ჰერცოგ დე კადორს ნაპოლეონისადმი მიწერილი სოლომონის პირადი წერილის ფრანგულ თარგმანს. წერილს თან ახლდა საფრანგეთის ვიცე-კონსულის უტრეს მიერ შედგენილი მოკლე ცნობები საქართველოსა და სოლომონის შესახებ[19].

უტრეს წერილიდან ჩანს, რომ სოლომონს ნაპოლეონისაგან პასუხი არ მიუღია, მაგრამ იგი იმედს არ კარგავდა. 1811 წელს სოლომონმა ტრაპიზონში რამდენჯერმე გაუგზავნა თავისი წარმომადგენელი საფრანგეთის კონსულ დიუპრეს, რომელსაც თხოვდა „ეშუამდგომლა, რათა მიეღო პასუხი წერილებისა, რომლებსაც სოლომონი წერდა სხვადასხვა ვითარებაში მის უდიდებულესობას იმპერატორსა და მეფეს (ნაპოლეონს. — ი. ტ.)“[20].

თვითონ სოლომონს განზრახული ჰქონდა საფრანგეთში გამგზავრება, რათა პირადად ხლებოდა ნაპოლეონს, თუ თურქები ამის საშუალებას მისცემდნენ[21].

ნაპოლეონისადმი სოლომონის მიერ გაგზავნილ წერილებს შედეგი არ მოჰყოლია. იმ პერიოდში ნაპოლეონი მეტად დაკავებული იყო რუსეთის წინააღმდეგ ომისათვის მზადებით.

საქართველოდან პეტერბურგში გაგზავნილ გენერალ ტორმასოვის მოხსენებითი ბარათებიდან ფრანგები გებულობდნენ, რომ „აჯანყება მზად იყო ეფეთქა იმერეთსა და ქართლში, სადაც... მეფესა და უფლისწულს — სოლომონსა და ალექსანდრეს ყოველთვის ჰქონდათ გაბმული კავშირები“[22].

„ჩვენ კიდევ ვგებულობთ, — წერს მ. სედუ, — საქართველოში რუსეთის ძალების მეთაურის პაულიჩის მიერ რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის რუმიანცევის სახელზე გაგზავნილ წერილიდან, რომ 1812 წლის დასაწყისში იმერეთში იფეთქა სპარსეთში გადახვეწილი უფლისწულების (ალექსანდრე და ლევანი. — ი. ტ.) მიერ წაქეზებულმა და სპარსეთის ხელისუფლების მხრიდან მხარდაჭერილმა აჯანყებამ“[23].

1812 წელს რუსეთსა და თურქეთს შორის ბუქარესტში ხელმოწერილ საზავო ხელშეკრულების VI მუხლის მიხედვით დასავლეთ საქართველო, როგორც ქრისტიანული ხალხით დასახლებული ქვეყანა, რჩებოდა რუსეთის მმართველობის ფარგლებში.

ამ დროიდან, შენიშნავს მ. სედუ, სოლომონი გაქრა პოლიტიკური ასპარეზიდან და ჩვენ აღარაფერი ვიცით მის შესახებ. მხოლოდ რამდენიმე იშვიათი

---

[18] M. Seydoux, დასახ. ნაშრომი, გვ. 620; D. M. Lang, დასახ. ნაშრომი, გვ. 263; ი. ტაბაღუა, დასახ. ნაშრომი, გვ. 33.

[19] M. Seydoux, დასახ. ნაშრომი, გვ. 621; ი. ტაბაღუა, დასახ. ნაშრომი, გვ. 30—34.

[20] M. Seydoux, დასახ. ნაშრომი, გვ. 621.

[21] იხ. ი. ტაბაღუა, დასახ. ნაშრომი, გვ. 36.

[22] M. Seydoux, დასახ. ნაშრომი, გვ. 621.

[23] იქვე.

თურქული დოკუმენტი საშუალებას გვაძლევს გავყვეთ მის კვალს. მათ შორის პირველ რიგში უნდა დავასახელოთ ტრაპიზონის ვალის სულეიმან ფაშას 1813 წლის 31 დეკემბრის მოხსენებითი ბარათი, რომლითაც მან მიმართა ოტომანის იმპერიის დიდ საბჭოს[24]. ამ დოკუმენტის ავტორი ამბობს, რომ მან მიმართა წინადადებით რუსეთის ხელისუფლებას გაეყვანა ჯარი იმერეთიდან „ბუქარესტის ზავის პირობების მიხედვით". იგი თურქების ციხესიმაგრე ფაშში შეხვედრია სოლომონს — „აჩიკ-ბაშის ხანს". სულეიმან ფაშა ლაპარაკობს სოლომონის თხოვნაზე ოტომანის ხელისუფლების წინაშე და საქმეებში თურქეთის ჯარების ჩარევაზე იმ შემთხვევაში, თუ რუსები უარს იტყოდნენ იმერეთიდან წასვლაზე.

სულეიმან ფაშა მოიხსენიებს ფირმანს, რომელიც მიუღია სულთნისაგან სოლომონს[25] და რომ სოლომონი დიდად კმაყოფილი იყო მაღალი პორტას ასეთი ყურადღებით. ბოლოს, ტრაპიზონის ვალიც ეკითხებოდა მაღალ პორტას, იგი უფლებამოსილი იქნებოდა, თუ არა, ჩარეულიყო სამხედრო საშუალებებით, რათა რუსეთს ეცნო სოლომონი, როგორც იმერეთის მეფე.

„სოლომონი, — იმერეთის ბაგრატიონთა უკანასკნელი შთამომავალი, რომელიც მეფობდა 21 წელი, გარდაიცვალა ტრაპიზონში, 1815 წლის 19 თებერვალს"[26].

მ. სედუს ნაშრომს დართული აქვს 5 დოკუმენტი[27]:

1. კონსტანტინოპოლში საფრანგეთის საქმეების რწმუნებული ლატურ-მობურის წერილი, გაგზავნილი შამპანიში საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრის ჰერცოგ კადორის სახელზე 1811 წლის 16 აპრილს; **2.** უტრეს წერილი, გაგზავნილი კონსტანტინოპოლიდან 1811 წლის 1 ოქტომბერს საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრის სახელზე; **3.** სოლომონ II წერილი ნაპოლეონის სახელზე (1811 წ. 6 იანვარი)[28]; **4.** ბაღდადში საფრანგეთის ვიცე-კონსულის უტრეს (იგი იჯდა კონსტანტინოპოლში) მოხსენებითი ბარათი, შედგენილი 1811 წლის 25 ივლისს; **5.** ცნობები, შედგენილი 1811 წლის 28 აგვისტოს მეფე სოლომონსა და იმ წერილზე, რომლითაც სოლომონმა მიმართა ნაპოლეონს. ამ ცნობებში, სხვათაშორის, ნათქვამია, რომ სოლომონის სამფლობელოში — იმერეთში ითვლიან ერთ მილიონ მოსახლეობას[29].

ასეთია მ. სედუს ნაშრომის მოკლე შინაარსი. მას გამოქვეყნებული ლიტერატურიდან გამოყენებული აქვს მხოლოდ მ. ბროსესა და მ. ლანგის ნაშრომები[30]. იგი არ იცნობს ქართველ ისტორიკოსთა გამოკვლევებს. მ. სედუს ამ ნაშრომის არსებობის შესახებ გავიგეთ, როცა ჩვენი წიგნი უკვე აწყობილი იყო, ამიტომ მ. სედუს ნაშრომი მხოლოდ მოვიხსენიეთ და არ გამოგვიყენებია[31].

---

[24] M. Seydoux, დასახ. ნაშრომი, გვ. 622; Archives du musée du Palais de Torkari, N E2890, 8, muharrem 1220/31, 1813, XII.

[25] იხ. ნ. შენგელია, ს. ჯიქია, ოსმალეთთან სოლომონ მეორის ურთიერთობის ერთი ეპიზოდი, „მაცნე", 1963, № 3; ი. ტაბაღუა, დასახ. ნაშრომი, გვ. 53.

[26] M. Seydoux, დასახ. ნაშრომი, გვ. 622; ი. ტაბაღუა, დასახ. ნაშრომი, გვ. 38—39.

[27] M. Seydoux, დასახ. ნაშრომი, გვ. 622—627; ყველა ამ დოკუმენტის ფოტოპირი, რომლებიც ჩვენ ავიღეთ საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს არქივიდან, ჩვენს ხელთაა და გამოყენებულია (ზოგი მათგანის სრული ფოტოპირი გამოქვეყნებულია) ჩვენს აქ მოხსენიებულ ნაშრომში.

[28] ამ წერილის ფრანგული ტექსტი და მისი ქართული თარგმანი იხ. ი. ტაბაღუა, დასახ. ნაშრომი, გვ. 71—75.

[29] M. Seydoux, დასახ. ნაშრომი, გვ. 625—627.

[30] იქვე, გვ. 627.

[31] იხ. ი. ტაბაღუა, დასახ. ნაშრომი, გვ. 33.

ილია ტაბაღუა

OSMAN TURAN, SELÇUKLULAR ZAMANINDA TÜRKIYE

Jstanbul, 1971.

ოსმან თურანი, თურქეთი სელჩუკთა ხანაში

სტამბოლი, 1971

თანამედროვე თურქულ ისტორიოგრაფიაში მცირე აზიის სელჩუკთა სახელმწიფოს ისტორიის შესწავლას განსაკუთრებული ყურადღება ექცევა. თურქეთის საისტორიო საზოგადოება სისტემატურად აქვეყნებს მცირე აზიის სელჩუკების შესახებ არსებული როგორც აღმოსავლური წყაროების თურქულ თარგმანებს სათანადო მეცნიერული კომენტარებითა და გამოკვლევებით, ისე ცალკეულ მონოგრაფიებს, სტატიებს. 1971 წ. თურქეთის საისტორიო საზოგადოებამ აღნიშნა მანასკერტთან სელჩუკთა გამარჯვების 900 წლისთავი და ამ თარიღს (1071 წ. 25 აგვისტო) მიუძღვნა სპეციალური საერთაშორისო კონგრესი. ამასთან დაკავშირებით გამოქვეყნდა საინტერესო კრებულები, მონოგრაფიები, რომლებშიც ნაჩვენებია მანასკერტის ბრძოლის ისტორიული მნიშვნელობა მცირე აზიაში სელჩუკთა სახელმწიფოს შექმნა-ჩამოყალიბების საქმეში.

მანასკერტის ბრძოლის შემდეგ ჩაეყარა საფუძველი მცირე აზიის სელჩუკთა სახელმწიფოს, რომელმაც სხვა სელჩუკურ პოლიტიკურ წარმონაქმნებს შორის ყველაზე მეტ ხანს იარსება და რომელსაც მჭიდრო პოლიტიკური და ეკონომიური ურთიერთობა ჰქონდა საქართველოსთან მთელი XII—XIII სს. მანძილზე.

თანამედროვე თურქი ისტორიკოსები მცირე აზიის სელჩუკთა სახელმწიფოს ისტორიის წერისას გვერდს ვერ უვლიან საქართველოსთან ურთიერთობის საკითხებს. აქვე საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ ამ ურთიერთობის ისტორიის შესასწავლად აღმოსავლურ წყაროებთან ერთად განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ქართულ დოკუმენტურ და ნარატიულ წყაროებს, რომელთა მონაცემებს თურქი მეცნიერები არ იცნობენ. ამ შემთხვევაში გამონაკლისს წარმოადგენს ოსმან თურანი, რომელიც თავის მონოგრაფიაში „ქართლის ცხოვრების“ მონაცემებსაც იყენებს.

პროფ. ო. თურანის გამოკვლევაა „თურქეთი სელჩუკთა ხანაში“, თანამედროვე თურქულ ისტორიოგრაფიაში პირველი სერიოზული მონოგრაფიაა მცირე აზიის სელჩუკთა სახელმწიფოს ისტორიის შესახებ. ამ საკითხზე არაერთი სპეციალური გამოკვლევა დაწერილა, როგორც თურქეთში, ისე მის ფარგლებს გარეთაც, მაგრამ ოსმან თურანის მონოგრაფიას დღემდე სხვადასხვა ენებზე არსებულ გამოკვლევებს შორის განსაკუთრებული ადგილი უჭირავს, როგორც საკითხების დაყენების, ასევე წყაროთმცოდნეობითი ბაზის თვალსაზრისითაც. პროფ. ო. თურანი დიდი ხანია ინტენსიურად მუშაობს საერთოდ სელჩუკთა ცალკეული პოლიტიკური ერთეულების ისტორიის საკითხებზე. იგი არაერთი მონოგრაფიის ავტორია სელჩუკთა სახელმწიფოების ისტორიის შესახებ. მას ბევრი საინტერესო პირველწყაროა და საყურადღებო წერილი აქვს გამოქვეყნებული XI—XIII სს. მცირე აზიისა და მახლობელი აღმოსავლეთის ცალკეული პოლიტიკური წარმონაქმნების მთელ რიგ საინტერესო საკითხებზე.

სარეცენზიო ნაშრომი შედგება შესავლისა და თოთხმეტი თავისაგან; თითოეულ თავში ცალ-ცალკეა გამოყოფილი ქვეთავები. ვრცელი ზოგადი შესავლის შემდეგ ავტორი პირველ თავში განიხილავს თურქთა დიდ გადასახლებებს და ანატოლიის გათურქების საკითხს. კერძოდ, ავტორი ყურადღებას ამახვილებს თურქთა განსახლებების დასაწყის პერიოდზე; ამ მუჰაჯირობის ხანაში ოღუზების შინაგან ვითარებაზე, პირველი სელჩუკი სულთნების პერიოდში მუჰაჯირობაზე, სელჩუკების ურთიერთობაზე ყარახანიანებსა და ღაზნელებთან. აღგილობრივი ტომების შევიწროების შედეგად სელჩუკები იძულებული ხდებიან ანატოლიისკენაც ეძებონ „თავისუფალი ადგილები“. საძოვრებისა და ტერიტორიების გარეშე დარჩენილი სელჩუკები ბიზანტიისა და კავკასიისაკენ მიემართებიან. ოსმან თურანი ძალიან მოკლედ განიხილავს სელჩუკთა ძალების მოქმედებას ბიზანტიისა და ამიერკავკასიის ტერიტორიაზე, თოღრულ-ბეგის, ალფ-არსლანისა და მელიქ-შაჰის საქმიანობას. ასევე მოკლედ მიმოიხილავს ანატოლიაში თურქული ეთნიკური ელემენტის მომრავლების საკითხს XI ს-ის 70-იან წლებში, განხილული აქვს ბიზანტიასთან სელჩუკების ურთიერთობის საკითხი, მანასკერტის ბრძოლა და სხვ.

მანასკერტთან სელჩუკების გამარჯვების შედეგებსა და მნიშვნელობაზე შედარებით ვრცლად ჩერდება ავტორი. მანასკერტის ბრძოლამ და მისმა შედეგებმა უდიდესი ისტორიული როლი ითამაშეს სელჩუკების ისტორიაში. ამ ბრძოლის შემდეგ, დაიწყო ე. წ. თურქიზაცია ბიზანტიის ტერიტორიებისა. ალფ-არსლანმა ამ ბრძოლის მოგებით ფაქტიურად საფუძველი დაუდო თურქულ სახელმწიფოს. დაიწყო თურქული ტომების მასიური ჩამოსახლება მცირე აზიაში. იმის საილუსტრაციოდ თუ როგორ სისტემატურად და სწრაფად ხდებოდა ამიერკავკასიისა და მცირე აზიის ტერიტორიების დაკავება სელჩუკების მიერ, ავტორი იმოწმებს ქართულ წყაროებს: „მატიანე ქართლისაჲ"-ს და დავითის ისტორიკოსის თხზულებას, ბროსესეული თარგმანით (გვ. 38—39).

ოსმან თურანი აქვე მაღალ შეფასებას აძლევს ქართული წყაროების მონაცემებს სელჩუკების სოციალ-ეკონომიური მდგომარეობის დასახასიათებლად და, კერძოდ, XI ს-ის 80-იან წლებში ამიერკავკასიაში თურქების ჩამოსახლების შედეგად შექმნილი ვითარების წარმოსადგენად.

აღმოსავლური წყაროების ცნობებთან ერთად იგი უხვად იყენებს ქართული წყაროების მონაცემებსაც.

მეორე თავში ავტორი განიხილავს „თურქეთის სელჩუკთა სახელმწიფოს დაფუძნების საკითხს" (1075—1086). ამ თავში ძირითადად ხაზგასმულია სულეიმანშაჰის საქმიანობასა და მის როლზე მცირე აზიის სელჩუკთა სახელმწიფოს ჩამოყალიბების საქმეში. საუბარია სულეიმანშაჰის ისტორიის სარბიელზე გამოჩენაზე, ანატოლიის მდგომარეობაზე სულეიმანშაჰის მოსვლის პერიოდში, სულეიმანშაჰის დაპყრობებზე ანატოლიაში და მის მბრძანებლობაზე.

1075 წ. სულეიმანშაჰმა საფუძველი დაუდო მცირე აზიის სელჩუკთა სახელმწიფოს. ავტორი ვრცლად მიმოიხილავს სულეიმანშაჰის საქმიანობას, მის ურთიერთობას ბიზანტიისთან, კილიკიის სომხეთთან, მის მიერ ანტიოქიის დაპყრობას და საერთოდ სულეიმანშაჰის მოღვაწეობასა და როლს სახელმწიფოს ჩამოყალიბების საქმეში.

სულეიმანშაჰის გარდაცვალების შემდეგ ხელისუფლების სათავეში იდგა აბულ-ყასემი, რომელსაც ცენტრი იზნიკში ჰქონდა. იგი განმგებლობდა 1086—1092 წლებში. სულეიმანშაჰის გარდაცვალების შემდეგ ანატოლიაში წარმოიქმნა რამდენიმე დამოუკიდებელი პოლიტიკური ერთეული. ერთ-ერთი ასეთი წარმონაქმნი იყო ჩაქას მიერ იზმირში შექმნილი სამთავრო. ჩაქას შესახებ ვრცლად მოგვითხრობს ავტორი. გვიყვება ჩაქას მიერ ჩატარებულ ღონისძიებებზე, როგორც ბიზანტიის, ასევე ყილიჩ-არსლანის წინააღმდეგაც.

ყილიჩ-არსლანმა (1092—1107) ფაქტიურად აღადგინა სულეიმანშაჰის მიერ შექმნილი სახელმწიფო და განაგრძო ბიზანტიის წინააღმდეგ თავდასხმები. ყილიჩ-არსლანს მოუხდა პირველ ჯვაროსნებთან შეტაკება. ავტორი ფართოდ განიხილავს ჯვაროსნებთან მცირე აზიის სელჩუკების ბრძოლებს.

XI ს-ის უკანასკნელ მეოთხედში მცირე აზია მოფენილი იყო მთელი რიგი დამოუკიდებელი პოლიტიკური ერთეულებით. ქვეყნის ფეოდალიზაციის შედეგად განსაკუთრებით გაძლიერდა დამოუკიდებლობისაკენ სწრაფვის ტენდენციები. ერთ-ერთი ასეთი დამოუკიდებელი პოლიტიკური ერთეული იყო დანიშმენდიანთა სახელმწიფო, რომელსაც საფუძველი ჩაეყარა 1086—1104 წლებში. ო. თურანი საგანგებოდ ჩერდება დანიშმენდიანთა დინასტიის წარმომავლობაზე, ქვეყნის სახელმწიფო საზღვრებზე, სელჩუკებთან ურთიერთობაზე და სხვ. საკითხებზე. აქვე მოაქვს ვრცელი ამონაწერი ქართული წყაროებიდან იმის შესახებ თუ როგორ შეებრძოლა XI ს-ის 80-იან წლებში დანიშმენდი ამირა აჰმედი მეფე გიორგი II, როგორ დაამარცხა იგი და უკან დაბრუნებული გზად როგორ შეეყარა ორ თურქმენ ამირს: იასის (იგი აიაზს უწოდებს) და ბუეღობს (მენგუჯიკს?) და ურჩია საქართველოში გაელაშქრა (გვ. 115—117).

ოსმან თურანი როდესაც დანიშმენდიანთა საქმიანობაზე საუბრობს, ძირითად წყაროდ დანიშმენდ-ნამეს იყენებს. ავტორი საგანგებოდ ჩერდება გუმუშ-თექინ დანიშმენდის დაპყრობებზე, დანიშმენდიანთა ბრძოლებზე ჯვაროსნებთან, ყილიჩ-არსლანსა და გუმუშ-თექინს შორის არსებულ წინააღმდეგობებზე. დანიშმენდიანებსა და სელჩუკებს მჭიდრო პოლიტიკური ურთიერთობა ჰქონდათ, ისინი მცირე აზიის ტერიტორიებს ეცილებოდნენ ერთმანეთს. განსაკუთრებით მჭიდრო კონტაქტები არსებობდა მათ შორის სულთან მასუდის დროს (1116—1155). ამ დროს სელჩუკები საკმაოდ მომაგრდნენ შუა ანატოლიაში.

XII ს-ის I ნახევარში პოლიტიკური სიძლიერე დანიშმენდიანთა ხელში გადადის. მიუხედავად ამისა სელჩუკები მაინც მნიშვნელოვან წარმატებებს აღწევენ ბიზანტიელების წინააღმდეგ ბრძოლაში. მალე სელჩუკები პოლიტიკურ ძლიერებას ისევ იბრუნებენ და როგორც დანიშმენდიანთა, ასევე ბიზანტიელების წინააღმდეგ წარმატებით ეწევიან ბრძოლებს. სულთან მასუდის სიძლიერის აღიარება იყო

მის მიერ 1146—1147 წწ. კონიისა და ესქიშეჰირის დაპყრობა, ასევე მის მიერ წარმატებით ჩატარებული სამხედრო ექსპედიციები ჯვაროსნებისა და დანიშმენდიანთა წინააღმდეგ.

სულთან მასუდი ყილიჩ-არსლან II შეცვალა (1155—1192). მის დროს სელჩუკებმა საბოლოოდ გაანადგურეს დანიშმენდიანთა დინასტია, ამავე დროს წარმატებით განაგრძეს დაპყრობითი ომები ბიზანტიის წინააღმდეგ. ამ დროს მოხდა უდიდესი ბრძოლა მირიოკეფალიასთან 1177 წ. ამ ბრძოლის შედეგებს უდიდესი ისტორიული მნიშვნელობა ჰქონდა სელჩუკების შემდგომი წარმატებებისათვის. მას მანასკერტის ბრძოლის შემდეგ არანაკლები უარყოფითი შედეგები მოჰყვა ბიზანტიისა და სხვა ქრისტიანული ქვეყნებისათვის. ამ ბრძოლაში გამარჯვებით სელჩუკებმა საბოლოოდ მოახერხეს მცირე აზიაში დამკვიდრება და ქრისტიანული სახელმწიფოების გვერდით გაბატონება. სელჩუკებს სულ უფრო და უფრო ემატებოდათ ახალი ძალები შუა აზიიდან თურქმანთა მომთაბარეების სახით. თურქმანთა ერთი ასეთი მოძალება მცირე აზიისა და ამიერკავკასიის მიმართულებით XII ს-ის 80-იან წლებში ვინმე. რუსთემის მეთაურობით ცნობილია ქართული წყაროებითაც. თურქმანთა ძალების სისტემატური ჩამოსახლებისა და მათი გაუკითხავი საქმიანობის საილუსტრაციოდ ო. თურანს სწორედ ქართული წყაროს ეს ცნობა მოაქვს (გვ. 216).

ყილიჩ-არსლან II გარდაცვალების შემდეგ ქვეყანა დაიშალა ფეოდალურ ერთეულებად. მის მრავალრიცხოვან შვილებს შორის განაწილდა მთელი სასულთნო. ამას ზედ დაერთო ჯვაროსანთა III ლაშქრობა, რამაც ერთიანად შეარყია ქვეყნის პოლიტიკური მდგომარეობა. დაიწყო დაუნდობელი ბრძოლები ძმებს შორის ტახტის დასაკავებლად. იგი დამთავრდა სულეიმანშაჰ II გამარჯვებით, რომელმაც დაიკავა მამისეული ტახტი (1196—1204). ავტორი დაწვრილებით გადმოგვცემს სულეიმანშაჰის მიერ ჩატარებულ ღონისძიებებს.

ო. თურანი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს სალთუკიანთა დინასტიის ურთიერთობას სულეიმანშაჰთან. აღნიშნავს სალთუკიანთა ცენტრის — არზრუმის დიდ სავაჭრო-ეკონომიურ მნიშვნელობას, ქართველების დამოკიდებულებას და პრეტენზიებს ამ მდიდარი ქალაქის მიმართ. ავტორი მიუთითებს, რომ ქართველებმა ხლათამდე და არზრუმამდე ილაშქრეს, არზრუმი დაიკავეს და „ეს მდგომარეობა სულეიმანშაჰს აიძულებდა არზრუმისა და საქართველოს წინააღმდეგ გაელაშქრა და სელჩუკთა სამყაროსათვის მშვიდობიანობა მოეტანა“ (გვ. 253). მაშასადამე, ჩანს, რომ ო. თურანი სულეიმანშაჰის საქართველოში გალაშქრების მიზეზად ქართველთა მიერ არზრუმის დაკავებას მიიჩნევს. რა თქმა უნდა, სელჩუკი სულთანი ვერ შეურიგდებოდა ქართველების მიერ არზრუმის დაკავებას, მაგრამ მარტო ეს არ იყო სელჩუკთა ძალების საქართველოს წინააღმდეგ გამოლაშქრების მიზეზი. ნამდვილი მიზეზი თამარის საგარეო პოლიტიკასა და მისი პოლიტიკის წარმატებაშია საძიებელი.

ო. თურანი ვრცლად აღწერს სულეიმანშაჰის სამზადისს საქართველოს წინააღმდეგ. მისი სიტყვით, სულთანი ჰარფუთში ლაშქრობის შემდეგ ერზინჯანში (ქართული წყაროების მიხედვით — სივასში) მივიდა და დიდი სამზადისი დაიწყო. ისეთი ძალა, რომელსაც შეეძლო ქართველთა მიერ დიდი ხნის განმავლობაში წარმოებული გამანადგურებელი ბრძოლებისათვის ბოლო მოეღო და დაესაჯა, თურქ მბრძანებლებს შორის არავინ იყო რუქნ ად-დინ სულეიმანშაჰის გარდა. მისი სიტყვით, როდესაც არზრუმის გამგებელი არ ეახლა სულთანს, მან სასწრაფოდ გაილაშქრა მის წინააღმდეგ, ბოლო მოუღო სალთუკიანთა დინასტიას, იგი თავის ძმას — მალათიის განმგებელ მელიქ მოღის ად-დინ თოღრულშაჰს გადასცა. ეს უკანასკნელი კი ქვეყანას ქართველთა შემოტევებისაგან იცავდა ალა ად-დინ ქეიყობადის დრომდეო (გვ. 253).

ამრიგად, ასკვნის ავტორი, 1202 წ. სელჩუკებმა არზრუმის აღებით სალთუკთა ქვეყანა შემოიერთეს და საქართველოს საზღვარზე გადასასვლელად მზად იმყოფებოდნენ.

ოსმან თურანი ბასიანის ბრძოლის თარიღად 1202 წ. მიიჩნევს. იგი ცალკე სათაურად გამოყოფს საკითხს: „საქართველოში ლაშქრობა 1202 წ.“ ჩვენს ისტორიოგრაფიაში ბოლო დრომდე წარმოებს კამათი ამ ბრძოლის თარიღის გამო. ოსმან თურანი სრულებით არ იცნობს ამ საკითხთან დაკავშირებით ჩვენში გამოთქმულ მოსაზრებებს. მუნეჯიმ-ბაშისა და მის მიერვე გამოქვეყნებული ისტორიული ქრონიკების მონაცემების საფუძველზე იგი ბასიანის ბრძოლას 1202 წლით ათარიღებს.

ო. თურანი საგანგებოდ ჩერდება ბასიანის ომზე (გვ. 254—259), ვრცლად მოაქვს ამ ომის მიზეზები როგორც ქართული წყაროდან, ასევე იბნ ბიბისა და ქერიმ ად-დინ აყსარაის თხზულებებიდანაც. ო. თურანი ამ შემთხვევაშიაც ქართული წყაროს მონაცემებს დიდ ანგარიშს უწევს, იგი ვრცლად გადმოსცემს „ქართლის ცხოვრებაში“ აღწერილ ამბებს ბასიანის ბრძოლის შესახებ.

ნაშრომის მერვე თავში ოსმან თურანი განიხილავს 1205—1220 წწ. სელჩუკთა სახელ-

მწიფოს პოლიტიკური განმტკიცებისა და ეკონომიური განვითარების საკითხებს. არაბული და სირიული წყაროების ანალიზის საფუძველზე იძლევა სელჩუკებისა და ქართველების ურთიერთობის ცალკეულ მომენტებს XIII ს-ის დასაწყისში. იგი ორიოდე სიტყვით ჩერდება თამარ მეფის ინიციატივით წარმოქმნილი ტრაპიზონის საკეისროზე (გვ. 278).

XIII ს-ის I მეოთხედში სელჩუკებმა მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს როგორც შავი ზღვის, ასევე ხმელთაშუა ზღვის აუზებში, დაიპყრეს ანტალია; ანტალიის დაპყრობას სელჩუკებისათვის უდიდესი ეკონომიური მნიშვნელობა ჰქონდა. მათ საშუალება ეძლეოდათ პირველად გასულიყვნენ ზღვაზე და სავაჭრო-ეკონომიური კონტაქტები დაემყარებინათ ვენეცია-გენუასა და ევროპის სხვა ქვეყნებთან. ასევე არანაკლები ეკონომიური მნიშვნელობა ჰქონდა სელჩუკებისათვის სინოპის დაპყრობასა და შავი ზღვისაკენ გასასვლელის პოვნას. ოსმან თურანი საგანგებოდ უსვამს ხაზს 1214 წ. სელჩუკთა მიერ სინოპის დაპყრობას და აქედან გამომდინარე ქვეყნის ეკონომიურ პოლიტიკას.

სელჩუკთა დაპყრობითი ომების წარმატების ხანა იყო ალა ად-დინ ქეიყობადის სულთნობის წლები (1220—1237). ოსმან თურანი დაწვრილებით გადმოგვცემს მის მიერ გატარებულ მრავალმხრივ ღონისძიებებს. კერძოდ, იგი ვრცლად ჩერდება ალა ად-დინის დროს (დაახლ. 1232 წ.) სამხრეთ საქართველოში მოწყობილ ლაშქრობაზე, რომელიც სრულიად უცნობია ქართულ ისტორიოგრაფიაში (ამ ლაშქრობას, რომელზეც მეტად საინტერესო და ვრცელ ცნობებს გვაწვდის იბნ ბიბი, ჩვენ სხვა დროს შევეხებით საგანგებოდ).

ეს ლაშქრობა კარგადაა ცნობილი თანამედროვე თურქულ ისტორიოგრაფიაში. ამ შემთხვევაში თურქი ისტორიკოსები ემყარებიან იბნ-ბიბის მეტად საინტერესო და ვრცელ ცნობებს 1232 წლისათვის სელჩუკების საქართველოში ლაშქრობის შესახებ.

მართლაც, თუ გავითვალისწინებთ XIII ს-ის 30-იანი წლების როგორც საქართველოს საგარეო პირობებსა და საერთოდ ამიერკავკასიაში შექმნილ პოლიტიკურ ვითარებას, ცხადი გახდება იბნ-ბიბის ცნობათა სისწორე. იბნ-ბიბის ცნობები კიდევ უფრო ავსებენ და აკონკრეტებენ ქართული წყაროების მონაცემებს სელჩუკებისა და საქართველოს ურთიერთობის ისტორიის საკითხებზე აღნიშნულ პერიოდში. ოსმან თურანი კი ამ ურთიერთობის შესახებ ვრცლად ჩერდება სარეცენზიო ნაშრომში. იგი ადრეც თავის სხვა მონოგრაფიებში[1] საგანგებოდ შეეხო აღნიშნულ საკითხს და საინტერესო მასალებიც მოიტანა. ოსმან თურანს სელჩუკთა ლაშქრის წარმატებანი სამხრეთ საქართველოში 1232 წლისათვის მიაჩნია. ალა ად-დინ ქეიყობადის მიერ ქართველებისადმი შურის ძიებად, ქართველთა მიერ ბასიანის ველზე სელჩუკი სულთნის რუქნ ად-დინ სულეიმან-შაჰისათვის მიყენებული სამარცხვინო დამარცხების საზღაურად[2].

საქართველოში ლაშქრობის შემდეგ ალა ად-დინ ქეიყობადმა ხლათი დალაშქრა, აიუბიელების წინააღმდეგ ბრძოლაში წარმატებებს მიაღწია. სიცოცხლის ბოლო წლებში მონღოლებთანაც ჰქონდა გარკვეული ურთიერთობა. გარდა სამხედრო ექსპედიციებისა და ახალ-ახალი ტერიტორიების შემოერთებისა ალა ად-დინ ქეიყობადი დიდ კულტურულ და აღმშენებლობით საქმიანობასაც ეწეოდა.

ნაშრომის მეათე თავში ოსმან თურანი ქეიხუსრევ II (1237—1246) მოღვაწეობას განიხილავს. მის დროს იწყება მონღოლთა შემოსევები მცირე აზიაში და ქვეყნის ეკონომიური და პოლიტიკური ძლიერების დაცემა-დაქვეითება.

ოსმან თურანი საგანგებოდ ჩერდება ქეიხუსრევ II რუსუდანის ქალიშვილ თამართან დაქორწინების საკითხზე. მისი სიტყვით, 1232 წ. როდესაც სელჩუკთა ლაშქარი საქართველოში შეიჭრა და ქართველთა მეფემ ზავი ითხოვა, რუსუდანი დათანხმდა თავისი ქალიშვილი თამარი მიეთხოვებინა ალა ად-დინ ქეიყობადის ვაჟის ყიას ად-დინ ქეიხუსრევისათვის, რომელიც მაშინ ერზინჯანის მელიქი იყო. (გვ. 414).

თამარ რუსუდანის ასულის ქორწინებისა და მისი საქმიანობის შესახებ სელჩუკთა სახელმწიფოში ფართოდაა საუბარი ნაშრომში. ოსმან თურანს ბევრი უცნობი წყაროს მონაცემები მოაქვს და ფართოდ მსჯელობს ამ საინტერესო საკითხებზე.

ალა ად-დინ ქეიყობადის გარდაცვალების შემდეგ სელჩუკთა სახელმწიფო კიდევ რამდენიმე წელიწადს ინარჩუნებდა ძლიერებას. ამ პერიოდში იწყება დიდი სოციალური მოძრაობანი ბაბა ისჰაკის მეთაურობით. მონღოლთა მოსალოდნელი შემოსევების წინ ბაბა ის-

---

[1] Türkiye Selçukluları Hakkında Resmi Vesikalar, Metin, Tercüme ve Araştırmalar Osman Turan, Ankara, 1958, გვ. 74—80; მისივე, Selçuklular Tarihi ve Türk-Islam Medeniyeti Ankara, 1965, გვ. 210—211.

[2] Osman Turan, Selçuklular Tarihi ve Türk-Islam Medeniyeti, Ankara 1965, გვ. 210.

ჰაკის მოძრაობამ მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი ქვეყნის დაცემა-დაქვეითებას.

ოსმან თურანი როდესაც ამ პერიოდის სელჩუკთა დაპყრობებს ეხება, ხშირად მიუთითებს ამ ლაშქრობებში ქართველთა მონაწილეობის შესახებაც. ნაშრომში ვრცლადაა საუბარი სელჩუკების წინააღმდეგ მონღოლთა გამოსვლის დროს მონღოლთა მხარეზე ქართველების მონაწილეობის შესახებ. 1242 წ. შემოდგომაზე ბაიჯუ ნოინი ქართველთა და სომეხთა ლაშქრით არზრუმს თავს დაესხა. შემდეგ გაიმართა ცნობილი ქოსე-დაღის ბრძოლა სელჩუკებსა და მონღოლებს შორის. ავტორი საგანგებოდ აღნიშნავს ქოსე-დაღთან ქართველთა ლაშქრის მონაწილეობას ორივე მხარეზე. მისი სიტყვით, სელჩუკთა მეწინავე ლაშქარში სხვა სელჩუკ მხედართმთავრებთან ერთად იყო ვინმე შალვას შვილი, ხოლო მონღოლთა მხარეზე კი — იბრძოდა გაგის გამგებელი — აღბუღა (გვ. 436).

ქოსე-დაღთან სელჩუკთა დამარცხების შემდეგ მონღოლები მთელ ანატოლიას დაეპატრონენ. ქვეყნის შიგნით მიმდინარე სოციალური მოძრაობებისა და მონღოლთა შემოსევების შედეგად ქვეყანა კატასტროფის წინაშე აღმოჩნდა. სელჩუკმა სულთნებმა ფაქტიურად დაკარგეს ძალაუფლება, ქვეყნის ნამდვილი ბატონ-პატრონები მონღოლები გახდნენ.

ოსმან თურანი ნაშრომის XI თავში აღწერს 1246—1262 წწ. სელჩუკთა ბრძოლებს მონღოლთა წინააღმდეგ, ქვეყნის მძიმე ეკონომიურ და პოლიტიკურ მდგომარეობას, მონღოლთა პოლიტიკას ქვეყნის დანაწილებისა და ბატონობის საქმეში, სასულთნო ტახტისათვის სელჩუკი სულთნების ბრძოლას და სხვ.

შემდეგ, ნაშრომში საგანგებოდაა განხილული ე. წ. მუინ ად-დინ ფარვანეს ხანა (1262—1277). ამ პერიოდში ადგილი ჰქონდა თურქმანთა ახალი ტალღების მოძალებას შუა აზიიდან მცირე აზიისაკენ. განხილულია თურქმანთა ბრძოლები და საბეგოების წარმოშობის საკითხი. თურქმანთა მოზღვავებულ ტალღებს ადგილობრივი ხელისუფლება საქართველოს, ტრაპიზონისა და სინოპისაკენ ერეკებოდა და ამით თავიდან იშორებდა მათ. ავტორი რაშიდ ად-დინის ცნობაზე დაყრდნობით მიუთითებს ამიერკავკასიაში თურქმანთა მასიური შემოსევების შესახებ. ნაშრომში მოტანილია ადგილები ჟამთააღმწერელიდან და ხაზგასმულია, რომ ქართული წყარო მუინ ად-დინ ფარვანეს სულთანს უწოდებს (გვ. 523). მართლაც, მუინ ად-დინ ფარვანემ 15 წელი განაგო ერთპიროვნულად სახელმწიფო, მან მონღოლთა დიდი ნდობა დაიმსახურა. ბოლოს იგი მონღოლთა წინააღმდეგ შეთქმულების მსხვერპლი გახდა.

ფარვანეს შემდეგ 1277—1292 წლებში მონღოლებმა უფრო განამტკიცეს თავიანთი ბატონობა. ოსმან თურანი მონღოლების მიერ მცირე აზიასა და მახლობელ აღმოსავლეთში ჩატარებული ღონისძიებების გადმოცემასთან ერთად მიუთითებს ეგვიპტის ლაშქრობაში ქართველთა მეფე დიმიტრისა და სომეხთა მეფე ლეონის მონღოლთა მხარეზე გამოსვლის შესახებ (გვ. 575). მცირე აზიის სელჩუკთა სახელმწიფოს დაცემისა და გადაშენების პერიოდია 1292—1318 წლები. ოსმან თურანი საგანგებოდ განიხილავს ამ პერიოდის მცირე აზიის ეკონომიურ და პოლიტიკურ მდგომარეობას.

ნაშრომს დართული აქვს ქრონოლოგიური ცხრილი, სადაც საქართველოს ისტორიის თვალსაზრისით არაერთი საინტერესო თარიღია მოტანილი. ასევე ნაშრომს ერთვის წყაროებისა და ლიტერატურის ვრცელი სია, ინდექსი, მცირე აზიის სელჩუკი სულთნების სია და მათი გენეალოგიური ნუსხა.

ოსმან თურანის მონოგრაფია მცირე აზიის სელჩუკების ისტორიის შესახებ თურქოლოგიის მნიშვნელოვანი შენაძენია; მასში ავტორი ფართოდ განიხილავს მცირე აზიის სელჩუკების საქმიანობას, მათს ურთიერთობას საქართველოსა და ამიერკავკასიის ქვეყნებთან, რაც ჩვენთვის მეტად საყურადღებოა. საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ ო. თურანს სელჩუკებისა და საქართველოს ურთიერთობის ისტორიის საკითხების შესწავლისას ხელთ ჰქონია მდიდარი საარქივო დოკუმენტური მასალა და გამოუქვეყნებელი აღმოსავლური ნარატიული წყაროები, რაც ნაშრომს დიდ ღირსებას ანიჭებს. მაგრამ ამ ურთიერთობის საკითხების კელევისას ავტორის მსჯელობები ძაინც ბუნდოვანია, მისი ცოდნის არე საქართველოს ისტორიის საკითხებისა საკმაოდ შეზღუდულია. ეს ბუნებრივიცაა. მისთვის სრულებით უცნობია თანამედროვე ქართული ისტორიოგრაფიის მიღწევები. იგი ცალმხრივად, მცირე აზიის სელჩუკების ისტორიის პოზიციებიდან აშუქებს ამ ურთიერთობას.

ნოდარ შენგელია

რკინის წარმოების ძველკოლხური ცენტრის არქეოლოგიური გათხრები მდ. ჩოლოქის ხეობაში 1971 წელს

(რკინის სადნობი სახელოსნო „ცეცხლაური II")

1971 წლის ივლის-აგვისტოში ბათუმის არ-ეოლოგიური ექსპედიციის ერთ-ერთი რაზ-მი[1] აგრძელებდა რკინის წარმოების იმ უძველესი ცენტრის ობიექტთა არქეოლოგიურ შესწავლას, რომლებიც გამოვლენილია მდ. ჩოლოქისა და მისი შენაკადების ზემო წელზე. ეერძოდ, გაგრძელდა შესწავლა რკინის სადნობი სახელოსნოების იმ ჯგუფისა, რომელიც განლაგებულია ცეცხლაურის საბჭოთა მეურნეობის ტერიტორიაზე (ქობულეთის რაიონი). ამ ჯგუფის ერთი სახელოსნო ჩვენ შევისწავლეთ 1970 წელს. იგი ლიტერატურაში შევიდა „ცეცხლაური I-ის" სახელწოდებით[2].

რკინის სადნობი სახელოსნო „ცეცხლაური II" დაცულია „ცეცხლაური I"-ის ჩრდილოეთით, დაახლოებით 1 კილომეტრზე, მეზობელ მცირე ხევში, რომელიც, ასევე, საფაცრიას სახელს ატარებს („ცეცხლაური I-იც" საფაცრიას პირველ ხევში იყო გამოვლენილი. საფაცრიას ორივე ხეე, რომლებიც ოდნავ ქვემოთ ერთდებიან, ეკუთვნის მდ. ოჩხამურის ,ჰიდროსისტემას. ოჩხამური კი მდ. ჩოლოქს ,ფიშენარის ანტიკური ნაქალაქარის ტერიტორიაზე ,ერთდება. არის ნიშნები ვიფიქროთ, რომ ეს ორი მდინარე ძვ. წ. V—IV ათასწლეულებში უშუალოდ, ცალ-ცალკე უერთდებოდა ზღვას).

საფაცრია II-ის მარცხენა კიდესთან, საბჭოთა მეურნეობის ჩაის პლანტაციაში (IV რაიონი, მე-17 ბრიგადა) შეინიშნება ოდნავ გამოყოფილი ბორცვი, რომელზეც ჩაის პლანტაციის გაშენება ვერ მოუხერხებიათ იმის გამო, რომ რკინის წიდების ფენა აქ ხელს უშლიდა მცენარეული საფარის შექმნას (სურ. 1). ეს განსაკუთრებით შეეხება რკინის სადნობი სახელოსნოს იმ უბანს, სადაც წარმოების გადანაყარი გროვდებოდა (სურ. 2). 2600—3000 წლის განმავლობაში ბუნებასა და ადამიანს, მიუხედავად განუწყვეტელი მცდელობისა, არ მოუხერხდათ რკინის სადნობი სახელოსნოების ტერიტორიაზე მცენარეული საფარი შეექმნათ. საყურადღებო და ანგარიშგასაწევია ის ფაქტი, რომ ასეთი სურათი დასტურდება არა მარტო ჩოლოქ-ოჩხამურის აუზში, არამედ ჭოროხის, სუფსა-გუბაზოულისა თუ ხობ-ოჩხომურის ხეობებში. ასეთივე სურათს ადასტურებს XIX—XX სს. ზოგიერთი მოგზაური თურქეთის ლაზისტანის მთისწინა და მთის ზოლში[3]. ის გარემოება, რომ რკინის სადნობი სახელოსნოების ნანგრევები დაფარული არ არის მცენარეული საფარით, ადასტურებს მათ მიგნებასა-ამოველენას და აიაფებს მიწის სამუშაოებს, აგრეთვე, იცავს ძეგლს იმგვარი დაზიანებისაგან, როგორიც მას შეიძლება მცენარეულმა საფარმა (ფესვების სისტემამ) მიაყენოს.

ბორცვის ჩრდილო და ჩრდილო-დასავლეთი ფერდობები მოფენილი იყო რკინის წიდისა და რკინის სადნობი ქურის შელესილობის სხვადასხვა ზომისა და ფორმის ნამტვრევებით. იქ, სადაც წიდების შრე საგრძნობლად შეთხელებულა, განვითარებულა ეკალ-ბარდისა და გვიმრის საფარველი.

იმ ზოლის ნიადაგები, სადაც განლაგებულია რკინის სადნობი სახელოსნოების ცეცხლაურის ჯგუფი, წარმოდგენილია ღია ყვითელი ფერის დელუვიური თიხებით, რომლებიც ძლიერი ტემპერატურის ზემოქმედებისას წითელ შეფერადებას ღებულობენ.

პირველი შრის აღებისა და ქურების განლაგების სავარაუდო უბნის ჩაის ბუჩქებისაგან განთავისუფლების შემდეგ, თხრილის საერთო ფართობმა 400 მ² შეადგინა (სურ. 3). პირველი შრის აღება, ბუნებრივია, ჩატარდა ბორცვის ზედა ნაწილში, ე. ი. იმ უბანზე, სა-

[1] რაზმის შემადგენლობა: დ. ხახუტაიშვილი (რაზმის უფროსი), ს. გოგიტიძე, ა. ჯაველიძე (მხატვარ-არქიტექტორი), თ. ინაიშვილი (მძღოლი).

[2] Д. А. Хахутайшвили, А. К. Инайшвили, Археологические раскопки Чолокского очага древнежелезной металлургии в 1970 г. Тезисы докладов, посвященных итогам полевых археологических исследований в 1970 году в СССР (археологическая секция), Тб., 1971, გვ. 92—94.

[3] Г. Деилор, Путешествие в Лазистан и Армении, Тб., 1871, გვ. 18—26.

დაც ქურის (ქურების) არსებობა ივარაუდებოდა. თხრილის ამ მონაკვეთზე არ გვხვდებოდა წიდები და მუშაობის დაწყებამდე, როგორც აღვნიშნეთ, იგი ჩაის ბუჩქებით იყო დაფარული. ამ შრეს საყურადღებო არაფერი მოუცია, გარდა იმისა, რომ თხრილის SO კუთხეში აღმოჩნდა ხანძარგამოვლილი რამდენიმე ქვა, როგორც ჩანს, ქურის ნანგრევები.

ბორცვის ზურგზე, თხრილის SO ნაწილში, მეორე შრის აღებისას, მიწის პირიდან 30—35 სმ სიღრმეზე, შეინიშნებოდა ხანძრისაგან შეფერადებული ლაქები, ხოლო SW უბანზე გადანაყარის ზედა ზღვართან გამოჩნდა ცეცხლგამძლე თიხის მარაგი. როგორც ჩანს, ცეცხლგამძლე თიხის მარაგს ხელოსნები (მეტალურგები) ნაცრის ფენის ქვეშ ინახავდნენ.

თხრილის SO კუთხესთან, აღმოსავლეთ კიდის მახლობლად მივაგენით რკინის სადნობი ქურის კვალს. მისი პრეპარაცია მოვახდინეთ მხოლოდ მას შემდეგ, რაც გავთხარეთ და „გავცხრილეთ“ გადანაყარი.

გადანაყარი გავრცელებული იყო ბორცვის მთელ ფერდობზე. მისი სიღრმე 25—30 სმ შეადგენდა და შეიცავდა რკინის წიდას, რკინის სადნობი ქურის თიხის შელესილობისა და საბერველების შტვირების ნატეხებს, თიხის ჭურჭელთა ფრაგმენტებს, ნაცრისა და ნახშირის მინარევს, ნანგრევ ქვებს და ა. შ. გადანაყარის ქვეშ, თხრილის SW მონაკვეთში, დაახლოებით 24 მ² (8×3 მ) ფართობზე, დაცული აღმოჩნდა ცეცხლგამძლე თიხის მარაგი; ე. წ. „ცეცხლაურის თიხების“ საბადო წარმოდგენილია რკინის სადნობი სახელოსნოების განლაგების ზოლის მახლობლად, დაახლოებით 1 კილომეტრის დაშორებით[4].

რკინის წიდების ფრაგმენტებს სხვადასხვა ფორმა, მოცულობა და შედგენილობა აქვთ. ზოგიერთ ნიმუშს შემორჩენილი აქვს ქურის ბირის ნახევარსფერული ფორმა და შელესილობის ნაგლეჯები, რომელიც გამდნარ გაცივებულ მასას ქურიდან ამოღების დროს ამოყოლია. გათხრების დროს შეგროვებულ იქნა წიდის თითქმის მთელი ოდენობა, გარდა იმ წვრილი ნამტვრევებისა, რომლებიც „ცხრილმა“ გაატარა. სულ დაგროვდა 10 მ³ მასა (სურ. 4), რაც ქურისა და სახელოსნოს ხანგრძლივი მუშაობის დასტური უნდა იყოს.

რკინის სადნობი ქურის ცეცხლგამძლე შელესილობას მაღალი ტემპერატურის ზემოქმედების შედეგად ფერფლისფერი მიუღია. ზოგჯერ იგი გამდნარა კიდეც და საგრძნობი დეფორმაცია განუცდია. შელესილობის ფრაგმენტების ფართოდ გავრცელება და დიდი რაოდენობა საფუძველს იძლევა ვიფიქროთ, რომ ხდებოდა ქურის შელესილობის ყოველჯერადი განახლება (სულ შელესილობათა ნატეხები შეგროვებულ იქნა 3 მ³ მეტი, მაგრამ გარდა ამისა, შელესილობის კიდევ დიდი რაოდენობა, შედარებით წვრილი ფრაგმენტები, „ცხრილმა“ გაატარა). მხოლოდ ამგვარი წესის არსებობის პირობებში ჩანს გასაგები, თუ რატომ ცდილობდნენ ძველი მეტალურგები ასე დიდ ოდენობით ცეცხლგამძლე თიხის მარაგის შექმნას. იმ დროს, როცა „ცეცხლაურ II-ს მოქმედება შეუწყვეტია, სახელოსნოს „პატრონს“ გამოუყენებელი დარჩენია ცეცხლგამძლე თიხის მარაგი, რომლის მოცულობა დაახლოებით 7 მ³ შეადგენდა (8×3×0,3 მ.).

საბერველების შტვირები შედარებით მცირე რაოდენობით იყო აღმოჩენილი, მაგრამ სწორედ თიხის შტვირებია ერთ-ერთი დოკუმენტი იმის დასადასტურებლად, რომ ადრე რკინის ხანის ლითონსადნობ ქურებში საბერველები გამოიყენებოდა. ასევე შეიძლებოდა გაგვეხსენებია, რომ „ცეცხლაური I-ის“ გათხრების დროს დადასტურდა „სალამურის“ ფორმის (ნახვრეტებიანი) საქშენი შტვირების არსებობაც.

თიხის ჭურჭელთა ფრაგმენტები წარმოდგენილია ზოომორფული ყურებით, უქუსლო ძირებით, ფართო და ვიწრო კანელურებით შემკული ნაწარმის ფრაგმენტებით (სურ. 5, 6). ჭურჭელი ხასიათდება თანაბარი ლეგა, შავი ან მოწაბლისფრო კეცით, გაპრიალებით და დამზადებულია სუფთა, კარგად დამუშავებული თიხისაგან, რომელშიც წვრილი სილა ურევია.

კერამიკული მასალა, კერძოდ ჭურჭელი, ჯერჯერობით წარმოადგენს ერთადერთ მასალას ძველკოლხური რკინის საწარმოების ამ ჯგუფის დათარიღებისათვის. ყოველ შემთხვევაში იმ ჯგუფისათვის მაინც, რომელიც დღემდე იყო გამოვლენილი (სწორედ 1971 წ. მოხერხდა ნიმუშების აღება არქეომაგნიტური მეთოდით დათარიღებისათვის).

რკინის სადნობი ქურა (სურ. 7), კერძოდ, მისი მიწისქვეშა ნაწილი, კარგადაა გადარჩენილი. შიგა სივრცე ამოვსებული იყო წიდებით, ნანგრევი ქვებით და მუქად შეფერადებული თიხებით, რომელშიც ნახშირის წვრილი ნაწილაკები, ნაცარი და ქურის კედლების შელესილობა იყო შერეული. განსაკუთრებით საყურადღებო აღმოჩნდა ნანგრევი ქვები. საქმე ის არის, რომ ქურის მიწისქვეშა ნაწილის კედ-

[4] ამ რეგიონის ცეცხლგამძლე თიხების შესახებ იხ. Минеральные ресурсы ССР Грузии, Огнеупорные глины, Тифлис, 1933, გვ. 160—167.

სურ. 1. რკინისსადნობი სახელოსნო „ცეცხლაური II“ გათხრების დაწყებამდე. ხედი N მხრიდან.

სურ. 2. რკინისსადნობი სახელოსნო „ცეცხლაური II“ გათხრების დაწყებამდე. დეტალი.

სურ. 3. რკინისსადნობი სახელოსნო „ცეცხლაური II“ გათხრის შემდეგ. ხედი N მხრიდან.

სურ 4. რკინისსადნობი სახელოსნო „ცეცხლაური II“. გათხრების დროს შეგროვებული წიდა. წინა ხედში რკინისსადნობი ქურის მიწისქვეშა ნაწილი. ხედი NO მხრიდან.



სურ. 5. რკინისსადნობ სახელოსნო „ცეცხლაური II"-ის გათხრების პროცესში მოპოვებული კერამიკული ნაწარმი.



სურ. 6. რკინისსადნობ სახელოსნო „ცეცხლაური II"-ის გათხრების პროცესში მოპოვებული კერამიკული ნაწარმი.

არქ. ა. ჯაველიძე



სურ. 7. რკინისსადნობი სახელოსნო „ცეცხლაური II“. რკინისსადნობი ჭურის მიწისქვეშა ნაწილის ჭრილი და ზედახედი; 1. გრუნტი. 2. ჭურის მიწისქვეშა ნაწილის ქვის სარჩელი. 3 ჭურის შელესილობა.

არქ. ა. ჯავიოძე



სურ. 8. კანელურებიანი თიხის ჭურჭლების ნატეხები (რიგი ზემოდან): I რიგი — რკინისსადნობი სახელოსნო „ცეცხლაური I“. II რიგი — რკინისსადნობი სახელოსნო „ცეცხლაური II“. III რიგი — რკინისსადნობი სახელოსნო „ლეღვა I“. IV რიგი — ციხისძირის წინაანტიკური ნამოსახლარი (ჩვენს წელთაღრიცხვამდე IX ს-ის დამდეგი).

ლების მოპირკეთება ხელუხლებლად აღმოჩნდა დაცული. მაშასადამე, ქურის შიდა სივრცეში დადასტურებული ნახანძრალი ქვები გამოყენებული ყოფილა ქურის მიწისზედა ნაწილის ასაგებად. ამგვარად, „ცეცხლაური II-ის“ გათხრების დროს პირველად იქნა დადასტურებული, რომ რკინის სადნობ ქურებს გააჩნდათ მიწისზედა ნაწილი, რომელიც ისეთივე ქვებით იყო ნაგები, როგორითაც ქურის მიწისქვეშა ნაწილი იყო მოპირკეთებული. ქურის მიწისზედა ნაწილის ნანგრევი ქვების ოდენობის მიხედვით უნდა ვიფიქროთ, რომ ქურების მიწისზედა ნაწილის სიმაღლე არ აღემატებოდა 30—40 სმ-ს. ქურის ამგვარი კონსტრუქცია იმით უნდა ყოფილიყო განპირობებული, რომ რაც უფრო მაღალი იქნებოდა მიწისზედა ნაწილი, მით უფრო დიდი იქნებოდა სითბური დანაკარგი, რაც, ბუნებრივია, უარყოფით გავლენას მოახდენდა მადნის დნობის სიჩქარეზე, ხარისხზე და ლითონის გამოსავლიანობაზე.

ქურის NO კუთხესთან დადასტურდა მაღალი ტემპერატურის ზემოქმედებით წითლად მომწვარი თიხის წრიული ლაქა, რომელიც საბერვლების შტვირების ნაკვალევი ჩანს: დნობის პროცესში, 1250—1450°C ტემპერატურის დროს, ბუნებრივია, ძლიერ ხურდებოდა საბერვლის თიხის მილებიც, რომლებიც ქურის მიწისქვეშა ნაწილში იყო ჩაშვებული. მილების მეშვეობით ტემპერატურა გადაეცემოდა ქურის კედლებს გარეთაც, რისი ნაკვალევიცაა ზემოაღნიშნული ლაქა ქურის NO კუთხესთან.

1971 წლის განათხარის მიხედვით შესაძლებელი ხდება წარმოვიდგინოთ, თუ როგორი აღნაგობისა იყო რკინის სადნობი ქურა და როგორი იყო მისი მოქმედების პრინციპი.

ქურის გასამართავად თიხაში ამოკვეთდნენ ვეგმაში კვადრატის ფორმის ორმოს, რომლის ქვედა ნაწილში, იატაკიდან 30—40 სმ სიმაღლეზე, აკეთებდნენ 20—25 სმ სიგანის თაროს. თაროს ქმნიდა თავისებურ ლოგინს, რომელზეც ქურის მოსაპირკეთებელი ქვების ქვედა რიგი ლაგდებოდა. მოპირკეთების შემდეგ ქურა იღებდა წვეროზე მდგარი წაკვეთილი პირამიდის ფორმას, რომელიც ცეცხლგამძლე თიხის სქელი ფენით (1,5—2 სმ) შეილესებოდა. ამის შემდეგ ქურის ერთ-ერთ კუთხეში საბერვლების თიხის მილი ჩამაგრდებოდა, რომელიც ქურის გარეთ მიწის ზედაპირთან გადიოდა და მუხლს იკეთებდა. ამით მთავრდებოდა ქურის მიწისქვეშა ნაწილის საექსპლუატაციოდ მომზადება.

ქურის მიწისქვეშა ნაწილის ჩატვირთვის შემდეგ აგებდნენ ქურის მიწისზედა ნაწილს, რისთვისაც იყენებდნენ ფლეთილ ქვას და ცეცხლგამძლე თიხის ხსნარს. უნდა ვიფიქროთ, რომ ქურის მიწისზედა ნაწილს ნახევარსფეროს ფორმას აძლევდნენ, რომლის წვეროზე კვამლსადენ ხვრელს ტოვებდნენ. ალბათ, აქედანვე ხდებოდა ქურის მიწისზედა ნაწილის მადნითა და ნახშირის ფენით შევსება. გამორიცხული არ არის, რომ სითბური დანაკარგების თავიდან ასაცილებლად ქურის მიწისზედა ნაწილის ყოველჯერადი „შეფუთვაც“ ხდებოდა.

ქურის ამგვარი მომზადების შემდეგ, საბერვლის თიხის მილში ნაკვერცხლებს ჩაყრიდნენ და მას საბერველთა მკლავებს მიუერთებდნენ. ამგვარად ქურის სამუშაო რეჟიმიც იწყებოდა.

დნობის დამთავრების შემდეგ, გამლღვარ მასას მყარ მდგომარეობამდე აგრილებდნენ და ქურიდან იღებდნენ, რისთვისაც, ცხადია, აუცილებელი იყო ქურის მიწისზედა ნაწილის მოხსნა და სპეციალური სამარჯვების გამოყენება. ლითონისა და წიდის მასის ამოღების დროს, ძლიერ ზიანდებოდა ქურის, განსაკუთრებით მისი ქვედა ნაწილის, შელესილობა, რომელიც გამლღვარი მასით შეივსებოდა. ამისი მოწმობაა რკინის წიდის კვერებზე მიდუღებული შელესილობა, ასე დიდი რაოდენობით რომ დადასტურდა ყველა განათხარ სახელოსნოში.

ქურიდან ამოღებულ გავარვარებულ მასას იქვე, ქურის მახლობლად, მოედანზე ათავსებდნენ და სუფთა ლითონს ფუჭი ქანების შემცველი მასისაგან მექანიკურად აცალკევებდნენ. ამის შემდეგ ფორებიანი რკინის მასა საჭეპელაზე გადაჭრნდათ და იქ ამუშავებდნენ, რის შედეგადაც ლუგვი რკინა სამზედლო რკინის სახეს იღებდა.

რკინის სადნობ სახელოსნო „ცეცხლაურ II-ის“ დათარიღებისათვის ჩვენ განკარგულებაშია სახელოსნოს გათხრისას მოპოვებული თიხის ნაწარმი, კერძოდ, თიხის ჭურჭელთა ფრაგმენტები. მათ შორის მოცემულ ვითარებაში ყურადღებას იქცევს ზოომორფული ყურები (სურ. 5, 6) და კანელურებით შემკული ჭურჭლების ფრაგმენტები (სურ. 5).

„ცეცხლაური II-ის“ გათხრებისას მოპოვებული თიხის ჭურჭელი ანალოგიებს პოულობს ციხისძირის წინაანტიკური ხანის ნამოსახლარის მასალებში, რომელიც ძვ. წ. IX ს-ის დამდეგით თარიღდება, აგრეთვე, ნაოხვამუს ნამოსახლარის ზედა და დაბლაგომის ნამოსახლარის შუა ფენის მასალებში, რომელთაც ბ. ა. კუფტინი ძვ. წ. VIII—VII საუკუნეებით ათარიღებდა[5], ქობულეთ-ფიჭვნარის დიუნური და-

სახლების (ძვ. წ. VIII—VII სს.)[6], „ნამჭედურის“ ნამოსახლარის III და IV ფენების (ფიჭვნარი), ურეკის ნამოსახლარის[7] და რიგი სხვა ძეგლების მასალებში. მოცემულ შემთხვევაში ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა ის ფაქტი, რომ „ცეცხლაურ II-ის“ კერამიკული ნაწარმი ფორმით, კეცითა და თიხის შემადგენლობით სრულ იგივეობაშია მისგან ათიოდე კილომეტრზე დადასტურებულ ციხისძირის წინაანტიკური ხანის იმ ნამოსახლარის კერამიკასთან, რომელიც ძვ. წ. IX ს-ის დამდეგით თარიღდება (2830±60=ძვ. წ. 880 წელს)[8]. მართალია, ფორმალურ-ტიპოლოგიური შედარებების გზით ჩვენ თავდაპირველად რკინის სადნობ სახელოსნო „ცეცხლაურ II-ს“ ჯერ ძვ. წ. VIII—VII[9], შემდეგ ძვ. წ. VIII საუკუნით[10] ვათარიღებდით, მაგრამ არქეოლოგიური, არქეომაგნიტური[11] და რადიოკარბონული მონაცემების ახალი ურთიერთშეჯერების საფუძველზე ამ ძეგლის თარიღი კიდევ უფრო უნდა დავაზუსტოთ და იგი ძვ. წ. IX საუკუნით განვსაზღვროთ.

არქეოლოგიური მასალის, კერძოდ, კერამიკული ნაწარმის სრული თანხვედრა საფუძველს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ რკინის სადნობი სახელოსნოები „ცეცხლაური I“ და „ცეცხლაური II“ თანადროული ძეგლები (რაც არქეომაგნიტურმა მონაცემებმაც დაადასტურა). არქეომაგნიტური მონაცემებით, მათი თანადროული ჩანს რკინის სადნობი სახელოსნო „ჯიხანჯური I/1“ და რკინის სადნობი სახელოსნო „ჭოღა“ II“[12].

დავით ხახუტაიშვილი

ქართული ხელოვნების პირველი საერთაშორისო სიმპოზიუმი

ა. წ. 28—30 ივნისს ჩრდილოეთ იტალიის ქალაქ ბერგამოში მოეწყო ქართული ხელოვნების პირველი საერთაშორისო სიმპოზიუმი. მისი ორგანიზატორები იყვნენ მილანოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის არქიტექტურის ფაკულტეტთან არსებული კავკასიის არქიტექტურის შესწავლის ცენტრი, ტურინოს უნივერსიტეტის ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტი, ბერგამოს უნივერსიტეტი და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გ. ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტი.

სიმპოზიუმში მონაწილეობა მიიღეს რამდენიმე ქვეყნის წარმომადგენლებმა, მოხსენებებით გამოვიდნენ საბჭოთა კავშირის, იტალიის, საფრანგეთის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, უნგრეთისა და ინგლისის მეცნიერები.

საბჭოთა დელეგაცია წარმოდგენილი იყო ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის მეცნიერ თანამშრომელთა ჯგუფით, რომელსაც ხელმძღვანელობდა ინსტიტუტის დირექტორი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, პროფესორი ვ. ბერიძე.

სიმპოზიუმმა მუშაობა დაიწყო ბერგამოს უნივერსიტეტის შენობაში. იგი გახსნა ამ უნივერსიტეტის პროფესორმა ნინო ყაუხჩიშვილმა. სიმპოზიუმის მონაწილეებს მიესალმა ტურინოს უნივერსიტეტის პროფესორი, შუასაუკუნეების არქიტექტურის ცნობილი მკვლევარი პაოლო ვერძონე. მან საგანგებოდ აღნიშნა ქართული ხელოვნების მიღწევათა გათვალისწინების აუცილებლობა შუასაუკუნეების ევროპული ხელოვნების შესწავლისათვის და ხაზი გაუსვა მეცნიერთა ამ თავშეყრის უდიდეს მნიშვნელობას.

---

[5] Б. А. Куфтин, Материалы к археологии Колхиды, II, Тб., 1950, გვ. 113, 114, 193, ტაბ. 40_{20-21}, 56_{29-30}.

[6] А. Т. Рамишвили, Юго-восточное Причерноморье в эпоху поздней бронзы и раннего железа, Автореферат, Тб., 1971, გვ. 23.

[7] Н. В. Хоштария, Археологическое исследование Уреки, გვ. 41—42, ტაბ. IX.

[8] А. А. Семенцова, П. М. Долуханов, Е. Н. Романова, Радиоуглеродные даты лаборатории ЛОИА (1968—1969 гг.), СА, 1972, № 3, გვ. 214.

[9] დ. ხახუტაიშვილი, ძველკოლხური რკინის მეტალურგიის ცენტრის არქეოლოგიური გათხრა ჩოლოქის ხეობაში 1971 წელს. იხ. არქეოლოგიური კვლევა-ძიება საქართველოში 1971 წელს“, თბ., 1972, გვ. 31—32.

[10] დ. ხახუტაიშვილი, ადრე რკინის ხანის კოლხური რკინის მეტალურგიის ქრონოლოგიისათვის, იხ. „იე. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის XXII სამეცნიერო სესია“, თეზისები, თბ., 1973, გვ. 15-16.

[11] ზ. ჭელიძე, არქეოლოგიური ობიექტების არქეომაგნიტური მეთოდით გამოკვლევის შედეგები, იხ. „საველე არქეოლოგიური კვლევა-ძიება 1972 წელს (მოკლე ანგარიშები)“, თბ., 1973, გვ. 108.

[12] შდრ. ზ. ჭელიძე, მ. კვირიკაძე, კოლხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ გამოვლენილი სამი მატერიალური კულტურის ძეგლის არქეომაგნიტური გამოკვლევის შედეგები, იხ. „საველე არქეოლოგიური კვლევა-ძიება 1973 წელს (მოკლე ანგარიშები)“, თბ., 1974, გვ. 88—89.

სიმპოზიუმის მონაწილეებს მიესალმნენ პროფესორები კაჯანო (იტალია), ბერიძე (სსრკ), სენატორი სკალია.

ამავე დღეს ბერგამოში, ქალაქის საბჭოს ძველ შენობაში (პალაცო დელა რაჯიონე), საზეიმო ვითარებაში გაიხსნა შუასაუკუნეების ქართული არქიტექტურის გამოფენა. შუასაუკუნეების ხუროთმოძღვრულ ძეგლებთან ერთად აქ წარმოდგენილი იყო კედლის მხატვრობის, მინანქრების ბრწყინვალე ფოტოები, რომლებიც ნათელ წარმოდგენას იძლეოდნენ ქართველ ოსტატთა უზადო ხელოვნებაზე. გამოფენის მომწყობნი და ფოტოების ავტორები იყვნენ არქიტექტორები ენძო ჰიბში და ადრიანო ალპაგო ნოველო. გამოფენა წარმოადგენდა ამ იტალიელ მეცნიერთა რამდენიმე წლის ინტენსიური მუშაობის პირველ შედეგს საქართველოში, ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტთან მჭიდრო კავშირში.

გამოფენას უდიდესი რეზონანსი ჰქონდა. გადაწყდა მისი ჩვენება იტალიის მთელ რიგ ქალაქებში.

სიმპოზიუმთან დაკავშირებით მომზადდა და გამოქვეყნდა იტალიურ ენაზე აკად. გ. ჩუბინაშვილის ფუნდამენტური ნაშრომი „ჯვარის ტიპის ძეგლები", გამოიცა გამოფენის კატალოგი.

სიმპოზიუმის მუშაობა დაიწყო პროფ. ნინო ყაუხჩიშვილის მოხსენებით — „იტალია — საქართველოს კულტურულ ურთიერთობათა შესახებ". მომხსენებელმა ვრცლად ილაპარაკა ამ ურთიერთობათა უძველეს საწყისებზე, მოიყვანა საინტერესო ისტორიული მაგალითები იტალიელთა დაინტერესებისა საქართველოთი, მისი კულტურითა და ისტორიით. სწორედ ამ ტრადიციული კავშირ-ურთიერთობის თავისებური გაგრძელებაა იტალიელ და ქართველ მეცნიერთა დღევანდელი საქმიანი კონტაქტები, ქართული კულტურის შესწავლის ცენტრის შექმნა იტალიაში.

საქართველოსთან იტალიის ურთიერთობათა საკითხებს ეხებოდა, აგრეთვე, პროფ. ლუჩია სებასტიანის (იტალია) მოხსენება, რომელშიც განხილული იყო იტალიელ მისიონერთა მოღვაწეობა საქართველოში.

ქართული ხელოვნების შესწავლის დიდი ენთუზიასტი და კაკასიის არქიტექტურის შესწავლის ცენტრის შექმნის ერთ-ერთი ინიციატორი, მილანოს უნივერსიტეტის პროფესორი ადრიანო ალპაგო-ნოველო თავის მოხსენებაში შეეხო ქართული ხუროთმოძღვრების შესწავლის მნიშვნელობასა და პერსპექტივებს.

სიმპოზიუმის მონაწილეების განსაკუთრებული დაინტერესება გამოიწვია აკადემიკოს ვახტანგ ბერიძის მოხსენებამ „ქართული ხელოვნება და შუასაუკუნეების დასავლური კულტურა", რომელშიც ფართოდ იყო დასმული საკითხი ქართული ხელოვნების თავისთავადობის შესახებ და დასახული მისი კავშირი ევროპის შუასაუკუნეების ხელოვნებასთან.

ვახტანგ ბერიძის მეორე მოხსენებაში „X—XIII საუკუნეების ქართული გუმბათოვანი ხუროთმოძღვრების ზოგი ასპექტი" განხილული იყო ქართული ხუროთმოძღვრების განვითარების ძირეული პრობლემები; ბიზანტიურ და დასავლეთ ევროპის ძეგლებთან შეჯერების საფუძველზე მკაფიოდ იყო ნაჩვენები ქართული ხუროთმოძღვრების ორიგინალობა და დამოუკიდებლობა.

ქართული შუასაუკუნეების ხელოვნების ერთ-ერთ მნიშვნელოვან დარგს — პლასტიკას ეხებოდა ნათელა ალადაშვილის მოხსენება „ადრეფეოდალური ხანის ქართული სკულპტურა". მომხსენებელმა სათანადო ადგილი მიუჩინა ადრეული ხანის ქართულ ძეგლებს ადრექრისტიანული პლასტიკის ზოგად განვითარებაში.

გაიანე ალიბეგაშვილმა სიმპოზიუმს გააცნო საქართველოს კულტურის აყვავების ხანის (XI—XIII სს.) ქართული ხელნაწერი წიგნის დასურათების მხატვრული პრინციპის ძირითადი პრობლემები. კონკრეტული ძეგლების ჩვენებით მომხსენებელმა წარმოადგინა ხელოვნების ამ დარგის განვითარების პროცესი გარკვეულ ისტორიულ ეტაპზე.

ლეილა ხუსკივაძის მოხსენება ეხებოდა მხატვრულ-ისტორიული მნიშვნელობით დიდად საყურადღებო ძეგლს — წილკნის ეკაუსტიკურ ხატს. ძეგლის შესწავლის საფუძველზე ავტორმა გამოავლინა ქართული ფერწერის მაღალი დონე შუასაუკუნეების ხელოვნების განვითარების ამ ადრეულ ეტაპზე (IX ს.).

სიმპოზიუმზე განხილული იყო, აგრეთვე, ქართული ხელოვნების ადრეული ეტაპების საკითხებიც. ქართული ანტიკური ოქრომჭედლობის ძირითადი პრობლემების შესახებ ისაუბრა პროფესორმა ოთარ ლორთქიფანიძემ.

ჩვენი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეთა ბზატვრული ვერცხლის ნიმუშების მრავალრიცხოვან მაგალითზე კიტი მაჩაბელმა წარმოადგინა წინაქრისტიანული საქართველოს რთული მხატვრული სამყარო, ნათლად უჩვენა ის საფუძველი, რომელზეც შემდგომ შეიქმნა შუასაუკუნეების ქართული ოქრომჭედლობის დიდებული ხელოვნება.

სიმპოზიუმზე გაგზავნილი იყო, აგრეთვე, ქართველ მეცნიერთა შემდეგი მოხსენებები: თინათინ ვირსალაძე — „XI—XII საუკუნეთა ქართული ფრესკების ჯგუფი", თინათინ ყაუხჩიშვილი — „ბერძნული წარწერები ქართულ

ფრესკებზე", ეკატერინე პრივალოვა — „ტიმოთესუბნის კედლის მხატვრობა", გურამ ქღენტი — „XVII საუკუნის ქართული ხელნაწერის მინიატურები".

უცხოელ მეცნიერთა მოხსენებები შეეხებოდა ქართული ხელოვნების თითქმის ყველა დარგს. განსაკუთრებული ყურადღება მიექცა ხუროთმოძღვრებას. პაოლო ვერძონემ (იტალია) თავის მოხსენებაში განიხილა დარბაზული ტიპის ნაგებობანი ცენტრალურ ანატოლიაში. პროფესორმა ლასუსმა (საფრანგეთი) თავისებური ინტერპრეტაცია მისცა ქართული ხუროთმოძღვრების ზოგიერთ ძეგლს; უნგრელი მეცნიერი ერებეტ ჩემეგი (მან საასპირანტო კურსი გაიარა ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტში) შეეხო მეტად ორიგინალური ტიპის არქიტექტურულ ძეგლებს — ექვსაბსიდიან ეკლესიებს — საქართველოსა, დალმაციასა და უნგრეთში.

ძველი ქართული ხუროთმოძღვრების ზოგიერთი პრობლემა განიხილა თავის მოხსენებაში ედიტ ნეიბაუერმა (გდრ); ბოლნისის ტაძრის ხუროთმოძღვრება და რელიეფები წარმოადგინა ჯულიო მელეტი დ'ერილმა (იტალია). ცხოველი კამათი გამოიწვია პროფ. პაოლო კუნეოს (იტალია) მოხსენებამ ბაგრატის ტაძრის შესახებ, რომელშიც იგი შეეხო „ჩაწერილი ჯვრის" ტიპის ნაგებობებს. კამათში მონაწილეობა მიიღეს ვ. ბერიძემ, ე.-მ. ტიერიმ, ე. ლასუსმა.

ტაო-კლარჯეთის ერთ-ერთი საინტერესო ძეგლი — ურთა — გააცნო სიმპოზიუმის მონაწილეებს პროფ. ჟან-მიშელ ტიერიმ (საფრანგეთი), მან ხაზი გაუსვა ამ არქიტექტურული ძეგლის გეგმარებისა და პლასტიკური დეკორის მთელ რიგ თავისებურებებს.

ჯულიო იენის (იტალია) მოხსენება ეხებოდა ბაჭკოვის მონასტერთან დაკავშირებულ პრობლემებს, ქართულ გავლენებს.

ქართული ხელოვნების სხვა დარგები ნაკლებად იყო წარმოდგენილი სიმპოზიუმზე: თავისი მოსაზრებები ხოზიოს ლუკას მხატვრობისა და მასთან ქართული ფრესკების ურთიერთკავშირის შესახებ გაუზიარა მსმენელებს რაინერ ზტიხელმა (იტალია), ქართული მინანქრის სპეციფიკაზე, მის განსხვავებაზე ბიზანტიურისაგან ყურადღება გაამახვილა ოლეგ ძასტროვმა (იტალია).

ინტერესი გამოიწვია პროფ. დავით ლანგის მიერ წარმოდგენილმა ქართული ხელნაწერი წიგნის დღემდე გამოუქვეყნებელმა ნიმუშმა — „ვეფხისტყაოსნის" ხელნაწერმა, დაცულმა ბოდლეიანის ბიბლიოთეკაში. ამ ხელნაწერის მინიატურები დამახასიათებელია ქართული საერო მინიატურის განვითარების გარკვეული ეტაპისათვის.

სიმპოზიუმზე წაკითხული იყო ისტორიული ხასიათის მოხსენებაც. მხარგრძელების დინასტიის ისტორიას და მათ მოღვაწეობას საქართველოში მიეძღვნა პროფ. მაიკლ როჯერსის (ინგლისი) გამოსვლა.

30 ივნისს დასკვნით სხდომაზე სიმპოზიუმის მუშაობა შეაჯამა პროფ. ბოსალიამ (იტალია). სიმპოზიუმის მომწყობთ მადლობის სიტყვებით მიმართეს პროფესორებმა ჟ. ლასუსმა, ღ. ლანგმა. პროფ. ვახტანგ ბერიძემ თავის გამოსვლაში (ქართულ და იტალიურ ენებზე) აღნიშნა, რომ ბერგამოს სიმპოზიუმი ქართული ხელოვნების საერთაშორისო აღიარების დადასტურებაა. მან წარმატება უსურვა ქართული ხელოვნების საკითხების მკვლევართ და ხაზი გაუსვა ამგვარი საერთაშორისო თანამშრომლობის მნიშვნელობას.

სიმპოზიუმის ერთ-ერთმა ორგანიზატორმა ნინო ყაუხჩიშვილმა მადლობა გადაუხადა მონაწილეებს და უდიდესი კმაყოფილება გამოთქვა იმით, რომ ეს იყო კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი ქართული კულტურისა და ხელოვნების მიღწევების გამოტანისა საერთაშორისო სარბიელზე.

სიმპოზიუმის მონაწილეებზე უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა ქართულმა ფილმმა „ძველი ქართული საგალობლები" (დამდგმელი რეჟისორი ს. ჩხაიძე), რომელმაც საშუალება მისცა მათ შეეგრძნოთ ქართველი ხალხის შემოქმედებითი გენიის მთელი ძალა.

სიმპოზიუმის მსვლელობა სისტემატურად შუქდებოდა იტალიურ პრესაში. საგანგებოდ იყო აღნიშნული ქართული მეცნიერების მაღალი დონე, ფართო მეცნიერული კონტაქტების უდიდესი სარგებლობა მეცნიერების წინსვლისათვის.

საქართველოს მეცნიერთა ჯგუფს საშუალება მიეცა გასცნობოდა იტალიური ხელოვნების ძეგლებს — თვით ბერგამოში, ვიჩენცაში, პადუაში, ვენეციაში, ფლორენციასა და რომში.

ქართული ხელოვნების პირველი საერთაშორისო სიმპოზიუმი სხვადასხვა ქვეყნის მეცნიერთა მეგობრული თანამშრომლობის შესანიშნავი მაგალითია.

კიტი მაჩაბელი
ლეილა ხუსკივაძე